

114
1963/3

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურა

მკვლევარი



10

1 9 6 3

119
1963/4



გნათობი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტიის ორგანო
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუროსი

წელიწადი მე-40

№ 10

ოქტომბერი, 1963 წ.

საპარტვილოს საგონათა მწერლების კავშირის ორგანო

Handwritten notes:
9053
9053

შ ი ნ ა ა რ ს ი

რევან მარჯანი — მე ჟურნალში...	ლექსი	3
სერგო კლდიაშვილი — ფერული, რომანი, მეორე წიგნის დასასრული		4
გრიგოლ ცეცხლაძე — წიგნიდან „პორტრეტები“	ლექსები	19
ივანე ლიხაშვილი — ნახევრებზე, რომანი, გაგრძელება		21
თამაზ ჭალაძე — ლექსები		38
ფრიდონ ხალვაში — საყვედური, რომანი, გაგრძელება		41
მირიან ფოცხიშვილი — მარტოხელა ქალის ბაღადა	ლექსი	62
მირიან მირიანელი — ლექსები		63
ტაგუ მებურიშვილი — წვიმა ქალაქში	ლექსი	64
ალ. კალანდიაძე — მაკინაჩებთან		65
ქვალ ქარბაძე — აბზიანიძეების ოჯახი, მოთხრობა		94

250 საბითუმო 250

გიორგი ნატროშვილი — მეგობრობისა და სიყვარულის მგოსანი	106
---	-----

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

შალვა აფხაძე — სიციცხლის დაუღალავი მეხობე	120
ნოდარ ნათაძე — გუშინდელი ნაწარმოები და დღევანდელი მკითხველი	136
ნიკოლოზ ქაში — თანამედროვე ბურჟუაზიული ესოტერიკის რეაქციული არსი	146
სამონ ყაუჭიშვილი — არეოპატიული წიგნების გარშემო	154

სხვადასხვა

ვიკი ღამბაშიძე — ინგლის-ამერიკის პოლიტიკა ამიერკავკასიაში 1919 წელს, დასასრული	158
ვახტანგ ფანია — ერთი ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობიდან	176

(იხ. მეორე გვ.)



აკაკი ვეწაძე — შორეული ჩურჩულის ექო	180
ნოდარ რუხაძე — „რუსული ლიტერატურის ისტორიის“ სამტომეული	183
სიმონ არველაძე — „ცა ქუდაღ, მიწა ქილამნად“	185
მ. ნათაძე — სელინჯერის რომანი ქართულ ენაზე	187
ზ. ჭუმბურიძე — ზვენი სახელოვანი თანამედროვე	189
ვ. გოგოლაძე — ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან	191

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
- ე. მაღრაძე, ბ. უფენტი, ა. სულაკაური. ა, ქუთათელი, ე. უფიანი,
- ს. შანშიაშვილი, გ. ჯიბლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-18-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/X—63 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა 7 1/4 × 12 1/2 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 05582, ტირაჟი 6200, შეკვეთა № 2043

საქ. კვ ცკ-ის გამოცემლობა, სტამბა № 1.
Издательство ЦК КП Грузии, Тип. № 1

ჩვეუ მარგინი

მე პერპეროვით...

მოულოდნელად ეს დღეც გაფრინდა,
ხელიდან უცხად გამომეცალა.
მე კი მინდოდა განთიადიდან
ამ გაურანდავ ლექსზე მეწვალა,

მსურს აღვადგინო, რაც დრო დაგვარგე,
წუთი კი არა,

თვითონ წამებიც,

მიყუჩებული ჩემი აგვარგი,
წინ გადავიშალო წვით და წვალებით.

თორემ ხომ იცი...

დრო, დრო არ იცდის.

შეუბრალებლად მიჰქრის ფრთამალი,
უნდა მოვასწრო რასაც განვიცდი,
ნაპერწყლიანი შემჩრჩეს ქამანი.

თორემ ხომ იცი...


გადავიწყების

კუბრისფერქვეშით გავირუჯები,
ფიფქად იტყევა ჩემი ფიქრები
და ნაცრად ჩემი ციხე-ბურჯები.

საკმარისია გალავნისათვის
გაჩნდეს ბზარი და ჩაჯდეს სიკვდილი,
დაიმსხვრეს ჩემი წმინდა მიზანი,
ლორლად გადიქცეს ჩემი ქვეთკირი.

ყინულად იქცეს აზრი ცოცხალი,
გუბედ—მჩქეფარე ჩემი ჩქერალი,
აღმოგჩნდეს სუსტი ხუროთმოძღვარი—
მე, დღევანდელი დღის მომღერალი...

ასე რომ იყოს... დავიკვნესებდი
და უმაღ სიკვდილს ვამჯობინებდი...
მე ჯერჯერობით ვცოცხლობ ლექსებით
და ხვალინდელი დღის მაქვს იმედი.



საკრძო კლიმატი

ფ ე რ ი *

IV

ძელქვის ჩრდილში ანანიას ბადე ჰქონდა გაშლილი მოლზე და გამოგლეჯილ ადგილს აკერებდა. სადამო ხანს სათევზაოდ წასვლას აპირებდა.

ბავშვები დილიდანვე აფორიაქდნენ. ეს დღე საზეიმო იერს ატარებდა პატარების თვალში... მზის გადახრისას მდინარეში იჭყუმპალებენ, დაღამებისას კაკო უნდა ჩამოვიდეს შახტებიდან, ვახშმად თევზი ექნებათ, დედა ზოგს მოხარშავს, ნაწილს კეცებზე შეწვავს. ასე უფრო უყვარს შაქას...

მდინარეზე კასრიც უნდა წაეღოთ თევზების ჩასაყრელად. ილიამ ივარაუდა, რომ სევარიონი, როგორც სხუმის, ახლაც არ დაანებებდა კასრს... რატომ მაინცდამაინც სევარიონმა? რატომ? ტანად და ღონით რომ მეტია, ამიტომ უნდა დაიბრიყვოს უმცროსი? რა იქნება, ერთხელ დათმოს და ატარებინოს! დაბრუნებისას თვითონაც ხელს არ მოკიდებს, კასრი, ალბათ, დამძიმდება და ვერ შეძლებს მის თრევას. როცა ის სავსეა, არც სევარიონს ანებებს მამა, მაგრამ აქედან ხომ ცარიელი იქნება?!

გამაცადინებულმა, როგორმე აქედანვე დაეხვევებოდა ჰურჭელი, ილიამ შეუძინველად გამოიტანა ის, მარნის უკან მიიბრინა და მიშალა. როცა საფარისკენ მიიპარებოდა, ლეკვი აედევნა. ფაცურასთან რბენა სხვა დროს ყოველთვის ეხალისებოდა, მაგრამ ახლა რომ აეტორლილა, ეს არაფრად მოეწონა. მოდი შენ და გაავებინე ამ უტყუინო ბირუტყვს, რომ ადამიანი იმალება და თავისი ადგილ-სამყოფელის გამხელა არ უნდა! ნიადაგ სათამაშოდ განწყობილი ლეკვი.

არავითარ ანგარიშს არ უწევს რა გუნებაზეა პატრონი და სულ მცირე საბაბია საჭირო, რომ მერე გაუთავებლად იცელოს.

ახლაც ისე მიიჩნია, ალბათ, რომ ილიასთან თამაშის საშუალება ეძლეოდა. შორიახლოს ჩაცუცქდა და თვალბში შეჩერებოდა იმის მოლოდინში, რომ მეგობარი აი აგერ ნიშანს მისცემდა. ჩუმად იყო, მაგრამ კუდის შეუჩერებელ ქიციანზე ეტყობოდა, მოთმინება აღარ ყოფიდა.

გრძნობდა ამას ილია და შიშობდა, რომ საცა იქნებოდა, ძალი გასცემდა. გაგდებას ვერ უბედავდა, მაგრამ დროდადრო თითოთ ემუქრებოდა და ამით ცდილობდა მიეხვედრებოდა, რომ ჩუმად ყოფნა იყო საჭირო.

იომინა ფაცურამ, იომინა და ლოდინი რომ გაუხანგრძლივდა, ჯერ ვახტა და გამოხტა და, უეცრად, თითქოს განზრახ, ყფა ასტეხა. მაშინ კი გაბრაზდა ბიჭი, ქვას დაავლო ხელი, უსწორა და ესროლა. გამწარებულმა ლეკვმა ყფა კი შეწყვიტა, მაგრამ წმუტუნით გაბრუნდა სახლისაკენ. ილია დარწმუნებული იყო, რომ ამის შემდეგ სევარიონი სულ ადვილად მიაგნებდა. მიაგნებდა და, მშვიდობით იმედო, კასრს წაართმევდა და კიდევაც წაუბილიკებდა.

გულამღვრეული იქვე მოკალათებულყო და ელოდა, რომ აი აგერ თავზე წაადგებოდა გაჭავრებული ძმა. მაგრამ დრო გადიოდა და არავის მიუქითხავს მისთვის.

საფარიდან გამოსვლას მაინც ვერ ბედავდა, იჯდა გასუდრტული და, ძალაუნებურად, სხვა ვერაფრით რომ თავს ვერ ირთობდა, გარშემო იცქირებოდა.

* მეორე წიგნის დასასრული. იხ. „მნათობი“ № 8, 9.



ავგისტოს ცხელი მზე დაჰყურებდა გარემოს. ფერდობზე ყანა ყვითლად ღვიადა. სადღაც ზეზე ჭიჭინობელა ზეიზობდა მხურვალე დღეს და თავის გაუთავებელ საგალობელს ამბობდა. ფერდობის თავზე ამართულიყო სქელი ღრუბელი, საოცრად თეთრი და სუფთა. ის თითქოს უძრავად აკვროდა ცას, მაგრამ თუ დიდხანს მიაჩერდებოდი, შეამჩნევდი, რომ იცვლიდა ხოლმე სახეს. ერთხელ ცხენს დაემსგავსა, ყალყზე ამდგარ ცხენს, რომელსაც კისერი წაეგრძელებია და უნაპირო ცის სილურჯში გადახტომას ამირებდა. მერე ციხე-კოშკებით აშენდა და, ბოლოს, ადამიანის გარეგნობა მიიღო, უზარმაზარ ადამიანის, რომელსაც ხელები გაეშალა და იმ თვალუწყდენ სიმაღლიდან გადმოჩერებოდა ქვეყანას...

მიშტერებოდა ცას ილია, იხიბლებოდა ღრუბლის ათასგვარი ცვალებადობით და თანდათან იფიწყებდა იმ დარდს, რომლის გამო აქ დამალულიყო... არა, ახლა აღსრულდება ნატვრა. ისეთი დღეა, რომ სევარიონიც კარგ გუნებაზე იქნება, შეუსრულებს თხოვნას და წააღებინებს კასრს...

მაინც შიშნარევიად გამოძვრა საფარიდან და გავიდა ეზოში. მამა ისევ ქსოვდა ბადის შემუსვრილ ადგილს. ძმაც იქვე ჩაცუცქულიყო და ეხმარებოდა. დაიქვებულად მიუახლოვდა მათ, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ისინი ყურადღებას არ აქცევენ, გულზე მოეშვა და თამამად იქვე მოიბრუნა მიწაზე.

— სად ხარ, ბიჭო, არ უნდა მომეხმარო? ვერ ხარ შენ კაი კაცი! — მამის ხმა გაიგონა ილიამ. თითქოს უსაყვედურებდა, მაგრამ კილოზე ატყობდა, რომ ეხუმრებოდა. — ვინც იზარამცა, უვახშმოდ დარჩება. ასე არაა, სევარიონ? ა, რას იტყვი?

— აბა, რავე! — დემოწმა სევარიონი. — ეგ ვაებატონი მხოლოდ მზამზარეულზეა მარჯვედ!

— თუ მაინცდამაინც და, ლიფსიტა მივცეთ და ვაჟყოფინოთ! ა? ერთი თითისოდენა ლიფსიტა!

— არც ამის ღირსია! ^{უკეთესი დედგა} სევარიონი.

— აბა ჩვენ ეკამოთ და მაგან ხახაში გვიყუროს? — გაიცინა ანანია. — ცოდვია კაცი!

— არაფერი არ ერგება მუქთახორას! — უღმობელი იყო სევარიონი.

— შენ არავინ გეკითხება! — გაულისდა ილია, შეუტია, თავგამეტებულად ეძგერა ფეხებში და წააქცია.

ასეთ ბოლოს თვითონაც არ ელოდა და შეშინდა, რომ ამის შემდეგ სევარიონი აღარ დაინდობდა. თავშესაფარი არსად იყო, სხვა ვერაფერი მოახერხა და მამასთან მიიპრა იმ იმედით, რომ ის უშველიდა.

ანანია გულიანად არიხრობდა ბიჭების ძუძუებზე და მათი შერიგება რომ მოეხდინა, ჯერ უფროსი აიტაცა და აისროლა ჰაერში, მერე უმცროსი.

— ერთი კუდი მაინც, ა? ერთი კუდი სამოწყალოდ ჩვენს ვაჟკაცს, თორემ დავიღუბეთ, დაგვერევა ყველას! — გუგუნებდა და ისროდა ზევით ხან ერთსა და ხან მეორეს.

— ერთი კუდი! ერთი კუდი! — გაჰკიოდა ილია.

— მივცეთ! მივცეთ! — ძმაზე რომ შური უნდა ეძია, აღარც ახსოვდა სევარიონს.

მამის ამგვარი აღერსი უჩვეულო იყო მათთვის და, გახარებულნი ეხვეოდნენ, ეკვროდნენ, ერთმანეთს ეცილებოდნენ სიყვარულის გამოჩენაში.

— ჰო, კაი ახლა, ნუ გამგუდეთ! — ვითომდა ცდილობდა ანანია ჩამოეშორებია კისერზე შემოკლობილი მათი მკლავები, ნამდვილად კი სიამოვნებდა და უფრო ღონივრად იხუტებდა შვილებს.

უკანასკნელად ისევ ილია აიტაცა და შეათამაშა, როცა შორიდან მამაკაცების ყაყანი მოესმა.

ბავშვი მიწაზე დაუშვა და მიაყურადა. ვერ გაერკვია, საიდან აღწევდა ხმა და ვინ უნდა ყოფილიყვნენ.

ბიჭებთან შეხალისების შემდეგ შე-

რჩენილი ღიმილი თანდათან წაეშალა სახეზე.

მამის უცარი ცვლილებით გაოცებულ ბავშვები უმაღლეს ჩაჩუმდნენ.

წინკარში გაიანე გამოჩნდა, ქმარს ხელით ანიშნა რაღაც და შერე სწრაფი ნაბიჯით გამოემართა.

— რა იყო, ქალო, რა ამბავია? — გაკვირვებით მიაჩერდა ანანი ცოლს, რომელიც შეშფოთებული ეჩვენა.

— ხალხია იქ! — გაიანემ ვენახისკენ ანიშნა. — გივაც უნდა იყოს, ასე მოგვარი თვალი...

— მერე რაო? — ყრუდ იკითხა ანანიამ.

— დადიან, ზომავენ, ათვალეგრებენ იქაურობას... — ხმა უთრთოდა გაიანეს.

ანანი შეტრიალდა და ბადეს დაწედა.

— გესმის რას გუუბნები?

— არაა მაგ ჩვენი საქმე! — ხელი აუქნია ანანიამ. — ალბათ, საჭიროა და იმიტომ მოსულან...

ისე მშვიდად თქვა, რომ გაიანე სახტად დარჩა. არ ეგონა, თუ გულგრილად შეხვდებოდა ამ ამბავს.

ერთხანს უილაჯოდ იდგა და დუმდა... არა, რომ თქვას კაცმა, გასამტყუნარი არ არის ქმარი, თუ არაფრად ჩათვალა გაგონილი... მართლაც და, რა ეკითხება ანანიას, რა განზრახვით ათვალეგრებენ და ზომავენ... ადგილი, ხომ, საერთოა და, როგორც უყობთ, ისე მოხმარენ...

გაზაფხულზე რომ ანანიამ ვენახზე ზე-ლი აიღო და აღარც ჩაუხედავს შიგ, იმის შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა, ზაფხული მიიწურა, ნაკვეთი მიეიწყებულევით იყო და არც რაიმე ხმა დარხეულა გზის გაყვანაზე. ეს ამბავი სასიკეთოდ ენიშნებოდა გაიანეს და უბრუნებდა იმედს, ქმრისგანაც დაფარულს და გაუშვლელს, რომ საბოლოოდ ადგილი ისევ ძველ პატრონს დაუბრუნდებოდა... ასე იყო აქამდე და დღეს რომ პირველად იქ ხალხი დაინახა, დაუჩქებული ძველი სატყვიარი განუახლდა.

— არა, ტყელიად არ მოვიდოდნენ ისინი... — თითქოს მხოლოდ თავის თავს

მიმართავდა, გაუბედავად ჩაილაპარაკა. ანანიამ წაუყრუა.

— ერთი წუთით, ადამიანო, ჩავიდო-დი და გავიგებდი მაინც რაზე შეწუხებულა ეს ჯარი ხალხი! — ახლა უკვე შეეთამამა ქმარს.

— გითხრეს, დაუძახეო? — თვალი მიაჩერა ანანიამ.

გაიანემ არაფერი თქვა.

— გითხრეს ჩემზე, მოვიდესო? პასუხი ახლაც ვერ მიიღო.

— ჰოდა, აბა, საჭირო არ ვყოფილვარ... ჩვენ არაფერი გვეკითხება და ნურც შენ გაერევი სხვის საქმეში... გაიგე? ჰო და ასე!

მორგეს ძაფი წააწყვიტა, ისევ დაწედა ბადეს, მაგრამ რატომღაც თითები აღარ დაემორჩილნენ და, თითქოს ძაფიც გაუუკუთრდო, იქ ვერ უყრიდა, სადაც უმიზნებდა.

არ მოეშვა, როგორც იქნა მოათავა და წამოდგა.

— რაეა, ვაქცაცებო, საქმე? — გადახედა ბავშვებს. — მაშ მოვიდივართ მდინარეზე, არა?

აქამდე გატრუნული ბიჭები გამოცოცხლდნენ.

— დღეს რომელს მოგაქვთ კასრი? — უკვე მზიარულად იკითხა. — მარა, ისე უჩხუბრად! ვინც პირველი ხელს მოკიდებს, წამლებიც ის იყოს!

ილიამ მაშინვე მარანს მიაშურა და გადამალული გამოაჩინა.

— ჰე, უყურე ამას, სად შეუნახავს! — გაშტერდა სევარიონი — ასე რაეა მიხრიკა მაგ ცინდალმა!

წასართმევად შეუტია, მაგრამ მამამ შეაჩერა.

უფროსის იმედით გამხნეებული ილია ნადავლს უშიშრად აქანავებდა და ნიშნის მოგებით ეღრიჭებოდა ძმას. ამის შეხედვა კიდევ უფრო ახელებდა სევარიონს, მაგრამ სხვა რომ ვერაფერი გაეწყო, მხოლოდ სიტყვით ემუქრებოდა:

— მე შენ გიჩვენებ სეირს, თუ კაცი ვარ! გივდებ ხელში ნახე მაშინ რამდენი გაბლავლო!

— ჰო, კაი ახლა, მოეშვი! — გადინხა-



რხარა ანანიამ. — გავობა ქუეში და რა-
ლას ერჩი!

გაიანე ვაოცებული იყო:

— სიცილის გუნებაზე ხარ, ადამი-
ანო? აბა გაიხარე ბარემ, ისიც იცოდე,
ხეებს ჭრიან... სხვა თუ არაფერი, იმა-
ზე მაინც იფიქრე, ქარი აგვიკლებს და
აგვირის აქედან!

— მერე და რა ვქნა მე? — მორჩილმა
ნაღვლიანმა ღიმილმა ვადაურბინა სახე-
ზე ანანიას. — გინდა მაინცღამაინც ჩემი
თვალით ვნახო? კი ბატონო, თუკი ამით
ვაკეთდება რაიმე, არც მავაზე გაწყენი-
ებ...

ახალუხის კალთები დაიბერტყა და
ქიშკრისკენ წავიდა.

ნავენახარში არც თუ ბევრნი იყვნენ.
ანანია ისე გაერია ხალხში, ყურადღება
არავის მიუქცევია. ანგია და ივლიანე და-
ინახა ჩრდილში რომ ისვენებდნენ, თვი-
თონაც მათთან მოიკალათა და იქიდან
მიადევნა თვალი, გარშემო რა ხდებოდა.

სამუშაო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ნა-
ვარაუდები იყო. საქმე იმითაც რთუ-
ლდებოდა, რომ ვერ დაეზუსტებიათ
საიდან შედგომოდნენ გზის გავრას. და-
იწყებდნენ ერთგან, მაგრამ მალე ირკვე-
ოდა, რომ სხვა ადგილიდან უფრო უმ-
ჯობესი იქნებოდა. მიატოვეს ის კუთხეც
სადაც ლოდები აღმოჩნდა და ბოლოს
ისევ დაფერდებულზე გაყვანა არჩიეს.
მიმართულება სწორი და მოხერხებული
იყო. ოღონდ აუცილებელი ხდებოდა
ცაცხვის მოჭრა. ბერი ხე, მაღალი ბო-
რცვივით აზიდული, ტოტებგაშლილი და
ხშირფოთლოვანი, სოფლის სიღამაზედ
ითვლებოდა. ეცოდებოდათ, უნდოდათ
როგორმე დაეტოვებიათ, ხან ასე ივა-
რაუდეს, ხან ისე, მაგრამ ვერ იქნა და
ვერ გამოძებნეს საშუალება მის გადა-
სარჩენად.

ცაცხვის მოსაჭრელად რამდენიმე ჯა-
ნიანი ახალგაზრდა დააყენეს. პირველი
წუთიდანვე ისინი ფიცხად შეუდგნენ
ჩეხვას, თითქოს არ უნდოდათ გონს მო-
სულიყვნენ რას აკეთებდნენ. ხის მკვრივ

ტანზე ხშირად სხლტებოდნენ, წყნარად და
ისმოდა ხოლმე როგორ მხედავდა ხალხი
და.

დაღლილ მჩეხავებს ახალი წყება ენა-
ცვლებოდა, ესენიც აზარტით იწყებდ-
ნენ, მაგრამ საქმე ვერც ამით ხელში მი-
იწყებდა სწრაფად. გარშემო ნაფოტების
ხვათი ეყარა, უფრო ღრმად და ღრმად
ხადიოდა ხეში ნაჯახის პირი, ცაცხვი კი
ისევ მედიდურად იღვა ფუშფუშა მწვა-
ნეთი მორთული.

ისინი, ვისაც დასვენება უწყევდა,
ჩრდილში ჩამომსხდარ მგზობლების
გვერდით ჩაიმუხლებდნენ ხოლმე, თამ-
ბაქოს აბოლებდნენ და წყურვილს იკ-
ლავდნენ ხილით, რომელსაც აუდგომ-
ლადაც, ჯობის დარტყმით, ადვილად აგ-
დებდნენ დაბლა დაბრილი ტოტებიდან.

— ცხონდა შენი დამრგავი! — ხარ-
ბად კბეჩავდა წვნიან მსხალს ქერათმი-
ანი ახალგაზრდა, — ჩაწმინდა გული
მადლიანმა!

ანანია სინანულით შეავლებდა ხოლმე
თვალს ნავენახარის ნაპირებზე გაშენე-
ბულ ხეხილს. იცოდა, რომ ორიოდ
საათის შემდეგ ყველას მოკვრიდნენ. ამ-
ათგან კი რამდენიმე ხე დაკავშირებულ
იყო რომელიმე სამახსოვრო დღესთან...
სევარიონის ნათლობაზე ჩარგული ატამი
ძველებურად ველარ ისხამდა, შებერე-
ბულიყო, მაგრამ სადაც ესხა. ნაყოფი
სურნელოვანი და ტკბილწვნიანი იყო.
ძველ კეხურას ფულურო გაჩენოდა, მაგ-
რამ ისევ ფართოდ გაეშალა ტოტები.
მის ძირში ჭერ კიდევ დათიას მრავალ-
ჭერ მოუჩრდილებია და დაუსვენებია...

— უტეი! უტეი! — გაისმა შემკრთა-
ლი ხმა.

ვილაცას ისე მოეჩვენა, რომ ხე შეინ-
ძრა.

ნაჯახის ჯახანი, რომელიც აქამდე ჰა-
ერს კვეთავდა, შეწყდა.

მჩეხავები უმაღვე განერიდნენ და გა-
იქცნენ.

იმთაც, ვინც შორიხლო ჩრდილში
ისვენებდა, ინაცვლეს ადგილი. მოშორე-
ბით დადგნენ და უთვალთვალდნენ,

როდის წაიქცეოდა ბერი ბუმბერაზი. მაგრამ ცაცხვი ისევ ისე იდგა, როგორც ყოველთვის, და მხოლოდ ვარჯი, მისი მწვანე ქოჩორი, ოღნავ შესამჩნევად ირხეოდა ნიავის ქროლვაზე.

როცა ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ხე არ წაიქცეოდა, ქერათმიანიმა ახალგაზრდამ პირველმა გაბედა და ჩეხვა განაახლა. გაცხარებით დაუშინა. ყოჩაღობდა, მაგრამ იმ სიჩქარეზე, რომლითაც ნაჯახს იქნევდა, ეტყობოდა, რომ შიში ჰქონდა მინც.

უეცრად მრავალმა ხმამ ერთად იგრიილა. ყველამ შენიშნა, რომ ხე შედრკა. რამდენიმე წამი კიდევ იდგა, მერე შეტორტმანდა, მძიმედ ვაღმოიხარა, ვაღმოწვა და ერთბაშად, როგორც კი ვაღამტყდარი ტანის ქახანი მოისმა, ზათქით დაეშვა, დაეარდა და მიწა ახვეტა.

ჩრდილოეთით, რომელსაც აქამდე ფარავდა ცაცხვი, ცის დიდი ნაქერი და გორაკი გამოჩნდა.

ხე დაეარდნილიყო მოხერხებულად და იმ მიმართულებით, საითაც დამიზნული ჰქონდათ. ქერათმიანი, რომელმაც ყველაზე მეტი გაბედულება გამოიჩინა, ოფლს იმშრალეზდა, რაღაცას უამბობდა გარშემო შემოკრებილთ. დაღლილობის გარდა, მღელვარებაც ემჩნეოდა. ყოველთვის, როცა თვალს გადაავლებდა მიწაზე გაშხლართულ ცაცხვს, სახეზე გადაურბენდა რაღაც მსგავსი გაკვირვებისა და გაოცებისა. არ ჯეროდა თითქოს, რომ ეს გოლიათი მისმა ხელმა დაამხო.

ანანია შორიდან უყურებდა ვენახის შუაგულამდე გაწოლილ ხეს, რომლის ზედა შტოებზე უკანასკნელად იძროდნენ და ჩუმიად შრილებდნენ ფოთლები. მიშტერებოდა დაძაბულად, მღუმარედ. იმდენად ცაცხვი არ ეცოდებოდა, რამდენადაც უცნაურად და დაუჯერებლად ეჩვენებოდა, რომ ეს ბუმბერაზი შეიძლებოდა წაქცეულიყო და ასე უმწეოდ გაოთხმულიყო.

— დაგენანა? — ზურგიდან მოეხმა ხმა.

როცა მოხედდა მინავო დინანა.

— დაგენანებოდა, აბა რავე... — თანაგრძობად მიიღო მისი სიტყვები—შენზე ნაკლებად მეც არ დამნანებია, მარა, რას იზამ..

— რას იზამ... — ანგარიშმოუცემლად გაიმეორა ანანია და მერე დაუმატა: — ჩემი საქმე არაა... რავარც საჭიროა, ისე უნდა იყოს...

თქვა და სახლისაკენ წავიდა. რამდენიმე ნაბიჯი ჰქონდა გავლილი, როცა ისევ ნაჯახის დარტყმა გაიგონა. შემოტრიალდა.

ვილაც ჰრიდა ვაშლის ხეს. მეორეს მინავო ეძაძურებოდა. ურტყამდა და თან რაღაც საგინებელს აყოლებდა.

— ბლაგვია შენსავით! — იცინოდნენ გარშემო. — ნაჯახი კი არა, ქვასანაყი! — მოიბა აქ! — მინავოს უეცრად თავზე წაადგა ანანია.—თუ არ შევიძლია, მე მომეცი!

მინავომ უმაღლვე შენიშნა, რომ ის ვაზბარზეული იყო.

— რას მიყვრილებ თვალებს?! — მიანერდა გაკვირვებული. — რა ბზიკმა ვიკბინა?!

— აბა რად ღიჯნი ხეს, რად აწვალე? — არ ცხრებოდა ანანია. — გესმის ჩემი?

მინავომ ღიმილით გადახედა:

— შენ რავე გესიამოვნება? ვაკოცო?—შეხუმრება უნდოდა, მაგრამ მწარედ ნათქვამი გამოუვიდა: — რაზე გეწვის გული, კარგად ვიცი მე. ჰა, თუ გინდა, დაკრიფე ხილი და წაუღე ბლარტებს, არავენ გიშლის. მე კი თავი დამანებე, ასე აჯობებს შენთვის. ჰო და, მომეწვი!

არავენ რომ არ ელოდა, ანანია მოგლიჯა ხელიდან ნაჯახი და მოუქნია. ვილაცამ იმარჯვა, ხელით წვდა ტარში. ამით შეასუსტა დარტყმის ძალა, მაგრამ ფოლადის წვერის ბოლო მინც მოხვდა მინავოს და წარბი გაუჩეხა.

ანანია მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა ყვირილი გაიგონა. იმ წუთში ისიც

დაინახა, რომ ხის ძირში გამოტილი ეგდო კაცი. გარშემო ხალხი ტრი-ალბდა. მრავალი ხმა ერთად გასძახო-და, რალაცას ითხოვდა საშველად. სა-იდანღაც გაიანეც აქ გაჩენილიყო.

— რა ქენი ეს? კაცი მოკალი? მოკა-ლი კაცი? — გააკვირდა და სახეს ისო-და გაიანე. — შენც დაილუპე და ჩვენც დაგვლუპე? კაცი რაჲა მოკალი, შე ულ-ვთო!

ანანია უძრავად იდგა. გაქვავებული დაშტერებოდა ერთ ადგილს, მაგრამ მი-სი თვალეზი იქ ვერაფერს ხედავდნენ.

V

ანანიას ვასამართლები დღეს გაიანე გათენებისას ჩავიდა რაიონის ცენტრში. სასამართლოს დაექველ კარების წინ უკანასკნელად შეჩერდა და საფეხურზე დაეშვა. დამენათევმა და შორი გზით და-დლილმა, გულგრილად მიმოავლო თვა-ლი იქაურობას. პატარა დაბა-ქალაქი ჭერ ისევ ძილში იყო. ხის ოფები ალაგ ორსა-რთულიანი აგურის შენობები, დაცარი-ელმბულს და მიტოვებულს გავდნენ. რომელიღაც ეზოდან ნაგაზი გამოვიდა, მთელი სხეულით გაიზმორა და მერე კოტიტით გაუდგა უკაცრიელ ქუჩას. სიჩუმეში ისმოდა ახლადგაღვიძებული ბელტურების კივივი. სახურავებიდან რომ დაეშვებოდნენ, ნაწვიმარზე დარ-ჩენილ გუბესთან თავს მოიყრიდნენ, ერთბაშად აიშლებოდნენ და მინდვრე-ბისაკენ მიფრინავდნენ. სადღაც შორს მკრთალად ჩანდა დანისლული მთის გრეხილი.

მოაჯირს მიენდო და მითვლიმა, მა-გრამ უმალვე თვალეზი გამოჰყიტა. თი-თქოს ნაცნობი ხმა ჩაწვდა ყურში და ამან გამოაფხიზლა. ამ ორიოდ წუთში სიზმრის მსგავსი რალაც ნახა. სიზმარს კი არა, მოლანდებას უფრო გავდა, — ვილაც დადგა მის წინ და ჩასძახა... შე-მკრთალმა რომ გამოიხედა, აღარავინ იყო. მხოლოდ სიჩუმე და მიმკვდარებუ-ლი სახლები. ამ ნაცრისფერ დილას ყვე-

ლაფერი დაბინდული და მოჩვენებითი იყო.

რას მოიტანს ეს დღე? მარტო

ერთგან ფანჯარა გაიღო. ქუჩაში დე-დაკაცი გამოჩნდა თუნგიტ ხელში მიმა-ვალი. შორიხლოს აივანზე პერანგის ამბრა ბავშვებმა გაიბინეს და გაიანემ მკაფიოდ გაიგონა მათი სიცილი. ხმა-ურით გაიხსნა დუქნის დარაბა. ფურნე-სთან მყიდველები გროვდებოდნენ. მო-ედნის შუაში სვეტზე მიკრული რადიო-რტობრი ახროტინდა და მალე სასულე ორკესტრის გუგუნი მოეფინა გარემოს.

შე მალლა იყო. როცა სასამართლოს კარები გაიღო. ჩამობნელებული ვიწრო დერეფანი აჩქარებულად გაიარა გაიანემ და დიდ ნათელ დარბაზში შევიდა. შიგ არავინ იყო. რამდენიმე მერხი იცვალა და, ბოლოს, იქ დაჯდომა არჩია, რომლის ახლო ამილდებულზე მოსამართლეთა მა-გიდა იდგა.

დარბაზში მძიმე, ლამენათევი ჰაერი იყო. შემოვიდა ტანმორჩილი ხნაერი დარაჯი. რალაცას ბურდლუნებდა თავის-თვის, ფანჯრები ვალო და მაგიდაზე გა-დაფარებულ წითელ ქსოვილს ჩვარი გა-დაუსკვა.

— ვინ ხარ, ქალო? რა ვინდა აქ? — უშვეო ოთახში რატომღაც მაინც მო-იჩრდილა თვალეზი.

გაიანემ მორიდებულად მოახსენა რა-ტომ იყო ჩამოსულა.

— მერედა ვინ ვითხრა, აქ დაქვიო? არ იცი, რომ მანდ ბრალდებულის ადგი-ლია?

გაიანემ დასტოვა მერხი. კიდევაც ვა-უხარდა, რომ ამ დაღვრემილმა კაცმა ადგომა აიძულა. მისი სიტყვებიდან ენი-შნა, თუ სად დასამდნენ ანანიას. მაში-ნვე შეარჩია მოხერხებული ადგილი, სა-იდანაც სულ თვალწინ ეყოლებოდა ქმა-რი, მაგრამ დარაჯმა იქიდანაც ააყენა და იქაურობის დატოვება უბრძანა. ქალი უხმოდ დაემორჩილა, დერეფანში გავი-და და კუთხეში აიტუზა.

დიღხანს იდგა აქ სიჩუმეში, მარტო. ისე გრძობდა თავს, თითქოს მთელ ქვე-ყანას მოწყედა. — ქვეყანა ცალკე იყო,

თვითონ კი სადღაც კიდევ გარიყული სულ მარტო და უიმედოდ მიტოვებული... დღეს კაცოც კი, ოჯახის ბურჯი და იმედი, განრიდებოდა და არ მისულიყო...

აგერ როდისღაც გარედან ხმები მოისმა და რამდენიმე კაცი შემოვიდა. ისე გაუარეს გვერდი, არ შეუნიშნავთ. მოწმებებთ გამოძახებულ მეზობლებს შორის ვიგას და დესიკოს მოჰკრა თვალი.

მათ დანახვაზე ერთმა უცნაურმა ფიქრმა გაუტელვა: რა იქნება მივიდეს დესიკოსთან და თხოვოს დაიყოლიოს ძმა, რომ სსამართლოს მან კეთილ კაცად დაუხასიათოს ანანია... დესიკო ისეთი ლამაზი იყო ვარდისფერ კაბაში, ისეთი სათნო სახე ჰქონდა, რომ ადვილი ეჩვენა მასთან მისვლა ამ სათხოვარით... ცხადია: ასე ყველაფრით დამშვენებული ქალიშვილი, რომელიც დიდხანია გულში ამოჭრილი ჰყავდა სარძლოდ, თავის კეთილ ბასიათს არ უღალატებს, არ მოინდომებს დაღუპოს. თავისი მომავალი ოჯახი და შეავედრებს ვიგას...

დარბაზი თანდათან ივსებოდა ხალხით. გაიანემ ის იყო თვითონაც დააპირა შესვლა, დერეფანში ანანია შემოიყვანეს სატუსალოს შეიარაღებულმა მცველებმა. პატიმარმა თვალი მოჰკრა ცოლს, წამიერად გადახედა და განაგრძო გზა. კარებთან მისულს. გაიანე წამოეწია და ხმადაბლა ჩაულაპარაკა:

— ხომ არაფერი გპირდება? იქნებ ვინმეს ნახვას საჭირო და...

ანანიას თითქოს არც გაუგონია. თავდახრილმა გაიარა დარბაზი და იქ გაჩერდა, სადაც თოფიანებმა მიუთითეს.

თავისთვის აღრევე შეგულებულ ადვილზე გაიანემ ახლა ვიღაც მამაკაცი დაინახა. უბოდიშოდ მისწია ის და თვითონ დაჯდა.

თვალს არ ამორებდა ქმარს. ანანიას საგარეო ჩოხა ეცვა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ მიუტანა სატუსალოში. ამ ჩოხას ის მხოლოდ მაშინ იცვამდა, როცა შორს სტუმრად მიდიოდა ან დღესასწაულზე თემში გაერეოდა ხოლმე.

ნაცრისფერი ჩოხა წარსულის სასი-

ამოვნო დღეებისაყენ აბრუნებდა გაიანეს, როგორღაც ამხნევედ მის წარმოდგენას უქმნიდა, რომ ქმარი პატიმარი კი არა; ისევ ის მოსაბოდიშებელი და პატივსაცემი კაცი იყო ახლაც, როგორც ყოველთვის. ანანიას რომ თმა დეაერცხნილი ჰქონდა და უღვაშიც გადაგრეხილი, ამის შეხედვა სიამოვნებდა და გულს ისე ენიშნა, თითქოს ის დამშვიდებულად გრძნობდა თავს.

სატუსალოში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ ანანია ფერმკრთალად გამოიყურებოდა, მაგრამ როგორც გაიანეს ეჩვენებოდა, სწორედ ეს ფერმკრთალობა სილამაზეს და ეშხს მატებდა... ასეთი კარგი გარეგნობის კაცს რომ თვალს შეავლებ, არ შეიძლება პატივისცემა არ იგრძნო მისდამი... მოსამართლენიც, ალბათ, კეთილი თვალით შეხედავენ და მეტ ღმობიერებას გამოიჩენენ...

ანანიას სახეზე სიმშვიდეს კითხულობდა გაიანე. როგორც ყოველთვის, ახლაც მძიმედ იჯდა ის, ოდნავ წინ წახრილი, დაფიქრებული და მღუმარე... ჰო, სწორედ ისე, როგორც შინ იყო ხოლმე... არა, სულ არ შეცვლილა ანანია!

რაც მეტ ხანს უყურებდა ქმარს, მით უფრო უმსუბუქდებოდა გულზე დაწოლილი ძველი სიმძიმე. თუ ჯერ კიდევ წუხელ დაღუბულად თვლიდა, ახლა რაღაც იმედი გაღვიძებოდა. ქალის გული ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ ოჯახისაგან მისი უფროსის ჩამოშორება შეიძლებოდა.

გარშემო გუგუნი ისმოდა. გაიანე დარწმუნებული იყო, რომ ყველანი ახლა მხოლოდ ანანიასე ლაპარაკობდნენ. როცა ერთხელ მოიხედა, დესიკოს თვალებს შეეფთა. ქალიშვილმა დაიჭირა მისი შემკრთალი ცქერა, ოდნავ შესამჩნევად თავი დაუქნია და კიდევაც გაუღიმა. გაიანე შეცბა მოულოდნელობისაგან, თავისდაუნებურად პირი იბრუნა, ძალა აღარ ეყო კიდევ შეეხედნა მისთვის, სახეზე თავსაფარი ჩამოიფხატა და, უეცრად, ატირდა. იმის ნაცვლად, რომ ვახარებოდა, დესიკოს ვალიმებამ ერთბაშად

შეტრიალა ერთი თვის წინათ მომხდარ ამბავსაჲს და კიდევ უფრო ძლიერად, ვიდრე ამ დღით, მარტოდ, ყველასაგან მიტოვებულად იგრძნო თავი.

ერთბაშად დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ჩახლეჩილი ხმით ვილაცამ დაიძახა:

— სასამართლო მობრძანდება!

გაიანემ მერხების ხრიგინი გაიგონა და მაშინვე ვილაც ფრთხილად წველა მკლავში.

გარშემო ყველა ფეხზე მდგარი რომ დაინახა, წამოდგა.

დაბინდული თვალებით დაინახა მეორე ოთახიდან როგორ გამოვიდნენ უცხო მამაკაცები და მაგიდისაკენ გაემართნენ. არა გონებით, უფრო გუშინით მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყვნენ ისინი. საჩქაროდ შეისწორა თავსაფარი, შეიმშრალა სახე და პირველი, რაც ამის შემდეგ ნათლად გააჩნია, ისევ ანანია იყო. ერთხანს კიდევ ის ფეხზე იდგა იმის შემდეგაც როცა დარბაზში ყველა დალაგდა და ყველაზე ბოლოს თითონაც დაჯდა მისებურად მძიმედ, დინჯად, ზუსტად ისე, როგორც ჩვეოდა.

კაცი, რომელსაც ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა, ჯერ ფურცლების სქელ დასტას ქეჩავდა და როგორც კი მოსამართლის ნიშანი მიიღო, კითხვა დაიწყო. კითხულობდა დიდხანს, ხან ხროტინით, ხან სტევისებური წვრილ ამოძახილს დააყოლებდა ხოლმე, ჩქარობდა და ზოგჯერ ყლაპავდა კიდევაც სიტყვას.

გაიანე დაძაბული უსმენდა. ბევრი რამ გაუგებარი იყო მისთვის, მაგრამ მთავარი მაინც აღწევდა გონებამდებულად დაწვრილებით მოუთხრობდა მსმენელთ, თუ რა მომხდარიყო იმ ერთ საბედისწერო დღეს.

ყურს უგდებდა გაიანე და ხშირად გულში უმოწყებდა გაგონილს:

— „კი ბატონო, ნამდვილია... სწორედ აგრე იყო... რაც მართალია, მართალია...“

მოსამართლენი ჩუმად, თითქოს გულგრილადაც, ისხდნენ და გაიანეს ხანდახან ისე ეჩვენებოდა, რომ მათ არც აი-

ნტერესებდათ რა ეწერა ფურცლებზე. ისინი არაფრით არ გამოხატავდნენ თავის აღშფოთებას, არც ერთსაგან ყოფილებას.

როგორც იქნა, დაილია დასტა, დამთავრდა კითხვა და წუთიერი დუმილის შემდეგ მოსამართლემ, რომელიც შუაში იჯდა ანანიასაკენ მიიხედა:

— ბრალდებულ ანანია არბელაძე...

ანანია წამოდგა როგორც კი თავისი სახელი და გვარი გაიგონა.

—... მოახსენეთ სასამართლოს, თვლით თუ არა თავს დამნაშავედ თქვენთვის წაყენებულ ბრალდებაში?

ანანია არ დაფიქრებულა, უმაღვე განაცხადა, რომ დამნაშავედ მიიჩნია თავისი თავი და დაუმატა:

— ნამდვილად რომ მოგახსენო, ჩემო ბატონო, — ყრუდ გაისმა მისი ბოხი ხმა, — არ მახსოვს როგორ მოხდა. ღმერთმა იცოდეს, არ მინდოდა ბოროტი რამ მექნა... ცნობაზე მაშინ მოვედი, როცა ყვირილი შემომესმა და მიწაზე დაგდებული მინაგო ლეკიშვილი დავინახე... ნაჯახი დამირტყამს, მე უბედურს...

— „ყველაფერი მართალია!“ — ფიქრით დაუდასტურა გაიანემ ქმარს და ისე ეჩვენა, რომ მისმა სიმართლემ კეთილად იმოქმედა მოსამართლეებზე.

სანამ სხდომა დაიწყებოდა, გაიანეს მოსამართლენი სხვაგვარად ჰყავდა წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, ისინიც აღამიანები იქნებოდნენ, მაგრამ მაინც სხვანაირი და განსხვავებული უნდა ყოფილიყვნენ... ცხადია, ვისაც აღამიანის ბედის გადაწყვეტის უფლება აქვს მინიჭებული, ის დიდად გამოსარჩევი უნდა იყოს მრავალთაგან... და ახლა, როცა ხედავდა მათ ჩვეულებრივად, წყნარად მოლაპარაკეთ, ანანიასაც რომ დარბაისლურად და თითქოს პატივისცემითაც მიმართავდნენ ხოლმე, გულში იმედი იზრდებოდა, რომ არც თუ ცუდად დამთავრდებოდა ეს დღე. იმ უბრალოების შემდეგ, რომელიც იქ იგრძნობოდა შეუძლებელია სავალალოდ შეტრიალებულიყო საქმე...

ანანიამ თითქმის სიტყვა-სიტყვით გა-

იმეორა გამოძიების დროს მიცემული ჩვენება. მისი ხმა, რომელიც დასაწყისში მღელვარებას ამჟღავნებდა, თანდათან დამშვიდდა და ბოლოს გაიანემ ისევ ის ხმა გაიგონა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ახსოვდა, — დაბალი, თითქოს დაგუბებული, მაგრამ გარკვეული და ყოველთვის დამაჯერებელი. უსმენდა და გულში ისევ და ისევ უმოწყმედა:

— ნამდვილად ასე, ჩემო ბატონო... ყველაფერს სისწორეს ამბობს... აბა ვის გაუგონია ანანია და ტყუილი...

გრძლად ლაპარაკი, ხომ, არც წინათ იცოდა ანანიამ, თუ იტყოდა რაიმეს, მხოლოდ იმას. რაც აუცილებელი იყო. მოკლედ და მოჭრილად. ის ახლაც სიტყვაძუნწობდა. ისე უპასუხებდა ხოლმე მოსამართლეს, ბრალმდებელს და თავის დამცველსაც, თითქოს არც უნდოდა ეთქვა რაიმე. გაიანე კიდევაც ბრახობდა ახლა ქმრის ჩვეულებაზე... ამოიდგას ენა მამაცხონებულმა, არ აპირებს თავი დაიხსნას, თუ როგორაა? ნეტავი თვითონ გაიანეს დაეაღებდნენ მის მაგიერ პასუხის გაცემას... ამის ნებას რომ მისცემდნენ, უკეთესად მოახსენებს სასამართლოს ყოველივეს, უფრო ნათლად გააგებინებს ქმრის და ოჯახის მდგომარეობას... ამით, ხომ, თვით მოსამართლეთაც შეღავათი მიეცემათ, აღარ დაჭირდებათ ბევრი დროს დახარჯვა და ამ შეხუთულ ოთახში ოფლის წურვა...

მოწმეთა ჩვენებაში ახალი არაფერი თქმულა. ყველა ერთსადაიგივეს მოუთხრობდა სასამართლოს, ერთმანეთს იმეორებდა და ადასტურებდა ანანიას დანაშაულს. ზოგჯერ უხდებოდათ იმის მოყოლაც, თუ როგორი იყო ის მეზობლობაში და რა სახელი ჰქონდა კოლმეურნეობაში.

მათ ნათქვამში გაიანეს ცუდი არაფერი გაუგონია, მაგრამ მაინც ისე ეჩვენებოდა, რომ ისინი ძალიან თავშეკაცებულად და გულცივად ახასიათებდნენ ანანიას. სასაყვედურო თითქოს არაფერი ჰქონდა, ოღონდ იმაზე იყო გულნაკლულად, რომ მოსამართლენი მოწმეებს

მაშინაც უხალისოდ და გულწრფელად უსმენდნენ, როცა ეჩვენებოდათ ბურ რაიმეს იტყოდნენ და მაშინაც, როცა ბოროტმოქმედებაში ამხილებდნენ.

აღიზიანებდა მხოლოდ ბრალმდებელი. ეს კაცი, ვინც პირველი შეხედვისას დამცველზე ბევრად უფრო სათნო ეჩვენა — ხანდახან ისე გაიღიმებდა, როგორც მარტო კეთილისმყოფელს შეუძლია, — ათასგვარ წვრილმანს ჩაიჩრკიტებდა და არ უსვენებდა მოწმეებს. როგორც გაიანეს ენიშნა, ის ცდილობდა ანანიასათვის თავზე მოეხვიენა კიდევ სხვა რაღაც დანაშაული.

ყველაზე დიდხანს მოსამართლენი ყანჩაველის დაკითხვას აწარმოებდნენ. გიგამ წვრილად უამბო მათ რაც იმ დღეს მოხდა, მეტი სათქმელი აღარაფერი ჰქონდა და ის იყო შებრუნდა წასასვლელად, ბრალმდებელმა შეაჩერა.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — თქვენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყავით? გ ი გ ა : — დიახ.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — აძლედი თუ არა თქვენს თავს ანგარიშს, პარტიამ და ხალხმა ამით რა ნდობა გამოგიცხადათ?

გ ი გ ა : — ასე მიმაჩნდა, რომ დიდი ნდობა იყო.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — მაშასადამე შესმენილი გქონდათ, რომ კოლმეურნეობის მეთაურობა საპასუხისმგებლო და საპატიო სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას წარმოადგენდა...

გ ი გ ა : — ყოველთვის ვცდილობდი პატიოსნად შემესრულებია დაკისრებული მოვალეობა.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — იყავით თუ არა დაინტერესებული იმით, რომ წმინდა სამეურნეო პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ამაღლებულიყო კოლმეურნეთა პოლიტიკური დონე?

გ ი გ ა : — რა თქმა უნდა. ეგ ხომ ჩემთვისაც, როგორც ხელმძღვანელისთვის, სასარგებლო იქნებოდა.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — მაშ რატომ იყო, რომ პირიქით ზელს უწყობდით ზოგჯერ მერყევე ელემენტებში კერძო



მესაკუთრობის ინსტინქტის გაღვივებას?

გიგა ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა. სიტყვა ინსტინქტი გაუგებარი იყო მისთვის და ბრალმდებელი იძულებული შეიქნა მარტივად ეთქვა.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — ახლა ვასაგებია?

გიგა : — კი ბატონო, ვასაგებია, მაგრამ... უნდა ვაგიცხადოთ, რომ ავეთი გრძნობები არასოდეს არ გამიღვიძებია მათ შორის. ასეთი ფაქტი, პატივცემულო, არ ყოფილა და ვერც ვერავინ დამწამებს.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — აბა რა გქონდათ მიზნად, როცა ბრალდებულ ანანია არბელაძეს ნება მიეცით ემუშავნა თავის ყოფილ ვენახში და ისიც ღამით, სხვებისაგან დაფარულად?

გიგა : — ამის ნება მისთვის არ მიიცია, არც მას უთხოვია ჩემთვის.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — ვახსოვთ ის საუბარი, რომელიც მინაგო ლეკიშვილთან გქონდათ?

გიგასთვის გაურკვეველი იყო, რა საუბარზე ეუბნებოდა. ბრალმდებელმა მოაგონა და დააზუსტა:

— გაგაფრთხილათ თუ არა მინაგო ლეკიშვილმა, რომ არბელაძე ღამით ჩადიოდა ნაკვეთში სამუშაოდ?

გიგა : — ეგ კი... დიახ, პირველად მისგან ვაგიგე.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — თქვენ რა უპასუხეთ ამაზე?

გიგა : — რა ვუპასუხე და... შეყოყმანდა. სიტყვა გაუწყდა.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — მე ვაგახსენებთ... თქვენ უთხარიან, რომ თვითონ მიეცით ამის ნება და დაავალეთ სანიმუშოდ ექცია ის ნაკვეთი. ასე იყო თუ არა?

გიგა : — დიახ.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — მაშასადამე წელან ტყუილი თქვით, რომ პირველად მინაგო ლეკიშვილისაგან ვაგიგეთ ის ამბავი?

გიგა : — არა, ტყუილი არ მითქვამს.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — აბა როგორ

შევითავსოთ ის, რაც ლეკიშვილმა თქვა არით და ის, რაც მე ვაგიგე? — ვაგიგე, რომ პირველად მისგან ვაგიგეთ?

გიგა : — ასე მოგახსენოთ, რომ... განზრახ ვუთხარი მაშინ მინაგოს, თითქოს ჩემი დავალებით მუშაობდა ანანია არბელაძე იმ ნაკვეთზე.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — განზრახ? რატომ განზრახ?

გიგა : — როგორც კი ვაგიგე, გადავიწყვიტე კერძოდ მოვლაპარაკებოდი არბელაძეს. ჩემს თავზე კი იმიტომ გადავიბრალე, არ მინდოდა სოფელში მითქმა-მოთქმა დაეწყოთ და სახელი გასტეხოდა. ასე ვიფიქრე, დატუქსევით და ძალდატანებით კი არა, უმჯობესი იქნებოდა ჩავგონებოთ მომეხდინა მასზე ზეგავლენა. და მე სწორი გამოვდექი, როგორც კი მოველაპარაკე, იმ დღიდან აღარ ვაქარებია იქაურობას.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — საერთოდ ლიბერალური პოლიტიკის მომხრე იყავით, არა?

ვერც სიტყვა ლიბერალი ვაგიგო გიგამ. ბრალმდებელი ისევ იძულებული გახდა განემარტა სიტყვის მნიშვნელობა.

გიგა : — მე პატივს ვცემდი ჩემს მეზობლებს, რომლებიც სინდისიერად შრომობდნენ კოლმეურნეობაში და არ შემეძლო სხვაგვარად მოვქცეოდი მათ.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — არასოდეს არ ვიფიქრიათ იმაზე, რომ სწორედ მაგ თქვენი ლიბერალობის შედეგი იყო ის ამბავი, რომ არბელაძემ მოსაკლავად ვაიმეტა ლეკიშვილი?

გიგა : — ჩემი მიზეზით?! რატომ, ბატონო?

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — კამათს ნუკი მიმართავთ აქ, თქვენ გვეალებათ მხოლოდ პასუხი გამცეთ შეკითხვაზე!

გიგა : — არა, ჩემი მიზეზით არ მომხდარა ეგ.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი : — როგორ გგონიათ, თქვენ, მაშინდელმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, გამოიჩინეთ მეტი სიფხიზლე და პოლიტიკური აღ-

ლო, თუ მინავო ლეკიშვილმა, რიგითი კოლმეურნემ?

გიგამ არაფერი თქვა.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი: — არ გინდათ მი-
პასუხოთ?

გიგა: — ეს, ბატონო, თვითონ გან-
საჯეთ. ჩემზე უკეთ თქვენ მოგეხსენე-
ბათ.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი: — ლეკიშვილი
იმის მსხვერპლი ხომ არ გახდა, რომ
ამხილა არბელაძე?

გიგა: — ესეიგი შური იძია ანანიამ?
არა, მაგას ვერ ვიტყვი. მე პირადად
არაფერი მითქვამს მისთვის, რა საუბარ-
ი მქონდა მინავოსთან. იმასაც მოგახ-
სენებთ, იმ დღეს რომ მინავო ლეკიშვი-
ლი არ ყოფილიყო ვენახში, არბელაძე
ნაჯახს არ დაჰკრავდა.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი: — ლეკიშვილს
რომ, ვთქვათ, ვინმე სხვის ადგილში ხე-
ხილები მოეჭრა, როგორ გგონიათ, არ-
ბელაძე გაიმეტებდა მას მოსაკლავად?

გიგა: — ალბათ, არა.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი: — მაშასადამე,
გამხეცდა იმის გამო, რომ მოჭრეს ხე-
ბი, რომელსაც არბელაძე თავის საკუთ-
რებად თვლიდა?

გიგა: — არა ბატონო, იქ კიდევ
სხვა ამბავი იყო. მინავოს რომ არ გაე-
ხელებინა, მე მგონია, მაშინ ხელს არ
ახლებდა.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი: — შეიძლება
თუ არა ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ
არბელაძემ თავისი მოქმედებით კერძო
მესაკუთრის სიხარბე და ბოროტი სუ-
ლი გამოამქლავნა?

გიგა წამიერად დაფიქრდა და მერე
ყრუდ თქვა:

— ასე მოგახსენოთ, ზოგჯერ მგონია,
ჩვენც ვართ დამნაშავე მის წინაშე...
ჩვენ მივიყვანეთ იმ ზომამდე...

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი: — თქვენ გინ-
დათ შეარბილოთ არბელაძის დანაშაუ-
ლი და, უფრო მეტიც, სხვებს დასდოთ
ბრალი? მაგალითად, ვის?

გიგა დუმდა.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი: — პირადად
ვის?

გიგა: — პირადად არავის; ოღონდ...
ისევ ჩაჩუმდა.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი: — ოღონდ რა?

გიგა: — ჩემს თავს ვადანაშაულებ,
მეტს არავის...

ბრალმდებელმა ირიბად შეველო
თვალი.

— პირდაპირ პასუხს გაურბიხარ, მე-
ლაკუდაობ, მოქალაქე ყანჩიველო... პა-
რტიის წევრს არ ეპატიება ორჭოფო-
ბა...

გიგას გულზე მოხვდა მისი სიტყვები
და თავისი უკმაყოფილება იმით გაამე-
ღანა, რომ მხრები აიჩეჩა.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი: — მიგაჩნიათ
თუ არა ანანია არბელაძე საკოლმეურ-
ნეთ მშენებლობის მოწინააღმდეგედ?

გიგა: — ასე მოგახსენოთ, რომ არ-
ბელაძე მუყაითი მუშა კაცი იყო და...

არ დამთავრა. ბრალმდებელმა იგრძ-
ნო, რომ ის მეტის თქმას აპირებდა და
პირდაპირ დაუსვა საკითხი:

— მიპასუხეთ მოკლედ, მოჭრილად.
ჩაითვლება თუ არა ანანია არბელაძე
საზოგადოების და, მაშასადამე, სახელმ-
წიფოს მტრად?

დიდხანს დუმდა გიგა და, ბოლოს,
თავის თავზე ძალდატანებით ჩაილაპა-
რაკა:

— ასე გამოდის... იმ შემთხვევის შე-
მდეგ ასე უნდა ვიფიქროთ...

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი: — და ისიც უნ-
და ვიფიქროთ, რომ ხალხისთვის აღრე-
ვე იყო ცნობილი, რაც თქვენ ყველაზე
გვიან გაიგეთ... სახელდობრ ის, რომ
ანანია არბელაძე დიდი ხანია ნიღაბს
ატარებდა... როგორ გგონიათ ამის შე-
მდეგ შეიძლება ითქვას, რომ პირნათ-
ლად შეასრულებთ დიდი მოვალეობა,
რომელიც სოფელმა დაგაკისრა?

გიგა: — როგორც ჩანს, სუსტი ვი-
ყავი, რახან გადამიჩიეს... ისიც მინდა
მოგახსენოთ, მე თავშივე ვეუბნებოდი
ამხანაგებს სხვა ვინმე აერჩიათ, მაგრამ
არ შეიწყენარეს ჩემი თხოვნა...

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი: — რისი შიში
გქონდათ?

გიგა: — გამოუტყდელი ვიყავი ამ საქმეში.

ბრალმდებელი: — იქნებ კიდევ სხვა რაიმე მიზეზი იყო?

გიგა: — სხვა მიზეზი? არა, სხვა რა უნდა ყოფილიყო...

ბრალმდებელი: — ხომ არ გიშლიდათ ხელს ის გარემოება, რომ პირადი დარღვები გქონდათ? მაგალითად, ოჯახური ამბავი...

გიგა: — ჩემთან მხოლოდ ჩემი უმცროსი და ვახლავთ... ჩვენ სიამოტკბილობით ვცხოვრობთ, ასე რომ...

ბრალმდებელი: — ცოლთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

გიგა: — მე არ მყავს ცოლი.

ბრალმდებელი: — თქვენს ყოფილ ცოლთან...

გიგა: — ჩვენ კაი ხანია დაეცილდით ერთმანეთს.

ბრალმდებელი: — აღარ ხვდებით ერთმანეთს?

გიგა: — ერთხელ შევხვდი, ახალწლის დღეებში.

ბრალმდებელი: — რა მიზნით მოვიდა თქვენთან?

გიგა: — რა მოგახსენოთ...

ბრალმდებელი: — ის ჩამოვიდა ქალაქიდან პირდაპირ თქვენთან, შემდეგ კი ვინახულათ კოლმეურნეობის კანტორაში. ასე იყო, თუ არა?

გიგა: — დიახ, აგრე ვახლდათ.

ბრალმდებელი: — არ უთქვამს, რა მიზნით მოგაკითხათ?

გიგა: — სიმართლე ვითხრათ, დღემდე ვუგუგებარია ჩემთვის.

ბრალმდებელი: — თქვენთან შერიგებას ხომ არ აპირებდა?

გიგა: — მგონი ეგ განზრახვა ჰქონდა, მარა...

ბრალმდებელი: — მაგრამ რა?

გიგა: — მე მაგას ვერ ვიზამდი...

ბრალმდებელი: — რატომ?

გიგა: — იმიტომ, პატივცემულო, რომ... რაბან ერთხელვე წავიდა და ხალხის თვალში შემარცხვინა, ასე ვფიქრობ, დასაბრუნებელი პირი აღარ ჰქონდა...

ბრალმდებელი: — მოსწონს თქვენ ფიქრებდათ მანამდე, რამდენიმე წელი არასაიმედო პიროვნებას წარმოადგენდა?

გიგა შეცბა.

ბრალმდებელი: — ნუ თუ არ იცოდით, რომ ის დაკავშირებული იყო ანტისაბჭოთა ელემენტებთან? საბჭოთა წყობილებსადმი მტრულად განწყობილ პირებთან...

დარბაზის დაძაბულ სიჩუმეში გიგას შემკრთალი ხმა ვაისმა:

— პირველად მესმის ეგ ამბავი!

ბრალმდებელი: — ხომ იცოდით, რომ მისი შშობლები რეპრესირებული იყვნენ?

გიგა: — სიმართლე მოგახსენოთ, ვაგონილი მქონდა მისგან მხოლოდ ის, რომ ნასწავლი შშობლები ჰყოლია და როცა ისინი დაღუპულან, პატარა ყოფილა...

ბრალმდებელი: — მაშასადამე, იცოდით და მაინც შეუღლდით იმ ადამიანთან, რომელიც რეპრესირებულთა ოჯახიდან იყო გამოსული. როგორ გგონიათ, ეს გარემოება ჩირქს არ გცხებდათ თქვენ?

გიგა უძრავად იდგა. უსიცოცხლოდ მიშტერებოდა.

ბრალმდებელი: — ისიც ხომ ვაგონილი გქონდათ, რომ პავშეობაში თავის ტოლ მაწანწალებთან ქუჩებში ღამეებს ათევედა?

გიგა: — ვიცი, პატივცემულო. როგორც მან მიაშბო, ხელისუფლების შიშით რამდენიმე ხანს არც ერთმა ნათესავმა არ შემიფარაო. ბოლოს ერთმა ვასწიოო რისკი და...

დარბაზი ამოძრავდა. ჩურჩული თანდათან გუგუნში გადაიზარდა.

ბრალმდებელი: — როგორ ფიქრობთ, შეეძლო თუ არა ასეთ პიროვნებას უარყოფითი გავლენა მოეხდინა მათზე, ვინთანაც კონტაქტი, ესეიგი ურთიერთობა ჰქონდა? მაგალითად, თქვენი მეუღლე ძალიან დაახლოებული იყო ბრალდებულ არბელაძესთან...

დამცველი, რომელიც აქამდე ანანიას

ჩუმად ელაპარაკებოდა, უეცრად წამოიჭრა ადგილიდან.

— პროტესტს ვაცხადებ ასეთი შეკითხვის გამო! — წამოიძახა ადელევი ბით. — რა შუაშია აქ ელისო გოგიბერიშვილი და არბელაძე? სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ გოგიბერიშვილს საერთო არაფერი ჰქონია იმ პოლიტიკასთან, რომელზედაც აქ პატივცემული ბრალმდებელი ლაპარაკობს. ასეთი რამ მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია, გამოგონილია იმ მიზნით, რომ ცდილობს მაინცდამაინც პოლიტიკური სარჩულე დაუდოს არბელაძის დანაშაულს...

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი: — მე გთხოვთ, პატივცემულო მოსამართლენო, წესრიგისაკენ მოუწოდოთ დამცველს და გააფრთხილოთ აღარ შემიშალოს ხელი, როცა მოწმის დაკითხვას ვაწარმოებ... მაშ ასე... ვიმეორებ ჩემს შეკითხვას: შეეძლო თუ არა თქვენს ყოფილ მეუღლეს ავტოცია ვაეწია და უარყოფითი ვაეღენა მოეხდინა ანაია არბელაძეზე? არაერთხელ უნახავთ, როგორ ესაუბრებოდა ის ბრალდებულს...

გ ი გ ა: — ჩვენ კარგი მეზობლობა გვქონდა არბელაძის ოჯახთან, მეტი არაფერი, არა მგონია, რომ გოგიბერიშვილის ქალს რაიმე პოლიტიკური საუბარი ეწარმოებია ანაიასთან. არც ერთი და არც მეორე არ ყოფილან პოლიტიკით დაინტერესებული... მერე კიდევ, რაც მთავარია, იმ ხანში, როცა ელისო ჩემთან იყო, არბელაძეს არც ჰქონია უკმაყოფილობის მიზეზი... ელისო რომ ჩემგან წავიდა, იმის შემდეგაც ნაკვეთი ანაიას საკუთრებად ითვლებოდა... ასე რომ...

გულში ჩაგუბებული ბრაზით შეკყურებდა გაიანე ბრალმდებელს... კი ბატონო, დამნაშავეა, ვინ უარყოფს... თვითონ ანაიამ აღიარა და ყველა მოწმემ დაადასტურა... ყველაფერი გამორკვეული და ნათელია: პო და რალა უნდა მეტი, რას ჩააცივდა ასე საოცრად, რა ჯინი სჭირს მისი, რომ მაინცდამაინც უნდა კიდევ სხვა რალაც, უფრო მძიმე

დანაშაული გამოუძებნოს... ეს კაცო წინ ელობება ანაიას, რამდენსაწილევებმა კარგი თვალთშეშეცდნისა უკანასკნელად ბრალმდებელმა და შემდეგ დამცველმა აიღეს სიტყვა.

ბრალმდებელმა ილაპარაკა იმ დაბრკოლებებზე, რომლებიც ქალაქსა და სოფლად ახალი ცხოვრების შენებას ელობება. აღნიშნა ბრძოლის საშუალებანი, რომელთაც მიმართავენ ხოლმე მტრულად განწყობილი სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, განმარტა ანაიას მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება და, ბოლოს, თქვა:

— აღამიანს მძიმე ჭრილობა მიყენო, ეს თავისთავად შეუწყნარებელი დანაშაულია. მაგრამ როცა ამ მოქმედებას სოციალური სარჩული უდევს, დანაშაული ბევრად უფრო დიდი და საშიშია. თქვენს წინაშე, პატივცემულო მოსამართლენო, ჩვენი წყობილების ბოროტი მტერი დგას. არბელაძემ მართო მინაგო ლეკიშვილი კი არ დაკოდა, ნაჯახი აღმართა ყველა თავის მეზობელზე, საკოლმეურნეო მოძრაობაზე ბრალდებულს უნდა მივუზღათ ის, რაც დამნაშაურა. მოვითხოვ მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა. ანაია არბელაძე ერთხელდასამუდამოდ უნდა მოვკვეთოთ სოფელს, ხალხს.

ბრალმდებლის სიტყვის დროს გაიანე ხშირ-ხშირად აჩერდებოდა მოსამართლეებს. ისინიც იმ აზრის არიან, რომ ანაია საშიში კაცია? ამის ამოკითხვა უნდოდა მათ სახეზე, სათითაოდ აკვირდებოდა საშევს, მაგრამ რამდენი არ ეცადა, ვერაფერი გაარკვია. არც სიტყვით, არც მოძრაობით ერთხელაც არ გაუმჯღავნებიათ მოსამართლეებს თავისი დამოკიდებულება. ისინი მხოლოდ მოწყენილად იჯდნენ და თითქოს გულგრილად უსმენდნენ.

ასევე გაფაციცებით თვალს ადევნებდა მათ, როცა დამცველი ლაპარაკობდა კეთილ და გულისხმიერ აღამიანად და სახა მან ანაია, გაიხსენა წამების გზა, რომელიც ცხოვრებაში გამოეცლო, როგორი პატივისცემა ჰქონდა დამნაშაუ-



რებული მეზობლებს შორის და თქვა, რომ დანაშაულამდე მიიყვანა ის არა მტრობამ, არამედ სოფლის მესვეურების უზემობამ და ტლანქმა მოქმედებამ.

ბევრი კარგი რამ თქვა დამცველმა ანანიას სასარგებლოდ, მაგრამ მოსამართლენი ახლაც მოდუნებული ისხდნენ და ისევ უხალისოდ ისმენდნენ. ხედავდა ამას გაიანე და ვერ გაეგო, ვისი უფრო სჯეროდა მათ — ბრალმდებლის, თუ დამცველის? რას ნიშნავდა, რას მოასწავებდა მოსამართლეთა ასეთი სიმშვიდე და გულგრილობა? კეთილი ნიშანია, თუ პირიქით?

ანანია თავდახრილი იდგა, როცა გაჩაჩნეს უკითხავდნენ... ნავენახარი, მიწაგო, ნაჯახი... ცდილობდა არ გამოჰროდა არც ერთი სიტყვა, რომელიც გაისმოდა დარბაზის დაბნულ სიჩუმეში და მაინც ცოტას ინარჩუნებდა მეხსიერება. ისე ეჩვენებოდა, რომ განაჩენის კითხვა ძალიან დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ იქ მაინც სულ ერთიღაიგივე იყო, — ისევ ნავენახარი, მიწაგო, ნაჯახი...

შეერთა და შებარბაცდა მხოლოდ მამინ, როცა ბოლოს გაიგონა: ათი წლით პატიმრობა და სამოქალაქო უფლების აყრა.

— ანანია, შე უბედურო! — უმაღვე შეჭკივლა გაიანემ, ჩამოიკაწრა სახე და თვალაშფრთველი დაეშვა მერბზე.

ძალმიღეული ასე იჭდა ერთხანს და როცა თავი ასწია და გამოიხედა, ველარც მოსამართლენი დაინახა და ველარც ქმარი. დარბაზიდანაც უკანასკნელნი იკრიფებოდნენ.

დამფრთხალი წამოვარდა, გაიკრა დერეფანში, გადაიხედა კიბიდან.

არა, არსად ჩანდა.

ისევ შებრუნდა დარბაზში და აქ დაინახა ანანია, რომელიც მცველებს კუთხის პატარა ოთახიდან გამოჰყავდათ.

გაუბედავად მიუახლოვდა, უნდოდა

რადაც ეთქვა მისთვის, მაგრამ ძალი არ ეყო.

ორივე მდუმარედ თვალს არიდებდა ცოლს.

— სადაა ბიჭი? — აგერ როდისღაც იკითხა.

ქალი ხმაიმოუღებლად მიჩერებოდა.

— არ მოსულა?

— აქ არის, როგორ არა... — არ დაბნეულა გაიანე. — გარეთ იქნება ალბათ...

კარგად იცოდა, რომ კაცო გასამართლებას არ დასწრებია. საპატიმროშიც არ მიუკითხავს მისთვის, თუშეცა არაერთხელ შეუთვალა და დაიბარა.

ანანიამ, კიბეზე რომ ჩადიოდა, ზევიდან შეათვალა იერა ქუჩაში დამდგარი ხალხი. მიხვდა, რომ ცოლმა იცრუა, მაგრამ მაინც მოიძია შვილი... არა, არსად ჩანდა კაცო.

— ამა ასე უთხარი, მე ნუ მნახავს თუ ასეა საჭირო. ოღონდ სახლზე არ აიღოს ხელი... — ეს-ღა თქვა და მცველებს მიჰყვა.

მოედანი რომ ჩაათავა, დაინახა, რომ ცოლი ისევ უკან მოაბიჯებდა და არ ცილდებოდა.

— რას მომდევ, ადამიანო? — თავ შეკავებული საყვედურით გადასძახა. — დროით დაადექი შენს გზას, წადი... ბავშვებია მოსავლელი, უპატრონოდ ყრიან... მიხედე იქაურობას...

ქმრის წინაშე მორჩილებას ჩვეული გაიანე ვერც ახლა ეურჩა. შეჩერდა, მხოლოდ თვალი გააყოლა მცველებს შორის მიმავალს.

უკანასკნელად, სანამ ისინი მოსახვევში შევიდოდნენ, კიდევ ხედავდა ნაცრისფერ ჩოხას. მალე ესეც გაქრა. აღარავინ და აღარაფერი ჩანდა. ერთხანს მაინც იდგა და გაჰყურებდა მისთვის დაცარიელებულ სივრცეს.

შუალამისას მიადწია სოფელს. გარემო სიბნელეში იყო. შარავჯაზე ერთგან ქოფაკი გამოუდგა, ღობე-ღობე მისდია

ყვეთ და არ მოეშვა, სანამ ეზოს გაცილებული არ იგულა.

წყაროსთან კაცი მოელანდა. მაშინ იცნო, როცა ახლო მივიდა ანგიას შვილიშვილი ყოფილიყო. ასე გვიან ხეტიალი მხოლოდ მას შეეძლო. გასაკვირალიც არ იყო, თუ სიბნელეს არ უფრთხოდა. ჩვიდმეტი წლის ბიჭს, დაბადებით ყრუ-მუნჯს, არასოდეს გაუგია, რომ ჭვეყნად არსებობდნენ კიდევ კინკები, ათასგვარი ბოროტი სულები და რომ ისინი ღამით ადამიანზე ნადირობდნენ. დღითაც მუდამ გახარებული იყო და ღამითაც. ახლაც შეუღიმა გაიანეს, გამოაჩინა თავისი დიდი კბილები და სხვაგვარად რომ არ ეხერხებოდა, სიცილის მაგიერ ღმუხილით შეეხალისა.


წინკარში ფაცურა შემოეგება და მი-

ელაციცა. დააბირა შინ შეკრულად, მაგრამ გაიანემ კარები ფრთხილად შევიდა სახლში. არ უბოლოდა ეინმეს ვაეგო მისი მოსვლა.

— გაიანე ხარ? — ბნელში დედამთილის ხმა გაიგონა მოულოდნელად. — მარტო მოხველი შეილო?

არ უთასუხა. ასანთს გაჰკრა, ღამბა მოიფათურა და რომ მოიხედა, შეცბა. ბავშვები მძინარე ეგონა და მღვიძარი დაინახა. სამივე საწოლზე წამომჯდარიყო და შეპყურებდა. მიშტერებოდნენ მღუმარედ, რაღაც შიშით.

ჩააქრო ღამბა. გასუდრული იშვა. ბნელ სიჩუმეში ესმოდა გარედან ლეკვი როგორ ებლაუჭებოდა კარებს. ფხაკნიდა ბრჭყალებით და წყმუოდა.



პრიზორ ტახტაძე

წიგნიდან „კორტრეტები“

I. კაი კაცი

კაი კაცი დადის,
იჩვევს ღიმილს აფრქვევს.
იქნებ ჰქონდეს დარდიც,—
დარდებს სხვებს არ ახვევს.

სადაც იყოს მარად,
ნათელ შუქს აშუქებს.
უღიროსს, ლაზღობდარას
„ვაშას!“ — არ აჩუქებს.

ცას და მიწას უცქერს
იგი სიყვარულით.
სიკეთისთვის უძგერს
მკერდში წრფელი გული.

თავის კეთილ ნებით
ხიბლავს მოსაუბრეს.
რჩევით, დარიგებით,
შეარჩევს უბრებს.

უკეთური ზრახვა
მას არ ეკარება.
ასეთ კაცის ნახვა
არის ნეტარება.

II. გულგრილი კაცი

ის თავისთვის არის,
მხოლოდ თავზე ფიქრობს
და არაფერს არვის
არ უშაგებს თითქოს.

დავა თუ იქნება,
ის მუდამ თავს იჭერს.
მეინედ არ ითვლება,
შრომით თავსაც იჩენს.

კენიტ მარბილსაც სესხად
ნუ სთავი ნურასოდეს.

მაინც გაგაწბილებს,
თუნდ ფუთობით ჰქონდეს.

გკლავენ რომ იცოდეს
და შეეძლოს შეველა,
არც კი შეგიცოდებს,
გვერდს აგივლის ხელად.

ის თავისთვის არის,
მხოლოდ თავზე ფიქრობს
და არაფერს არვის
არ უშაგებს თითქოს.

III. არხეინი კაცი

რა კარგია ჩემი ბინა,
მირჩევნია ყველა ბინებს.
აქ ოცნება, ვით ნიაფი,
მყუდროებას აბიზინებს.

ჩემს ბინაში ვერვინ ნახავს
უნიკალურ ძვირფას ლალებს.
არ მომტაცონ,
არ მომპარონ! —
კაეშანი არ მაწვალებს.
არც წიგნები ოქროს ყდაში
მე არა მაქვს ჩემს ბინაში.

მაგიდა და
ერთი ტახტი,
მაგრდა და სკამი ორი.
არავის წინ
შიშით არ ვთრთი.
სიზმარშიაც არ მინახავს
ჩემს ბინაში პროკურორი.


შემღებმისდაგვირად ვშრომობ:
არც ქება,
არც საყვედურო.
მე არავის არ ვემდურო.

მე თავდასხმის არ მოველი,
 არ მიჭირავს ხელში რკინა.
 თუ შეწვევა სასურველი,
 ღია არის ჩემი ბინა.

მიყვარს
 ჭონგური და ნარდი.

მე მზადა ვარ სულ ვიგულად
 „დაგინახე, შემოყვარდი“...
 „ბაი, მ-ავალუამიერო“...

კარგი არის ჩემი ბინა,
 მირჩევნია ყველა ბინებს.
 აქ ოცნება, ფით ნიაფი,
 მყუდროებას აბიანებს.



იაკინთა ღისაშვილი

ნ ა ნ ბ რ ე ვ ე ბ ზ ე მ *

რომანი

IV

გრიგოლი ისე გაიტაცა ეზოს გარშემო ქვის ყრუ კედლის შენებამ, რომ მინდვრის სამუშაოზე გასვლასაც უკლო, ათასგვარ გასამართლებელ მიზეზს პოულობდა, ქვის კედელი მაღლდებოდა.

...იმ დღეს გოგი შეუმჩნევლად გამოცხადდა გრიგოლთან. აღიონზე ამდგარსა და გალავანის მშენებლობით გართულ გრიგოლს არც გაუგია, როდის შემოვიდა მეზობელი ეზოში.

— გრიგოლს ვახლავართ!

— გამარჯობა, — ძვალისით გადაუგდო გრიგოლმა.

— ამ დილით კარგა გიმუშაენია.

— შერე?

— ეს კარგია, მარა, ჩემის აზრით, ჯობს მინდვრად გაცხოველებული მუშაობის დროს, ცოტათი შეანელო ეს მშენებლობა... დაგვეცინებენ, ხალხში თავი მოგვეჭრება.

— თავი მოგვეჭრება, გაიმეორა გრიგოლმა, სახე მოექცა, ქაფხა შორს გადააგდო და მიწაზე დაჯდა, მერე დაუმატა, —სხვისი ხელით ხომ არ ვაშენებ?

—საქმეც ისაა, რომ შენი ხელი ახლა მინდვრად გვჭირდება. შენ უკეთ იცი, მოსავლის საქმე გადადებას ვერ ითმენს, არც მე მინდა ჩამოფრჩხეს რგოლი და თავი შევირცხვინო ხალხის წინაშე.

—შენი თავი გაწუხებს...

—ყანა ცოცხალია, ეს ქვეები მკვდარია. ჭერ ცოცხალს უნდა მივხედოთ.

არ დაიღუბოს. მთავარია, შენი სასწორი საითკენ იხრება. მთელი ძალღონე თუ ამ უსულგულო ქვაში ჩადევი, მინდორს რაღას მისცემ? ეს შენც იცი და მაინც ვიუტობ.

—სხვა რაღა გინდა, ხომ ხედავ, იორაღი გადავაგდე და მალე მეც მოვალ.—თქვა გრიგოლმა, წამოღგა, სახე შოარიდა.

ამ დილაადრიან აივანზე ფეხშიშველი და თმებგაშლილი გამოსულიყო ნანა და გაოცებული შეჰყურებდა მამისა და გოგის ამ უჩვეულო შეხვედრას. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა შემოესმა და ამითაც მიხვდა, თუ რა ხდებოდა. რა უსიამოვნება ვარდებოდა მეგობრებს შორის.

გოგიმ უხმოდ დასტოვა ეზო და ნანას შეაქრეოლა. გულმა ცუდი უთხრა მოაჯირს დაეყრდნო და თავი დახარა. მერე უეცრად მობრუნდა და ოთახში შევიდა. საწოლზე დაეშვა, თვალები დახუჭა.

...გადიოდა დღეები. არ იქნა, გოგიმ ვერ მოახერხა ქვის კედელზე მიკრული გრიგოლის მოგლეჯა. რაც უფრო მაღლდებოდა კედელი, მით უფრო შორდებოდა, ქვის გალავანში იკეტებოდა მისი მეგობარი.

ერთხელ დილაადრიან მინდვრად გასულ გოგის რგოლს პარტიული კომიტეტის მდივანი ესტუმრა.

— გამარჯობათ! — დაიძახა შავგვრემანმა ახალგაზრდა კაცმა და გოგის ხელი მაგრად ჩამოართვა.

— თითქოს ვილაც გაკლიათ.

— გრიგოლმა დაიგვიანა, თუმცა მალე მოვა.

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 9.

—მაღე?—კი არ ჰკითხა, გაიკვირვა ოთარმა,—სალამოს პარტიულ კრებაზე მოხვალთ... სხვა ზომ არაფერი გაწუხებთ?

—არა.

—ნახვამდის!—და ოთარი წავიდა.

— გრიგოლმა თითქმის დაამთავრა წინა კედლის ნაწილი...

—ჰოდა, ახლა ესროლე ზარბაზანი რამდენიც გინდა... ვერც გამოიყვან.

—კედელი თუ დაამთავრა, შესაძლოა მერე ჩვენც გადმოგვხედოს.

—კედლიდან კი გადმოგვხედავს, ხომ არ მიტევენო,—დაუმატა ხანწესულმა კლდეკაცმა, როზროხა თეიმურაზმა.

ამასობაში გრიგოლი გამოჩნდა.

—ჩქარობს გრიგოლი.

—ახლა ზურგს კედელი უმაგრებს და რა ენაღვლება.

როცა გრიგოლი მოვიდა, თეიმურაზმა დაიგუგუნა:

—გახსნა როდის გეჭნება, გრიგოლ?

—გახსნილი იყო, მარა...—აღარ დაასრულა გრიგოლმა.

—უფროთხილდი, ბიძი; კედელში ჩაკეტვამ, პარტიის კარები არ ჩაგეკეტოს.

—ჩამიკეტოს?—გაიკვირვა გრიგოლმა.—რა შუაშია პარტია?

—იმაშია, რომ სიბნელეში ჩაკეტილი კაცი არ უყვარს. აგერა, ივანეც ფიქრობდა ჩაკეტვას, მუდამ ქვეშ-ქვეშ იკვირებოდა, თითქოს ყვინთავსო, მარა ჩანგალი ჩასცხეს და ლოქოსავით ამოაცურეს.

ივანემ უეცრად ასწია თავი, ახლაც ქვემძრომობა არ დამაბრალონო და ჰროდა თვალები ეშმაკურად აუციმიციმდა:

—მაგის პირში მტერი ჩავარდა!

გრიგოლი გაწითლდა: ახმახი თეიმურაზი თვალით ვაზომა, ალბათ, მიხვდა, ვერ შევწვდებო, აღარაფერი უთხრა, მაგრამ გულში დანთებულმა ცეცხლმა ყურები წამოუწითლა.

გოგი შესიკვროდა ხან ერთს, ხან მეორეს, არაფერს ამბობდა, თუმცა სინა-

ნული აღბეჭდოდა სახეზე. „ყოველ კედელსა და დაბრკოლებას ვერ შევძლებ ერთად ვანგრევდით. აქ კი გრიგოლის ქვის კედელმა ძველი მეგობრები, მგონი, უკვე დაგვაშორა ერთმანეთს.“ გაიფიქრა მან.

სალამოს, როცა შინ ბრუნდებოდნენ, გოგი ძველ მეგობართან მივიდა და სხვების შეუქმნევლად ხმადაბლა უთხრა:

—პარტიულ კრებაზე, ალბათ, შენზე მკითხავენ და რა ვუბასუბო?

—ჩემზე?

—ჰო, შენზე.

—როგორც ხედავ და ჰქუა გიჭრის. ისე უბასუბე.

—კარგი. მხოლოდ სიმართლისათვის არ დამემდურო. ჯობს ახალა ითქვას, სანამ გვიან არაა.

—სიმართლის არასოდეს შემშინებია.

—მით უკეთესი, მეც აგრე ვფიქრობდი,—და გოგი თავისი ეზოს შესასვლელში შეჩერდა,—ნახვამდის, გრიგოლ!

—ნახვამდის!—ჩაიბურღლუნა თავისთვის გრიგოლმა და ძველი ჭიშკარი ხმაურით გააღო. შევიდა, მაგრამ ჭიშკარის უსიამოვნო ჭრიალი გააყუცა. „არაფერია, შენც მალე ჩავაჭუმებ. რკინისას შევეკლებ და ზედ თუნუქის ფიცარსაც მივაკრაფ“,—გუნებაში უთხრა ძველ ჭიშკარს და სახლისაკენ დამძიმებული ნაბიჯით წავიდა.

გოგი იდგა და ისევ სინანულით გაყურებდა თავის ძველ მეგობარს.

...პარტიულ კრებაზე გრიგოლი ვატრუნული იქდა. იმის მოლოდინში, ჩემზე რამეს იტყვიანო, სხვა საკითხების განხილვაში არ ერეოდა; არც ესმოდა, თუ რაზე ჰქონდათ სჯა-ბაასი. მხოლოდ ზოგჯერ, როცა ხმას აუმაღლებდნენ, გამოერკვეოდა, იჭაურობას დაუბრუნდებოდა.

ოთარმა გოგის რალაც საეჭვოდ გადახედა და თითქოს ამცნო: „შენ რაღას იტყვო“.

გრიგოლი უსიამოვნოდ შეიმშუშნა, გოგის თვალი მოარიდა და უფრო მტკიცედ რომ დახვედროდა, სჯამი გაიწვოდა.



გოგიმ დაიწყო.

კრიგოლი მოთმინებით უსმენდა, მაგრამ როცა გოგიმ რამდენიმე სიტყვა მათრახივით გადაკრა, აწრიალდა, სკამიც თავისი ძველი ჭიშკარივით ააჭრიალა.

— ომში დიდი გამოცდილება შევიძინეთ და ბევრი რამ გავიგეთ: ვნახეთ ქვეულები და ხალხები. გავეცანით მათ შეძლებას, ზნე-ჩვეულებასა და შეხედულებას ცხოვრებაზე, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს აქედან ყველა ჩვენმა ამხანაგმა სწორი დასკვნა გამოიტანა. არა, ზოგიერთებმა ერთმანეთში აურიეს გუზინდელი და ღვეჯანდელი. ძველი და ახალი, უცნობური და საბჭოური. მოიწონეს არა ის, რაც ახალია, — რასაც მომავალი აქვს, არამედ ის, რაც ძველია, მომავედავია, ასე დაემართა კრიგოლსაც.

ახლა სკამზე წინ წახრილად მჯდარმა კრიგოლმაც თვალი ლურსმანივით მიაკვლო თავის ძველ მეგობარს.

გოგი განაგრძობდა:

— კრიგოლს სადღაც დასაველეთში ყრულ ჩაკეტილი ეზო მოსწონებია და ახლა აქ გვითავაზობს.

— როგორ! — დაიძახეს აქა-იქ და ზოგიერთებმა სიცილიც ატეხეს.

— კედელი რად უნდა, თავს ვისგან იცავს, ვის ეშალება?

— იქნებ ფაშისტებს!

— სანგრებში ჩაჯდომა, ალბათ, ფრონტზე ისწავლა!

— არა, ძამია, კრიგოლმა იფიქრა, თუ ერთ პექტარ საკარმიდამოს ქვის კედელს შემოვავლებ, კოლექტივი ვეღარ შემოვაო და ათენებს ღლე-ღამეს, — თუმცა დასაველეთშიაც იშვიათად იპოვით ასეთ ყრუ კედლებს, — ასტეხეს ხმაური.

— ეს არაფერია, — განაგრძობდა გოგი, — მაგრამ ამ კედელმა თითქოს დავაშორა ერთმანეთს, რადგან მთელი გულისყური კრიგოლმა ყრუ კედელს დაუთმო. ბოლოს ისიც სათქმელია, რომ ეს ნაცოდვილარი კედელი მალე დაინგრევა, მას თვით კრიგოლი საკუთარი ხელით დაანგრევს და ამოდენა ნაოფლარი წყალში ჩაყვია.

— რატომ უნდა დავანგრეო აშენებულები? — ვეღარ მოითმინა კრიგოლმა.

— აშენებული რომ არ დაგვეწყობდეს, ახალს ვერასოდეს ავაშენებდით! — გადაკრა გოგიმ. თუმცა მის ხმაში საყვედურზე უფრო სინანული ისმოდა და, რასაც ამბობდა, კეთილი თვალებითაც ადასტურებდა.

კრების შემდეგ შინ მისავალ მეზობლებს შორის კრიგოლი არ ჩანდა. ის განგებ ითრევედა ფეხს, ჩერდებოდა, დაიყურებდა, მანძილს ამოწმებდა, თუ რამდენად იყო ჩამორჩენილი, რომ ახალი დაცინვა არ გავეგონა და არ ზოგუნა კვიმატი ენებით ისედაც დაისრული გული. საგულეში თითქოს ბურთი ედო გულის მაგიერ ბრაზის ტალღაზე დარხებული, აცურებული და ყელს მობჯენილი. ყველაზე უფრო გოგიზე ბრაზობდა: „მეგობრობაც ამას ქვია, თითქოს ბავშვობიდან ვიცნობდი, მარა ნამდვილად დღეს გავიცანი. ორმოცდა ხუთი წელი განუყრელნი ვიყავით და წუთმა გაგვყარა“, მოახლოებული გოგის ხმა შემოესმა და გველნაკბენივით უეცრად შედგა.

— კრიგოლ, რა მოგდის? ფეხს რატომ ითრევ? ხმასაც არა გვცემ.

— მომშორდი! — ისე დაიყვირა კრიგოლმა, რომ წინწასული მეზობლებიც უეცრად შედგნენ, — არ დაშინებო, აღარ გამაგონო შენი ხმა!

— ყველაფერი წინასწარ ვითხარი, გაგაფრთხილე. შენ კი სიტყვა არ შეასრულე და მიყვირი! რა არის ეს, ვაეკაცობა თუ უპირობა! თუ აგრეა, მშვიდობით იყავი, ვნახოთ სად მიგიყვანს ეგ კედელი! — და გოგი დაშორდა.

კრიგოლი იდგა. ყურები უყრიალებდა, ცახცახებდა. ვერ მოეფიქრებია, შინ წასულიყო თუ სადმე სხვაგან.

გონს გვიან მოვიდა. მიმოიხედა: მის ახლო არავინ იყო. წინწასული მეზობლების ხმაც აღარ ესმოდა. ძაღლის ყვავაც ვერ გაიგონა. ხეებიც აღარ შრიალებდნენ, აღარ იძროდნენ, შეთქმულებივით გატრუნულიყვნენ მთვარიან ღამეში. „მაინც რა უნდათ, რა დავაშავე? რა მათი საქმეა ჩემს ეზოს კედელს შემოვა-

ვლებ თუ თიგულემს? თვითონ დაანგრევს; ჩატომ უნდა დავანგრიო მე ჩემი ხელით?" ფიქრობდა; გულში ჩაწყვეტილი ძაფის სატკივარს გრძნობდა და ეს სატკივარი ჩრდილადა, უკარგავდა ყოველგვარ მიმზიდველობას იმ წარმტაც სურათს, რომელიც მან ოცნებით აღრევდა დახატა: ყრუდ ჩაქეტილი ეზო, სადაც სხვისი ძაღლიც ვერ შეიხედავდა, შიგ ჩამდგარ ხილნარის და ყვავილნარის სურნელს ნიავეცი ვერ მოსტაცებდა. შეეძლო თუნდაც ტიტველს ეგლო ეზოში, დაწოლილიყო ხალას მიწაზე და დაუსრულებელ სიწყნარეში საკუთარი სუნთქვა მოესმინა ომში ცეცხლის ხმაურით გამოაყრუებულს. ახლა კი თითქოს სიბნელე დაეშვა ეზოში და სასიხარულოს ვერაფერს ხედავს. აღარც ხილნარი, არც ყვავილნარი;

მიწაც ჩაბნელებულა და დამამშვიდებელი საკუთარი სუნთქვაც არ ესმის. მისთვის გაუგებარმა რაღაც ძალამ წაშალა ის წარმტაცი სურათი, მაგრამ ეს არაფერი, ამას აიტანდა, გაუძლებდა როგორმე, რომ გულში შეუდარებლად უფრო დიდი, უფრო მნიშვნელოვანი რამ სიმძლიდრე არ წაშლოდა — ბავშვობის დღეებიდან სიხარულში თუ მწუხარებაში ნაწერთომ-ნაქედი სიყვარული მეგობრის მიმართ. მთვარეც აღარა ჩანდა; მარტო მიდიოდა ხეთა ჩრდილებით დახურულ გზაზე და ახლა ამ ჩრდილიდან გამოსვლას გული არც თხოვდა, უნდოდა თავზე ნაბადივით წამოხეხურა და შიგ ჩამალულიყო. ჭიშკარს რომ მიადგა, მიხვდა, მოვედიო და, როგორც სხვა დროს. უნდოდა მოეხეხნა, გოგის კარმიდამოსათვის შეეგლო თვალი, მაგრამ იგრძნო ისედაც დაწყალულებულ გულს ეს უფრო ატყენდა, თავი შეიკავა და ისევ ჭიშკარი ააჭრიალა:

„შენ მაინც გადაგავდებ, არ გაგაჩერებ“ — უთხრა ძველ ჭიშკარს.

სახლში რომ შევიდა, ცოლის ნაცნობი თვალები შემოეგება.

— დამიგე, დამაძინე, ანეტა.

ანეტა ქმრის გაფითრებულმა სახემ შეაკრთო. არც მისი ხმა მოეწონა და სა-

გონებელს მიეცა, რა უნდა მოეხდინა. მაგრამ ამაზე არაფერს მოეხდინა გრიგოლი სკამზე მძიმედ დაეშვა, მაშინ შეაბარა:

— დიავგიანე, კარგა ხანია მეზობლებმა ჩაიბარეს. მგონი, გოგიც დაბრუნდა.

— გოგი? — ისე შეეკითხა გრიგოლი, თითქოს ვერ მიხვდა, ვინზე ამბობდა. მერე დაუმატა: — ჰო, ვიცი, გავიგე. დაბრუნდებოდა, რა ენადვლება, თავი ქუდში აქვს.

— ხომ არ იჩხუბეთ?

— დამცინოდა. ხალხიც აცინა. მერე წამოვედიო და...

— იჩხუბეთ ხომ?

— დავუყვირე და მოვიშორე, გათავდა... — სიტყვა „გათავდა“ ისე თქვა გრიგოლმა, თითქოს ვინმე ახლობელი მოკვდაო, და ამოიოხრა.

— რა მოგივიდა? რა მოხდა?

— კედელმა დამლუბა...

— კედელმა... — გაიმეორა ანეტამ. თითქოს თვითონაც ელოდა ამ ამბავს. პირი იბრუნა, განჯინიდან ვახშამი გამოალაგა, მაგიდაზე დააწყო — ჭამე!

— არ მინდა. ვერ შევჭამ. დამაძინე.

— ძველ მეგობართან წაჩხუბება საწყენია, მარა შერიგდებით. ახლა კი შიმშილით ძავს ნუ მოიკლავ.

— შეერიგდებითო? — გაიკვირვა გრიგოლმა და ცოლს მიაჩერდა, — არასოდეს!

— რას ამბობ, გრიგოლ! — ახლა მიხვდა ანეტა, საქმე არც ისე უბრალო იყო, როგორც მას ეგონა. შეწუხდა. სკამზე დაეშვა. მაინც კითხვებით აღარ შეაწუხა. დაუმატა:

— კარგი. დაიძინე. მერე მიამბე... ისე კი, რათ გვინდოდა ეს დასაქცივი კედელი...

გრიგოლი საწოლთან მთვრალივით მიბანდალდა, ტანთ გაიხანდა. საწოლზე წამოწვა და თვალი მოხუტა.

ანეტა გულმოკლული დასჩერებოდა. „აქაც ვერ მოისვენა. თავისი ბრალია, მარა...“ — ფიქრი არ დაასრულა. გაბრუნდა. თვითონაც უვანშობლ ჩაწვა ლოგინში. ქმრის სუნთქვას, სუნთქვაშეკრული უსმენდა.



ნანას მაშინ გავლევდა მეორე ოთახში, როცა მამა დაბრუნდა კრებიდან. სიტყვაც არ გამოპარვია, მშობლების ნალაპარაკიდან, თუმცა ვერ გაიგო, რა მოხდა კრებაზე. მამა ციხე-სიმაგრესავით ყრუ კედელს თვდადებით რომ აშენებდა, ეს რაღაც უცნაურ ქცევად ეჩვენებოდა, მაგრამ მის საქმეში არ ერეოდა: ერთხელაც არ უკითხავს, რათ ჰქონდებოდა იმოდენა კედელი. თუ მამა აშენებს, ალბათ, ავრეო საჭირო. ახლა კი უფრო იმან ჩააფიქრა, რომ კედლის საქმეში თენგიზის მამა ერეოდა, თუმცა ვერ ხვდებოდა, რატომ და რისთვის. „დაძინაო? რატომ დასცინა? განა მამაჩემი სასაცილოა?“ — იფიქრა და რაღაც ღრმა შეურაცხყოფის გრძობამ გული გაუმქვალა. „ასე დაუმსახურებლად რატომ დასცინოდა განუყრელ მეგობარს? და მერე ხალხმაც დასცინა მამაჩემს?... აქ რაღაც სხვაა“. როცა მამამ წამოიძახა: „არასოდესო“ ამან უფრო შეაშფოთა ყმაწვილი ქალი: ლოგინში წამოიწია და წააყურა სუნთქვაშეკრულმა. ამბის გაგრძელებას რომ ვეღარ ეღიროსა, მოეშვა, თავი მოკრილივით ბალიშზე დაუვარდა. გრძობდა არც მშობლებს ეძინათ. ხანდაყოვნებით დედის ხმა ესმოდა:

„გრიგოლ, დაძინე. ყველაფერს მოეგლება, დამშვიდდი“.

მამა სდუმდა, არ უპასუხებდა, თუმცა მისი ძალუმი სუნთქვა ესმოდა ნანას და ეს უფრო უკლავდა გულს, აწრიალდა. სარკმელში გაიხედა. ეზოში ბნელოდა. „თუ ასე გაგრძელდა, რა მეშველება; თენგიზიც გაიგებს“, — ეუბნებოდა თავის თავს და ეჩვენებოდა; თითქოს ის ყრუ კედელი გრძელდებოდა, თენგიზსა და მის შორის დგებოდა, მალდებოდა, სახეს და გულს უჩრდილავდა, „ღმერთო, გამათენებინე ეს შავი ღამე“, წამოიძახა და თვალი დახუჭა, რომ აღარ დაენახა მის მიერვე წარმოდგენილი შემზარავი სურათი. მაგრამ არა, გონების თვალს ნანა ვეღარ ხუჭავდა, იგი მისდა დაუკითხავად მერს ხედავდა ამ ბნელ ღამეში, ვიდრე თვალი დღის სინათლეზე.

იმ საღამოს გოგიც გულჩათხრობილი დაბრუნდა შინ.

— მახლას, მახლას! — ამბობდა თავისთვის და ცოლსაც არ უმხელდა, რა მოხდა კრებაზე.

— გოგი, ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა?

— დავიღალე, მარო... თუმცა კარგისე ვერ გააკეთებ, თუ ცუდის შხამით არ მოიწამლე.

— გრიგოლს ეჩხუბე? — მოულოდნელად ჩაურთო მარომ.

— ვინ გითხრა, მარო? — გაიკვირვა გოგი.

— განა თქმა უნდა, განა ვერ ვგრძობდი?

— გულთმისანი ყოფილხარ, მე კი არა, თვითონ წამეჩხუბა.

— ეს სულერთია... მარა უმიზეზოდ კაცი არ გაგიყვლება, უმიზეზოდ ძაღლიც არა ჰყუფს; მით უფრო, შინაურს არ დაუყუფს. თქვენ კი ძმებივით განუყრელი იყავით.

— ამ ქვეყნად მე და გრიგოლი რომ ვიყოთ მარტო და სხვაზე არ ვფიქრობდეთ, მაშინ არაფერი გვექნებოდა სადაო, მაგრამ ჩვენ ხალხში ვცხოვრობთ. ხალხს კი თავისი გზა-კვალი აქვს და თუ არ გავყვებით, გავირიყებით. მტერი ვიქნებოდით, ეს მეგობრისათვის არ მომეგონებინა, სანამ გვიან არაა. თუ ეს მტრობაა, ჯობს ასეთი მტრობისათვის გამკიცხოს გრიგოლმა, სანამ მას თვითონ გაიცხავს და გარიყავს ხალხი. მეგობრისათვის მეტსაც ავიტან, მით უფრო, როცა ჩემი მოქმედების სისწორეში ეჭვი არ მეპარება და პირნათელი ვარ საკუთარი თავის წინაშე. თუ გრიგოლმა ფრონტზე მძიმედ დაჭრილი სამშვიდობოზე გამომიყვანა, აქ მე შევეცდები ყრუ კედლიდან სინათლეზე გამოვიყვანო.

V

გოგის ჯიბრზე გრიგოლმა თითქმის მოათავა კედელი. ხის ძველი ჭიშკარიც გადაავდო, რკინისა შეკადა. ზედ თუნუქის სქელი ფიცარიც გააკრა, რომ ავთვალს არ შეეხებდა ეზოში.

კედელი ყრუ იყო, გრიგოლის უცნაურობა კი გამჟვინვალე და ყველასათვის აშკარა.

ერთი რამ ცვლილება მაინც მოხდა გრიგოლში, რაც უფრო ჯავრობდა გოგიზე, მით უფრო ცდილობდა დაახლოებოდა მეზობლებს და კოლექტივში მუშაობასაც მეტი ინტერესით მოჰქიდებოდა.

გოგი კი პირიქით, ქვეშევრდომად ილიმებოდა, რომ ნაწილობრივ მაინც მიზანს მიაღწია, — იმოქმედა გრიგოლზე, შეაგნებინა ხალხის ძალა და ინტერესი.

მაგრამ კედლის ჩრდილი რაღაც შეუმჩნევლად, დღითი დღე ეშვებოდა ნანასა და თენგიზს შორის. ისინი წინანდებურად ხვდებოდნენ ერთმანეთს: საუბრობდნენ სწავლაზე, მომავალზე, ავკარგზე, მაგრამ ჩრდილი ყველგან ფეხდაფეხ დაჰყვებოდა მათ. უსიტყვოდ ვრძობდნენ, საიდან მოდიოდა ეს ჩრდილი, მაგრამ ამაზე სიტყვის ჩამოგდებას უფროსოდნენ.

სალამოს შინ ერთად მიმავალმა მაკამ და კოტემ რკინის ახალ ჰიშკართან მდგარი გრიგოლი დაინახეს და მიესალმნენ.

— გამარჯობა, ბიძია გრიგოლ!

— გაგიმარჯოთ!

— კარგი ჰიშკარი გაგიყვითებიათ, ბიძია გრიგოლ, — უთხრა მაკამ.

— კარგია, მარა ნანა სადღაა?

— თენგიზთან მოდის, — შეაპარა კოტემ.

— თენგიზთანო? — გაიკვირვა გრიგოლმა და შინისკენ იბრუნა პირი.

— ხომ შევაფუცხუნე, — დაიტრიაბა კოტემ.

— რას ატყუებთ ერთმანეთს? — მიძახა ზურგიდან შეუმჩნევლად მოახლოებულმა შუახანს გადაცილებულმა დედაქალმა.

— ჰორი თქვი და ჰორმაჰანკალა მინადორაც გამოჩნდებაო, — წამოიძახა კოტემ.

— მიფრთხილდი ყმაწვილო, მე ისიც ვიცი, როგორ ატყუებთ ერთმანეთს.

— უყურე ამ აკვანში დაქვრივებულ

აჩუმხარას, ხედავ რას ბედავს? — გაჯავრდა კოტემ.

— მე რაღას მერჩი, მინადორა, — დაღვიშავე, არა გრცხვენია? — უსაყვედურა მაკამ.

— თავს იკატუნებ, მაკოია, ვიცი რა სა. მოთხის ჩიტიც ბრძანდება! ერთმანეთს ებღლარძუნებით, მარა სხვის ბაღჩისკენ გიჭირავთ თვალი! — დაგესლა მინადორამ, წვრილი თავი ყალყზე შემდგარი ფაშატივით გაიქნია და მოსახვევში გაუჩინარდა.

— ვითომ საქმე ასეა? — დაგვიანებით იკითხა კოტემ.

— შენ უკეთ იცი, მარა, ყმაწვილო: ქვრივი მინადორა მიწაში რაა, იმას კითხულობს, ცხადი და დაფარული მისთვის ერთნაირად ცხადია.

— გამოდის რომ მართლა მატყუებ.

— ისევე, როგორც შენ!

— მაკოიავ, არ გააბატიებ. იცოდე!

— არც შე გააბატიებ, კოტიკო!

— თუ ასეა! — დაუყვირა კოტემ და თვალეში დაუბრიალა.

მაკამ კალისავით გვერდზე ისეუბრა, მოშორებით შეჩერდა, ხელები წელზე შემოიჩყო და გადმოუღლო:

— ასეა და ვერ მომატყუებ, ყმაწვილო;

— ნუ გამაჯავრებ, მაიკო, თუ არა...

მაკომ იფიქრა; ეტყობა კოტესთან თამაში უკვე ხალხში თავს მჭრისო და მიძახა.

— ყურზე ხახვს დამაჭრი! — კოტეს გამჟვალავად ქვეშიდან გამოიხედა და ქარივით წინ გაექანა.

კოტე დაიბნა. სიტყვა კი არა, ფეხიც დაება. შედგა, შეტორტმანდა, ხელები ააფათურა და გამოუღდა.

— შეჩერდი, მაკო! ნუ მეხუმრები!

— ვერ დამეწივი და მომეწივი, კოტიკო! — მოაქახა კარგა მანძილით წინწასულმა მაკამ. ჰიშკარს მიაღწია, ააჭრიალა და ეზოში შეიჭრა.

— ბოდიშს არ მოგიბდი, იცოდე, ინანებ, მაკო! — დაადევნა კოტემ.

— ენახოთ, ვინც ინანებს! შევეციდი, დრო რომ შენთან დავკარგე.



— უჩემოდ მოგწყინდება და მომნახე, მარა გვიან იქნება! — გასძახა კოტემ, როცა სახლში შესულმა მაკამ კარი მოაჯახა.

კოტემ შეკრებილ უღვაშებზე აქეთ-იქიდან ხელი გადაისვა, შეტრიალდა, შემოტრიალდა, მერე სახლს მიაჩერდა...

ახლად შეღებულ რკინის კიშკართან მდგარმა გრიგოლმა, როცა ერთად შინისაკენ მომავალ ნანასა და თენგიზს მოჰკრა თვალი, კბილები გააკრაჭუნა და შინ შემბრუნდა.

„ჩვენ ძაღლებივით წავიხსუბეთ, ლეკვები კი ერთმანეთს ეფერებიან, — გაიფიქრა. ოდასახლის კიბეზე ავიდა, ოთახები მიმოიარა, მაგრამ აქაც ვერ მოისვენა, ისევე გამოვიდა ეზოში, წინ და უკან სიარული დაიწყო.“

ბინდი ეშვებოდა, ღამე თითქოს ქვესკნელიდან ამოდებოდა ჩუმად, შეუმჩნეველად, შეუჩერებლად. გრიგოლს სამზარეულოდან გამოსული ანეტა წააწყდა და იქვე შეჩერდა.

— ანეტა?

— რა მოგივიდა, რას დაწვრილებ კედლიდან კედლამდე?

— ნანა სად არის?

— მოვა საცაა... ცუდი ხომ არაფერი გაიგე, გრიგოლ?

— ცუდი?.. უთხარი, გოგის ბიჭთან არ დავინახო! თორემ მე ვიცი! — მუქარით თქვა, უეცრად გაბრუნდა და ოდასახლის კიბეს ქშენით შეუღდა.

— ვეტყვი, მარა... — დაგვიანებით მიადევნა ანეტამ.

— გრიგოლს ცოლის ბოლო სიტყვა „მარა“ რომ გაეგონა, მობრუნდებოდა და, ალბათ, ჩხუბს ატეხდა, მაგრამ ისეთი ბრახბარუხით ადიოდა კიბეზე, არაფერი ესმოდა. ფრონტიდან ჩამოყოლილი ძველი ჩექმეებით აივანზედაც გაიბრახუნა, ოთახში შევიდა და შუკი აანთო.

უცებ შინ დაბრუნებულ ნანას ხმა შემოესმა და გაიტრუნა, უნდოდა სიტყვა-სიტყვით მოესმინა დედა-შვილის ბაასი.

— მარტო არ ვიყავი.

— საქმეც ისაა, შვილო, რომ მარტო არ იყავი.

— როგორ, მარტო ყოფნა უკეთესია?
— მამა გიკრძალავს. გინგაღმოსვენა
— რას?

— თენგიზთან სიარულს. ნანა გაწითლდა. ეს ამბავი ცუდად ენიშნა. მერე ძლივს თქვა:

— რატომ? რა დააშავა თენგიზმა?... მამას ვინ უთხრა? — რაღაც დაბნეულად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა ნანა.

— არ ვიცი.

— მე ვიცი, მარა...

— თუ იცი, მოერიდე; უფროსილდი, შვილო, კბილი ყველას თეთრი აქვს, გული კი...

— კარგი დედა, დაჩუმდი; საქმე თუ ასეა...

— ასეა, შვილო...

დედა-შვილის ბაასი შეწყდა.

გრიგოლი აივანზე გამოვიდა. ნანა გაშეშებულვით იდგა ეზოში; თავის ნაჯაფარ ხელებს ისე თვალმოუშორებლად დაჩერებოდა, თითქოს ყველაფერი, რაც ამ ქვეყნად ხდებოდა, კეთდებოდა თუ ფუჭდებოდა, ამ ხელებიდან მოდიოდა, მას ეხებოდა.

— ნანა, წყალი დამალევიანე, — დასაქმა მამამ.

ნანა დაიბნა, კრუხს ჩამორჩენილი წიწილივით აფართხალდა. მერე გონს მოვიდა და სამზარეულოსკენ გაიქცა.

— ახლავე, მამა!

თუმცა არ სწყუროდა, წყალი მაინც დალია გრიგოლმა. უფრო მშვიდად ამოისუნთქა და აივანის კუთხეში, სკამზე მძიმედ დაეშვა.

„ღმერთო, არაფერი ათქმევინო ახლა“ — გაიფიქრა მამის წინაშე უხერხულად მდგარმა ნანამ.

ეს იგრძნო გრიგოლმაც და მიაშველა:

— მოგშვიდებოდა, ჭამე, დაიძინე. დალამდა, — და თვალი ოთახში ანთებულ შუქისაკენ გაექცა. ამცნო, დიგვიანეო, მაგრამ ახლა ეს უსიტყვო გაფრთხილება აქმარა.

„მადლობა ღმერთს, მგონი გადავრჩი“ — იფიქრა ნანამ და კიბეზე მსუბუქად დაეშვა.

. . . შუაღამე გადასული იყო, მაგრამ

ღია სარკმლიდან ნანა ისე დაყინებით და თვალმოუშორებლივ გაჰყურებდა ცის სიღრმეში ჩაქარგულ, მოციმციმე ვარსკვლავებს, თითქმის არც სუნთქავდა. უფრო ყველაზე ახლობელსა და უფრო კაშკაშა ვარსკვლავს აცქერდებოდა, ის ვარსკვლავი თითქოს გულს უხსნიდა; უღიმოდა, თვალს უკრავდა გამოდიო ეუბნებოდა, მაგრამ ნანას წასვლა არსად შეეძლო; სარკმელი ღია იყო, ვარსკვლავიც ახლო, მაგრამ მაინც შორს იყო მისგან, ხელით ვერ მიწვდებოდა, ვერც გულისთქმას გაავრთებდა. ვარსკვლავსაც თითქოს ფეხი შეჰკვრიოთ, წინ წამოწევას ვერ ახერხებდა, არც ხელები გააჩნდა, მიწვდინა ნანასთვის. იქვე, ერთი ფერწასული, მიბეჭურული ვარსკვლავი კი მოწყურული თვლებით თითქოს დასცილნოდა ამით ბედს: „ვერა, ვერასოდეს მიწვდებით ერთმანეთს“ — ეუბნებოდა, ეტყობოდა, გულში რაღაც ბნელ ზრახვებს ფარავდა... იმ მოკაშკაშე ვარსკვლავს მოულოდნელად ღრუბლის შავი ქულა მიუახლოვდა და სანამ მთლად ჩაახუნებდა, ნანამ თვითონ დაბუჭა თვალები.

ძილი არ ეკარებოდა, მაგრამ მოხუქული თვლებითაც ხედავდა მისთვის ყველაზე ახლობელს.

„ნეტავ, მაშაშვეს რა დაუშავა თენგიზის მამამ? ჩემს ჯიბრზე რაღა აქ მოიგონეს ახლა ეს ჩხუბი, როცა ჩხუბიდან მშვიდობით დაბრუნდნენ. მერე და რატომ დღეს თვითონ თენგიზი? თითქოს ყველაფერი იცის და არაფერს ამბობს: მე კი ყველაფერს ვეტყვოდი; არც შემეძლო არ მეთქვა“ — ფიქრობდა ნანა. ფიქრი ფიქრს ცვლიდა რაღაც თავისთავად, უნებლიედ, დაუკითხავად და ნანას არ შეეძლო ძალით მოეკვეთა, მოეშორებინა ეს თავნება ფიქრები.

თავი მისამი

I

ზაფხული მიიწურა. შემოდგომის მსუყვე, შეშფიფებული ხილისა თუ ჭირნახულის სურნელი პირველად იგრძნობოდა:

ოდნავ შეგრილებულ ჰაერში და რაც დღე გადიოდა, ძლიერდებოდა სიხშირის, დასრულების, დატვირთვის სახეცარი ძალა ამხნევებდა, აიძვებდა, ატვირთბდა სოფელს; ყველა უსიტყვოდ გრძნობდა, რომ ეს იყო მიწაზე დახარჯული მისი საკუთარი შრომის სურნელი.

უფრო ამას გრძნობდნენ ახალგაზრდები, რომლებიც ისე იზრდებოდნენ, სრულდებოდნენ და მწიფდებოდნენ, როგორც მათი შრომის ნაყოფი. მაგრამ აოცებდათ ბოლო დროს მომხდარი ერთი ამბავი:

კოტე და მაკა რომ ჩამოშორდნენ ერთმანეთს და თითქოს თვითონაც გამოიცვალნენ: უფრო ერთგულნი გახდნენ შრომაში, დროსტარებაშიც. მეტ თავდაპერას და მოკრძალებას იჩენდნენ. ბოლოს, იქნებ ერთმანეთის ჯიბრზე, თუ წახედულობით იმდენს ეცადნენ, ორთვენი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიიღეს დაუსწრებელზე და სოფლის ახალგაზრდობაში ახლა უფრო ამჟღავნებიათ თავი. რა მოხდა, რომელმა სიომ დაუბერა ამ უზრუნველი ქალ-ვაჟის ცხოვრებას?

არც გაბუტვის მიზეზი იცოდნენ; ვერც მათი ხასიათის უეცარი შეცვლა აეხსნათ.

ამხანაგებში მხოლოდ ერთ რამეს, ერთი და იმავე სიტყვებით ამბობდნენ ისინი: „ერთად დავდიოდით, მარა ერთმანეთი არასოდეს მოგვეწონდა“.

მეორე მხრივ, იყო სხვა ქალეაიცი, რომლებიც არსად არაფერს ამბობდნენ, მაგრამ ასევე ცალკეულად, ურთიერთისადმი გაუმხელად, მაკასა და კოტეს დაშორებისა თუ ხასიათის შეცვლის ნამდვილ აზრს ხვდებოდნენ. ისინიც თითქმის ერთნაირად, თავიანთ გულში იმეორებდნენ: „ამით უნდა კოტეს დამიმტკიცოს ერთგულება და სიყვარული“ — ფიქრობდა ნანა.

„ამით უნდა მაკას დამიმტკიცოს სიყვარული და ერთგულება“ — ფიქრობდა თენგიზი.

ამიტომ არც ნანას არ ჯეროდა არც



თენგიზს მათი ხასიათის ნამდვილი შეცვლა.

მაკა და კოტე დროს არ კარგავდნენ; ყველაფერს აცთებდნენ იმისათვის, რომ თენგიზი და ნანა დაერწმუნებია ერთგულებასა და სიყვარულში.

ამისათვის ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდნენ ისინი, მოხერხებულად, დაუცხრომლად, თანაც სხვებისათვის შეუმჩნევლად და დაფარულად.

ნანა და თენგიზი ცდილობდნენ თავიდან აეშორებინათ ერთი მხრივ მაკასი და მეორე მხრივ კოტეს მომამბურებელი ტრფიალი.

თენგიზი გრძნობდა, რომ ამ ბოლო დროს ნანა გაუბრბოდა, ერიდებოდა მასთან ხშირ შეხვედრას, მით უფრო სხვების შესახებდავად. ნანას გულში სევდა რომ ბუდობდა, ამის მიზეზსაც ხვდებოდა თენგიზი. მაგრამ, რადგან ნანა აღარ უმხელდა, არც თვითონ ეძალებოდა; არ უნდოდა გულში დაფარულ ჭრილობისათვის პირი გაეხსნა და გამხდარიყო მიზეზი საბიფათო აფეთქებისა, რომლის მოახლოებას ის უკვე გრძნობდა, იქნებ ნანას თვითონ დაეძლია ტკივილი. ამიტომ თენგიზი ნანას გულის მობრუნებას მოთმინებით ელოდებოდა.

ნანას განსაკუთრებული სიფრთხილი, თავდაქერა და გულწაახრობა კი უფრო გაძლიერდა იმ დღიდან, რაც თენგიზთან შეხვედრებისათვის მამის საყვედური მიიღო, თენგიზიც ბოლო დროს ამის გამო უკვე ღელავდა, მაინც მოთმინებას არა კარგავდა.

კვირა საღამოს, ფეფინოს დაბადების დღეზე შეზარბოშებული ახალგაზრდები შინ გვიან წავიდნენ.

ეზოდან გასვლისთანავე ნანას კოტე, ხოლო თენგიზს მაკა აეკვიტა.

— შენ ყველას ჯობდი ფეფინოს გვერდით, მარტო შენ ვხედავდი, შენზე ვფიქრობდი. მაკა მიმიხვდა ნამდვილად, ვინც მიყვარდა და ამიტომ წაეიჩხუბეთ, ჩამოეშორდით ერთმანეთს. თვითონ გადაწყვიტე, მომკლავ თუ მომარჩენ. ასე კი ვერ გაძლებ, ნანა.

—თავი დამანებე! იცოდე, არაფერი გამიგონია და ვერც ვაფიქრებ. შენვე უკვეტინა ნანამ და ფეხს აუჩქარა.

კოტე არ მოეშვა, ძუნძულით აყვავა.

— შენც კარგად იცოდე, ნანა, სხვენზე თოქს რომ ჩამოვამბამ და ზედ ჩამოვეკიდები, მაშინ ინანებ, შემიცოდებ, მარა გვიან იქნება, ველარ გამაცოცხლებ.

ნანა აღარ პასუხობდა, აღარც უსმენდა, ჩქარი ნაბიჯით მიჰქროდა შინასაკენ და თვალდაცეცებით თენგიზს ეჭებდა.

—მიგიხვდი, ვისაც ეძებ, აი, ისინიც. დასტები!— შესძახა კოტემ.

ნანამ ერთად მომავალი თენგიზი და მაკა რომ დაინახა, შეკრთა, შეჩერდა, მიხვდა ვინ ვის მისდევდა; მაკა როგორ დაეინებოდა აქეთ-იქიდან უვლიდა თენგიზს, უჭრიდა გზას, რაღაცას გულმოდგინედ ჩასჩინებდა, არ ეშვებოდა, ნანა ოდნავ დამშვიდდა, წინ მოწყვეტილი გაიქცა.

თენგიზმა ქალიშვილების ჯგუფში მიმალული ნანა დაინახა, მაკას მოშორდა, მაგრამ ნანასთან არ მივიდა, შორი-ახლო მიჰყვებოდა. იცოდა, მაკა დაბეჯითებით უთვალთვალებდა და არ უნდოდა ჭორის ლუქმა მარტო მაკასათვის ეკარა, სხვებისთვისაც მიეცა.

მიმოიფანტნენ ახალგაზრდები სოფლის შარაშუქებში.

თენგიზი შეუმჩნევლად დაწინაურდა. რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და მოსახვევში სულგანაბული შეჩერდა. ნანას გამოჩენას ელოდა. გული გამალბებით უცემდა.

გზაზე ტანაწვართულად მომავალი ნანას ფეხისხმა მოესმა.

—ნანა!

—აა, შენა ხარ, თენგიზ? მარტო ვიყავი და გამოვრბოდი.

—მარტო რომ ხარ, მაშინაც შენთან ვარ, რისი გეშინია?

—არა, მარა...—და ნანა შედგა. მთელი ტანით სუნთქავდა. ღამისთევით ოდნავ გაფერმკრთალებული სახე შეგვიინებულ მთვარესავით მიბეუტოდა.

საოცარი ის იყო, რომ თვალბში გამოსახული ეს შინაგანი წინააღმდეგობა მეტ სიბზოს, ცხოველყოფილობას, მიწხიდელობის ჯადოქრულ ძალას ანიჭებდა, თითქოს ახლა, ამ წუთში ციდან მიწაზე რალაცას უცხო ფრინველივით დაშვებულ ქალწულს.

თენგიზი მონუსხულივით მიჩერებოდა.

—თბილისში ჩვენს გამგზავრებამდე დარჩა მხოლოდ სამი დღე, ნანა.

—ვიცი.

—რას იტყვი, მზად ხომ ვართ, რომ კარგად ჩავაბაროთ ყველა გამოცდა?

—შენ ვიცი, ხარ. მეც იმედი მაქვს, მარა...

—მარა რა, ხომ არ გაეჭვებებს?

—ჩაბარება კი არ შეეჭვებს.

—მაშ რა?

—ბცი, თენგიზ, ერთად ნუ წავალთ. ასეა საჭირო. იქ კი შევხვდებით. ნუ გეწყინება.

თენგიზი ხედებოდა რა იყო მიზეზი, მაგრამ ნანას ამგვარმა სიფრთხილემ რალაც უნებლიედ გული ატკინა, თუმცა თავი შეიკავა და თითქოს დაეთანხმაო, არ უპასუხა. თვალბში მაინც იჭვის ნაპერწკალი უკრთოდა და ნანას შეეძლო იქ წაეკითხა:

„განა საქმე ასე შორს წავიდა?“

—ხომ ვთქვი, შევხვდებით. იქ ერთად ვიქნებით. ჩემი ბრალი არაა, მიზეზს ნუ მკითხავ, მაპატიე.—ნანას არ უნდოდა გაემხილა რომ მამამ აუკრძალა მასთან შეხვედრა. თავს იკავებდა, ვაი თუ ამის გამო თენგიზი უფრო მომერიდოს, არ შემხედეს, გადამეჩვიოს და ბოლოს მთლად ჩამომშორდესო. გულში მაინც საიდუმლოების შენახვა უმძიმდა.

—კარგი,—ყრუდ უპასუხა თენგიზმა. ეს ცივი „კარგი“, ნანას გულზე მოხვდა, არ იყო მიჩვეული ასეთ პასუხს თენგიზის მხრივ, მაგრამ ჩემი ბრალიაო, იფიქრა და თენგიზს ქოჩორზე ხელი დაადო.

—რომ იცოდე, როგორ არ მინდოდა მეთქვა...
ნიკოლოზი

—ვიცი! არც გამტყუნებ. ალბათ, ასე იყო საჭირო. მე შენი მგერა,—დაეთანხმა თენგიზი. ხელში ხელი ჩაავლო, მიიზიდა და გულში ჩაიკრა.

ნანა შეირხა. გამოერკვა. თენგიზს მკლავში გამოსდო ხელი და მოაბრუნა.

—ახლა წავიდეთ.

—წავიდეთ, ნანა!

„ნეტავი ასე ვივლიდეთ მთელი სიცოცხლე, გზაც არასოდეს დასრულდებოდეს!“—ფიქრობდა თენგიზი.

ეზოში მამის ხველება გაივონა ნანამ და შეფუცხუნდა. თენგიზს გაეცალა.

—მამა ეზოშია, ალბათ, მე მიცდის; ნახვამდის, თენგიზ!

—ნახვამდის, ნანა!

ეზოში ჰიშკართან მდგარმა გრიგოლმა კარგად დაინახა ვის მოჰყვა ნანა ისიც შეინიშნა, მხრებით როგორ მიჰკროდნენ და ჩასცქეროდნენ თვალბში ერთმანეთს, ამიტომ, როცა ნანამ ჰიშკარი შეალო, არც კი შეხედა, მხოლოდ ყრუდ დაიგუფუნა:

—ღამურას ფრთა რომ შეგისხამს, შედი შინ, ჩქარა!—თავის ეზოში შესულ თენგიზსაც ერთხელ კიდევ გაჩხედა გრიგოლმა და გაბრუნდა, წინ მიმავალ ნანას ფეხდაფეხ მიჰყვა.

ნანას მუჭარასავით ესმოდა მამის ფეხისხმა და შიშით თრთოდა.

„ვაი თუ,ვაი თუ“,—იმეორებდა თავისთვის ჩუმად და არ იცოდა, რა ეთქვა, თავი რით გაემართლებინა მამის წინაშე.

კიბე აირბინა, შევიდა ოთახში და იქვე თავდახრილი შეჩერდა. გაწუწული წიწილივით აბუზულიყო და მამის რისხვას, ისე როგორც მებნის ჩამოვარდნას ელოდა.

—მობრუნდი, შემომხედე სახეში—შემოესმა და შემობრუნდა, თუმცა დამძიმებული თავი ვერ ასწია და ვერც სახეში შეხედა მამას.

—საქვეყნოდ ჩემი შემრცხველის შეილთან მაინც დადიხარ; ვინა ხარ შენ.

მტერი ხარ თუ მოყვარე, მითხარი ჩქარა!—პასუხს ვეღარ დაელოდა, მოთმინება არ ეყო და ნანას ხელი გაართვა სახეში.

თავბრუდახვეული ნანა იქვე ჩაიკეცა. თავზე ხელები წაიფარა და სუნთქვა შეგუბებული ტირილი მორთო.

—რა მოხდა, რამ გაგავიყა?—შემოესმა გრიგოლს მეორე ოთახიდან გამოვარდნილი ცოლის ყვირილი.

გრიგოლი გამოერკვა, ხელი ჩაიქნია და ოთახიდან უხმოდ გავიდა.

—შვილო, წამოდექი! ნუ გეშინია! აპატიე მამაშენს! ქვეყნის ათასი ცეცხლი გამოიარა და აეშალა წერებები... ისე კი, მშობლების გარდუვალს უნდა ერიდო. ხომ იცი, შვილო, წინწასულ კვიცს მგელი შექამსო.

ნანა გულამომჯდარი სლუქუნებდა. სიტყვას ვერ ძრავდა, დედას ეხვეოდა და ასველებდა ცხარე ცრემლებით.

—ადექი, შვილო, ახლა მოისვენე და ყველაფერი კარგად იქნება.—შვილს ხელი მოხვია, წამოაყენა, საწოლთან მიიყვანა, ფეხსაცმელ-ტანსაცმელი თვითონ გახადა, ჩააწვინა ლოგინში და სასთუმალთან მიუქდა.

—ერთადერთი ხარ და გულს ნუ მოგვიკლავ. ახლა მამაშენიც წუხს, მარა რა ქნას. თვითონაც არ უნდოდა. შენც სიფრთხილე ვერ გამოიჩინე და მარცხი შეგემთხვა. დამშვიდდი, დაიძინე. გათენდება, ყველაფერი გაივლის.

II.

დედა გვიან გავიდა. ჩაწვა. მიაყურა, მაგრამ გრიგოლის სუნთქვაც კი არ ისმოდა. მიხვდა არ ძინავსო. მაინც ხმა არ გასცა და გაიტრუნა.

პირაღმა გაუნძრევლად დაწოლილი გრიგოლი თვალს ვერ ხუჭავდა. ჰერს თვალგანუშორებლივ მისჩერებოდა და ყველა ფიქრს იქვე მარხავდა. ვერც შექმნილ მდგომარეობას შერიგებოდა, ვერც თავისთავისათვის ეპატიებოდა ნანას დასჯა და მთელი იმ დროის განმავ-

ლობაში, რაც გულამომჯდარ შვილს დედა ამშვილებდა, გრიგოლი ბორბავდა, აქეთ-იქით ტრიალებდა სუნთქვადახშული, მერე ჩაწვა ლოგინში, მაგრამ ჯერ ნანას სლუქუნი უკლავდა გულს, მერე მისი ღუმელი.

„ღმერთო ჩემო დაღუბდა მარა, ჯობდა აყვირებულებო და რამე ეთქვა“, ფიქრობდა გრიგოლი. შვილის ღუმელს უფრო ვერ უძლებდა; ეჩვენებოდა, თითქოს გაგიყებულ მამას საყვარელი შვილის სუნთქვა წაართვა ღამემ და თვითონაც წაიყვანა საბუღამოდ ჩაძინებული. „ვინ იცის, ნანამ რა საბოლოო სასჯელი გამომიტანა; გულში რა ჩაიძარხა და რას მიპირობს“. იმასაც გრძნობდა, არც ცოლს ეძინა, მაგრამ ხმის გაცემას ვერ უბედავდა. იცოდა: ახლა თუნდაც ერთი სიტყვა მათ შორის თქმული, ავი თუ კარგი, ერთნაირად აუტანელი იქნებოდა, გულს უფრო მოუკლავდა. და იგი ღუმლა. „იცის ანეტამ ახლა ტკბილი სიტყვაც ტყვიასავით მომხვდება და თავს იკავებს“.

ცოლქმარმა თვალი მაშინ დახუჭა, როცა სარკმელს განთიადის შუქი მოადგა. დახუჭა იმიტომ კი არა, რომ ეძინებოდათ, არამედ იმიტომ, რომ იმ ღამეს თეთრად გათენება ერთმანეთისათვის არ გაემხილათ.

„ფრონტზე ძილი მინდოდა, დრო არა მქონდა; აქ დრო მაქვს, არ მეძინება—რა არის ეს?“—ფიქრობდა გრიგოლი.

„განსაცდელი, ალბათ განუყრელია და ცოცხალი კაცი ვერ გაქცევა“—ფიქრობდა ანეტა.

ის ღამე მაინც ნანასათვის უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე მისი მშობლებისათვის; დედა რომ გავიდა, საბანი მოიშორა და ჩაბნელებულ ოთახში ცრემლიანი თვალები ისე მიმოატარა, თითქოს აქ ვინმე უჩინარს ეძებოს. არავინ იყო. დახუჭა თვალები, სუნთქვაც შეანელა და გაიტრუნა. მამამ ხელი რომ შემოართყა ეს კი არა, უფრო ის სტიკოდა, რაც ამ დარტყმას მოჰყვებოდა შემდეგ.

„ვინაა დამნაშავე? მამაჩემი? მე თუ თენგიზი? თენგიზის მამა?... მამის მოქმედებას მაინც ვერ გმობდა. არც ის სჯეროდა, რომ მამამ რამე დაუშავა თენგიზის მამას, ან თვითონ სოფელს თავისი მოქმედებით მიაყენა რაიმე ზიანი.“

„შეუძლებელია, ცდებოდეს მამა: მთელი სიცოცხლე სიმართლით უვლია, სიმართლისათვის ცეცხლის აღში გამოუვლია. პატიოსნება სისხლით დაუცავს, ახლა რა მოხდა, ყველაფერი ერთად დაჰკარგა? ვერ დაეიჭრებ, ციდან ღმერთი რომ ჩამოვიდეს, ვერ დამაჯერებს“—დაასვენა. ფიქრი ებნეოდა, ეფანტებოდა, ვერ ახერხებდა გამოენახა საიმედო გამოსავალი. ამიტომ უნდოდა გულისნადები გაემხილა ვინმესათვის, რომ იქნებ ამით ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა განსაცდელის სიმძიმე.

„რა ვქნა, ახლა როგორ შემოძლია შევხვდე თენგიზს; რა უნდა ვუთხრა? არ გაუფხილთ, რაც მოხდა? ეს ზომორგულობა იქნება? ჰო, უნდა მოვერიდო; ხეალ ბებიასთან გადავალ, იქნებ რამე მასწავლოს“—გადაწყვიტა.

მაინც ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაღაც დიდი ღირსების სამოსი შემოაცალეს და შიშველი დარჩა. სადღა თუნდ ერთი ფოთოლიც, რომ მიიფაროს სხეულზე და არ შეირცხვინოს თავი საქვეყნოდ? ბოლოს ფიქრმა დაღალა და მოიქანცა. მის შინაგან არსებაში თითქოს ვიღაც სხვა, უცხო ალაპარაკდა, მას ეკამათებოდა და ეს უხმო პაექრობა გრძელდებოდა დაუსრულებლივ.

„რა თქვა იქლავ თავს, სხვებიც არიან“, ჩასძახოდა ის უცხო ხმა.

„შეუძლებელია; კაცი ბევრია, თენგიზი ერთია. მართო მან გააღო ჩემი გულის კარი და სხვა ველარავინ შემოვა“.

„რა უშლის, ვინ მოგახსენა?“

„მე მოგახსენე, ჩემი ამბავი მე ვიცო მართო“.

„კოტეს სიტყვები არ გაგონდება?“

„როგორ არა, მაგონდება, მარა იქვე დაეპარებ“.

„სად, გულში?“ — ირონიულად შეაპარა იმ უცხო ხმამ.

„არა, მიწაში, გულში რა უნდა, ვინაა ხელი აქვს. ღმერთო, ნურც გამაგონებ მე იმის სახელს“.

„თვითონ მოგაგონებს“.

„არ მინდა, დამეკარგოს, არ ვამეკაროს“ უნებურად ქვითინი წასკდა. გაგუდულივით სტიროდა უხმოდ, მერე გული იჯერა. დამშვიდდა ოდნავ; თითქოს სხეულში ჩადვრილი შხამის ნაყური ცრემლებმა წალეკესო. ცრემლები შეიშრო, მიმოიხედა:

გათენებულყო. დღის შუქს აევსო ოთახი.

მთაზე დინჯად, გულგრილად, ამოდიოდა დიდებული შხე, თავისი ოქროვანი სხივებით დედამიწაზე სიცოცხლის მთესველი.

• • •

გრიგოლის ხმა რომ გაიგონა, თენგიზიც შემტბარი შევიდა ეზოში. ფეხს რაღაც ინერციით სახლისაკენ მიადგამდა. თუმცა მთელი მისი გულისგული იმას მიეპყრო, რას ეტყოდა, როგორ შეხვდებოდა მამა დაგვიანებით შინ მისულ ნანას, სიტყვები არ ესმოდა, თუმცა ხმით მიხვდა, გრიგოლი როგორ ჩავრობდა. ახლა იმასაც მიხვდა, თუ რა იყო ბოლო დროს ნანას ხასიათში მომხდარი ცვლილებების ნამდვილი მიზეზი.

ამან შეაშფოთა და ჩააფიქრა.

აივანზე ფეხაქრეფით ავიდა, რომ მისი შინ მისვლა ჯერ მაინც არავის ეეგო. მოაჩირს დაეყრდნო, გრიგოლის ეზო-სახლისაკენ გაექცა თვალი და სმუნად იქცა.

გრიგოლის კარმიდამოში სიწყინარე იყო.

„იქნებ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა მამაშვილს შორის და მეჩვენება“,—იფიქრა, უხალ იქიდან ყვირილი მოესმა. გულმა რეჩხი უყო და მთელს ტანში შეაზრიალა. თვითონაც არ იცოდა რატომ, ფეხაქრეფით ეიბე ჩაირბინა.

გავიდა ეზოდან, გრიგოლის რკინის ქიშკარს ძვრაც ვერ უყო. რკინის გალიაში ჩამწვედელულ აფთარივით აწრიალდა: ხან აქეთ ეცემოდა, ხან იქით, თითქოს ამოწმებდა, შევძლებ თუ არა რკინის ქიშკარისა და ქვეთყირის კედლის დამსხვრევას, ვადალახვასო. მაგრამ გრიგოლის სახლში უკვე მყუდროება დამყარებულიყო და ეზო-ბაღშიაც ჩქამი აღარ ისმოდა. სახლში შეუქიც ჩააქრეს და თენგიზი შეჩერდა.

კარგა ხანს იდგა სუნთქვაშეკრული. ამ საეკვო სიჩუმეს, შესაძლოა, უფრო საშიში ხმაური მოჰყვესო, იფაქრა და ისე გაიჭრუნა, საკუთარი გულისცემა ესმოდა.

ჩამოვარდნილ მყუდროებას ვერაფერი არღვევდა. ერთხელ კიდევ მოსწია, შეარბია ქიშკარი და გამობრუნდა.

„რკინის ქიშკარი და ქვის კედელი სავანგებოდ ჩემსა და ნანას შორის აღმართა გრიგოლმა“—იფიქრა. შინ მისულა და მოსვენება მაინც არ შეეძლო და ვაჟყვა ქვის კედელს. ათვლიერებდა კედლის სიმაღლეს; ზომავდა თვალთ, მიმოდიოდა, ხელს ისე იქნევდა, თითქოს საკუთარ ფიქრებს ფანტავსო. დიდხანს დადიოდა, იქნებ როგორმე იმ ლამითვე გაეგო ნანას ამბავი, მაგრამ ამაოდ; თენდებოდა, გრიგოლის ეზოში თითქოს ქვასაც ეძინა.

„ახლა აქ დარჩენაც სახიფათოა. უნდა წავიდე“—იფიქრა. ისე უხმოდ და ფხაკარეფით შევიდა ეზოში, თითქოს კაცი კი არა, აჩრდილი მოდისო. ეს აჩრდილი აივანზე ამაღლდა, შევიდა ოთახში და დივანზე გაუხდელი წამოწვა.

ძილმა დაბანგულივით თავი წაართვა, დაიმორჩილა და გააქვავა.

III.

დილით ნანამ დაასწრო მშობლებს, აღრთანად დასტოვა საწოლი. უნდოდა ისე წასულიყო შინდან, მამას არ ენახა. რაც მოხდა ამის გამო, მარტო თვითონ კი არა, მამის მაგიერადაც რცხვენოდა, 1. „მნათობა“, № 10.

მით უფრო, გრძნობდა, მამა როგორ სწუხდა და გმობდა ახლა მათივე სწუხებულს. ამიტომ უნდოდა მარტოდებოდა, უძილობით ფერმიხდილი სახე თუ მიმქრალი თვალები არ დაენახებინა და ამით უფრო არ დაესაჯა უკვე ისედაც დასჯილი მამა. ჩქარობდა, ფუსფუსებდა, ფეხსაცმელ-ტანსაცმელს ნერვიულად იცვამდა. ისე იყო გაბრუებული, ხელიდან ყველაფერი უვარდებოდა. ყურსაც უვადებდა, ხომ არ გამიგესო და ცდილობდა გაესწრო ჩაის პლანტაციებში.

მაგრამ ცდებოდა; ცხრა მთას იქით რომ ყოფილიყო, დედას მაინც შეეძლო წაეკითხა შეილის ფიქრები.

უკვე აივანზე გამოსულ ნანას დედის ხმა მოესმა:

—ნანა!

ნანა ისე მოიბუხა, თითქოს დაპატარავდაო.

—რა იყო, ნენა?

დედა მივიდა. ხელი მოხვია, თვლებში ჩახედა.

—არ გიძინია?

—ვიძინე, ნენა.

—არა, მატყუებ.

—მერე რა, ვიცი, არც შენ გეძინა.

—მამაშენმაც ღამე თეთრად გაათენა. ეყოფა. დაწეკი. იქნებ დიძინო. აღრეა.

—წოლას ვერ ვიტან. წავალ ჩიში გოგოებთან გულს ვადავაყოლებ.

—კარგი, მარა, შეჭამე რამე.

—ახლა არ მინდა.

—მოიცა, შევილო.—ქალაღში შეხვეული საუზმე გამოუტანა და ხელში მიაჩინა.

—ცოტას გაივლი და მოგმივდებ; წაილე.

ნანა ეზოდან რომ გამოვიდა გოგი გოგიძის კარმიდამოსაკენ გახედვაც აკრთობდა. ეგონა, მამა ყველგან იყო, ყველაფერს ხედავდა. მაინც თვალშეპარვით, თანაც გულისტყვილით გაჰხედა აივანს, სადაც თითქმის ყოველ დილით ღიმილით გამოსულ თენგიზს ხედავდა და ამ ხილვით, ვინ იცის, რამდენ-

ჯერ სიამით აძგერებულა მისი გულა. ახლა კი თვალწინ ის ცა ეხურებოდა, საიდანაც დღემდე თითქოს სიცოცხლის შუქი იღვრებოდა, ავსებდა მის სულს... და ის, რაც გუშინ აქ ახარებდა, ახლა სტკიოდა.

აივანზე არაეინ იყო. სიცარიელემ თითქოს გულიც დაუცალიერაო, თავბრუ დაეხვა. მერე თვალმოწყურვით წელში მოიხარა და ფეხს აუჩქარა.

თავის სახლკარს რომ შორდებოდა, მოიხედა, სარკმელთან პერანგისამარად მდგარი, სახეგაფითრებული და რაღაც საგონებელში ჩავარდნილი მამა შენიშნა, ნანას გული შეეკუმშა, შეჩერდა, რაც მოხდა ყველაფერი ჩემი ბრალიაო, იფიქრა; ეს აზრი მხოლოდ ახლა დაადგინა საბოლოოდ და ფეხი მოიკვალა, განავრძო გზა.

აქეთ-იქით თვალს აცეცებდა, მაგრამ გზაზე არაეინ ჩანდა.

მიჰქროდა; ეგონა რაც უფრო გაიქცეოდა, მით უფრო შორს დასტოვებდა ყველა სატკივარს.

მართლაც, სირბილში თითქოს ქარს გაატანა ფიქრები, შეურაცხყოფის, სინანულის თუ იქვის გრძნობა. ვახურებულის სახეც დაუმშვიდა დილის ვრილმა ნიავემა და ხის ფოთლებიდან სახეზე დაცემულმა ნამის წვეთებმა.

გაიარა პატარა ტყე, გორაკიც არბინა და უკვე მზის სხივებით მოოქვრილ ჩაის ბუნჩებში შევიდა.

აქ არაეინ იყო. მოეშზადა, ჩაის კრეფა დაიწყო.

ისე გაერთო, არც გაუვია სხვები როდის მოვიდნენ.

—რა მოხდა, ნანა, ბუდიდან ნაადრევად გადმოფრენილ ბარტყივით რომ დაფარფატებ დილაადრიან?

— დიახ, რამდენი მოუტკრეფია.

— ალბათ, წუხელ ჩაიში ეძინა.

— რომ დაძინებოდა, ვერაფერს მოკრეფდა.

— ჩაი დასიზმრებია და გამოქცეულა.

— ჩაი არა და იქნებ თმაქონორა ესიზმრა.

— თუ დასჭირდება, თმაქონორას ცხადშიაც იპოვის.

— იპოვა და ესაა... *მეცხადი*

ლიწვილები.

ნანა ხმას არ იღებდა; დუმდა და კრეფას განავრძობდა თავჩაქინდრული. როცა ყველა დაწყნარდა, თვალშეპარვით მიმოიხედა:

ქალიწვილებში მარტო ახლად ჯვარ-

დაწერილი ფეფინო არ ჩანდა.

„ფეფინო ბენიერია, რაღა უჭირს.

გაუმართლდა ოცნება, მე კი...“ ამ სა-

განზე ფიქრიც ველარ დაასრულა და

რომ უკან მოტოვებული განსაცდელი

არ წამოწყოდა, ხელაჩქარებით კრეფა

განავრძო. ცოტახნის შემდეგ მინდვრის

სამუშაოზე გამოსული ვაყების ხმაური

მოესმა, წაიყრუა. მაინც იმ ხმებში,

ერთი ნაცნობი ხმაც რომ მოესმა, ამან

აურია თავგზა ხელები აუთრთოლდა,

შეჩერდა.

ეს სისუსტე მალე დასძლია, თავს

შემოუძახა და ჩაის კრეფა განავრძო.

...საღამოს, როგორც ყოველთვის,

ზღვაში ტანდაბანილი ქალები და ვა-

ყები გაუთავებელი ქრიაშულით ბრუნ-

დებოდნენ სოფელში.

ნანა აღარავის ეკარებოდა; თავჩა-

ქინდრული, ხმაგაკმენდილი და მოწყე-

ნილი მიმავალ ქალიწვილებს აფარებდა

თავს, თუმცა გასაუბრებლას იმათთანაც

ერიდებოდა. თანაც თვალს აქეთ-იქით

აცეცებდა, კოტე, ან თვითონ თენგი-

ზი ხომ არ მომიახლოვდა, რომ მოვერი-

დო, გვერდი ავუქციო და გავეცალოო.

შინ ისე მივიდა, არავისთან სიტყვა არ

დაუძრავს და არც მისთვის უთქვამს

ვინმეს რაიმე. იმით კმაყოფილი, რომ

გადავრჩიო, აივანზე დამნაშავეს გამო-

მეტყველებით დამქდარ მამას გაუღიმა

და სამზარეულოში დედასთან შევიდა.

მამის გულს, ამომავალი მზის კაშ-

კაშა სხივებით მისწვდა ნანას ღიმი-

ლი და უეცრად გადარეკა, გააქრო ბუ-

რუსი.

— დედი, ბებიასთან გადავალ; ვნა-

ხავ წასვლის წინ.

— წადი, შევილო, უთხარი დედა-



ჩემს, ხვალ თბილისში რომ გამგზავ-
რებ, მერე მეც ვნახავ.

როცა სამხარეულოდან გამოსული
ნანა ჭიშკრისაქენ გაემართა, მამის ხმა
მოესმა:

— საღ მიხვალ, შვილო?

— ბებიასთან. მალე მოვალ.

„ამისთანა ქალიშვილი ჭვეყნად არ
იქნება; ყველაფერი მაპატია და გამა-
ხარა“— ფიქრა გრიგოლმა. გული ისე
შეერხა, მოულოდნელად, მის თვალე-
ში ცრემლები გაჩნდა. ვაუკვირდა, რო-
გორ უეტრად, გულის ერთი დარტყმით
მოუსწრო ამ ცრემლებმა; სკამზე ში-
მედ დაეშვა და ფიქრს მიეცა:

„ომიდან კი არა, სიკვდილიდან მო-
ვედი, მარა ჩემს თვალს ცრემლი არ გა-
კარებია. ახლა კი...— მის თვალწინ
ათასები იხოცებოდნენ, დიდები, პატა-
რები, ქალები, თუ კაცები. თვითონაც
მძიმედ დაჭრილს სიკვდილის აჩრდილი
თავს დასდგომოდა. — „ვეყოფა, წამო-
დიო“, ჩასჩინებდა. თავისი შავი, და-
ჩონჩხილი ხელებით საღვაც ბნელ უფ-
სკრულში ჩათრევას უქადადა, მაგრამ
ცრემლები არ დასდენია: ახლა კი აქ,
პატარა ნანას ერთი სიტყვა გახდა საკ-
მაო, რომ ამოეხეთქა დღემდე თითქოს
ცხრაკლიტულში ჩამწყვდეულ ცრემ-
ლებს?“ გრიგოლი გამოერკვა. ეზოში
გასულ ცოლს ვადასძახა:

— ანეტა, ნანას კაი ვახშამი დავახე-
დროთ, იცოდე! ხვალ გავამგზავრებ და
საგზალიც ჭირდება.

— ჰო, კაი, გრიგოლ!— დაეთანხმა
ანეტა. თვალეში გაუნათდა, მყისვე
სამხარეულოში შებრუნდა, დაიკლაფა
და დაფაცურდა.

...ნანამ ერთ კილომეტრამდე გზა გა-
იარა და ძველ ჭიშკარს მიაღგა. ჭიშკ-
რის დამშალი საბურავი ზავს დაეფარა.

გააღო ჭიშკარი, შევიდა ეზოში და
ძაღლის ყეფა მოესმა, მაინც ოდასახ-
ლისაქენ წარბშეუხრებლად განაგრძო
გზა.

ძაღლი ყეფით გამორბოდა, თვითონ
კი დღმით ეგებებოდა:

— კეკული, კეკული!

ძაღლმა უცბად შეწვიტყვიტყვი მი-
ვარდა, ფეხქვეშ გაეგო, ყინა შეცდომას
რუნდა და აწყმუტუნდა.

— ვეყოფა, კეკული! ახლა წამოდი,
ბებია ვნახოთ.

ძაღლი თითქოს მიუხვდა და წინწი-
სულ ნანას გამოედევნა.

ნანამ მსუბუქად აიარა კიბის საფე-
ხურები, აივანზე ავიდა და პირდაპირ
ავადმყოფ ბებიას საწოლ ოთახისაქენ
აიღო გეზი.

კარი ფრთხილად შეაღო, რაღაც
შეშინარევი მოკრძალებით შევიდა ოთახ-
ში.

ბებია იჯდა, ფერმიხდილი, სახეგაბად-
რული და ქალაღივით თმაგათეთრებუ-
ლი.

შვილიშვილი რომ დაინახა, თითქოს
ვინმე უჩინარმა მის სულში შუქი აან-
თოთ, დანაოქებული, ბებრული სახე გა-
უნათდა, გაიღიმა, თვალეშიც აუციმ-
ციმდა და უსიცოცხლო ხელები მიაგე-
ბა შვილიშვილს.

— მოდი, ბებია! გაიხარე; შენ არ მი-
ვიწყებ. შენც დაუვიწყარი ყოფილიყო
შვილთა შვილთაგან.

ნანა ბებიას გაძვალტყავებულ ხელებს
დაეტანა, დაჰკოცნა, მერე გულში მაგ-
რად ჩაეკრა.

— როგორ ხარ, ბებია, ხომ უკეთესად?

— როცა აქ მყავხარ, რაღა მიჭირს,
ბებია! ასე მგონია, არასოდეს არაფერი
მტკიებია.

— დედა ხვალ თბილისში გამამგზავ-
რებს და მერე ხშირად შენთან იქნება.

— მომწყინდა, ბებია, ავადმყოფობა-
ზე ცუდი მარტოობა ყოფილა.

— მეც მალე დავბრუნდები და ხშირად
ვინახულვებ, ბებია.

— გაიხარე, ჩემო იმედო.

— ახლა დაგილაგებ, ბებია, საქმელ-
საც მოგართმევ.

— არა, ვჯამე. შენთვისაც მაქვს. ხი-
ლიც ბევრია, უკეთესი რაცაა, შენთვის
ვაგროვებ.

— ახლა არაფერი მინდა, მერე, ბე-
ბია, — უთხრა ნანამ და უმაღლ წამოხტა.

დატრიალდა, მალე მთელი სახლი და-
ლაგ-დასუფთავა; სახლის წინ ეზოც და-
ვავა. ქართლში აბდავლებული ძროხაც
მოწველა. ხბო ეზოში შემოავდო. ხელ-
პირი დაიბანა, დაბრუნდა ბებიასთან და
ვევრდით მიუჯდა.

სიჩუმე ჩამოვარდა; სარკმელზე
ტყვედ ჩაეარდნილი მწერის ბზუილიც
ისმოდა.

ბებიას ნანას აგრე დადუმება არ მოე-
წონა; თვალბში ჩააკვირდა და შეეკი-
თხა:

— ბები, სახე ჩამოგტირის, ხომ არა-
ფერი გაწუხებს?

— არა.

— შენი „არა“, „კის“ მეუბნება. მი-
თხარი რა მოხდა? ვინ იცის, ახალგაზრ-
და ქალის გულში რამდენი რამ ტრია-
ლებს, რამდენი ცა იხსნება და იხურება
დღედაღამეში. გამოცდილება რომ არა
გვოფნის, საკმარისია პატარა შეფერხე-
ბა და ასე გვონია, ილუპება ქვეყანა.

ნანა დუმდა, ხმას არ იღებდა; სუნთ-
ქვა მთლად შეაჩერა და თავიც უფრო
დახარა.

— აა, შე ეშმაკო! მიგიხვდი, ხომ?
რადაც მართლა მომხდარა და არ მიმ-
ხელ; ასე გიყვარს ბებია ხომ?

— მიყვარხარ, ბებია, მარა...

— ჰო, ჰო!

— კი, მარა...

— მაინც რა მოხდა?

— არაფერი, მარტო ერთი შეკითხვა
მქონდა, — და ნანას შეკითხვის მაგიერ,
ცრემლები წასკდა.

— ახლა კი ველარ მომატყუებ, ბებია;
მითხარი სიმართლე.

— კარგი, გეტყვი სიმართლეს.

— ჰო, ჰო, მითხარი, ბებია.

— ერთ ვაჟთან გავლას მიშლიან და
რა ვქნა არ ვიცი.

— აა, — გააგრძელა ბებია. ჩაიკრა
გულში და დაუკოცნა ხელპირი, — სი-
ყვარულს აუღუღებია მაჭარი. მერე რა,
ბებიო; თუ ნამდვილია, ნუ გეშინია:
დღეს თუ ვიკრძალავენ, ხვალ ნებას დაგ-
რთავენ. მოითმინე. ცუდს გეტყვიან.

კარგი, უთხარი. მწარეს ტკბილი აკარე
და გემრიელი გამოვა. *მეზღოცოცხა*
— გააჩნია, ბებია.

— ჰკვიანი და წესიერი ვოგონა უწე-
სოს ვერ მონახავს. ეს ვიცი და გენდობი.

ბასი დიდხანს გრძელდებოდა ბებიასა
და შვილიშვილს შორის. ისხდნენ გვერ-
დიგვერდ და თითქოს წარმავალი საუ-
კუნე მომავალს უტოვებდა მთელი თავი-
სი არსებობის მანძილზე შენაძენ სიბრ-
ძხეს.

როცა მთაზე ამოსულმა ნამგალა
მთვარემ ფანჯრები ააკიფა, ნანა ბებიას
მოეხვია, მხურვალედ დაკოცნა.

— მალე დაებრუნდები, ბებია, შე-
ნისთანა მასწავლებელი არასოდეს მყო-
ლია.

— კარგად იყავი, შვილო, არ დამი-
ვიწყო...

— მოვალ, ბებია!

— ნანა წავიდა.

ბებია ეფემია ახლა იმ კარს აცქერ-
დებოდა, რომელშიც ნანა ვავიდა.

„ღმერთო, გაახარე ჩემი მერცხა-
ლი“ — დალოცა და უმაღლესი თვალი ცრე-
მლით აეცსო.

დრო შეუმჩნევლად გასულიყო; და-
ვაგვიანეო, — ფიქრობდა ნანა და გარ-
ბოდა შინისაკენ.

„ბებიარემი სიბრძნის წყაროა და
არასოდეს შეცდება“.

„რა იქნებოდა, მამაც ისე ფიქრობ-
დეს, როგორც ბებია?“ — და უკვე სევ-
დის ბრჭყალებმა გააკრა მის გულს.
ფიქრობდა და მიჰქროდა.

— ნანა! — შემოესმა და მოიხედა.

ჰიშვართან მდგარი თენგიზი დაინახა
და შეცრად შედგა.

— აა, შენ ხარ, თენგიზ?..

— სად დამეკარგე? რამდენი არ ვე-
ცადე, ვერსად შეგხვდი. მერე მივხვ-
დი, შინ არ იყავ და აქ დაველოდე. რა
მოხდა?

— არაფერი. ბებიასთან ვიყავი.
ხვალ თბილისში მივემგზავრები და ვი-
ნახულე. შენ კი ზეგ წამოდი, ნახვამდის,
თენგიზ!



— შოცა, ხახა!

— ახლა არა ღირს. გვიანაა. თბილისში დავხვდები. — მიაძახა და გაეცალა.

სახტად დარჩენილი თენგიზი ადგილზევე გაშეშდა. მარტო ნანაზე კი არა, თავისთავზედაც გული მოსდიოდა: მთელი ის საღამო აქ ელოდებოდა, ნანა კი წუთითაც მასთან არ გაჩერდა; ორიოდ სიტყვით მოიგერია, სასწრაფოდ გაბრუნდა და მიეფარა.

მეორე მხრივ თენგიზი გრძნობდა აქ მშობლების ხელი რომ ერია და გული შუაზე ეყოფოდა. ახლა გრძნობდა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო წინააღმდეგობამ როგორ გააძლიერა ნანას მიმართ მისი გრძნობები. და უბრალო, მუდამ თვინიერი, უწყინარი და მგრძნობიერი გოგონა როგორ ამაღლდა, შეუღარებლად მიმზიდველი გახდა მის თვალში.

თენგიზს არასოდეს იქვი არ შეპარვია ნანას პირუთვნელობაში, გულწრფელობაში, მაგრამ მაინც იმ საღამოს, ნანასთან შეხვედრის შემდეგ, როცა მას პირველად შემოესმა ნანას თითქოს ცივი სიტყვები, რაღაც სხვა იქვებიც დაეხადა თენგიზს და ზოგჯერ კოტესთან ერთად მიმავალი ნანა ეჩვენებოდა, ზოგჯერ პირიქით; სწორედ იმიტომ უფრო უყვარდა ნანა, რომ ყოველ ვაქს, მათ შორის კოტეს, გაურბოდა, არ ეკარებოდა და მუდამ მხოლოდ მისკენ, თენგიზისაკენ ეკირა თვალი. მხოლოდ მასთან მიქჟანდა გულის მთელი სითბო და სპეტაკი, უნაზესი გრძნობები. ამას ემატებოდა შეშფო-

თება ნანასა და მის მამას შორის მთლიანად უსიამოვნების განქანსთან დაკავშირებით და, ისიც მისი, თენგიზის მიხეზით.

„დღეს მიემგზავრება, ვინ გააცილებს?“ — ამ მოულოდნელმა კითხვამ რატომღაც შეაშფოთა. გრიგოლის კარმიდამოს გაჰხედა. თითქოს იქ, აი, ახლავე, შექმლო დაენახა ვინც მიაცილებდა ნანას. გრიგოლის ციხეგალავანში ჯერ არავინ ჩანდა.

IV

საოცრად გამჭვირვალეა შემოდგომის ცა, განსაკუთრებით სოფელში, უფრო კი მთაში, სადაც ადამიანის ჭაჭანება არაა და თავისთავს თვითონ ბუნება განაგებს. მზიან ამინდში ლურჯზე ლურჯი ცა, დამწვინებულ, თითქოს რაღაც განცხრომას მიცემულ დედამიწას თავზე ქოლგასავით ჩამოუხურავს და ნიავის ქროლვაზე იშვიათად თუ ამოისუნთქავს ზე დარბეული, იქნებ იმიტომ, თავისთავსაც მოაგონოს რომ ცოცხალია, — ზრდა-გაფურჩქვნა თუმცა დაამთავრა, მაგრამ არ მომკვდარა.

შემოდგომის ოდნავ მიძინებულ, დაღუძმებულ, მშვიდი ბუნება, ადამიანებსაც ამშვიდებს, აღუძმებს, თუმცა ვერ აძინებს, რადგან ბუნების კანონებს არ ემონება, გაურბის, ებრძვის, რომ ყველგან, ყველგან დაიცივას, განამტკიცოს, დაამკვიდროს თავისი უფლება და ცხოვრება.

(გაგრძელება იქნება)

თამაზ ჭილაძე

• • •

ვინ ამოტვიფრა ქვეზე ჩიტები
და ვინ დამიფრთხო ეჭვი წყეული,
რომ ზეციური ცეცხლის, ზვირთებით
არ დაიწვება ჩემი სხეულიც.

ვინ ამოტვიფრა გრანიტზე ფრთები,
ვინ მომაწყურა ფრენა და ფრენა,
წვიმით და ქარით, მზითა და მთებით
ვინ დამიტყვევა თვალი და სმენა.

და ვინ დამპირდა სიტყვას იღბლიანს,
რომ გასკდეს ჩემი გული მღუმარი,

ქვეზე დამშულო, ჩიტო ნიბლია,
ოცნებასავეით ხარ იღუმალი.

მსუბუქი, როგორც თეთრი ღრუბელი
აი, აფრინდა ჩემი სხეულიც,
აი, მიფრინავს, როგორც ღრუბელი
დაბრმავებული, გზაარეული

და მაინც მთვრალი და ბედნიერი,
მიდის, მიფრინავს და მთებს ედება
და მზეში მღერის, ჩემზე ძლიერი,
ჩემი ფიქრი და სულისკვეთება...

• • •

მე გაზაფხული ვიგრძენ წუხელის,
გაკრთა ჯერ კიდევ გაუმდნარ თოვლზე,
ღღეს კი გაავსო ქექა-ქუბილით
საყვირი,
სტამბა,
რადიო,
მორზე.

გამიხსნა მკერდი და შიგ ჩარჩენილ
თოვლის ნამკერებს მზე წაუკიდა,
გადმომაწოდა ოქროს ბუკები
იმ თავბრუდამხვევ სიკაბუკიდან.

და ხომალდით უზარმაზარი,
გული ახალი აფრით აზიდა,

ამომიყვანა აურზაური
თოვლის ძილიდან და სინაზიდან.

და მომაგონდი...
თართოდნენ ქუჩები,
ქარს რტოებივით ცაში ავქონდით,
რამ გაგაჩუმა, რამ გაგაჩუმა,
არ გახსოვს, რაზე ვლაპარაკობდით.

და მომაგონდა...
და ცა დიდია,
მინდა მიყვარდე და არ ვფიქრობდე,
და გაზაფხულში ისე მივდივარ,
თითქოს მაღალი დროშა მიმქონდეს...

• • •

ახლა ცაცხვები ყვავიან ყველგან...
შენ აღებ სარკმელს და ყვავილებით
ივსება შენი კამკამა სული,
ვით ნაკადული გაზაფხულისას.

ქალაქის თავზე, მოწმენდილ ცაში
ბზუის ფერტმფრენი...

უზარმაზარი, ლითონის მწერი...

დაბლა, ბიდეზე და მოედნებზე
გადადის ხალხი
და ხალხთან ერთად
მისი დიდი,
ცაცხავა ჩრდილი...



და თუ ვერ მნახავ, არ შეძებო,
რადგან ჩემს საეალს
და რადგან ჩემს გზას მე თვითონ ვეძებ.

და შეიფარე, გაზაფხულო ჩემი, ტყეში,
როგორც კარებზე მოგდგნულნი
ნიშველი ბავშვი.

ც ე ც ხ ლ ი

ცისკარის გუთნებით გადაზნულია
სული და ხნულში ღვივის მნათობი.
აქნებ სწორედ ის გაზაფხულია,
შე რომ მწყუროდა, ძე რომ
ენატრობდი.

ო, ღმერთო ჩემო, რამხელა ცაა
და ნუთუ ეს ცა გულით ვატარე?!
ამხელა ცეცხლი, ამხელა ცეცხლი
როგორ მანდე და გამომატანე?!

• • •

გრანიტების მიღმა
ნაწვიმარი ბალი,
დარბების ბადე,
სებასტიან ბახი...

შეძინა და, ღმერთო,
გამალვით აღრე,
სანთელივით შენთო
მიწის სიღიადე.

გრანიტების მიღმა,
გრანიტების იქით,

რაინდების ნიღბით
და სამრეკლოს ჭიქით
ჩანს ქალაქის ლანდი...

და ორღანის ხმაო,
მღეროდი თუ მკლავდი
ერთადერთი მცველი
და მსმენელი გყავდი...

მღეროდი თუ მკლავდი
და ქალაქის კედლებს
აწყდებოდი დარდით.

მეზანე მდინარე

3. ანტოკოლსკის

მოსკოვის ახლოს, პატარა სახლში,
არყის ხეებში ჩამალულ სახლში
ერთი მოხუცი პოეტი ცხოვრობს.

დიღით ისეთი მწვანეა ღვინა!
და ბრწყინავს, როგორც ბოთლის
ნამტვრევი,
ისლში მდინარის პატარა ტოტი.

მტვრიან ბილიკზე მიდის პოეტი,
სიცხეში მწვანე მდინარე სუნთქავს.

და განაბული, თეთრი ღრუბლები
გვანან ანტიურ თეატრის ნანგრევს...

მინდორში გოგო დასდევს პეპელას,
მაღალი, თეთრი და ფეხშიშველი...

გოგონა დადის თითისწვერებზე,
თითქოს თეატრის კიბეზე აღის.

ნუთუ არ გვხვს, პა, ჩემი გული,
ეს მოცახცახე, სუსტი ნათურა
სიჭაბუკეს და სიბერეს შუა.

და დაღუპებულ იარუსებზე
შენ გაანათე ის სახეები,
რომლებიც დიდხანს ბელოდნენ, ალბათ.

და ჩემი შვილის ნაომარ მხრებზე
გამოაღვიძე მისი ვარსკვლავი.

მაღალო გოგო, რძალი ხარ ჩემი,
ომში დაცემულ შვილის საცოლე.

მაღალო ცაო, ფიქრი ხარ ჩემი,
ომში დაცემულ შვილის სიზმარი.

ო, როგორ ბრწყინავს მწვანე მდინარე,
ჩემი სულიდან გადმოდის თითქოს...
ამ შუადღეში და ამ სიცხეში
ნარბენ კაცივით სუნთქავს სიცოცხლე...

ვილნიუსში დგას სახლი, სადაც ცხოვრობდა ადამ მიცკევიჩი

ცაში, ვით ტბაში,
ტივტივებს ლიტვა
და ჩემი ფიქრიც
ცისაკენ ილტვის,
სიტყვა, ვისგანაც
არ უნდა ითქვას
ასე მგონია,
ვერაფერს იტყვის,


თუ არ იგრძენი
ეს ნაზი კრთომა
და ვილნიუსის
ცაცხვების სუნი
და მთვარე, მთვარე—
ცისფერი თოვთა
უსპეტაკესი.
კამკამა სულის.

ქალაქის თავზე
წკრილალებს „ანა“,
ლამე ცისკარში
გადააქვს ბორანს,

ღრუბლებში მკრთალდ
ალეგები ჩანან
და მიცკევიჩის
ბუბარი ბოლავს.

ეს ვილნიუსის
ზაფხულის სუსხი
წაჰკიდებია
პოლონელ სტუმარს,
თითქოს ქალაქიც
ჯიუტად უხსნის,
ციხის კოშკები
თუ რატომ დუმან.

მე კი ამაოდ
ველოდი დიდხანს
გამობრწყინებას
უთქმელი სიტყვის.
ცაში, ვით ტბაში,
ტივტივებს ლიტვა
და ჩემი ფიქრიც
ცისაკენ ილტვის..



ს ა ყ ვ ე რ უ რ ი

15

სახლში ფოსტალიონმა სოფლსაბჭოს მდივნის ხელმოწერილი წერილი დატოვა.

აღბათ, რაიკომი იბარებს, სადმე სამსახურს მისცემენ. ჩემი შვილი ხელმძღვანელი იქნება. დაინახოს ხალხმა, დაინახოს ვინც ვყოფილვარ... ფიქრობდა დაუთი. წერილი გულის ჯიბეში ჩაიდო. მერაბს თვითონვე გადაეცემო.

ფიქვის წიწვებში გატრილი მზის ყვითელი სხივი სიმინდის მარცვლებივით იფანტებოდა ეზოში. დაუთის სახლის დიდი, ბრტყელი ჩრდილი ყანაზე წაქცეულიყო და დაბალი მუნის ჩირგვებიც ღელემდე დაეფარა. დერეფანში, იქ, სადაც მოხუცის ყაბალანი ეკიდა, მერაბმა ორი მოკლე ლამფით მოქედილი მაგიდა დადგა. ამ მაგიდასთან იჯდა ახლა ეუუენა და რვეულებს ასწორებდა. დაუთი ბოსტანში ჩასულიყო და ლერწებგამხმარ ლობიოში ხაშრებს აძრობდა, რომ ყუღრეში შეეხიდა და მომავალი წლისათვის შეენახა.

ვილაყამ ლობესთან ჩაახველა. ვერც კი მოასწრო დაუთმა შეხედვა, რომ თოფან საღვარიძემ გადასძახა:

— შენსაში მუშაობა ხომ შეგიძლია! კოლექტივში გეზარება, თვარა...

— როცა შემეძლო, ვმუშაობდი, შენ კარგად იცი, თოფანავ, რატომ მომჩემბინხართ ამფრათ!.. სამოცდაათში ვარ, ძიავ.

ამას ელოდა თოფანაც: ჯერ შეეშინებია დაუთი, მოელუნა და შემდეგ კი ეთქვა ის მთავარი, რისთვისაც ახლა ჩამოიპარა.

ლობეზე გადახტა და ბოსტანში ჩავიდა.

— დაუთავ, შენ ძველი კაცი ხარ და მიხედები... აჰა და, ყურბანს ვეღარ ვკლავთ, დევიწვით ასე. ეგ მერაბი ცოტა ჰკვავზე შეიყვანე... — და მოუყვა ყველაფერი, იმ საღამოს რაც მოხდა, არტელის ხარი რომ დაატოვებინა მამა-შვილს.

— ხუთი-ექვსი წელიწადია სასწავლებელშია კაცი და ახლა კიდო მე მევიყვანო ჰკვავზე? არა, ძიავ, არა. ის ჰკვავზე მოყვანილია. ჰკვავზე თქვენ მოდიო, თქვენ... თოფანი სულ არ ელოდა დაუთი თუ ასე უპასუხებდა, ინტიბარი მაინც არ გაიტება.

— დაუჩემებია შენს შვილს, არხი გაშევიყვანოთო გელაურის ღელიდან. არც თავმჯდომარე, არც მე ამის თანახმა არ ვიქნებო. ხომ იცი, დაუთავ, ჩემი ბიჭი ფულურაძეების ქალს თხოულობს. ისინი ქალს აღარ გამომატანენ, ჩვენ რომ წყალი წამევიყვანოთ. რათ გინდა, რომ შენმა შვილმა ბელას გადაჰკიდოს. დალუნეთ თავი და ვიყოთ მეზობლები. მართლა ხომ ცას არ გამოვეკვრებით; მოკვდეთ უნდა ხომ? — კეფა მოიფხანა და დასძინა, — დაუთავ, რასაც გეუბნები, ეს მარტო ჩემი ჰკვის არ გეგონოს. — ილიას ჯაბინიძეც ამას ამბობს. ვითამ ჩვენზე უფრო ჰკვიანია მერაბი? ჩვენც ვიციო, წყალი რომ საკმარი იყოს, საკრეთი რას დაემსგავსება, მარა რად გინდა. წყალს გამოიყვან, მთავრობა დაინახავს, მიწები ირწყვებო, გვემებს მოგიმატებს. ამ ყრალი თუთუნის ზიფირში ხომ არ ამოვანჩრობთ ბალნებს.

— კი, მარა რას ფიქრობთ აბა, ცხოვრება აღარ გვინდა?... — გაოგნებული შეეკითხა დაუთი. საქმე მიატოვა, წელში გასწორდა.

— რომ დაინახევენ, აღარაფერი მოდისო საკირეთში, იტყვიან აღარ ღირსო აქ ცხოვრება და კაი აღვიღებს მოგვეცემენ, მანდარინის ბაღებით, ზღვის პირზე...

„ზედავ, რანაირი გეგმა ჰქონია. არა, შიშშილით რომ გავწყუდე, საკირეთიდან არსად წავალ“. — თქვაობდა მოხუცი.

— თქვენი თქვენ იცოდეთ... — თქვა და წავიდა თოფანი.

მზე ჩასული იყო, როცა მერაბი შინ დაბრუნდა. წინდები და ფეხსაცმელები სულ მიწით გასვროდა. სახე ჩაღას და ეფხაზუნა. ხალათი უფრო შემოხეოდა.

სოფლსაბჭოდან მოტანილი ბარათი წაიკითხა.

— ბათუმში მიბარებენ, სოფლის მეურნეობის სამინისტროში. — თქვა.

გადაწყვიტა, ამაღამვე გამგზავრებულყო.

კარებთან რომ მივიდა, რატომღაც შეჩერდა, ჯიბეებზე ხელი მოისვა და მამას შეხედა.

— ბაბავ, რამე ფული ხომ არ გაქვს, გზაში დამპირდება.

შეწუხებულმა დაუთმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

ქუჩუნამ რვეულების სწორება მიატოვა, თავის ოთახში შეიბრინა და მალე ეზოში გასულ მერაბს დაეწია.

— მერაბ, ძალიან ვთხოვ. ეს წერილი ბიძაჩემს გადაეცი ბათუმში. მისამართი შიგ არის... — და პატარა, ოთხად, გაყვანილი რვეულის ფურცელი ხელში შეაჩეჩა.

— მერაბმა უსიტყვოდ გამოართვა ქალაღი და გულის ჯიბეში ჩაიდო.

სანიკიძის ეზოს რომ ჩასცილდა, ქუჩუნას გამოტანებული ბარათი ჯიბიდან ამოიღო და მისამართის წასაკითხავად გახსნა.

მაგრამ შიგ წერილის მაგიერ ორი სამამანეთიანი აღმოჩნდა. გაეღიმა, ჩუმი მადლობა უთხრა ქუჩუნას. ფული ჯიბეში ჩაიდო. ქალაღი უნდა გადაეგდო, მაგრამ თითქოს დაენანა და ისიც შეინახა.

ღღე უფრო და უფრო მუქდებოდა. მთის წვერებზე ქილოფივით გადაფენი-

ლიყო ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები.

იმ საღამოს სოფელში მოძრავი კინო ამოიტანეს.

ვეებერთელა დაქმუქნილი თეთრი ტილო, რომელსაც შუაზე ფართო განაკერი ეტყობოდა და საკმაოდ ჭუჭყიანიც იყო, სკოლის კედელზე გაკიდეს ეზოს მხრიდან.

კლუბი არ იყო, მაგრამ ასეთ სიციხეში მაინც გარეთ, ცის ქვეშ სჯობდა ყოფნა. კინოტექნიკოსი თვითონვე ჰყიდდა ბილეთებს კიბის ძირას.. მოსულთა შორის მეტწილად ბავშვები იყვნენ.

ბოლოს მოზრდილებიც გამოჩნდნენ, მაგრამ სულ მამაკაცები.

გლებები მოდიოდნენ კენტ-კენტად, უბნაუროდ, პირში გამოჩრილი ცეცხლმოკიდებული „ჭიგარებით“.

კინოტექნიკოსი წამოდგა და ჩამოვლა დაიწყო; ბილეთებს ხელში აჩეჩებდა, ფულს ითხოვდა, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე გადაიხდიდა. არ წამომიღიაო, — ამბობდა უმრავლესობა. ბოლოს ხელი ჩაიქნია, თავი მიანება და აპარატთან გაძვრა. იქ ბავშვები შეჯგუფდულიყვნენ, ხელს უსვამდნენ, აპარატს ყოველი მხრიდან უჭკვრეტდნენ და ზოგიერთი სუნავდა კიდევ.

ტექნიკოსი საბძლის კარივით დაბალი და ბრტყელი იყო. როგორც კი მისი მოახლოება იგრძნეს, პატარები ხმაურით გაიფანტნენ. ტექნიკოსი ისევ მოსცილდა აპარატს, ძველი ყორის ნანგრევს გადააბიჯა და გზაზე ჩავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ქვემოდან მოისმა გაბმული თახ-თახი ძველი ღინამიკისა. ისეთი ხმითა და ისეთი მოწადინებით გუგუნებდა, ვითომ მთელი ღელამიწა უნდა გაენათებია.

ტექნიკოსი ისევ აპარატთან გაჩნდა, იმწამსვე იფეთქა ეკრანმა და მთელი ეზო თითქოსდა საესე მთეარის შუქით განათდა.

— სანამ ყველა არ ეიღებს ბილეთს,

კინოს არ დავიწყებ! — განაცხადა მან ძღვემოსილად.

ცოცხალი ეზო შეიშმუნა, ყველა მობრუნდა, ზოგიც წამოდგა და ელექტრონით გაბობილ ჰაერში ბღუჯა-ბღუჯად ამართა თეთრი ბული.

ამ დროს ტერანის ფონზე ვებერთელა ფიგურა გამოჩნდა, იგი შეჩერდა და თავისი მრისხანე დუმილით ყველა ჩაახუმა: ეს იყო თავმჯდომარე, ილიას ჯანბიძე. მის გვერდით ერთი პორტფელიანი ჩოკაცი იდგა.

— ამხანაგებო, ვისაც ფული არ აქვს, მისი შრომადღის ანგარიშიდან კოლექტივი გადაიხდის. ახლა, კინოს დაწყებამდე, ლექციას წაგვიკითხავს ქალაქიდან მოსული ლექტორი, ამხანაგი...

— ჩხენკელი, ბატონო. — მიაგება მოსულმა.

— ჰო, ამხანაგი ჩხენკელი. მოვუსმინოთ და თუ რამეს ვერ გვიგებთ, ვკითხოთ ბოლოს.

ლექტორის წინ მსავეით წვრილი და მაღალი მაგიდა დადგეს. მაგიდაზე ნაგეთის ანთებული ლამფაც განჩნდა, ამიტომ ტექნიკოსმა თავისი ბაქი-ბუქა დინამიკი ჩაახუმა.

ჩხენკელი თავმჯდომარისაკენ გადაიწია, ყურში რაღაც უთხრა, მერე გაზეთის ნახევრეც წაუწერა და ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა.

— ჰო, თემა... თემა ძალიან საინტერესოა: „მერეში მომავალი არქეოლოგიური გათხრებისას მოსალოდნელი აღმოჩენების საკითხისათვის“. — განაცხადა ილიასმა.

უკან ვიღაც ორი კაცი ადგა და გზისაკენ მიბრუნდა. ერთი მათგანი მერაბის შიშა დაუთ ხაბაზი იყო.

— ვინაა ის, რომ მიდის? — იყვირა ილიასმა.

დაუთი მიბრუნდა:

— მე ილიზიონზე საყურებლად მუცედი. ეს რაა!

— კინოს დაწყებამდე ლექციას მოვუსმინოთ, რაა ერთი საათი...

— მე ილიზიონზე საყურებლად მუცედი. — არც მიბრუნებულა, გადააღა-

ჯა იმ ძველი ყორის ნანგრევს დასწავიდა. ზოგი სხვაიც გაიბნა. ზოგიც სინათლესთან ახლო იჯდა, ადგილიდან ვერ დაიძრა.

ილიასმა მრისხანე თვალები გააყოლა ბნელში მიმავალ დაუთს.

ნური ბერიძე ლექტორისკენ ზურგშექცევით იჯდა და ჩაბა-ჩუხით რაღაცას უყვებოდა ორ კაცს.

ისინი მალული სიცილით უსმენდნენ ნურის.

— მომარჩემდა, მანდამინც მომე ხუთი მანათიო, — ამბობდა ვიღაცაზე ნური. — ვუთხარი, რატომ-მეთქი, ვალი მაქო. მე ვუთხარი, ხუთ მანათიან ვალებს მე არ ვარიგებ-მეთქი. იცოდე, კილო დაგპირდები და შენ თვითონ წააგებო. მეც გავდილობორდი და, თითი მკარცხვირში-მეთქი, ვუთხარი, მეგრე გამომეკიდა საცემად, მარა ქვიშარდულასავით გადავზუზუნდი სარებზე...

ლაპარაკის აზარტმა იმატა და ხმაც აიწია, ამიტომ ბოლოსდაბოლოს თავმჯდომარე გაჯავრდა.

ნური შებრუნდა, გასწორდა და გაჩუმდა. ლექტორი უკვე ეშშში შესული იყო, მაგრამ ნურის ერთი სიტყვაც არ გაუგონია. იქ, მაგიდასთან ახლოს, ძელსკამზე მჯდარი ზაირა დაინახა.

დაინახა თუ არა, ნურის უცნაური სურვილი დაეხადა. ეს გრძნობა ჯერ შორეული და ბუნდოვანი იყო, თვითონვე უკუაგდო იგი, მაგრამ საბოლოოდ მინც ვერ მოიცილა. თითქოს შეეცოდა მართო მჯდარი ზაირა. ფარული სურვილი ძლივს გაუმხილა საკუთარ თავს: „რატომ არ შეიძლება ჩემი ცოლი გახდეს? რაც არ უნდა იყოს, ქერივი ქალია; არ მიკადრებს თუ? ოჰ, მე თუ ვიკადრებ...“ ზაირა წყნარად იჯდა, უკან ერთხელაც არ მოუხედავს, მუხლებზე პატარა ნუნუკი დაესვა.

ამ დროს ზაირამ რატომღაც უკან მოინებდა და სწორედ ნური ბერიძეს შეხედა. თითქოს მისი ყველა ფიქრი გაიგონა. შეხედა და ისევ მიბრუნდა. ნურის გულიდან ცხელი ტალღა დაიძრა და ხანძარივით მოედო მთელ სხეულს:

თავმჯდომარემ ოდნავ წამოიწია და ეზოს თვალი მოავლო. უბის წიგნაკი ამოიღო, რაღაცა ჩაინიშნა.

ნური ბერიძე ისევ უკან შებრუნდა, თითქოს ზიარასაგან უარი მიიღო, ეწყინა და გულდაწყვეტილი და დამცირებული ჩააშტერდა მოლზე დაბჯენილ თავისაკვე ხელს.

სიცილის გუნებაზე აღარ იყო, მოიწყინა. მერე გადაწყვიტა, ხეალ ზიარას სახლთან გავივლო, რამეში მივეხმარებო.

როცა კინოსურათის ჩვენება დაიწყო, ნური მაინც სხვა რამეზე ფიქრობდა, მაგრამ თავისთავს საიდუმლოდ პირდებოდა, ამ უცნაურ წუთებს ხელმოორედ აღარ გაიხსენებდა.

ის დაემგვანა ადამიანს, რომელსაც დიდი ხანია უყვარდა ქალი, მაგრამ დაპყარვა და ახლა ასე სინანულით იგონებს თავის ნაღვლიან წარსულს.

კინოს გათავებას ცოტა აკლდა, როცა ნუნუკია ატირდა, ზავში რომ ვეღარ დააწყნარა, ქალი წამოდგა და პირდაპირ შინისკენ გაემართა.

ნურიც უნებურად წამოდგა, ყორეს გადაახტა და უკაცრიელ თეთრ გზას გაპყვა თავისი სახლისკენ, რომელიც მოპირდაპირე მხარეს იყო, მაგრამ ისევ შეჩერდა და ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ უკანვე გამობრუნდა, სკოლის ეზოს ჩაუარა და ზიარას ჭიშკარს მიადგა. კარის ხმაური გაიგონა — ალბათ, ქალმა მიიხურა და ჩაქეტაო, — გაიფიქრა.

მაგრამ ვინ არის, რომ მიყუდებულა ჭირკვიით კარებს! ჭიშკარს მოსცილდა. ერთხანს გზას გაპყვა ფეხაკრეფით, გულმა აღარ მოუთმინა და გადაღმა ეწრებიდან ისევ ეზოს მიუახლოვდა. შავი ლანდი კვლავ იქ იდგა და არ კი ინძროდა.

კარებზე კაკუნი განმეორდა.

„ერთი ხმას ამეიღებდეს, კი ვიცნობ, მარა...“ — ნატრობდა ნური.

— ზიარა, გამიღე, გო, კარის.. ხომ არ შეგვამ, — შეუძახა ოდაში უცნობმა. თუმცა არა, იგი უკვე აღარაა უცნობი.

ნურიმ პირველივე სიტყვებზე იცნო სკოლვარიძის ბიჭი, ქამილი. უცნობი რომ არაა, კარი არავეინ ვალო. ქამილი რომ აღარ მოეშვა, დიასახლისმა პატარა ფანჯარა გამოალო გზის მხრიდან და აღშფოთებით გამოსძახა:

— წაეთრე, თვარა თელ სოფელს შევყრი! შე, მურდალო, უნამუსოვ! ვის უკაცუნებ შევადამიხან, თუ იცი, აა!

— ზიარა, ცეცხლს მოგიკიდებ, ასე იცოდ!

— მომიკიდე, პო, მომიკიდე! ეგ მაკლია ერთი... მომიკიდე!

— მერაბას ჭინაზე მაინც ჩემსას ვიზამ.

მერაბი? მერაბი რა შუაშია. — გაიკვირვა გულში ნური.

ზიარა ტიროდა, ხოლო მისი პატარა გოგონა, ალბათ, შეშინებული და გაკვირვებული შესცქეროდა დედას.

ნურიმ ვეღარ მოითმინა და პირდაპირ ქამილისაკენ წავიდა, მაგრამ ახლო მისვლა და რაიმეს თქმა ვერ გაბედა. გვერდით ჩაუარა, ჩაახველა და ამით მაინც დააფრთხო, აბეზარი რაყიფი.

17

მერაბი მინისტრის კაბინეტში იღდა. კაბინეტის ორი ფანჯარა ზღვას ვასცქეროდა. ოთახში მლაშე ჰაერი იდგა. ღია ფანჯრის მინას ახალამოსული მზე აერეკლა, სქელი, მკვრივი შუქი მინისტრსა და მერაბს შუა ძელოვით გაედლო. ამიტომ მოსაუბრენი ერთმანეთს კარგად ვერც კი ხედავდნენ.

კარი გაიღო და ტანწვრილი, შავკაბიანი გოგონა შემოცქერიალდა. მისი შიშველი, თეთრი მკლავებისა და ყილოს დანახვაზე, მერაბს ყრუანტელმა დაუარა და ისეთი რამ გაიფიქრა, რომ შერცხვადა ოდნავ შეიშმუნა.

— ვანიძე!.. — უთხრა მინისტრმა ისე, რომ არც გაუხედავს მისკენ. — თქვენ ყოჩალი ბიჭი ყოფილხართ, საქმე გყვარებით, — მიუბრუნდა შემდეგ მერაბს. შემოვიდა ის მოხუცი, რაიღმასკომში რომ გაიცნო მერაბმა, მინისტრს თავი დაუქნია, ხოლო მერაბს ხელი ჩამოა-

როვა და მის პირდაპირ სკამზე დაჯდა. ესე იგი, ეს ვანიძე ყოფილა, — დაადვინა მერაბმა.

— თქვენ ამ ამხანაგზე ამბობდით, ისიდორე, ხომ?

— დიან, ეს იყო. ადგილობრივი კადრია, ახალგაზრდა, ნიჭიერი, საქმიანიც მეჩვენა... მერე დადასტურდა კიდევ გამოდგება...

— ჰო, ასეთი ამბავია, ამხანაგო მერაბ, უნდა დაგნიშნოთ ჩვენი სამინისტროს განყოფილებაში, — განაცხადა მინისტრმა საზეიმო ტონით და, დარწმუნებულმა, რომ ახალგაზრდა კაცი აღტაცებული იქნება ამ ამბით, პასუხს დაელოდა.

— მე? სამინისტროში?..

მოხუცმა ისიდორემ ახლოს მიიწია, რომ თავის ამორჩეულ კანდიდატს დახმარებოდა პასუხის გაცემაში.

— დიან, სამინისტროში, — უთხრა მან, — ჩვენ ადგილობრივი კადრები უნდა დავაწინაუროთ...

„რას ნიშნავს „ადგილობრივი“. ყველა რომელიმე ადგილის შვილია, თუ კაცად ვარგა, დაწინაურდეს, თუ არა და... მხოლოდ ამიტომ თუ უნდევარ სამინისტროში, მაინც არ ღირს, და ესაა“... — ფიქრობდა მერაბი.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, მეტი გაჩუმება აღარ შეიძლებოდა.

მინისტრი ფეხზე წამოდგა, მერაბს მიუახლოვდა და ოდნავ გაჯავრებულმა უთხრა:

— ეს უკვე გამოუცდელია, ასეთ რამეზე ამდენს რომ იფიქრებენ!

მერაბი დაიბნა, რა ეთქვა, არ იცოდა. ეს არ იყო ცუდი მისთვის. წინ დიდი, ლამაზი გზა იშლებოდა. მაგრამ მას სულ სხვა მიზანი ჰქონდა. ასეთი რამ ვერ გაითვალისწინა, თორემ იმ „მიზნებს“ არ ჩააცვივდებოდა. ახლა რაღა ქნას, როგორ დატოვოს ობლად იმდენი ხნის ნაფიქრალი, იმდენი ხნის... ერთ წამში ოცნებით მოიბრინა საკირეთი, თითქოს სოფლისათვის უნდოდა ეკითხა, როგორ მოვიქცეო. არა, ჯერ ვერ მია-

ტოვებს. რაღაც კიდევ აწვალენ. მაგრამ ვერ მიხვდარა რა. შერქნენ...

ფიქრის სიღრმიდან ზარინა სამეცნიეროდა მისი თვალები რაღაცას თხოვდნენ მერაბს და თანაც... თითქოს საყვედურობდნენ.

ზაირა, სოფელივით ახლობელი. საყვარელი და გასაგები...

გახსენდა მამა, მოხუცი მშობელი, ძველი კაცი, მიწას შეებერებული, ერთი შვილის შემყურე. გაახსენდა ყვითელი, უნაყოფო იელუბი, საქორიათის გზაბაწრები, გაფუჭებული ელსადგური, ყურბნად დაკლული კოლექტივის ხარი, გამოფშვიკული ყანები, მიტოვებული მიწები, ყავარგადაძვრალი ნალიები, წყალნაკლული რუები, გაჭირვების გამო ზღვისპირს გადასახლებული მეზობლები და მათი დაცარიელებული სახლები და იგარძნო, რომ ის, ვინაც ეს ყველაფერი იცის და ყველაფერს ამას ხედავს, და ხელიდან რაღაც გამოუვა, არ შეიძლება მეზობლებს გაექცეს, არ შეიძლება წავიდეს, სოფელში არ დარჩეს მანამდე. სანამ...

აქ რამდენიც გინდა არის საამისო ხალხი, სოფელში კი ერთი გამოგჩნდი, ან ორნი ვართ. ჩვენც რომ მივტოვოთ, ვინა ეპატრონება. ვინ გამოაჩენს, ვინ გამოიყვანს სიბნელიდან?

— მადლობელი ვარ!.. ეს დიდი დაფასებაა, მაგრამ მე ვერ გადმოვალ. მე სოფელში უნდა ვიმუშაო.

მინისტრმა და ისიდორე ვანიძემ გავიკრებით გაუღიმეს ერთმანეთს და მაგიდაზე თითები მწყობრად აკაკუნეს.

— თქვენ, ახალგაზრდაც, რომ გეუბნებით, ალბათ ასეა საქირიო! — მტკიცედ დაიწყო მინისტრმა, მაგრამ ამ დროს კარებში ერთი მაღალი შავგვრემანი, ხნიერი ქალი შემოიჭრა, აწინამატებული და აქლოშინებული.

ყველამ იქით მიიხედა.

ეტყობოდა, იმ ქალმა მღვინის მუდარას ყური არ ათხოვა და ჭიუტად გადალახა ზღუდე.

ქალი მაგიდასთან გაჩერდა და უხი-

დან დაძველებული ქალაღების მთელი დასტა ამოათრია.

იგი ძალიან შავი და მაღალი იყო. ყუ-რებზე ყინულის ლოლოსავით გრძელი, თებრი და გამჟვირვალე საყურეები ეკი-და, ხელის თითებზე ფრჩხილები მამ-ლის ბიბილოსფრად შეეღებდა და მხრებ-ზე ნაბადივით მოეგდო შავი, თხელი პალტო.

მაგრამ ეტყობოდა სიცხე ნაყლებად აწუხებდა. როცა ლაპარაკობდა, ამ დას-ტას დაკლულ ქათამივით აფრიალებდა ხელში, მაგრამ ერთი ფურცელიც არ წყდებოდა: ეტყობოდა, მაგრამ იყო შეკრული.

— ოცი წელია ვმუშაობ, ათი წელი — მარტო ინკუბატორში... თავი გადაღე-ბული მაქვს. მინც ვერვინ ხედავს, ყვე-ლას ჭიღოვები, მე კი არაფერი! რატომ არ მიფასებთ დამსახურებას... მე ამ სა-კითხს დავსვამ იქ, სადაც საჭიროა... — მერე ვაჩუქდა და მალე მინისტრს თავ-ზე დაადგა. — თქვენ რომ ამხელა ქა-ღალდს მომწერთ (გადაუხაზა ნახევარი ხელის ვული), ამას და ამას ამდენი წი-წილი გაატანეთ და რომ გავატანე, კაია! პო! ახლა მიყურეთ მე... — დაამთავრა. ქალაღები ისეც უბეში ჩაიტენა, მიბ-რუნდა და გარეთ გავიდა.

მინისტრმა გადახედა ისიდორეს და თავი გააქნია.

მერაბმა მაინცდამაინც კარგად ვერ გაიგო, რას მოითხოვდა ის ქალი. ამი-ტომ ეს გადახედვაც ვერ გაიგო, რას ნიშნავდა. მაგრამ, შემდეგ, როცა ის საკ-მაოდ შერცხვენილი, თავისი ბავშვური უარის გამო, გარეთ გამოვიდა და ქუჩა-ში გრილი ჰაერი ჩაყლაპა, ის შავი, მა-ღალი ქალი, თითქოს მიწიდან ამოძვ-რაო, მოურიდებლად დაემგზავრა და ყველაფერი ჩაუკაცლა, რაც აწუხებდა.

18

ცა ლურჯი და გამჟვირვალე, როგორც დიდი გუმბათი, მწვანე ხეების სვეტებს დაყრდნობოდა, ქუჩა, რომელიც ზღვის-კენ გაწვდილიყო, დარბაზს გავდა.

ზღვისპირას უამრავი ფერისა და ფო-

რმის ენკები უცნაურად, გამკვებდნენ სიცხის აღმურში.

იმ დღეს ზღვაზე ბევრი ხალხი გასუ-ლიყო.

მერაბი ჯერ ხეივანს გაჰყვა, მაგრამ მალე თვითონაც გადავიდა პლაზე და განმარტოებით ტანისამოსის გახდა და-იწყო.

შემდეგ გაახსენდა, რომ მთლად ასე უმთვალესუროდ ტანსაცმლის დატოვე-ბა საშიშია და წყალში აღარ ჩასულა, წამოწვა ცხელ ქვიშაზე და ოცნებას მი-ეცა.

სულაც არ ნანობს, რომ უარი უთხრა სამინისტროში. იქ უიმისოდაც მოაგვა-რებენ საქმეებს. ჯერ სოფელში უნდა დარჩეს. რა ეჩქარება.

ავტობუსის გასვლამდე ორი საათი რჩებოდა. ბანაობა აღარ ღირს. ჯობია ჩაიკვას, ქალაქში გაიაროს, იქნება თა-ნამგზავრიც მონახოს ვინმე, თანაც ამ მორჩენილი ხურდით მამას იქნებ რაი-მე წაუღოს. რაც უნდა იყოს, გაუხარ-დება ბერიკაცს.

ამ დროს, გაფხრეწილ, სავსე ტომრი-დან რომ უცაბედად კაკალი გადმოიყ-რება, ისე ითქრიალა იქვე, მის გვერდით. გოგო-ბიჭების სიცილ-კისკისმა.

წინ მაღალი, მზეზე გარუჯული ბიჭი მოაბიჯებდა. რეზო ბერაძე იყო, მერა-ბის ინსტიტუტელი ამხანაგი.

მერაბმა ერთხანს იფიქრა, არ დავენა-ხვები რეზოს, აღარ ღირს, მაინც მაგვი-ანდებო, მერე ქალიშვილებს გადახე-და ქვეშ-ქვეშ. ერთი მათგანი, მაღალი, შავკვრემანი თითქოს კიდეც იცნო, მაგ-რამ ვერც სახელი გაიხსენა და ვერც ის, თუ საიდან იცნობდა ამ ქალიშვილს.

ბოლოს ახალგაზრდებიც იქვე, მის მახლობლად დახოხოდნენ ქვიშაზე და მერაბს ზღვის გრილი მზეფები გადააფ-რქვიეს.

— რეზო! გამარჯობა, რეზო!..

— ოჰ! მერაბა ხარ, ბიჭო! — წამოვარ-და რეზო, მიიჭრა მერაბთან, მოაჯდა ზურგზე და მოეხვია.

შემდეგ ქალიშვილებთან მიათრია და იმათაც გააცნო, უთხრა: ეს ჩვენი ჭკუის

კოლოფი იყო საერთო საცხოვრებელ-
შიო. მერე მერაბს მიუბრუნდა:

— რაო? სოფელში მიდიხარ და გეჩ-
ქარება? მოიცა, კაცო, ნუ გააქირე ერთი
შენც. ამ საღამოს ერთად გავიაროთ...
ესენი ჩამოსულენი არიან... სირცხვი-
ლია, მართლა ვაიქცაო იტყვიან, პო, პო,
მართალს გეუბნები...

ჩამოსულენიო? — ფიქრობდა მერა-
ბი, — მერე მე რაი?

არა, ისე მართლა საინტერესო „სტუმ-
რები“ არიან.

მერაბმა ორ-სამჯერ იმ მაღალ, შავგვ-
რემან ქალიშვილს შეხედა თვალებში და
საპასუხო მხერაც მიიღო და ამიტომ
გაბრუნებული ისმენდა რეზოს ტირა-
დებს და სულაც გადააიწყდა ავტობუ-
სის გასვლის დრო.

გაცნობისას ყველამ თავისი სახელი
თქვა, მაგრამ მერაბმა ვერაფრით ვეღარ
აღადგინა შავგვრემანი, მაღალი ვოგო-
ნას სახელი. ქალიშვილი საკმაოდ სიტ-
ყვალუხვი აღმოჩნდა. ერთერთი ამბის და-
სასრულს გამოურია... გავიბუტე და კი-
ნოში აღარ წავყევი. წარმოიდგინეთ,
დედა გამიჯაერდა, — მანანა, ახლა უკვე
დიდი ხარ. ასეთი ბავშვური საქციელი
აღარ შეგშვენის.

„აჰა, ესე იგი, მანანა!“

ჩაიცივს, გაიარეს. საზაფხულო თეატ-
რის ეზოში შევიდნენ.

მანანა უკან ჩამორჩა. მერაბი მის
გვერდით აღმოჩნდა.

ბმას ვერ იღებდა. წინ მიმავალი რე-
ზო კი წარა-მარა ყვებოდა ანეგლოტებს
და აკისკისებდა ქალიშვილებს.

რესტორანში შევიდნენ. ცოტა დალი-
ეს, ყავა დააყოლეს, რეზომ გადაიხადა
და ქალიშვილები სასტუმრომდე მიაცი-
ლეს. ერთი, ქერა, რომელსაც სულ ეტი-
ტინებოდა, რეზომ ცალკე გაიყვანა, რა-
ღაცა უმტკიცა დიდხანს, მერე ხელი ჩა-
იქნია, მობრუნდა, დაემშვიდობა. ყვე-
ლას და მერაბთან ერთად წამოვიდა.

უკვე საკმაოდ გვიან იყო და დასაწო-
ლად რეზომ ამხანაგი ბიძასთან წაიყვა-
ნა.

ბიძამისის სახლმა მერაბე კენჭი და-
დარია.

კარადები, მაგიდები, დახვეული ნოხე-
ბი, ტანსაცმელები, სერვიზები, როია-
ლი, წიგნები, მაგნიტოფონი, მიყრილ-
მოყრილი ფირფიტები, ფარდები და...

რეზომ დაწოლის წინ ჯიბეებიდან რაც-
ქალაღებები ჰქონდა, ამოყარა, ქალა-
ღების მეტი ნაწილი ფული იყო. და-
თვალა და ისევ ჯიბეში ჩაყეცა.

მერე, უცებ, მერაბს მოულოდნელი-
გადაწყვეტილება გაანდო:

— ხვალ შენს სოფელში უნდა წამო-
ვიდე, მერაბ...

19

სახლში მოხალული თუთუნის სუნი
იღგა.

მერაბი მიხვდა, რომ მამა შინ იყო.
დაუთი, მართლაც, ცეცხლს მიჯლო-
მოდა და სპილენძის მოკალულ ტაშტ-
ში დაქრილ თუთუნს ხალავდა. ოთახში
ლურჯი ბული იღგა.

მარჯვენა სექვზე თუთუნის საჭრელი-
პავანი იღგა, ვეება, მოპრიალე, გრძელ-
სახელურიანი დანა ჩამოსვებულებიყო და
მანვილი წვერი ძელზე დაედო. იქვე და-
ჭრილი ოქროსფერი თუთუნის ბულუ-
ლი დახვავებულებიყო.

მერაბი და რეზო კარებთან შეჩერდ-
ნენ და დაუცადეს, ვიდრე ბერიკაცო მო-
იხედავდა.

დაუთი მალე ადგა. ბულიანი ტაშტი
მარცხენა სექვზე, ფანჯარასთან მიარ-
ბენინა და თუთუნი შესაშრობად დაგე-
ბულ ფარდაზე გაფინა.

შემდეგ კარებისაკენ მოიხედა.

— ჰო! საიდან მოით? შემოდით, რა-
ღას დგახართ! — მერე პავანთან მივი-
და, ბულული აიღო და ტაშტში
ჩაყარა. რეზოს არ მოეწონა ეს. ოთახი.
გარეთ დაჯდომა ერჩია. სუნიც ვერ აი-
ტანა. მაგრამ ვერც დაუთი და ვერც მე-
რაბი ვერ იფიქრებდნენ თუ მოხალული-
თუთუნის სურნელი ვინმეს აწყენდა.
ამიტომ მერაბი მიიჩემა რეზოს, შემო-
დი, დაეჯდეთო. რეზოსაც მოეხატრა და-
თან შეყვა.

დაუთი სტუმარს მიესალმა და ჩამო-
ჯდა.

— ეს ჩემი ამხანაგია, ბაბა, უმაღლესი ერთად დავამთავრეთ.

— რას ამბობ, ქო! რა კაი გიქნია, წამოგიყვანია, ა?

რეზომ მერაბისაკენ მიიხედა და კარგ-
ბთან თვალი მოჰკრა ახალგაზრდა ქალს,
რომელიც უმაღლე გაქრა.

— ქო, სტუმარს ეშვინება... — დინ-
ჯად შენიშნა დაუთმა შეიღს.

მერაბი წამოვარდა. რეზოც თან გა-
ჰყვა.

მერაბი მეორე ოთახის კარებთან ეუ-
ეუნას ესაუბრებოდა. ქალიშვილმა ცნო-
ბისმოყვარე თვალები მერაბის მხარს გა-
დმოაღვლო და რეზოს მიაშუქა. ეს კარგ-
ად იგრძნო რეზომ. სულ არ ელოდა ამ
სახლში ასეთ ვინმეს. რა იღბლისაა! არა,
მაინც ვინ იქნება? ნუ თუ ცოლი მოიყ-
ვანა მერაბამ და მე დამიძალა? არა,
დაიც არ იქნება, ძალიან ჭერაა.

ქალიშვილი სამზარეულოში შევიდა,
ჭურჭელი აარაწყუნა. ბიჭები ეზოში გა-
ვიდნენ.

ეზოში ფიჭვების გრძელ-გრძელი
ჩრდილები გაწოლილიყო. საგრძნობი
სიგრილე იყო. საღამო ახლოვდებოდა.
მერაბს საშინლად უნდოდა სოფელში
გაეცა. გაეგო რა ხდებოდა ბრიგადაში.
ნაზიმი ალბათ გუშინ ელოდა. ეს კი
დღესაც ვერ გამოჩნდა. არა, ნაზიმი
მშრომელი კაცია, იცის მიწის ყადრი...

ამ დროს ლობესთან ნური ბერიძის ზი-
ლაბანდიანი თავი გამოჩნდა. მერაბი
უცნობთან რომ დინახა, უკან მიბრუნე-
ბა მოიწადინა, მაგრამ მერაბმა შეაჩერა.

— ერთი ლერი სიტყვანა მეთქვა შენ-
თენ და... — ჩაუკაცლა ნურამ მერაბს.
— რაცხა საუჩუმარო მაქ და...

ნალიის ბოძს მიეყუდნენ. ნური კაი
ხანს ეჩურჩულა. მერაბს ორჯერ სიწით-
ლემ გადაჰკრა სახეზე. აიღეწა, აირია,
გაჭაფრდა რაღაცაზე. რეზო ამას უვე-
ლაფერს ამჩნევდა, მაგრამ არ იცოდა,
რაში იყო საქმე.

სულ იქით-აქეთ იყურებოდა. ეუეუ-

ნას ეძებდა მალულად. იმის დარდი კლა-
ვდა...

20

— მე ტყვილად მიგყავარ, მერაბ. აგ-
ერ სახლში დაგელოდები. — თვალები
უკან, ეუეუნასთან რჩებოდა რეზოს. ქა-
ლიშვილი აივანზე იდგა და დიასახლი-
სის მზრუნველი თვალით აცილებდა
სტუმარ-მასპინძელს.

— არა, წამოდი. ნუ გეზარება, წამო-
დი. ხომ გინდოდა გენახა ჩემი სოფელი?
მეზობლებს ვაგაცნობ... — მერაბს გადა-
წყვეტილი ჰქონდა რეზოსთვის ეჩვენე-
ბინა აქაურობა. ერთი უბანი მაინც. იქ-
ნებ რეზოს მერე სასარგებლო რამ ერ-
ჩია.

ხანდახან მერაბს არც კი სჯეროდა.
რომ მთელი სოფლის ბედის გადაწყვე-
ტას თვითონვე ბედავდა.

პატარა, ნაკაფი მუხნარიდან ბულა-
ტერ სანიკოძის ეზოს ჩაუარეს. აქეთ,
დუბეში ძველი ოდა იდგა. ეზო ცარიე-
ლი იყო, ბოსტნის ლობე — წაქეცილი.

— ა, მიატოვა და ჩაქვეში გადასახლდა.
იქ უკეთესად ვიცხოვრებო. — აჩვენა
რეზოს მერაბმა. — მე კიდევ განახვებ
ასეთებს... უკეთესად ვიცხოვრებო და...
კი, მაგრამ, შენ ასაშენებელი, შეიღასი
წლის ჭურები რომ ამოყარე მიწიდან და
კოლექტივის მარანში ჩაფალი, ერთი
რატომ არ დაგაფიქრა ამან: ესე იგი ხა-
ლბი ცხოვრობდა ხომ? იცხოვრე შენც...
ისიც დღეს...

— მე რას მელაპარაკები. იმათთვის
გეთქვა. — გადაუჭრა რეზომ.

— არა, ისე. — გაიცინა მერაბმა, —
ცხოვრება მთაში არ უნდა გამოწყდეს.

— ვერ დაგიჯერებ, მერაბ. შენ ახლა
გიყვარს ძალიან აქაურობა, მაგრამ შე-
ხედე, ბიჭო, რა გაცვეთილი მიწებია.
რა უნდა მოგცეს ამან. მართალია ის
გლეხი, ძმაო, თუ იმუშავებს მაინც მიი-
ღებს.

— კმ! ისე არ მოგვედები, შენ არ გა-
ნახო, როგორ გასუქდება და ვადამწვან-
დება ეს შენი „გაცვეთილი“ მიწები.

დაფარული ირონიით ჩაიღიმა რეზომ.

მერე უეცარი სერიოზულობა დაეტყო სახეს და დინჯად წარმოთქვა:

— არა, ახალ პროგრამაში კია, ყველა კოლმეურნეობა შეძლებული უნდა გახდეს, აიმაღლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შექმნას სიუხვე პროდუქტებისა და ვის რამდენი უნდა, მიაღებინოსო, მაგრამ, მერაბავ, რა გამოვა ამნაირი მიწებიდან...

— რა ვითხრა, იცი, — გადაუჭრა მერაბმა, — მარტო მცენარის, ყანის მოვლაზე ლაპარაკობენ, ხოლო თვითონ მიწის მოვლაზე არაფერს ამბობენ. თუ ერთ ბრიგადას მაინც დავაჯერე, და ჩემი გავაკეთე, სწორედ მიწიდან მიიღო დავიწყო. არა, ბევრს, მართლაც, არ ეყოფა, ვერ დაარჩენს ეს მიწები, მაგრამ რაც ახლაა, ამდენი რომ მოემატოს საკირეთს, შეძლებს ამყოფინოს თავისი მოსავალი ყველას. რა გინდა მეტი.

მიწას მოვლა უნდა, პატრონობა. ოღონდ ერთი ნალია სიმინდი მოვიყვანოთო, გაკაფავდნენ ხუთასი წლის ტყეს, მოთხრიდნენ, დათესავდნენ.

კი, სიმინდი დახვავდებოდა, მაგრამ ერთი წლის წვიმებიც სულ დახვეტავდა მიწებს და მეორე გაზაფხულზე პლიკონი კოხები რჩებოდა მარტო.

აქაურ მიწას ფესვები ინახავს. ხელი უნდა, ძიავ, ხელი.

ბოლოს და ბოლოს, თუ ზევიდან, არ დაადგინეს, ყანასაც არავინ მოთხრის ასე მიაჩვიეს.

— კაცო, პირველად მე მეგონა, უფუხუნა შენი ცოლი იყო. — გადაუხვია რეზომ — კაია, ხომ იცი?

კოტა ეწყინა მერაბს, მაგრამ მზიარულად უპასუხა:

— მართალია, მშვენიერი გოგოა. მამაჩემს როგორ უყვარს, იცი?

— მამაშენს? — ხა, ხა... შენ?

კანტორის ეზოდან ნაზიმი გადმოხტა, მერაბს ჩამოეგება. უცნობს გაეცნო, ეტყობოდა, ძალიან ვახარებულნი იყო მერაბის გამოჩენით. დაემგზავრა, ახალ ამბები მოუყვა.

საწისქვილე წყალი უფრო დამშრალი-
4. „მნათობი“, № 10.

ყო, ბოსტნები დამკნარიყო, სიმინდებზე ნაადრევად შემწიფებულნი იყვნენ.

დასავლეთის ცას კი ყოველ ნაშუადღევს ქვაბის ნერჩივით აშავებდა ღრუბლები. წვიმა კედელივით იდგა სულ რაღაც ხუთი-ექვსი კილომეტრის იქით. აქ კი არ ეშველა და წვეთი არ ჩამოვარდა.

ახლა რომ იდგნენ, იქიდან ზაირას პატარა ნაფუზარიც მოსჩანდა. ვიწრო ბილივზე, ყანისპირას მისი გოგონა იჯდა, ქვებს ახოზოლებდა. ზაირა ყანაში შესულიყო, ბალახს გლეჯდა და ტიალში ეზიდებოდა. მხოლოდ ერთხელ გამოვიდა სიმინდებიდან. კაბა ამოეკალთა, თმა ლეჩაქით წაეკოჭა. ბალახის მთელი ბუდეული რომ დადო, წელში აიმართა და ზევით ამოიხედა. შემბრუნდა ქალი და ისევ სიმინდებში ჩაიძირა. არც უცდია, რომ მეორედ ამოეხედა ზევით, მერაბის მხარეს. პირიქით, ცდილობდა მალე გაცილოდა იქაურობას.

მერაბს რატომღაც ძალიან მოუნდა ერთი-ორი სიტყვა ეთქვა ზაირასათვის.

21

— წამოდი. — იმეორებდა მერაბი ისე, რომ ეტყობოდა რაღაც სერიოზული რამ ჰქონდა გადაწყვეტილი. — მივახვედროთ მეზობლები რა გვინდა, კარგად მივახვედროთ და ნახავ: მარტო ჩვენი ბრიგადის წევრები ეყოფა არხის გათხრას.

— არხის? — შეეკითხა ნაზიმი. — თავმჯდომარე რომ არ ირჯება? მერე ისიც ვახურობოდა: უქანის დროს არხი?

— თავმჯდომარე? რა ვითხრა, იცი, ჩემო ნაზიმ, ილიას ჯაბნიძე კი არა, მაგაზე ცოტა უკეთესებიც ცდებოდნენ. ჩვენ როდემდის ვუყუროთ ილიასის სიჭიუტეს?

კანტორის კარები ღია ჩანდა. მერაბს თავიდან იქ შესვლა არ სურდა, მაგრამ ახლა გადაიფიქრა, ნაზიმს ანიშნა გამომყვიო და შეუხვია.

— მე აქ მოვიცდი, — უთხრა შეწუხებულმა რეზომ და ხეს მიეყარნო.

ილიას ჯაბნიძე თავის მაგიდასთან მიჯდომოდა. გვერდით, ჩვეულებრივად, თოფან სალვარიძე ეჯდა.

ილიასმა მოუპარსავე ნიკაპის ფხანა დაიწყო, ცალი ხელით ძველი ქაღალდები ამოათრია უჯრიდან და ვითომ დიდი საქმით გატაცებულმა, რაღაცები მონიშნა ფანქრით.

ბიჭები მიესალმნენ და ჩამოჯდნენ. მერაბმა უცადა, იქნებ შემომხედოს რომელიმემ და სიტყვის თქმის საშუალება მომეცესო. არ იქნა.

ბოლოს თოფანმა გააკონწიალა თავი და შემოხვდა, მაგრამ თვითონვე დაასწრო:

— ზოგიერთებს გონია სწავლა იმისა, რომ მობრუნდეს და სოფელს ჩხიკინი დაუწყო. ამ მიწაზე ვებრძობით და თქვენდენიც ათარ ვიცით?

— რა ჩხიკინზე ამბობთ, თოფან ბიძავ! — მუხებდ მოუჭრა მერაბმა. ბოლმა პირდაპირ ყელში აწვევბოდა.

— რაცხაზე ვამბობ, მოვლენ და იკითხავენ.

— ვინა!

— იქიდან, — რაიკომიდან.

— შენ, შენებურად ხალხში ჩურჩულს თავი დაანებე, თვარა!... — მოაბრუნა შეფაკლებული პირი ილიასმაც. — ოთხჯერ მარტო პატიფონით დამისაჩუქრეს კაი მუშაობისთვის. ახლა შენ — გუშინდელმა ბლუშტმა, უნდა მასწავლო საქმე!

— ვინ ვითხრა რამე!

— ჰოდა, ეგაა, სხვას ეუბნები. ინტრიგანობ. თავმჯდომარეობა თუ გინდა, თქვი. აგერაა ხალხი და აგირჩიოს!

— ჰმ! — ჩაეცინა მერაბს, — თურმე რისი გშინებია, ილიას ბიძავ? არა, ნუ გეშინია, არ შეგეცილები. მე მინდა ხალხს მივეხმარო. რაღაც საშუალება გამოვინახოთ და სოფელი ამოვათრიოთ გაჭირვებიდან-მეთქი, თორემ...

— შენი მიხმარება ვის რად უნდა! იცის მთავრობამ და მოგვეხმარება...

— რა იცის მთავრობამ! თქვენი ტყუილი ცნობებით, გგონიათ, მართლა რამე კეთდება. ახლა მეტის მოთმენა აღარ შეიძლება! წყალი გამოვიყვანოთ და სოფელი სოფელს დავამგვანოთ. აი, ახლა

ვნახავ მეზობლებს, ვკეთხიყენენ, რას იტყვის.

— შენ ვინ ხარ, რომ კითხო! ბუნტობას თავი დაანებე, თვარა იცოდნე მოგივრებენ მაგ კისერს!

რეზომ შემოიხვდა კარებში ფრთხილად.

— დაღამდა. ვერ მორჩით? — მორიდებით თქვა და უკანვე გაბრუნდა. შეატყო არ ღირდა შესვლა. საქმე ამჟამად ბული იყო.

— შენ რომ კაცი არ ვახდებოდი, თავიდან გეტყობოდა. ახალმოყვანილ ქალს რომ ვააგდებ და ვეიჭყევი... იძახი, ხალხი მირბის, აქ აღარ იცხოვრებო. ხაირას მამამისიც აღიიცი იმითომ გეიქცა ხომ! სირცხვილმა გააქცია. შენ რომ წაიციდე, იმ სირცხვილმა. ერთი გოგო ქავდა, მოცეა და ქორწილდამესვე უკან მიუგდეს. მამაშენი?! კანტორის სიახლოვეს ვერ გაუძლო და ტყეში გევიდა საცხოვრებლად, მემრე თლათ გაერიდა კოლეტივს და სად იმალებოდა ვინ იცის. ამას მოგკითხავენ მალე! — დაამთავრა თოფანმა.

რატომღაც განსაკუთრებით ვაცხარებული ეჩვენებოდა თოფანი მერაბს. არა, იმას სხვა ამბავი აწუხებდა: აგრონომის ადგილი.

22

მერაბმა იცოდა, რეზოს არ უყვარდა საერთოდ სოფელი და სოფლური ცხოვრება. ამის შესახებ მათ ბევრჯერაც უკამათიან ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში. ახლა მაინც განსაკუთრებულად უნდოდა, როგორმე ისე ეჩვენებინა თავისი სოფელი, რომ ოდნავი სიმპათია მაინც გამოეწვია რეზოს გულში. თუმცა საყირეთი რა სიმპათიასაც გამოიწვედა მანაველში კარგად ესმოდა, მაგრამ ეგონა, სწორედ ეს თვალშისაცემი სიღარიბე უფრო აუჩუყებს კაცს გულსო.

კანტორის ზემოთ გზა საყდრისაკენ უხვევდა. გზა ძალიან ძველი იყო და თითქმის აღარავინ დადიოდა. საყდარს ეძახოდნენ, თუმცა იქ საყდარი, ან რამე ამნაირი არავის ახსოვს. ძველი საფლავები იყო მხოლოდ. უზარმაზარი ლოდები

ეწყო საფლავებზე და მერაბს სულ უკვირდა რა კაცმა აიტანაო ეს ქვები ამ კოვორზე. გორაკის ფერდობებზე მრავალი ბზა ხარობდა. სულ ჭრიდნენ საკოვზედ და საციცხვედ, ან რანდის ბუდეებისათვის, მაგრამ არ ილეოდა. ეს ბზებიც ძველი მესაყდრეების დარგული ყოფილა.

სწორედ იმ ძველი გზის ასახვევთან მომავალი ფელულ ქალაქი შეხვდათ. იგი ზემოდან მოდიოდა და ისედაც მაღალი, უფრო მაღალი ჩანდა. დაწვები ისე თეთრი ჰქონდა, რომ გვგონებოდა წვერზე საბონი აქვს წასმულიო. ლოყე-ბი, შუბლი და კისერი ჰვარტლივით შავი ჰქონდა. ეტყობოდა მრავალი წლის გაუპარსავი წვერი ახლა გაეპარსა და მზისუნახავი კანი არაჩვეულებრივად თეთრი დარჩენილიყო.

ფელული შეჩერდა, უცნაურად გაიციხა და რეზოს ხელი ჩამოართვა.

— ეს ვინაა? — ჰკითხა რეზოს მერაბზე. რეზოს გაუკვირდა: მე რას მეკითხებო. მერაბი შეიშმუნა, უხერხულობისგან.

— მე დაუთის ბიჭი ვარ, ფელულ ბიძა. — მიაშველა მერაბმა.

— აბა ეს ვინაა? — ახლა მერაბს ჩამოართვა ხელი და რეზოზე მიუთითა.

— ჩემი ამხანაგია ქალაქიდან.

— ქალაქიდან... დეიტიროსნა? რას მიმალავთ... ჩემი სახლი იქ აღარაა მაინც.

— ძველი ჩონხა მაგრად შემოიხვია და მეტი აღარაფერი უთქვამს, აჩქარებით ჩაირბინა თავდაღმართი. რეზომ შეატყყო, ცოტა შექანებული რომ იყო და ჰკითხა მერაბს:

— რა ჰქირს შაგ კაცს. რაის „დეიტიროსუნდაო“, რას ამბობს, — თან ჩაეცინა. მერაბი გულში გაჯავრდა მის სიცილზე.

— რა ვიცი. მეც ვერ მივხვდი. — არ გაუმხილა მერაბმა.

არ გაუმხილა, თორემ თავისთვის ხომ იცოდა რაშიც იყო საქმე.

ოცდაჩვიდმეტში ეგამც „აუწვევიათ“. როცა პატიმრები მიყავდათ, ქალაქში მომავალი მანქანის ძარადან, მახონკეთის ქვემოთ, ღამით გადამხტარა. მაშინ გაქ-

ცევა შეუძლებელი იყო, მაგრამ ახ-გაქათან აქეთო, უფიქრია და, უცვლელად უსვრიათ, არაფერი. ბნელში, ხრამში ჯირკვივით გადაგორებულა და პირდაპირ აქარისწყალში ჩავარდნილა.

შემდეგ მის კვალს ველარავინ მიაგნო.

გადააწყდა: თურქეთში გაიპარა. თექვსმეტ წელიწადს ფელული თურქეთში გაქცეული ეგონათ.

დამალულა ფელული გვანცასა და პერანგას შუა. იქ ხეობა ვიწროა და ვალ, მა-გამოღმა კედლებივით კლდეები დგანან. ბებერი წიფელის უზარმაზარი ფულურო ძირი სამყოფად გადაუქცევია. თუნგის, ქლიბის და ერთი ბლაგვი ნაჯახის წაღება მოუხერხებია რომელიღაც სოფლიდან. ქლიბის ნატეხი კვესად გამოიყენა. აბელი და კაყი ხომ ბევრი იყო ტყეში.

ის ყველაზე მიუვალი ადგილი ყოფილა და ისე გადიოდა წლები ადამიანის ხმაც კი არსაიდან ისმოდა. ცეცხლს მხოლოდ დღისით ანთებდა, ღამით ნაკვერცხლებზე დიდ, ბრტყელ ქვებს მოაწყობდა, რომ შუქი დაემალა, ხოლო სითბო ჰქონოდა. მერე და მერე იმდენად შეეჩვია და იმდენად განებვიერდა თურმე, რომ მახლობლად, ტიალში, სოჭის პირიანი ნაპობით მიწაც გახხრიკა, შეთხარა იმდენად, რომ რობინზონივით, ჯიბეში შემთხვევით ჩარჩენილი ოცდასამი კაკალი სიმინდის მარცვალი ჩარგო.

ბევრჯერ წამოსვლაც მოუწადინებია, მაგრამ იმ ტყუილ სახლ-კარს ვერ მოცილებია შიშით: ეგონა გზები შეკრული იყო და უთუოდ დაიჭერდნენ. მთელი სახელმწიფო მას დაეძებდა თითქოს.

უშველბეული წიფლის მორებით ისე ოსტატურად გაუკეთებია რაგვი-ხაფანგი, რომ იქ ყოფნის შესამე შამთარს ორი დათვიც დაუჭერია.

ასე გასულა თხუთმეტი წელიო.

შემოდგომაზე. ერთ მზიან დღეს ფელულის საცხოვრებელ ადგილს თვითმფრინავმა გადაუჭროლა რამდენიმეჯერ.

მთაში იმ დროს უცებ სქელი ნისლები გაჩნდა და ფელულს თვითმფრინავი ვე-

ლარ დაუნახავს. ცოტა ხნის შემდეგ საიდანაც საშინელი გუგუნის გაუგონია და ცეცხლიც შეუნიშნავს.

ერთხანს კიდევ უსმინა ფელულმა, მაგრამ როცა ვერავითარი ხმა ველარ გაიგონა, ჩარგო თავი დათვის ბეწვებში, მიუცხუნა ზურგი მხურვალე ლოდს და ჩაიძინა.

იმ ღამეს ცეცხლი ღიად დარჩენოდა, — ქვევით არ დაეხურა.

ქარგად გათენებული არც იყო, რომ ძილში ფელულს კაცის შორეული ძახილი ჩაესმა. გამოიღვიძა, გაინახა და ყური მიუგდო. ძახილი განმეორდა, მაგრამ იგი ახლა უფრო კენესას დაემგვანა.

თითქოს არაფრის შეშინებია, მაგრამ ცახცახმა აიტანა. რალაცამ გული დაურუჟა, თითქოს მდულარე გადაასხეს. მერე რალაც შორეული და ბუნდოვანი გაახსენდა. შეერთა, წამოდგა, შეშფოთებული თვალები ზის ძირებს მოაგლო, ადგომა მოიწადინა, მაგრამ წელი ველარ წამოსწია. საშინელმა წინათგრძნობამ დაზარა.

„ალბათ, მომაგნეს, ალბათ დამიჭერენ...“

უნებურად მაინც ადგა. ქალამნები ცეცხლთან ძალიან გამხმარიყო, დაღობის თავი კი ფელულს აღარ ქონდა. ძველი დაცვეთილი დაზღის წინდები ნაჩქარევად ამოიკოჭა ფეხისგულეებში და გრძელი ნახტომებით თავდაღმა დაეშვა.

საით, ან რისთვის მიდიოდა, ვერც თვითონ გაეგო.

იქ, დაბლა, პატარა დამრეც კორდზე, წაქცეულ სოკის ზესთან ადამიანი დაინახა. მას გრძელყურებიანი ქუდი ეხურა და შუბლზე დიდი უცნაური სათვალევები ეკეთა.

ფელული წუთით გაშეშდა და სისხლმორეულ თვალებით მიაშტერდა უცნობს.

საყელოზე მოელვარე ნიშნებმა, წელზე შიმოჭერილმა ბრტყილმა ქამარმა და ჩექმებმა მთლიანად გაუმართლეს წელანდელი იქვები.

„ალბათ მომაგნეს...“

„ყურები ისე დაუბუჟდა, საყუთარი ყვ-

ირილიც ველარ გაიგონა... მგელის საკითხო-ვნელად ძლივს მოსულა და დაიწყო მფრინავს, რომელიც გადარეულივით შეჭყურებდა ტყის კაცს, თავისი ტკივილებიც დაეიწყებოდა.

ფელული თავიპირის მტერევიტ მიბოდა. ერთ წუთში იქაურობას კიდევ მიეფარა.

მფრინავს რატომღაც მხოლოდ ფეხები ჰქონდა ნატკენი. ოფლად ვალვროლიყო. ყურისძირებიდან სისხლი სდიოდა.

ხმის ამოღება აღარ შეეძლო. დაემხო. მუცელზე ხოხვით სხეული მიტოვებულ ცეცხლამდე აათრია.

მეორე ღამეს ვერტმფრინავეებმა ტყეში ცეცხლი შენიშნეს და მიაგნეს...

ფელული კი არსად გაიჩერებულა. თავაწყვეტილმა ირბინა მთელი ის დღე და შებინდებისას საკირეთის თავში არტელის მწყემსებს გადაეყარა.

ბიჭებმა ჰადი აჭამეს. ეგონათ უცხოელი მზვერავი იყო. არ მოეშენენ, სოფლისკენ დაიყოლიეს ნელ-ნელა.

სოფელში რომ ჩამოვიდნენ, ვიღაცამ იცნო.

ის ღამით ჩამოიყვანეს და სახლში მალულად მივიდნენ, არავინ დაინახოს და ეს არასასიამოვნო ამბავი არ გახშიანდესო. მაგრამ ფელულის ავადმყოფი ცოლი, რომელსაც სიმე, ერთადერთი ქალიშვილის ქმარი შინ მოეყვანა, გულწასული მოასულიერეს. მაგრამ საავადმყოფოში ერთი წელი მაინც დარჩა. სიმე კი ისე შეაძრწუნა და გადარია ამ ამბავმა, რომ სამუდამოდ მიატოვა სახლი და გაიქცა. ასეთ კაცთან ერთად ვერ ვიცხოვრებო.

ფელული მარტო დარჩა.

და მისმა დაბრუნებამ სიხარულის მაგიერ ოჯახში ახალი უბედურება მოიტანა. უბედურება მოიტანა, მაგრამ თვითონ ფელული ვერც კი გრძნობდა ამას. მას ოდნავ კიდევ უხაროდა, რომ მარტო დარჩა, რადგანაც ტყეში მარტობას შეეჩვია და ვერ იტანდა ადამიანებთან ახლო ყოფნას.

მეხსულ ჯაბანიძეს ჰიშვარს რომ მოაღ-

იმა მოიტყრა, შინ არ ვაამხილა. დედა
ღი ახლაც ელოდება შეიღს...

— არხიო? — თვალისფშენეტით შეხ-
ედა მერაბს მებსუღმა. — უპ, თუ გინდა
შეაღამიდან დამიძახონ, წავალ, ოღონ
ერთი წყალი გვეღირსოს.

ხულუს გვალაძის სახლამდე გზა აქე-
დან კაკლის ხეივანში ვადის. მზიან დღე-
საც ბნელა აქა. კაკლის ერთი დიდი ფეს-
ვი ზედ შუავგზაზე ამოშვერილა, ვადაღუ-
ნულა თამარის ხიდივით და ისევე მიწაში
ჩამძვრალა. ქვეშ კაცი გაეტევა.

მერაბს პატარობა ვაახსენდა თავისი.
მტყელი რომ ატკივდებოდა, დედამისი
აქ ამოიყვანდა ბიჭს და ამ ფესვის ქვეშ
გაამძვრენდა, თან ასე შეულოცავდა:

იავო, თიავო,

ქეთ-ქეთ ძალღ ჩამორბოდა,

ფეხწითელი ბავუში.

შენ ურჯულო თათარხანო,

ნუ ტყივი და გაუშვი.

და ამის მერე ტკივილი მართლაც
იკლებდა.

ხულუს გვალაძის სახლი პატარა მწვა-
ნე კოეორზე იდგა. ხულუსი საქვეყნოდ
განთქმული დურგალია, მაგრამ, საკირე-
თში რომ იტყვიან უსტის სახლს კარი არ
კიდიო, მართალი ყოფილა. ამა და, კა-
ცი ისე დაბერდა, ერთი ხეირიანი სახლი
არ ეღირსა.

— არხიო? — სიხარულით შესძახა
ხულუსმა, — გამევიყვანოთ ძიავ. ერთი
კაცი წაქატი არ მაქ, რომ ის ბრეში კოხი
მოვფექქშეო, თვარა... მარა, ეგ არაფერი,
ვინათხოვრებ წაკატას...

მევიდ ხალელის ეზოში რომ შევიდ-
ნენ, მერაბი დაწინაურდა და კარაპანი-
დან მომავალ მასპინძელს მიესალმა.

სხვათა შორის, მევიდს ზედმეტ სახე-
ლად კარაპანს უძახიან სოფელში.

მუგუზალივით წითელია სახეზე. თმე-
ბი და უღვაშები ინიშ შეღებილი გეგო-
ნება. მევიდს ხუთი ქალიშვილი ყავს და
ამიტომ მას უშვილოს ეძახიან. ძალიან
გულაგდებული იყო ცხოვრებაზე, — ვა-
ეი არა მყავსო და...

უფროსი გოგო ჩვიდმეტისა იყო, სხე-

ები—თითო წლით დაყოლებული. „რო-
გორ მივიყვანო სხვისი შერიო სხელში.
აბა, სიტე ხომ მინდა, ვინ დაუტოვებ
ოჯახს?!.“

მისი ცოლი, ზაიდე, ბოლოს და ბო-
ოს, ისე შეწუხდა, ისე შეებრალა მევი-
დი (ქალს გონია, ჩემი ბრალიაო), რომ
ერთ საღამოს, ბუხართან მჯდომ ქმარს
რალაცნაირი ნალვლიანი თუ განწირუ-
ლი ხმით უთბრა:

— მონახე სხვა ქალი და გეიხარე... რა
ვქნა... მემრე აღბათ გეყოლება ბიჭი და
გეიხარე... რა ვქნა აბა... ასე აღარ შემიძ-
ლია შენი ყურება. — და ბუხრიდან მოშ-
ვებული წითელი სინათლით ისე შეეღე-
ბა ლოყაზე ჩამოგორებული კურცხლე-
ბი, რომ მევიდს ეგონა, ზაიდეს წამწამე-
ბიდან სისხლი ჩამოწვეთაო.

— არა, ვინ ჩავიდგა ხაპერში მაგფერი
ქუქა!.. — ვაჯერებულად მიახალა ქმარ-
მა.

მევიდი სწორედ კარაპანში დახვდა
სტუმრებს.

— შინ მობრძანდით! — გამოსძახა. —
აქ მობრძანდით შინ. კარი ღიაა.

რეზოს მართლაც ერჩია შესვლა, ჩა-
მოჯდომა. „რად მინდა, რომ დამათრევენ
ეზო-ეზო, გაიფიქრა.

მერე გული იმით დაიმშვიდა, რომ გა-
ახსენდა, თვითონ არაფრით იყო დაკავ-
შირებული ამ ფუხარა სოფელთან.

რა გამოვა აქედან. ესენი ყველა ერ-
თად რომ შეყარო, შეკოქო და რალაცა
ფასი დაადო, მარტო ბიძაჩემის ქონებას
ვერ გაუტოლდება. ვინაა ბიძაჩემი? —
ერთი ვალღეტილი არტელის ხელმძღვა-
ნელი.

მამაჩემი? ის ხომ სულ ჩაყლაპავს
აქაურ შეიდ-რვა მოსახლეს. ერთი პატა-
რა სოფელის გამგეა. მეტი ხომ არაფე-
რი. სოფელში ბალი რომ გვაქვს?... არა,
მიკვირს რაზე იკლავენ ეს უბედურები
თავს.

ნახიმი, მერაბი და მევიდი ჩახა-ჩახა
ლაპარაკობდნენ სოფლის უემურ წარ-
სულზე, უხეირო დღევანდებობაზე და
საიმედო ხვალინდელ დღეზე.

— არხი? განა ვისთვის მიხაროდეს...

მარა არბს და წყალს რა ჯობია სოფელში.

მერაბი არ შეკითხვია, თუ რატომ თქვა მეჭვიდმა, ვისთვის მიხაროდნენო, ისედაც მიხვდა.

ბრიგადა თითქმის სულ შემოიარეს. რეზო ძალიან დაიღალა, სახლში რომ მოვიდნენ ყველას ეძინა. კარები ღია იყო. როგორც კი შევიდნენ დერეფანში, მარცხენა ოთახიდან ეუუუნა გამოეგება, ქალიშვილი ნამძინარევს არ გაედა. მერაბს გაუკვირდა. ეუუუნა მიხვდა ამას, რატომღაც ის ყველაფერს უთქმელად ხვდებოდა, რასაც მერაბი გულში გაიფიქრებდა. კუთხეში თავისი პატარა საწერი მაგიდა მიეჩოჩებია და თავისავე გამზადებული ვახშამი დაეწყო ზედ. წუხდა, რომ ყველაფერი გაცივდა.

— დიდხანს გელოდეთ, მერე ყველაფერი გაეამზადე და წავედი. ქვედაურ ქალებთან საუბარი მქონდა დანიშნული. როცა დაებრუნდი, დაუთ ბიძია აქ იქდა, გელოდათ. წელან დაწვა მხოლოდ.

— შენ?

— ოჰ, რა მოხდა მერე! დაბრძანდით, დაბრძანდით.

ხელი დაიბანეს და სუფრას მიუსხდნენ.

პატარა დერეფანს სავსე ღვინო მურადს ჰქონდა თურმე შემონახული მიწაში და დღეს ცოლის მამსთან მოეტანა. სტუმარი ყავსო და...

შექვიფიანებულები დაწვნენ. რეზოს დერეფანში დაუგეს. ფეხზე იხიდა და დღუნული, როცა ეუუუნამ ღამენებისათვის უთხრა და კარი მოიხურა. სწორედ ამ კარებს მოიტება თვალეები რეზომ და რამდენიმე ხანს ასე დარჩა გაშტერებული.

გადაწყვიტა არ დაეძინა. ის კარები არ ასვენებდა და რაღაც გამოუცნობის მოლოდინს განიცდიდა. მაგრამ დაწვა და იმავე წუთს ჩაეძინა. ყველას ჩაეძინა, არა, მარტო დაუთს არ ეძინა. დაღლილი იყო და წამოგორდა, თორემ არც წელან ეძინა.

უნდოდა ადგომა, მაგრამ წელი ვერ აათრია.

ღამე კი უხმოდ მიედინებოდა.

გვიან ვილაყამ ფანჯარაზე ფრთხილად დააკაუნა. დაუთი წამოჯდმოდა და დაიწყო დო ჰუჭრუტანას, მაგრამ მისი ყური რაგორღა გამოიჭერდა ისე სუსტ ფაჩუნს. ხმაც გაიგონა ვილაყასი, ოღონდ ვერ გაარჩია რას იძახდნენ. მერაბს გადაუძახა. ვერ გააგონა. მივიდა და გააღვიძა. მერაბი თვალეების სრესით მიადგა, ფანჯარა გააღო. ნური ბერიძე იყო. გაუკვირდა. მამის ქეჩხო მოყვა ხელში, წამოიხურა და ეზოში გაეარდა.

— გიცადე, მერაბავ, მარა საიდან გამეპარეთ არ ვიცი. ჰოდა, შენ ჩემი ბატონი ხარ... — ტუჩებს იკვნეტდა.

— რა იყო, ნური. ასე გვიან რამ შეგაწუხა?

შეჰყურებდა და მერაბს არც ვეროდა, რომ ეს ნური იქნებოდა. რამ დაანაღვლიანა ასე, რამ დაასერიოხულა.

— თოფანამ კაცი გუგზანა ზაირას, ჩემი ქამილასთვის წამომყვევო.

მერაბმა თვალეები მოჭუტა და ნურის სახეს ახლოდან დააკვირდა. ნურიმ ხმას აუწია.

— შევაგულ სოფელში იმფერი საკარმიდამო რატომ ჩავეგდო სხვას ხელშიო, უთქვამს თოფანას, მივიყვან და ჩემ ბალანას დაესვამო. დანიშნული რომ ყავდა იმას უარი შეთვალა.

ყველაფერი ენიშნა მერაბს. კი იხამდა ამას თოფანი. ის მიწით გაუმაძღარია. ეგ არ იყო, მურადისაგან მიწა რომ ჩუმაღ იყიდა? მაშინ ყომარს თამაშობდა მურადი და უშოვა ფურსანი თოფანმა. — ფული დაჭირდებო და. მიწა კოლმეურნეობისა იყო, მაგრამ მურადის მამის ყოფილი საკუთრება. „იყოს კოლმეურნეობის, შენ რა გინდა, შენ მე მომყიდე. აჰა, ფარა...“ — უთქვამს თოფანს. ვინ იცის რისი იმედით იყიდა. მურადს რა ენაღვლებოდა.

ბევრი უცადა თოფანამ, მაგრამ არ იქნა და არ გახდა ის ნაყიდი მიწა მისი საკუთრება.

— ნური... — მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა მერაბმა და ტუჩზე თითი მიიღო, თითქოს დარჩენილი სათქმელი მოწყვიტა და საღლაც გადაისროლა.

— მე აშიქარა კაცი ვარ, მერაბავ, და უნდა ვითხრა, ზაირაი მე მინდა. შენ ხომ აღარაფერი გაქ მასთან. შენთვისინ ღრუბელია. მე ვკლები ისე შემოყვარდა. შემეხმარე რაცხა. თლათ შენ გახსენებდა გლახად, მარა ვატყობ მაინც შენ დაგიჯერებს მარტო. შემეხმარე რაცხა.

ბაღნიანი, ქრივი ქალი სწორეთ ჩემი საფერია.

მერაბმა თავი დაუქნია მხოლოდ.

ნურის პასუხისათვის აღარ დაუცდია. ცუდი რამ ამოიკითხა მერაბის დუმილში. გულში კიდევ გაიკცხა თავისი საქციელი და გალახულივით წელში მოღუნული გაიპარა იქიდან.

23

— რა გაციენებს, ბიჭო!

— შენზე მეციენება. მერაბ. აგერ უსწავლელი ბიჭები კოლმეურნეობიდან მირბიან, რამე სხვა კუნხე მოვნახოთ და სული მოვითქვათო, შენ უმაღლესდამთავრებული აკვლები ამ ფარეხებს. მაინც ვინმე რომ გეხვეწებოდეს, მოდი მოგვეხმარეო, სხვაა. არც ბრავადირი ხარ, არც მერგოლური, და არც უბრალო მუშახელი. ვინ გაგასულელა, ერთი მითხარი.

— რა ვითხრა იცი, რეზო? მე ჩემი ბავშვობა ინსტიტუტთან ერთად დავამთავრე. წინათ მეგონა სულ სხვა იშრომებდა, სხვა გააკეთებდა. მე კი ვივლიდი სხვის გაკეთებულზე და პირადად მე თავსატეხი, გადასაწყვეტი არაფერი დამჩნებოდა — ცხოვრებაში, მით უმეტეს, ჩვენს ქვეყანაში, სადაც პარტია, ყველაფერს პატრონობს, ხედავს, ჰკრეტს და წყვეტს.

— მერე, მაგი ასე არაა ახლაც? შეიცვალა რამე თუ? შენ, ძმაო, ჰქვიანი ყოფილხარ ბავშვობაში. ახლა ურევ ცოტას თორემ...

— რატომ არ შეიცვალა? შეიცვალა! ახლა გვეუბნებიან: არა, ზემოდან ნუ ელოდებით ღირექტივებს. მოიფიქრეთ ადვილზე და პირობების შეფარდებით გადაწყვიტეთ, რა უკეთესია; როგორ

შეიძლება გაიზარდოს ეფუფუნეობა? — ლიერდეს მეურნეობა. პატარა ქუჩაა, ჰქუას მუშასა და გლეხს ეკითხება, მერე შეარჩევს უკეთეს აზრს და გაავრცელებს... — მერაბი გაჩერდა, ჩაფიქრდა. — მართალი ხარ. არავინ არ მთხოვს მოვეხმარეო, მაგრამ რატომღაც მე თვითონ მოვთხოვე ჩემს თავს, ჯერჯერობით ადგილი არ მაქვს. სოფელში კი ვარ... ვახსოვს ტატო? — „იყო სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნო...“ არა, იმ ლამეს, ინსტიტუტიდან რომ ვბრუნდებოდი, პირველად ვიგრძენი ჩემი ვალი სოფლის წინაშე და გამეხარდა: გავზრდილვარ მეთქი.

მერაბი ისევ ჩაფიქრდა, მერე მოულოდნელად ჩაიცინა.

— ახლა შენ რაღა გაციენებს, — გაუკვირდა რეზოს.

— მე და შენ თუ ასეთ სერიოზულ ამბებზე ვისაუბრებდით, არ მეგონა.

რეზო ფეხზე იდგა ხანაც ბოლოს ცემდა და ისე უსმენდა მეგობარს. თან თვალით ეუყუნას ეძებდა. ქალიშვილი არსად არ ჩანდა. მერაბის ეხათრებოდა, ვერაფერს ეკითხებოდა.

ეუყუნა ადრე წასულიყო სკოლაში.

ბიჭები სოფელში გავიდნენ.

კანტორასთან რომ გაჩერდნენ, მერაბმა უცნაური ჩოჩქოლი შენიშნა ქვემოთ, მინდორში. კოლმეურნეთა ერთ ჯგუფს რაღაც მორები მოეზიდა, მეორეს — მოჰქონდა. გუშინ საღამოს გამგეობას გადაეწყვიტა თურმე, რომ სასწრაფოდ დაეწყათ კლუბის მშენებლობა. მეორე ღლეხვე დურგლები ტყეში გაუშვა მასალის გასაქრელად.

ამ გვალვაში, ისიც შუაგულ ზაფხულში, კლუბის მასალაზე შრომადღის ხარჯვა მერაბს დანაშაულად მიაჩნდა. კარგად რომ ჩაუკვირდა ეს ერთგვარ გამოწვევის მიახსავება. ილიასი ჩქარობდა. რაღაცის ეშინოდა. ცდილობდა ეჩვენებინა ვილაციისათვის საქმის გარეგანი მხარე.

ვიდრე გლეხებს ელაპარაკებოდა გზაზე, რეზო სადაღც გამქრალიყო. ამასობაში ზარი დაირეკა, სკოლის კარი გაიღო

და ქუქუნა და რეზო ერთად გამოვიდნენ გარეთ.

ქუქუნა თითქოს უხერხულობდა, სულ მერაბისკენ იყურებოდა, სურდა განთავისუფლებულიყო რეზოს ჭიუტი მიჩემბისაგან, მაგრამ ვაჟი ხან ერთი მხრიდან, ხან მეორე მხრიდან ამოუდგებოდა. ქალი იძულებული გახდა ვიტრინასთან შემდგარიყო. მერაბმა დაინახა, მაგრამ მათთან აღარ მისულა.

ილიასაზე გაჯავრებული ღობეს გადაახტა, გვირგვინი გადათელა და ნაილეს სახლის კიბე აირბინა.

მურადიც ტყეში წასულიყო. ნაილე ფხალს რეგავდა ხის გომბზე.

ჩვეულებრივი სიხარულით არ შეხვედრია ძმას.

— რა იყო, ნაილე, რა გინდათ შენ და მამაჩემს.

— იმფერ რაცხაებს ამბობენ, რომ ის თუ მართალია, ბაბაი მოგკლავს და ასე იცოდე.

— რა იყო? — ფერი ეცვალა მერაბს.

— გუშინ ზაირასთან ყოფილხარ მარტვაი. რატომ ირჯები მაგას. ხალხი რას იტყვის, ქვრივ ქალთან რომ მიხვალ. ისიც ღამე, რას იტყვიან... ეგ კიდო არაფერი. დილას ბაბას უთხრა თურმე ვინცხამ, შენი შვილი ზაირას თხოვას ამბობსო. ბაბაი კილამ გაგიყდა. თავი არ მოგვეჭრა, კო!

— ნაილე. ნუ ვიყვართ კორების აყოლა.

— არა, მენიშნა, მენიშნა. შენ სხვაფრად ხარ ატეხილი. ევდოს ის ილიასაი რატომ უხტივინებ ამდენს. ის ძველი კაცია. ხალხი ყავს ზევით. უფროთხილდი. არაფერზე წამოგაკრეცინოს ფეხი. ერთი ბაბაი დაგვრჩა, ისიც შარში არ ჩააგდო.

— ჰო, მერე კიდევ?

— აღმასივით ბიჭი ხარ. გოგო დელია ქვეყანაში თუ? რათ გინდა სხვისი ნათრევი ქალი, ისიც ბაღიანი, ისიც შენი გაგდებული. არა, თუ გინდოდა ეგერ არ იყო დაწუწვებული შენს ცეცხლაპირ? ჯერ მაშინ შეგვარცხვინე, — ქალი დატოვე და დეიშალე, ვითამ კაცობა არ გქონდა. ახლა კიდო... არა, სწავლამ ჭკუა

წავართვა, თუ რა გვირს, ერთი მიიხარო.

— კარგი, ნაილე. გავიგე, გავიგე.

— ეს სოფელია, გესმის ჩვენი ხეყუნა აღათები გვაქვს.

მერაბი ახლო მივიდა, დას მიეფერა.

— ნუ გეშინია, ნაილე. მე არავის არ შევარცხვენ.

მერაბი არეული გამოვიდა ეზოში. რეზო ქუქუნას ეჩურჩულებოდა ვიტრინასთან ისევ.

რად მინდოდა სოფელში რომ წამოვიყვანე. უსაქმური, სალახანა. ავიტეხე ერთი მეც... მეგონა ვაჭირვებასა და შრომას რომ ახლოდან იხილავს, გული გაუღებება-მეთქი. არც მიკარებია რამე. ერთი სული აქვს, გავიქცე, ეს სოფელი აღარ დავინახო.

თუ დაგვრივე კბილები და გავუძელი ამ სიძნელეთა მოწოლას, თუ ჩემი გავიტანე, ვანახებ რეზოს, რაც ყოფილვარ. ვანახებ, რა ყოფილა პატარა, მკლე საკირეთი! ახლა კი წავიდეს ასე გულ-აყრუებული ჩემზეც, სოფელზეც და წაიღოს გულში ჩაანეული სიცილი.

... ბრიგადირი არა ხარ, ეს არა ხარ, ის არა ხარო. იმას ვუცადო მე, როდის მოიწვევენ კრებას და როდის ამირჩევენ გამგეობაში, ან ბრიგადირად, ანდა — თავმჯდომარედ? აქ დავიბადე, აქ დაგბრუნდი. ვის ვუყურო? სხვაზე ნაკლები პატრონი ვარ აქაურობისა? საქმის მეტი რაა, ოღონდ ხელი და ტვინი გაანძრიე.

არა, საკირეთო!.. ჩემს ახალგაზრდობას გეფიცები, არავის დავაჩაგვრინებ შენს თავს, არავის გავაცინებ შენს სიღარიბეზე აი, ნახონ!.. ისეთი დღე გავითენო, შენთან მოდიოდნენ და ჭკუას გეკითხებოდნენ. — ფიქრობდა მერაბი და ნელა, სულ ნელა მიჰყვებოდა ძველი ღობის ძირებს და სარის ვიწრო ჩრდილებში ამოქოჩრილ ბალახებზე სიყვარულით აბიჯებდა ფეხს.

ცოტა ზემოთ რომ ავიდა, თვალები ისევ ზაირას ოდისკენ გაექცა. შემდეგ ზაირას სახე, ცრემლითა და ღიმილით შეკაზმული სახე მოეჩანა, წუთით შეჩერდა. არ შეეძლო საკირეთზე ეფიქრა და ზაირა არ ვახსენებოდა. ზაირაც

ხომ მის მშობლიურ სოფელივით ლამაზი იყო, ჩუმი, ტკბილი და... ღარიბი. ორივეს მოვლა სჭირია, ზრუნვა და სიყვარული.

ასე სჯერა მას, მერაბ ხაბაზს. სხვანაირად რომ იყოს, მაშინ არცერთ ნაბიჯს, არცერთ სიტყვას მაღლი არ ექნებოდა...

მეორე დღეს მერაბს ზეგანში უნდა წაეყვანა რეზო. მაგრამ რეზოს შეეზარა. შენ მშრომელი კაცი ხარ, წადი, მე დავიხვეწებო, უთხრა.

დაუთი წისქვილში წასულიყო, საფქვევი წაიღო.

შინ ეუუუნა იყო მხოლოდ.

— არ გინდა დამეხმარო ხომ? — შემოუბრუნდა მერაბი რეზოს.

— რაში?

— წამომეყვი სოფელში.

— მე შინ დავიციდი. აგერ წამოვგორდები და ვიფიქრებ შენს სოფელზე. შენ კი წადი.— წაიხუმრა რეზომ. ეუუუნამ მორცხვად ჩამოუარა წინ ბიჭებს და პატარა ჩითის ფეშტამალზე სველი ხელები შეიწმინდა და თავის ოთახში შეიძალა.

— კარგი აბა... მე ვაეციქვევი. რაღაც ისეთი საქმეები მაქვს რომ ..

რეზო ეზოში გაყვა.

მერაბი მთელი დღე გრძნობდა, რომ რეზო სხვაგვარად უყურებდა ეუუუნას და რაღაცას ფიქრობდა...

ამიტომ როცა წავიდა, იჭვის ეკალმა გააწერა.

მაგრამ ეს ეჭვი სისულელედ ჩათვალა. ეუუუნა ხომ სულ სხვაა.

* * *

რეზო დერეფანში შევიდა, კუთხეში მიდგმულ მაგიდასთან ჩამოჯდა. ჯიბეში შერჩენილი ძველი ვაზეთი ამოიღო და გაშალა. მაგრამ არაფერი არ წაუკითხავს, ისე ტყუილად თვალი მოავლო სტრიქონებს.

შემდეგ წამოდგა, ისევ ვარეთ გავიდა. ერთხანს ღობეს მიეყუდა, რაღაცა სიმღერაც წაილიღინა უსიტყვებოდ, მაგრამ იქაც ვერ მოისვენა და უკანვე წამოვიდა.

ატყობდა, რომ ეუუუნა ეუუუნა მღერის მისი შინ დარჩენა. ქალიშვილი უცხეთს ულობდა, ემალებოდა, თითქოს კიდევ ემინოდა რაღაცის. ეს კი ჩუმად გულს უღრღნიდა სტუმარს, ეგონა ეუუუნა მას უკადრისობდა, თან არ მოსწონდა, ამით კი ვითომ თავმოყვარეობა ელახებოდა.

„მე ის მომწონს, ნამდვილად მომწონს... არა, ისე არა,— მართლა მინდა... — არწმუნებდა თავის თავს.“

შედგა, ღრიკედ დარჩენილ კარში შეიხედა. ქალიშვილი ხის ტახტზე იჯდა და არაფერს არ აკეთებდა. იგი ალბათ რეზოს ნაბიჯებს უგდებდა ყურს და რაღაცაზე აღელვებული ფიქრობდა.

ის თითქმის ქალაქში გაზრდილი გოგოა, მაგრამ ჯერ არ შემთხვევია, რომ ასე განათლებულ, გამოსულ ბიჭს ისეთი რამე ეთქვას, როგორც რეზომ გაუხილა გულში. ისიც ისე მალე,— თითქმის ერთი ნახვით. არა, ეს არაა მართალი. მაგრამ რაში ჭირია ჩემი მოტყუილება. გათამაშება. მე თუ მკადრა, მერაბს არ კადრებს. აჰო, მერაბმაც. მართლა, რატომ დატოვა? იქნებ შეთანხმებული არიან... თუმც მერაბი მეტყოდა.

ათასი აზრი აეკვიატა ეუუუნას. არა, არ უნდოდა რეზოსთან კვლავ პირისპირ მართო შეხვედრა და იმ მიტოვებული საუბრის გაგრძელება. ის სხვანაირია, რაღაც სხვანაირი მალული მიმზიდველობა აქვს, ვერ შევიკავებ თავს, ავყვები, დავიჯერებ. არ მინდა მე ეს... როცა ვერ ვხედავ, საღად ვფიქრობ, შევხედავ, ფიქრი დამეზნევა.

ასე არ მინდა.

მაგრამ ვინ იცის,— ფიქრობდა ის— ვინ იცის. იქნებ მართალია...

რაღაც ენანებოდა, რაღაც ებრალებოდა და წუხდა, რომ შეიძლება შემთხვევის ერთი წუთი, რომელმაც უნდა გაანათოს მთელი ბედისწერა, დიკარგოს.

გრძნობს: იგი კარებთანაა. ალბათ კიდევ იყურება. რას იყურება, რას? ერთი წამით შეეზიზრა კიდევ რეზო და სურდა ეყვირა. მაგრამ თავი უფრო ჩალუნა და გაისუსა.

ეგონა ამით ვთავისუფლდებო, მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. რეზომ მანქანიდან თავი გამოყო და მერაბს ჩასჩურჩულა:

— ლამაზად შეშინახე ყუყუნა, გესმის?..

25

საკირეთის მეზობელ სოფელ ველაურში ფულურიძეები თოფან სალვარიძის შენათვალმა უარმა უბედურ სირცხვილში ჩაყარა. მაგ ყიყვიან ფეხმოგრებილს უყურე შენ, რომ ჩვენს ოჯახში გაზრდილი ქალიც აღარ იკადრა. თოფანს ახსენებდნენ... ისე გეიზარდა, გამოღვედილ ქალამნებიდან თითები კარტოფილივით ქონდა გამოყრილი.

მაგრამ ერთი ჰკვიანი გამოჩნდა მათშიც და გაჯავრებულ ნათესავებს ურჩია; კაცო, ქვეყანა რომ შეაჯერეთ ამ თოფანს და მისი შმიტიანი ბიჭის ლანძღვით, გამოდის, რომ დაგვექცა ოჯახები თუ სალვარიძემ ჩვენი ქალი არ ითხოვა! ვაი, სირცხვილო!

და ამით ყველა ჩაჩუმდა.

ცოტა გვიან ფულურიძეებმა ისიც გაიგეს, რომ თოფანმა ეს ვილაცა ქვრივი ქალის გამო ჩაიღინა. ქალს კარგი საკარმიდამო აქვს და ამან წაიტყუა სალვარიძე;

გაიგეს და ატყდა ახალი მითქმა-მოთქმა ამ „ვილაცა ქვრივის“ ვარშემო.

„პირველ ქმარს პირველ დამესვევ გარეთ გაუგდია. არ ყოფილა პატიოსანი და... მეორე ქმარი ისე ბეზარზე მოიყვანა თურმე, ღელე-ღურდანში გადავარდა კაცი, ოღონ მაგ უნამუსოსთან არ ვიყო.“ და ვინ იცის, კიდევ რას არ ამბობდნენ ზაირაზე.

თოფანის ცოლმა, თენზილემ, რომელსაც ზოგიერთები თენზილე-ხანუმს ეძახიან და, რომელიც წინათ ზაირას სულ ავად ახსენებდა, ახლა უცებ შეცვალა პოლიტიკა. ახლა ყველგან ჩიოდა: „საწყალი ქალი. უმტყუნა იღბალმა. თლათ ბაღანა დაქრივდა. მაგი, გარჩეული თხილის გულივით ქალი ასე მართო დაიტოვება? ვიაური მერაბაი უღღუნუნებს თურმე, ის ვიაური! ჰო, საყვარ-

ლად უნდა... ამას ასწავლიან იქა, აბა სხვა რამეს ასწავლიან თქვენს ქვეყანას ნეტაი ვინ დუღებოდა აგრაანომობაში წინ, მაი რომ არ მოთრეულიყო?

ერთხელ თენზილე-ხანუმი თვითონ მერაბს გადაეყარა სოფლის გზაზე მერაბმა ვერც კი მოასწრო შეხედვა, ქალმა უმაღვე თავშალი ჩამოიფხატა თვალებზე, მერე ლეჩაქის ნაწიბურს წაატანა ხელი, ამოაძრო და პირზე აიფარა. მაგრამ ოდნავ გრძელი წითელი ცხვირი მაინც გარეთ დარჩა გამოშვერილი და მერაბმაც ამ ცხვირით კარგად იცნო თენზილე.

რაც არ უნდა იყოს, მეზობლის ქალი ხუთი წელიწადია ზეირიანადაც არ ენახა. პატარაობაში კი სულ ამ ეზოკარებში სირბილით ქონდა ფეხები დაგლილი, და როგორ იფიქრებდა მერაბი, თენზილე ბიკოლა, ისიც დღევანდელ დღეს, დამერიდებო. თუმცა იცოდა თენზილეს სიჭიუტე: სოფელში თითქმის აღარავინ იხურავს ჩადრს, ამ ქალს კი არ ეშველა.

„ალბათ ვერ მიცნო?“—მაინც ვერ დააჯერა გული მერაბმა.

— ბიკოლა თენზილევ, რატომ ვერ მიცანი?! მერაბი ვარ...

ქალს თავი არც გაუნძრევია, მხოლოდ გულამღვრეულად ჩაიბურღლუნა:

— ჩემმა გამჩენმა ღმერთმა კაი დღე არ მოგასწროს... ჰა, არ მოგასწროს გამჩენმა სიკეთე!...

ის, რომ თენზილე გაჯავრებულა, არ გაკვირვებია, არც ძალიან წყენია. მაგრამ ჩადრი, რომელსაც თავისი რწმენით იგი ახლა უკვე აღარ მოვლოდა საკირეთში, შავად დაეშვა მის წინ.

ერთხელ კიდევ სინჯა:

— რა იყო, თენზილე ბიკოლა, რატომ მწყევლი...

მაგრამ ქალი ისე შირბოდა, რომ მისი გრძელი დაქუქნილი კაბა ჩალის დაშლილ კონასავით იბნეოდა კოჭებზე.

ამ ქალს რომ თვალი მოაცილა, რატომღაც უფრო მეტად შეებრაღა ზაირა და ოდნავ კიდევ შეეშინდა, მართლა ამ ეშმაკის ხელში არ ჩავარდესო.

შინ მივიდა.

საკმაოდ ცხელოდა, დაუთი კი მკერდ-გაღვდილი გამოჩნტრეკილ ლადარზე მი-ცხუნებულყო და თან მასით ნაცარს ჩიჩქნიდა. მერაბი გაღმა სეჭვზე ჩამოჯ-და, თითქოს მამისგან რაღაცის თქმას მოელოდა.

— რა გჭირს, ავად ხომ არ გახდი?

— რაცბა ველარ ვარ დღეს... არ ვიცი რაა, — უპასუხა დაუთმა.

— მითხარი, მამაჩემო, მითხარი, მირ-ჩევნია...

დაუთი მძიმედ შემობრუნდა, დახუნ-ძული წარბები მაღლა ასწია და შიგ ჩაფლულმა შავმა თვალებმა ცივი სინათ-ლე ესროლეს მერაბს.

— ასე არ მინდოდა, შვილო...—ერთი ბიჭი მყავს და ასე არ მინდოდა.

— რაი, მამაჩემო?

— მე ნუ მამჩენებ, შვილო,— შენ იცი, რატომ ვარ ასე დამწვარი. ერთი ბიჭი მყავხარ და მინდოდა, არვის არ ვაეცინა ჩემზე, ისე მეხილა შენი დასახ-ლება, შენი ქორწილი. მე სამოცდაათის ხოკერი ბერი არ ვკადრულობ და შენ,— ხანძარივით დანთებული ყაძახი, რაფერ კადრულობ, სხვისი ნაყოლი ქალი შინ შემოიყვანო.

— მამაჩემო, მე ჯერ არაფერი არ ჩამიდენია ისეთი...

— ვიცი, შვილო, ყველაფერი ვიცი... დაუთი დადუმდა. დაფიქრდა, რაღაც გადაწყვიტა გულში მტკიცედ და განა-ცხადა:

— მე მყავს რძალი!... ისაა ჩემი რძა-ლი!... მივლის, მათასებს, ყოლიფერი იცის... ისაა ჩემი რძალი!

— ვინა, მამაჩემო!

— ვინა და ეუუუნაი!

— კი, მაგრამ...—მერაბის ეს ენის მოუბრუნებლობა დაუთს ყოყმანად მო-

ეჩვენა და იმედის ნაპერწკლებს გულში. „იქნება ბიჭს მამაჩემს ეუუუნაი და ვერ ბედავდა ეთქვა. მამა-ჩემი გიაურის ქალს არ მომავყვანიებ-დაო“.—ფიქრა მოხუცმა.

ახლოს მიუჩოჩდა შვილს. ხმას და-უწია, თვალები უფრო ფართოდ გაახი-ლა და თბილი მამობრივი თრთოლვით ლადო ხელი მხარზე.

— ალბათ შენც ასე გინდოდა, შვილო ხომ? შენ თვითონ გინდოდა ეუუუნაი, შვილო, ხომ? ჰო, მე ვიცი დი ევა. შვილო. ვიცი დი მე. ბევრჯერ ვემასხრე, ეუუუნას და რაფერ ამყვა, იცი? შენ ძა-ლიან უნდობარ შვილო... ისე შეეჩვიე... ვეთხარი კიდევ შენ მეში რძალი იქნები-მეთქი. რა ქალი გახდება ნახავ შენ. ქვე-ყანა შემოგნატრებს. მემრე რაფერი მო-ყვრობა იციან მაგათ, იცი? ნუ ჩამოუ-შვი ახლა შენც ეგ თავი გიდელივით. თქვი რაცხა...

— მამაჩემო, ჩემს მაგიერ რატომ ეუბნები?...

— ქალის მოყვანა ჩვენში სულ ასე იყო, შვილო. ასეა. მე ხომ არ შევეცი. შენ მაგიერად მე ვიტყვი, მე ვავგზავნი. მე შევეუთო, დევნიშნავ, ასე კეთდება შვილო. მე ვიცი დი, აბა, მე ვიცი დი. ზაირას მომყვანელი შენ აღარ იყავ...

— მამაჩემო!.. — სასოწარკვეთილად შეჰყვირა მერაბმა და ფეხზე წამოიჭრა: მამამ შვილის სახეზე ცრემლი დაინახა. ბიჭს ტუჩები უკანკალებდა და გული ისე ძლიერად უცემდა, რომ მამას თით-ქოს ესმოდა. შვილმა ხმას დაუწია.

— ზაირას ვერ დავტოვებ, მამაჩემო.. ნუ გეწყინება... მე ის ძალიან მიყვარს... რა ვქნა... არ იქნა, არ გაგახარე, სიბერე-ში, მაგრამ ასეთი ბედისა დავრჩი... მა-პატიე...

(გაგრძელება იქნება)


მოკის უოსხიშვილი

მარტოხელა ქალის გალადა

ის ახლა უკვე არ დადის არსად,
ალარ გრინობს
დიდი დროის სიცხარეს...
შემოვიღიან ხანდახან მასთან
და როგორც წარსულს მოიკითხავენ.

დაუტოვებენ ღიმილს და ყვავილს,
მოგონება კი
ასე ცოცხლდება
და თეთრ თინჯანზე ცივდება ჩაი,
როგორც დაკარგულ კაცზე ოცნება.

არაფის რჩება იმედის კვალი,
დგას ჩაკეტილი
წიგნის კარადა
და მშვიდად ყვება მოხუცი ქალი
ტკბილი ცხოვრების მწარე ბალადას.



მიჩიან მიჩნაღი

მღინარე აღიდებულა

ციცქნა იყო და
აღიდებულა,
მიღის,
მოგელავს,
ნაპირს გადაღის,
ზეირთი ზეირთებზე აზეირთებულა,
როგორც ზეინები მზიან მკათათვის.

მიღის,
სოფელი გარეთ გასულა,
სოფელს სწყურია დიდი მღინარე, —
ხმუროს დატოვებს მოსვლის დასტურად
და სიზარულად შერე იკმარებს...

მიღის,
გზადაგზა ღორღებს მიათრევს,

შლამს ჩაურიგებს მიწებს საყანეს,
რადგან სოფლისთვის მოაქვს სინათლე, —
თავს ნაკვალევიც მისი გვაყვარებს.

მიღის,
გარშემო
მზეა,
ღარიბა
და ზეირთი ზეირთზე აღის მთებურად,
არის ჟივილი და რიარია, —
ციცქნა მღინარე აღიდებულა...
* * * * *

და რაც დიღია, რაც დიღია
სულში შემოდის რა აღიდებულად!


მ თ ე ზ ი

ფეხებს თანდათან იღვამენ ზღვისპირ
და მაღლდებიან თანდათან მთები, —
მისდევენ ერთურთს,
ვით ზეირთებს —
ზეირთნი
და შერე მათი
სიმაღლით ვთბებით.

ბორცვად,
ეძებენ მწვერვალს —
ზეცასთან შეხლილს
და აიწიფენ ამგვარად როცა, —
უცემ

უფსკრულში
უსბლტებათ
ფეხი.

აღიან ზევით
გორაკად,



ვაგუ მებარძვირი

წვიმა ქალაქში

წვიმს და დასასრულს ბოლო არ უჩანს,
მგზავრი არ არღვევს განზირის დუმილს,
შენ გეცოდება ამ წუთში ქუჩა
უკაცრიელი, მყუდრო და ჩუმი.
შუქს ირეკლავენ ფანჯრები ცივად,
მავთულზე სველი ჩიტები სხედან.
მოვიდა,
ისევ მოვიდა წვიმა.
შენი ქალაქის მოწყენა, სევდა,
ვეება სივრცე ირწყვია მწვანედ
სურვილი ცაში გაფრენას ითხოვს
და სადღაც შიშვეთ ამღვრეულ ლვარებს
რუხი ასფალტის დაღლა და სითბო.
ბავშვის სიცილით სავსე აქვთ უბე
შენთვის ყველაზე ახლობელ სახლებს.
ბაგრატის ტაძრის ბებერი შუბლი
ორნამენტების ნაოჭებს არხევს.
როინი ებრძვის ცარცისფერ ლოდებს,
რომ ბანქოსაფით გაშალის შრენი.
სამტრედებზე იმერულ ოდებს
გულჯიბებებად აკრავს და შვენის.
იდარა
ცა მხის წანწამებს ხუჭავს
და ხალხი არღვევს განზირის დუმილს.
შენც არასოდეს გენახოს ქუჩა
უკაცრიელი მყუდრო და ჩუმი.

პრ. კალანდია

მ ა კ ი ზ ა რ ე ბ თ ა ნ

1.

1944 წლის 12 აგვისტოს „ფრანტე-რიერების“ სამი ბატალიონი, რომელთაგან ერთი ფრანგი პარტიზანებისაგან შედგებოდა, მეორე — ესპანელების, პოლონელების, ჩეხოსლოვაკების, იუგოსლავებისა და იტალიელებისაგან, ხოლო მესამე საბჭოთა მებრძოლებისაგან, — ავერონის ტყეებიდან ვილფრანშის გზატკეცილზე გამოვიდა.

ეს იყო დაუვიწყარი დამე, როცა მთელი ბანაკი ბარისაკენ დაიძრა — ქალაქების გასათავისუფლებლად.

ინტერნაციონალური იყო ჩვენი ტანსაცმელი და შეიარაღებაც. ვის შავი ტილოს გალიფე და ლურჯი მაისური ეცვა, ვის — ხამი ქსოვილის ფართო ტოტიანი შარვალი და საყელო გადაკეცილი პიჯაკი. შეხვედბოდით სამოქალაქო კოსტუმს და აბატის ანაფორასაც.

სახელოზე თეთრი ლენტე გვკეთა: „FTPF“. შავი ბერეტი ფრანგულ ყიდაზე გვეხურა: ოდნავ შეკეცილი და მარცხენა წარბზე ჩამოწეული.

რომელი ქვეყნისა და ფირმის იარაღს არ ნახედით აქ... შობლიური სამხაზიანი „ტოზ“ და ავტომატური „შაშხანა“, „პპდ“ და „პპშ“, დეგტიაროვის ხელის

1961 წელს „ნაკალემა“ გამოსცა ილ. კალანდიას „დღეები ბრესტის სიმაგრეში“. ავტორმა დაასრულა მომდევნო წიგნები: „პიასტის ნამუსლარზე“ და „მაკიზარებთან“, რომლებშიც ასახულია საბჭოელი, კერძოდ, ქართველი პარტიზანების ბრძოლა პოლონეთისა და საფრანგეთის განთავისუფლებისათვის. ილ. კალანდიამ ამ ბრძოლების უშუალო მონაწილეა. ვებეჭადეთ ნაწყვეტს მესამე წიგნიდან.

ტყვიამფრქვევები, ტანკაწინააღმდეგო თოფები, გერმანული „შაშხანა-მალუზერი“ და შმაისერის დამბაჩა-ტყვიამფრქვევი, ჩეხური კარაბინი და ბელგიური „ვალტერი“...

საიდან სად უტარებია ომს კაცი და იარაღი!..

დამის ორ საათზე ამხანაგი ანეო მოვიდა, ბატალიონის მეთაურებს მოეთათბირა და თავისი „პეეო“ ნაყავის მიმართულებით გააქროლა.

მალე ჩვენი მანქანებიც ნელი სვლით გაჰყვინენ გზას ბურგუნიაკისაკენ.

ეჩქელავდა და უფრო ძალუმად იგრძნობოდა მთის ჰაერი და ტყის სურნელი... შუბლს სიამით ვუშვერდით წვიმის წინწყლებს.

მანქანები ჩამქრალი ფარებით მიდიოდნენ. დამის მყუდროებას არაფერი არ ღვევდა. მებრძოლები უსიტყვოდაც გრძნობდნენ ერთმანეთს და თვითოეულს ამჩნევებდა, რომ მარტო არ იყო...

— ვუახლოვდებით, გულო! — ძლივს გასაგონი, მთრთოლვარე ხმით წარმოთქვა ჩემს გვერდით, ცარიელ ტომარებში ჩაეუცქელმა ლანუაზმა და გაუბედავად ამოიწია მაღლა.

მე თავის დაქნევით ვუპასუხე, რასაც ის, ცხადია, ვერ დაინახავდა.

ლანუაზი ერთადერთი ფრანგი იყო ჩვენს მანქანაზე. ამასთან, ერთადერთი იყო მთელს შენაერთში, არავითარი იარაღი რომ არ ჰქონდა.

მაინც მოკრძალებით ვეპყრობოდით ამ ტანდაბალ, მუდამ მოფუხფუხე კაცს, რომელსაც ამხანაგებმა „ლოქო“ შეარქვეს, ხოლო ზოგი „გულოსაც“ ეძახდა.

რადგან პირზე მუდამ ეს სიტყვა („მონკიორ“) ეყერა.

ლანუაზი იმ გაზაფხულს მოვიდა ჩვენს ბანაკში.

რამდენიმე ჰექტარი მიწა, შერეული საქონლის მალაზია და პატარა საწარმო ქონოდა კარმოს მახლობლად. ამ ქონებას თურმე დიდი ხანია უთვალთვალეზდა ერთი, მასზე ცოტა უფრო შეძლებული მეზობელი, რომელსაც თვალსაჩინო წარმატებისათვის მიეღწია გერმანელთა პოლიციის და მთელი ძალაუფლება ლანუაზის ქონების მისატაცებლად გამოეყენებინა. ბოლოს, საქმე იქამდე მისულა, ერთ კეთილ ნაცნობს რომ არ გაეფრთხილებინა, ჩვენს ლანუაზს ოსვენციში ამოაყოფინებდნენ თავს.

ასე და ამრიგად, ბედმა ინება, რომ ლანუაზიც მაკიზარი გამხდარიყო.

მას შემდეგ, რაც ნაპოლეონისა და მარატის სამშობლოს ესესვლები დაეპატრონენ, მთა სინდისის თავშესაფარი გახდა. დაბურული ტყე, მივარდნილი ადგილი ზღაპრულ სამყაროდ ეჩვენებოდა ყველას, ვისაც არ სურდა დამცირების მოთმენა და გერმანიაში მონური შრომისათვის გაგზავნა ელოდა.

ხალხი მთებში იხიზნებოდა. თან მიჰქონდა სარჩო-საბადებელი, სახელდახელო კარვებს გაშლიდნენ და „ომის დამთავრებას“, „უკეთესი დროის დადგომას“ უტყვიდნენ.

მაკიზართა მაშინდელი ბანაკები რომ გენახათ, იტყოდით, ხატობაში ვარო: არც იარაღი, არც სამხედრო მზადყოფნა... ცხადია, გერმანელები ადვილად არბევიდნენ ამ მშვიდობიან სადგომებს, მაგრამ, 1943 წლიდან, მომხდურს დამხდური გამოუჩნდა და მაკიზარი მტრისთვის საშიშ კაცად იქცა. ეს კორსიკული სიტყვა მთელ საფრანგეთს მოედო, ყველას „მაკი“ და „მაკიზარი“ ჰქონდა სალაპარაკოდ.

ბანაკში ლანუაზი სურსათის საწყობის გამაგდ დანიშნეს და, უნდა ითქვას, პირნათლად ასრულებდა მოვალეობას. მუდამ მხიარული, კეთილი და ალერსიანი ჩანდა.

რადგან ჩემი პასუხი ვერ გაიგო, ლანუაზმა შეკითხვა გამიმეორა:

— ვუახლოვდებით, ა, გულო?

— ძალიან გეჩქარება?

— რასაკვირველია, გულო!.. გულღვიძლი მეწვის... ვერ მოვისვენებ, სანამ ამ ღორებს ჩემი მამულიდან არ გავყრი. ვიდრე სამშობლო მტრის ხელთაა შესხანას ვერ შეველევი!..

ამ სიტყვაზე ცოტა ენა წაუბოროტიკდა, მაგრამ არაფერი შევამჩნევინე.

კარმოს რომ მიეუახლოვდით, ლანუაზმა ბრძოლის საფრთხე იყნოსა, საჩქაროდ მანქანა გააჩერებინა, ბარგი-ბარხანა ფუსფუსით გადმოიღო, სხაპასხუპით ჩილაპარაკა, — მე აქ შევივლი, მოკეთენი მეგულებო, — და მაღალ ბუჩქებში შიშბალა.

2

შეწყდა თუ არა სროლა, ქუჩები და მოედნები ხალხით გაიჰვედა, წყნარი, თითქმის მკვდარი ქალაქი ერთბაშად გამოიცვალა.

სადგურის ქუჩით, ვან ფორესის მოედნისაკენ მოქალაქეთა თვალუწვდენი კოლონა მიემართებოდა, რომელსაც გოლიათური შესახედლობის თეთრწვერა მუშა მიუძღოდა. „ლიბერტე, ლიბერტე, შერი“, — ისმოდა იმ მუშის მკვექარე ხმა და თითქოს მთელი ქალაქი გუგუნით ბანს აძლევდა.

დიდი და პატარა გარს გვეხვეოდა დათაიგულებს გვაწვდიდნენ... „მერსი... მერსი“, — გვესმოდა ყოველ ნაბიჯზე.

თვალწინ მესახებოდნენ ბასტილიისა და პარიზის კომუნის გმირები... ფიქრში ვართულს უცნობი მუშა მომიახლოვდა, ღონიერი ხელები მხრებზე დამადო და უბრალოდ, მაგრამ ამაყად მითხრა:

— აი, ჩვენი საფრანგეთი! ხომ კარგია?

მე ღიმილით დავეთანხმე და გრძნობამორეულმა ხელი გადავხვიე.

აივნებზე გადმომდგარი მოქალაქენი ოლტაცებით შენოგვძახოდნენ: „Vive L'union Sovjetique, son héroïque Armée Rouge! — Vive L'amitié Franco-Sovjetique, gage de la Sécurité et de



**Grandeur pour la France! A bas le fa-
chisme!**¹

— გაუმარჯობს გენერალ დე-გოლს!
რესპუბლიკას გაუმარჯობს! — ისმოდა
დროდადრო ქონგურებიანი სახლის ვე-
რანდაზე გამოფენილ მანდილოსანთა
წერილი ხმა.

ამ სახლის კედლებზე ჯერ კიდევ ამო-
კითხავდით დიდი, შავი ასოებით წარ-
წერილ სიტყვებს: **Vive Dorlot.**

ქორეის ძეგლთან ორი ახალგაზრდა
თავგანწირულად გაჰკიოდა: **Vive le
Roi.**²

მერიის პირდაპირ მხარბეჭიანი ჰაბუ-
კი კიბეზე ასულიყო და აბრაზე დიდის
მონღომებით გამოჰყავდა: **Kafé Moskau.**
ეს ამ სახელწოდების მეოთხე დაწესებუ-
ლება იყო უკვე.

ყოველი ასოს დამთავრებისას ხალხი
ტაშს უკრავდა და გზნებით გაჰყვიროდა:
Vive Moskau! „Hotel Mader“—თან სამი
გოგო გამოეთრიათ და ქუჩაში კრეკდ-
ნენ. ისინი თურმე არ თაკილობდნენ
გერმანელ სალდათებთან დროს ტარე-
ბას. მათ ზელები გაუკრეს, მკერდსა და
ზურგზე ფირნიში ჩამოჰკიდეს: „მე
ფრიცთან ვწებოდი!“

შეიარაღებულ მუშებს მოჰყავდათ და-
პატიმრებული ჰეპეველები, ლეგიონე-
რები „ვ. ფ.-დან“, მილიციელები, დეასა
და დორიოს დამქაშები, კოლაბორაციო-
ნისტები.

ლაპერუზისა და ეანა დარკის ქუჩის
კუთხეში ქალაჩა მუშას დიდცხვირა ახ-
მახი მიემწყვდია და გამეტებით ურტ-
ყამდა.

მუშა მკერდში მჯილს იბრაგუნებდა
და ყვირილით ამბობდა:

— მე კალატოზი ვარ! მშრომელი
ვარ! შავსავით წურბელა არ გეგონოთ!
აი, ჩემი კოყრები! აბა, შავ არამზადამაქ

¹ გაუმარჯობს საბჭოთა კავშირს, მის გმირულ
წითელ არმიას! გაუმარჯობს საფრანგეთ-საბჭოთა
კავშირის მეგობრობას, საფრანგეთის უშიშრო-
ებისა და სილიდის გარანტიას! ძირს ფაშისში!

² გაუმარჯობს მეფეს!

გვიჩვენოს! ერთი გვიხარას, რომ დღეს
ფრანგი მიჰყიდა ბოშებს! მუქი კამათი
ლა მთავრობასთან თბილად უნდა მოი-
კალათონ და ჩვენ მუდამ ვაწიბილბუ-
ლი დავრჩეთ!?

— მართალი ხარ!

— ჰეა შავას!

ხალხის მხარდაჭერით გამხნეებულ-
მა მუშამ ორიოდ ალიყური კიდევ უთა-
ვაზა მოლაღატეს და ადელევეებით წარ-
მოთქვა: ჩვენი ძმები იმისთვის დაიხოც-
ნენ, რომ ჩვენ თავისუფლად ვიცხოვ-
როთ!

— სალუტ, გულო!—შემომესმა უეც-
რად მერიის მოედანზე. მიგტრიალდი და
ქუჩაში ქაქანით მიმავალი ლანუაზი და-
ვინახე. მას, როგორც ქეშმარიტ გმირს,
ბავშვების მთელი გუნდი მისდევდა. ვა-
ნიშნე, ჩემთან მოსულიყო, მაგრამ ზე-
ლები გაასავსავა და მოუტყელი კაცის
სიჩქარით მომამახა:

— დრო არ მაქვს, დრო, გულო, აქ
ბევრი ნაცნობი მყავს...—დიდსა და
პატარას მკლაფზე ლენტი ეკეთა: „**Co-
mités de Liberation**“, „**FTPF**“, „**FFI**“,
„**Femmes de France**“, „**Milices patri-
otiques**“, „**Front patriotique de jeu-
nes**“, „**Comités des intellectuelles**“,
„**Front National**“, „**MLN**“, „**MOE**“
(„განთავისუფლების კომიტეტი“, „თა-
ვისუფალი ფრანგი მსროლელები და
პარტიზანები“, „საფრანგეთის შინაგანი
ძალები“, „ფრანგი ქალების გაერთიანე-
ბა“, „პატრიოტული მილიცია“, „ახალ-
გაზრდობის პატრიოტული ფრონტი“,
„ინტელიგენტების კომიტეტი“, „ნაცი-
ონალური ფრონტი“, „ნაციონალური
თავისუფლების საზოგადოება“).

ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ არ
არსებობს აპოლიტიკური ფრანგი; რომ
ეს თვისება შერწყმულია მათ ტემპერა-
მენტთან, მკვეთრად გამოხატონ გრძნო-
ბები და საჯაროდ გამოფინონ თავისი
ფიქრები.

ახალგაზრდები ქუჩაში ცეკვავდნენ;
სრულიად უცნობები ისე ჩერდებოდნენ
და ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, რო-
გორც ძველისძველი მეგობრები.

ხან აქ, ხან იქ გაიგონებდით ძალზე მოკლე და ჩქარი სამწყობრო ნაბიჯის ხმას, რომელიც გაბმული ტაშევით გაისმოდა ქვაფენილზე.

საყდრის მწვანე ეზოში გრძელი მაგიდები დაგვხვდა ჩამწყრივებული. ღია ცეცხლზე სადილი იხარშებოდა; გაშლილ მუშაშაზე გლეხური პურები ეყარა. გვერდით, ლუდითა და ღვინით საცესე კასრები იდგა.

მზე მზიარულად აფრქვევდა სხივებს. პაერი გრილი და სალი იყო.

ფერდობებზე ვენახში ჩაფლული კრამიტინი სახლები და დაბუნძლული ატმის ხეები მოჩანდა.

ჟორესის მოედნიდან მუსიკალური კაპელის ტუში ისმოდა.

იარაღსხმულნი შემოვუსხედით სუფრას. მზემოკიდებული ფრანგი, პოლონელი და ესპანელი გოგოები თავს გვეკლებოდნენ.

ჩვენს ხუმრობაზე გამოშფევეი ღიმილითა და სახელდახელოდ დასწავლოლი რამდენიმე რუსული სიტყვით გვაპაუხოზდნენ.

ვიცინოდით და ვილხენდით, მაგრამ თვალი გზისკენ გვეპირა. აქ გზაჯვარედინი იყო. ვუთვალთვალბდით ამწვანებულ გორაკებს და თავს ისე ვგრძნობდით, როგორც პატარა კუნძულზე ქარიშხლის მოლოდინში.

აფორიაქებული ქალიშვილები საცუკვოდ გვიწვევდნენ, მკლავში ხელს გვაკლებდნენ და მოედნისაკენ გვეწვიოდნენ.

ილო ყველას ზრდილობიანად უარს ეუბნებოდა, სახე შეფაცლოდა, გაყუჩებულიყო.

— რა მოგდის, ბიჭო? — იდაყვი წავკარი, — მიდი, შენც იცეკვე, ჭეელი კაცო ხარ!...

მან დაბნევით შემომხედა და წყნარად თქვა:

— სხვასთან არა, მაგრამ აი იმ გოგოსთან, „შევროლეს“ წინ რომ დგას, სიამოვნებით ვიცეკვებდი.

— რომელთან?

— აი იმ პატარა, შავკანთა გოგონასთან!.. თვალს არ გვატყუებს! სულ მერვენება, რომ შორიდან გვათვალთვალავს. ამხანაგებს ანიშნებდა ჩვენზე, მგონი ჩემზე. დილით მას ვერერის ქუჩაზეც მოვკარი თვალი.

— კრისტიანა! — დავიძახე და მაგიდას მოვწყვიდი.

— იცნობ? — ხელი მტაცა ილომ. მაგრამ მისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია, კრისტიანასკენ გავქანდი.

— ბონსუარ, კრისტიანა! ბონსუარ. ჩემო პატარა მეგობარო!

ქალი, გაბრწყინებული შემომყურებდა, მე კი გაოგნებული ვიდექი, მოხიბლული მისი ალერსიანი მზერით.

ოდნავ ფუნთუშა იყო, ტანმომკრო — მკერდამდე ძლივს მწვდებოდა. სევდით ჩაბნედილი ღაწვები და აბურცული ტუჩები ჰქონდა.

— კრისტიანა! კრისტიანა! — ვიმეორებდი დაუსრულებლოდ და სხვას ველარავისა და ველარაფერს ვამჩნევდი.

სიყვარულით მიღამოდა და არც ერთ სიტყვას არ შეეძლო ისეთი სიამის მონიჭება, რასაც ის ღიმილი და მოციმციმე თვალები მაგრძნობინებდა. უსიტყვოდ ესაღბუნებოდა ჩემს აბჯარ-საქურველს და ვამჩნევდი, რომ ჩემით ამაყობდა. მეც უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი.

კრისტიანასთან თავს მუდამ კარგად ვგრძნობდი. მეც მიპყრობდა მისი სინაზე და სათნობა. მასთან ოდნავ თამაში ლაპარაკიც მეჩოთიერებოდა. ციურ არსებად მესაზებოდა და მეშინოდა ილოსთვის მისი გაცნობა.

„ილო ამისთვის ტლანქია! რაიმე შეუფერებელი რომ წამოცდეს!.. არა, რასაკვირველია, ილო კარგი ბიჭია, გაბედული, ალალი, პირველი მზეკრავი, მაგრამ საამისო მაინც არ არის. რამდენიმე ფრანგული სიტყვა იცის და ყველას ამ სიტყვებით მიმართავს: „მაგნიფიკ!“ მომხიბლავო! „ქოლი!“ ლამაზო! „შარმან!“ მშვენიერო!..

— ეპეი, ძმობილო! რა მოგივიდა, ბიჭო, ხომ არ დაყრუვდი? ერიპა, პარტი-

ზანო! — მომძახოდა ილო და თითოთ მე-
მუქრებოდა.

კრისტიანამ თვალი მოჰკრა მას და გუ-
ლიანდ გადაიკისკისა. თეთრი კბილების
ელვარებამ უფრო გაუშუქა სახე.

— წამო, გენაცვალე! — ვუთხარი და
მოკრძალებით მკლავზე შევეხე.

კრისტიანა რომ გავაცანი, ჩემმა მეგობ-
რმა ერთბაშიად დაიმორცხვა.

რამდენიმე წუთს უხმოდ ვისხედით.
მერე, როგორც იქნა, მაინც ილომ ამო-
იღდა ენა:

— სე მატენ ძე ვუ ვიუ! — ძლივს და-
ამტვრია ორიოდ ფრანგული სიტყვა
და დარწმუნებულმა, რომ სისულელე
წამოროშა და ქალს ვერაფერი გააგებინ-
ა, უმწეოდ დაუშვა გრძელი მკლა-
ვები.

— ტანკისტი! — წაიჭურჩულა კრის-
ტიანამ.

— უი, უი! მადმუაზელ, ტანკისტი,
ტანკისტი! — კვლავ აქაზებდა ილო და
კვლავ უმწეოდ დაუშვა გრძელი ხელები.

კრისტიანამ ღიმილით ახედა მას, და
მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ქა-
ლიშვილს ლალი ღიმილი გაუკრთა, სა-
ხეზე რალაც თვინიერმა იერმა გადაჰკრა
და თავი დახარა.

„მოეწონა!“ — გულისტკივილით გა-
ვიფიქრე და უნებურად შევათვალე რე
მეგობარი. ის მართლაც დიდებული იყო:
მალალი, მხარბეჭიანი, ნათელი და კეთი-
ლი სახე, არწივისებური ცხვირი, წაბ-
ლისფერი ქოჩორი...

კრისტიანას ამხანაგებმა დაუძახეს.

— უკაცრავად, ბატონებო, — ხმადაბ-
ლა თქვა და ნელი ნაბიჯით გავეშორდა.
თვალი გავაყოლეთ და ვუშხერდით, სა-
ნამ ჩვენი ყურადღება უფროსების ხმა-
მალლა ლაბარაკმა არ მიიპყრო.

ბატალიონის მეთაურები დაზვერვი-
დან დაბრუნებულ „მანდალინას“ შემო-
ხვეოდნენ. ბიჭი მოთახთახე მოტოციკლ-
ზე იჯდა, მფარავ სათვალეს ისწორებდა
და აღელვებული ხმით ჰყვებოდა რადა-
ცას.

მერიის პირდაპირ „პოტელ ალა-
რისთან“ კაბუტები აბრას აკრავდნენ:

„საფრანგეთის კომუნისტური პარტიის
კარმოს რაიკომი“...

ილო ჩუმად იჯდა. არასოდეს შინაზავს
ასე ჩაფიქრებულ. შტაბის წინ ქალიშ-
ვილების კისკისი ისმოდა, იშვიათად
კრისტიანას წყრიალა სიცილიც გაერე-
ოდა.

— თუ ძმა ხარ, გამაგებინე, ვინაა ეს
გოგო?

— ძალიან გაინტერესებს?

— თქვი!

— სჯობს, ახლავე დაიფიწყო! იყო და
არა იყო რა...

— არ გემეტება?..

— სისულელეს თავი გაანებე! იმაზე
ფიქრი არც ერთს არ გვარგია!..

— არ მესმის, არაფერი არ მესმის! —
ანგარიშშიუცემლად ბუტბუტებდა ილო
და ვედრებით შემომყურებდა.

ასე რომ, კარგა ხანს ვიძიძგილავით
და ბოლოს, რაეი აღარ მომეშვა, მშრა-
ლად და უგულოდ მოგუყვივი:

— კრისტიანა ტოლედანო ესპანელია,
დედა ჰყავს ფრანგი; მამამისი ქვანახში-
რის მალარობეში მუშაობდა. დედა კი
სრულებით არ ზრუნავდა ქმარ-შვილზე,
წამდაუწუმ საყვარლებს იცვლიდა. მისი
კურობები ყმაწვილი ბიჭები იყვნენ —
ქმრის ნათესავ-მეზობლები. ქმარმა იყო-
და ეს, მაგრამ ითმენდა. თითქმის აღარც
კი ამჩნევდა. მისი ერთადერთი ნუგეში
კრისტიანა იყო, გოგონას გაგვიებით
უყვარდა მამა.

პატარაობითვე მორწმუნე კრისტიანა
ნიდავ სასოებით ლოცულობდა. აქაური
კიურე მას გულმხურვალე კათოლიკედ
თვლიდა. რამდენჯერმე ლურღშიაც ყო-
ფილა „განგება-განმკურნებელზე“ სა-
ლოცავად.

ასეთი უმანკო და მორცხვი გოგონა
მეორე არ მეგულება ამ მხარეში.

ისინი ვერერიის ქუჩაზე ცხოვრობენ,
სადგურის პირდაპირ, ჩემი მეგობარი მა-
რტინეკი რომ ცხოვრობს, ტესონიერ-
ნი² რომ ეშელონი ააფეთქა. ეს გოგო-

1 სალოცავი აფილი სამხრეთ საფრანგეთში.

2 სოფელი და რკინიგზის სადგური სამხრეთ
საფრანგეთში.

ნაც იქ გაციანნი შარშან შემოდგომით, დახვერვაზე რომ ვიყავი. ისე მომხიბლა, რომ მზად ვიყავ თაეიც გამეწირა, მაგრამ რაღა აზრი ჰქონდა!.. ბავშვობიდანვე ჰყვარებია კარის მეზობლის, მალაროელი ყუოს ვაეი ფრანსუა, რომელსაც თითხმეტი წლისას თვითონაც მწგრეველად დაუწყია მუშაობა.

მშობლებიც თანახმა ყოფილან და ამ შემოდგომით კიდევ უნდა ექორწინათ, მაგრამ...

კრისტიანას მამამ, კომუნისტმა, მაეიზართა პირველი ჩგუფი ჩამოაყალიბა კარმოში. ფრანსუა მისი უახლოესი თანაშემწე იყო. ივნისში ისინი დააბეზლეს. მერიის მარჯენივ, გარაჟთან მიუსწრეს გერმანელებმა, რაზმისთვის იარაღი მიჰქონდათ. თავგანწირულად იბრძოლეს მაგრამ მთელ ასეულთან რას ვახდებოდნენ?! კრისტიანას მამა იქ მოჰკლეს. ტყვიით დაცხრილული ერთი კვირა თავდაყირა ეკიდა ბოძზე. დაჭრილი ფრანსუა კი შეიპყრეს და იმავე ღღეს ალბში გაგზავნეს.

კრისტიანა გარკამდე¹ მისდევდა კამიონს.² ყურადღებას არ აქცევდა სალდათების უწმამურ ლაზღანდარობას. მეზობლებს ცოცხალ-მკვდარი ამოუყვანიათ შინ.

ერთი კვირის შემდეგ ფრანსუა ტულუზის სამხედრო ციხეში უნახავთ... მერე კი, აღარაფერ იცის მისი ასავალ-დასავალი.

ქალიშვილი გულჩათხრობილი ვახდა. ღღეს პირველად მესმის მისი კისკისი... იცი, რატომ? მოელის...

საღდაც შორს ეკლესიის დიდი ზარის ბუბუნნი ისმოდა. უცნაური მელანქოლით შეპყრობილნი კიდევ კარგა ხანს გავუურებდით კრისტიანას და არ ვიცოდით, რა გვეთქვა ერთმანეთისთვის.

3.

ღღის ორ საათზე შევიტყუეთ, რომ როღეზიდან და ალბიდან გერმანელები მავშველ ნაწილებს გზავნიდნენ.

ჩასაფრების მოსაწყობად შეტყუდნებმა თითო ასეულს გავუგზავნეთ ეს რაზმი, ბორის კორმუნოვის მეთაურობით, ტანიუსში ვაგზავნეს.

რადგან რომარის ათასეული „ცისფერი ყაზარმის“ აღებას აჰიანურებდა. მტერს ჩვენს ზურგშიაც სერიოზული დასაყრდენი რჩებოდა.

აუცილებელი იყო ამ ოპერაციის სასწრაფოდ დამთავრება.

— ნეტა გაჩვენათ, ბიჭებო, რა ფიცხელი ომი გაუჩაღებიათ! — გვითხრა „ცისფერი ყაზარმიდან“ დაბრუნებულმა პარტიზანმა. — დეგოლელები გარს შემოხვევიან ყაზარმას, ტყვიამფრქვევებიც მიუშვერიათ, მაგრამ მზართეძოზე წამოწოლილან და არხეინად მასლაათობენ...

ორსართულიანი „ცისფერი ყაზარმა“ ქალაქის გარეუბანში ღვას და კაი დარაჟივით გადაპყურებს ალბის გზატკეცილს.

ჩვენ რომ მივედით, ყაზარმა დუმდა. რეგულარული ჯარის ფორმაში გამოჩემული, ორდენებით შვერდმოქარგული ფრანგები განზე გამდგარიყვნენ. „გოლუს“ სიგარეტებს აბოლებდნენ და ღინჯად მუსიადობდნენ. ბრჰყვილა ტყვიამფრქვევები ირგვლივ ჩაეწყაბათ. მსროლელები კი იქვე, ქვაფენილზე ჩამომსხდარიყვნენ.

დეგოლელებს მკლავზე ეკეთათ თეთრი ლენტე „ლორენის ჯვრითა“ და წარწერით: „FFI“.

თანამოლაშქრენი უგულოდ შეგებვდნენ. ერთი წოწოლა, სახეგამცქლოული სერეანტი უეცრად „FTPF“-ის ლენტში მწედა და ჩამოვლევას ლამობდა. თან იარაღს მოღერებდა, ეტყობოდა, ჩემი შეშინება უნდოდა.

— „ალიე“, „ალიე“! — მშვიდად ვუბნებოდი მე და ვცდილობდი გამოთქმისათვის მეგობრული კილო მიმეცა, მაგრამ ზიზღის დაფარვას მაინც ვერ

¹ სოფელი კარმოსთან.

² საბარგო მანქანა.

¹ მოკავშირე ვარ, მოკავშირე.



ვახერხებდი: თვალი ხომ ძნელად ემორჩილება ჩვენს სურვილს!

მან იგრძნო ეს და კვლავ სახელოში წამებოტინა.

— რა არის ეს?.. კომუნისტი ხარ? რუსი ხარ?.. — მიყვიროდა გაანჩხლებული. — აქ ვინ ჩამოგათესლა? გადამთივლს იარაღი ვინ მოგცა?

რაც შეიძლება, ზრდილობიანად ვიგვირებდი კარაბინის ლულით... თითქო, არც მესმოდა რაში იყო საქმე, მაგრამ შინდოდა მეგრძნობინებინა, რომ ასეთი უხეშობა კარგს არას მოიტანდა.

გულში ბოლმა მახრჩობდა: „ამ რეგვენს შტერი ცხვირწინ ჰყავს და მე მიბლევრს-მეთქი“, ვფიქრობდი.

რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, კინო „მერკურის“ შესასვლელთან, ანუ, გრანიე, ძია ანტონიო და თამაზი როშარს ეჩხუბებოდნენ.

სერკანტს ზურგი შევაქციე და მათთან მივედი.

მაიორი თავგზააბნეული იყო, მაგრამ მაინც ცდილობდა დიდკაცური სიმშვიდე შეენარჩუნებინა.

ანუ ღიმილით შეჰყურებდა მას, მაგრამ თვალის სიღრმეში რისხვის ნაპერწკლები უკრთოდა. იგი კატეგორიულად შოთხოვდა ყაზარმის აღებას.

როშარი ცივ უარზე იდგა.

— ფრანგულ სისხლს ასე უაზროდ ვერ დავღერი, ბატონებო! ამ ყაზარმის აღებას ერთი დღეა მოუნდება. აქი ვამბობდი, აჩქარება არას გვარგებს-მეთქი. ლონდონიდან მიღებული დირექტივით, „მინაგანი ძალები“ მხოლოდ მაშინ ამოქმედდებიან, უკეთუ გერმანელები დასახლებული ადგილის ევაკუაციას მოახდენენ. ეს არ ესიაზონება გენერალდე გოლს! ნუთუ არ მოგისმენიათ როზერ შუშანის გამოსვლა ლონდონის რადიოთი? — „სიმშვიდე დაიცავითო, ამერიკელების მოსელამდე მოითმინეთო?“

— მაშ, გულბელდაკრეფილი ვისხედეთ, სანამ ბოშები კასტრიდან და ტულუზიდან კარს მოგვადგებიან? — ჰკითხა ანუომ.

— ეგ არაფერი! — ჩაილაპარაკა როშარმა, — მაშინ ჩვენ უნდა დავიხრებოთ, რომ უკან დახვევა სირცხვილი როდია!

— ეგ შეუძლებელია! — აუწია ხმას ანუომ. — ბოშები მშვიდობიან ხალხზე იძიებენ შურს... ქალაქს დაანგრევენ, ყველაფერს გადაპლუგავენ!

— მე რა შუაში ვარ, ბატონებო! — დაცივით წაიბუტბუტა როშარმა. — ბრბოს რა ხელი აქვს ომთან!

— ბრბოს კი არა, ხალხს, ბატონო როშარ, ხალხს! — გააწყვეტინა ანუომ.

— ასეთ დროს ხალხს ქუჩაში რა უნდა? ქუჩაში ახლა ბრბო დაეხეტება. ხალხი! ხალხი!.. — ჩაიქირქილა მაიორმა. — რა არის ბოლოს და ბოლოს ეს თქვენი ყბადაღებული ხალხი? საფრანგეთის არმია როგორმე მისი ჩარევის გარეშეც დაიცავს რესპუბლიკას. ქუჩის ანარქია თქვენი გამოგონილია, ბატონებო! სად გაგონილა: ბალებიც იარაღს გვთხოვენ!.. ეს ბრბო... უკაცრავად... ხააააა... ახლა სახლში უნდა იმალებოდეს და იქ მოელოდეს შედეგს. თქვენ კი ისინი ტაკიმასხარებივით ქუჩაში გამორეკეთ და იარაღიც უბოძეთ. კეთილ ინებეთ და ნაყოფიც თქვენვე იწვინეთ.

— შენ მაგ ბრტყელ სიტყვებს თავი გაანებე, სირაჯო! — მრისხანედ დაიქუხა გრანიემ. — ხალხი ჩვენ არ გამოგვირეკია ქუჩაში. საჭიროა რესპუბლიკის დაცვა და რესპუბლიკა — ხალხია, ხოლო, ვინც ხალხს შეურაცხყოფს, ვფიცავ წმიდა მარიამს, აიშ ბოძე თავდაღმა ჩამოეკიდებ.

— ამ არაშადას პირდაპირ გარონაში უნდა გადავუძახოთ-გრძელი ხელების ქნევით მოგვიბრუნდა მადაროელი.

თამაზი, ილო და მე უსიტყვოდ ყურს ვუვადებდით ფრანგების კამათს. მართალია, ფრანგები არ ვიყავით, მაგრამ სადავო საკითხს ჩვენთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

— ერთი ამ ბოზოლას დამიხედეთ! — ჩაილაპარაკა ილომ. — სადაც არ გინდა, პარლამენტი უნდა გამართოს და ლაყაფით გამოგვატყინოს...

— დამშვიდდით, ნუ ლეღავთ, ყმაწვილო! — დაცინებით მიუბრუნდა მას როშარი, — ნუ გავიწყდებათ, რომ აქ საფრანგეთია!

— ნუ, ნუ ლეღავთ, ჩემო ვაჟკაცებო! — მამაშვილურად ვაგვიღიმა ანკომ. — შეთანხმება აუცილებელია ერთ-ერთი ერთიანობისათვის. გამიგეთ?

— კამრად ანკო! — მიმართა მას ილო და მეტი ეფექტისათვის, „ტოვარიშჩი მაიოროც“ დაატანა. — ნება მიბოძეთ, ერთი ასეულით ბევრი, ბევრი, ნახევარ საათში ჩავაბაროთ ეს ყაზარმა.

ფრანგები გაოგნებული მიაჩერდნენ მას.

— ენახოთ! — დაცინებით ამოღეჭა როშარმა. — საინტერესოა, როგორ ფიქრობს ეს ლაწირაკი ამ სიმაგრის დამორჩილებას?

ფრანგებს მოკლედ ვაეცანა ილოს გეგმა, რომელმაც კინაღამ ჭკუიდან შეშალა ისედაც გახელებული როშარი.

— მტკნარი სისულელეა, სისულელე! — აყვირდა ის, — ჯოჯოხეთური გეგმა!.. საშინელება!

— რატომაც არა? — ვაწყვეტინა ანკომ, — თუ ომია, ომი იყოს.

— ეს სიგიჟეა, ბარბაროსობაა! — მთლად ვადარია როშარი. — რაკი ასე გნებავთ, თქვენს რუსეთში ააფეთქეთ შენობები. ეტყობა, ბევრი გაქვთ. ჩვენ კი კარმოს ლენინგრადად ვერ გადავაქცევთ!

მინდოდა კამათში ჩაერეულიყავ, ამეხსნა, რომ საქმე მხოლოდ ყაზარმას ეხებოდა და არა მთელ ქალაქს, ხოლო თუ გერმანელები მოგვისწრებდნენ, მაშინ. ქალაქსაც არ ასცდებოდა დანგრევა, მაგრამ როშარი პირიდან ცოფს ჰყრიდა და ხმის ამოდებას აღარ ვეცლიდა.

— ეს ყაზარმა ომის შემდეგაც დაგვირდება, ბატონებო! თუ დაეანგრით, ჯარი სადღა დავაბინათ? არა, გეთაყვა, აქედან კარგი არაფერი გამოვა! საღ გავონილა! ეს ხომ ველურობაა! საფრანგეთი ევროპის ქვეყანა ვახლავთ და ნებას არავის მივცემთ. ჩვენს მიწაზე ითარეშოს, ომის წესი დაარღვიოს! ხალხის

აფეთქება სადაური რაინდობაა? ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, ჩვენი მშენებლის კულტურას...

როშარს ჯარისკაცებიც წამოეშველნენ.

საჩხუბრად გამზადებული ვიდექით ერთმანეთის პირისპირ. გერმანელები კი საბრძოლველად ემზადებოდნენ, ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო დამსჯელი ნაწილების გამოჩენაც.

— იმოქმედე! — დაიყვირა აქამდე ხმაგაყმენდილმა მია ანტონიომ.

— კარგია, იმოქმედე! — გადაწყვიტა ანკომაც, რაკი დარწმუნდა, რომ დეგოლელების დაყოლიება შეუძლებელი იყო.

— ალყაში მოვიმწყვდევთ, — ვუმეორებდი როშარს. — შესასვლელებს დავიკავებთ, კედლებში დინამიტს ჩავდებთ, ძლიერი ცეცხლით შევაშინებთ და აფეთქების მუქარით წინადადებას მივცემთ, დაგვენდნენ.

მაგრამ როშარს სიტყვის ვაგონებაც არ სურდა, გარეტებული იმოქრებოდა. ილანძღებოდა:

— ამ ბიჭისა გჯერათ? ამ უბირი უცხოელისა? ეს ხომ ჯოჯოხეთური გეგმაა!.. ინანებთ! ეს ხომ ბაღლია! ეს მათხოვრები შეაშინებენ მუხისფოთლიან გერმანელებს?

ილო ახლოს მივიდა როშართან და ქართულად წაულაპარაკა:

— თუ ძმა ხარ, თავი გამანებე. სიფთახე, ერთი ქართული ლავაში არ გამომტყუო!

მაიორმა ეჭვით შეათვალიერა ის. შეატყო, სააღურსო სიტყვებს რომ არ ეუბნებოდა და ზურგი შეაქცია.

მოთმინებადაკარგულ გრანიეს, ანკოსა და ანტონიოს პასუხიც აღარ გაუციათ, ჩვენ მოგვიბრუნდნენ.

— აბა, ჩქარა! ნულარ ვაყოფნებთ, ქაბუკებო! — ვვიბრძანა ანკომ.

ეფეფელები განზე გადგნენ, აქოლად, ხელი დაგვიბანიაო.

ლოდინის დრო აღარ იყო.

— მარდად, ბიჭებო, მარდად! — გვანქარებდნენ თამაზი და ილო.



გრძელ შენობას ჯგუფ-ჯგუფად გარს შემოვერტყით, ფანჯრების პირდაპირ, შესასვლელებთან ტყვიამფრქვევები დავდგით და ძლიერი ცეცხლი გავხსენით. გერმანელები ჯვარედინი ცეცხლით გვილობავდნენ გზას და ტანსაწინაღმდეგო თოფებს გვესროდნენ. ცდილობდნენ შესასვლელები კვლავ ხელთ ევლოთ და ყაზარმის მისაღვომებიდანაც გავერეკეთ.

ილო შეუჩერებლად განაგრძობდა იერიშს, კიბეზე ტყვიამფრქვევის სროლით მიუძღოდა ოცეულს.

სულ მალე ალყაშემორტყმულთა მდგომარეობა უნუგეშო შეიქნა.

— ყურადღება! ყურადღება! — გაისმა ყაზარმის მეორე სართულიდან. — სისხლისღერის ასაცილებლად გერმანული დანაყოფის შტაბი წინადადებას იძლევა — შეწყდეს ბრძოლა. ჭალაქს ნახევარ საათში დავტოვებთ, ოღონდ საშუალება მოგვეცით, იარაღიანად დავიბოთოთ ალბის გზატკეცილით.

— შარშანი! — დაიძახა როშარმა. თავშესაფარიდან გამოძვრა და ჩვენკენ გამოეშურა.

— არავითარ შემთხვევაში! — მკაცრად შეაგება ანჯომ.

— თუ ამ წინადადებას არ მიიღებთ, ვადაწყვეტ იერიშზე გადმოვალთ, ჭალაქს დანგრევა არ ასცდება და მოქალაქეთა სისხლიც დაიდვრება...

— აკი გეუბნებოდით! — გამარჯვებულის ხმით მოგვამახა როშარმა. — დიდებული, ქეშმარიტად რაინდული წინადადება!

— პირიქით! — მოუჭრა ანჯომ. — ეტყობა, ცუდადაა ბოშების საქმე, თორემ, აქამდე როდი იყო, პარტიზანებთან მოლაპარაკება გაემართოთ!

— ეს ჩვენ გვიწევინ ანგარიშს, საფრანგეთის შინაგან არმიას! — თავმოშონედ წარმოთქვა როშარმა, რომელსაც „პარტიზანების“ გაგონება არაფრად ესიამოვნა.

სროლა შეწყდა.

ილო მეზობელი შენობის სახურავზე

აიღდა, ხმის გამაძლიერებელი აქტივად და გერმანულად ჩასძახა: *შენგლოცოთქვენ*

„აქ პარაშუტისტები ვართ. თქვენ ალყაში ხართ მომწყვდეული და შეველა არსაიდან გაქვთ... დავგნებდით, თორემ ავაფეთქებთ ყაზარმას!“

ილომ ორჯერ გაიმეორა თავისი მოთხოვნა, მაგრამ ყაზარმა ხმას არ იღებდა.

კვლავ მთელი ძალით დავეუშინეთ რკინის სარკმლებსა და მოაჯირებს. შესასვლელებში ხელყუმბარებმა დაიგრგვინა და აქა-იქ გაბზარულმა კედლებმაც დაიჭრიალა.

როშარი გახელდა:

— მე ამ ყაზარმაში დავიწყე სამხედრო სამსახური. არ დაგანგრევენებთ!.. არ დაანგრით, ბატონებო, არ დაანგრით. თორემ... ინანებთ!

მოქარას იოლად გადავურჩით: ფანჯრებში თეთრი ალმები გადმოფინეს და მალე ალყაფში კეფაზე ხელგადაჯვარედინებული, თავდახრილი გერმანელები გამოჩნდნენ.

წინ მოდიოდა გამხდარი, მგლოტი პაუბტშტურმფიურერი, რომელსაც გულმკერდი ორდენებით ჰქონდა მოქედილი. კრიჭაშეკრულმა ამოხედა ჩვენს წითელ ვარსკვლავებს...

გაოგნებული გამოდიოდნენ შარფიურები, შტაფელფიურები, ესესმანები, შტურმანები. რკინის ჯვრებთან ერთად, მკერდზე ეკიდათ მათი საოცნებო ჯილოები: „*Nahkampfzeichen in Gold!*“¹ „*Partisanenbekämpfungsabzeichen*“, აგრეთვე „*in Gold*“.²

სად უვლიათ და სად ჩაცვივდნენ! სად უწიათ ომის გზებმა!.. ისე მიდიოდნენ. თითქო, შუშის ნამსხვრევებზე ადგამდნენ ფეხს.

ხალხი კეტებით და ქვებით მისცვივდა მათ, ვისაც ჯერ კიდევ გუშინ ახლოს ვერ ეკარებოდა.

პირველი მღელვარებისას ფრანგი და-

1 ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობის ოქროს მედალი.

2 პარტიზანთა წინააღმდეგ ბრძოლის ოქროს მედალი.

უნდობელია, მაგრამ გულგამყოლი არ არის, უფრო მეტი: გულმავიწყიცაა...

კაუტუტურმფიურერი ფეხქვეშ მოიგდეს, რამდენიმე სხვაიც მიაყოლეს. ხალხი ისე იყო აზაფებული, რომ ხელის შემლაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

— **Mort aux Boches!** — ისმოდა ყოველი მხრიდან.

ესესელებს სახეში ურტყამდნენ, მუნდირს აგლეჯდნენ, ქვებს ესროდნენ და ქვაფენილზე მიათრევდნენ... წარმოუდგენელია ამაზე მკაცრი სასჯელი...

ერთი მაღალი შტურმფიურერი ცდილობდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო და წელში მოკაკული, ხალხის მიერ კედელთან მიჰყვებოდა, თანამომხებებს ეფარებოდა.

— გამოეთრიე! — დაუტატანა გრანიემ.

შტურმფიურერი შეშინებული გამოიყვო ამხანაგებს და მალაროელის წინ აიბუზა.

— **Achtung, კოშონ!** — დაუდრიალა გრანიემ.

გერმანელი უგერგილოდ აიწურა. ცდილობდა, გაბოროტებულ სახეზე კეთილგანწყობილება გამოეხატა, და, ამის გამო, წერილი სახე საზიზღრად დაეჭლანა.

გრანიე კიტელში სწვდა, „რკინის ჯვარი“ და „პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლის მედალი“ ჩამოაგლიჯა და ყვირილით უთხრა:

— პარტიზანებს ხოცავდი, ღორო?... —

— **O nein nein! Das habe ich nur für guten Dienst bekommen!**

ო, არა, არა! ეს მხოლოდ კარგი სამსახურისათვის მაქვს მიღებული! — დაიწყო თავის მართლება შტურმფიურერმა.

— **Du NSDAP?** — შენ ფაშისტური პარტიის წევრი ხარ? — კვლავ დასკვივლა გრანიემ.

— **O, nein nein! Ich sch-**

wäre, ich bin doch kein Faschistglied gewesen, ich bin nur ein Arbeiter. — არა! გეფიცებით, არა! მე პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, კანდიდატი ვიყავი... — ლულულეზბდა შეშინებული შტურმფიურერი.

— რას მიჰქარავს? — იკითხა გრანიემ.

გერმანული ენის მცოდნე ელზასელმა გადაუთარგმნა:

— თავს იმართლებს: პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, კანდიდატი ვიყავი.

— ხა, ხა, ხა! — გადაიხარხარა გრანიემ. — ერთი ამ ღორის გასამართლებელ საბუთს დამიხედეთ! — და მხედრულად გამოქიმულ ესესელს ფერდში ავტომატის ღუგლუგი უთავაზა.

— ბერიკობაა! — თქვა ილომ. — ათი წუთის წინ ყველა ყოყორობდა — პიტლერს ვემსახურებო. — ახლა ერთი დამნაშავე იპოვე, თუ ბიჭი ხარ! ყველა ზევით იშვერს ხელს!.. ყველას მუხლი უკანკალებს — შე რა შუაში ვარო... ეხ!.. კაცნი ვართ, ყველაფერი ხდება, მაგრამ ამით ნამეტანი მოსდით, ძმაო!.. გრიციუკი გახსოვს? სამი თვის ნაშომშილებმა რომ პურის ნატეხი გამოსტაცა გერმანელ სალდათს, ჩვენი, რუსული პურის ნატეხი!

სახრჩობელასთან მიიყვანეს. „ერთი წუთი მადროვეთ!“ — დაიყვირა სიკვდილის წინ.

გატაცებული პურის ნატეხი ამოიღო და ხარბად შექპა. მერე თვითონ გაუშვირა ქალათს კისერი... „ეს ჩვენი მშობლიური პური იყო!“ — მიიყვირა...

...ბალტიელი მეზღვაური? 1941-ის შემოდგომით რომ მოიყვანეს?.. ერთი ვება ვაქკაცი რომ იყო. ბანაყის დაგვალული დოღმეჩერი რომ გადაუღდა წინ და დამცინავად დაუწყო თავით ფეხამდე თვალიერება. გახსოვს, როგორ ამაყად დაჰყურებდა იმ ქალაჩუნას ბალტიელი?

კაცუნამ ირონიულად ჰკითხა: **Богатырь, где вы сдались в плен?**

მეზღვაურის მუშტმა დოღმეჩერი მი-

წას დაანარცხა: **СОВЕТСКИЙ ВОИН В ПЛЕН НЕ СДАЕТСЯ!**

უყვიროდა და სცემდა ისიც ხომ წარბშეუხრელად ავიდა სახრჩობელაზე!

მხოლოდ ერთი ჩვენგანი მახსოვს ამითსავეით დაგლაზებული... საშინელი პანიკური ხმა ჰქონდა. „ჩვენი სიკვდილით შტერს რას დაეკლებოთ“, — ერთ ვადამწყვეტ მომენტში რომ ბრძანა. „სიცოცხლის ვადარჩენაზე ვიზრუნოთ, სხვა მიზანი ჩვენთვის არ არსებობს“.

— არა! — დაუყვირა მაშინ ცალხელა ტყვემ. — რაღაც ცოცხალი ვართ, ყველა მოვალეობაც გვაქისრიაო.

— ცოცხალი! — დაცინვით ჩაილაპარაკა იმ პანიკური ხმის მქონემ. — ადამიანის სიცოცხლე ისე ხანმოკლეა, რომ სისულელეა შორეულ მომავალზე ფიქროთ.

გახსოვს, ბოლშამ რომ დაგვამუნჯა და ერთმა უსწავლელმა გლენხმა რომ ლაგაში ამოსდო? მის სიტყვებს რა დამავიწყებს: „მშიშარავ! კაცის სიცოცხლე ისე ხანგრძლივია, რომ ერთხელ ჩადენილი სიავკარგე რამდენჯერმე დახვდება წინ. კაცნი ვართ. კაცურად დავიხოცოთო“.

ამ არამზადებს რომ ვცყურებ, ის სიტყვები მაგონდება: კაცის სიცოცხლე არც ისე მოკლეა და ერთხელ ჩადენილი სიავკარგე, მართლაც, ბევრჯერ გამოგიჩროლებს წინ! განა, რომელიმე ამათგანი მოვლოდა ასეთ ბოლოს?... განა, სიბრალულის ღირსია, ვისაც არავინ შებრალეზია?

სასაცილოდ მოკუნტულ ტყვეებს გავხედეთ.

ხალხი ბობოქრობდა, ვაფთრებული თავს ესხმოდა მათ.

განრისხებულმა როშარმა რამდენიმე მოქალაქის დაპატიმრება ბრძანა.

— ეს ხომ ბარბაროსობაა! — განწირული ხმით ყვიროდა ის. — საჭიროა კაცთმოყვარება, ერთი ბეწო ჰუმანიზმი! ეს ხალხი ცოდვია! კულტურა და ცივილიზაცია ასეთ მხეცობას ვერ მოითმენს! საფრანგეთის მიწაზე საერთაშორისო სამართალს არ დაგარღვევინებთ. ნუ გა-

ვიწყდებით, პატივცემულნი რომ ეს ხალხი და იარაღი ჩვენ გვეყვებიან — ეს მაშინ, თუ ყაზარმას თქვენ აიღებდით. — მოუჭრა ანკომ.

— ყაზარმა ჩვენ ავიღეთ, რასაკვირველია, ჩვენ! განა, ჩვენს ხელთ არ იყო? ვინ დაგპატივათ, რომ მობრძანდით! თუ იარაღსა და ხალხზე შემოგვედავებით, რაც მოხდება, თქვენ აგეთ პასუხი!

— ხმა ჩაიწყვიტე, სირაჯო! — დაუღრილა მოთმინებადაკარგულმა ვრანიემ და მუშტმეშართული მივიარდა. — ეს არამზადა ფრანგებს „ბრბოს“ ეძახის, ბოშებს კი „ხალხს“. თუ ხმას არ ჩაიწყვეტ, ვფიცავ ყველა საფიცარს, რომ დანით გამოგფატრავ მაგ თხლით სავსე ხურჯინს.

ფერწასულმა როშარმა იკადრა უკან დახევა, მაგრამ მალე ისევ ძალა მოიკრიბა და თავისიანებს უბრძანა:

— ხედავთ, რას გვიბედავს ეს გუდამშიერი მაწანწალა?... შექარიო!

როშარი არ ხუმრობდა. ჩხუბი, შეიძლება, მართლაც, ცუდად ვათავებულებოდა, მით უფრო, რომ ხალხი ჩვენ გვექმნავებოდა და ძლივს ვაკავებდით. იმედმოცემული გერმანელები თანდათან წელში იმართებოდნენ.

— დაე, მაგათი იყოს! — ზიზღით წარმოთქვა ანკომ. — სხეანიარად ისინი არ დათანხმდებიან მონაწილეობა მიიღონ ქალაქის დაცვაში.

ადევნებული როშარი ადგილს ვერ პოულობდა. ხელებს იქნედა, ილანძღებოდა და ოდნავ გასაგონი ხმით თავისიანებს ეუბნებოდა: „ვნახოთ, ვინანებ თუ არა ამ თავხედობას! წვერს ვავლენინებ ამ არამზადებს, ხაფანგში გამოვამწყვდევი!“

ტყვეებზე უფრო იარაღი გვინტერესებდა, მაგრამ იძულებული ვავხდით, იმაზედაც ხელი ჩავვიქნია, რადგან ბრძოლები წინ გვექონდა და მოკავშირე გვეჭირდებოდა.

როშარის ჯარისკაცებმა ყაზარმა დაიკავეს, ჩვენ კი ახალი ბრძანების მოლოდინში ეკლესიისაკენ წავედით.

— აბა რა გამოვიდა! ცარიელი ლაქ-

ლაქი და მეტი არაფერი! — ბუზღუნებ-
და გზადაგზა ილო, — ჩვენ აქ ერთ აღ-
გილს ვტყუენით, გერმანელები კი ვინ
იცის, ალყაში გვიმწყვდევენ.

უჩვეულოდ აბუზღუნებულ ილოს
შეხვედვით და ტანში გამაყრყოლა. რამ
ვამოსცვალა ერთ დღეში ეს ბიჭი? უც-
ხო რამ იერი გადაჰფენია სახეზე. თით-
ქოს არის აქ და არც არის. თითქოს შო-
რიდან, ძალზე შორიდან მელაპარაკება
და ხმაც უჩვეულო აქვს. მაშინებს ეს
შორეული ხმა, ეს დამდნარი სანთლის
ფერი. მიინდა აეუხსნა, გავაფრთხილო,
მაგრამ როგორ დაეუხსაბუთო ჩემი ფიქ-
რი? ან კი, ექნება გაფრთხილებას რამე
აზრი? ვუთხრა? — „ილო, არ მომწონს
შენი გამომეტყველება. ასეთი სახე ცუ-
დად მაქვს დაცდილი, ძალიან ცუდად.
თავი გაანებე ყველაფერს, დაიძალე.
ჩაიკეტე, განმარტოვდი. დავმალე ბე-
დისწერას, ილო, დავმალე!“, მაგრამ
არაფეთარი საბუთი არ მაქვს, ამ შეც-
ვლილი სახის გარდა, და ეს, ალბათ, არ
იკმარებს მის დასარწმუნებლად!

შიშით შევეყურებ მეგობარს და
ფიქრობ: „ნეტავ, ერთხელ, ერთხელ
მაინც მიმტყუნებდეს წინათგომობა,
სახის არაამქვეყნიური ცვლილება, ეს
გამოუცნობი, საბედისწერო ნიღაბი!“

4.

„ცისფერი ყაზარმიდან“ რომ ვბრუნ-
დებოდით, გზაში შეკავშირე ოფიცერი
შემოგვეფეთა: „სასწრაფოდ გაემზადეთ.
ალბის გზატკეცილით მტრის დიდი ძა-
ლები გვიახლოვდებიანო!“

მაშინვე შტაბში შევიბრძინეთ და აბ-
ჯარ-საქურველი მანქანაზე ავიტანეთ.

აწრიალებული მეჭულბაქენი დუქნებს
კეტავდნენ, ქონგურებიან შენობაში
დარბაზები ჩაერაზათ და „ლორენის
ჯვრიან“ ბაირალებს ხსნიდნენ.

ქუჩაში მაინც კვლავინდებურად ირე-
ოდა ხალხი. კარმოელ ჰაბუყებს ჩვენთან
წამოსვლა უნდოდათ და იარაღს
გვთხოვდნენ, მაგრამ სად იყო მათი სა-
ყოფი იარაღი!

ექვს საათზე პირველი კაპონებზე ჩრ-
ლი სისწრაფით გაქანდნენ და მისწრა-
ჰა და ჰა, ჩვენც უნდა დაეძრულიყა-
ვით, რომ მუხლზე ვიღაც მომებლაუქა.
კრისტიანა იყო.

— წამიყვანეთ, მეც წამიყვანეთ! —
მეხვეწებოდა მღელვარებისაგან სუნთქ-
ვაშეკრული.

არ ვიცოდი, რა შექნა. მერე კი გადაე-
წყვიტე დამერწმუნებინა, რომ მისი წა-
მოსვლა არ შეიძლებოდა, სისულელე
იყო, სიგოვე იყო...

კრისტიანა არ მისმენდა.

ქალიშვილი მგარად ჩასკიდებოდა მან-
ქანის ძარას და ამოსვლას ცდილობდა.

ამხანაგებიც ეუბნებოდნენ:

— კრისტიანა, ხომ არ შეიშალე? ჩვენი
ორი წელი ვიბრძოდით შაკიზარებთან
და მაინც ვრჩებით. შენ კი რა მოვდის?
ასე გამეტებით საით მიიწევ?

— დაბრუნდი, კრისტიანა, დაბრუნდი!
მაგრამ ის ყურს არავის უგდებდა, მა-
ინც ცდილობდა ამოსვლას.

ამასობაში მანქანაც დაიძრა. ილო მყის
წამოიჭრა და ზევით ამოიტაცა ქალიშ-
ვილი.

კრისტიანა სულს ძლივს იბრუნებდა,
თმა ჩამოშლოდა, სახე აღანძოდა, აღარ
მიყურებდა. ჩანს მიჯავრდებოდა.

სავაზნე ყუთზე ჩამომჯდარი ილოს
მუხლს მივეყრდნო.

ჰაბუკი განაბული შესცქეროდა ქალს.

მე კი — გული შეკუმშებოდა, თავბრუ
მესხმოდა: „რა დავუშავე?..“

ვცადე შეცდომის გამოსწორება:

— კრისტიანა, შენ ხომ არასოდეს
ყოფილხარ ბრძოლაში? განა კარმოში
ცოტა საშენო საქმე? გირჩევ, დაბრუნ-
დე, კრისტიანა!..

მაშინ გოგონამ წყნარად შემომხედა
და მარჯვენა ხელი გამომიშვირა: ვარ-
დისფერ ხელისგულზე პატარა რევოლ-
ვერი ედო.

— ჩემი საქმროს სახსოვარია, — თქვა
მან და მისთვის უჩვეულო სხაპასხუპით
განაგრძო: — ეს იარაღი მამაჩემმა აჩუ-
ქა ფრანსუას. სადღეისოდ მქონდა მობა-
რებელი. მაგრამ ახლა აღარც ფრანსუაა



და აღარც მამა. სამახსოვრო იარაღი
ქანგს ხომ არ უნდა შევკავამო?..

მინდოდა კიდეც მეტყვა რამე, მაგრამ
ქრისტიანამ შემოხედვით ჩამაჩუმა:

— ნუღარას მეტყვიო! ვიცო, ყველა-
ფერი ვიცო, ამ გზით წაიყვანეს ფრან-
სუა. აქ მივდევდი, ამ ადგილებში და-
მკინოდნენ პრუსაკები. ახლა ის აღარ
არის — ჩემი ფრანსუა, არც ჩემი მამი-
კოა!..

მანქანა სრული სისწრაფით მიჰქროდა.
გაქვავებული ვუსხედით ტყვიამფრქვე-
ვებს. ქარი სახეში გვეცემდა, თმას გვი-
წეწდა და მანქანის ქროლას რაღაც უც-
ნაურ იდუმალებაში ჰხვევდა. გულან-
თებულნი მივაპობდით სივრცეს და ხარ-
ბად ვისუნთქავდით ნოტიო ჰაერს.

კმაყოფილებით ვგრძნობდი, რა საში-
ში ვიყავი ახლა მტრისთვის, საიდანაც არ
უნდა გამოჩენილიყო ის.

განსაცდელი მწყუროდა. მსურდა პი-
რისპირ შევეყოლი მას; ის, მხოლოდ ის
დაამშვიდებდა ჩემს აბორგებულ სულს.

კარმოდან რამდენიმე კილომეტრის
დაშორებით, წინწასულ მანქანებს წამო-
ვეწვიეთ, სიმინდის ყანაში გადავუხვით
და გავჩერდით.

აფეთქების ხმა სულ ახლოს ისმოდა:
ნაღმტყორცნებიდან გვიშენდნენ. თო-
ფის ქუზილი და ტყვიამფრქვევის კაკა-
ნიც გახშირდა.

— ჩამოდით! — ბრძანა ავტომატუ-
მართულმა თამაზმა და ჭოგრით საყდარს
გახედა. — იქ არიან, ეკლესიის ფერლო-
ბებზე!

მტერს საუკეთესო პოზიცია ამოერ-
ჩია.. მისი განლაგების ცენტრი გარიკის
ჩრდილოეთით — ეკლესია იყო.

ჩვენ პონზლაზე ვიდექით. ეს ოდნავ
დაქანებული ღია ადგილია, რომელსაც
გზატყვევლი ორად ჰყოფს. ორსავ მხა-
რეს გზას სიმინდის ყანა გასდევს,
შორს — მარჯვნივ და მარცხნივ — მეჩ-
ხერი ტყის ზოლი მოჩანს.

გლეხებს მაგრად ჩაეცრათ დარაბები.
ეზოებში სულიერი არ ჰკანანებდა.

რამდენსამე წუთს იარაღმომარჯვებუ-
ლი ვიდექით და არ ვიცოდით, რა გვე-

მოქმედა. მტრის იერიში ყოველ წამს,
ყველა მხრიდან იყო მოსალოდნელი.
ქრისტიანა ილოს გვერდით იდგა, დამ-
შვიდებული ჩანდა.

ველოდებოდით, რით დამთავრდებო-
და ბატონ როშარის ჩხუბი გრანიესა და
ანტონიოსთან.

გაცეცხლებული როშარი თავის მოსა-
ზრებას არ თმობდა, ხოლო ნაღმები სულ
ახლოს ფეთქდებოდა. ეტყობა, მტერმა
სწორი ორიენტირები იპოვა და სწრაფ-
რულ ცეცხლს გვიშენდა.

— დაწექით! — დაიყვირა თამაზმა.

ნაღმის ნამსხვრევმა კეფასთან ჩამისი-
სინა, ალბათ, დაშველებული ვიყავი, მაგ-
რამ ტყვილს არ ვგრძნობდი.

მტერი ქვის გასროლაზე მოგვიახლოვ-
და.

როშარი გაფოთდა. წასვლისას ქრის-
ტიანას სტაცა ხელი და უნდოდა მანქა-
ნაში ჩავსვა. „ქალს აქ არაფერი ესაქმე-
ბა. თუ პატრონი არ ჰყავს, ჩვენ ვუპა-
ტრონებთ. გერმანელებს რომ აქ იარაღი-
ანი ქალი ჩაუვარდეთ. ხელთ, ყველა-
ფერს ააოხრებენ, ბარბაროსობას და-
გვწამებენ“.

ქალიშვილი ძლივ-ძლივობით დაუსხ-
ლტა ხელიდან.

როშარს მისი თავი აღარ ჰქონდა, ფა-
ციფუციტ შეძვრა მანქანაში და მედი-
ლურად გადმოგვძახა:

— ღმერთი იყოს, ბატონებო, ჩვენი
მსაჯული!

— ეშმაკსაც წაუღიხარ! შენი საზიარო
ღმერთიც არ გვინდა! — დაადევნა
გრანიემ.

— გაიშალეთ ათეულებად! — კვლავ
გაისმა თამაზის ბრძანება.

თვითონ წინ მიგვიძლოდა, ავტომატის
ცეცხლით გზას გვიკაფავდა.

მარცხენა ფრთაზე გრანიემ გაშალა
თავისი ასეულები, მარჯვნივ ძია ანტონი-
ომ, ცენტრში — ჩვენ.

ტყვია წივის... წელში მოხრილი გავრ-
ბივართ ტანაყრილ ყანაში და ყოველ
ორ მეტრზე მოსხლეტით ვეცემით ლო-
ბოს, გოგრისა და ცერცვის ლერწმებით
მოფენილ მიწაზე.

ვერძობთ, აქ პოზიციური ბრძოლა გაჩაღდება და უკეთესი ადგილები გვინდა დაეიკავოთ.

ნაღმები უკან ჩამოვიტოვეთ. მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევების ხმაც თანდათან დაგვშორდა. სულ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ფრონტის ხაზი.

ასეც უნდა მომხდარიყო. თუ სიკვდილი არ უნდოდათ, უკან უნდა დაეხიათ. ეს ღია მინდორი მათთვისაც ისევე საშიში იყო, როგორც ჩვენთვის.

გარემოცვა რომ აგვეცდინა, გზადაგზა ფლანგებსაც ვაფართოვებდით.

თამაზი, ილო და კრისტიანა დიდი ხანია თვალს მიეფარნენ. ისინი, ალბათ, ძალიან წინ წაიხდნენ. მე კი მუხლი შეკეცებოდა. ბრაზი მასჩრობდა: ერთი კილომეტრიც არ გამერბინა და სულს ძლივს ვითქვამდი.

როგორც იქნა, ფერდობს მივუახლოვედი, რომელზეც სამი ბებერი კაკლის ხე იდგა. სიმწრით ავათავე მალღობი და ყანაც ვათავდა.

ჩემს წინ გადაშლილი შარა ალბის გზატკეცილს ჰკვეთს.

ეს გარიკია.

ამ ადგილებს კარგად ვიცნობ. გზის ორსავე მხარეს ქვის სახლებია ჩარიგებულნი. კარები აქაც გამოუტყვევთ.

ეზოებში ჩამიჩუმნი არ ისმის.

მარცხნივ — ორიოდ კილომეტრზე — მთაა, მარჯვნივ — იმავე მანძილზე — ხრამი. შუაში, ჩვენს პირდაპირ — ხშირი ტყით დაფარული დაღმართია.

სროლა შესუსტდა.

გზისპირად, ორსართულიან სახლს მოვეფარე, ცოტა სული მოვიტყვი. ავტომატი შევამოწმე.

მალე თამაზის ხმა შემომესმა.

მივიხედე. ილო და კრისტიანაც მსთან იყვნენ.

კრისტიანა განმარტოებით იჯდა. ესპანურ კარაბინს სინჯავდა და, მგონი, ცოტა ირონიულადაც შემომხედა, ალბათ, ამხანაგებს რომ ჩამოვრჩი, იმიტომ.

ილოს ის უცნაური ნათელი თვალის უბებშიც ჩადგომოდა.

სახე მოვარიდე და თამაზის მუხტი შევხედი.

— მაგრად დაეუბერეთ! — გამილიძა მან.

— მაგრად!

— ქალაჩუნები! იმათთვის რომ გვეცდინა, ერთიც ვერ გავასწრებდით ამ გალიიდან. წარმოგიდგენია, რა დღეში ვართ?! ახლა მშვენიერი პოზიცია გერიკავია.

არაფერი მიპასუხნია, ჩამოვარდა დუმილი. ყველა დღევანდელი დღის შთაბეჭდილებას შეეპყრო.

სროლა კანტიკუნტადლა ისმოდა. ამით მხოლოდ ერთმანეთის ადგილმდებარეობას ვარკვევდით. შებინდებისას თამაზმა საფარი დასტოვა და, ორ მეტრძოლთან ერთად, განლაგების შესამოწმებლად წვიდა.

5.

სალამოს ბალახიან ეზოში წამოვწყექი. მახლობლად ორი ქართველი პარტიზანი დაზიანებულ ტყვიამფრქვევს აკეთებდა; ჯმუხა ბიჭები გულდაგულ ურტყამდნენ რკინას და ეს რალაც სამოქალაქო იერს აძლევდა იქაურობას.

უთუოდ ამან დააიმედა მცხოვრებნი.

ჯერ გასაღების ფრთხილი ჩხაკუნი გაისმა, მერე ვილაცამ ფარდა შეარხია და მცირე ხნის შემდეგ, უკანა კარში ორი ქალი გამოჩნდა. ერთ ხანს უნდობლად მოგვიჩერებოდნენ და როცა დაინახეს, არას ვერჩოდით, გამოგველაპარაკნენ. აქამდე არ სცოდნოდათ, რომ გერმანელებმა უკან დაიხიეს და ეზოში მათიანები იყვნენ.

შინ შეგვიპატიყეს, მაგრამ უარი ვუთხარით. მაშინ საჭმელ-სასმელი გარეთ გამოგვიტანეს.

კარგა დანაყრებული ვახლდით, როცა ქალების ზურგს უკან ჩვენი ნაცნობი ლანუაზი გამოჩნდა. საცვლების ამარა იდგა, თეთრ ცხვირსახოცს აფრიალებდა.

— სოს! სოს! გულო!

— თქვენც აქა ხართ? თქვენც ჩვენთან ერთად იბრძოდით? — მივაძახე მი-



სი მამაცობით აღტაცებულმა და, ცრუ არ იყოს, ექვით შევათვალერე ღიღინას-სნილი მეომარი.

— მე დავამთავრე, გულო, დავამთავრე! გისურვებთ, თქვენც მალე დავამთავრებინათ!

— რა დავამთავრეთ, მუსიე ლანუაზ, არ გადაშრიოთ!

— ომი დავამთავრე, გულო, ომი! გაუმარჯოს მშვიდობას! ეს ჩემი კარმიღააო. ვუშინ დაებრუნდი შინ. ჩემს მშობლიურ მიწაზე კერმანული ღორის დინგი აღარ ჩანს. ასლა ლადრეშელე-ბიც! გაისარჯნენ, მათაც გაანძრიონ ხე-ლი!

— რას ამბობთ, მუსიე ლანუაზ! რა ომის დამთავრებაზე ლაპარაკობთ? ბოშები აიშ ტყეში არიან.

— ფიქრობ, კიდეც მოაღწევენი ჩემ ეზომდე? მაშინ მე ვუჩვენებ იმ ჩანჩურებს! იარაღი კი არ გადამიგდია, გულო. შენახული მაქვს! — ჩუმაღ წარმოთქვა ლანუაზმა და სიჩქარით მიიხურა კარი.

გამეცინა მის გულუბრყვილობაზე და ეზოდან გავედი.

უკუნი ღამე იყო. ცაზე ვარსკვლავიც არ ბეუტავდა. სროლა შეწყდა და ირგვლივ ისეთმა დუმილმა დისადგურა, რომ ნიავისგან შერხეული ბალახის შრიალიც ისმოდა.

გზატყვილზე პოზიციიდან მომავალ თამაზს წამოვეწიე.

— მგონი, გამოკეთდა საქმე! — თქვა მან. — მარცხნივ, მთის კალთები ფრანგებს უკავიათ, მარჯვნივ პოლონელები გამაგრდნენ... ხრამში ესპანელები არიან ჩასაფრებულნი.

მკრთალად განათებულ სამხარეულოში, სადაც დანაყოფის შტაბი მოთავსდა, გრანიე, ძია ანტონიო, ილო და კრისტიანა დაგვხვდნენ.

— ღამით ბრძოლას ბოშები ჭირის-დღესავით გაურბიან, — ამბობდა გრანიე. — ვფიქრობ, ისინი ალბში გაბრუნდნენ და დილაღე ვერ დავლანდავთ. შესაძლებელია, ორი-სამი ათეული დატოვეს

სავეშაგოდ. — დაუდასტურა თამაზმა. — უსათუოდ უნდა ვისარგებლებოდეთ!

— აქ უნდა გავმაგრდეთ, ჩემო კარგო! — თქვა ანტონიომ. — ალბამდე უკეთეს პოზიციას ვერ შევხვდებით. ალბზე თავდასხმა კი ნაადრევია, ქალაქი ჯარი-თაა სავეგ.

— გეთანხმებით, მაგრამ, საჭიროა პოზიციის გაუმჯობესება. დაუყოვნებლივ უნდა ვისარგებლოთ სიბნელითა და მტრის არყოფნით. ტყე უნდა დავხვე-როთ. თუ შესაძლებელია, დავეკავოთ კიდეც.

ყველა თავისებურად სწონიდა თამაზის სიტყვებს და ერთ ხანს ხმა არავის ამოუღია.

ბოლოს, ისევ ძია ანტონიომ თქვა:

— ტყე საშიშია, ჩემო კარგო! განსაკუთრებით ღამით. დაუჭერებელია, იქ ბოშები არ იყვნენ.

— მეც ასე მგონია. — დაეთანხმა გრანიე. — უმჯობესია, აქვე გავმაგრდეთ. ტყეში ხალხის ვაგზავნა ძალიან საჩი-სკია.

ჩვენს მეთაურს თავისი მოსაზრება უეჭველად მიანდა, ამიტომ უკან კლარდიანია და ჩიუტად გაიმეორა:

— სწორედ აქ გამაგრებისათვის არის აუცილებელი ტყის დაკავება.

— არც ჩვენ გვამთ სირცხვილს! — უქმყოფილოდ წაიბუზღუნა გრანიემ. — მართალია, ჩემი ბიჭები ფრონტულ ბრძოლას საბჭოთა ამხანაგებზეთ შერვეული არ არიან, ზოგს პირველად უხდება მტერთან პირისპირ შებმა, მაგრამ ფრანგულ მიწას ყველა უყოყმანოდ შესწირავს თავს.

გვიშობდი, კამათი არ გართულებულიყო და შეგებით ამოვისუნთქე, როცა გრანიემ და ანტონიომ დათმეს.

— ახლავე გამოვყოფ მოხალისეებს, ყველაზე მამაცებს ვავგზავნი ტყის დასაზვერადად, — თქვა თამაზმა.

— აი, საუკეთესო მომენტია! — გავიფიქრე და მღელვარებისაგან ენა ძლივს მოვაბარუნე:

— მე წავალ, ამხანაგო თამაზ!

— რატომ? თუ საჭირო იქნა, ჩვენც

1 სიფელია იქვე მასლობლად.

წამოვალთ. არც ჩვენ ვართ ნაკლები ბიჭები. მაგრამ მე და შენ სხვა საქმეც ვაქვს.

— მე წავალ! — დაიძახა ილომ და წინ წამოდგა. — მე შტატინი მშვერავი ვარ. ჩემი წასვლა უპრაიანია.

— ცხადია, შენ წახვალ! — ცივად თქვა თამაზმა.

ილოს ხმა არ ამოუღია. არც სინარული დატყობია, არც შეშფოთება. მომეჩვენა, რომ ის ძალიან ფერმკრთალი იყო და ნელ-ნელა მიცურავდა შორეულ ბინდებულში.

მინდოდა მივსულიყავი, შემეჩერებინა და მეთქვა: „დარჩი, ნუ მიღიხარ, ილო!“ მაგრამ შეუძლებელი იყო.

ილოს კრისტიანა ამოუდგა გვერდით.

— მეც წავყვები! — წყნარად წარმოთქვა მან.

— კრისტიანა! — დაიყვირა ძია ანტონიომ. — საყვარელო ბავშვო!

გოგონა მშვიდად მივიდა მამის მეგობართან და შუბლზე ეამბორა.

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! — შეწუხებული იმეორებდა ჭადარა ესპანელი და ცდილობდა ობოლი გოგო კარში გაებრუნებინა.

როცა მუდარამ და დარიგებამ ვერ გასჭრა, ანტონიო ჩვენ მოგვიბრუნდა:

— კრისტიანა ესპანელია. დაგვითმეთ, დაე, ჩვენს ბატალიონში იბრძოლოს.

თამაზმა კითხვით გადახედა გოგონას.

— ზანა სულ ერთი არ არის? რაკი აქ დავიწყე, აქვე დაერჩები! — თქვა კრისტიანამ.

— მაშინ უნდა დაგვიჩერო! — მიუგო თამაზმა. — შტატში უნდა დარჩე. ტყეში სხვები წავლენ.

— არა! მეც უნდა წავიდე! მომბეზრდა, საშინლად მომბეზრდა! — ჯიუტად თქვა ქალიშვილმა.

კრისტიანას ვეღარ ვცნობდი. ვერ გამეგო, რამ აიტაცა ეს წყნარი გოგონა. ნუთუ, მართლა, ის ჩემი, ღვთისმოსავი კრისტიანაა? ნუთუ ის ლაპარაკობდა ასე ცივად და ჯიუტად? რაღაც უხილავი ისეთი ძალით ეწეოდა მას, რომ ყველამ

უძლორება ვიგრძენით **დასრულდა**
სიმართლისა

— ეჰ, კარგი, რაც არის, არის! გაუშვით, ნუ დაუშლით! — თქვა ძია ანტონიომ და კრისტიანას მიუბრუნდა.

— წადი, წადი, ჩემო გოგონა! მშვერავთა ჯგუფი წასასვლელად გამზადა.

ილოს ხელში გერმანული „MG“ ექიპრა, კისერზე ავტომატი ჰქონდა ჩამოკიდებული.

კრისტიანამ ჩანთაში ხელყუმბარები ჩაიწყო და ჯიბეში ფრანსუისეული რევოლვერი შეინახა. მერე ბერეტი გაისწორა, ზედ ვარსკვლავი მიიბნია და შეფაკულ სახეზე ხელი გადაისვა.

სხვა მშვერავებიც ავტომატებითა და ხელყუმბარებით იყვნენ შეიარაღებული.

კარის ზღურბლთან კრისტიანამ მოიხედა. გული დამიამა მისმა მეგობრულმა

გალიმებამ: — *Veux-tu quelque chose, mon Tresor?* გინდა რამე ჩემო საუნჯე? — ჰკითხა ანტონიომ. — *Non, Je ne veux rien* — არა, მე არაფერი მინდა. — აღერსიანი ხმით მიუგო ქალიშვილმა. — *Je suis content* — მე კმაყოფილი ვარ.

6.

იმ დამით თვალი არ მომიხუჭავს. ათასეულთა მეთაურები პოზიციაზე გავიდნენ და შტატში მარტო დავრჩი.

ლანუაზიც ჩემთან ათენებდა; კედელთან ფიჩხის პაწია კოცონი გაეჩაღებინა და ჩიბუხს ამოლებდა. თეთრზოლიანი შავი შლიაპიდან ყურებთან აფოფრილი თმა მოუჩანდა. თეთრი პიჯაკი და ეილეტი ეცვა. ორივე ისე სრული, რომ ოდნავ წამოზრდილ ღიძს მთლიანად უფარავდა. ღაბაბი ჭრელ, თბილ შალში ჰქონდა ჩაფუთნული. ხამი შალის ვიწროტოტიანი შარვალი კოჭებამდე სწვდებოდა. შარვალი შესწნილი ჰქონდა; ეტყობოდა, მუცელი აწუხებდა.

ჯერ შინ შემოიპატიეთა მოსასვენებლად, ხოლო როცა დავარწმუნე, ეს შეუძლებელია-მეთქი, თავლიდან მთელი შეკვრა თივა გამოიტანა და ცეცხლაპირას გამოშალა.



ზენა ქარი ქროდა და იმდროისთვის უჩვეულოდ გრილოდა. ერთვად კანკალმა ამიტანა. თვალს მოვატყუებ-მეთქი. ვაფიქრე და თივაში ჩავწექი. ზემოდანაც დავიფარე, მაგრამ ძილი მიანიც არ ვაძეკარა. გულსყური იქით მქონდა, სადაც მზვერავები მეგულებოდნენ. გზატკეცილიდან ახალგადასული იქნებოდნენ, რომ ტყეში, სწორედ იმ მხარეს, ტყვიამფრქვევის რამდენიმე ჯერი გაისმა. მისივე ზეწამოვიქერ და ტყისკენ მიბრუნებული დიდხანს ვავტყეოდი წყვილიადს. კანტიკუნტი სროლა ასე, ნახევარ საათს გაგრძელდა. მომესმა, ან იქნებ, მომეყურა, ყრუ შეძახილიც.

ამჟამად იყო, ტყეში გერმანელები ბუდობდნენ. გულს ბაგაბუგი ვაქჟონდა: „აი, ბავშვური ჯიუტობის ნაყოფი! — ვფიქრობდი, — უფროსებს არ დაუჯერა, აჩქარდა!..“

ნაშუალამევეს სროლა შეწყდა და კვლავ წინანდელმა სიჩუმემ დაისადგურა. მხოლოდ ერთხელ, შორს, ძალიან შორს, ტრასირებულმა ტყვიამ გადასჭრა ბნელი სივრცე.

ამ წყვარამში ზოგჯერ თამაზის ლიფლიფა ლამაზ ვაიკიაფებდა ციციანათელასავეთ — ხან აქ, ხან იქ.

ღამის სამ საათზე პოზიციას ორმა მსუბუქმა მანქანამ ჩამოუარა. ფრანგმა ამხანაგებმა აჯანყების მთავარი შტაბიდან ტყვია-წამალი, სანოვაგე და ბაზიროსები მოგვიტანეს.

ღანუაზის ლაპარაკი ეუკევილში იშვიათად ვამიგონია. ახლა კი, როცა საკუთარ ქერს შემოეფარა და საფრთხეს აღარ გრძნობდა, ქადაგად დაეცა. მელაპარაკებოდა და სახეში შემომყურებდა, თვალს მანტვენებდა, ჩემს ყოველ მოძრაობას ბეჭითად აკვირდებოდა, უნდოდა, გაეგო, რა შთაბეჭდილებას ატდენდა მისი ნაუბარი.

ლაპარაკში ახალ-ახალი აზრები მოსდიოდა და გულარხეინად სწყვეტდა სერიოზულ პრობლემებს, რომლებსაც შემდეგ ისეთი თავგამოდებით იცავდა, გეგონებოდათ, ბავშვობიდანვე ამ რწმენისა ყოფილაო.

გაანზღებული ამაგებდა ომს და მიმტაცებდა, ქვეყნად არსებულ ყველა უბედურების მიზეზი ვაზეთიაო.

ჩემმა წინააღმდეგობამ ღანუაზი გააკაპასა. ეს ნაკლი ჰქონდა: თავის მოსაზრებებს საკაცობრიო მნიშვნელობას ანიჭებდა.

— როგორ, ვაზეთისა გჯერათ, გულო? თუ გვინდა ქვეყნად ბედნიერება დამყარდეს, ჯერ ვაზეთი და წიგნი უნდა მოისპოს. ვაზეთმა დაღუპა საფრანგეთი. ვაზეთი დაანგრევს ევროპასაც. ვაზეთი ბოროტების მახეა. ჩვენ სწორედ ეს მახელი უნდა გამოვსტაცოთ სატანას, გულო, დავირაზმოთ ქალაქის ქირის წინააღმდეგ.

ღანუაზმა ორატორულად ხმა აღმალლა და რამდენჯერმე ვაიმეორა „ქალაქის ქირი“, რომელიც, ეტყობოდა, ძალზე მოეწონა.

თვალს არ მაშორებდა. შიშობდა, ვაი თუ ეს დრმა აზრები თანამოსაუბრემ ვერ გამიგოსო და თავისი უმეტრების გამო, დამცინოსო.

მე ჯიბიდან ამოვიღე ოთხადგაეციოლი პარტიზანული ვაზეთი „Le Soldat Citoyen“ და მავიდად ვუთიარო — ასეთი ვაზეთი მოსასპობი არ არის-მეთქი, — მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ!

— ყველა ვაზეთი უნდა დაიწვას, გულო! ნუთუ თქვენ სერიოზულად იცავთ ვაზეთებს? ნუთუ არ გეშინიათ ქალაქის ქირისა, რომელთან შედარებით ნამდვილი შავი ქირიც ფუფუნებაა? ჰოდა, თქვენმა გაცნობამ კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ ეს ასეა: თქვენ ისეთივე ადამიანი ყოფილხართ, როგორც ჩვენ და ერთმანეთისაც გვესმის. ვაზეთები კი? როგორ გვაცნობდნენ ფრანგული ვაზეთები რუსებს? შუბლზე ეშმაკის რქებით და კბილებში — მოკაუქებული ბებუთით, მერედა, რამდენს სჯეროდა ეს!

— ახლაც გჯერათ?

— ახლა როგორღა დავიჯერებთ,

გულს, როცა თქვენისთანებს ვხედავთ. მაგრამ, ყველა ზომ საკუთარი თვალით ვერ ნახავს ყველაფერს? გაზეთს კი ყველა კითხულობს. ასე რომ, სიცრუე სიმართლეს ადვილად ვერცვლდება. თანაც, სიცრუე უფრო საინტერესოა, გულს. ნუ დაივიწყებთ, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც დაბეჭდილისა უფრო სჯერათ, ვინემ საკუთარი თვალთ ნანახისა და საკუთარი ყურით გაგონილისა. ასეთი ადამიანები ადვილად ირწმუნებენ, თუ ერთი წლის შემდეგ გაზეთში წაიკითხავენ, რომ თქვენ რქები გამოგებათ და კბილებით ბებუთს ატარებთ.

ბატონ ლანუაზს მარტოდენ შწარე გამოცდილება როდი ალაპარაკებდა. იგი შესული იყო იმ ექსტაზში, როცა ფრანგს თავის მოსაზრებას ვედარ გადაათქმევინებთ, მაგრამ, რაკი ეს აფექტი გაუვლის, შეუძლია სრულიად საწინააღმდეგო აზრიც ასევე ცხარედ დაიცვას.

ვცადე, საუბარი სხვა სფეროში გადამეტანა, მაგრამ ლანუაზი სრულებით არ ფიქრობდა ინიციატივის დათმობას; თანდათან ავიწყდებოდა ჩვენი ნაცნობობა, ბანაკში ერთად გატარებული დღეები. „თქვენობით“ მომმართავდა და საუბარს ოფიციალურ ხასიათს აძლევდა:

— მითხარით, გულს, დიდი ხანია ქარში მსახურობთ?

— ოთხი წელია.

— ჯეელი ყოფილხართ. რა წოდება გაქვთ?

— უმცროსი ლეიტენანტი.

— უმცროსი ლეიტენანტი? — გაკვირვებით თქვა ლანუაზმა. — მხოლოდ უმცროსი ლეიტენანტი?

— დიახ!

— რამდენი ორდენი გაქვთ?

— არც ერთი.

— არც ერთი ორდენი! — თითქმის დაიყვირა მან და ტუჩი აბრია.

— მედალი?

— არც მედალი.

— არც უბრალო მედალი? ლანუაზმა ისეთი თვალთვლით შეხედა, თითქოს, ქვეყანა დაშეშეციოს.

— ალბათ, საინტენდანტო ნაწილში მსახურობდით, გულს!

— არა.

ლანუაზმა კაშნე გაისწორა, ნაპოლეონის ჰოზა მიიღო და თავმოწონედ თქვა:

— მე თადარიგის ზემდეგი ვახლავართ, გულს, ბევრ ამგვარს სისხლისღვრაში მიმიღია მონაწილეობა. ერთხელ, მარტოდმარტომ, გერმანელების კბილებამდე შეიარაღებული ასეული დავატყვევე და იარაღსმული მიგვვარე შტაბს. დიახ, გულს! თვითონ მთავარსარდალმა მომილოცა გამარჯვება. „პალმით“ მიპირებდნენ დაჯილდოებას, მაგრამ ორდენის ნიშანი აღარ ათავდა. ჰოდა, ვერდენში მტრის ბატალიონი ვიფრინე ერთი ათეულით და ვილჰელმის ადიუტანტიც მაშინ ვაგვავრე. თავადაც გექნებათ გაგონილი, რა ძალი ვინმე ბრძანდებოდა ის წუნკალი ვილჰელმი. აბა, მისი ადიუტანტიც ზომ ანგელოზი არ იქნებოდა, გულს! მაგრამ მინც კისერი მოვუვრიხე, ო, მაშინ ჩვენი არმია და ფლოტი უძლიერესი იყო, გულს. ინგლისი ჩვენი ზღვის ფინია იყო. დიახ, ფინია! პირველი სახელმწიფო ვიყავით, პირველი. თავადაც გექნებათ გაგონილი.

— კი! გაგონილი მაქვს.

— ჩვენს შორის დარჩეს, გულს! — ხმას დაუდაბლა ლანუაზმა. — ომის შემდეგ ჩვენ კვლავ ყველაზე მძლავრი არმია და ფლოტი გვეყოლება. საფრანგეთი ყველაზე დასვენებული გამოვა ამ ომიდან. ფრანგული ფლოტი ოკეანეთა მეუფეა!

ფრანგული ფლოტის ძლიერება რომ წარმოვიდგინე, სიცოლი ძლივს შევიკავე, მაგრამ რა მეთქმოდა! ფრანგის ეროვნული თავმოყვარეობა რომ ვაკეწლო, ცხენი შეკანმული უნდა გაედუნს.

მაგრამ, საბედნიეროდ, რაც გაიგო, რომ დაუჭილდოებელი უმცროსი ლეიტენანტი ვიყავი, ჩემი აზრის მოსმენა

ადარე ინტერესებდა, სულ თვითონ ლაპარაკობდა:

— დღესაც ბედმა მარგუნა, გულო, სამშობლოს სამსახური. სასახელოდ დამრჩება, რომ ჩემს კოშკში გენერალური შტაბი დგას, რომ ჩემს ეზოში ვერდენისებური სისხლისღვრაა, თვით მე ამ დიადი ლაშქრობის მონაწილე ვაგხდი და თქვენისთანა სარდალს ვესაუბრები.

ყველაზე ყრუდ ლანუაზმა, რა თქმა უნდა, სიტყვა „სარდალი“ წარმოთქვა.

აბა, მე ეს რად მეწყინებოდა! დარწმუნებული ვიყავი, რომ ლეგენდარული ზემდეგი, რომელიც თავის ოდას „კოშკს“ უწოდებდა, რამდენიმე ასეულის ბრძოლას — „საშინელ სისხლისღვრას“, ხოლო ათეულის დახვერვაზე წასვლას — „დიად ლაშქრობას“, რამდენიმე დღის შემდეგ მთელ სოფელს მოსდებდა და გაზეთებსაც ამცნობდა: „რუს გენერალთან ხანგრძლივი და გულისთადი ინტერვიუ მქონდაო“.

ლანუაზი ცოტა დაფიქრდა და მერე ერთბაშად წამოიძახა, მგონი, შეეშინდა, საუბარი არ დამასწროსო:

— საოცარი ხალხი ხართ, გულო. ტყვედ ჩავარდით, ვაიწყევით და ისევ იბრძვით. ისიც სად? საფრანგეთში! რატომ? აბა, რა საჭიროა ასეთი თავგანწირვა? თქვენ, რუსებმა, გულო, სიცოცხლის ფასი არ იცით. მოითმენდით ცოტას, გადაეყუდრებოდით სადმე, ომიც დამთავრდებოდა და შინ ცოცხალი და ბრუნდებოდით. აბლა კი, ვინ იცის, რა მოგივიათ.

პასუხი არც ამჯერად დამაცადა, ახლოს მოიწია და ჩურჩულით მკითხა:

— რას მოგცემენ აბლა ამისათვის? ალბათ, გენერლობას და დიდძალ სიმდიდრეს, ხომ?

— რისთვის?

— ამ სიშორეზე რომ თავს იკლავთ, გულო.

— რას ამბობთ, ბატონო ლანუაზ! ჩვენ განა ოქროებისა და ჩინშედლებითათვის ვიბრძვით?

გაკვირვებულმა ზედ ცხვრის მთაში და სახე:

— აბა, გულო, ამ ცხელ ტყვიას რატომ უშვერთ შუბლს?

— რწმენისათვის ვიბრძვით, ბატონო ლანუაზ, იდეისათვის, ხალხთა თავისუფლებისათვის!..

ლანუაზი გაოგნებული დარჩა. ბევრი ვუჩიჩინე, მაგრამ ვერასგზით ვერ გავაგებინე ამ სიტყვების არსი.

— საოცარი ხალხი ხართ, გულო, საკვირველი ხალხი! — ბუბუბუტებდა ის. — კომუნისტი ხართ?

— ვარ.

რამდენსამე ხანს ხმა არ გაუცია. ცხელს ჩინჩხვარი შეუმატა. ჩიბუხი გატენა და ფიქრს მიეცა. ვატყობდით, რალაც აწუხებდა, მაგრამ ვერ გამოეთქვა. ბოლოს ისევ აპარტალდა:

— მითხარით, გულო, არ დამიძალოთ! თქვენ ნამდვილად გეცოდინებათ: რა არის კომუნიზმი? მაინც რა გინდათ საბოლოოდ?... ვისაც ვკითხე, იმდენს მე ლაპარაკება, რომ ვერაფერი გამიგია.

— კომუნიზმი სრულ თანასწორობას ნიშნავს. — ვუთხარი მე. — კომუნიზმში არ იქნება არავითარი ჩავერა და ყველა ადამიანი ერთნაირად კარგად იცხოვრებს.

— ყველას შეეძლება კარგი კოსტოში ჩაიცვას და მოხრაკული ქათამი ძიირთვას?

— რა თქმა უნდა!

— რა საშინელებაა! — დიყვირა ლანუაზმა. — მაშინ რალად ეღირება, გულო, სიცოცხლე, რალა გემო ექნება კარგ საჭმელს, თუ მეცოდინება, რომ ყველა ასეთ კარგ საჭმელს მიირთმევს?! ვინდა შენგდავს და გამოარჩევს კარგად ჩაცმულს, თუ ყველას კარგად ეცმევა?

— მაშ, თქვენი აზრით, უკეთესია, რომ ზოგს ჰქონდეს კარგი საჭმელი და ტანსაცმელი, ზოგს კი არა?

— რასაკვირველია, გულო!

— აბა, ბოშები მართალი ყოფილან, ყველაფერი რომ თავიანთთვის უნდათ?

— როგორ გეკადრებათ, გულო! ბო-



შებს რად უნდა ჰქონდეთ, ბოშები ღო-
რები არიან!...

ლანუაზს ლაპარაკის სადერდელი აე-
შალა: როცა მეგონა, სათქმელი ამოწე-
რა, მეშველა, მოვისვენებ-მეთქი, ისევ
და ისევ პოულობდა სალაყბოს ან ახალ
სამოსელში ხვევდა უკვე თქმულს.

მე აღარ ვუსმენდი. განაბული ყურს
ვეგდებდი ყანის შრიალს. ბუნება არ
იზიარებდა ომის სულს. გრილი ჰაერი
ყურძნის სურნელს გაეცლინათ.

7

ჰაერი შეირყა, ერთბაშად ყველაფერი
აქაშაშდა.

დამფრთხალი ლანუაზი ფაციფუციით
წამოხტა და კისრისმტკრევით შინ შევა-
რდა. უცებ დაკარგა მკვერმტყველე-
ბის მადა. შარელის შეკვრაც ვერ მოას-
წრო, ამოჩაჩული საცვლები უკან მიჰ-
ფამვალვდა. ეტყობა, ვილკელმის ადი-
უტანტიც ასეთი თავგანწირული სირბი-
ლის დროს ჰყავდა გაძაგრული..

მოწინავე ხაზზე რამდენიმე ტყვი-
ამფრთხვევა გახსნა ცეცხლი. საბასუხოდ,
ერთის მოწყვეტით აკაკანდნენ მტრის
ტყვიამფრთხვევიც. მალე მოწინააღ-
მდეგემ ახალი ადგილებიდანაც დაიწყო
სროლა.

ვინაიდან მტრის დაჯგუფებაზე ცნო-
ბები არ გვქონდა და ჯერ ისევ ბნელო-
და, აუცილებელი იყო განუწყვეტელი
ცეცხლი ყველა მიმართულებით, უმთავ-
რესად იმ ადგილებში, საიდანაც რამდენ-
იმე წუთის წინ მაშხალები მოჰქროდა.

ყველაფერმა ხმა გაკმინდა. გარინდუ-
ლიყვნენ ჩამოსხვებელი ხეები, თითოდა
პატარა მდინარე. მხოლოდ ტყვიები კა-
მათობდნენ ველურ ენაზე. დროდადრო
მაშხალა შეფრთხილდებოდა და წამიერ-
რად განათებდა ტყვიის უწყვეტ ჯაჭვს.
რომელიც თეთრი ბუტებივით მიჰქრო-
და მკვეთრ სინათლეზე. ტყვიამფრთხვე-
ვების კაკანი თანდათან ძლიერდებოდა,
და საერთო ხმაურში შესამჩნევი იყო
ახალ-ახალი ერთეულების ჩაბმა, რომე-

ლთა პირველი გასროლა მტრის მხრიდან გა-
ნსხვავდებოდა სხვებისაგან.

სროლა ყველა კუთხიდან ისმოდა და
იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გარე-
მოცვაში ვიყავით; ტყვიამფრთხვევების
ხმა სადღაც ერთ წერტილში გროვდე-
ბოდა და მოულოდნელ ყრუ აფეთქე-
ბად იქცეოდა.

— ოჰო! ეს დიდ ომსა ჰგავს. — თქვა
თამაშმა.

დილა, მართლაც. ფრონტულად დაი-
წყო.

პორიზონტი ახალშეფერადებულ
იყო, როცა სამმა შეჯგავარიანმა თვით-
მფრინავმა გადაგვიქროლა. ნახევარ სა-
ათს თავს დაგვეტრეილებდნენ, მერე მალ-
ლა აიზიდნენ და კარმოსკენ გაფრინდ-
ნენ, დიდხანს დაძუზუნებდნენ ქალაქს.
შენობებსა და ქუჩებს ტყვიით ცხრილა-
ვდნენ. შემდეგ კვლავ გუგუნიით გადა-
გვიქროლეს და ალბისაკენ აიღეს გეზი.

მტერმა ქვემეხების, ნაღმტყორცნები-
სა და ტყვიამფრთხვევების გრიგალისე-
ბური ცეცხლი დაგვიშინა, რომელიც
ყოველ წუთს ძლიერდებოდა და მთელი
დღე აღარ შეწყვეტილა. ეტყობოდა, ეს
ღამე მას უნაყოფოდ არ დაეკარგნა. პო-
ლიციანზე ძლიერი ძალები დაეგროვებია
და გადამწყვეტი შეტევისათვის მომზა-
დებულიყო.

ჩვენს ტყვიამფრთხვევებს რაღა დაას-
ვენებდა! ლუღას ალი წაჰკიდებოდა.

მტერი ღია ადგილს ეძებდა საიერი-
შოდ. საქმარისი იყო სადმე ოდნავ შე-
გვესუსტებია ცეცხლი, რომ იმ უბანზე
ელვის სისწრაფით წინ მოიწევდა. მაშინ
გვრძნობდით, რა ახლოს იყოს ის ჩვენ-
გან, და ტყვიის ზუზუნთან ერთად, გვე-
სმოდა დაცლილი ვახნის დაცემისა და
გერმანელი უნტეროფიცირის ბრძანების
ხმაც.

ასეთ ადგილებზე საჩქაროდ ვახდენ-
დით ძალთა დაჯგუფებას და მტერს ვაი-
ძულებდით ახლა სხვაგან ეძია ღია ად-
გილი.

ტყის დასაწყისში გრანიეს ასეულები
შეუბოვრად იგერიებდნენ მტრის ნაწი-



ლებს, რომლებსაც ფერდობის დაკავება და ჩვენთვის ფლანგიდან შემოვლა გაუნებრაათ.

მე და თამაზი სწრაფად გადავდიოდით ერთი ადგილიდან მეორეზე, შექმნილი ვითარების შესამოწმებლად. პოზიციის დათვალირებამ მძიმე სურათი გადაგვიშალა. მებრძოლები მწყობრიდან გამოდიოდნენ. ზოგ ათეულში ნახევარიც აღარ დარჩენილიყო. მტერი სანტიმეტრობით გვაცლიდა ნიადაგს. ტყე უკან ჩამოიტოვა და ვხატყეცილს მოადგა. ოთხი წინწამოწეული პუნქტი დაგვარკეთ. დაზვერვის ბედიც გაურკვეველი იყო.

ნაშუადღევს, როცა ტყის მხარეზე სროლამ იკლო, ლადრემის გზაზე ვასის-ხლიანებული, ტანსაცმელშემოვლევილი მებრძოლი გამოჩნდა. ილოსთან ერთად გავზავნილი ეს პოლონელი მწვერავი მძიმედ იყო დაჭრილი.

მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნაამბობიდან გავიგეთ, რომ ტყეში შესვლისთანავე რაზმი გერმანელთა პატრულს შეჩეხებოდა. ხანმოკლე შეტაკების შემდეგ მტერს მამველი ნაწილი მოსვლუდა და მწვერავეები ალყაში მიემწყვდიათ.

რადგან ხსნა არსაით იყო, ჩვენებს მტრის ზურგში დაეხიათ და რკინიგზის ხილქვეშ გამაგრებულყვენენ.

— დიდიდან გარს გვახვევიან, — თქვა დაჭრილმა. — ხუთი კაცი დაგვარკეთ. ოთხნილა დაერჩით. ტყვიამფრქვევა გვიმტყუნა, ხელყუმბარებიც გამოგველია. ილო დაჭრილია. ორი საათი თუ გაუძლეს, მაგარი ბიჭობაა!..

ეს პოლონელი ილოს იმიტომ გამოეგზავნა, რომ ჩვენთვის ეცნობებინა: ბოშებს ტანკები მოუვიდათ და კარმოს მარჯვნიდან უპირებენ შემოვლასო.

შევამჩნიე, რომ დაჭრილს ძალა ეკარგებოდა და ხელი შევაშველე. ოთახში მინდოდა შემეყვანა.

თავი შორს დაიჭირა.

— ეს რაა! თქვენ ის უნდა ნახოთ! კრისტიანა! ნამდვილი ანგელოზია! რას

ვამბობ: ანგელოზი კი არა, ჭკვეტი-ჭკვეტი-ცივით იბრძვის...

— გაარღვევნი! — ჩაილაპარაკა თამაზმა, რომელიც შუბლშეკუმხვნილი გასცქეროდა მარჯვენა ფრთას და ყურადღებას აღარ გვაქცევდა. — აღარაფერი დაგვარჩენია, რომ მივეშველოთ.

— სადამომდე უნდა გაუძლოთ! — ხმადაბლა ვთქვი მე.

— რამდენიმე საათის იმედიც აღარ მაქვს. ველარც უკან დავიხვეთ: დამფარავი ცეცხლი რომ ოდნავ შევასუსტოთ, გადავვთელავენ.

საქმე ყველა უბანზე გართულდა და ოთახში თითქმის ერთდროულად შემოიჭრნენ ძია ანტონიო და გრანიე.

— ჩემი აზრით, ერთადერთი გზა დაგვრჩა. — თქვა ანტონიომ.

ყველანი უსიტყვოდ მივაჩერდით.

— მონასტიეში ეფეფელების ორი ბატალიონი დგას. შევლა უნდა ვთხოვოთ.

— ვის? როშარს? არავითარ შემთხვევაში! — დაიქუხა გრანიემ და ზეზე წამოვარდა. — არა, ამხანაგებო, იმათთვის დახმარების თხოვნას სიკვდილი გვიჯობს!

— ძაან არ იღარდებენი? ერთობ გულფიცხი ხარ, ჩემო გრანიე! თავმოყვარეობამ საქმე როდი უნდა დაგვაიწყოს... ჩვენი ბატალიონების განადგურება და კარმოს დაცემა ლახვარი იქნება „ფტაფისათვის“, დაუყოვნებლივ ვინმე უნდა გაიგზავნოს მონასტიეში.

— რაღას ვუცდით?! განა ისინიც ფრანგები არ არიან? — დეთანხმა თამაზი. — ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ერთი ბატალიონის მოშველიებაც გვეყოფა.

— მონასტიეში საბჭოთა ამხანაგის წასვლა სჯობს, — განაცხადა ანტონიომ. — იქნებ მეტი ანგარიში გაუწიონ! არჩევანი ჩემზე შეჩერდა.

— შევლა საჩქაროდ გვინდა: დიდი, დიდი: ერთ-ორ საათში. — თქვა თამაზმა.

საათს დავხედე: ხუთის ნახევარი იყო. ავტომატი თამაზს გადავეცი „ვალტე-

რი“ ბუდიდან ამოვიღე. და ქაშარში გავიჭე. საფარიდან გამოვედი და სიმინდის ყანას შევერიე.

8

პოზიციიდან შეუმჩნევლად გავედი, რათა არავის ეფიქრა, უკან იხევენო, მაგრამ გავცედი თუ არა ყანას, გზატკეცილი სირბილით გადავჭერი და თავდაღმართში დავეშვი.

პატარა ღელეს რომ მივაღეჭი, მთაზე ეკლესია და მის გვერდით სკოლის შენობაც გამოჩნდა.

იმედმოცემულმა რკინიგზას გადავუბრინე, კანიაკის თემშარა მხარმარცხნივ ჩამოვიტოვე და, ქვანახშირის პატარა ვაგონებს ამოფარებულო, მონასტიეს აღმართს შევეუღეჭი. შუამღე რომ მივატანე, ქვეითკირის შენობებთან შეიარაღებული ხალხი შევამჩნიე. გერმანელები არ იყვნენ-მეთქი, გავიფიქრე და დასაზვერად ტყეში შევხობდი.

აქ ტყე სოფლამღე ატანს და მაღალი ბალახით დაფარულ ხის ძირებს შევეყვი.

ის იყო, ნაპირზე უნდა გავსულიყავი, რომ სხვადასხვა მხრიდან ორმა მსუბუქმა მანქანამ ჩამოიჭროლა და ერთდროულად სწორედ იქ შეჩერდა, სადაც მე გავწეჭი.

საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. არც ერთი ხმას არ ვიღებდით.

„აღმომაჩინეს!“ — გამოიღვა და ქამრიდან „ვალტერი“ დავაძრე.

შელანდებოდა, რომ უხილავი მტრები ყველა მხრიდან მიახლოვდებოდნენ და იარაღი შუბლზე მქონდა მიბჯენილი, რათა ხელთ არ ჩავვარდნოდი.

ეს გაუბზარავი დუმილი სულს მიხუთავდა... მეჩვენებოდა, რომ დიდი, ძალიან დიდი ღრო გავიდა. თავს ვირწმუნებდი, ახლოს აღარავინ იქნება-მეთქი.

ფრთხილად წინ გავხობდი, მაგრამ ტყის სიჩუმეს მცირე შრიალიც არ ღვევს.

— Halt! შესდექ! — ერთდროულად შემომესმა ორსავე მხრიდან.

ეს სიტყვა მაინც არუფერს მეფიქრებოდა. იგი გერმანული იყო — Halt! შესდექ!

— Qui est là? — ვინ არის მანდ? — გაისმა სულ ახლოს.

ხმა არ გავეცი.

„ეშმაკმა დაწყევლოს მაგათი თავი! — გავიფიქრე. — ვინ არ დაძრწის ახლა ამ ტყეებსა და სოფლებში? გერმანელი ფელდიგერები და ფრანგი მილიციელები, ვოლონტერები და „შავი მაკინზარები“! როგორ გააჩნევ მტერსა და მოყვარეს? ვინ იცის, ვის გადაეყრები! ხობვით მარცხნივ გადავინაცვლე და მანქანასთან მდგომ ოთხ ფრანგში ის წოწოლა სერჯანტი ვიცანი, რომ შარს რომ ახლდა კარმოში. მაშინვე საფარიდან გამოვედი და თავაზიანად მივესალამე.

ფრანგები იარაღშემართული მომეგებნენ:

— ალემან? გერმანელი ხარ? — დამიღრიალა სერჯანტმა და პასუხსაც არ დაელოდა, ხელისკვრით შემავდლო გახუნებულ „პეეოში“.

სხვებიც წამოშეველნენ. „ვალტერი“ გამომგლიჯეს და ერთის გნისით, ნამღვილი ფრანგული ხმაურითა და ფართიფურთით გამაქანეს სოფლისაკენ.

მუშტს მიტრიალებდნენ, ერთსა და იგივეს ჩამძახობდნენ:

— ალემან? ალემან?

ხმას არ ვიღებდი.

ორიოდ წუთის შემდეგ მანქანა სკოლის შენობასთან შედგა და წოწოლა სერჯანტმა ჯაროსკაცებით სავსე დერეფანში შემოიყვანა.

კედლებთან ახალი ტყვიამფრქვევები და ნაღმტყორცნები ეწყო. ღია დარბაზებში სუფთად ჩაცმული ჯაროსკაცები ფუსფუსებდნენ.

სერჯანტმა ოთახის კარი გამოაღო და თავმომწონედ წარუდგა უფროსს, რომელიც პრეფერანსს ეთამაშებოდა ახალგაზრდა, ტანხმელ მამაკაცს.

კედლის საათი ეჭვსს უჩვენებდა. მოუთმნელად მოველოდი რომართან ლა-



პარკს, მაგრამ სერჟანტი მთელი ტანით
მეღობებოდა და წინ არ მიშვებდა.

როშარი და მისი პარტნიორი ყურად-
ღებას არ გვაქცევდნენ.

— უკანასკნელ წლებში ღვინის ჩინე-
ბული მოსავალი იყო, — თქვა როშარმა
და კარტი ჩამოარიგა. — გერმანული
ბაზარი სანახევროდაც ვერ გვაკმაყოფი-
ლებდა, თუმცა, უნდა ითქვას, გერმანე-
ლები სინდისიერი გამსაღებლები არიან.
ისინი ყოვლად წესიერნი არიან!

— ჩვენზე უკეთესი?..

— როგორ გეკადრებათ!.. ამჟამად სა-
წყობებში ღვინის დიდძალი მარაგია.
თქვენ გელოდებათ!.. თუ, რასაკვირვე-
ლია, ყველაფერი კეთილად დამთავრ-
და!..

ამ სიტყვაზე როშარმა კარისკენ მოი-
ხედა. სერჟანტმა ისარგებლა მისი მოძ-
რაობით და ყოყოჩად თქვა:

— ეს მაწანწალა ტყეში დავაპატიმრე.
ჩვენს დასაზვერად მოდიოდა. წინაღ-
მდეგობის გაწვევაც სცადა.

როშარს ზედაც არ შემოუხედავს, თა-
მაშითა და საუბრით იყო გართული. მი-
სი პარტნიორი, ახალგაზრდა პირხმელი
კაცი, კევს ლეჰავდა და კარტს ზანტად
არიგებდა.

მრგვალ შავიდაზე სიგარები და შოკო-
ლადები ეყარა.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. სერ-
ჟანტს ზელი ვკარი და როშართან მივი-
ქერი.

— ბატონო მაიორო, გარიკიდან მო-
ვედი დახმარებისათვის.

თავი ასწია, წარბი გაკვირვებით აჭი-
შა და კმაყოფილებით ჩაილაპარაკა:

— ა, გარიკიდან?.. მაშ, ეს თქვენ
ბრძანდებით, ჩემო ბატონო? რით შემო-
ძლია გემსახუროთ?

მოკლედ აუხსენი საქმის ვითარება,
ვუთხარი, რომ ქალაქს საფრთხე ემუ-
ჭრებოდა, და ვთხოვე, დილამდე ერთი
ბატალიონით დაგვემარებოდა.

როშარი გაკვირვებით შემომყურებ-
და. სქელ ბაგეზე დამკინავი ღიმილი
აუთამაშდა, თვალებს ქუტავდა. შემდეგ

სიცილი ვეღარ შეიკავა და მხიარულად
თქვა:

— Voilà et voici! მაშ, ასე! გაგივირ-
დათ? აკი ჩვენზე ჭკვიანი იყავით? რე-
ვოლუციი მოახდინეთ, ბრბო ასტეხეთ,
პასუხისმგებლობაც თქვენვე უნდა იკის-
როთ! დე, ბრბომაც ისწავლოს მტრისა
და მოყვრის გარჩევა! თავი დაგვანებეთ,
გეთაყვა! ჩვენს თავს როგორმე დავი-
ცავთ, თქვენს აწეწილ საქმეში კი ნუ
გავგრევთ! Ça finira mal, tout Ça! vous
verrez-que, Ça finira mal! ცუდად
გათავდება ყოველივე ეს, ცუდად.

— რას ამბობთ! — დაეიყვირე მე. —
ნუთუ თქვენ ფრანგი არა ხართ? ნუთუ
გსურთ, ბოშებმა უიარაღო ხალხზე იძი-
ონ შური? ეს ამოდენა იარაღი კი აქ
უსარგებლოდ ეყაროს?

— ეს თქვენი საქმე არ გახლავთ! —
წარმოთქვა როშარმა. — ჩვენ გარკვეუ-
ლი სამოქმედო გეგმა გავგანხია და მჭი-
დროდ ვუკავშირდებით გენერალ დე-
გოლს. ხომ არ ინებებთ, საფრანგეთის
მთავრობის სახელით ანგარიში ჩავაბა-
როთ?.. საფრანგეთის „შინაგანი ძალები“
იარაღით გამოდიან მხოლოდ სამო-
ქალაქო წესრიგის აღსადგენად; ისიც
მაშინ, როცა გერმანელები დასახლებუ-
ლი პუნქტის ევაკუაციას მოახდენენ.
უაზრო მსხვერპლს საფრანგეთი ვერ
გაიღებს! კმაყოფილი ხართ პატაკით?

— როცა გერმანელები წავლენ, მაშინ
იარაღით გამოსვლა რაღა საჭიროა.

— ეს უცხოელის საქმე არ გახლავთ!

— გერმანელმა რომ ჩვენი პოზიცია
გაარღვიონ, თქვენც ხომ საფრთხეში ჩა-
ცვივდებით?

— ჩვენი ფიქრი ნუ გაქვთ!
საათის ისარი ჩქარობდა.

სროლა აღარ მესმოდა. არ ვიცოდი,
რა მექნა, როგორ მომეღობო როშარის
გული. მზად ვიყავ ფეხებში ჩავვარდ-
ნოდი და შეველა მეთხოვა.

— გთხოვთ! ბატონო მაიორო, ძალი-
ან გთხოვთ! — მუდარით წარმოვთქვი
და საკუთარი ხმისა შემრცხვა.

როშარი მდუმარედ შეპყურებდა სავარძელში გადაწოლილ ახალგაზრდა კოლეგას, რომელიც ნება-ნება აბოლებდა სიგარას და ხან „ოლდ ნენგ საინს“¹ ხან „ლილი მარლენს“² უსტვენდა.

—სხვა არაფერი შემოდია,—მხრები აიჩეჩა როშარმა. — თუ ვსურთ, კაპიტან პატერსონსაც სთხოვეთ. კაპიტანი პატერსონი მოკავშირეთა შტაბის წარმომადგენელია ჩვენს დეპარტამენტში.

„ამერიკელი ოფიცერი!“ — სიხარულით ჩავილაპარაკე და ცნობისმოყვარეობით შევათვალიერე. გაგონილი გვქონდა, რომ რამდენიმე დღის წინ ფერისში (კარმოს მახლობლად) ამერიკელი ოფიცერი საიდუმლოდ დაეშვა პარაშუტით.

არ მეგონა, აქ თუ ვნახავდი. ეს პირველი ამერიკელი იყო, რომელსაც შევხვდი და „ახლა კი გვეშველა-მეთქი“, — გადავწყვიტე.

ჩემი კოჭლი ინგლისურით მაშინვე გამოვეცნაურე და დახმარება ვთხოვე. ყურადღებით მომისმინა, სავარძელიც შემომთავაზა, მაგრამ რა მესავარძლებოდა?

კაპიტანი ვანცვიფრებით მიყურებდა. განმეორებით ავუსხენი ყველაფერი, მაგრამ ბევრი რამ მაინც გაუგებარი დარჩა მისთვის.

ამერიკელმა გადაწყვიტა მთელი საქმე დაწვრილებით გამოეძია. უთვალავ შეკითხვას მაძლევდა, შიგდაშიგ დამატებით ახსნა-განმარტებასაც მთხოვდა და სრულებით არ ჩქარობდა. თავი ისე ეჭირა, თითქოს, არ იცოდა, საიდან გავჩნდი აქ საბჭოთა ადამიანები. როდის და როგორ მოვედიო! პარაშუტით ზომ არ ვართ გადმოსხმული!

ჩემს პასუხებს ეჭვით ისმენდა და ვამჩნევდი, რომ ფიქრობდა: „ამას კარგი სუნი არ უდისო!“

ხელში ჩემი „ვალტერი“ ეჭირა. გულმოდგინედ ათვალიერებდა. მეთათსევერ ერთსა და იმავეს მეკითხებოდა და ბო-

ლოს, შევატყე, რომ აღარაფერი ვიცი.

— Russian? რუსი ხარ?

— დიახ! — ვუპასუხე მტკიცედ და ვიგრძენი, რომ სწორედ ის ვიყავი, ვისაც ამ სიტყვაში გულისხმობდა.

— კომუნისტ?

— დიახ!

მერე მაგიდიდან რამდენიმე შოკოლადი და ერთი კოლოფი სიგარა აიღო და თავაზიანად მომაწოდა.

მადლობით ჩამოვართვი.

ესიამოვნა.

— მე რუსეთის დიდი მეგობარი ვარ. — ხმადაბლა თქვა მან. — მაგრამ სხვა ვერაფრით მოგეშველებით. არა მაჭვს ნაბრძანები. დავალებული მქონდა მხოლოდ, გამეფრთხილებინა „შინაგანი ძალები“, რომ არ აჩქარებულყვენ. საფრანგეთს ჩვენ გავათავისუფლებთ...

— მაგრამ ახლა სხვა მდგომარეობაა! — შევაწყვეტინე მე. — ქალაქს დაღუპვა მოელის. თქვენ შეგიძლიათ აიცდინოთ შას ორადურის ზეედრი! ეს ამოდენა იარაღი...

— ამ იარაღს თავისი დანიშნულება აქვს, სერ! — აღარ დამამთავრებინა კაპიტანმა.

ამ ლაპარაკში დრო გადიოდა და მე თავს ვკიცხავდი, რომ ასეთ ლაზღანდრობაში გაეზბლანდე, იქ კი ამხანაგებს ჩემი იმედი ჰქონდათ.

მოთმინებიდან გამოსულმა მკაცრად შევხედე კაპიტან პატერსონს და ნერვულად ვთქვი:

— ჩემი უკანასკნელი თხოვნა ის იქნება, მისტერ, რომ თქვენი საკუთარი მხარე მაინც დაიცვათ, მარჯვენა მხარე, რადგან იქ მყოფი ძალა სხვა მიზნისთვის გვჭირდება.

ამ სიტყვებზე ამერიკელმა ხელები მუცელზე მიიჭირა და გაინაბა. მერე სახე აუჭარბლდა, თვალები დაუსისხლიანდა და სავარძელში ჩაბეჭრდა. ხითხითი-საგან ძლივს ითქვამდა სულს.

¹ სოფელია საფრანგეთში, რომელიც გერმანელებმა გაანადგურეს, მცხოვრებლებს გულსიაში მოუყარეს თავი და დასწვეს.

¹ ამერიკელი სიმღერა.

² გერმანული სიმღერა.

არ მესმოდა, რა ვთქვი ასე სასაცილო, და გაკვირვებით შევეყურებდრ.

როშარი და სერჯანტი მლიქვნელურად ილიმებოდნენ, მაგრამ ეტყობოდათ, არც იმათ იცოდნენ, ასე რამ ვაამხიარულა სტუმარი.

ცოტა სული რომ მოიბრუნა, პატერსონმა თქვა:

— მეორე ფრონტი! მეორე ფრონტი! რა სასაცილოა, რუსები აქაც მეორე ფრონტს ვვებოვენ. ხა, ხა, ხა! ჯენტლმენებო, ყველგან „მეორე ფრონტი!“ რა კომიკურია! წარმოვიდგენიათ, რა მოუვთ ჩემს მეგობრებს, ამას რომ ეუამბობ!..

C'est Dról de guerre! ომის ხაკვირველებაჲ! — გამოეხმაურა როშარი. უხმოდ, ზიზღით მუხლმოკვეთილი შევეყურებდი ჩემს კეთილისმყოფელებს.

ის კი, აზარტში შესული განაგრძობდა:

— მეორე ფრონტი უკვე გახსნილია, სერ! გახსნილია სწორედ იმ მიზნით და იმ დროს, რომ თავიდან ავიციდნოთ ანარქია და უაზრო მსხვერპლი. თქვენი თავდადება რაღა საქირია! საფრანგეთს ჩვენ გვათავისუფლებთ...

— მაგრამ, ჩვენ ხომ მოკავშირენი ვართ, მისტერ! — ერთხელ კიდევ ვცადე მე.

— „მოკავშირეები! მოკავშირეები!“ — გააგრძელა მან. — ჩვენს შორის ერთი პატარა განსხვავებაა. ჩვენ ვებრძვით გერმანელებს, რომლებიც მსოფლიოს ხელში ჩაგდებას აპირებენ. თქვენ კი — ფაშისტებს ებრძვით.

— მაშ, გვიჩვენეთ, რომ ფაშისტები ქალაქზე მიეუშვათ?

— როგორც ვნებათ! ეს ჩემს კომპენტენციაში არ შედის.

ამ სიტყვებზე მან ცოტა წამოიწია, თვალი თვალში გამოიყარა და თქვა:

— სხვა თემაზე ვილაპარაკოთ, მისტერ! მე ჯენტლმენური წინადადება მაქვს: ჩვენთან არ იმსახურებთ?

სახე ამემღვრა. პატერსონმა შეამჩნია ეს და გაიღიმა.

— სასარგებლო საქმეა ჩემს მსწევრგან ბევრს არ მოვიტხოვებ! — მკვეთრად მოაღიო და რუსულად დაბეჭდილი ფურცლების შეკვრა გამოიწიოდა.

— მისტერ! — შრისხანედ შეეძახე მე და ხელი ავუყარი გამოწვდილ ფურცლებზე, რომლებიც ძირს დაუცივდა. — ნება მომეცით, გვითხოთ: თქვენ თვითონ ხომ არ ინებებთ ჩვენთან სამსახურს?.. თუმცა... ეშმაკმა დასწყევლოს! თქვენი სამსახური რაში გამოგვადგება?!..

პატერსონს აღელვება არ გამოუხატავს. ეტყობა, შეჩვეული იყო ამგვარ საქმეებს.

— ხედავთ, რა ამაყი ყოფილა! საკვირველია, რომ ყოველი რუსი ამაყია, როგორც იმპერატორი! თქვენ ძალიან უნდობლად ეკიდებით უცხოელებს. ამინი გერმანელები არიან დამნაშავე. ისინი მათრახით მოვიდნენ თქვენთან.

— არა, მისტერ! დაიხსოვით, რომ თქვენი ოქროს ვალია ჩვენს ხალხს გერმანელების მათრახზე ნაკლებ არ სძულს!

— ხა, ხა, ხა! რა უცნაური ხართ!

სათქმელი აღარაფერი მქონდა. ყველაფერი ნათელი იყო. „შორს! შორს ამითგან!“ — შეძახდა გული. მინდოდა ღორები მეწოდებინა მათთვის, კარეთ გავვარდნილიყავი, კარი მიმეჭახებინა და უკან აღარ მომეხედნა.

— კაპიტანი გთხოვთ, ამიღამ აქ დარჩეთ, როგორც მისი პირადი სტუმარი! — ვითომდა თავახით მითხრა როშარმა. — ის მთხოვს, ვადმოგცეთ, რომ დიდად აფასებს რუსებს და თავს რუსეთის მეგობრად თვლის.

მე უქამყოფილოდ გავიქნიე თავი და ვუთხარა:

— გამადლობთ! არც ჩვენ დავივიწყებთ ასეთ მეგობრობას. სხვას რომ ეამბნა, არასოდეს დავიჯერებდი, რომ ამნაირი ხართ.

— რას იზამ, ჩემო ბატონო! ვინ იცის, ეგებ, ჩვენ ყველა ერთნაირად კარგი ვართ, მაგრამ ეს ცხოვრება მრუდე სარკეა. — უკანასკნელად წაიფილოსოფო-

სა რომარმა და დაუმატა: — კაპიტანი გთხოვთ, ეს რევოლვერი მას აჩუქოთ!

აღარ ვიცოდი, როგორ გამომეხატა აღშფოთება, მაგრამ გვიანდა იყო სერ-კანტმა მუქარით მიმითითა ღია კარზე.

უკანასკნელად შევავლე თვალი მას-პინძლებს: რომარი კარტს ჭრიდა; პატერსონი „ვალტერს“ ათვლიერებდა.

გული დამეწვა: ეს რევოლვერი სამი წელი შემსახურებოდა ღვიძლ მძასავით. 1941 წლის სექტემბერში ავართვი ობერსტურმფიურერ გუსტავ ვაიზეს და მთელი ევროპა შემომატარა. ღიმორეული ამერიკელი თვალს არ აშორებდა წარწერას ოქროს ვარაყიან ტარზე.

ნაღველი იარაღი მეომრის სიამაყეა!..

სერკანტმა ხრამზე ვადამდგარ პატარა ოთახში შემიყვანა და გაშლილ ლოგინზე მიმითითა, ნავახშმევს აქ მოისვენო. გავიდა თუ არა ეფეფელი, მაშინვე ფანჯარას ვეცი და გარიკს გავხედე.

მზე ჩადიოდა. ფერდობებს უკანასკნელი სხივი ეთამაშებოდა. თვალი გავაყოლე ტყის ვიწრო ზოლს. სროლა გარკვევით აღწევდა ჩემამდე.

ვინ იცის, რა ხდებოდა იქ! ჩვენები შველას ელოდნენ მე კი სასოწარკვეთით გამბობდი: „ვინ ვარ ახლა მე? პატიმარი თუ მოკავშირეთა სტუმარი?“

სულ მალე ჯარისკაცმა ვახშამი შემომიტანა და მითხრა: რომარმა შემოგთვალა, ხვალ ერთად წავიდეთ გარიკზეო.

ვახშმისთვის, რა თქმა უნდა, ხელი არ მიხლია და, როგორც კი დრო ვიხელთე, ფანჯრის რაფაზე შევხტი და ხავსიანი კედლით ხრამში დავეშვი.

9

შებინდებისას მტერი კარგა წინ წამოსულიყო და ჩვენი სადგომიც დაეკაეზბია. ლანუაზის სახლ-კარი იწვოდა.

თამაზი და გრანეი კაკლის ხეებთან შემხედნენ. მათ კითხვაზე ხელი ბრახით ჩაიჭინე და ამ საქმეზე სიტყვაც აღარ დავგიძრავეს.

ერთი ახმახი მებრძოლი, რომელსაც პოზიცია მიეტოვებინა და თურმე შო-

რიდან გვითვალთვალებდა, თამაზს მიეკრა და ყვირილით უთხრა: *საქმეა!*

— ჩვენ რას გვემართება? — ცაცით ამ უცხო მიწაზე? მაგათი თავიანთი ქვეყანა დავიწყებიათ, მაგათი ჯიგარი კი გაწყდეს და ჩვენ შევაკლათ თავი? წავიდეთ ტყეში და ომის დამთავრებამდე ნულარ გამოვჩნდებით!

— ცეცხლის ხაზზე! — დაუღრიალა თამაზმა და ავტომატი მიაბჯინა. — სულმოკლე, განა ჩვენ იმათთვის ვიბრძვით?!

ახმახი უსიტყვოდ გაიძურწა, მაგრამ მისმა საქციელმა ყველას გვაგრძობინა, რომ სასწრაფოდ რამე უნდა გვეღონა.

ვისარგებლე ამით და მეთათურებს მოკლედ გავაცანი თავდაცვის გეგმა, რომელიც მონასტიეში ყოფნისას ამეკვიატა: მარჯვენა მხარე დავცალოთ და ჩვენი ასეულები ძია ანტონიოს ათასეულით შევეცვალოთ. ღია ადგილს რომ იპოვიან, გერმანელები მონასტიეს დააწყებებიან და მაშინ ვნახავთ, დაიცავს თუ არა თავს რომარი. ჩვენ კი, მტრის შესუსტებულ ფლანგს მარცხნიდან დავუვლით და ქალაქს გადავარჩენთ.

ფაშისტები ცდილობდნენ იმ საღამოსვე მოესწროთ კარმოში შესვლა და გააფთრებთ უტევდნენ ჩვენს მისუსტებულ პოზიციებს. მოიერიშე რაზმები უკვე ყველა მხრიდან გარს გვეტყობოდნენ და ჩემი წინადადების ბედიც ამან გადაწყვიტა.

ანტონიოს ასეულებმა შეუმჩნევლად დატოვეს მარჯვენა ფრთა და ცენტრის პოზიციები დაიკავეს, ხოლო გრანეის ასეულებით გაძლიერებულმა ჩვენმა ბატალიონმა მარცხენა ფლანგზე განავითარა იერიში და ხელჩართული ბრძოლით გადალახა გზატკეცილი. გერმანელებმა, რომლებიც ასეთ კონტრიერიშს აღარ მოელოდნენ, იფიქრეს, ახალი ნაწილები მოსვლიათო, და უკან დაიხიეს.

ალყა რომ გავარღვიეთ და ხიდის ბომინჯებში შევიჭერით, რკინაბეტონის ვიადუქის ღია შესასვლელში ავტომატ-შემართული მეომარი დავგხვდა. როგორც ჩანს, გონებადაკარგული იყო,



რადგან ვერ გვიცნო და, დაგვინახა თუ არა, სროლა აგვიტება.

ხიდის ბურჯებთან დახოცილი ვერმანელები ეყარნენ.

ვიაღუქის სიღრმეში ილო ეგდო: ცალი მკლავით დამტვრეულ ტყვიამფრქვევს ვადასწოლოდა. კრისტიანაც იქვე იღვა.

ვიაღუქის კედლები ტყვიას დაეცბრილა, რკინა-ბეტონი ყუმბარებს დაედრღნა, ლითონის კოჭები და მალის ნაგებობა ნალმებსა და ხელყუმბარებს ჩაელეწა.

ახლა ყველა მიეხვდით, რამდენად სწორი იყო თამაზი, ტყეში ოცუელის გავზავნა რომ მოითხოვა. მტერმა ვერასგზით ვერ დააღწია თავი ჩვენს მზვერავებს და მთელი დღე-ღამე ერთ ადგილს ტყეპნიდა.

დაჭრილები კარმოს ჰოსპიტალში გავგზავნეთ. გარინდებული კრისტიანა სულ ერთსა და იმავეს ჩურჩულებდა: ღმერთო ჩემო, იგი დაჭრილია, იგი მძიმედ არის დაჭრილი!

თამაზმა რკინგზის ხიდთან შეპყრობილი რამდენიმე ტყვე მოიყვანა, ერთ მათგანზე მიგვითითა და თქვა:

— აბა, კარგად დააკვირდით, ხომ არ გეცნობათ?

— კანდიდატი! — თითქმის ერთხმად დავიყვირეთ ჩვენ.

მაღალმა შტურმფიურერმა, რომელიც მეორედ ჩაგვივარდა ხელთ, თავი დახარა...

— ეს ძალი გუშინ არ გამოვათრიეთ „ცისფერი ყაზარმიდან?“ აქ საიდან გაინდა? — დაიყვირა გრანიემ.

— როგორც ზედავთ, როშარს გამოქცევია! — თქვა თამაზმა.

მტერმა მალე შეამჩნია, რომ მარჯვენა ფრთა დაუცველი იყო, მთელი ძალა იქით გადაისროლა და ბლავი უბრძოლველად დაიკავა. მცირე ხნის შემდეგ, სროლა უკვე მონასტიეს მალღობებთან ისმოდა.

იმ ღამით ჩვენ ქალაქის გარეუბნამდე დავიხიეთ და გათავისუფლებული ასეულები კანიაის გზატკეცილს ზემოთ გან-

ვალავით, რათა მტერს მონასტიეს მხარეზეც დაეხვდომოდით. ღამემ მშვიდად განვლო.

დილით კორდესიდან კორშუნოვის ბატალიონმა მოგვისწრო და მაშინვე გადამწყვეტ შეტევაზე გადავედით.

17 აგვისტოს გერმანელებმა სამუდამოდ დატოვეს ჯარმო.

10

აღბზე ვალაშქრების წინ ჰოსპიტალში შევიარე.

დერეფანში ტანმორჩილი მოწყალეების და შემომეგება. ფარდაჩამოშვებულ პალატაში შემიძღვა.

ერთადერთ საწოლზე, თეთრ ზეწარქვეშ, ილო იწვა; თავით კრისტიანა უჯდა.

ახლოს მივედი, მეგობარს სახეზე ზეწარი გადავხადე.

ძლივს ვიცანი. სახე სულ იმ არაამქვეყნურ სიყვითლეს შთაენთქა. თვალეები ჩაქრობოდა, ბაგე აღარც კი ემჩნეოდა, მსხვილი კბილები წამოსცვენოდა.

— ცუდადაა საქმე? — ჩუმად ვკითხე კრისტიანას, რომელსაც უკრილობები დოღბანდით ჰქონდა შეხვეული.

არაფერი მიპასუხა.

— მადმუაზელიც ცუდად არის, მაგრამ ვერ მოგვიცილებია თქვენი მეგობრისათვის! — საყვედურით თქვა მოწყალეების დამ. — ჩანს, ძალიან უყვართ ერთმანეთი!

— რას ამბობთ!.. რის სიყვარული!

ჩვენმა ჩურჩულმა ილო გამოაღვიძა. შეიშმუშნა, თვალი ოდნავ გაახილა და გამიღიმა.

ადგილზე გავქეავდი.

მან მშვიდად დამიქნია თავი.

მაშინვე მის სასთუმალთან დავიხარე და თმაზე ხელი ვადავუსვი. ეტყობა, რალაციის თქმა უნდოდა, მაგრამ ძლივს და სუნთქავდა.

ღონე მოიკრიბა, ოდნავ წამოიწია.

— გამიგონე!.. ჩემზე ნურაფერს იტყვიო... არ მინდა, გესმის?..

— რას ამბობ, ილო!.. შენც ჩვენთან ერთად დაბრუნდები საქართველოში.

— ვითომ?

— რასაკვირველია!

სახე დაუშვინდა, აღარაფერი უთქვამს. თვალი მიღულა.

მივეშველე, რომ თავი ისევ ბალიშზე დაედო. რამდენსამე ხანს ასე იყო, ჩუმად. მძიმე ზროტინიდა ისმოდა.

— დედა — წამოიძახა მან.

— მაგრად იყავი, ილო! — ვუთხარი გასამზნეველად.

თვალი ისევ გაახილა და უკმაყოფილოდ შემომხედა.

— არ გრცხვენია? ფიქრობ, სიკვდილისა მეშინია?.. ვინ იცის, იქნებ, მალე ავდგე და კიდევ მოვისწროთ...

— მოგვისწრებ, აუცილებლად მოგვისწრებ, ილო!

თანდათან უჭირდა ლაპარაკი. ჩანდა, ტყვიელები ტანჯავდა; მაგრამ ცდილობდა, არ შეემჩნევილებინა.

— რას ვამბობდი? — იკითხა და თვალი მომაპყრო. — ჰო, რომ იცოდე, რა ძნელი იყო ეს ორი დღე!..

შემდეგ ისე განაგრძო, თითქო, საკუთარ თავს ელაპარაკებო:

— როგორ ვებრძოდი გულს!.. ყველაზე ძნელი საკუთარ თავთან ბრძოლა ყოფილა!.. და მისთვის მაინც არაფერი მიგრძნობინებია...

— ასე გგონია? — ჩუმად ვთქვი მე.

— ჰო!

— აბა, შეხედე და ყველაფერს მიხვდები.

მან თავი მიაბრუნა. მისი მიმქრალი თვალები კრისტიანას ცრემლიან თვალებს შეხვდა.

ქალიშვილმა მომაკვდავის წინ დიხოქა, მოეხვია და ტუჩებზე დაეკონა.

გავერიდე მათ. მოწყალეების დაც ფანჯარასთან მივიყვანე.

დიდხანს იყვნენ ასე... მე კი მწუხარედ გავკუთრებდი სერუს ბალ-ვენახიან ნაპირებს და არაფერზე შემეძლო ფიქრი.

მოწყალეების დამ ვერ მოითმინა და თქვა:

— აბიუღ წლებს ეცხოვრობთ. საშინლად მომაბეზრებელ დღეებს ვუძ-

ლებთ, ათსგვარ ტანჯვას ეცხოვრებთ ერთფეროვნებას ვიტანთ, ვიტანთ, ვიტანთ, ვიტანთ ბედმა როდისმე თუნდ რამდენიმე წუთის სიამოვნება გვარგუნოს, და მაშინ გვეყრა, რომ ვიცხოვრეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიხარული გამოგვეცადა... უბედური ის არის, ვისაც ეს წუთი არ დადგომია!.. მთელი ჩვენი ცხოვრება ამ ბედნიერი წუთის მოლოდინში ქრება. ის კი აღარასოდეს განმეორდება. რაღას უნდა ველოდოთ შემდეგ?!

როცა კრისტიანა საწოლს მოსცილდა, ილომ კვლავ მიმიხმო.

კრისტიანა კი, თითქო, ახლა შეამჩნია ჩვენი იქ ყოფნა, თავდახრილი მომიახლოვდა და ქვითინით მითხრა:

— მაპატიეთ, მაპატიეთ! დე, ყველამ მაპატიოს არ ვიცი, რა მომდის!..

ქალიშვილი საეარძელში ჩავსვი და ილოსთან მივედი.

იგი დიდხანს ცდილობდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ძალა არ ყოფნიდა.

მერე სახე დაუშვინდა და ის არამჭვეყნიური სიყვითლე ამჭვეყნიურმა ნათელმა შეცვალა. დაეხარე და შუბლზე ვეამბორე.

მუხლი მომეკვეთა. ვთრთოდი.

— ლეთიშობელო! — სასოწარკვეთით დაიყვირა კრისტიანამ და მეგობარს გადაეკლო.

მოწყალეების და კრისტიანასთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— მებრალეებით, ქალიშვილო, მაგრამ რას იზამ! ასეთი დაუნდობელია ცხოვრება! ქალი უსუსური არსებაა და ბედს არ უნდა შეეჭიდოს. თქვენ ახალგაზრდა ხართ. წადით მონასტერში, ჩამოსცილდით ამ სასტიკ ქვეყანას!..

კრისტიანა სწრაფად წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

ილოს ცხედარი, კარმოში დაღუპულ სხვა ამხანაგებთან ერთად, იმ საღამოსვე გავასვენეთ ყუევილის ძმათა სასაფლაოზე.

ხალხმა თაიგულებით შეამკო მათი კუბო და „ინტერნაციონალით“ გააცილა იმავ ქუჩებში, სადაც გუშინ იბრძოდნენ.

აღბის გასათავისუფლებლად ამხედრებული მაიხარები დილით ცისფერ ყაზარმასთან იდგნენ.

ღამით ბრძოლა გადახდილი ქალაქი ახლა მტრის განდევნას ზეიმობდა.

მოედნებზე მოხალისეები იყვნენ ჩამწკრივებული.

ისმოდა სიმღერა:

„Aux armes, Citoyens!
Formez vos Bataillons“!..

ფილაქნებზე შეგვუფებული ხალხი მოხალისეთა გრძელ კოლონებს ესალმებოდა:

— გაუმარჯოს მშვიდობას და თავისუფლებას!

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

— გაუმარჯოს რესპუბლიკას! მოხალისეებს გაუმარჯოს!

ერთ მწკრივში ორი მოხალისე მოდიოდა ერთმანეთის გვერდით: მთლად გათეთრებული მოხუცი და პირტიტყელა ქაბუცი.

ჩემმა თანამოსაუბრემ, პარტიზანული გაზეთის კორესპონდენტმა ორივეს ჰკითხა სახელი და წლოვანება.

— მადაროელი კლოდ მარნო, სამოცდასულთმეტი წლის, — თქვა მოხუცმა.

— ხუროს შეგირდი ეან არმანიაკო, თექვსმეტი წლის, — შემოგვიღიმილა ქაბუცმა, რომელსაც საულვაშე ახალშეღინდლული ჰქონდა.

ტაში არ წყდებოდა. ლოზუნგებს დასასრული არ უჩანდა.

წასვლის დრომაც მოატანა. მანქანა მოხალისეებით აივსო. ბევრი იყო წამოსვლის მსურველი.

— მტოვებთ, გულო? — შემომესმა ნაცნობი ხმა.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შაშხანშემართული ლანუაზი დავინახე.

— გიკვირს, გულო? მეც თქვენთან მოვდივარ. აღარაფერი მახადია, ყველაფერი დაწვეს. დავიდღუბე, გულო, დავიდღუბე... ახლა კი, მართლა აღარ ვაგაგ-

დებ იარაღს, სანამ ამ ლოზუნგებზე გეთიდან არ გავეყრი...
შენს ლოზუნგებს

ის იყო უნდა დავპრულიყავით, რომ კრისტიანაც გამოჩნდა. მანქანაზე ამოსასვლელად ხელი გამოიმწროდა. მაშინვე მივეშველე.

ჩვენ კი გვევონა, რომ კრისტიანა ამიერიდან თავს გავგანებებდა. რა ცუდად ვიცნობთ, თურმე, ამ სუსტსა და თავმდაბალ უცხოელ ქალიშვილებს!

ფრანგულ პრესაში ბევრი ნარკვევი დაიბეჭდა კარმოს საბჭოელ გმირებზე. ეს წერილები რომ შევკრიბოთ, საკმაოდ სქელი წიგნი გამოვა...

გაზეთი „Le Soldat Citoyen“ 1944

წლის 19 აგვისტოს წერდა: „...კარმოს აზრებზე მოელოდა. მისი განადგურებით ბოშებს სურდათ სამუდამოდ დაეშენებიათ ჩვენი მხარე. თითქოს არც შეეღა ჩანდა... მაგრამ ქართველთა ლომობრივმა მამაცობამ მტრის იმედები არაჩად აქცია... ფაშისტებმა ვერ მოასწრეს ქალაქში თავმოყრილი მანქანა-იარაღების, სურსათის, ათასი სხვა ნაძარცვის გერმანიაში გაზიდვა და მუშახელის, კერძოდ, სპეციალისტების, სამხედრო ქარხნებში გარეგვა, რაც ასე ესაჭიროებათ ახალი იერიშების მოსამზადებლად...“

ჩვენი ქვეყანა არასდროს დაივიწყებს ქართველთა რაინდულ თავდადებას, კარმოს გადასარჩენად დაღვრილ სისხლს!..“

პარიზის ყოველდღიური „Jeunesse“ იმავე წლის 12 ნოემბერს დასტენდა:

„...ჩვენს დროში ძნელია გმირობით ვინმე ვააკვიროო!.. მაგრამ ქართველ პარტიზანთა თავდადება, მაინც, უმაგალითოა. მათ გარდუვალი საფრთხისაგან იხსნეს კარმო... ასე თავგანწირვით მშობლიური მიწა-წყლის გადასარჩენად იბრძვიან!..“

დიდება დაუვიწყარ მეომრებს!“

ჯამალ ქარჩხაძე

აბზიანიძეების ოჯახი

მოთხრობა

მოქმედება მიმდინარეობდა აბზიანიძეების ოჯახში. თუმცა ეს „აბზიანიძეების ოჯახი“ ბოლო ხანებში პირობითი გამოთქმის კატეგორიამდე ჩამოქვეითდა და ამჟამად მისი ერთადერთი ღირსება ისღა იყო, რომ თვალნათლივ მიუთითებდა, თუ როგორ ეცლება ზოლმე შინაარსი ცნებას, რომელიც ერთ დროს დიდ აზრს შეიცავდა.

მაგრამ ეს კარგა ხნის ამბავია. შინაარსის გამოცლა დაიწყო თხუთმეტიოდე წლის წინ, როდესაც წავიდა დიდი აზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, ლავრენტი აბზიანიძე, ოჯახის მამა და გამოთქმა „აბზიანიძეების ოჯახის“ მთავარი ბურჯი. იგი წავიდა და ახლა მარადიული წუხილის სიმბოლოდ საწოლის თავზე ეკიდა გადიდებული სურათი, რომელიც ისეთი მხნე და ამაყი სახით გადმოჰყურებდა სამყაროს, რომ უნებურად კაცის უკვდავებას დაიჭერებდი; (თუმცა ეს სუბიექტური განცდაა და, უნდა ითქვას, საკმაოდ უსაფუძვლოც).

ქალბატონ ელენეს, რომელიც „აბზიანიძეების ოჯახის“ შინაარსში მხოლოდ არაპირდაპირი გზით შედიოდა, — როგორც არააბზიანიძე, მაგრამ აბზიანიძის მეუღლე, ძალიან გაუჭირდა ქმართან გამოთხოვება. მისი უმიზნო ბოროალი და უცნაურად დაყინებული და ამჟვე დროს აზრგამოცლილი მზერა პირდაპირ დაუშრობელი წყარო იყო ნალღლიანი ფიჭვნისათვის. მაგრამ დრომ, რომელსაც თავისი მარადიული არსებობის მანძილზე არა ერთი და ორი სნეულება განუკურნავს, ელენეს სატიკივარსაც უშველა.

და ის იყო „აბზიანიძეების ოჯახმა“ კვლავ მიიღწია თავისი საუკეთესო წლების სიმაღლეს, რომ მას მეორე მნიშვნელოვანი ელემენტი გამოეცალა, თუმცა ეს არ ყოფილა პირველ გამოცლასავით ტრაგიკული და არდასაბრუნებელი: უფროსმა ვაჟმა ნიკომ, როგორც კი თავისი საყვარელი აგრონომიული დამთავრა, დაკრა ფეხი და სოხუმში გადაიქარგა, რათა იქ ერთ რუსის გოგოსთან ერთად, რომელიც სამიოდე დღის წინ გაეცნო, ცალკე შეექმნა „აბზიანიძეების ოჯახის“ პატარა ცნება, ასე ვთქვათ, ფილიალი გაეხსნა.

დიდ ხანს არ გაველო ამ ამბის შემდეგ, რომ დაქუცმაცების ახალი ფაქტი შესრულდა: მომდევნო მშამ დამთავრა საექიმო, სამხედრო ექიმო გახდა და ღმერთმა უწყის, საით წავიდა. უფროსმა მშამ ფილიალი მაინც გახსნა იმ ზარალის სამაგიეროდ, რომელიც ოჯახს მიყენა. ეს კი უგზოუკვლოდ გადაიქარგა, თანაც, თუ მისი ხელობისა და ხასიათის მიხედვით ვიმსჯელებთ, არავითარი შანსი არ იყო, რომ ოდესმე უფროსი ძმის მეტნაკლებად გონივრულ მაგალითს მიბაძვოდა.

ამ დროისათვის ოჯახი უკვე განახევრებული იყო—სამი კაცი წავიდა და სამი დარჩა, თუმცა, სამწუხაროდ, სასწორი მაინც წასულებების მხარეს იხრებოდა, რადგან დარჩენილებიდან მხოლოდ ორი იყო ჭეშმარიტი აბზიანიძე, მესამე კი, მოხუცი ელენე, მხოლოდ და მხოლოდ აბზიანიძის მეუღლე იყო და მეტი არაფერი.

მაგრამ არც ეს შემადგენლობა დარჩენილა დიდხანს უცვლელი. მართალია, ქეთინოს გულისხმიერებას ჩვენი ქება არ ესაჭიროება, მართალია, ქეთინოს ყველაზე მეტად უყვარდა დედა, და, ღმერთია მოწამე, ძალიან უმძიმდა განშორება, მაგრამ ვინ დაძრახავს? — დრო და ბუნება თავისას ითხოვდა და ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს იგი ჩაუჭდა მანქანაში ვილაც ინეინერს, რომელსაც აბზინიძეების შინაური ატმოსფეროს ფონზე შეიძლება ვადაპთიელიც კი ვუწოდოთ, და ჰერი! — გაუდგა გზას შავი ტყიბულისაკენ. აქვე უნდა ვთქვათ, რომ წასვლის წინ ქალები მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს და იტირეს, მაშინ როდესაც ამ დღისთვის საგანგებოდ ჩამოსული ნიკო და შინ დარჩენილი გიგა (შუათანაზე უბრალოდ ზედმეტია ლაპარაკი) თვალს უკრავდნენ ერთმანეთს და ეშმაკურად იღიმებოდნენ დედაკაცური გულჩვილობის გამო. ქეთინო შემდეგ შიაც გულისხმიერი ქალი დარჩა და კვირაში ერთხელ რეგულარულად უგზავნიდა დედას წერილებს, ხოლო როდესაც საშუალება მიეცემოდა, თვითონაც ჩამოვიდოდა ხოლმე. დედა თითო წერილს სამჯერ კითხულობდა, მერე ფაქიზად ინახავდა კარადის უკრაში და ნანობდა, რომ ვაჟებს ასე ეუცხოვებოდათ დედაკაცური გულჩვილობა.

და ამ დროისათვის, როდესაც მოქმედება აბზინიძეების საწოლ ოთახში მიმდინარეობდა, ოჯახი მხოლოდ ერთი აბზინიძისა და ერთი ნახევრად აბზინიძისგანლა შედგებოდა. ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ ოჯახიდან მიდიოდა ის ერთი, ერთადერთი, უკანასკნელი აბზინიძეც და, ბედის ირონიული ღიმილის წყალობით, ცნობილი გამოთქმის „აბზინიძეების ოჯახის“ სინდისზე რჩებოდა მხოლოდ ერთი ქალი, რომელიც გვარად გუგუშვილი იყო.

ასე იყო საქმე.

შუა ოთახში კი იდგა გადახსნილი ვეება ჩემოდანი, რომელშიაც პანტაფუტით ცვიოდა საშინაო და საგარეო შარკლები, საშინაო და საგარეო ხალათები.

ტუფლები და სხვა მარბოროტები ჩემოდნის გვერდით ჩატეხულიყო. გიგა, მაღალი, ცისფერთვალა, შუბლფართო ბიჭი, ალაგებდა ბარგს და ხმადაბლა ღიღინებდა რაღაც სიმღერას, რომელშიაც ყმაწვილი კაცი დაჟინებით ურჩევს ქალიშვილს — დროზე შემიყვარეო, თანაც ემუქრება, წინააღმდეგ შემთხვევაში პირში ჩალაგამოვლებულს დაგტოვებო.

მარცხნივ, ოთახის კუთხეში, სადაც, ბარგის ჩალაგების თვალსაზრისით, არაფერი იყო გასაკეთებელი, იდგა დედა და თუმცა ღრმად სწამდა, რომ აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბარგის ჩალაგებაში, სინამდვილეში ასე არ ყოფილა საქმე. მართალია, დაუსვენებლად კი ფუსფუსებდა, ხშირხშირად მოდიოდა ჩემოდანთან და ხელში მუდამ რაღაც ეჭირა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ რამეს აკეთებდა. მხოლოდ ერთხელ სცადა დახმარება და ორი ქილა ბადრიჯნის საცივი ჩაღვა ჩემოდანში მაშინ, როცა ქილების ადგილი ზურგჩანთაში იყო. გიგამ არაფერი შეიმჩნია და იმდენად მოთოკა თავი, რომ ღიღინიც კი არ შეუწყვეტია. იგი განთქმული იყო თავისი სიმტკიცით და ნებისყოფით და არა მარტო დამალა წყენა, არამედ მოიშორა კიდევ. სულ მოიშორა. გაიხსენა ამხანაგები, რომლებიც სადგურზე გააცილებდნენ, გაიხსენა ახალი ცხოვრება და ახალი აღმზიანები, რომლებიც მოსკოვში ელოდნენ და რომლებთანაც თავისი მომავალი ცხოვრება უნდა დაეკავშირებინა, და წამსვე მოიშორა დედის, თუ შეიძლება ასე ითქვას, უთავბოლოებით გამოწვეული მცირედი წყენა. ბადრიჯნის ქილები კი უხმოდ ამოალაგა ჩემოდნიდან და ზურგჩანთაში ჩააწყო. თანაც სანამ ამ ოპერაციას აწარმოებდა, ზურგით იდგა დედისკენ, რათა ამ უკანასკნელს არ შეემჩნია, რომ მისი დახმარება სინამდვილეში ხელის შეშლა იყო და მეტი არაფერი.

ღიახ, გულისხმიერება და ტაქტი აიკლდა გიგას!

დედა კი მუდამ ასეთი იყო: არასო-

დეს არ იცოდა ბარგის ჩალაგება. თუმცა ამაში, ალბათ, ბრალი უფრო მძის მიუძღოდა, რომელიც ამ საქმის იშვიათი ოსტატი იყო და, რომ დასტირებოდა, მგონი, მთელ სახლს ჩადგამდა ერთ ჩემოდანში.

ასეთი იყო დედა და ასეთი იყო გიგა. და ისინი შორდებოდნენ ერთმანეთს. ამიერიდან მთელი სიმძიმე, რომელსაც გამოთქმა „აბზიანიძეების ოჯახი“ შეიცავდა, ერთ ქალს უნდა დასწოლიდა მხრებზე, ერთ ქალს და ისიც არააბზიანიძეს.

თვენახევრის წინ გიგა, დედის უკანასკნელი ნუგეში, სახეგაბრწყინებელი შემოვარდა სახლში, დაიწყო ხელეზის ფშვნეტა და ბოლთის ცემა. გაშმაგებული დარბოდა საქმოდ მოზრდილი ოთახის ერთი თავიდან მეორეში. ხანდახან ერთბაშად შედგებოდა, შუათითთა და არათითთ ქეჩოს მოიფხანდა და ისევ მოსწყდებოდა ადგილს. ბოლოს, სირბილით რომ გული იჭრა, გაოცებული დედის წინ შეჩერდა და უთხრა:

— იცი შენ, რა არის მოსკოვი?

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ელენემ იცოდა, რა არის მოსკოვი. ამიტომ, ვფიქრობთ, სრულიად მართებულად მოიქცა, როდესაც ხმაში ცოტაოდენი წყრომა გამოურია:

— მოსკოვი რა არის, როგორ არ ვიცი, ბიჭო!

ამის შემდეგ შვილმა ხელეზის ფშვნეტა და სირბილი განაახლა. და დემილის დარღვევა დედას მოუხდა:

— კი მაგრამ რაში გაგახსენდა მოსკოვი?

— მოსკოვი, მოსკოვი... შენ არ იცი. დედაჩემო, რა არის მოსკოვი. მოსკოვი ეს ჩვენი მიყრუებული ქალაქი კი ნუ გგონია! მოსკოვში დღეს ცხოვრება!

— ცხოვრებას, ბიჭო, თუ ადუღებ, ყველგან ადუღდება. რად უნდა მაგას მოსკოვი და პარიზი!

— შენთან ლაპარაკი, დედაჩემო, ძაბატიე გაცვეთილი გამოთქმა და, წყლის

ნაცვია. შენ ვერასოდეს ვაიგებ, რა ხონს მოსკოვი.

რაკი დედისთან ლაპარაკის შემდეგ ლობა შესაფერისი ფორმულით განსაზღვრა, ამ აზრის გაღრმავებას აღარ გამოეცა და პირდაპირ აუხსნა, თუ რაში დასტირდა მოსკოვის მდულარე ცხოვრების ხსენება. საქმე ის იყო, რომ მას რამდენიმე სპეციალისტთან ერთად შესთავაზეს ამ ადუღებულ ცხოვრებაში შეერგო თავი.

დედამ მდულარედ მოისმინა შვილის გადაწყვეტილება, თავი დაუქნია ოცეციალიური თანხმობის ნიშნად და სამზარეულოში შევიდა, რათა კერძისთვის დროზე მიეხედა, თორემ შეიძლება კარტოფილი ჩაშლილიყო.

სანამ გიგა ოთახში დარბოდა, ქვედა სართულზე მცხოვრებთ აწუხებდა და მოსკოვეურ საღამოებზე ოცენებოდა, დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა, თუმცა ამან საქმეს ვერ უშველა: კარტოფილი მაინც ჩაიშალა.

წინ ორი-სამი კვირა იყო. ეს ორი-სამი კვირა შემდეგ ობიექტური მიზეზების გამო თვენახევარსაც გაგრძელდა. მაგრამ ცნობილია, რომ თვალნათლივ მხოლოდ მაშინ დანახავ რამეს და მთელი სისრულით მხოლოდ მაშინ შეიგრძნობ, როცა ფაქტის წინაშე აღმოჩნდები. ფაქტის წინაშე კი მოხუცი ელენე აღმოჩნდა იმ დღეს, რა დღესაც აბზიანიძეების საწოლ ოთახში მეხუთე მოქმედება დაიწყო.

ხაჭაპურები ცოტა დაიწვა, ქათამი ისეთი შებრაწული ვერ გამოვიდა, როგორც სხვა დროს გამოდიოდა, და ეს ამბავი ცუდად ენიშნა გიგას, მაგრამ ეულისსმეირი ბიჭი ერთი წუთითაც არ იფიწყებდა ტაქტს და მცირეოდენ წყენას უხმოდ ულაპავდა. თან ცდილობდა არა მარტო დაემაღა წყენა, არამედ მოეშორებინა კიდევ.

— რა გაძლებს სამი დღე მატარებელში! — თქვა მან და ესეც მის გულისხმიერებაზე მიუთითებდა, რადგან ამ დროს მატარებელზე კი არა, დამწვარ ხაჭაპურებზე ფიქრობდა.

დედამ არაფერი უბასუხა, შვილის ნათქვამი პასუხს არ მოითხოვდა. პასუხის ნაცვლად კბილის ჯაგრისი და ფხვნილი აიღო, ცალ-ცალკე შეახვია და ჩემოდანში ჩადო. მაგრამ კბილის ჯაგრისის და ფხვნილის ადგილი ზურგჩანთის გარე ჯიბეში იყო. და გიგა, დედისთვის რომ არაფერი შეემჩნევიანებინა, ასე მოიქცა:

—პო, კიდევ კარგი რომ გამახსენე. თორემ მე, ვიცო, დამავიწყდებოდა, — თქვა და ხალათების ჩალაგება განაგრძო. ერთხანს ალაგებდა, მერე ერთბაშად შეჩერდა, თითქოს დაფიქრდო, — თუმცა ზურგჩანთის ჯიბეში ხომ არ ჩამედო. ყოველ დღით დამპირდება და ჯობია ისეთ ადგილას იყოს, საიდანაც ადვილად ამოვიღებ. პა, შენ რას იტყვი, დედაჩემო?

— რა ვიცი, როგორც გერჩივნოს, ისე ქენი.

საერთოდ, ელენეს ერჩივნა მისთვის დედა დაეძახათ და არა „დედაჩემო“. მაგრამ შვილებს, როგორც ჩანს, ვაჟი-ციციათვის მთლად შესაფერისად არ მიანდათ ეს „დედა“, რომელსაც, მიუხედავად მთელი ბუნებრიობისა, მაინც რაღაც სენტიმენტალური ელფერი დაჰკრავს, და ჯიუტად ეძახდნენ ოფიციალურ „დედაჩემოს“. ქეთინო, რასაკვირველია, გამონაკლისს წარმოადგენდა. იგი ყოველთვის გამონაკლისს წარმოადგენდა, როცა საქმე გრძნობების გამომკვლავნებას ეხებოდა, და ამიტომ „დედაჩემოს“ კი არა, სულ მთლად დედიკოს ეძახდა. ასე ეძახდა მას შემდეგაც კი, რაც თვითონ ორჯერ ზედიზედ გახდა დედიკო. როცა სტუმრად ჩამოვიდოდა, არაფრით არ მოისვენებდა და არც სხვას მოასვენებდა, სანამ თავისას არ გაიტანდა და ღამე დედასთან არ დაწებოდა. თუმცა ელენე ტუქსავდა ხოლმე ცალკებად, — რაღა დროს ჩემთან დაწოლაა, ამხელა ქალი ხარო, მაგრამ გულში სიამოვნებდა; ეს კარგად იცოდა ქეთინომ, რომელიც ბავშვურ სიცელქეს, ალბათ, სიბერეშიც ვერ გააღიჩეოდა.

ასეთი იყო ქეთინო.

ვაჟები კი ჯიუტად ეძახდნენ „დედაჩემოს“, თუმცა ელენეს ერჩივნა დედა დაეძახათ. მით უმეტეს ახლა, განშორების ეპოს, როდესაც ჩვეულებრივზე უფრო მგრძნობიარე ვხდებით ხოლმე, გულოთ ეწადა დედა გაეგონა შორ გზაზე მიმავალი შვილისაგან. მაგრამ რას იზამ, — შვილი ჯიუტად ეძახდა ოფიციალურ „დედაჩემოს“ და თვითონ ხომ არ შეახსენებდა? კიდევ რომ შეეხსენებია, რაღა ფასი ექნებოდა! ძალად თავს მოხვეულ „დედას“ ისევ ოფიციალური „დედაჩემო“ ჯობდა.

გიგა კი ამასობაში თავისთვის საქმიანობდა. იგი კმაყოფილი იყო, რომ ასე ტაქტიკიანად ასწორებდა დედის შეცდომებს. დიხასაც განთქმული იყო მისი ტაქტიკიანობა და გულისხმიერება! არაერთხელ შეუმჩნევია, რა წინდაუხედავად იქცეოდნენ ხოლმე დამამები, რომელთაც გიგას დიდი ღირსება ამჟამად აკლდათ. როგორ მიაბლიდნენ პირში, დღეს მხალი უგემური გამოგსვლიათ, რა დაუირიდებლად უხსენებდნენ აუფად ბიძას. არც კი ფიქრობდნენ, რამხელა ტყივილი უნდა ყოფილიყო ქალისათვის ნახელავის დაწუნება და ძმის გინება. გიგა კი ყოველთვის თავის თავს წარმოიდგენდა ხოლმე მის ადგილას და ისე იქცეოდა, რომ არაფერი ეწყენინებია მართალია, დედა არც სხვებს უჩიოდა უტაქტობას და მაინცდამაინც არც გაგას უსვამდა თავზე ხელს ტაქტიკიანობისათვის, მაგრამ უმცროსი ვაჟის რაინდობა სწორედ ამაში მკვლავნებოდა: იგი კეთილშობილებისათვის საზღაურს არ ითხოვდა. მისი გულისხმიერების ჯილდო მისი გულისხმიერების შედეგა იყო. თუმცა გულის სიღრმეში ხინჯია მაგვარ რაღაცას კი გრძნობდა, გარე სამყარო რომ დუმილით უვლიდა გვერდს მის, ასე ვთქვათ, შინაგან ქველმოქმედებას, მაგრამ რა ვუყოთ: პატივმოყვარეობის პატარა ჭია ყველას გვიზის გულში.

დიხს, გიგა მუდამ გულისხმიერი შვილი იყო. მით უმეტეს ახლა, განშორე-

ბის ემს, არათუ საქციელში, ფიქრშიც კი არ გამოამჟღავნებდა უტაქტობას.

ასე მიდიოდა დღე. ასე ემზადებოდა გიგა გასამგზავრებლად და ასე ემზადებოდა დედა დასარჩენად. მართალია, მთელი ეს პროცესი უმეტესწილად დღემილით იყო მოცული, მაგრამ რას იზამ: გიგას ბევრი ლაპარაკი საერთოდ არ უყვარდა, რაც შეეხება დედას, მისი დუმილი, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ განშორების წინ ძალიან ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი და არ იცოდა საიდან დაეწყო. გიგა კარგად იცნობდა დედების ფსიქოლოგიას და დარწმუნებული იყო დიდხანს არ გასტანდა ასე. მალე დაიწყებოდა: „დედა გენაცვალოს, მატარებელში...“ „რომ ჩახვალ დეპეშის გამოგზავნა არ დაგაფიწყდეს“, „ხომ იცი, უცხო ქალაქი, უცხო ხალხი“, და ათასი „აბა, შენ იცი“. თანაც ისეთი ტონით დაიწყებდა, თითქოს მართლა გიგაზე უკეთ ცოდნოდა ან მატარებელში როგორ უნდა მოიქცეს კაცი, ან ახალ ხალხს როგორ უნდა შეხვდეს, ან თავი როგორ დაიჭიროს. მაგრამ გიგა მაინც მორჩილად უსმენდა. ასე იქცევა ტაქტიანი ხალხი (და სრულიად სამართლიანადაც: აბა, რა საჭიროა მოხუც ქალთან კეკლუცობა დაიწყო და აუცილებლად დაანახო, რომ ცხოვრებას შენ უკეთ იცნობ).

ბოლოს გიგა, როგორც იქნა, მორჩა ბარგის ჩალაგებას, ჩემოდანი და ზურგჩანთა კუთხეში დასდო და წამოდგა.

— ესეც ასე! კარგა მაგრა კი დავიღალე, მაგრამ, სამაგიეროდ, ისე ჩავალაგე, რომ თვითონ ლავრენტი ამზიანიძეც ვერ დამიწუნებდა. შენ რას იტყვი, დედაჩემო? — შეეკითხა გიგა და თან სახელოებით შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

— რა მეთქმის, გეტყობა, მამაშენის შვილი ხარ.

ელენემ იგრძნო, რომ ნათქვამი რაღაც ქათინაურივით გამოუვიდა.

საოცარი ამბავი იყო. არ ვიცით, მართო ამზიანიძეების ოჯახში მოხდა ეს, თუ ყველგან ასე ხდება: როგორც კი

შვილები წამოიზარდნენ, დედაშვილის ურთიერთობაში მაშინვე ვაჭრისეული, ბავშვობისდროინდელი უშუალობა და შეიცვალა რაღაც უცნაური დამოკიდებულებით, რომელსაც შვილების ხასიათი განსაზღვრავდა. კერძოდ, გიგასა და ელენეს შორის შეიქმნა დაძაბულობამდე მისული თავაზიანი დამოკიდებულება, დაახლოებით ისეთი, როგორცაა აქვთ ადამიანებს, რომლებიც დიდი ხნის ნაცნობები არიან, ხშირადაც ხედებიან ერთმანეთს, მაგრამ საერთო ენა ვერ იქნა და ვერ გამოუნახავთ. ბუნებრივია, ასეთ დროს გულწრფელობამ და პირდაპირობამ ერთგვარად მეორე პლანზე გადაინაცვლა. შეიძლება, ეს მსოლოდ ელენეს ეჩვენებოდა, გიგას კი ასეთი ურთიერთობა სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდა, შეიძლება, საერთოდ, ახალგაზრდობა იყო ასეთი. ღმერთმა იცის; ყოველ შემთხვევაში, ელენე გიგასთან ლაპარაკისას კალაპოტიდან ამოვარდნილივით გრძნობდა თავს და, როდესაც ამბობდა „გეტყობა, მამაშენის შვილი ხარო“, იმის ნაცვლად, რომ ეთქვა: „მაგ საქმეში მამაშენამდე ვერ ბევრი გიკლიაო“, იცოდა, არაგულწრფელად ლაპარაკობდა, მაგრამ დასაძრახს მაინც არაფერს ხედავდა ამაში. უფროსი ვაჟებიც გიგას ჰგვანდნენ, თუმცა მათთან მაინც უფრო თავისუფლად ლაპარაკობდა, რადგან ცოტა უხეშები იყვნენ, უხეშობას კი მეტნაკლები დოზით ყოველთვის ახლავს უშუალობა. ქეთინო ხომ აქაც გამონაკლისი და ყოველად შეუდარებელი იყო!

ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთში დედასა და შვილებს. და დედას უნდოდა ახლა მაინც, როდესაც უკანასკნელ ნუგეშსაც ისტუმრებდა სახლიდან, შეცვლილიყო ეს ურთიერთობა ძველებური, ბავშვობისდროინდელი უშუალობით. მაგრამ გიგა პირველობდა და დედა იძულებული იყო, ასე ეთქვათ, თქვენობით ელაპარაკა საკუთარ შვილთან, რომელიც,

ვინ იცის, რამდენი ხნით მიდიოდა შორეულ მოსკოვში.

გიგამ პირი დაიბანა, კობტად დაივარცხნა ქერა თმა, საგარეო ტანისამოსი ჩაიცვა და კარი გამოაღო. იქნებ, ეს იყო მთავარი მიზეზი, რამაც უშუალობა მოსპო. იქნება, პირველად მაშინ დაიწყო თავაზიანი და ერთგვარად ოფიციალური დამოკიდებულება, როცა შვილი პირველად წავიდა უკითხავად, ისე, რომ არაფერი დაუბარებია.

მაგრამ დღეს უკანასკნელი დღე იყო და დედამ ვეღარ მოითმინა:

— სად მიდიხარ, შვილო?

— ამხანაგებს მოვინახულებ წასვლის წინ, თორემ უხერხულია.

— შენ მიემგზავრები, ბიჭო, ამხანაგები კი არ მიემგზავრებიან. თვითონ ვერ მოვლენ?

— თვითონ კი მოვლენ, დედაჩემო, მაგრამ ხომ იცი ჩემი ამბავი: არ მიყვარს ზედმეტი პრანკვა-გრეხა და კულაბზიკობა. დავკდე და — ვისაც ჩემი ნახვა გინდათ, კეთილი ინებეთ და მობრძანდით! მე კი არავის არ გეახლებით. არ შეეფერება ეს ჩემს ბუნებას, დედაჩემო.

— კარგი, შვილო, როგორც შენს ბუნებას შეეფერება, ისე ქენი.

გიგას ჩაეცინა. სისულეში ჰქონდა ელენე გუგუშვილს ცოტაოდენი კვიმატობა. „როგორც შენს ბუნებას შეეფერება, ისე ქენი!“

„ოხ, დედაჩემო, დედაჩემო!“ — გაიფიქრა გიგამ და გავიდა.

ელენემ უკვე იცოდა, რომ შვილს ვეღარ დაიმართხვებდა. სწორედ წასვლის წინ მოვიდოდა და თან მხიარული ამხანაგების მთელ ხროვას მოიყვანდა. ასეთი იყო გიგა.

ელენეს კი ენატრებოდა შვილი, უნდოდა ერთი-ორი საათი დაეყო მასთან, დაეკოცნა, როგორც არერთხელ დაუკოცნია ბავშვობაში, და ელაპარაკა სრულიად უმნიშვნელო რამეზე. მაგრამ ელაპარაკა ბუნებრივად. მერე პირობა ჩამოერთმია, რომ ჩასვლისთანავე დეპეშას გამოუგზავნიდა და

კვირაში ერთხელ წერილს, მოსწავდებოდა, რომ მთლად არ გადაიკარგებოდა. ხანდახან მოინახულებდა მოხუც დედას.

ასე უნდოდა ელაპარაკა ნიკოსთან და ვერ ელაპარაკა. ასე უნდოდა ელაპარაკა დათიკოსთან და ვერ ელაპარაკა. ასე უნდოდა ელაპარაკა გიგასთან და იცოდა, რომ ვერ ელაპარაკებოდა. ვაჟები ყოყლოზინა ხალხია და იმაზე მეტად მამაკაცობენ ზოლმე, რაც ღმერთს დაუწესებია მამაკაცებისათვის. ერთ თბილ სიტყვას არ გააბტიებენ, მაშინვე გადაგმგაფერებენ და უხერხულ მდგომარეობაშიც ჩაგაყენებენ, თითქოს დედაშვილური სითბო უკიდურესად სამარცხვინო რამე იყოს.

შეზობლემს, რასაკვირველია, გაგებული ჰქონდათ, რომ გიგა მოსკოვში მიემგზავრებოდა; ამიტომ, როგორც კი ელენე ეზოში გამოჩნდა, მაშინვე გამოეგება ვასასი, მეზობლის ქალი, რომლის ძირითად საქმიანობას ელაპარაკი წარმოადგენდა და რომელმაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროდ ჩათვალა გიგას მომავალი გამგზავრების აღსანიშნავად ორიოდ სიტყვა ეთქვა აზნიანძეების ოჯახის უკანასკნელი მოპოკანისათვის.

— აბა, მიდის შენი ბიჭი ხო? — დასვედრა პირველი კითხვა, როგორც კი ელენემ კიბეები ჩამოათავა.

— მიდის, ჩემო ვასასი, მიდის.

— მიდის ხო? ბედნიერი ქალი ხარ შენ, ელენე: შვილები დაზარდვით, ერთი ქალი ვერ დაიტრიალებს. ყველას უმადლესი დამთავრებზე, ყველა გზაზე დააყენე, ქალი მშვენიერად გაათხოვე. აწი რაღა გიჭირს ასეთი შვილების პატრონს.

— ეპ, რა ვიცი, ჩემო ვასასი, სანამ კაცი ცოცხალი ხარ, გასაჭირს რა გამოგილევს.

— მაგი არ გამაგონო, თუ და ხარ. შენთან გასაჭირს აწი რაღა ზელი აქვს. სამი მგელივით ბიჭის შემყურე მაგას რაღა ამბობ, გასაჭირს რა გამოგილევსო!

ელენემ, რომელიც კაი ოთხი წელიწადია ერთადერთი ვაჟის შემყურე იყო და რამდენიმე საათის შემდეგ საკუთარი თავის შემყურელა რჩებოდა, მოხერხებულად აირიდა ვასასისთან საუბარი და, როდესაც ეზოში საქმე მოითავა, გიგას ჩალაგებულ ბარგთან განმარტოვდა.

ბარგი არ იყო მაინცდამაინც ბევრი: ერთი ზურგჩანთა და ერთი ჩემოდანი.

ბადრიძის ქილები კი მაინც ზურგჩანთაში ჩააწყო! თანაც „ტაქტიანად“, ისე, რომ დედას არ წყენოდა. ანიკოს გაეღიმა და უფერად ძალიან მოუნდა თავისი „ტაქტიანი ბიჭი“ გულში ჩაეკრა.

ერთ ნახვად კი ეღირებოდა, მართლა ასე რომ ექნა. სირცხვილის აღმური წაეკიდებოდა მამაკაცისათვის სრულიად შეუფერებელ სიტუაციაში მოქცეულ ბიჭს და, ვინ იცის, რა ბრიყებს არ გამოიგონებდა, რომ დედის მკლავებიდან „ტაქტიანად“ დაეხსნა თავი.

ისე, ახლა რომ აქ ჰყოლოდა, შეიძლება, არც მორიდებოდა მის უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდებას და მართლა გადაედგა ეს აგრესიული ნაბიჯი. იქნებ არც ჰყოფნოდა გამბედაობა, მაგრამ ამ წუთს ძალიან დიდი იყო ცდუნება.

უცებ კაჟუნი მოისმა. ეს გიგა ვერ იქნებოდა: ღია კარზე შვილი არ დააკაჟუნებს და, გარდა ამისა, რამდენადაც ელენემ მისი ხასიათი იცოდა, ასე მალე არ უნდა დაბრუნებულყო.

— მობრძანდით! — გასძახა და თვითონაც დაიძრა კარებისაკენ, რათა სტუმარს წესზე შეხვედროდა.

კარებში ფოსტალიონი იდგა...

კონვერტზე ძეგლი ეხატა. მარჯვენა— მხედარი: ქვემოთ, სულ ბოლოში, ნაცნობი ლამაზი ხელით ეწერა: „ქეთინო ნუცუბიძე“.

ელენე სასადილო ოთახში გავიდა. წერილი მავიდაზე დადო, სათვალე და მაკრატელი მოიტანა და სადღესასწაულო სახით დაჯდა. ჯერ გულდასმით წაიკითხა ის, რაც კონვერტზე ეწერა:

თავისი მისამართი, თავისი გვერდითი მხარის მისამართი და ქვემოთ: „საგაზო“ (ქმარის გვარი); მერე, ამჯერად უკვე ნაკლები დაკვირვებით, ხელახლა გადაიკითხა. შემდგომ ამისა აიღო კონვერტი, დაიჭირა მარცხენა ხელის ცერითა და საჩვენებელი თითით, მეორე ხელში მაკრატელი მოიმარჯვა, დაუმიზნა და ერთხანს შეჩერდა, თითქოს სანამ გაჭრიდა, უნდოდა ჯერ კარგად დაეხსოვებინა როგორი იყო გაუჭრელი.

ბოლოს გაჭრა. გაჭრა ძალიან ნელა, თან ყოველ წამს აკვირდებოდა, წერილი ხომ არ გაუმეჭრაო.

კონვერტის გაჭრა ერთობ ხანგრძლივი პროცესი იყო ელენესათვის. თუმცა ნეტარება, რაც უფრო ხანგრძლივია, ისა სჯობია! ეს კი ნეტარება იყო, დაახლოებით ისეთი ნეტარება, როგორიც გოზინაყის ჭამის მოლოდინში ეუფლებოდა ბავშვს ახალწლის ღამეს.

ვინ იცის, იქნებ ამ მოლოდინს, — გოზინაყის ჭამის მოლოდინს, განზრახაც აკიანურებდა ელენე (კაცმა რომ თქვას, ეპატიება კიდევ სამოცდაერთი წლის ქალს სასიამოვნო მოლოდინის განზრახ აკიანურება).

ელენემ ამოიღო ოთხად დაკეცილი, ორივე მხარეს აჭრელებული ფურცელი და გამლა დაიწყო. მაგრამ უცებ, თითქოს რაღაც გაახსენდო, ფურცელი ისევ დაკეცა და დაფიქრდა. ეტყობოდა, რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, რადგან დაკეცილ წერილს ისევ კონვერტში ჩააყოფინა თავი. აქ ერთხანს შეჩერდა. მარჯვენა ხელში წერილი ეჭირა, მარცხენაში — კონვერტი, თანაც წერილის ერთი მესამედი უკვე კონვერტში იდო. მერე, როგორც ჩანს, გადაწყვეტილება ისევ შეცვალა და წერილი და კონვერტი ხელახლა დააშორიშორა. ამჯერად მის მოქმედებაში მეტი დამაჯერებლობა იგრძნობოდა. თვალი მოპირდაპირე კედელს მიაპყრო და წერილი ისე გაშალა, რომ ზედ არ დაუხედავს. მერე კონვერტი აიღო, ფურცელს დააფარა და დახედა. კონვერტი, რომელიც წერილის ზედა ნახევარს მთლიანად ფა



რავდა, ნელნელა ჩამოსწია ქვევით იმის მოლოდინში, რომ სათაური გამოჩნდებოდა. მაგრამ სათაური არ გამოჩნდა, რადგან ეს წერილის მეორე გვერდი იყო. მაშინ კვლავ მოამორა თვალი წერილს, ფურცელი გადმოაბრუნა და ახლა მეორე მხარეს დააფარა კონვერტი. აქ კი აშკარად უნდა ყოფილიყო სათაური და დაინახა კიდევ, როგორც კი კონვერტი ოდნავ ჩამოსწია.

კაცმა რომ თქვას, მშვენივრად იცოდა, რა ეწერებოდა სათაურად, რადგან ქეთინოს წერილები შინაარსითაც კი თითქმის მუდამ ერთი და იგივე იყო, სათაურზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. და ამ წერილსაც ის ეწერა, რაც წინა წერილს: „ჩემო ტკბილო დედიკო!“ ბოლოში, რასაკვირველია, ძაბილის ნიშანი. ამ უცვლელი „ტკბილო დედიკოს“ წაკითხვისას ელენეს ყოველთვის ტკბილი ქრუანტელი უვლიდა ტანში. და ამ ტკბილ ქრუანტელს, ალბათ, იმის შეგნება იწვევდა, რომ სადღაც, შორეულ ტყიბულში არის შენი სისხლი და ხორცი, შენი ღვიძლი, რომელსაც ვერ ხედავ, მაგრამ რომელსაც მაინც ახსოვხარ და უყვარხარ.

ვერ ვიტყვი, თითქოს ელენე ყოველთვის ამ მეთოდით კითხულობდა ქეთინოს წერილებს. სულაც არა. მართალია, საფუძვლიანი მომზადება სასაღილო ოთახის დიდ მაგიდასთან ყოველთვის იცოდა ხოლმე, ყოველთვის ისეთი სახით დაჯდებოდა, თითქოს ერთ კვირას არ უნდა ადგესო, მაგრამ კონვერტის გაჭირს შემდეგ საქმე, ჩვეულებრივ, სწრაფად მიდიოდა, — ისეთ მანიპულაციებს, როგორსაც დღეს მიმართა, არასოდეს აკეთებდა. დღეს სხვა რამე ედო ვუნებაში და იმიტომ მოიქცა ასე. სულმა წაისძლია, თორემ არც სათაურის წაკითხვას აპირებდა. და იმ გვეგმის სისრულეში მოყვანისათვის, რომელიც ვუნებაში ედო, სათაურის წაკითხვისთანავე მოამორა თვალი ნაწერს, წერილი ისევ ფაქიზად დაკეცა, კონვერტში ჩადო და უჯრამში შეინახა, სადაც ქეთინოს დანარჩენი წერი-

ლები ჰქონდა შენახული. ოღონდ ახალი წერილი ჯვარედინად დააფარა ხეივანდანი ძველებს. (როგორც ჩანს, იმის ნიშნად, რომ ეს ჯერ წაუკითხავი იყო და იმიტომ თავისი გეომეტრიული მდებარეობითაც უნდა განსწავებულყო სტეებისაგან).

შეინახა ელენემ წერილი და გაშორდა იქაურობას. მართალია, ზმორ-ზმორად კი აკითხავდა იმ ადგილს, როგორც ბავშვი აკითხავს კარადას, რომელშიაც გოზინაყი ინახება და რომელთან მიახლოვებაც სასტიკადა აქვს აკრძალული. მაგრამ ყოველთვის უკანვე ბრუნდებოდა, როგორც ბრუნდება ბავშვი, რომელმაც იცის, რომ მოთმინება ფრიად საქები საქმეა და თუკი შეძლებს, ჯობია გაუძლოს ცდუნებას.

ასე მიდიოდა დრო და ბოლოს, როდესაც მატარებლის გასვლამდე ერთი საათი და რჩა, გამოჩნდა გიგა. ოგი ნასვამი იყო და თან სამი ნასვამი ამხანაგი ახლდა. ელენე ბიჭებს შინ შეუძღვა და სკამები შესთავაზა. ბიჭებმა პასუხად რაღაც წაიბუტბუტეს. გიგამ კი თქვა:

— დაჯდომის დრო აღარაა, დედაჩემო, თორემ მატარებელმა თუ გამასწრო, მერე ფეხით უნდა ვიარო მოსკოვამდე.

ბიჭებს გაეცინათ. როგორც ჩანს, წარმოიდგინეს ზურგჩანთააკიდებელი გიგა, რომელიც დინჯი ნაბიჯით მიემართება მოსკოვისაკენ.

მაგრამ დედას არ გაეცინებია.

— ცოტა მაინც დაისვენეთ, ერთი ხუთი წუთი. მატარებლის გასვლა ჯერ ადრეა. — კიდევ შეეპატივა იგი ბიჭებს, მაგრამ ამჯერად მის ხმას სტუმართმოყვარე მასპინძლის კატეგორიული კილო აკლდა და იმიტომ ცალყვად შეეპატიებინს მსგავსი რაღაც გამოუვიდა.

— კარგი და, ერთიც ვნახოთ, მაინც მოეპოვებინა გასწრება და ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ბილეთი ჯიბეში მიდევს? — ისეთი კომიკური სერიოზულობით შეედავა გიგა, რომ ბიჭებს ისევ გაეცინათ.

— როგორც ვინდათ, შვილო, შენ უკეთესად იცი, — თქვა მაშინ ელენემ და კუთხეში მიდგა.

— არა, ისე, გამოტყდით, ბიჭებო, ხომ შესანიშნავი დედა მყავს, — წამოიძახა უცებ გიგამი.

ბიჭებმა რალაც წაიბუტბუტეს.

— და ამის აღსანიშნავად, თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, გადავეხვევი და გადააკონი. რას იტყვიან?

ბიჭებმა კვლავ რალაც წაიბუტბუტეს.

გიგა დედასთან მივიდა, მარჯვენა ხელი უხერხულად მოხვია კისერზე და ლოყაზე აკოცა.

— აბა, ახლა კი ვინჩართო, — და ფაცურდა მერე, — თორემ, მართლა გაგვექცევა ის ღმერთთაღლი მატარებელი.

ერთმა ბიჭმა ჩემოდანი აიღო, მეორემ ზურგჩანთა, მესამეს არაფერი არ აუღია, რადგან მეტი აღარაფერი იყო ასაღები, და დაიძრნენ კარებისაკენ.

სულ ბოლოს ელენე გავიდა.

ქუჩაში მანქანა ელოდათ.

ბიჭებმა ბარგი ჩაალაგეს და ჩასხდნენ: ორი უკან დაჯდა, მესამე საუკეს მიუჯდა. გიგამ გამოალო მანქანის კარი და დედას მოუბრუნდა:

— აბა, შენ იცი, დედაჩემო!

— მშვიდობით იმგზავრე, შვილო: გამაგებინე შენი ამბავი, მთლად ნუ დაიკარგები.

გიგას გაეცინა.

— ნუ გეშინია, ჩემისთანა კაცი არ სად დაიკარგება, — ესა თქვა და კარები მიიხურა.

მანქანა დაიძრა.

არც ქუჩა იყო იმდენად სწორი, რომ კაცს დიდხანს გაგეყოლებინა თვალი მიმაული მანქანისათვის.

ელენე ნელნელა აუყვა კიბეს. შეალო კარები და შევიდა გამოცარიელებულ სახლში.

ახლობელი ადამიანის გასტუმრებას ყოველთვის მწვავედ განიცდის კაცი. უფრო მეტიც, გამოთხოვების შემდეგ

უფრო ნათლად ვგრძობთ, რაოდენ ახლობელი ყოფილა ეს ადამიანი შენთვის.

ასეა საერთოდ.

რაც შეეხება ელენეს, მას განსაკუთრებით ჰქონდა განვითარებული ეს გრძნობა, — გასტუმრების სიმძიმილი. იგი მგლოვიარესავით იყო პირველი შვილის გასტუმრებისას, მგლოვიარესავით იყო მეორე და მესამე შვილის გასტუმრებისასაც და, წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა ახლა, როცა მეოთხე შვილი გაისტუმრა და უკანაც აღარავინ დაჩინია სახუგეშო და გულის გადასაყოლებელი, რომლის სიყვარული დარდს შეუღმსუბუქებდა.

სამაგიეროდ ამდენ გასტუმრებაში გამოცდილებაც შეიძინა და იცოდა, რა დამძიმებელი გულით დაჩნებოდა შინ. კიდევ ამიტომ შემოიუნახა თავს ფოსტალიონის მოტანილი სიურპრინი, როგორც ბავშვი ინახავს გოზინაყს და ელოდება, როდის გაათავებენ სხვები, რომ შემდეგ ყველას შეაბაროს და უფრო გემრიელად შეჭამოს.

ელენე პირდაპირ იმ კარადას მიადგა, რომლის მარჯვენა უკრაში ფაჭიზად ელაგა ქეთინოს წერილები, ამოიღო ახალი წერილი და მაგიდას მოუჭდა. სათვალე გაიკეთა, წერილი გამალა და საქმიანი სახით დაიწყო კითხვა:

„ჩემო ტყბილო დედიკო!“

ალბათ, მართლა დიდი განსხვავება უნდა იყოს ქალსა და კაცს შორის. რამდენი ხანია, ელენეს ეს „დედიკო“ არ გაეგონა ბიჭებისაგან. აღარც კი ახსოვდა, როდის ეძახდნენ. როცა „დედიკოს“ გეძახიან, თითქოს გუხვევიან კიდევ ფუნჯულა ხელებით და ჯერ ერთ ლოყაზე გკოცნიან, მერე — მეორეზე. „დედაჩემო“ კი ქუჩის გადაღმიდან დამახებულს ჰგავს. და ის კოცნაც ქუჩის გადაღმიდან დამახებულ „დედაჩემოს“ ჰგავდა... თუმცა, ცოცხა გამხელილი ჯობია და, შვილის კოცნა მაინც შვილის კოცნაა, მიუხედავად იმისა, მთვრალი იქნება თუ არა და, მიუხედავად იმისა, ამხანაგებისგან იღებს ნებართვას თუ



არა. ოღონდ ერთი რამეა ცუდი: ცოტა რომ გამოფხიზლდება, ალბათ, შერცხვება და, ჩვეულებრივ, განაცხადებს, ეს ღვინო სულ მთლად გამომთავყვანებს ხოლმეო. თუმცა პატარა ბელში მარტო იქნება და ამიტომ გაფიქრებას დასჯერდება, ხმამაღლა ვერავისთან მოიბოდიშებს. იქნებ გაუხარდეს კიდევ, რომ იმ შერცხვენის მოწმე გვერდით არავინ ეყოლება, არ დასჭირდება წარამარა გაწითლება.

ჰო, „ჩემო ტკბილო დედიკო!“
 — რა დრო იყო, ტკბილ დედიკოს რომ ერთი წუთით ვერ შორდებოდნენ და თიუნებოვით დასდევდნენ უკან არც ამპარტაუნობა არსებობდა, არც თავდაპირილობა, არც „ტაქტი“ და არც „სილანჩე“... ქოჩორა გიგა, რომელიც ახლა მოსკოვს მიდის და სირცხვილისაგან წითლდება იმის გახსენებაზე, რომ დედას აკოცა, მაშინ ხუთი წლის ბუთბუზა ბიჭი იყო. მოკლე შარვალი ეცვა, ხელში ხის ხმალი ეჭირა და სამკედრო-სასიციოცხლო ბრძოლა ჰქონდა გამართული ეზოს კუთხეში ამოსულ მტრის ლაშქართან. ბიძამისი ჩაერია გახურებულ ბრძოლაში, გააშველა მოწინააღმდეგეები და გვირგვინის რისხვა სერიოზული საქმის მომიზეზებით სახლისაკენ გამოიხუტა. სახლის წინ პატარა მერხზე ჩამოჯდა (ელენეს კარგად ახსოვდა ეს მერხი, საწყალმა ლავრენტიმ გააქეთა და ახლაც იქ იდგა, თუმცა ზედ აღარავინ ჯდებოდა, რადგან ოთხსავე მხარეს გაფანტული შვილები დედის სანახავად ველარ იკლიდნენ, თორემ სოფელში წასვლაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი), ჩამოჯდა პატარა მერხზე, გვერდით მოისვა ოფლად გახვითქული მეომარი, რომელიც მარტოდმარტო უმკლავდებოდა მტრის ურიცხვ ლაშქარს, საშინლად სერიოზული სახე მიიღო, ყურადღებით მიმოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო, და ჩურჩულით გაანდო ერთი დიდი საიდუმლო. გაანდო, როგორც ვაჟაკმა ვაჟაკს. საიდუმლო კი იმაში მდგომარეობდა, რომ გიგა თურმე ლავრენტისა და ელენეს შვილი როდი ყო-

ფილა, ტყეში ეპოვათ ამ ათასი წლის წინათ, უზარმაზარი მუხის კენწეროში იჯდა თურმე, სულ ზემოთ იჯდა ერთ პატარა ფოთოლზე. ეპოვნათ და წამოეყვანათ. ასე ყოფილა გიგას საქმე. გიგა გაფართოებული თვალებით უსმენდა ბიძამისს და თანდათან იბერებოდა. როდესაც ბიძამ საიდუმლო ამბავი დაასრულა, ერთი კი მოხედა დედას, რათა მისგან მოესმინა საბოლოო განაჩენი, მაგრამ სიტყვის დაძვრა ვერ მოასწრო: უკვე მეტისმეტად იყო გაბერილი. ისეთი ღრიალი შორთო, საწყალმა ბიძამისმა აღარ იცოდა, რა ექნა, მთელი დღე ნირწამხდარი დადიოდა. გიგა კი საღამომდე არ გაჩუმებულა. სულ გადავიწყდა, რომ ეზოს კუთხეში ბრძოლის ცეცხლით ანთებული გვირგვინი ელოდებოდნენ. გულამომჯდარი ზღუქუნებდა და ყველა შემხვდურს ცალცალკე შესტიროდა: „დედიკოსი ვაარ! არ ვიჩქეი მუხის კენწეროში!“

ჰმ! ასეთი იყო ბავშვობაში გიგა. დასწყევლის ღმერთი ამ ფიქრებს! „ჩემო ტკბილო დედიკო!“

არ იჯდა გიგა მუხის კენწეროში, დედიკოსი იყო. სამაგიეროდ, როდესაც წამოიზარდა, მიმოიხედა და დედიკოს გარდა სხვებზე შეამჩნია, მაშინ შემოჯდა მუხის კენწეროში და ტკბილ დედიკოს „დედაჩემო“ შეარქვა მეტსახელად. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ბავშვობაშიაც მხოლოდ იმიტომ ვერ ძლებდა უმისოდ და იმიტომ შეიძულა ჭირის დღესავით მუხის კენწერო, რომ უბრალოდ შეეჩვივა! დედა რომ არ ჰყოლოდა გვერდით, სხვას შეეჩვეოდა, სხვას დაუახლოვდებოდა, და ჭკუაში რომ ჩაეარდებოდა (თუკი ეს ჭკუაში ჩაეარდნა), სხვას და შორდებოდა, სხვასთან დაამყარებდა თავაზიან და ოფიციალურ დამოკიდებულებას.

ამის გაფიქრებაზე ელენეს, რომელსაც, ღმერთო, როგორ უყვარდა შვილები, მკერდის არეში რაღაც ეტყინა, რაღაც ემწევა. მწარედ ემწევა რაღაც, საშინლად მწარედ.

ელენე არაერთხელ დაფიქრებულა

იმაზე, თუ რას აკეთებდნენ ახლა მისი შვილები, — ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე. სწორედ ახლა, ამ წუთს, ამ წამს რას აკეთებდნენ: რა უპირდათ, რა უღბინდათ.

ელენეს მოუნდა ოთხსავე მხარეს გაშლილიყო და ერთსა და იმავე დროს ენახა ოთხივე შვილი. და გულ-მუცელი აეწვა, რადგან იცოდა, სურვილი სურვილადვე უნდა დარჩენილიყო.

მერე თავს ძალა დაატანა, აბეზარი ფიქრები მოიშორა და კვლავ წერილს ჩახედა, რომელიც აქამდე რაღაც მელნისფერი ბადის მსგავს სანახაობას წარმოადგენდა.

„ჩემო ტკბილო დედიკო!“

არა, კი მართალია, ჩიტები თვითონვე იშორებენ ხოლმე დაფრთიანებულ ბარტყებს, მაგრამ ისინი ცოტა ხნის შემდეგ ახალ შვილებზე გადაიტანენ ყველაფერს, რასაც კი გადაფრენილი შვილების მიმართ გრძნობდნენ. ესეც არ იყო, ჩიტები აქ რა მოსატანია! — რაც არ უნდა თქვას, ჩიტი მაინც ჩიტია და ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მას ოდესმე გულ-მუცელი აეწვას.

გარდა ამისა, ყოვლად წარმოუდგენელი იყო ქეთინოს წერილის წაკითხვა. და როცა ელენე ამ დასკვნამდე მივიდა, მიანება კიდევ თავი ამ უიმედო საქმეს, წამოდგა და ოთახში გაიარა.

მერე მეორე ოთახში გავიდა, — რატომღაც მოეჩვენა, რომ იმ ოთახში გასვლა ყოვლად აუცილებელი და გადაუდებელი საქმე იყო. მაგრამ, როგორც კი ეს ყოვლად აუცილებელი და გადაუდებელი საქმე გააყეთა, მაშინვე მიხედა, რომ ასევე შეუძლებელი იყო მესამე ოთახში გაუსვლელობა.

მთელი ბინა დაიარა და მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა: არასოდეს მოსვლია თვეში, თუ ამხელა ბინის პატრონი იყო. დადიოდა და აღარ თავდებოდა ოთახები.

ნეტა რა ოხრად უნდოდა ამხელა ბინა! ერთ ოთახს არაფერი ჯობია: ზიხარ და ყველაფერი თვალწინა გაქვს. ახლკი რა გამოდიოდა! ერთ ოთახში იყო

და წარმოდგენაც კი არა ჰქონდა... რა ხდებოდა ამ დროს მეორე ოთახში? მა რომ თქვას, რა უნდა მომხდარიყო, მაგრამ ეს ელენესათვის არა კმაროდა საბუთად, საკუთარი თვლით უნდა ენახა და დარწმუნებულიყო, რომ, როცა თვითონ ერთ ოთახში იყო, იმ დროს მეორე ოთახში განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა.

პირველი სამი შვილის გასტუმრებისას ასეთი რამ არ დამართნია. თუმცა: პირველი სამი შვილის გასტუმრებისას მარტოც არ დარჩენილა.

ახლა კი სრულიად მარტო იყო. შვილები დაიფანტნენ; შეიზუმბლენ. ფრთები მოიმარეს და გადაფრინდნენ. გადაფრინდნენ უკანმოუხედავად. თუმცა არა, არც მთლად ასე იყო საქმე, — ერთი მათგანი ხშირ-ხშირად იუპრებოდა უკან. ამის დასტურად მაგიდაზე ქეთინოს წერილი ელოდა გადაშლილი წერილი, რომელიც ახლა სამჯერ უნდა ყოფილიყო წაკითხული და რომელიც ჯერ ხელუხლებლად იდო. კაცმა რომ თქვას, არც იყო აუცილებელი წაკითხვა, რადგან ელენემ კარგად იცოდა რა ეწერებოდა შიგ. ისიც იცოდა, რომ გიგას გამგზავრებასთან დაკავშირებით ქეთინო უძველად შემოსთავაზებდა: „ჩამოდი, ჩემო ტკბილო დედიკო, ჩვენთან იცხოვრე“.

აბზიანიძეების ოჯახში რომელშიაც აღარც ერთი აბზიანიძე აღარაა... აბზიანიძეები წავიდნენ და ცალკე გახსნეს ფილიალები. შტაბი კი დაცარიელდა. ახლა „აბზიანიძეების ოჯახის“ საპატიო სახელს ერთადერთი ბებერი ქალი ინახავდა, გვარად გუგუშვილი...

ოთახებში სირბილით, ბოლოს და ბოლოს, მაინც დაიღალა ელენე და ტახტზე ჩამოჯდა. ერთი პირობა დააპირა ისევ ქეთინოს წერილს მიბრუნებოდა, მაგრამ ამ განზრახვაზე მალე აიღო ხელი, რადგან ახლა უკვე დაბეჭითებით იცოდა, რომ როდესაც უკანასკნელ შვილს ისტუმრებ სახლიდან, ტკბილი

დესერტის იმედად ყოფნა თავის მოტყუებაა.

ნელ-ნელა იცლებოდა აბზიანიძეების ოჯახი. სანამ ქეთინო შინ იყო, ჯერ კიდევ ეტყობოდა ოჯახს ოჯახობა. გარეგნულად, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი რიგზე მიდიოდა: დილით საუზმე, ნაშუადღევს სადილი, მერე ვახშამი. თითქოს უბრალო ამბავია, ხსენებადაც კი არა ღირს, მაგრამ სინამდვილეში აქ ჭამაზე როდია ლაპარაკი, ლაპარაკია ოჯახის სახეზე, გარეგნულ სახეზე, რომელიც შინაგანი ბუნების გამოხატველია. და, ვინ იცის, იქნებ ოჯახის რღვევა სწორედ მაშინ იწყება, როცა მისი წევრები თავის დროზე არ სხდებიან სადილად. ყოველ შემთხვევაში, ელენე ასე ფიქრობდა. ქეთინოს წასვლის შემდეგ, გიგამ თავის ნებაზე იწყო ხეტიალი; ხან ნაჭამი მოვიდოდა, ხან გვიან მოვიდოდა, ხან სულ არ მოვიდოდა. ამის შემხედვარე ელენემ, ბოლოს და ბოლოს, თავი მიანება სადილის კეთებას და ყველაფერი ნებაზე მიუშვა.

ელენე თავის თავზე არასოდეს ზრუნავდა. არც შვილები ზრუნავდნენ მასზე.

შვილები დაიფანტენ ოთხსავე მხარეს; ელენე კი ერთი იყო და ერთ კაცს აბა როგორ ვინდა მოთხოვო, ოთხსავე მხარეს გაიშალოს და ერთსა და იმავე დროს ნახოს ოთხივე შვილი. არადა, თვითონ არ ფიქრობდნენ ჩამოსვლას, არ ენატრებოდათ დედა.

მაგრამ, ერთხელაც იქნებოდა, მოუწევდათ; მოვალეობა ჩამოიყვანდა. არ უნდოდა გამხელა, თორემ ელენემ, რა ხანია, იცოდა ეს ამბავი. აქამდე მუდამ შვილებს ისტუმრებდა, მალე (ღიახ, ალბათ, მალე) დადგებოდა საწინააღმდეგო პროცესის დრო; დადგებოდა დრო, როცა შვილებს უნდა გაეცილებიათ აბზიანიძეების ოჯახის უქანასკნელი დარაჯი.

თუმცა აქ გაცილება არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ როდესაც გაისტუმრებ, მაშინ უფრო ნათლად გრძნობ,

რაოდენ ახლობელი ყოფიყავი შენაწიურად ამიანი.

აი, რა არის მთავარი! იგრძნობენ შვილები, რომ ელენე მათთვის მუდამ „ტკბილი დედიკო“ იყო და არა ოფიციალური „დედაჩემო“, მოწონებათ საგულადაგულოდ შენიღბული გრძნობების გამქლავება, მაგრამ გვიანდა იქნება. გვიანდა იქნება და გულ-მუცელი აუწყებთ, რადგან მათი სურვილი სურვილადვე დარჩება.

იქნებ, ეს ელენეს ღირსებას არაფერს მატებდეს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ამის გაფიქრებაზე დაეიწყებულმა დედამ რაღაც სირცხვილნარევი სიამოვნება იგრძნო, შურისძიების პატარა, ღვარძლიანი და მაინც უწყინარი სიამოვნება, ეშმაკურადაც კი გაიღიმა. გონს მოსული, მაგრამ უკვე იმედგაცრუებული შვილები რომ წარმოიდგინა.

დაიფანტენ შვილები ოთხსავე მხარეს, დააობლეს საკუთარი დედა. იქნებ, საჭიროა, რომ დედა მთლად არ გადაეგოს შვილებს, საკუთარიც ჰქონდეს რაიმე; რეზერვში ჰქონდეს და, როცა შვილები შემოეცლებიან, აღარ გამოიფიტება, შავი დღისთვის შენახული „საკუთარი რაიმეთი“ განაგრძობს სიცოცხლეს. მაგრამ ასეთ დასკვნას გამოცდილება უნდა, ცხოვრება კი ერთი და არ მეორდება.

შემოეფანტენ შვილები ელენეს. ადრე სახლში ჰყავდა. ცოტა ადრე პატარები იყვნენ, სკოლაში დადიოდნენ. ზუთიანების მიღება უხაროდათ, ორიანები მსოფლიო მასშტაბის კატასტროფა იყო. კიდევ უფრო ადრე სულ პატარები იყვნენ, მოკლე შარვლები ეცვათ, გმირულად ებრძოდნენ გაფხორილ გვიმრებს ეზოს კუთხეში...

ელენეს თვალები მიეხუჭა; მშვიდად, თანაბრად სუნთქავდა.

...მერე ოთხსავე მხარეს გაიშალა და ერთსა და იმავე დროს ნახა ოთხივე შვილი. ისინი თვალებში შესციცივნებდნენ და „ტკბილო დედიკო“ ეძახდნენ.

ბიოგრაფიული

მეგობრობისა და სიყვარულის მოსანი

ზოგი რამ წინასწარ

ეს წერილი საბუნებისათვის მინდა ერთი მცირე ამბის გახსენებით დაეწყო.

პირველი მსოფლიო ომი კარგა ხნის დამთავრებული იყო. მაგრამ ისე ადვილად რა დააწყნარებდა ომით აფორიაქებულ, აწეწილ-დაწეწილ ცხოვრებას. ეს ამბავიც მაშინ მოხდა. შირაქის გზაზე მივდიოდით, ქედნები ლულუნით დაფრინავდნენ მინდორში და პაერში იღვამებზე ჩამწვარი მინდორის ბალახების დამათრობელი სურნელი. მწარე-წყალთან, გზაზე ვიღაც უცნობები შემოგვხვდნენ—ერთი მოხუცი კაცი იყო, ერთი ახალგაზრდა ქალი და ორიც ბავშვი — ბიჭი და გოგო. ქალს უჩვეულო და შემზარავი სახე ჰქონდა, შეშლილის სახე ჰქონდა და შავად მზინავ თვალებს შიშით აციცებდა აქეთ-იქით, წამდაუწუმ შეკრთებოდა ხოლმე, მერე გარინდებოდა, თვალებით ჩააცვივებოდა ერთ წერტილს და ის მოხუციც, ის ბავშვებიც ეფერებოდნენ, აწყნარებდნენ, როგორც ეტყობოდა, საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდნენ, რომ გაოგნებისაგან გამოუყვანათ. ტანსაცმელი შემოფლეთოდით, ტიტველა ფეხები დახეთქოდით უგზო-უკვლოდ ბარდებში წანწალით, ერთი სიტყვით, ეტყობოდათ ძლიერ შორიდან მოდიოდნენ და ჩვენ უცებ მივხვდით, რომ ეს ლტოლვილები იყვნენ. მაშინ აქ ხშირად შეხვდებოდით ლტოლვილებს—

ხან სომხებს, ხან ბერძნებს, ხან აისორებს.

აი, მოახლოვდნენ კიდევ, გაჩერდნენ და ცქერა დაგვიწყეს. გვინდა რალაც ვუთხრათ, ვკითხოთ რამე, მაგრამ მათი ენა არ ვიცით, ვატყობთ კი, რომ სომხურ ენაზე ლაპარაკობენ. მაგრამ ჩვენს შორის (ჩვენ სამნი ვიყავით — მეზობლები და მე) სომხური არც ერთმა არ ვიცოდით. ჩვენი მეზობელი მეცხვარე იყო და, როგორც მოგვხსენებთ, ქიზიყელ მწყემსებს შორის ბევრმა იცის აზერბაიჯანული ენა — მათ ხომ დიდი ხნობით უხდებოდათ ყოფნა თრიალეთზე და შირვანში... ჰოდა, სწორედ აზერბაიჯანულად ჰკითხა მოხუცს ჩვენმა მეზობელმა:

— გოჯა, სან ქიმსან? (ვინა ხარ, ბერიკაცო?)

ჯერ ვიფიქრეთ, რომ უცნობმა ბერიკაცმა აზერბაიჯანული არ იცოდა, ვინაიდან პასუხი დაავიანა; ისე შემოგვხვდა, თითქოს უნდოდა ჩვენს სახეებზე წაკითხა, თუ ვინ ვიყავით. შემკრთალი იყო. მეცხვარე მიხვდა ამას და უთხრა:

— სან ჰარალისან სოილა... მან სანა ფისლიქ ეთმარამ (სადაური ხარ, მითხარი... მე არაფერს დაგიშავებ).

მაშინ-და უპასუხა ბერიკაცმა:

— ოღლუმ, მან იაზის ბირ ადამამ (შვილო, მე ერთი უბედური კაცი ვარ).

და ჩვენ საშინელი ამბები მოვისმინეთ. მაშინ მე პირველად გავიგონე თურქეთის ვიცი-გენერალისიმუსის, პირსისხლიანი



ენვერ-ფაშას სახელი, რომელმაც ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ, ომის დროს ეს ადამიანები აყარა თავიანთი მიწა-წყლიდან. ესეც არ იკმარა, და ენვერის ბრძანებით, მათი სისხლით მორწყეს მიწის ყველა მტკაველი, შვილს დედის წინ გამოსკრეს ყელი, მძას — დის თვალწინ. იმ ხანებში ერთი მილიონი სომეხი გაწყვიტეს, ამდენივე არაბეთის უდაბნოებში გადაასახლეს, მხოლოდ ზოგიერთებმა გამოასწრეს და ჩვენსკენ გამოიქცნენ. ეტყობოდა, წლობით გზაში იყვნენ, ვიდრე საქართველოს მოაღწევდნენ.

ამ ამბებს ჰყვებოდა მოხუცი, მწყემსი გვითარგმნიდა მის ნალაპარაკებს და ჩვენ ახლა უკვე ვხედებოდით, რატომ თრთოდა ის ქალი და რატომ ჰქონდა მას შეშლილის სახე. ისინი სიკვდილს გამოჰქცეოდნენ და მათ თვლებში საშინელი ხილვანი ჯოჯოხეთისა ჯერაც არ წაშლილიყო.

ის ლტოლვილები, როგორც ახლო ნათესავეები, ისე მიიღეს და შეიფარეს კახელებმა — ხელი გაუწოდეს, თბილი გული უჩვენეს, დაეხმარნენ და დაასახლეს.

შირაქის ბოლოს, ალაზნის გადმოღმა არის ერთი სომხური სოფელი, რომელსაც საბათლო ჰქვია. შირაქში თორმეტი კოლმეურნეობაა და თერთმეტი ქართლის თავმჯდომარე, თერთმეტი ქართველი ვაჟაკი მეთორმეტის — სომხურის თავმჯდომარეს — ემა დავითიანს თავის დას ეძახის. „თერთმეტი მძას ერთი და გყავს, როგორ არ უნდა გვიყვარდესო“, ხშირად გაიგონებდით ხან ერთსა და ხან მეორე სოფელში. თითონ სოფელი საბათლო კი სწორედ იმ სისხლიან წლებშია აქ დაფუძნებული, რომელიც ზემოთ გავიხსენე — და აი რა არის ყველაზე მეტად საინტერესო: როცა ჩასულ კორეპონდენტს საბათლოში უთხრეს — ამ სოფელში ძველი ხალხი, რაც არ უნდა მოხდეს, ერთი-მეორეს სასამართლოში არ უჩივლებს, იმათ ჯერაც სასამართლოს გზა არ იციანო — მან

ამისი ახსნა მოითხოვა; ერთმა მოხუცმა უპასუხა:

— რას ამბობ, შვილო! იცი, თითო კაცი რა გვიღირს? ყველა მათგანი, გროვა-გროვა რომ ეწყო დახოცილები, იმათშია ნაპოვნი და მოსულიერებული... დაქრილებიცა და გონდაკარგულებიც ხომ მკვდრებთან ერთად ეყარნენ. ესენი ყველანი სიკვდილის შუა გზიდან არიან მობრუნებულნი — ასეთი კაცი სამართალში მისაცემად რა გულმა უნდა გამიშვოს...

ეს სოფელი ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ზემოდან ფართოდ წამოსული ალაზნის ველი აქ სულ უფრო ვიწროვდება და ამ ადგილას, ზილიჩას მახლობლად, მას ცივ-გომბორის მთების უკანასკნელი კალთა გადაჰკეტავს, შავ მთას რომ ეძახიან; აი აქ გადმოვიდნენ საბათლოელი ლტოლვილები ალაზანზე იმ უბედურ წლებში და, როგორც კი დაადგეს ფეხი მიწას და გაიგეს, რომ საქართველოში ვართო, შვეებით ამოისუნთქეს, — ამიერიდან გადარჩენილნი იყვნენ.

ხალხმა მოიშუშა ძმათა ომით მიყენებული ჭრილობები, ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, აღორძინდა სოფელი და აი ერთხელ საბათლოელებმა თურმე თავი მოიყარეს და გადაწყვიტეს — წასულიყვნენ და ენახათ თავიანთი ძველი ნასოფლარი, საიდანაც ისინი ომის ცეცხლმა აპყარა: წაიღეს პური, ღვინო, საკლავი წაიყვანეს, დასხდნენ მამა-პაპათა სასაფლაოზე და ქეიფი დაიწყეს. დაიწყებიალა ჰაერში საიათნოვას ჰანგმა და იმ ხმამ აუარებელი ხალხი მიიზიდა — მოვიდნენ იმ სოფლის მკვიდრნიც და თავიანთი ჰიქები მათი ჰიქების გვერდით დადგეს — ისინიც საიათნოვას ლექსებსა მღეროდნენ; მოსულნიც და დამხედურნიც კარგად ხედებოდნენ, რომ მათ მშობას ამიერიდან ველარაფერი და არღვევდა, წინ ველარაფერი გადაელობებოდა.

ასე მოაშუშა ჩვენმა დიდმა საბჭოთა ეპოქამ ძველი ტყვიელები, ასე დაამკვი-

დრა ხალხების ძმობა, წარწერილი დიდი ლენინის დროშაზე.

პოეტები აბა რის მაქნისნი იქნებოდნენ, თუ პირველნი არ მიუხვდებოდნენ თავიანთი ხალხების ყველაზე სანუკვარ გულისწაღილს, ყველაზე სათუთ გრძნობას. და აი, რა კარგად გამოხატა ჩვენი ხალხების ეს ძმობა ცნობილმა სომეხმა პოეტმა ქალმა სილვა კაპუტიკიანმა:

„თბილისის ათასხუთასი წლისთავზე წერილის დასაწერად ენციკლოპედიაში დაეპირე ჩახედვა, — წერდა იგი, — მინდოდა ერთხელ კიდევ გამეხსენებინა ამ ძველისძველი ქალაქის ისტორია, მაგრამ წიგნსაცავის კართან მისული რაღაც შინაგანმა ხმამ შემაჩერა. რაში მჭირდება სიგელ-გუჯრები! ენციკლოპედია დაეიმან იეთხოს, ვინც მხოლოდ წიგნებით იცნობს თბილისს, მე კი, ჩვენ, სომეხებმა კი...“

განგებამ ჩვენი სახით უბედური იღბლის მეზობელი არგუნა ქართველებს. ამას გარდა, ისტორიის ნებასურვილით, ეს მეზობელი მეტად საშიშარ უბანში ცხოვრობდა, დიდი შარავნის პირას. მგლებისა და ყაჩაღების ხშირი თავდასხმა ყოფას უმწარებდა ისედაც სვედამწარებულ მეზობელს. თავს დატეხილი უეცარი უბედურების, გაჭირვების ან ავადმყოფობის დროს ყოველთვის უახლოეს მეზობელს დაუკავნებ კარზე. მას სთხოვ შველასა და დახმარებას. ასევე ვიყავით ჩვენც, როცა უცხოელი მომხდურნი სახლში შემოგვეჭრებოდნენ, ცეცხლსა და მახვილს მისცემდნენ ჩვენს ბაღსა და ყანას, დახოცავდნენ ან ტყვედ წაასხავდნენ ქალებსა და ბავშვებს. ჩვენ, დარბეულნი, ყოველთვის კარზე მივადგებოდით უახლოეს მეზობელს და იგიც, როგორი გვიანი და უკუნეთი ღამეც არ უნდა ყოფილიყო, კარს გაგვიღებდა, შეგვიფარებდა, ძმურად დაგვეხმარებოდა, რადგან, თვითონაც ბედისაგან დატანჯული, ჩვენში ყოველთვის თავისი ბედის თანაზიარისა და ერთგულ მეგობარს, თავის ძმასა და თანამებრძოლს ხედავდა“.

სომეხი პოეტი-ქალის ამ სიტყვებმა მე გამახსენა ერთი ძველი ქართული ხალხური ლექსი, რომელიც გამოჩენილმა ფოლკლორისტმა ვახტანგ კოტეტიშვილმა ხევში ჩაიწერა და თავის „ხალხურ პოეზიაში“ გამოაქვეყნა. ეს ლექსი მგონი თარგმნილი არ უნდა იყოს სხვა ენებზე, დასაინანი კი არის: აქ ხომ ქართველი კაცის გულია გადაშლილი. აი, რა არის ნათქვამი ამ ლექსში:

წუთისოფელი რა არი?

— აგორებულ ქვა არი.

რა წამს კი დაეიბადებოთ,

იქვე საფლავი მზა არი.

საცა სოფელში მიხვიდე,

სუველგან ორი გზა არი,

შუაში არი ხმელეთი,

გარშემო დიდი ზღვა არი.

ყველა ადამის ძენი ვართ,

თათარიც ჩვენი ძმა არი,

ჩვენსა და სომეხებს შუა

განუფიცილება რა არი?

თუ ქალი გეტყვის დობასა,

ის უეეთესი და არი,

აგრეთი გჭონდეს ვუნება,

რო მოწმენდილი ცა არი,

თუ არ იწამებ ამასა,

მუცლით ნაშობი რა არი!

ლექსი კი არა, მთელი ფილოსოფიაა:

ყური დაუგდეთ რას ამბობს ეს ჩვენი ბრძენი მოხევე, ეს უსახელო სახალხო მათქვამი: როგორ კარგად იცის მან, რომ ტიალი წუთისოფელი, უცებ, ელვასავით გაკრთება ზოლმე შენს თვალწინ, შენს შორი-ახლო, არაფერს არ დაგეკითხება იმაზე, თუ რას იზამს ზვალ-მზეს გამოიყვანს, თუ იწვიმებს, მაგრამ შენ მიანიც არ უნდა შეუღერკ—რომელ სოფელშიც უნდა მიხვიდე, სადაც უნდა იყო, ყველგან ორი გზა დაგვხვდება: ერთი — კეთილისა და მეორე — ბოროტისა; შენ აირჩიე გზა სიკეთისა და მადლისა, იმიტომ, რომ ჩვენ, ყველანი ადამის ძენი ვართ, მაშასადამე, ყველანი დები და ძმები ვართ ერთი-მეორისა და სულიც ისეთი სუფთა უნდა გჭკონდეს, როგორც მოწმენდილი ცა არიო; და თუ ამას ვერ მიხვდები, ადამიანად არ ჩაითვლებიო.

ცასავით სუფთა იყო მუდამ გული ხალხისა და რას არ ჩაღიოდნენ მძლავ-



რნი ამა ქვეყნისანი, თავკერძა ფეოდალები, თუ მათს კვალზე მოსული ბურჟუები, ოქროზე რომ იწერდნენ პირჯვარს, რას არ ჩადიოდნენ, რა ხრიკებს არ აწყობდნენ, რა ხლართებს არ აბამდნენ, რომ ძმები წაეკიდებინათ ერთმანეთისთვის, ამოეწყვეტინებიათ ერთიმეორე, გაეთიშათ, სამტროდ და სიძულვილისათვის აღეგზნოთ, მაგრამ რაღაც უკვდავი ძალა ჰქონდა იმ სიყვარულს და ხან აქ, ხან იქ, წყაროსავით ამოხეთქავდა ხოლმე.

ამ ძმობას მეტად შორეული წარსული აქვს—ქართველები და სომხები ერთიმეორის მხარდამხარ იბრძოდნენ მუდამ, ირანელები შემოესეოდნენ ამიერკავკასიას, არაბები, ბიზანტიელები თუ თურქები. აქ შეუძლებელია ჩამოთვალოთ ყველა ის ბრძოლები, რომლებიც ერთად გადაუხდიათ ქართველებსა და სომხებს საერთო მტრის მოსაგერიებლად. ამას რომ გავყვეთ, მთელი მათიანი უნდა ვადმოვიწეროთ.

მაგრამ ეს ძმობა მარტო ბრძოლის ველზე როდი იჩენდა თავს—ის მკვადენდებოდა ეკონომიკისა და კულტურის სფეროშიც და არა მარტო სომხებ ერთან ურთიერთობაში, არამედ ყველა მეზობელთან.

გავიხსენოთ თუნდაც მეთორმეტე საუკუნე. გამოჩენილი არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ქაუზი აღტაცებით წერს იმ ჰუმანიზმის, იმ დიდბუნებოვანი შემწყნარებლობის შესახებ, რომელსაც დავით აღმაშენებელი იჩენდა უცხო ერის ადამიანებისა და კერძოდ უცხო ერის პოეტების მიმართ. არაბი ისტორიკოსი წერდა:

„დავითი თავისი შვილის დიმიტრიოთურთ ყოველდღე დადიოდა უმთავრეს მეჩეთში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყურანის კითხვას. დავითი უხვად აძლევდა ფულს ქატიბსა და მუჰაძინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები და, პოეტთათვისაც, რომელთაც ულუფას უნიშნავდა. თუ ვინმე ისურვებდა თბილისის დატევებას, გულსავესებით ხელს უპყრობდა და მგზავრო-

ბის ღონისძიებას აძლევდა. თუ უფრო მეტი უფრო მეტს პატივსაცემად უწყობდა, ვიდრე მთავარი მუსულმანთანი“.

აი ასეთი კაცთმოყვარობის ნათელი კერა ენთო თბილისში, იმ დროს, როცა ირგვლივ შუა საუკუნეების წყვდიადი იყო ჩამოწოლილი და როცა, ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ, „კაცი კაცს შესაქმელადაც არა ჰზოგავდა“. მაგრამ ასეთ ვითარებაში აღმოსავლეთში უკვე იღვიძებდა ადამიანის აზრი და იწყებოდა ის დიდი მოძრაობა ჰუმანიზმისა, რომელმაც სულ მალე თავის მწვერვალებს მიღწია და რომელიც ჩაახშო მონგოლთა შემოსევამ, რომელმაც საუკუნეებით უკან დასწია მსოფლიო ისტორიის არენაზე წინ გაკრილი ჩვენი ქვეყანა.

მაგრამ ეს ამ წერილის თემა არ არის; აქ ჩვენ გვაინტერესებს ის სულიერი და პოლიტიკური ურთიერთობა, რომელიც ჩვენს ხალხებს შორის იყო და რომელიც ესოდენ ნათელ გამოხატულებას პოულობდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. დავითის კვალზე მიდიოდნენ თამარ მეფეც, ერეკლე მეორეც, ბევრი სხვა მეთაური საქართველოს სახელმწიფოსი. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ არაბი ისტორიკოსის აზრი იმაზე, თუ როგორ ეპყრობოდნენ მუსულმანებს თბილისში; ამის შემდეგ ადვილი გასაგებია რა ურთიერთობა ექნებოდათ ქართველებს ქრისტიან სომხებთან—ორივე ხალხის მათიანეები სავსეა საგულისხმო ფაქტებით, რომლებიც მეტყველებენ, რომ ქართველები მუდამ ძმურად უწყვდიდნენ ხელს სომხებს და მუდამ ერთად იბრძოდნენ სინათლისათვის, მაღალი კულტურისათვის და უკეთესი მომავლისათვის.

საიათნოვა ამ მარად უკვდავი, წმინდა ხალხური გულის, ამ სიყვარულის ცოცხალი განსახიერება იყო.

საიათნოვა თავიდანვე შევიდა როგორც ქართული, ისე სომხური და აზერბაიჯანული ლიტერატურების ისტორიებში. ისე ვერ გადაშლით ამ ვრცების

ლიტერატურის ისტორიის კურსს, რომ საიათნოვას სახელს არ წააწყდეთ—მსკ ყველგან საპატიო ადგილი აქვს დათმობილი. რად ღირს თუნდაც მარტო ის ფაქტი, რომ პოეტი თავის სომხურ ლექსებს ქართული ასოებით წერდა, ხოლო აზერბაიჯანულ ლექსებს — სომხური ასოებით. ვასაგებია თუ რის თქმა უნდოდა პოეტს ამით; კონსტანტინე გამსახურდიამ ერთხელ ოვანეს თუმანიანზე თქვა—მან ყველაზე საშინელ დღეებში შეგვახსენა პაოს და ქართლოს ძმები რომ იყვნენო. ეს სიტყვები საიათნოვაზეც უნდა გავიმეოროთ—მასაც ამის თქმა უნდოდა, როცა თავის სომხურ ლექსს ქართული ასოებით წერდა.

საიათნოვა ჩვენიც არის, სომხებისაც, აზერბაიჯანელებისაც, ყველა ხალხისა, ვინც ჩვენს დიდ საბჭოთა სამშობლოში ცხოვრობს, ვინაიდან ჩვენ ძმები ვართ და არ შეგვიძლია პოეზიაც და სიყვარულიც არ გავუყოთ და არ გავუზიაროთ ერთიმეორეს.

საიათნოვას ლექსი ცოცხალია დღესაც, ვინაიდან მის სტრიქონებში ხალხის გული მეტყველებს. ის ხალხის წიაღში დაიბადა და აღიზარდა, აქედან მოდის მისი მაღალი ჰუმანიზმი, ქადაგება იმ სიკეთისა და კაცთმოყვარეობისა, ადამიანებისადმი იმ თანაგრძობისა, მშრომელის მარჯვენისადმი იმ პატივისცემისა, რომელმაც საიათნოვას უფლება მისცა თავისი თავისათვის ხალხის ნოქარი ეწოდებინა; მონგოლური სიტყვა ნუქარი—მსახურს, მოსამსახურეს ნიშნავს და მგოსანსაც ხალხისთვის სამსახური აურჩევია თავისი ცხოვრების უმაღლეს მიზნად, აქ მოუძებნია მას დედაზრი თავისი პოეზიისათვის; ამიტომ არის, რომ ის საყოველთაო სიყვარულსა ქადაგებს და ამბობს: როგორც ბუღბუღს არ შეუძლია არავისი დაწყველა, ისე აშულს—მან მხოლოდ კაცის დალოცვა იცის, მხოლოდ სიყვარულის ენაზე ლაპარაკი იცისო. მაგრამ მისი ჰუმანიზმი არც ისე განურჩეველი და ყოვლის შემწყნარებელია: როცა საქიროდ დაინახავს, პოეტი გაბედულად, თამამად

პემობს ბოროტებასა და ვეკაცობას („ავიკაცი ამ ქვეყნიდან გავიდეს“). საიათნოვა თავისი კეთილშობილური მისწრაფებებით შორიდან, მეთვრამეტე საუკუნის სიღრმიდან ეხმიანება ჩვენს დროს, როცა ხალხების ძმობას, ადამიანთა ურთიერთშორის სიყვარულს ესოდენ ფართო ასპარეზი აქვს გადაშლილი.

ბიოგრაფიული ცნობები

თავისი მშობლების ვინაობას საიათნოვა თვითონ გვამცნობს ერთ აზერბაიჯანულ ლექსში, რომელშიაც ნათქვამია, რომ მგოსნის მამა სირიიდან, ქალაქ ალუპოდან, ანუ როგორც ძველად ამბობდნენ, ალაბიდან ჩამოსულა საქართველოში, ხოლო დედა—ავღაბრელი ქალი ყოფილა.

საიათნოვას ბიოგრაფიის პირველი მკვლევარები და მათ შორის ი. გრიშაშვილიც, აღნიშნავენ, რომ პოეტი დაბადებულია 1712 წელს. ამჟამად ეს უკვე ოფიციალურად მიღებულ თარიღად ითვლება.

ლ. მელიქსეთ-ბეგს თავის წიგნში მოჰყავს საიათნოვას ერთი აზერბაიჯანული ლექსი, საიდანაც ირკვევა, რომ ბავშვი თორმეტი წლის ასაკში ოსტატისათვის მიუბარებიათ, ერთ წელიწადში ხელობა სავსებით უსწავლია და თოთხმეტი წლისა რომ შესრულებულა, ოსტატისათვის ხალათი მიუერთმევია.

საიათნოვას ბიოგრაფიის მკვლევარებში კარგა ხანს დაობდნენ იმაზე, თუ რა ხელობის კაცი იყო საიათნოვა, ვიდრე საქვეყნოდ ცნობილი მგოსანი გახდებოდა.

დიდი ხანია გამოთქმულია აზრი, რომ საიათნოვას თავდაპირველი პროფესია ფეიქრობა იყო. ამას წერს მგოსნის ყველაზე ადრინდელი ბიოგრაფი ექიმი გ. ახვერდოვი; იმავე მოსაზრებას გამოსთქვამს ი. გრიშაშვილიც თავის მონოგრაფიაში „საიათნოვა“. ახლახან ეს აზრი გაიმეორა შავინიანმა, რომელიც წერს:

„ბავშვობაში არ უთინა ფეიქრის ხე-ლობას სწავლობდა... სხვადასხვა ძვირფასი ქსოვილების ხშირი ხსენება მის ლექსებში მოწმობს, რომ მას კარგად სცოდნია საფეიქრო ხელოვნება“.

ამავე საფუძველზე, ე. ი. იმ საბაბით, რომ პოეტის ლექსებში ხშირადაა ნახსენები სიტყვები—ფარჩა, ქიშმირი, ზარი, ზარბაბი, ზარქაში, ატლასი, ქირმანშალი, დიბა, ბაღდადი, ქათიბა, ყალაშქარი, ხასი, ხამი და ა. შ.—ლ. მელიქსეთ-ბეგი სრულიად საწინააღმდეგოდ ასკვნამდე მიდიოდა: „ირკვევა, რომ იგი უფრო დერცი-მკერვალი და ბაზაზი-მოვაქრე უნდა ყოფილიყო, ვიდრე ფეიქარიო“,—აღნიშნავდა მკვლევარი.

ცოტა ქვემოთ მკვლევარი წერს:

„...ადვილი დასაშვებია, რომ იგი თავისი პირვანდელი, ასე ვთქვათ, ძირითადი პროფესიით დერცი-მკერვალი ყოფილიყოს და, ამავე დროს, როდესაც საჭიროება მოითხოვდა, ვაჭრობა-ბაზაზობისათვის მოეციდოს ხელი“.

ვერსიას საიათნოვას ბაზაზობაზე სხვა ცალკეული მკვლევარებიც იზიარებდნენ. ამიტომ აქ ამ საკითხის ირგვლივ ვრცლად უნდა შევჩერდეთ.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ მ. შაგინია-ნი და ლ. მელიქსეთ-ბეგი, იმის საფუძველზე, რომ საიათნოვას ლექსებში ხშირადაა ნახსენები ძვირფასი ქსოვილები, ერთი-მეორის საწინააღმდეგოდ დასკვნებამდე მივიდნენ. ორივეს თითქოს თავისი სიმართლე აქვს: ფეიქარმაც შესანიშნავად იცის ფართლელულის საქმე და ბაზაზმაც; მაშასადამე, აქ სხვა რაღაც საბუთიც არის საჭირო, რათა გაირკვეს პოეტის ცხოვრების ესოდენ მნიშვნელოვანი მხარე—მისი პროფესია.

ცხადია, თვითონ პოეტის ლექსი, მისი ბიოგრაფიის დასადგენად, უძვირფასესი წყაროა. ჩვენმა მკვლევარებმა სანახევროდ პოეტის ლექსების მიხედვით აღადგინეს დავით გურამიშვილის ბიოგრაფია: აქაც ვერ გავიქცევით კვლევა-ძიების ამ გზას, მაგრამ აქ აუცილებელია დიდი სიფრთხილე, უნდა დავინმაროთ პარალელური წყაროები და ლექსში მოცე-

მული ცნობა შევუპირისპიროთ მათ მთელ ცხოვრებას.

უპირატესობა მაინც ტრადიციულ მონახრებას უნდა მიეკუთვნოს, რომლის მიხედვითაც პოეტი თავდაპირველად ხელოსანი, სახელდობრ ფეიქარი იყო. მელიქსეთ-ბეგს ხომ თვითონვე მოჰყავს თავის წიგნში საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსის სტრიქონები, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი „ოსტატს მიმბარესო“, ხოლო ოსტატის ცნება თავისთავად ხელოსანსა გულისხმობს.

მაგრამ როგორ უნდა ვავივოთ პოეტის ასეთი სტრიქონები:

შორი ქვეყნას ვაჭარი ვარ,
შენ მარანდისა ბაზარო,
ზარბაბის ფასი არა მაქვს,
ხამისათვის წამოვედი.

საქმე ის არის, რომ ეს მხატვრული სახეა და აქ ვაჭრობაზე კი არა, სიყვარულზეა ლაპარაკი; პოეტი ჩივის, რომ სატრფო მისთვის მიუწყვდომელი და მარტო შორიდან სანატრელია: ლატაკი კაცო ვარ და შენამდე ხელი არ მომიწვდება, ძვირფასი ზარბაბის ფასი არა მაქვს, მარტო ხამის ყიდვა შემიძლიაო. მომდევნო სტრიქონები ამას ცხადად ადასტურებენ:

მოდი თვალო, დამავლე,
სარგებელში ენას მოგცემ,
თავს—ბარათის ალაგასა,
მეჭლისისა ლხენას მოგცემ...
მუდამ შენს კარს ვეახლუბი,
ჩემსა თავსა შენად მოგცემ,
ან მომვალ, ან დამარჩინე,
ამისათვის წამოვედი.
სულ ქვეყანა რა მოგროვდეს,
ვერ ითქმება შენი ქება,
რა ინდოეთს, რა საფრანგეთს,
შენისთანა სად იქნება.
ეს საწყალი საიათნოვა,
მთელ ქვეყანას ვბრალება,
ალაბი ვადმოვიარე,
შამისათვის წამოვედი.

განა აქ მართლა სარგებელზეა ლაპარაკი, განა აქ ნამდვილი ვარიგების ბარათი იგულისხმება? საიათნოვას სტრიქონებში ისევე ნართაულადაა ლაპარაკი, როგორც ქართულ ხალხურ ლექსში, სადაც უიშემდოდ შეყვარებულ კაბუჯი ჩივის:

შთს ვიყავ, ცოც წყალი ვსვი
 ბარად ჩამოველ—მაჭარი,
 ნეტავი იყიდებოდე,
 მე ვიყო შენი ვაჭარი.

ამრიგად, საიათნოვა ფეიქარი იყო და ირაკლი მეფის სასახლისაკენ მას გზა გაუკვლია უჩვეულო პოეტურმა და მუსიკალურმა ტალანტმა.

დიდხანს განმტკიცებული იყო ის აზრობა, თითქოს საიათნოვა დიპლომატიური მოღვაწე იყო და ელჩად იგზავნებოდა ხან თურქეთის სულთანის, ხან ირანის შაჰის კარზე. საბუთად პოეტის ეს სტრიქონები მოჰყავდათ:

საიათნოვა შეინახე შენთან,
 საინიბოს დააყენე ცხენთან,
 ველარ წაეა ხონთქართან, ყვესთანა.

მაგრამ ამ ლეგენდის უსაფუძვლობაც ნათელყო გიორგი ლეონიძემ თავის მონოგრაფიაში „მგოსანი საათნაეა“. ამავე წიგნში გ. ლეონიძემ პირველად მოაქცია მკვლევართა ყურადღება იოანე ბატონიშვილის „კალმასობას“, როგორც შესანიშნავ წყაროს საიათნოვას ბიოგრაფიისათვის.

„კალმასობაში“ გვხვდება ასეთი ეპიზოდი:

„წარმოვიდა (მოკალმასე ბერი იოანე) ახპატისაკენ, იგაცა იხილა, და მუნებური გელესია და შენებულემა და მოიწონა. და მაშინ ბერმან ვინმე სომეხთაგანმა შეიწუთ სენაკად თავისად იოანე და ესეცა გაყვა. რა სენაკა შინა თვისსა მოიყვანა ვართაპეტმან მან იოანე, შოიკოთხა და მგზავრობის მიწეზიცა გამოჰკოთხა. იოანემ ყოველივე უამბო და მერე დასხდნენ, იწყეს ჰამა და ამსთან კარგი ღვინოცა მოართო იოანეს და თითონაც კარგად შეეცქა. მაშინ ვართაპეტმან ამან ჩამოიღო ჩონგური და დაუწყო კრა და მერე მოუვა სიმღერასა ამას:

შე საწყალო ჩემო თავო, რა იქნე?
 ქვეყანაში სასაცილო შეიქენ;
 საითაც ვაბეც, იქით წაბეც,
 ბოლოს დროსა ბედოვლათიც შეიქენ.
 რომელს დაეაბრალო, რისაგან არი?
 ეს საქმენი ჩემის ჰვეისაგან არი!

თითქმის ვიფავ ქვეყანაში ქებული,
 კიქსავით ოქროს ყუთში დებული;
 ეს რა მოთვიდა ახირებული?

რაც მომიხდა, განუხვედლებდი არი!
 რომელს დაეაბრალო, რისაგან არი?
 ეს საქმენი ჩემი ჰვეისაგან არი!

მეფეთაგან მექლოს მიწოდებულო,
 თავადებთან პატოცემით შევებულო,
 აღისფერის კაბით განმწვენიებულო,
 ახლა ამა ძაბით გაშვეებულო.
 ესე ხვედრი ჩემი მოძღვრისაგან არი.
 რომელს დაეაბრალო, რისაგან არი?
 ეს საქმენი ჩემი ჰვეისაგან არი.

ბრინჯი ვიყავ, ქერობა რათ მინდოდა?
 ქორი ვიყავ, ძერობა რათ მინდოდა?
 ერი ვიყავ, მღვდელობა რათ მინდოდა?
 ერთი მითხარ, ბერობა რათ მინდოდა?
 გვონებ, ჩემი უბედურთა ღლისაგან არი.
 რომელს დაეაბრალო, რისაგან არი?
 ეს საქმენი ჩემი ჰვეისაგან არი.

იოანე დღაცანი განცვიფრებით უფერებდა და სთქო: „ვაო, საწყალო, ვითარ გლოვს ერისკაცობის გამწებან?“ და უქანსკნელ უთხრა: „მამაო, მონაზონი ხართ, მარცხნივ არ წახვიდე!“

ვართაპეტი: შენის ხნისა რომ ვიყავი, მარცხნითაც ჩევიგორებდი ხოლმე და მარჯვნივაც.

იოანე: უი, ჩემს თავს! შავისთვის გლოვთ?
ვართაპეტი: ამისთვისაცა ეპლოვ. და შენთვისაც, რომ ყმაწვილი კაცი შემდგარხარ ბერად!

იოანე: ყმაწვილობით სქობს, რომ კეთილს შეეჩეიოს კაცი. შენც რომ ყმაწვილი შემდგარიყავ ბერად, ახლა ამ მწუხარებაში არ იქნებოდი!

ვართაპეტი: მე თუ ჩემი მოძღვარი დამხსნოდა, ის ერობა მერჩინება ამ ბერობას!

იოანე: მიბრძანეთ თქვენ ვინ ბრძანდებთ.

ვართაპეტი: მე ვახლავარ, საბრალო საათლამა, თუ ვავიგონით!

იოანე: დიახ, მსმენია თქვენი ქება საზანდარობასა და შექცევასა შინა და მიბრძანეთ ვინა იყავ.

საათლამა: მე ვიცილი. ჩონგური კარგად და ამასთან სპარსულ ხმებზე გაეკეთე ქართული ლექსები. ჯერ არ იყო შემოდებული, და როდესაც მეფემან ირაკლი ინება მექლოში, და მიგვიყვანეს მოსკარავენი, მაშინ მე სპარსული ხმით ქართულად ვიმღერე. ბატონს დიდად იამა და ხალაიცი მიზობა. და მერე სხვათაც მრავალთა თქვეს და მომბაქეს. მე ყოველგახ ადგილი მქონდა არა თუ მხოლოდ სიმღერით. ხუმრობითაც და სოფლოურს საქმეშიაც, რომ მრავალში განვერთვი. მერე ეს ბერობა იღვირჩიე, და ვარ აჰა—და ამ ჩემს ბერობაშიაც ნათქვამი ლექსით სიმღერა თქვენც მოვახსნეთ.

იოანე: რადგან სოფელი დაუბტვეთ, საკრავსა და სიმღერაზედაც ხელი უნდა აიღო.

საათლამა: ჩემმა წინამძღვარმა მე მიბრუნა და მე პირთა ასე მივეცე, რომ ვინც ეს სიმეზი ამ ჩონჩხურს ასხია და არ დაუწყებდა, ხელს არ ავიღებ, ამისათვის რომ ოდეს მაკრთხეს მე ბერად, ეს სიმეზი უბეში დამარჩომოდა, და ესეც ჩემთან ეკრთხა და ამ ნაეტრთხს სიმეზებუ ვუკრავ ხმებს. იოანე: და რადგან აღუქმა დაგიცს, შეგედნობათ, და ამა სუარობით დაასრულეს საუხმე... იოანე უკანასკნელ გამოთხოვა საათლამას და წარვიდა ისევ ბორჩალოსკენ."

„კალმოსობის“ ამ ეპიზოდისგან ნათელი ხდება როგორ მოხვდა ახალგაზრდა საიათნოვა ერეკლე მეფის კარზე, შემდეგ შეუქი ეფინება საიათნოვას ბერად წასვლის ამბავსაც, რაც დაახლოებით 1765 წელს უნდა მომხდარიყო. საინტერესოა, იმის აღნიშვნაც, რომ საიათნოვა თავისი სურვილით არ აღკვეცილა ბერად, მისთვის ძალია დაუტანებელით სასულიერო წრეებს, კერძოდ ის უჩივის თავის მოძღვარს; სხვა წყაროებიდან ჩანს, რომ მეფე ერეკლე საიათნოვას ქომაგობასა და მფარველობას არ აკლებდა მაშინაც, როცა მგოსანი უკვე ბერად იყო შემდგარი. ისიც აღსანიშნავია, რომ საიათნოვა ბერად წასულა ახპატის მონასტერში; ამას გარდა, აქვე ნათელი ხდება საიათნოვას გარდაცვალების თარიღი — პოეტი ცოცხალია და მოკალმასე ბერს იოანეს ელაპარაკება იმ დროს, როცა საქართველოს სამეფოს გიორგი XII განაგებს. მაშასადამე, ის კრწანისის ომის დროს არ მოუკლავთ, როგორც ამას ლეგენდა მოგვითხრობს.

ამრიგად, „კალმოსობის“ მიხედვით მართლდება პლ. იოსელიანის ცნობა, რომელიც თავის წიგნში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, აღნიშნავდა:

„საიათნოვა, ცნობილი გვამი, გამოჩენილი მოღვაწე მოკვდა 1801 წელს; იყო შვერალი მარტივთა საუბრისა ენითა, გარნა ჰაზრითა მკვეთრთა მექონი, მისთა თქმათა დღესცა იგავად იტყვიან ქართველნი“.

გაგიფი და საიათნოვა

აქ არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არავითარ მეთვრამეტე საუკუნის დიდ მწიგნობარს, № 10.

აზერბაიჯანელ პოეტზე — მუსტაფა ჯაფარიძეზე.
საიათნოვა

საიათნოვა და ვაგიფი წლოვანებით თითქმის თანატოლები იყვნენ; პირველი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაიბადა 1712 წელს, მეორე — კი 1717 წელს ქ. ყაზახის მახლობლად. სოფელ გირან-სალახლიში. ვაგიფი მალე საქმეობრებლად გადავიდა ჯერ განჯაში და მერე ყარაბაღის სახანოს დედაქალაქ შუშაში. აქ იგი მალე დაიხლოვა ყარაბაღის მფლობელმა იზრაჰიმ-ხანმა და თავის პირველ ვაზირად აქცია.

ვაგიფი აქ ტყუილად როდი გავიხსენეთ. მას ბევრი რამ ჰქონდა საერთო საიათნოვასთან. ჯერ ერთი, ორივე ისინი საზის ვირტოზული დამკვრელები იყვნენ, ორივენი დიდებული იმპროვიზატორები იყვნენ და ორივენი წერდნენ შესანიშნავ მუხამაზებს. მაგრამ მათ მართო საზი და მართო პოეტური ყანარი როდი ანათესავენდათ—ვაგიფი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში, როგორც ელჩი ყარაბაღის ხანისა, ჩამოდიოდა სწორედ იმ ხანებში, როცა საიათნოვა უკვე სახელგანთქმული მგოსანი იყო და ყოველად წარმოუდგენელია, რომ ერეკლეს კარზე ისინი არ შეხვედროდნენ ერთი-მეორეს. არ გაეწეიათ ერთი-მეორე პოეტურ მუშაობაში, მით უმეტეს, რომ ორივენი ამ მუშაობას ბრწყინვალე ოსტატები იყვნენ; ცნობილია, მაგალითად, ვაგიფსა და ვიდადს შორის, გამართული მუშაობა, რომელიც ამ ეპიზოდის საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება.

მაგრამ ამით როდი თავდება მსგავსება მათი ბიოგრაფიებისა—ისინი სიკვდილშიც კი ჰგვანან ერთი-მეორეს. ლეგენდის მიხედვით, საიათნოვა მოკვდა ალა-მაჰმად-ხანის ჭარისკაცებმა, როცა ისინი თბილისში შემოიჭრნენ. მაგრამ უკვე ლეგენდა აღარ არის ის ამბავი, რომ თბილისიდან გაბრუნებულმა ალა-მაჰმად-ხანმა, კრწანისის ბრძოლის მერე წელს ქალაქი შუშა აიღო, აზერბაიჯანელი პოეტი დააპატიმრა და სიკვდილი მიუსაჯა. მაგრამ ალა-მაჰმად-ხანი იმ

ლაშეს მოჰკლეს და პოეტს დილით უკვე თავისუფალი იყო.

კიდევ ერთი რამ საერთო აქვთ ვაგიფსა და საიათნოვას—ესაა მათი ნაზი და გულწრფელი, დაუცხრომელი სიყვარული საქართველოსადმი. ორი დიდი პოეტი, ორი ბრწყინვალე მესიტყვე თაყვისი ხალხებისა—ერთი სომეხი და მეორე აზერბაიჯანელი ერთი-მეორეს ეჯიბრებიან იმ სილამაზის გამოხატვაში, რომლითაც მათ თვალი მოსჭრა თბილისში. კითხულობ მათ ლექსებს და მთელი არსებით გრძნობ რაოდენ ძლიერია ეს სიყვარული, რაოდენ სუფთაა და წმინდაა ის.

ისინი საქართველოს სიყვარულში ეჯიბრებოდნენ ერთი-მეორეს და ახლა, მათს ლექსებს რომ კითხულობ, ფიქრით მეთვრამეტე საუკუნეში გადადიხარ და თითქოს მათს მუშაირეს ესწრებდი, სადაც ლექსი ლექსზე მოდის და შეხარის ამ წუთისოფელს, მოდის და დასტირის მას, მოდის როგორც იმედი და როგორც სასოება; ვკითხულობთ მათ ლექსებს და ჩვენ მათს მუშაირეს ვესწრებით. ვისაც ინდური ფილში „ბაიჯუ ბაგრა“ უნახავს, ეხსოვება როგორია ეს მუშაირე: იქ ორი მგოსანი ეჯიბრება ერთი-მეორეს, თანდათან შედიან ეშში, ავიწყდებათ ყველაფერი, თითქოს თითონაც სიმღერად და სიყვარულად ქცეულანო; ეს სიყვარული ხანძარივით წაჰკიდებიათ მათ და ბრიალებს მათს გარშემო. ირგვლივ ყველაფერი განაბულა და მარტო საკრავების ქღერა-ღა ისმის, მარტო სიცოცხლის ყივიანა-ღა ისმის და ბოლოს მათი საკრავები იღეწებიან, თითქოს სიხარული ვეღარ დაეტიათ მათში და წავიდა ცისკენ. ჰოდა, ინდოელებზე ნაკლები ტემპერამენტი როდი აქვთ ჩვენს ახლო მეზობლებს; და ეს მშაფრი ვენებიანობა და მაეორი ისმის საიათნოვას ხმაში, როცა ის ამაყად წამოიძახებს:

საქართველოს მეფის სახანდარი ვარ...
საიათნოვას — არუთინას იტყვიან.

ერეკლეს თბილისზე საიათნოვა ამბობს:

ნეტავ არ დაღამე, რა კი დიდი ხარ,
შტოვბი ასელო, რა ტურქული ხარ...
და ვაგიფიც თითქმის თანვე ნისკაცებით
ვევდრება თავის ალაპს მუდამ კარგად
ამყოფოს საქართველო:

დიდი ბატონის დიდებულ კრას
ბინდი ღამისა ნუშე შეხებია
მუდამ ალაპის წინაშე ამის,
მავედრებელი ვაგიფი არი
თბილისის სადიდებლად ვაგიფიც
ტურთა ხეებს* იხსენებს:
ერთი შეხედეთ ამ უცხო ზღუში
რა მშვენიერი ალვისხეია,
ახლადაფურჩქვნილ ვარდთა სერნელი
აქ არუბარეს მიმოჰუნია.

ორივენი ისინი მოხიბლულნი არიან ირაკლის უბაღლო ვაჯეკობით, მისი სახელით, მისი შემშართებლობით; როგორც უშეშარ და გამჭრიახ სარდალს, როგორც დიდი ჰუმანური ბუნების ადამიანს, მას მართლაც არ შეეძლო არ მოეხვეჭა პოეტების სიყვარული და აღტაცება. და, ვიმეორებთ ყოველივე ამას არ შეიძლებოდა თავისი გამოხატულება არ ეპოვნა პოეზიაში; ამიტომ მღერის საიათნოვაც:

ხმალი ხელთ გვირავს, ერეკლე-ხანო
განაფხელის რა ამოსული ხარ,
ახლო სიყვარული, თავიული ხარ,
ერთგული მოსამსახურე, ყული ხარ...
საიათნოვა: რა ყარბ-ბელბული ხარ,
დილ-დილით ჰიკვიცებ, ნახებიათ!
ვაგიფი წერს ლენს ბატონიშვილზე:
დიდი ბატონის თვალის ქინათლე —
რა მშვენიერი ქაბუჯი არი,
ადგას ყეთილი ჩრდილი იმისი
მთელ საქართველოს, ვითარცა ფარი.
მეფის დანარჩენ ძედა ვაღნობა
თუმცა ვერ კიდევ არ გვლარსებია,
მაგრამ ამ შეილის მიხედვით სხეებზე
მხველობა როდი ვაგვემუნებია.

ახლა თქვენ განსაჯეთ — რაოდენი სიყვარული უნდა ჰქონოდა საქართველოსი ამ გულმართალ პოეტს, რომ ასეთი სტრიქონები დაეწერა: ვაგიფი ცნობილი იყო იმით, რომ არასოდეს ქედს არ იხრიდა ამა ქვეყნის მძლავრთა წინაშე. ამიტომ ის აქაც, როგორც ყველგან, ჯალრგისად გულწრფელი და მართალია. ამ ლექსებში ის უშუალოდ ეხმაურება იმ დროის ქართულ ხალხურ პოეზიას,



რომელმაც ასეთი სტრიქონებით შეამკო ერეკლეს მამაცი ძე — ლეონ ბატონიშვილი:

ბმლი სტრის ბავრატენისა,
ნეფისა ერეკლისაო,
ნეტავი ვამაცხოზინა,
ლეონს უჭებენ შეილსაო,
ხალგაო შამამბერია,
ზეაჲმა ვით წვერი ტყისაო,
ლეონ ქალაქში ჩამახდა,
ქეჲა შილო ცისაო.

აი ასეთივე სიყვარულით უმღერის აზერბაიჯანელი პოეტი ქართველი ვაკეკის უშიშარ სულს, მის ქველობას და სიმამაცეს. როგორ არ უნდა ვიყვარდეს დიდი ვაგიფი — სიტყვის ეს ბრწყინვალე ოსტატი, რომელსაც ასე განუზომლად უყვარს საქართველო, უყვარს ჩვენი ერეკლე. ამ პოეტების სახით, ჯერ ისევე მეთურამეტე საუქუნეში ჩვენმა ხალხებმა ერთმანეთს ძმური ხელი გაუწოდეს და შავრად ჩამოართვეს, ისინი ხალხების ელჩები იყვნენ, ხალხების წარმოგზავნილნი იყვნენ — ჩამოსულნი თბილისში ძმობის ფიცის დასადებად.

ვაგიფი სატრფიალო ლირიკის ჯადოქარი ოსტატი იყო — მისი გაზელებსა და მუხამბაზების თემა — სიყვარული იყო, და თბილისმა ამ მირივაც აბალი ფერები შემატა მის პალიტრას. ვაგიფმა ვატაცებით უმღერა ქართველი ქალის სილამაზეს. პოეტი აქ თავის სტიქიაში იყო: მან ხმამაღლა, საქვეყნოდ განაცხადა, რომ მზად არის ჰგმოს ალაჰი ზურგი შეაქციოს მიზგიტას და ეკლესიაში იხაროს, რადგან სალოცავად იქ დადიან თბილისის ქალები — ულამაზესი ყვავილები ამ ქვეყნისა. აქ დახატულია ძღე-ვამოსილება სიყვარულისა, რომლის წინაშე უძღურია ყოველგვარი რელიგია; ლექსში „ქართველ ქალს“ ვაგიფი წერს:

ვით ქანდაკება, ეკლესიო ტურფა,
ეკლესიიდან გამოდის იგი.
თამაში, ლალი და მძიმლიმარი,
ეკლესიიდან გამოდის იგი.
როგორც ფადიშაჰ, ფარბით მოსილი,
ეკლესიიდან გამოდის იგი.
ვით მზე ნათელი, აბლილი სახით,
ეკლესიიდან გამოდის იგი.

სხივებით მოსავს ქვეყანასი,
ეკლესიიდან გამოდის იგი.
ვაღაერცხნილი იმისი თქმით,
სურნელს აფრვევეს, ვითარცა ია,
ზეაწვეული თავი და საზე
არის უჩაღრო, სრულიად ლია.
უმზირე, რა სჯობს იმისი ყელის,
მისი ნარნარი ტანის ყურების,
ღმერთო მისხენილ თვალწარბნი მისნი
მასწავებენ უბედურებას.
სარწმუნოების აღმოსაფხვრელად
ეკლესიიდან გამოდის იგი.
მის თეთრ სხეულსა სიმოსი ჰგარავს,
ვითა ფურცელი, ნახი და თხელი.
ვერ გამიგია ცეცხლია ეს თუ
იასამანილ მოცული ველი?
მისი კბილები ჰგვანან სადაფსა,
ბაგვა როგორც იემნის ლლი,
თუ შეუღლისებურ წარბებსა მისას
ერთხელაც ვინმემ შეავლი თვალთ,
დასთმობს მიზგიტას, ნაცვლად დაიწვებს,
ეკლესიაში საარულს იგი!

ასე წერს ვაგიფი თბილისზე, სიყვარულზე, ლამაზ ქალზე, სიცოცხლის სიხარულზე და წუთისოფლის მშვენებაზე. „აზერბაიჯანის ისტორიაში“, რომელიც აზერბაიჯანის მეცნიერებთან აკადემიამ გამოსცა, ვაგიფის ამ ლექსების გამო აღნიშნულია: „ვაგიფის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლექსებს, რომლებიც დაწერილია თბილისში, პოეტის იქ გამგზავრების დროს. საქართველოს დედაქალაქს ის „მსოფლიოს სამოთხეს“ უწოდებს, აღტაცებულია ამ ქალაქის სილამაზით, მისი აღამიანებით“ (ვაგიფის ეს ლექსები ქართულ ენაზე ფარგმნა კონსტანტინე კიკინაძემ).

მუშაირეს თავისი კანონები აქვს და ახლა საიათნოვამ უნდა თქვას თავისი სიტყვა სიყვარულზე:

მოფარე ხარ, თუ მზე ხარ, პირი ვაქვს წმინდა,
მე შენ გენაივალე, სხვანი ნუ გინდა
სიყვარულით ლამაზაკი თუ გინდა,
საიათნოვამ იცის სიტყვა ქებული!

ახლა ენახოთ როგორია ეს „სიტყვა ქებული“. ჩვენ გადავდივართ საიათნოვას სატრფიალო ლირიკის განხილვაზე.

მეჯნუნის თვალებით

საიათნოვას აქვს თავისი ვრცელი პოეტური სამყარო, თავისი საკუთარი ქვეყანა, საკუთარი ხილვა წუთისოფლისა, სადაც ყველაფერი კაშკაშა, ვნებიანი და ცისარტყელას ფერებივით მოზეიმება. აქ ყოველივე ემორჩილება სიყვარულს, მას გაუბრწყინებია ყველაფერი, გაუკეთილშობილებია და აუმაღლებია ადამიანი. აქ დარდიც და ტირილიც კი სიმღერასა ჰგავს, მოთქმაც და კვნესაც კი პოეტურია და გადამღები, გულზე მოსახვედრი და შემარბეველი სულისა; სიყვარული აქ ყველაფერს მოიცავს—ის სუნთქვავა, სიცოცხლევა, უწმინდესი ტაძარია. თავის ლექსებში საიათნოვას ციტატა მოჰყავს ბიბლიიდან, სახელდობრ „ქებთათაქებადან“: „ყვავილი ველისა, შრომანი ღელეთა“; საინტერესო ის არის, რომ აქაც საღვთო წიგნშიც მას ყველაზე მეტად სატრფოს შესამკობი ეპითეტები მოსწონებია, მაგრამ მწიგნობრულ სახეებზე უფრო ხშირად მის ლექსებში გვხვდება ცოცხალი, სინამდვილიდან აღებული ორიგინალური სახეები, რომლებიც გვხიბლავენ თავიანთი ხალხურობითა და უშუალობით. და აქ საიათნოვას სიტყვა ცოცხალივით ფეთქავს და მოძრაობს.

რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ საიათნოვა სამყაროს უყურებს შეყვარებულის თვალებით, მეჯნუნის თვალუბით. დიდი საადი თავის „გულესთანში“ ერთ ამბავს მოგვითხრობს, რომელიც ჩვენი აზრით, გამოდგება იმის განსამარტავად, თუ რა არის პოეზია. თურმე არაბთა რომელიღაც მეფის ყურამღე მიაღწია ამბავმა, თუ რა გავიყვებით უყვარს მეჯნუნს ვიღაც ქალიშვილი, სახელად ლეილი. ისიც უთხრეს მეფეს, ამ სიყვარულის გამო მშენიერმა ჰაბუტმა დაივიწყა ყველაფერი, გაიჰკრა უღებნოში და იქ უგზო-უკვლოდ დაწინაურლებსო.

გაბრაზდა მეფე და ვასცა ბრძანება მოეყვანათ მეჯნუნს; როცა ჰაბუტი წარუდგინეს, მან გაიციტება დაუწყო:

— ასე როგორ გადაგვიწყვეტულმა, რომ დასტოვე ეს ქვეყანაში წახვედიო.

მეჯნუნმა უპასუხა მეფეს:

— თქვენ თვითონ შეხედეთ ლეილის და საყვედური მერე ბრძანეთო!

მაშინ მეფემ დაავალა თავის ვაზირებს მოეძებნათ ლეილი. მათ მოიარეს არაბთა ქვეყნები, იპოვნეს ქალიშვილი და სასახლეში წამოიყვანეს. მეფემ შეხედა მას და სრულ არაბობად მოეჩვენა, მისი პარემის უკანასკნელი მხევალი სჯობდა მას სილამაზით ჩაიქნია მეფემ ხელი და პირი იბრუნა. მეჯნუნმა დაინახა ეს და შეჰხედა მეფეს.

— ო, მეფეო, ლეილის სილამაზეს შოლოდ მაშინ დაინახავ, როცა მას მეჯნუნის თვალებით შეხედავ.

საიათნოვა თავის თავს ხშირად მეჯნუნის სახელით იხსენიებს, და მართლაც მას მეჯნუნის მისნური თვალები აქვს, ანუ ესთეტიკის ტერმინებით რომ ვთქვათ. აქვს ის შინაგანი ხილვა, რომელიც გამოაჩენს იმ სილამაზეს, რომელსაც უბრალო მოკვდავი ვერ ხედავენ მანამდე, ვიდრე პოეტმა თუ მხატვარმა არ ასწია ფარდა და არ შეგვახედა, მანამდე კი ვერ ხედავენ, როგორც არაბთა მეფემ ვერ დაინახა სილამაზე ლეილისა.

საიათნოვას, როგორც ნიკო ფიროსმანს, უყვარს ქვეყანა, ხედავს მას ცოცხალ ფერებს და გრძნობს მის გამბარუებელ სურნელს, ამიტომ მუდამ სითბოთი და სინათლითაა სავსე მისი მხატვრული სახეები; ის თვითმყოფადი ტალანტი და მუდამ ცდილობს არ ვაჟყვეს ვატაკენილ გზას, თავისებურად მოიქნოს სიტყვა. მან კარგად იცის სიტყვასთან ჭიდილის აზრი და მნიშვნელობა და ამიტომაც ამბობს:

ზოგი კაცი ღვინოს სმას ეხვეწება,

ზოგი მეჯლისის ზმას ეხვეწება.

ჩემი ენა გამოთქმას ეხვეწება.

გამოდი ღრუბლიდან, მზეე ნაზიანო!

ეს ყველა დიდი ოსტატის ნატვრაა— იპოვნოს ყველაზე ზუსტი, ყველაზე მკაფიო, ყველაზე სპირო და დამტევი



სიტყვა—თი ამ სიტყვებს ეხვეწება საი-
ათნოვა ქართულ ენას, ეძებს და მუდამ
პოულობს კიდევ:

თი, მაგალითად:

შუალამის ვარსკვლავით ცაში ხარ,
ლალის ვარდო, ყანაში ხარ, მკაში ხარ,
გახაფხულის ისავეთ მთაში ხარ,
სანთური ხარ, ქაშანა ხარ, ტაში ხარ!

აქ თითო ფრაზა—თითო ბრწყინვალე
სახეა და მერე როგორი პლასტიკური,
როგორი გაბედული: ვთქვათ, ანთებულ
სანთურისათვისაც შეუდარებიათ სატ-
რფო, მაგრამ მიმართო მას—ის აღტა-
ცება ხარ, ის აღმაფრენა, რომელიც
ენას აღარ შეუძლიან გამოთქვას და
მარტო ტაშმა უნდა გამოხატოსო („ქა-
შანა ხარ, ტაში ხარ“), ეს მართლაც
გაბედული სახეა და ფრიად ორიგინა-
ლურიც. ასევე მომზივლელი სახეებიც
ცაზე გაბრწყინებული შუალამის ვარსკ-
ვლავი, მთაში ამოსული გახაფხულის ია
და კიდევ უფრო საოცარი—ლალის
ვარდი ყანაში („ლალის ვარდო, ყანაში
ხარ, მკაში ხარ“); მარტო აქ როდია
შესამჩნევი, რომ საიათნოვა გაბედულად
ამსხვრევს და უწყაგდებს ტრადიციულ
სახეებს და ხალხური, პირდაპირ გლეხუ-
რი თუ ხელოსნური ყოფისა და მსოფლ-
შეგარძნობის წილში დაბადებული
სახეები შემოაქვს. ეს სულ ნოვატორუ-
ლი, სულ ახალი სახეებია; ყველაფერში
ეტყობა მგოსანს, რომ შესანიშნავად
იცნობს მთელ აღმოსავლურ ლიტერა-
ტურას, არაერთ გზის იხსენებს ფერ-
ხადსაც და შირინსაც, ლეილისაც და
მეჭუნსაც; მაშასადამე, ის იცნობს
ნიზამის, საადის, ჰაფიზის ქმნილებებს,
მაგრამ როცა იწყებს სიმღერას, იწყებს
თავიდან, ახლებურად, უშუალოდ, იმის
გადმოცემას კი არ იწყებს, რაც წაუკო-
თხავს არამედ იმისას, რაც დაუნახავს.
—ამას კი ახლებური სახეები სჭირდება
და ამიტომ ევედრება ქართულ ენას—
გაუხსნას წილი და თავის საიდუმლოე-
ბებში ჩაახდოს. ასე მონახა მან ის ინ-
ტიმი, ის ეშვი, და მაღლი რომელიც დღე-
საც არ დაუკარგავს მის მუხამბაზს. ამი-

ტომ მისი სატრფო ტრადიციული მეტა-
ფორის მინაზებული ვარდისა და მარტო
არამედ ყანაში სამკალად გასული
ქალია; და აქ ის სულ ახლოს მიდის
ძველ ქართულ ხალხურ პოეზიასთან და
კიდევაც ენათესავება მას: აბა გაიხსენეთ
ძველი ხალხური „ანა მქნა ვარდი-ყოო-
ლი, რო პირზე დაგეყრებოდე, ან შენი
ნამგლის ყანა მქნა, რო ფხაზე შაგე-
პრებოდე“ და მერე საიათნოვას მოუს-
მინეთ:

ყოველ დილას გამოვიდე, მზე ვიყო!
თქვენს ეზოში გადაჩვეული ხე ვიყო!
მოვიწინებდი, ცულს წე დამკრავ, დე ვიყო!
შენი კარის მეზობელი მე ვიყო!
შენს სახლსავეთ ჩვენს სახლშია შახვიდე,
საიათნოვა ზარბაზნედა, ზარბედა,
ხალათივით გადაიგდე მხარზედა,
ვაჰ, თუ ბოლოს დამიწუნო გეარზედა!
მონათვეთ დავედებდი კარზედა,
გაიარო, მიწასვეთ მლახვიდე!

ეს სიახლოვე მიწასთან, ხალხთან სა-
იათნოვას რეალიზმს ძალისა მპატებს,
ახალი ცოცხალი ფერებით ავსებს; ამ
რეალიზმისა და სიახლის წყალობით
გამოეყო ის მთელ თაობებს აშულები-
სას და მაღალი პოეზიის სფეროებამ-
დე მიადრია.

მან მიადრია ბრძნულ სისადავეს,
მისი სიტყვა—უბრალოა, ცხოვრებისე-
ულია, როგორც მისაღმიბა ჰოზიაზე შეხ-
ვედრილი საყვარელი ადამიანისადმი. თი
როგორ მიმართავს ის სატრფოს:

ნეტავი რა უყო, რა მოვიგონო,
მე შენი ზიანი არ გავიგონო,
როდის მობრძანდები ჩემ ზარბო,
შეჭვეუ გაგეშალო ფინანაზად!

საიათნოვას ლექსი ოცნებაა, ნატვრია,
მოლოდინია სატრფოს ხილვისა:

რომ არავინ დაგინახოს,
ფარდის ნაფარზე გამოდი,
ერთი სიტყვა ქართული მაქვს,
ცოტა ხანს კარზე გამოდი,
მარგალიტის ჭინძისთავო,
რა თვალი ხარ, დაგინახო!

ლექსში „რა ზარბაზი“ პოეტი თავის
თავს აცნობს გულის რჩეულს:

რა ზარბაზი, რა ატლასი,
რა ზარი ვარ, იცი განა?
ის და ვარდს ვენატრები,
რა ქარი ვარ, იცი განა?
ნიადაგ საზი ზელში მაქვს,
ნოქარი ვარ, იცი განა?
შენს ღედ-მამას შეუბრძვი,
თითონ კი არ იცი განა?

ის იშვიათი გულწრფელობით გადმო-
გვცემს გაუზიარებელი სიყვარულის
სეველასა და ნაღველს:

საიათნოვა ამას ვჩივი,
სამალი ვერ მიშოვია,
მინდა ველი ზედ ავაო,
და ხმალი ვერ მიშოვია.
შენი უბის ბროწეულის,
ნამალი ვერ მიშოვია,
თავი მტრეა, ველი მტრეა,
წამალი ვერ მიშოვია,
მომაქვს ზარის ზელმანდილი,
ხუმარი ვარ, იცი განა?

მაგრამ მან კარგად იცის იმ სიხარუ-
ლის გადმოცემაც, იმ სულიერი აღტა-
ცების დახატვა, რომელიც სიყვარულს
მოაქვს. ლექსში „ბალი ბულბულით
აესილა“ ის სატრფოს თავის სახლში
ეპატივება:

არ გვეყინოს ზემო კარგო,
სიტყვაშიაც იგავი მაქვს,
რომელ ერთხელ გენაცვალო,
განა რამდენი თავი მაქვს?
მუდამ შენს სამსახურში ვარ,
არა სთქვი პირი შავი მაქვს,
ამალამ ჩვენსა მობრძანდი,
ერთი კარგი ამბავი მაქვს,
სულ ქვეყანა ჩვენსა არი,
რომ ბაზაზი არ აკლია!

აქ მთელი სიცოცხლე ზეიმსა ჰგავს:

წმინდა ხანთლები შამდანში,
ზირანდაზი არ აკლია,
მეიღანი გამართული,
ქანდირბაზი არ აკლია!

ზირანდაზი ქვეშ გასაშლელი ხალიჩა
ყოფილა და ქანდირბაზიც, მალღა,
სახლებს შორის გაბმულ თოვზე მოთა-
მაშე ვამბაზი.. ე. ი. აქ თითქოს მოედან-
ზე გამართული ზეიმი ადწერილი, სა-
დაც მთელი ქვეყანა შეყრილა, რომ ერ-

თი „ბაზაზიც არ აკლია“...
აქ საჭარო ზეიმს და გულწრფელობა-
ედანზე მოზომიძემ ბრბოს კი არა,
თავის გულს აღწერს პოეტის—ეს მის
გულში ზდება ყველაფერი, იქ ისმის
ეს ყოვინა, ეს ქრიაშული, ეს სიხარული
იმის გამო, რომ სატრფო სწვევია, რო-
მელსაც ის ერთგულებას ეფიცება, და
რა კარგად, რა მადლიანად არის აქ
მოქნეული შესანიშნავი ქართული სი-
ტყვა გენაცვალე:

რომელ ერთხელ გენაცვალო,
განა რამდენი თავი მაქვს?

მაგრამ მუდამ ასე მავორული როდია
პოეტის ხმა; იგი მკითხველის ყურადღე-
ბას იპყრობს არა მარტო ამ გულღია
ობტიმიზმით, არამედ აქვე გვხვდება
ღრმა ფილოსოფიური ჩაფიქრებაც. ამ
მხრივ შეტად საინტერესოა პოეტის
შემდეგი სტრიქონები:

ქვეყანა ფანჯარაა—
თაღებისაგან მობეზრებული ვარ,
მაცერალი ღონდება—
ჭრილობისაგან მობეზრებული ვარ,
-გუშინ“ უკეთესი იყო, ვიდრე „დღეს“,
„ხეაღბისაგან“ მობეზრებული ვარ,
მსურს გაფიქრებულ ბულბულივით,
ბაღებისაგან მობეზრებული ვარ.

თუმცა ზემოთმოყვანილი სტრიქონე-
ბე ე. წ. ბეჭადღული თარგმანია, ამი-
ტომ მასში სიტყვას საიათნოვასათვის
ჩვეული ელვარება აკლია, მაგრამ აქ
მანაც ჩანს ის ბორჯეა და შფოთვა სუ-
ლისა, როცა პოეტს ევიწროება სამყა-
რო, ქვეყანა, რომელიც მძიმე თაღებით
ჩამოზნელებული საპყრობილის ფანჯრი-
სათვის შეუდარებია. ამიტომ ლამობს
ის საითლაც ფრინველივით გაფრინდეს.
აქ შეტად ნათლად ისმის გამოძახილი იმ
ფილოსოფიური მშემუნვარებისა, რომე-
ლიც აწუხებდა ადამიანს უკვე იმ უბსო-
ვარ დროს, როცა „გილაგამეში“ იქმნე-
ბოდა, როცა ეკლესიასტი იწერებოდა, ეს
აწუხებდა ადამიანს ანტიკურ ეპოქაშიც
და შუა საუკუნეებშიც, ეს აწუხებდა
მსოფლიო პოეზიას საიათნოვას დროსაც
და პოეტიც ამ მსოფლიო სეველას ეხმა-
ურება.



აი, რა მწვერვალეზე აიყვანა საიათნოვამ სატრფიალო პოეზია! მოდი და ამის შემდეგ მას უბრალო აშული დაუძახე — არა, ის თანასწორუფლებიანი შექმელია სიტყვის მეტად დიდი ოსტატების თანაგარსკვლავედში; უნებურად გავონდებათ ჰაინეს სიტყვები: როცა პატარა გოგონა ეკითხება მას—ვინ ხარ შენ, უცნობო, ავადმყოფო კაცი, ის უპასუხებს: მე პოეტი ვარ და როცა საუკეთესო პოეტების სახელებს ჩამოთვლიან, ჩემს გვირსაც მათ შორის ვაიგონებო. ეს პროფესიული სიამაყე არც საიათნოვასათვის იყო უცხო: მან იცოდა თავისი სიტყვის ძალა, ამიტომ ამბობდა:

ნურვინ იტყვიო—ეს ყმაწვილი ვინა ვარ,
ანა-ბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ,
საიათნოვა მჭვიან, არუთინა ვარ,
სიტყვას ვიტყვი, ცაშ ქუხილი დაიწყოს.

მართლაც რომ უადრესად მდიდარია საიათნოვას ქართული—აქ სიტყვა ნაზია და მოქნილი, აქ არის მშვიდი სისალბუნეც და გაზაფხულის ქუხილიც და მტეხიარობაც; მას ნაპოვნი აქვს სიტყვის ის ჯადო და თილისმა, ურომლისოდაც არ არსებობს მაღალი პოეზია. ასეთია საიათნოვას ქართული; თავის მხრივ სომეხი და აზერბაიჯანელი მკითხველები თუ ლიტერატურის მკოდნენი ადასტურებენ, რომ ასეთივე ჯადოქარია პოეტი სომხურშიც და აზერბაიჯანულშიც; და განა ეს საოცრება არ არის ასე ღრმად შეიჭრას შემოჭმედი სამი, სრულიად განსხვავებული ენის სტიქიაში, სამ სრულიად განსხვავებულ პოეზიაში შესანიშნავი ოსტატის სახელი დაიმკვიდროს? მსოფლიო ლიტერატურის ის-

ტორიამ თითქმის არ იცის მწვერვალეზეა ლითები; ამ მხრივ საიათნოვას უბადლოა, მართლაც შეუღარებელია.

• • •

ასეთია საიათნოვას პოეზია.

ვინც მიჯნური არ არის, ის არც მამაციო, ნათქვამია „ვისრამიანში“. საიათნოვა, როგორც ვნახეთ, თავდავიწყებული მიჯნური იყო და ლამაზი, ვაჟაკური სიყვარულით უყვარდა ქვეყანა. ამიტომ მოდით და შევთანხმდეთ — დაე მართალი იყოს ლეგენდა, რომელიც მოგვითხრობს, თითქოს მგოსანი მოპკლეს კრწანისის ბრძოლის დროს, თითქოს მან მკერდი შეაგება სპარსელი ჯარისკაცების მახვილს. და თუმცა მგოსანი ცოცხალი ჩანს კრწანისის ბრძოლიდან კარგა ხნის შემდეგაც, თითქმის ხუთი წლის შემდეგ მას, როგორც ცოცხალს ისევ იხსენებს იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ — იოანესავით კი კრწანისის ამბები ვინ იცოდა: დაწყებიდან დამთავრებამდე ის შუა ცეცხლში იყო, მან ძალათი გამოიყვანა თავისი მოხუცი პაპა უკანასკნელი ხელჩართული შეტაკებიდან, როცა ერეკლემ გადაწყვიტა არ წამოსულიყო და მომკვდარიყო ბრძოლის ველზე. იოანე ყველაზე ბოლოს გავიდა ცეცხლწაქიდებულ თბილისიდან და მას ეცოდინებოდა მოპკლეს თუ არა სახალხო მგოსანი იმ ბრძოლის დროს, თუნდაც ეკლესიის კარზე; მაგრამ, დაე მართალი იყოს ლეგენდა, რადგან ის ხალხმა შექმნა და ეს უფრო ლოგიკური ბოლოა თბილისსა და საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტის ბიოგრაფიისა.

შალვა ახანიძე

სიცოცხლის დაუნდავი მხობბე

თიოქის შეუმჩნეველად დაიფერტლა ახალგაზრდობის, მოუსვენრობის წლები. სიჭაბუკის, სიცოცხლის, ღიმილის, სიკეთისა და ადამიანის კეთილშობილების დაუნდავ მხობბეს, ქართული პროზის, ქართული ნოველის აღიარებულ ოსტატ სერგო კლდიაშვილს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. რა მალე განვლო სიზარულისა და გაქირვების ახალგაზრდობის მსუბუქმა და გამჭვირვალე წლებმა, განვლო თითქოსდა შეუმჩნეველად, ისე, როგორც იშლება ყვავილი და როგორც ჭკნება იგი. სერგო კლდიაშვილთან მეგობრული სიყვარულის მრავალი წელი მაკავშირებს და, ვასაგებია, რომ მიჭირს ვილაპარაკო პასზე, როგორც ახლობელ მწერალზე, ადამიანზე. ჩემს გატაცებას სერგო კლდიაშვილით და მის სიყვარულს ბევრად აძლიერებს ის სიამოვნება და კმაყოფილება, ის შინაგანი სიმშვიდე, რასაც მისი ნაწარმოებების კითხვისას განვიცდი. ხშირად უთქვამს სერგო კლდიაშვილს ჩემთვის, რომ ის არ არის პოპულარული მწერალი, რომ საზოგადოება მის შემოქმედებას ნაკლებად იცნობს, ვფიქრობ, ეს არ არის სწორი. მართალიც რომ იყოს, მწერლის პოპულარობა ყოველთვის როდი გამოდგება. მისი შემოქმედების აკურგინანობის შესაფასებლად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მკითხველის სახელით

ლაპარაკი, რასაც ხშირად მიმართავს ჩვენი კრიტიკა, ძნელი და უხერხულიცაა, ვინაიდან ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენის შემფასებელი ხშირად თავის პირად, სუბიექტურ შეხედულებებს ხალხისად ისაღებს.

ერთი რამ ცხადია: ლიტერატურულ წრეებში სერგო კლდიაშვილი ცნობილია როგორც ქართული პროზის ერთ-ერთი ჭეშმარიტი ოსტატი, მაღალი მხატვრული გემოვნებითა და კულტურით აღჭურვილი, ნათელი მხატვრული აზროვნების მწერალი, რომელსაც წერის სავსებით საკუთარი მანერა აქვს და სინამდვილეს რეალიზმის პოზიციებიდან აშუქებს.

პირადად მე მხიბლავს სერგო კლდიაშვილის მეტად მღელვარე, ჰუმანური გული, რომლის შეუჩერებელი ფეთქვაც ასე მკაფიოდ ისმის ყოველ მის ნაწარმოებში; მხიბლავს მზის, სიცოცხლის, ღია, ხალისიანი ფერების ის სიყვარული, რომლითაც გამთბარია ყოველი მისი ნოველა. მხიბლავს მისი ოპტიმისტური აღქმა სინამდვილისა, უანგარო და მოუსყიდველი სიყვარული ადამიანისა. სერგო კლდიაშვილის შემოქმედებითი პათოსის ობიექტია — ადამიანი, მისი სულიერი ცხოვრება, მისი ბედი. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სერგო კლდიაშვილის ნოველებისა თუ რამანე-

ბის გმირები უმთავრესად უბრალო, რიგითი ადამიანებია. პატარა, უმნიშვნელო მღვდლომარების მქონე პირები, მაგრამ თითქმის ყველანი ბუნებით კეთილნი, სოცოცხლის მოყვარულნი.

ერთ თავის მინიატურაში — „სოფლის ღამე“ — ავტორი, თუ შეიძლება ითქვას, თავის სოცოცხლის ფილოსოფიას, მიზანს მეტად მარტივსა და, ამავე დროს, ჯანსაღს, ასე გადმოგვცემს: „მინდა მეც ვთქვა ჩემი სიმღერა, თუ როგორ ვლოცავ სოცოცხლის მადლს, თუ მეგრულში გული სიყვარულის ბუდედ როგორ ჩამიდეს“. ღამით სოფელში ღამებებს აქრობენ და „მხოლოდ ერთი რჩება ისევე იმ ადგილას, სადაც პირველად აინთო მკრთალი ნათელით“. აი, ეს მორთოლვარე ნათელი იზიდავს მინიატურის გმირს და მასში მღვდლვარე ფიქრებს უხსნის გზას. „რამ დატოვა იქ შექვი? სიხარულმა თუ გლოვამ?“ ავტორის სურვილი ერთია: „ღმერთო, — ამბობს იგი, — დახოჯე ის სახლიც, განარიდე მწუხარებას, ეს მშველი ღამე ჩემს ქვეყანაში ყველას ბედნიერი გაუთენე“. ეს ოცნება, ეს გაუნელებელი ფიქრი ბედნიერი დღის გათენებაზე, ეს მუდმივი სურვილი ადამიანისათვის სიხარულია მინიჭებისა, ეს დაუსრულებელი ღრთოვა სინათლისადმი შეადგენს სერგო კლდიაშვილის შემოქმედების მთავარ მოტივს, მის წამყვან იდეალს და, მართლაც, ყველა მის ნაწარმოებში ჩვენ გვესმის ფეთქება გულისა, რომელიც ადამიანისადმი სიყვარულის ბუდეც წარმოადგენს.

ამ მხრივ სერგო კლდიაშვილის მთელი შემოქმედება ხასიათდება მაღალი ზნეობრივი იდეალით. მის ნაწერებში პირველ პლანზე წამოწეულია ადამიანის საზოგადოებრივი დანიშნულებების საკითხი.

ცნობილია, რომ სერგო კლდიაშვილი თავისი ლიტერატურული სიმპათიებით ეკუთვნოდა „ციცფერყანე ელები ს“ ჯგუფს. ამ ჯგუფთან იყო დაკავშირებული მისი შემოქმედებითი ცხოვრება. მან საკმაო რთული ლიტერატურული გზა განვლო. მისი მცირე მოცულობის მინია-

ტურები, რომლებიც ზრტუმეშვილს იბეჭდებოდა ჩვენს რედაქციის მხრივ ეურნალ-გაზეთებში და შემდეგაც, დეკანოსის საკმაოდ ღრმა კვალს ატარებდა. მწერლის ამ პერიოდის შემოქმედებას დღეს მხოლოდ ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა თუ აქვს. სერგო კლდიაშვილის შემოქმედებითი აღმავლობა აღბეჭდილია იმ ნოველებსა და რომანებში, რომლებიც ჩვენს სინამდვილეს ასაჩვენებელია პოზიციებიდან. ასახვევ მთელ მის მრავალფეროვნებასა და წინააღმდეგობაში. ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორი ხშირად გაურბის მუქ საღებავებს და უპირატესობას აძლევს ხალისიან, რბილ, ნახევარტონებს. მისი ნოველები და მოთხრობები ნაკლებად გამოირჩევიან მძაფრი შინაგანი ხვეულებით, განგებ გართულებული სიტუაციითა და დრამატიზმით. ამ ნოველებში ცოცხლობენ ადამიანები, დაჯილდოვებული მაღალზნეობრივი სულით. კეთილი, კაცთმოყვარე, ჯანსაღი გულით. ავტორი ადამიანის ღირსებას აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებს ის საზოგადოებრივ დანიშნულებას, რამდენად პარამონიულად არის განვითარებული მისი სულიერი ცხოვრება.

სერგო კლდიაშვილის ნაწარმოებთა შორის შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე მოთხრობა, რომლებიც ფსიქოლოგიური სიმძაფრითა და მოვლენათა დრამატიზირებით ხასიათდება. როგორც მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ მოთხრობა „პატარა სოცოცხლე“, რომლის მთავარი გმირის სალომეს სოცოცხლე ტრაგიკულად თავდება. ეს ქალიშვილი გარემოდან ამოვარდნილად გრძნობს თავს. უბრალო, ბრეტენზეებს მოკლებული, მაგრამ ფიზიკურად და, ვიტყვით, სულიერადაც ღამაზი სალომე მაღალ, უმანკო სიყვარულზე ფიქრობს; მის გარემოში კი ფუსფუსებენ შეზღუდული გონების, ძველი ტრადიციების მორჩილი ბიძა და ფუქსიკატი, მსუბუქი ქცევის ორი ახალგაზრდა, რომლებსაც იგი (სალომე) სათამაშო



ტიკინად უნდათ გახადონ. სალომე თავს იკლავს. ვიმეორებ. ეს მოთხრობა, რომელშიც ადამიანის ბედი ასე ტრაგიკულად არის გადაჭრილი, სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში გამოჩაჩქარების სახით არის წარმოდგენილი.

დასახელებული მოთხრობა სხვა მხრივაც საინტერესოა. ნაწარმოებში მოქმედება ვითარდება რომელიღაც მივარდნილ, პროვინციულ დაბაში, სადაც ცხოვრება მაიმინარეობს დღენდ, შეუშფოთებლად. შეუბრუნებლად, წყნარად. კიდევ მეტი: თითქოს ცხოვრება ამ დაბაში ერთ დონეზეა ვაყინული და არავითარ ცვლილებას არ განიცდის. აღსანიშნავია, რომ სერგო კლდიაშვილი თავისი გმირების სამოქმედო ასპარეზად ხშირად სწორედ ასეთ მიყრუებულ, მთავარი შარავნიდან განზე მდებარე რომელიმე ქალაქსა თუ დაბას იღებს. ასეთია მოთხრობა „პატარა ცხოვრება“, რომანი „მყუდრო საფანჯრა“, „ქალაქი ხევში“, „დაკარგული თასი“ და სხვ. ამ გარემოებას არ უნდა პქონდეს შემთხვევითი ხასიათი ს. კლდიაშვილის შემოქმედებაში. პირიქით, ავტორი, ცხადია, სავსებით შეგნებულად მიმართავს ამ, თუ შეიძლება ითქვას, შემოქმედებით ხერხს. ერთი რომ გმირთა სამოქმედო არე, გეოგრაფიული არე როგორღაც თავის კვალს აჩვენებს მათ ხასიათზე. ავტორის წერის მანერაზე, სტილზეც. მართლაც, იმ ადამიანების ხასიათები, ქცევანი, მოქმედებანი, რომლებიც ასე ცოცხლად, სისხლსორცხულად ესახებიან ავტორს, უფრო შეესაბამებიან, მეტ პარამონიულ კავშირში იმყოფებიან გარემოსთან, რომელშიც ისინი მოქმედობენ, ხარობენ თუ დარდობენ, ერთი სიტყვით, ცხოვრობენ. მეორე მხრივ, მოქმედების გამლა პროვინციულ დაბაში თუ ქალაქში, რომელსაც ქათქათა მთვარე ანათებს, პატარა მდინარე ჩაუდის, სადაც უმეტესად ოდა-სახლები დგანან და ღამით ღამფები ბეუტავენ, ხშირად კი ამ ღამის მყუდროებას გიტარის ელერა და ახალგაზრდების ხმატკბილი ღლინი არღვევს, მეტ საშუალებას აძლევს ავტორს გამოიყენოს ეს

ერთგვარად იდილიური ექვეყნება. ეს პატრიარქალური ყოფა კონსტრუქციულად საქმნელად იმ აღორძინებასთან, ვადლიერებულ მაჯისცემასთან, რაც ხვენში ახალი ცხოვრების დამკვიდრებას მოჰყვება შედეგად. ასეა თუ ისე, სერგო კლდიაშვილის ნაწარმოებებში მოქმედი ხალხი როგორღაც უფრო თავისუფლად, ხალვათად გრძნობენ თავს არა ხმაურით სავსე, ინდუსტრიულ ქალაქში, არამედ რომელიმე უშფოთველ, მივარდნილ ხევში, სადაც მკაფიოდ ისმის ბალახის სუნთქვა და ყვავილთა შრიალი. ანგარიშგასაწევი ის გარემოებაც, რომ სერგო კლდიაშვილი უფრო ბუნებრივად გრძნობს თავს მიწასთან, ვარსკვლავთან ცასთან, ტყისა თუ მდინარის მარად ჩურჩულთან, ვიდრე ასფალტთან, ელექტრონის ფარფაშთან ან ქარხნის ხმაურთან. ავტორისთვის უცხოა ურბანისტული გატაცება. სერგო კლდიაშვილი თავის მოთხრობებში ხშირად უპირატესობას აძლევს „სოფლურ პრიმიტივიზმს“ და არა ტექნიკურ რევოლუციას, რომელიც, მისი აზრით, ადამიანის სულს უფრო ცალმხრივად ავითარებს, ზღუდავს მის ემოციურ სამყაროს. მწერლის შემოქმედებითი ორიენტაცია „პროვინციის ყოფისაკენ“, ვფიქრობ, ასეთი სულიერი განწყობილებით აიხსნება. ცხოვრების ამ ფილოსოფიაში არაფერია საკამათო, თუ მხედველობაში მივიღებთ სერგო კლდიაშვილის ერთ ზოგად შეხედულებას სიცოცხლის არსზე. მე მინდა მოვავაირო მკითხველს რომანის „მყუდრო საფანჯრა“ ერთ-ერთი გმირის, ბუკინისტის სიტყვები, რომლებითაც ის ირიწის მიმართავს. „აი, ამ ბოლო დროს, მრავალი კარგი და თვალსაჩინო პიროვნება გადავიდა აქედან დიდ ქალაქში (ივლისსხმება პატარა ხევიდან). მერეღარატომ? განა ასე ცუდია აქ? განა შეიძლება, რომ ცხოვრება ცუდი იყოს სადმე?“ ეს სიტყვები ავტორისეული უნდა იყოს, მის აზრს უნდა გამოხატავდეს. ავტორის რწმენა ის არის, რომ ცხოვრება ყველგან კარგი შეიძლება იყოს. ეს დამოკიდებულია ადამიანზე, მის აქ-

ტიობაზე, ნებისყოფაზე. მოხუცი ბუკინისტი თავის მრწამსს ასე ასაბუთებს: „თბილისში — კარგია. იცოცხლე, კარგი ქალაქია, ჩვენი ქვეყნის გულია, მაგრამ აქაც ხომ საჭიროა ხალხი? და მერე როგორ საჭიროა! საინტერესო ცხოვრება იწყება აქაც!“ ჩვენ უნდა გავიგოთ ავტორის გულის ტყვილი, რომ მას მიწასთან დაბრუნების ძველი ტრფობა არ დაეწამოთ. ამრიგად, სერგო კლდიაშვილის ასეთი აშკარა მიკერძოება „მყუდრო საფანისადმი“ კი არ არის მნიშვნელოვანი მის შემოქმედებაში, მთავარია ის ადამიანები და ის აზრობრივი მახვილი, რომელიც მწერლის ნოველებს ემჩნევა ის ნათელი განწყობილებანი, რომლებიც ასეთი უშუალოდ იტრებიან ჩვენს სულში და ჩვენს გრძნობებს ეუფლებიან ამ ნოველების კითხვისას. ანგარიში უნდა გავწიოს იმ გარემოებასაც, რომ მწერალმა ზემოდასახელებულ მოთხრობას „პატარა ცხოვრება“ უწოდა. ლამაზარა პატარა ცხოვრებაზე არა იმიტომ, რომ ეს ცხოვრება უმნიშვნელო დაბაში მიმდინარეობს, არამედ ცხოვრება ყველგან შეიძლება კარგად მოეწყოს. ეს ცხოვრების შემოქმედ ძალაზე — ადამიანზე არის დამოკიდებული. პატარაა ეს ცხოვრება თავისი შინაარსით, უპერსპექტივობით. იმიტომ იგრძნობა მოთხრობაში ავტორისეული სევდის კვალი, გულის ტყვილი. ეს ცხოვრება მოკლებულია გაქანებას, საზოგადოებრივ მაქისცემას, დაცლილია ღრმა ვნებათაღელვისაგან. სულიერი სწრაფვანი ქალიშვილისა, რომელიც ბიძასთან ჩამოსულა დროებით, გაუგებარი რჩება და იგი (სალომე) იძულებული ხდება თვითმკვლელობით დაასრულოს თავისი ხანმოკლე სიცოცხლე. მაგრამ მწერალი ისეთი რბილი და თბილი საღებავებით ხატავს ამ ქალიშვილის სახეს, რომ იგი სიბრალულსა და თანაგრძნობას იწყევს მკითხველში. ვიმეორებ, ასეთი ტრაგიკული ბედის ადამიანები მწერლის მოთხრობებში იშვიათად გვხვდება.

სერგო კლდიაშვილის შემოქმედებითი ენერგია სხვა მიმართულებით პოულობს

გამოსავალს. მწერლის ნოველებში ცხოვრების მიმდინარეობაში, რომელიც რეალისტურ აღქმაში მდგომარეობს. მისი ნოველების დიდი უმრავლესობა ლიმილის შუქით არის განათებული. ადამიანის და მისი ცხოვრების დიდი სიყვარულით არის გამთბარი. მწერლის სიყვარულს მიწისადმი ღრმა საზოგადოებრივი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ნაციონალური გრძნობა ასაზრდოებს. საყურადღებოა ამ თვალსაზრისით მისი ნოველა „ნაბოლარა“, რომელსაც მშობლიური მიწის ღრმა სიყვარული უდევს საფუძვლად: სერგო კლდიაშვილი ხშირად ხატავს მოხუცის შესანიშნავ პორტრეტს. ასეთია, თუნდაც, მის მიერ დახატული ცოცხალი სახე არქიტექტორ კორსაველისა („მყუდრო საფანი“). მწერლის ნაბატი ყოველთვის ისტატიის ხელით არის შესრულებული. „ნაბოლარა“ მთავარი გმირი მოხუცი იორდანეა. მწერლის აღწერით, სახის დახვეწილი ნაკვთებითა და ბიბლიური თეთრი წვერებით მოგვაგონებს ფრესკაზე დახატულ მოციქულს. მოხუცის უფროსი შვილი სამამულო ომში დაიღუპა. ცოლი ადრე გარდაეცვალა. რძალმა აღარ ისურვა მამამთილთან ცხოვრება, ოდა-სახლი გაყიდა და მშობლებს დაუბრუნდა. უმცროსმა შვილმა სკოლა დაამთავრა; სოფელი მიიტოვა, ქალაქს მიაშურა და აქ ბულატერიიაში მუშაობა ამჯობინა. სოფელში დარჩა მოხუცი იორდანე, რომელიც ჩამქარალი კერის წინაშე აღმოჩნდა. მოხუცს თავისი არასახარბიელო მდგომარეობა როდი ადარდებს. ის უფრო შორს იყურება. მისი გულისტყვილი სხვა, უფრო ღრმა, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მიზეზითაა გამოწვეული. მის წუხილს პატრიოტული გრძნობა აძლევს ძალას და შინაარსს. — „აქ მათთვის საქმე არ მოიძებნება, რომ ქალაქ ადგილას გარბიან?“ — ამბობს მოხუცი მამა. „ან რომელ წიგნში ამოიკითხეს, სახლკარი მიატოვე, გადაშენდი, გადაგვარდი, შენიანიც დაივიწყე და შენი ბუდეც მოიშალო“. ასე მარტივად, უბრა-

ლოდ და სწორად განმარტავს მოხუცი პატრიოტიზმის არსს. ვფიქრობ, რომ სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში მოწოდების „მიწისაკენ დაბრუნების“ ჩარჩოები ფართოვდება და იგი ღრმა საზოგადოებრივ-ნაციონალურ ხასიათს ღებულობს.

საერთოდ, პატრიოტიზმის ცნებას ს. კლდიაშვილის შემოქმედებაში მიღებული აქვს საესეზოთო კონკრეტული, ხელშესახები სახე. ამ ცნებაში არაფერია განყენებული, აბსტრაქტული. ამიტომ იგი გასაგები და ადვილად აღსაქმელიცაა. მოთხოვნა „დაკარგული თასის“ ერთ-ერთ გმირს გივი გორდაძეს, პირველ რიგში, უყვარს სოფელი შინდოვანი. რატომ? იმიტომ, რომ მისი პატრიოტიზმი სწორედ ამ სოფელში ღებულობს სათავეს. და ეს პატრიოტიზმი მეტად ადამიანური და კონკრეტული ხასიათისაა. უყვარს იმიტომ, რომ, მისივე თქმით, ამ სოფელში „დაინახა მშობლიური ცა, აქ გაიგონა პირველი ზღაპარი, აქ გაიშალა გული სიყვარულისათვის. აქ ყოველივე შეერთებული მოგონებებთან იმ ადამიანებზე, „ვინც სიცოცხლის ხალისი მომცა და მზის საგალობელი მასწავლა. სამშობლო — ეს ხომ თქვენა ხართ, კეთილო ადამიანებო, რომლებმაც მეკრძღვი გული სიყვარულის ბუდედ ჩამიდეთ“. ამ ამონაწერში ბევრი რამ არის საყურადღებო-მშობლიური სოფელი მოთხოვნის ლირიკულ გმირს უყვარს იმიტომ, რომ აქ გაიშალა გული სიყვარულისათვის. ლაპარაკია ძალადი ზნეობრივი ძალით აღჭურვილ სიყვარულზე ადამიანისადმი. იმიტომ, რომ ეს სოფელი დაკავშირებულია მოგონებებთან ისევ და ისევ კონკრეტულ ადამიანებზე, რომლებმაც სიცოცხლე შეაყვარეს და „მზის საგალობელი შეასწავლეს“. სამშობლო მოთხოვნის გმირისათვის, ამ შემთხვევაში თვით ავტორისათვის, სხვა არაფერია, თუ არა კეთილი ადამიანები, რომლებმაც მას (გმირს, ავტორს) მეკრძღვი გული სიყვარულის ბუდედ ჩაუდეს. ავტორი წუთითაც არ უშვებს მხედვე-

ლობიდან კეთილ ადამიანებს, რომლებსაც გული სიყვარულით უჭამებდა და აქცეული. ამრიგად, სამშობლოს ცნება ს. კლდიაშვილის მთელ შემოქმედებაში მკიდროდ და უშუალოდ არის დაკავშირებული ჰუმანიზმის იდეასთან.

მე მიყვარს სერგო კლდიაშვილის ორი პატარა მინიატურა, ესენია: „სოფლის გზაზე საქართველოში“ და „როცა ზედახნიდან გავცქერი“. პირველში დახატულია ქართული სოფლის მიწოდველი სურათი: პატარა ეზო, კონიდარით დაფარული. ლეღვი, ატამი და სხვა ხეხილი, რომელთაც უხვი ნაყოფი ასხია. ეზოს გადაღმა მოსჩანს ჩაღურჯებული სივინდის ყანა და ვენახი. ეს სურათი დახატულია ნამდვილი ფერწერული ოსტატობით. მაგრამ ეს ცოცხალი სურათი როდია მთავარი. მთავარია ის სულიერი კავშირი და ურთიერთობა, რომელიც მინიატურის ლირიკულ გმირსა და ეზოს მფლობელთა შორის არსებობს; ის ტრადიცია, რომელსაც სოფელი მტკიცედ იცავს. ამ მეტად ჰუმანურ ტრადიციას თავისთავად ნაციონალური ხასიათი აქვს და ამიტომ ავტორი მის საფუძველზე მტკიცედ დგას. ქალიშვილმა წყაროდან ცივი წყალი მოარბენინა თუნგულით, მგზავს წყურვილი მოუკლა. ქალიშვილის მოხუცმა მამამ მგზავრი ეზოში შეიპატიჟა, ქალიშვილს ტაბლა დაადგმევინა და სტუმარს ლეღვით ატმითა და ლვინით გაუმასპინძლდა. დალოცეს, ერთმანეთს სიკეთე უსურვეს. მგზავრი ხალისიანად გაუდგა კუბას. იგი კეთილმა ხალხმა მოხიზლა მას იმედით აევსო გული: ყველგან პატიოსანი კერა ეგულდება. ფინალი აღსარებასავით გაისმის: „რა დამღლის ვიარო წმინდა ქართულ მიწაზე, რა დამღლის ვუცქირო ჩემი ქვეყნის ცასა და მზეს! ამაზე მეტი სიკეთე რა ვინატრო!“ ეს სიტყვები ავტორის დეკლარაციული განცხადება როდია! ამ ნაწარმოებთა გმირები კი არ წარმოთქვამენ მხოლოდ ლამაზ სიტყვებსა თუ ტრადიციებს სიკეთეზე.

კეთილშობილურ ქცევასა თუ ადამი-
ჩვევებზე, არამედ თავიანთი მოქმედე-
ბით, საქმით ვვიჩვენებენ მაღალი მო-
რალის მაგალითებს.

შხატერული ფრაგმენტი „როცა ზე-
დაზნიდან ვაცქერი“ იმითაა საყუ-
რადლებო, რომ მასში იკრძნობა ავტო-
რის ეპიზონერული ხილვა მშობლიური
ქვეყნის წარსულისა. ჩვენს წინაშე დგას
ავტორი ნათელმხედველი: მის წინ
აღმართულია გორგასალის ლანდი. იგი
ხედავს, როგორ ფრიალებს ივერიელთა
გაშლილი დროშა. აქაც არ ღალატობს
ავტორი წარსულის აღქმის თავის პრინ-
ციპს. იგი ხედავს არა ხანძრებში ჩაფერ-
ვლილ ძეგლებს, ხალხის დოვლათს;
არა, მის მიერ გამოყენებული საღება-
ვები აქაც ნათელია, სიცოცხლის დაშა-
კვედრებელი. იგი ხედავს ზურგებს,
ტაძრებსა და პალატებს რომ აგებენ.
„ყოველი მტკაველი მიწისა წმინდაა აქ
და მის სიღრმეში უშვენიერეს სერა-
ფიტებს სძინავთ“. მოკლედ რომ ითქ-
ვას, ავტორი ჩვენი ხალხის წარსულს
ხედავს არა მისი ტრაგიკული დაცემი-
სას, არამედ გამარჯვების კაშკაშა წუ-
თებში. და ისიც აღსანიშნავია, რომ ს.
კლდიაშვილი უშუალო კავშირს ამყა-
რებს ამ დიად წარსულსა და უფრო
დიდ მყობადს შორის. მართლაც, მის
წინაშე ზედაზენის სიმაღლიდან ოსლე-
ბა ახალი დიდებით მოსილი ვარემო-
სივრცე. ავტორს ხიზლავს აყვავებული
ქართლის ბაღები, ოროველას ტკბილი
ხმა, ყანებიდან რომ ისმის. მისთვის გა-
ცილებით მეტი ღირებულება აქვს იმ
ვარემოებას, რომ ცოცხალი სერაფიტე-
ბი დადიან გახარებული მიწაზე და ახა-
ლი ზურონი ფოლადის ქალაქებს აშეხე-
ბენ. ასე ვაბედულად იკრება თანამედ-
როვეობა წარსულის ხილვაში და
ფრაგმენტს ცხოველ-ფლერადობას ანი-
ჭებს.

ნამდვილი ოსტატ-ნოველისტი, ზე-
ლი ჩანს ისეთ შხატერულ შედეგებ-
ში, როგორცაა „პინკა ბიჭები“, „პირ-
მშო“, „თქვენი გამარჯვებისა, ძმებო“
და სხვა ნოველები. ეს ნოველები თე-

მატიკურადაც ენათესავებოდა ერთმან-
ეთს და ყოველი მათგანშიც სიყვარულს
უწყვეტობას, მარადისობას უმღერის.
დიდძალი მსხვერპლი შეიწირა სამამუ-
ლო ომში, ავტორის გული დარდის
ტყვეობაშია, მაგრამ საბოლოოდ მას-
(ავტორს) ეუფლება იმედი, რწმენა
იმისა, რომ ხალხი უყვდავია. ეს რწმენა
იკრება ავტორში, როცა ხედავს პატა-
რა, ცელქ, მოთამაშე ბიჭებს, რომლე-
ბიც მომავალში დაღუპულთა ადგი-
ლებს დაიკავებენ სიცოცხლის დაბა-
დებას შეხარის ავტორი, ადამიანის გა-
ჩენას აღიღებს იგი ფრაგმენტებში —
„პირმშო“ და „თქვენი გამარჯვებისა,
ძმებო“. — აღიღებს იმიტომ, რომ, მი-
სი აზრით, ადამიანი გაჩენილია არა ტა-
ნჯვისათვის, არამედ სიხარულისა და
ბედნიერებისათვის. ეს ცხოველყოფე-
ლი ოპტიმიზმი უდევს საფუძვლად არა
მხოლოდ დასახელებულ ნოველებს,
არამედ ს. კლდიაშვილის მაღლიან შე-
მოქმედებას, და ეს ვარემოება კიდევ
უფრო ზრდის ამ შემოქმედების ესთე-
ტიკურ ღირებულებას. ერთი დღის ბავ-
შვი სიხარულის შექს ფენს არა მხოლოდ
დღდას—ირინეს, არამედ ბებიაქალსაც.
მაშა ხომ სიხარულით თითქმის სი-
გიყემდეა მისული. ავტორი ასე ვადმო-
სცემს მის განწყობილებას. „ეინმეს
რომ ეკითხა, კეთილი, მაგრამ რა მოხდა
ასეთი? მუქისოდენა ერთი ბავშვი გაჩნ-
და ქვეყანაზე, სხვა ხომ არაფერი? —
აღბათ, ვერაფის უბასუხებდა, რას გა-
მოეწვია ასეთი სიხარული?“ შეიძლება
ვერ უბასუხებდა, მაგრამ იგი ნათლად
განიცდის დიდ აღტაცებას, იმიტომ,
რომ „ყოველივე, რასაც ხედავდა, მია-
ჩნდა მახლობლად და მშობლიურად,
სადაც შრავალ სხვასთან ერთად, ვაიხა-
რებდა მისი პატარაც, რომელსაც პირ-
ველ დღიდანვე ვალად დასდებოდა სი-
ყვარულით ეპასუხნა იმ სიყვარულზე,
რომლითაც მის გაჩენას შეეგებნენ“. ავტორის შეხედულება ადამიანის და-
ნიშნულებაზე ნათელია: იგი გაჩენილია
იმისათვის, რომ ადამიანი უყვარდეს.

ცხადია, ავტორი საყოველთაო სიყვარულის ნიადაგზე როდი დგას. ადამიანი პატივით უნდა მოექცეს ისეთს, რომელიც მალაზნეობრივი პათოსით არის დაჯილდოებული. ეს სიყვარული საესეზოებით კონკრეტული და გარკვეული შინაარსისაა. საქმე ისაა, რომ ს. კლდიაშვილის მოთხრობების კითხვისას არ დამპირებია ამ რაღაც პანთეისტური სიყვარულის მაჩვენებელი ადგილების ძებნა, ვინაიდან ყველა მოთხრობაში პატრიოტი მოქალაქის გულისცემა ისმის. რომ კიდევ უფრო ნათელი გახდეს ს. კლდიაშვილის პუნანისტური მსოფლმხედველობა, შევჩერდები ერთ-ერთ ნოველზე. ასეთებია, თუნდაც „დაბრუნება“ და „ბნელ ღამეში“. ორივე ნოველა სამამულო ომის თემაზეა აგებული, ამ ომით გამოწვეულ ტკივილებზეა ლაპარაკი. მაგრამ ეს დიდი ომი და ეს ღრმა ტკივილები უფრო ფონის როლს ასრულებენ. ავტორი ერიდება უშუალოდ ომის სასტიკი სურათების აღდგენას. ერიდება საესეზოთ გასაგები მიზეზით. მას არ უნახავს ეს ომი, არ განუცდია უშუალოდ ომის საშინელებანი. ფრონტზე არ ყოფილა. რაც არ განუცდია, მის მხატვრულ ასახვას გაურბის. და თუ ზოგ შემთხვევაში მაინც მიმართავს სამამულო ომის სურათის დახატვას — ეს სურათი უფრო სქემატური და ზოგად ფრაზებზე აგებული ჩანს. ასეთებია, ვფიქრობ, მოთხრობები „ზურია“ და „ერთი მოხუცის ამბავი“, რომლებიც ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს გაზეთებში ამოკითხული ამბების ილუსტრირებას წარმოადგენენ, ისინი მოკლებული არიან კონკრეტულ სურათებსა და დეტალებს, რომელთა დანახვასა და მხატვრულად გაცოცხლებაში ს. კლდიაშვილს ბევრი მწერალი ვერ აუბამს მხარს. სულ სხვა ხასიათისაა „დაბრუნება“ და „ბნელ ღამეში“. ამ მოთხრობებში სამამულო ომი და მის მიერ მიყენებული ჭრილობები როდი დგას პირველ პლანზე. ავტორის შემო-

ქმედებითი ფანტაზია მესტეფის ტექნიკრივ და ორგანულ საეფუფელოდ მუშაობს. აღნიშნულ მოთხრობებში ჩანს ომის მხოლოდ ანარეკლი. ასეთია შესანიშნავი ნოველა „ბნელ ღამეში“, რომლის ორივე პერსონაჟმა — პროვიზორმა მაკარიმ და ფოსტის მოხელე მირიანმა — არ შეიძლება გულწრფელი სიმპათიები არ აღძრას მკითხველში, ისეც ცოცხლად და ადამიანური თვისებებით არიან ისინი წარმოდგენილი. რაკარგი მხატვრული გემოვნებით და ზომიერებით არის დახატული ღამე, რომლის მყუდროებას სახენიტო ზარბაზნების სროლა არღვევს. ენაკვიმატო მაკარი და უფრო სევდას მინებებული მირიანი გუშაგებად დგანან. ბნელში სკამზე ბოთლი ღვინო დაუდგამთ და ატამი დაუყრიათ. თავის მოვალეობის შესრულებასთან ერთად, ხილს შეექცევიან და ღვინოსაც წრუბავენ. სულ უმნიშვნელო დეტალი — ატმის დაკარგვა ბნელში და მისი ძებნა, მთელ სურათს აცოცხლებს. ვინც იმ დროს მართლამდგარა გუშაგად, მას უსათუოდ ნათლად წარმოუდგება ეს მართლად დახატული სურათი. მეგობრები კეთილი ბუნების ადამიანები არიან. მაკარი კოლაეს მირიანს, რომელსაც ცოლი არ შეურთავს, მაგრამ ამ გაკილვაში რამდენი სიყვარული და პატივისცემა იგრძნობა. თვითონ მაკარის შეილება სამამულო ომის ფრონტებზე იბრძვიან. და როგორი სტოიკური სიმშვილით იხსენებს მათ! მის სიტყვებში სიამაყე და საქვეყნო საქმის წინაშე დიდი პასუხისმგებლობა იგრძნობა: „— თუ დამიბრუნდნენ, ზომ კარგი, და თუ ვერა... — ეუბნება ოდნავ სევდანარევი ტონით მაკარი მეგობარს, — მადლობა ღმერთს ჰქონდეს, უპატიოსნოდ იცხოვრესო, ამას მაინც ვერაფერ იტყვის“... მაგრამ ამ უბრალო ადამიანის, პროვიზორის ხასიათის დიდბუნებოვნებას უფრო მისი უკანასკნელი სიტყვები ააშკარავებს. აი, როგორ ეთხოვება ის მირიანს დამორებისას: „საწყენად არ მიიღო ჩე-



მი სიტყვები. მეც ვიცი, ოხერი ენის პატრონი ვარ და რა ვქნა. ისე კი, ღმერთმა იცოდეს, კეთილი გულით ვითხარო, შეზობლურად, მეგობრულად, გაუღიმე, ძამიკო, ცხოვრებას და მაშინ ისიც გაგიციანებს. თუ არა და, იცოდე, ძაღლივით სადმე ღობის ძირში ამოგძვრება სული!" ამ სიტყვებში ცხოვრების მთელი ფილოსოფია არის მოცემული ბედნიერია ის, ვისაც შეუძლია ცხოვრებას გაუღიმოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია ცხოვრებას სიცილითვე უპასუხოს მას. აღნიშნული მოთხრობის ფარული აზრი ისაა, რომ სამამულო ომმა არა თუ გააბოროტა საბჭოთა ადამიანი, ამ შემთხვევაში, მაკარი რომელსაც ორი შვილი ფრონტზე ჰყავს; არა თუ გააღვიძა მასში ველური ინსტიქტები. არამედ, პირიქით, უფრო გააფაქრა მისი სულიერი ცხოვრება. მორალურად აამაღლა, მეტი ზნეობრივი ძალა მიანიჭა.

ახეთივე ხასიათისაა მეორე მოთხრობა „დაბრუნება“, რომლის გმირები — მოხუცი რაფიელ სიმონიშვილი და ვალერიან ნადირაშვილი — საოცრად კეთილი ადამიანები არიან. რაფიელის შვილი სამამულო ომში შეიწირა. მისი ფრონტელი მეგობარი იყო ვალერიან ნადირაშვილი, რომელიც მამას ესტუმრა იმ მიზნით, რომ შვილის ამბავი უამბოს და ნუგეშის სიტყვა უთხრას. რაფიელი არა თუ რაიმე შურს გრძნობს შვილის მეგობრისადმი, არამედ მას, როგორც შვილს, ისე მიიღებს და ალერსით გულს გაუთბობს. იგი იმდენ ტაქტს და ადამიანობას იჩენს, რომ არც უნდა რძლის თანდასწრებით ილაპარაკოს ვალერიანმა დაღუბულ შვილზე, არ უნდა, რომ რძალს ჭრილობა გაეხსნას. ავტორის თქმით: „ვალერიანი ალერსსა და გულის სითბოს გრძნობდა. მას სიამოვნებდა ამ კეთილ ადამიანთა შორის ყოფნა“. და, მართლაც, ნებისყოფის როგორი დაძაბვა დასჭირდებოდა მოხუცს, რომ ვალერიანის ნაამბობი მოესმინა შვილზე. მოხუცი

ერიდება წუწუნს. მისთვის უფრო ზნეობრივ კატეგორიას ქვეყნისა და შვილისა შეადგენს, პირველ რიგში. ჩვენ საქმე გვაქვს ჯანსაღი სულის პატრონთან, რომელსაც სიციოცხლის მარადისობა სწამს და შვილის შვილში ხედავს დიდ მომავალს. აღნიშნული მოთხრობის აზრი სულ პატარა დიალოგშია მოქცეული აი ეს დიალოგიც:

„დავლით სიციოცხლის სადღეგრძელო“, — ამბობს ვალ. ნადირაშვილი. მოხუცი რაფიელი უპასუხებს: „ჰმდა! რამდენი სასიამოვნო ადამიანია ქვეყანაზე! ღმერთმანი ღირს სიციოცხლე“. ეს აზრი ვასდევს ს. კლდიაშვილის თითქმის ყველა ნოველას. სიციოცხლე — ეს უმაღლესი მადლია, მაგრამ როგორი სიციოცხლე? იხეთი. რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ს. კლდიაშვილი სიციოცხლის დაუღალავი მომღერალია.

საქიროდ მიმართა შეგჩერდე ორ მოთხრობაზე, რომელთაც ს. კლდიაშვილის შემოქმედებაში პრინციპული მნიშვნელობა აქვთ, რომლებიც ავტორის სიმპათიებზე და მის შემოქმედებით დაინშნულეებაზე მიგვიითითებენ. მხედველობაში მაქვს „სერაფიტა“ და, ნამდვილი მხატვრული მღელვარებით დაწერილი, „მინდრის ყვავილი“. ს. კლდიაშვილი იშვიათად იჭრება ჩვენი წარსულის სიღრმეებში, არ უყვარს ჩვენი ხალხის წარსული დიდების გამოყენება თავისი ნოველების სიუჟეტად და ამ ხერხით მკითხველში პატრიოტული გრძნობის აღზრდა. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი მისი ნაყოფიერი შემოქმედება იქითკენ არის მიმართული, რომ მკითხველში გააღვივოს ჯანსაღი პატრიოტული შეგნება. ერთი-ორი მცირე მოთხრობა, როგორც არის თუნდაც „ცოტენ დადიანი“, მხატვრული განზოგადების პრეტენზიას მოკლებულია და მასში ავტორი ცნობილ ისტორიულ ქრონიკას გადმოგვემს, მხოლოდ, ცოტა არ იყოს, სქემატურად. ვაცილებით მეტი პატრიო-

ტული მღელვარებით არის დაწერილი შესანიშნავი ნოველა „ტურისტები“ და ყველა ის მოთხრობა, რომლებსაც ჩვენ ზემოთ გაცერით, შეეცესთ. დაფუძრულდეთ მოთხრობა „სერაფიტას“, რომელიც ერთგვარ გასაღებსაც გვაძლევს იმის გასაგებად, თუ რატომ აძლევს ავტორი უპირატესობას თანამედროვეობის მიერ დაყენებულ მწვავე საკითხებს. „სერაფიტას“ მთავარი გმირია მოხუცი ექიმი მინდელი. იგი გულწრფელი პატრიოტია. ხშირად ფიქრობს წარსულის დიდ ძეგლებზე. ოცნებით ხედავს მცხეთის სამარხში აღმოჩენილ სერაფიტას ძვირფას, უნიკალურ სამკაულებს. თითონ სერაფიტას უჭკნობ მშვენიერებას. ექიმი კოლმეურნემ წაიყვანა სოფელში ავადმყოფი ცოლის სანახავად. ექიმს თან წაჰყვა მეგობარი არქეოლოგი. ძგზავრებს გზაში ხიბლავს „ლურჯად მოქათქათე ყანები და ვენახები“. ისინი აღტაცებული არიან „ქვეყნის მადლით“. თავისი პატრიოტული განწყობილების გამოსახატავად ექიმს სიტყვიც ვერ უპოვია. „იცი, რა ქვეყანაა საქართველო? — ეუბნება იგი არქეოლოგს. — არ ვიცი, როგორ ვთქვა, არ ვიცი, რას შევადარო, შეუღარები!“

გზაში, მაღალ ვორაკზე მათ წინაშე აღიმართა ძველი არქიტექტურული ძეგლი-ტაძარი. არქეოლოგი ამ ტაძრის დასათვალისწინებლად დარჩა, ხოლო ექიმი ავადმყოფის სანახავად წავიდა. თუმცა უკანასკნელის შორჩენის იმედი აღარ ჰქონდა, მაგრამ ექიმმა მაინც შეხაფერი დარიგება მისცა ადვილობრივ ახალგაზრდა ექიმს, წამლები გამოუწერა და დაბრუნდა. გზაში ხმამაღალი ტირილი შემოესმა. ცხადი გახდა, რომ ავადმყოფი გარდაცვლილიყო, ლამაზი, ახალგაზრდა ქალი, რომლის მხეხედვისას ექიმს სერაფიტა წარმოუდგა თვალწინ. ექიმი დაღონდა. დაირღვა მისი სულიერი წონასწორობა. მეგობარი არქეოლოგი ძველმა ძეგლმა მოხიბლა, მის იშვიათობაზე დაუწყო საუბარი ექიმს. მაგრამ უკანასკნელის ყურადღება სულ სხვა

მხრისკენაა მიმართული. იგი გარდაცვლილ ქალზე ფიქრობს. მუხუცხეში ავტორი თავის პირად აზრს აქსოვს. ეს აზრი მეტად საგულისხმოა, ვინაიდან იგი ს. კლდიაშვილის ლიტერატურულ პოზიციას მკაფიოდ არკვევს:

„ — მაგრამ, ჩემო კარგო, ცოცხალი ცხოვრება კიდევ უფრო მეტი და დიდი საქმეა. იმ იშვიათ და განუმეორებელ ნიქს, რომელსაც სიცოცხლე ეწოდება, ვერაფერი ვერ შეედრება. ერთი ჯანმრთელი, შრომის უნარიანი ვაჟაკი და დედა ჩემთვის უფრო საიმედო და გულთანაც ახლოა, ვიდრე ათასი ლეგენდარული სერაფიტი. ის მუხუცხეში გახლავთ. რა თქმა უნდა, მუხუცხეში მდიდარუნდა იქნეს, მაგრამ მე მინდა, რომ ჩვენი ცოცხალი ცხოვრება მომდინარეობდეს დაუშრობელ წყაროსავით და უფრო მდიდარი, უფრო სავეს გახდეს. მე მინდა, რომ აქ მჭიდროდ ცხოვრობდეს ხალხი...“

ექიმმა თვალი გააყოლა ცაზე მოწყვეტილ ვარსკვლავს. ავტორს მხედველობაში აქვს, ცხადია, ჩვენი ცხოვრების ცაზე მოწყვეტილი ვარსკვლავი — ქალი, რომელიც შრომათაობამ იმსხვერპლა სოფელში. ეს მოწყვეტილი ვარსკვლავი იწვევს მის გულში სევდას. ვფიქრობ, რომ უფრო ნათლად გამოხატვა ნამდვილი პატრიოტული განწყობილებისა ძალიან პატრიოტიზმი არ უარყოფს წარსულს, მაგრამ უპირატესობას აძლევს თანამედროვეობას. წარსული მდიდარი, მაგრამ მაინც მუხუცხეთანამედროვეობა კი — ცოცხალი ცხოვრებაა. ამ მოთხრობაში კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა დიდი ილიას ცნობილმა ეროვნულმა პროგრამამ:

მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...

ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს.

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფობადი.

ჩვენ უნდა მივეთო მომავალი ხალხს...

ეიმეორებ, მოთხრობა „სერაფიტა“ ს. კლდიაშვილის ნათელი მხატვრული აზროვნების ერთერთი ნიმუშია, რომელშიც ავტორმა მხატვრული სახეების მეშვეობით თავისი შემოქმედების მიზანდასახულობა, მისი მაღალი მოქალა-

ქობრივი დანიშნულება გვიჩვენა, შემოქმედების ცენტრში თანამედროვეობა, ცოცხალი ცხოვრების მიერ წამოჭრილი აქტუალური საკითხები და არა სამუხურუმო ძეგლები დააყენა. და, მართლაც, ს. კლდიაშვილი მთელი თავისი შემოქმედების ვნებათაღვლით სწორედ თანამედროვე სინამდვილეს უტრიალებს გარშემო, ამ სინამდვილეში პოულობს იგი მასალას.

პრინციპული ხასიათისაა აგრეთვე მეორე მოთხრობა „მინდვრის ყვავილი“, რომელიც, ვფიქრობ, დაწერილია ნამდვილი მხატვრული სინატიფით და დახვეწილი გემოვნებით. ნოველაში აღწერილია რკინიგზის სადგური, არგვეთა. ვარსკვლავიანი და ქართი შერხეული ღამეები. ისმის მავთულების სისინი. მატარებლები მიჰქრებიან. სადღაც ფერადი სინათლეები ბეუტავენ. ნოველაში იგრძნობა მანძილების სევდა. აქ ცხოვრობს ტელეგრაფისტი. მის სევდას აძლიერებს მარტობა. არ იცის, როგორ მოკლას თავისუფალი დრო. და ტელეგრაფისტმა გამოსავალი პოვა. ტელეფონით მეზობელ სადგურს დაელაპარაკა. ქალის ხმა გაიგონა, მგონი, სადგურის უფროსისა. მათ შორის ყოველ ღამე გულითადი საუბარი მიმდინარეობს ტელეფონით. თავის გართობა რაღაც გაურკვეველ გრძნობაში გადადის, ყოველ შემთხვევაში, ტელეგრაფისტის მხრით. წინათ არგვეთის სადგურის უფროსი გიტარით აბეზრებდა თავს. ახლა გიტარის ჟღერა მის წამებად გადაიქცა. ის მეორე სადგურის უფროს აგრაფინაზე ფიქრობს. ოცნებით იგი წარმოადგენილი ჰყავს სილამაზის განხორციელებად, როგორც მინდვრის ყვავილი. და მას კიდევაც შეაქცია ყვავილის სახელი—ყუყუნა, მაგრამ ტელეგრაფისტის სულის სიმშვიდე ერთმა გარემოებამ დაარღვია. სადგურზე ღამის გასათევად დარჩა ინჟინერი ქალიშვილი ელენე, რომელიც მეორე დღეს ელექტროსადგურის მშენებლობაზე უნდა წასულიყო. ამიერიდან ტელეგრაფისტში სრული გარდატეხა მოხდა. სინამდვილემ დაფარა ოცნების მიერ შექმნილი სახე.

აგრაფინა აღარც ვახსენებია. ცხოვრება ტელეგრაფისტის გვერდზე არაა დასრულებული. ეს ცხოვრება მის არსებაში შეიქცა გამოაცოცხლა, აღაგზნო, შრომისათვის განაწყობ, ნამდვილი სილამაზის სახე უჩვენა. წინათ ტელეგრაფისტს ადგილის დატოვება უნდოდა, სთხოვა კიდევაც რკინიგზის სამმართველოს, სხვაგან გადაეყვანა. თანხმობა მიიღო, მაგრამ ახალმა სინამდვილემ თვალი აუხილა, ნამდვილი სილამაზე განაცდევინა და აქვე, არგვეთში მუშაობაში ჩააბა. ეს მოთხრობაც, ვიმეორებ, ძალზე დამახასიათებელია ს. კლდიაშვილის შემოქმედების ბუნებისათვის, მისი მხატვრული კონცეფციისათვის.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ ს. კლდიაშვილის ნოველა „ტურისტის“, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. ეს მოთხრობა გვიჩვენებს, თუ რა ცხოველმყოფელი და უკვდავია, რა მაგრად არის წასული ადამიანის არსებაში ეროვნული გრძნობის ფესვები და როგორი ატავისტური ხასიათისაა იგი. ვიღაც ქართველი ემიგრანტის უკვე დაოჯახებული შვილი—სვანი სამშობლოში ჩამოვიდა, როგორც ტურიტი. მისი მეუღლე ინგლისელი ქალია, რომელშიც არავითარ ინტერესს არ იწვევს ბუნების წარმატაცი პეიზაჟები. ეს გასაგებია: ჩვენი ქვეყანა მისთვის უცხოა, მის გულს არაფერს ეუბნება, მაგრამ სულ სხვა გუნებაზეა ჩამოსული ქართველი. იგი თითქოს მონუსხულია ნახულით, აღტაცებულია. საკმარისია. სვანეთში მისულმა თავის სოფელს მოკრას თვალი (ალბათ, მამის აღწერით იცნო), ცხენს ფეხს შემოკრავს და, თავდავიწყებით, ქარავით გაქროლდება მისკენ. მასში გაიღვიძა, ფრთები შეისხა სადღაც, ქვეცნობიერებაში მთვლემარე ეროვნულმა სიამაყემ, სულმა და ერთიანად შეიპყრო მისი არსება. ასე ზრდის ავტორის მადლიანი კალამი მკითხველში ამაღლებულ პატრიოტულ სულისკვეთებას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ს. კლდიაშვილის იშვიათი მხატვრული ძალის

მქონე იუმორი, რომელიც ზოგიერთ მოთხრობაში, როგორცაა, მაგალითად, „დარდიანი კაცი“, „წმინდა აბესალომი“ და „ქალაქში“, უწყინარ ხასიათს ატარებს და მკითხველს უფრო ღიმილს გვრის, ვიდრე მწუხარებას, ხოლო ზოგიერთში („კარაბადინი“) საკმაოდ ნაღვლიანი და სევდის მომგვრელია. თუმცა ამ შემთხვევაშიც ავტორი არ დასცილდა ადამიანს, არამედ ეცოდება იგი, ვინაიდან მისთვის (ადამიანისთვის) ხასიათის ის უბადრუტობაც საკმარისია, რითაც იგი ბუნებას დაუსჯია. ასეთია პარმენ კვირია, მოთხრობა „კარაბადინის“ საბრალო გმირი. ეს ადამიანი თავისი ხასიათით, თავისი ემოციური სიძლიერით მაგონებს ჩეხოვის ცნობილ მოთხრობას „Человек в футляре“-ს. პარმენ კვირია თავის მეტად ვიწრო ნაქუჭშია ჩაკეტილი, ის უკმაყოფილოა ყველაფრით, იმითაც, რომ ქალაქი სახეს იცვლის. მას ყველაფერი ღლის: მზეც, სიარულიც, ქუჩის ხმაურიც, ნაცნობის შეხვედრა და სალამის მიცემაც. პარმენ კვირია, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველაფერში და ყოველთვის ხედავდა შტერს. ცხოვრება წარმოდგენილი ჰქონდა ავაზაკად, რომელიც ყოველ კუთხეში ჩასაფრებული იყო და მოსპობით ემუქრებოდა. ეშინოდა ადამიანის, ეშინოდა შხის, ღრუბლის, დღისა და ღამის“. ენდობოდა მხოლოდ ნადუღარ წყალს. ღრუბელს თუ მოპკრავდა თვალს ქალაქში გასვლისას, წაიღებდა საწვიმარს, გაზეთში გახვეულ კალოშებს. ერთ დღეს შინ რომ დაბრუნდა, ნადუღარი წყალი შეისხა პირზე, ერთი ყლუბი სასუნთქში გადასცდა, სლოკინი აუვიარდა, რა ღონე არ იხმარა, მაგრამ ვერაფერს გახდა. საბრალომ სული განუტევა. ასე უსახელოდ დასრულდა კვირიას უსახელო ცხოვრება, თუ შეიძლება ცხოვრება ეწოდოს მის მიერ გატარებულ დღეებს. ასეთი, თითქოს მკაცრი, მაგრამ არსებითად რბილი საღებავებით, დახატა მხატვარმა კვირიას სახე, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვა-

ლოს მცონარა, უქნარა, თავის ნაქუჭში მომწყვდეული ადამიანის ტიპად... ||

მინდა გვახსენო მკითხველს ცხოვრებას ნოველაც, რომელშიც ს. კლდიაშვილმა მლიქვნელის დაუეწიყარი სახე შექმნა. მხედველობაში მაქვს „ადრილის საიდუმლო“. ეს არის ნამდვილი სატირული მოთხრობა, რომლის მთავარი პერსონაჟი აფაკო იწყირველი (სახელიც რომ შესაფერო აქვს მოძებნილი!) ფეხქვეშ ევაბა ყველას, როცა უსაქმოდ დაეხეტება. საკმაო იყო რაღაც თანამდებობაზე დაენიშნათ, რომ ხასიათი სავსებით შეცვლოდა — ქედმაღალი და ამპარტავანი გამხდარიყო. ახლო ნაცნობსაც კი ძლივს უკრავდა თავს. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ მოიპოვებიათ აფაკოს მსგავსი კაცუნები, რომლებიც იმის მიხედვით მოქმედებენ, თუ რა წონის სავარძელში სხედან. მწერალი მოურიდებლად ხდის ნიღაბს და კიცხავს ასეთ უგულო, გამომწვრალ ადამიანებს, დასცილნის მათ.

ს. კლდიაშვილის კატმომყვარული გულის ფეთქვა მკაფიოდ ისმის აგრეთვე ერთ მოთხრობაში, რომელიც, შეიძლება ითქვას, მისი შემოქმედების გვირგვინს წარმოადგენს. ეს არის „შემოდგომის წვიმა“. მთელი მოთხრობა შემოდგომის წვიმის სევდით არის გაქდნთილი. ნაწარმოები მოგონების სახით არის დაწერილი. და ამ გარემოებას თავისი მხატვრული ფუნქცია აქვს დაკისრებული. სოფელში ყოფნისას მანკველის დანახვამ მოთხრობის გმირს ერთი ამბავი მოაგონა. ეს მოხდა ნაღვლიან თვეში — ნოემბერში, როცა გადაუღებლად წვიმდა და ყველაფერი წყლით იყო გაბერილი. ეზოში შემოვიდა მათხოვარი, მშვიერი და გაწუწული. დიდდამ მათხოვარი შეიერდომა: დააპურა და საბარჯო ღვინო დააღვინა, ბუხარში გააღვივა ცეცხლი, რომელმაც მათხოვარის არა მარტო სხეული, სულიც გაათბო. შემდეგ მათხოვარმა იმდენ ხანს იძინა, რომ დიდდამ ბუზღუნით უთხრა: „შენსავით გარე-გარე მავალი არ უნდა გაათბო, თურმე უფრო

საცოდავია მერე“. საცოდავია იმიტომ, რომ მათხოვარმა იგემა გადავიწყებული სითბოს სიტკბო და აღარ უნდა ისევ სიცივეს დანებდეს, აღარ უნდა ისევ „დაუსრულებელ სიცარიელეში ვაკომიულ გზას დადგეს“. მაგრამ ბოლოს მათხოვარი იძულებულია დანებდეს ბედს. წასვლისას იგი ნაღვლიანად ეუბნება დიდელას: „შენი კარგად ყოფნით, ნეტავი მართლაც არ ვაგეტბე“ და თავდახრილ-გაუყვება წამების გზას. როგორც ვხედავთ, მოთხრობა ღრმა შინაარსისაა, თავისი გააზრებით იგი ჰუმანისტური იდეალის მატარებელია, შეიძლება ითქვას, ფილოსოფიური შინაარსისაცაა. ჩვენს მესხიერებას, მართლაც, მრავალი განვლილი დღეების წუთებს და ხმებს ინახავს სადღაც, ქვეცნობიერებაში. იქ ცოცხლობენ სამუდამოდ და, როგორც მოთხრობის ავტორი ამბობს, ისინი ჩვენ „უჩინარ თანამგზავრებად დაგვყვებიან ყველგან და ყოველთვის“. ასე დაჰყვებოდა სითბოს განცდა მათხოვარს და მისმა მოვონებამ ახალი სულიერი ტკივილი აგრძნობინა.

აღარაფერს ვიტყვი ს. კლდიაშვილის ცნობილ მოთხრობაზე „ციცინო გურიელზე“, რომლის შინაარსიც ჩვენი რევოლუციური წარსულიდან არის აღებული და რომელიც ყოფილი შავრაზმელის დიმიტრი გურიელისა და მისი მშვენიერი დის ციციონის თავგადასავლის ერთ მონაკვეთს აცნობს მკითხველს. თუმცა პირადად მე ამ მოთხრობით არ ვარ აღფრთოვანებული, ვფიქრობ, იგი არ არის ს. კლდიაშვილის შემოქმედებითი სტიქიის დამაბასათებელი.

მინდა გაკეროთ შევხვო ერთ საკითხს: უკანასკნელ დროს ჩვენს კრიტიკაში გამოითქვა აზრი, თითქოს ახალგაზრდა მწერლების ნოვატორობა იმაშიც გამოიხატა, რომ მათ თავიანთი მოთხრობების გმირებად, მთავარ პერსონაჟებად გამოჰყავთ უბრალო, რიგითი ადამიანები. ეს აზრი არ არის სწორი. ახალგაზრდა მწერლების პრივილეგიას ეს გარემოება როდი წარმოადგენს. ვინაიდან, როგორც ცნობილია, ამ მხრივ ახალგაზრდა ნიჭი-

ერ პროზაიკოსებს ჰყავდათ მწიფე ნიჭი ბედები საბჭოთა ქართულ მხატვრულ რაში. ასეთია, თუნდაც, მხატვრული სიტყვის ჰემსარიტი ოსტატი სერგო კლდიაშვილი, რომელსაც, როგორც დავინახეთ, თავის მოთხრობებში სწორედ ისეთი ადამიანები ჰყავს დახატული, რომლებსაც არაფერი განსაკუთრებული რამ არ გაუეკეთებიათ, სამამულო ომის მონაწილეებსაც კი. ყველა უბრალო, რიგითი მუშაკია, რომლებსაც არასდროს არ უეგმნიათ რაიმე მაღალი თანამდებობის დიდება. ჩვენს ახალგაზრდა პროზაიკოსებს სხვა დამსახურება მიუძღვით ქართული პროზის შემდგომ განვითარებაში. ცხოვრება წინ მიდის. იგი ახალდაბალ საკითხებს აყენებს დღის წესრიგში. ეს მწერლებიც დროზე ეხმარებიან ახალ მოვლენებს.

ჩვენ ვთქვით, რომ სერგო კლდიაშვილი არის საყოველთაოდ აღიარებული ოსტატი ნოველის ქანრში. ამ მხრივ მას ცოტა ვინმე ჰყავს ბადალი ქართულ ლიტერატურაში. სწორედ ამ ქანრში გამომკლავნდა მისი სტილის თავისებურება და კეთილშობილება უფრო თვალსაჩინოდ. ამის დამადასტურებელია ცნობილი „სვანური ნოველები“, რომელთაგან თითოეული შეიძლება შედევრად ჩაითვალოს. ამ ნოველებში ანარეკლი ჰპოვა როგორც ფეოდალური სვანეთის სიმკაცრემ და ფეოდალების ვერაგობამ, ისე თავისუფალი სვანეთის რაინდულმა სულმა და პატრიოტულმა თავდადებად. ამ ნოველებში აისახა როგორც ძველი სვანეთის ადათ-ჩვევები, ისე ბრძოლა სვანეთში ახალი ცხოვრების დასამყარებლად. აღნიშნულ ნოველებში ს. კლდიაშვილი გვევლინება, როგორც შესანიშნავი მთხრობელი, მძაფრი სიუჟეტური ქსოვილის შემქმნელი. ყოველი ნოველა გამოირჩევა სიმკვრივით, რომელიმე ერთი ამბის გადმოცემის ინტენსივობით. თუ სწორია განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც ნოველის სიუჟეტი რომელიმე ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის გარშემო უნდა ვითარდებოდეს და ამ მოვლენის რომელიმე არსებითი მხარის გახსნას ემ-

სახურებოდესო, ს. კლდიაშვილის ყოველი ნოველა, უეჭველია, სანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს. ავტორის შეკუმშული სტილი და მოკმედი პირის ხასიათის მკაფიობა სწორედ ამ ნოველებში ჩანს უფრო ფრთხილად. სისხლის აღების ადათი არის დაგმობილი ნოველაში „მტრები“. ამ ადათის დაძლევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში. ოთარის ძმამ მოკლა ომანის ძმა. ოთარი იძულებულია გაეცალოს მშობლიურ სოფელს, ომანმა რომ შერი არ იძიოს. ოთარმა ბარში დაიწყო მუშაობა. აქ შეხვდა ის ომანს, რომელმაც თავისთან მოაწყო ცეცხლფარეშად. ოთარი დაშავდა და ლოგინად ჩავარდა. რომ გადარჩეს, სისხლი უნდა გადაუსხან. გადაუსხამენ კიდევაც, ოღონდ ომანის სისხლს.

— ახლა კი ნამდვილად გმართებს ჩემი სისხლი, ბევრიც გმართებს, — ეტყვის ღიმილით ომანი. მოსისხლე მტრები ახალმა ცხოვრებამ მეგობრები გახადა ასეთია საბჭოთა ჰუმანიზმის ძალა.

ნამდვილი მხატვრული ხალისით იკითხება ნოველა „პარტიზანები“, რომელშიც ასახულია სვანეთში სამოქალაქო ბრძოლის ერთი შეტად მძაფრი ეპიზოდი. ავტორი ამბავს იწყებს პირდაპირ, ყოველგვარი ლირიკული გადახვევის გარეშე. პარტიზანების მეთაური ბონდო ბასკაია ერთ-ერთი შეტაკების დროს ფეხში დაიჭრა. სამმა პარტიზანმა დაჭრილი ბონდო სოფელში მიიყვანა ვიერგილთან. ვიერგილის ძმას ჩატუს მოეწონა ბასკაიას კარაბინი. ბასკაია სადმე უნდა გადაშალონ. მას გააკვება ჩატუ. კარაბინით მოხიზლული ჩატუ ბასკაიას ხელს უშვებს უფსკრულთან. ბასკაია დაიღუპება. კარაბინი ჩატუს დარჩა. ვიერგილი მიხვდა, რაც მოხდა, ბასკაიას გადაჩვენვის ადგილზე მივიდნენ. ვიერგილმა ძმა უფსკრულში გადაისროლა; მისთვის ჩატუ ძმა იყო მხოლოდ, ბასკაია კი რალაც შეტი — ხალხის განთავისუფლებისთვის თავდადებული და ამავე დროს მასთან თავშეფარებული სტუმარი. რაინდული

გულის პატრონმა ვიერგილმა ვერა-აქტინა ძმის მუხანათობა და მისი ცხოვრების გამოსაღება.

ასეთივე რაინდული სულის მატარებელ გმირს ვხვდებით მკაცრი საღებავებით შესრულებულ ნოველაში „ხალდე“. აჯანყებული სვანების წინააღმდეგ გაილაშქრეს ახალგაზრდა ოფიცერი ადოლინი. ხალდეს ზარბაზნებს დაუშენს. სოფელს ცეცხლში ვახვევს. აჯანყებულებს მეთაურობს გულადი და შეუპოვარი ყასბულა შარვაშიძე და მისი მარჯვენა ხელი თარბი რატიანი, რომელიც სოფლიდან სოფელში დადის და სვანებს აჯანყებისკენ მოუწოდებს.

ერთ დღეს ადოლინი მთებში გაიჭრა. კარგა ხნის შემდეგ გამობრუნდა. მოსახვევში თვალი მოჰკრა ნაბდიან ცხენოსანს. ეს იყო თარბი რატიანი. ადოლინი ჩაუსაფრდა და მოახლოვებულ რატიანს ხმალი თავში დასცა. რატიანი მიწაზე დავარდა. ადოლინმა ხანჯალი ააჭრა ქამარზე და გზას გაუდგა. შინ მივიდა და ღრმად მიეცა. გამოაღვიძა რალაც ზმარმა. გაახილა თვალი თუ არა, დაინახა, რომ თავზე ვიღაც დადგომოდა. ეს ვიღაც თარბი რატიანი იყო. „ხმალზე დაბჯენილი ის შეუბრტყად დასჩერებოდა ადოლინს“. ადოლინმა თვალი დახუჭა. სიკვდილს ელოდა. სიკვდილი მისთვის მოწყალეობას უდრიდა. ბოლოს თვალი გაახილა. აღარავინ იყო. თარბის თავისი ხანჯალი წაედო. მან არ იკადრა და სამაგიერო არ უზღო, ძილში არ მოკლა. ავტორის მთელი სიმბათია, ცხადია, თარბი რატიანის მხარეზეა, რომელიც მტკიცე, რაინდული სულით დაჯილდოებული ადომონდა, არ მოკლა მოსისხლე მტერი, თუმცა თარბი მოწავე გახდა იმისა, თუ როგორ გადაწვა ადოლინმა თავისუფლების ერთ-ერთი კერა, სოფელი ხალდე.

სისხლიანი ისტორია აქვს მოთხრობილი ავტორს ნოველაში „ლაშხეთის ბატონი“, რომელიც მხატვრული ზეგავლენით და შესრულების ოსტატობით სტენდალის იტალიურ ქრონიკებს მომაგონებს. ლაშხეთის ბატონი დევლეთ ყიფიანი მრისხანე, დაუნდობელი ხასიათი-

საა. ასეთად ჩანს იგი თავიდანვე და ეს ხასიათი არავითარ განვითარებას არ განიცდის, ვინაიდან ჩვენ ნოველასთან გვაქვს საქმე. ნოველა კი, მრავალთა აზრით, უკვე ჩამოყალიბებულ, გარკვეულ ხასიათს გულისხმობს. და, აი, დევლეთ ყიფიანი, პირმოთწეობის განსაზღვრება ისევე, როგორც ნ. ლორთქიფანიძის მრისხანე ბატონი, ეკლესიებს ძვირფას სამკაულებს სწირავს, თითქოსდა თავის ცოდვებს ინანიებს და ამავე დროს საოცარ დაუნდობლობას იჩენს ახლობელ ადამიანთა მიმართაც კი. პირველი ცოლი მოკლა უშვილობის გამო, მეორისა — გან შეეძინა ვოვო, რომელიც აგრეთვე მოაშთო. ვასაგებია, როგორი ურთიერთობა ექნებოდა დამყარებული ასეთი გულის პატრონს თავის ყმებთან. უკანასკნელნი მოთმინებიდან გამოვიდნენ და აჯანყდნენ. ბატონი თავის კოშკში ჩაიკეტა. გლეხებმა კოშკს ალყა შემოარტყეს. გულზვიადი დევლეთი კოშკიდან გადმოვარდა და შუბების წვერზე დაეგო. ფეოდალის მრისხანების ისტორია და მისი ცხოვრების დასასრული არის მოთხრობილი ნოველაში. ჩვეულებრივი ისტორიაა. მაგრამ მოთხრობილია იშვიათი კეთილშობილი სტილით, უბრალოდ, რაღაც მოუხელავი, უშუალო, მხატვრული ენით ამიტომ ახდენს იგი ასეთ ღრმა შთაბეჭდილებას მკითხველზე. ასეთივეა მისი ცნობილი ნოველა „უშგული“, რომელშიაც ავტორი დიდებით მოსავს კოლექტიურ სულს ხალხისას, რომელმაც ერთსულოვნად გაჭიმა თოფის ჩაბმას გამოდებული ბაწარი და, თოფის ხმასთან ერთად, ტყვიანაკრავი თავადის შვილი ფუთა ძირს დაეცა. არ შეიძლება, რაღაც ერთნატივობა არ დავიაროს ტანში „ძველი კოშკის“ კითხვისას. აქ ავტორი გადმოგვცემს თავის ადამიანურ სიხარულს, იმის გამო, რომ მშვენიერი ქაბუცი დახვდა კოშკში. მხედველობაში ჰყავს ახალგაზრდა სვანი, რომელსაც ეცოდება დაეადებული მოხუცი, ღამით რომ კლდეებზე დახობავს. ეს არის კოშკი რიჩუგინებისა, რომლებმაც მზაკვრულად ამოხოკეს ერთმანეთი. სვანუ-

რი ნოველები, ახალი ქართული ნოველის მშვენიერება, შეუწველებელი წაქსიანობა იკითხება, ვინაიდან მათში იგრძნობა მოქალაქეობრივი პათოსი, ავტორის დიდი მხატვრული გემოვნება და სულიერი არტისტიზმი.

სერგო კლდიაშვილს დაწერილი აქვს მრავალი პიესა, რომლებსაც რუსთაველის სახელობის თეატრის რეპერტუარში ყოველთვის საპატიო ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული. ამ წერილის მიზანს არ შეადგენს ს. კლდიაშვილის დრამატურგიის ზერელედ გარჩევაც კი. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მისი ერთ-ერთი პიესა — „გმირთა თაობა“ რუსთაველის თეატრში დიდი წარმატებით დაიდგა და თეატრალური კრიტიკის მხრივ მან დამსახურებული მაღალი შეფასება მიიღო.

სერგო კლდიაშვილის კალამს ეკუთვნის ორი რომანი: „ფერფლი“ და „მყუდრო სავანე“. „ფერფლის“ მეორე წიგნი ამჟამად უკრანალ „მნათობში“ იბეჭდება. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ ნაწარმოების პირველი წიგნი ფართო მოწონებით სარგებლობდა მკითხველთა შორის. უნდა აღინიშნოს, რომ „მყუდრო სავანეში“ ნათლად და მკაფიოდ ჩანს გამოცდილი, შთაგონებული პროზაიკოსის ხელი. აღვნიშნული რომანის მეორე ვარიანტმა კიდევ უფრო მაღალი შეფასება მიიღო, ვიდრე პირველმა. ნათელი გახდა, რომ ს. კლდიაშვილის შემოქმედებითი ენერჯია ოდნავადაც არ შენელებულა.

რომანში ასახულია ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები. მოქმედება ვითარდება პროვინციის ერთ-ერთ ქალაქში, პატარახევში, ამ მყუდრო სავანეში. ავტორის გადმოცემით, პატარახევში მოსაწყენი ცხოვრება იყო. აქ ცხოვრობდნენ ღვინის გამყიდველი სიმონ ბეროშვილი, სადგურის ბუფეტში მომუშავე კატო, ბეკო და ტარიელი, იშვიათი გულის პატრონი, ბუკინისტი გედეონ არაბიძე და მრავალი სხვა შესანიშნავი თუ სულიერად ლატაკი ადამიანი, რომელთა კოლორიტული წარმოდგენელი სიმონ ბეროშვილია. რომანის ყველა მოქმედი

პირი ცოცხლად, ხალისით არის დახატული. განსაკუთრებით თბილი საღებავებით არის აღბეჭდილი ბუკინისტის მიმზიდველი სახე. იგი ნამდვილი ადამიანური თვისებებით გამოირჩევა. ეს ბუკინისტი ძველი, თავდადებული მოღვაწის, მესტამბისა და იაფფასიანი ბროშურების გამავრცელებლის ტიპური წარმომადგენელია. რომანის წაკითხვისას, უეჭველია, მკითხველის მესხიერებაში ცოცხლად აღსდგებიან მათი პროტოტიპები. მე გარკვევით ვხედავ მათ, მავალითად, დიდი შთაგონებით გამოქერწყილ არქიტექტორ ელიზბარ კორსაველის, გედეონ არაბიძის და სხვ. სახეებში. ავტორს გულწრფელად უყვარს ეს ხალხი. მეოცნებებ არქიტექტორი, რომელიც ხატავდა ახალ სახლებს, მოედნებს და ფანტასტიკურ ქალაქებს, მისმა შემოქმედებითმა ფანტაზიამ ფრთები გაშალა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. პატარახევს მიაშურა და აქ ჩაუდგა სათავეში ახალი ქალაქის მშენებლობას. რას წარმოადგენდა პატარახევი, ავტორის თქმით? ვინ ცხოვრობდა აქ და რა სულიერ საზრდოს ღებულობდნენ ისინი? პატარახევი, ეს იყო უმთავრესად ობიექტულების ქალაქი, ქალაქი მეშჩანებისა, რომლებსაც ერთი მიზანი ჰქონდათ: ესეათ, ექამათ და ძილად მიგდებულ იყვნენ. „სხვა რა უნდა ექნათ პატარახევში, სადაც ვერავითარ სხვა სულიერ საზრდოს ვერ პოვებდა ადამიანი“. პატარახევი წარმოადგენდა ჭაობს, სადაც ერთფეროვანი ცხოვრება მიმდინარეობდა. „სევდიანი იცოდა აქ გათენებაც, როცა ხევში ჩამოწოლილი ნისლი ზანტად იწყებდა გაშლას. სევდიანი იცოდა აქ საღამოც, როცა ეზოს ბალახში ჩაბუდებული კალიების ძილისპირული ვანუწყვეტლივ ისმოდა დაბინდებიდან გათენებამდე. ასეთ გარემოში ადამიანი ხანდახან მოკორავ და დათვრები კი არა, მშვიერი მგელივით დაიწყებ ყმუილს“. ყმუილზე უარეს ეპიზოდებს ავთორს ავტორი. მართალია, ამ ეპიზოდებს ანექლოტების იერი დაკრავს, მაგრამ შესანიშნავად გვიხატავს პროვინ-

ციის ქალაქის სულისშემძვრელი მოწყვნილობის ატმოსფეროს, ატმოსფეროს ნადგურებელი სევდის გავლენას ადამიანზე. ასეთია ბეკოსა და მარიაშის საუბარი სამგლოვიარო განცხადებების კითხვისას. ეს ეპიზოდი ავტორისთვის ჩვეული იუმორით არის დაწერილი, მაგრამ ამ იუმორში ცრემლიც ივრძნობა. ამავე ხასიათისაა ეპიზოდი, სადაც აღწერილია ვანკას მიერ ხატის გაძარცვა და ამ ხატთან ბანქოს თამაში. ამ სცენაშიც ცრემლი ეონავს.

აი, ამ ქალაქში ჩამოდიან გიორგი თუხარელი და მისი ქალიშვილი ირინე, ათასგვარი ჭორით დაშინებული, თბილისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო ისინი სტოვებენ ქალაქს და თავს აფარებენ პატარახევს. აქ დაბინავდნენ ვაჟარ სიმონ ბეროშვილის სახლში. ჩვენ არ შევჩერდებით იმ წამებისა და დამცირების გზის აღწერაზე, რომელიც ვინღეს ახალგაზრდა, 19 წლის ქალიშვილმა ირინემ და ქართული ინტელიგენციის თავმდაბალმა, პატიოსანმა წარმომადგენელმა გიორგი თუხარელმა. თუ რამ შეცდომა ჰქონდა მას ცხოვრებაში—ეს იყო თბილისიდან წამოსვლა, რის გამოც იგი კიდევაც დაისაჯა, ველარ აიტანა სიმონ ბეროშვილის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა და გული გაუსკდა. ამ წერილში მიზნად არ ვისახავთ ამ შესანიშნავი რომანის მხატვრულ ანალიზს. ავტორმა ჭეშმარიტი მხატვრული აღლოთი დაგვიხატა რომანის მთავარი გმირის ირინეს ხასიათის განვითარება, ამ ხასიათის თანდათანობით ჩამოყალიბება, დაგვიხატა რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე გზა, რომლის დაძლევა ბუნებით პატიოსანი, გულწრფელი ირინე ჭაობიდან ნათელ სამყარომდე მიიყვანა. „მყუდრო საგანე“ ქართული პროზის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, ვინაიდან იგიც, როგორც ს. კლდიაშვილის მთელი შემოქმედება, გაშუქებულია ღრმა სიყვარულით ადამიანისადმი. „მყუდრო საგანე“, ერთადერთი ნაწარმოებია ს. კლდიაშვილის შე-

მოქმედებაში, სადაც ავტორი აცოცხლებს მლიქვნელის, პირმოთენე, ვერაგი, ზნეობრივად გამოფიტული სიმონის სახეს, რომელიც მას ეზიზღება, რომლის სულიერ დაცემულობას ბოლომდე ამისველებს.

რა წარმოადგენს ს. კლდიაშვილის შემოქმედების ძალას? რატომ ახდენენ მისი რომანები და ნოველები ესოდენ ძლიერ ემოციურ ზედმოქმედებას მკითხველებზე და ატყვევებენ მათ, ხიბლავენ, ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებენ? ცხადია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს შემოქმედება მძალი ზნეობრივი იდეალებს, დიდი ჰუმანიზმის შემცველია, უბრალო, რიგითი ადამიანის დიდი სიყვარული და პატივისცემა იგრძნობა. ს. კლდიაშვილის შემოქმედების დიდი წარმატების მიზეზი მისი წერის მანერაა, მისი სტილია. ს. კლდიაშვილისათვის ძვირფასია სულხან-საბას პროზის დიდი ტრადიცია. მისი მხატვრული ფრაზა ყოველთვის ლაკონური და ტევადია, პოეტური და ხატოვანია. ს. კლდიაშვილი ვერ იტანს ნაჭახირევ, ძალდატანებით აგებულ წინადადებას, მისი ფრაზა ნათელი და ძალზე გამჭვირვალეა. ღრმა აზრი ყოველთვის უბრალო წინადადებით არის გადმოცემული. თავის პოზიციას მხატვრული ენის საკითხში ავტორი ვეაცნობს ვრცელ მოთხრობაში „დაკარგულ თასში“. უკანასკნელის ერთ-ერთი გმირი აბესალომი ვითომცდაშწერლობს. აბესალომი ავტორის გაკიცხვის რბიექტს წარმოადგენს. რატომ? იმიტომ, რომ ის თანამედროვეობას ვაურობს, წარსულის მტვერში იჭექება, წერს რომანს „ნაბუქოდონოსორის მახვილი“. აი, რას ეუბნება ეს ვიწმირალი ერთ-ერთ მსმენელს: „შენ და შენისთანები, რასაკვირველია, მომიწოდებდით მდაბიურად რომ დამეწერა. თქვენ მიხეველი ხართ წიგნებს, სადაც კაცუნებზე მოგვითხრობენ. ვწერო ცნოვრების წვრილმანებზე, ვილაღ ნიკალაზე და მარიამაზე? ნურას უკაცრავად, მდაბიურად ტიტყინი მე არ შემიძ-

ლია და არც პატარა მოვლენები შემიძლია ტერესებენ...“

სხვა ადვილას, ამავე მოთხრობაში, ავტორი კიდევ უფრო ნათლად გამოთქვამს თავის აზრს მხატვრული სიტყვის რაობაზე. „ღმერთო ჩემო, რა საჭიროა ასეთი გაპრანჭული წინადადება, როცა შეიძლება უფრო მარტივად, გასაგებად და ისე ითქვას, რომ სიტყვების კორიანტელი არ დადგეს! როგორ მახარებთ თქვენ, ბუნებრივად დალაგებულ სიტყვებო, როცა, ვითომდა არტისტობის გამოსაჩინად, ძალადობას არ მიმართავენ თქვენს წინააღმდეგ! რა საამოა მაშინ თქვენი მოსმენა, რა ნათელია აზრი და რა ღრმად სწვდება სულსა და გულს“. ცხადია, თქმული საესეებით გამოხატავს ს. კლდიაშვილის შემოქმედების არსს. მისი მომხიბვლელობის საიდუმლოება ის არის, რომ ავტორი ვერ იტანს გაპრანჭულ წინადადებას. მის ფრაზაში მკითხველი ვერ შეხვდება „სიტყვების კორიანტელს“, „არაბუნებრივად დალაგებულ სიტყვებს“. იგი წერს სადად, ნათლად, ბუნებრივად, ამიტომ არის საამო მისი ფრაზის მოსმენა, ამიტომ ხდება აზრი ნათელი და ღრმად სწვდება იგი სულსა და გულს..

ს. კლდიაშვილის წერის დახვეწილ კულტურას ზრდის ის გარემოებაც, რომ მას საოცრად გამჭრიახი თვალი აქვს, ხედავს მოვლენის ყოველ წვრილმანს, ყველა დეტალს, ჩვეულებრივი თვალისათვის სრულიად შეუმჩნეველს და მძალი მხატვრულ დონეზე აყავს იგი. თქმულის საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ეს ძლიერ შორს წაგვიყვანდა.

ს. კლდიაშვილი ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს მუშაობას ნოველის ენარში. მან ბოლო წლებში გამოაქვეყნა ბევრი ახალი ნოველი, რომლებიც ქართული პროზის მშვენივალ დარჩებიან ყოველთვის. ვუსურვოთ მათ ავტორს ხანგრძლივი სიცოცხლე და, მკითხველის გასახარებლად, კიდევ მრავალი შედევრის შექმნა.

ნორა ნათაძე

გუშინდელი ნაწარმოები და ღლებანდელი მკითხველი

ათი, ოცი და ოცდაათი წლის წინ შექმნილი ლექსებისა თუ რომანების გამოცემა დღეს იმითაა საინტერესო, რომ ეს ხელახლა გამოცოცხლებული ნაწარმოებები (ხშირად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულა) ახალი მკაცრი გამოცდის, დროის გამოცდის წინაშე დგებიან. ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, როგორი უქცნობი სიახლით წარმოგვიდგა დიდი ხნის გადასული ზოგი ავტორის თხზულებები (მაგ. მიხ. ჯავახიშვილის) ექვი არაა, რომ ასეთი გაცოცხლება ჩვენ ბევრს „აღმოჩენას“ გავვაკეთებინებს, ბევრს მეტად საგულისხმოს და მომავლისათვის მეტად სასარგებლოს დაგვანახებებს ან დაგვაზუსტებინებს წარსულ ლიტერატურულ ტრადიციაში.

დღმნა შენგელაიას კრებულის — „ირმის ნახტომის“ გამოცემა ამ სასარგებლო საქმის ერთი ნაწილია. კრებული შედგება ოთხი რომანისაგან: „ბათა ქეჩია“, „სანაევარო“, „წითელი ყაყაჩო“, „ირმის ნახტომი“. ამ კრებულში შესული ზოგი ნაწარმოები თავისი პირველი გამოცემის ხანაში გაცხოველებული მსჯელობის საგნად გამხდარა. ამ ნაწარმოებების აღქმა მკითხველის მიერ დღეს, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, მათი ავკარგიანობის შეფასების არსებითი საზომი უნდა იყოს.

• • •

ქართული სოფლის ყოფა და თავისებური კოლორიტი ბევრ ქართველ მწერალს გაუხდია თავის თემად. „კაცია — ადამიანის“ შეუღარებელი ენ-

არული სურათები, რომლებიც ძალიან კარგად უთავსდება ამ ნაწარმოების საერთო სატირულ მიზანდასახულობას და ავსებს მას, შეიძლება ახალ ქართულ მწერლობაში ამ ტრადიციის დასაწყისად ჩავთვალოთ. ამ ნაწარმოებმა სოფლის თემისადმი მიძღვნილი ქართული ლიტერატურის მიმართულება და ხასიათი დიდი ხნით განსაზღვრა. გიორგი წერეთლის „ეკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, სადაც სატირულ ელემენტს უაღრესად მკვეთრად დახატული, თვალწარმატცი და კოლორიტული ყოფითი სცენები ერწყმის, ამ ტრადიციის პირდაპირი გაგრძელებაა. ეს ყოფითი, „ენარული“ მხარე შედარებით მიჩრდილულია „ხალხოსან“ მწერალთა ნაწერებში და თვით დავით კლდიაშვილთანაც კი, სადაც მთავარი ყურადღება მკვეთრი ხასიათების შექმნასა და მათი კონფლიქტების დრამატიზმზეა გადატანილი. იმერეთის სოფლის ლირიკული-კოლორიტული ჩანახატებია მოცემული ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებებში. თანამედროვე მწერლობაში ძნელია დავასახელოთ ავტორი, რომელიც სოფლის ცხოვრებას ეხება და იქაური ყოფისა და პეიზაჟის მკვეთრი და გრძნობის ამბულელებელი. „გემრიელი“ სურათის შექმნა არ აქვს დამოუკიდებელ მიზანდასახული. კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, სერგო კლდიაშვილის „რთველი“, თუ მ. მრეველიშვილის „ხარტაანთ კერა“ ამის მკაფიო მაგალითად იკმარებდა.

დღმნა შენგელაიას „ბათა ქეჩია“ ამ ტრადიციის გაგრძელებაა, მაგრამ მხო-



ლოდ ნაწილობრივ. ისევე, როგორც სხვა ქართული ავტორებისათვის, რომლებიც სოფლის კოლორიტული და თვალწარმტაცი ყოფითი სურათების შექმნას ცდილან, გლეხური ყოფა და მისი თავისებურება დ. შენგელაისთვის თავის-თავადი საგანია, მისი ნაწარმოების ემოციური ზემოქმედების ძალაც სწორედ ქართული გლეხური ყოფის ჩვენებაზეა დამყარებული. მაგრამ გარდა ამისა რომანს სხვა მიზანიც აქვს, თუ შეიძლება ასე ითქვას, განზოგადებული ფილოსოფიური პლანიც, რაც მას სოფლის თემისადმი მიძღვნილი სხვა ნაწარმოებისაგან ასხვავებს. იმ კოლორიტული ეპიზოდების საშუალებით, რომელსაც იგი თავისი გმირის-გლეხის ცხოვრებიდან მოგვითხრობს, ავტორს სურს ბუნებასთან სიახლოვე, შრომის, მიწის, მარტივი გლეხური ცხოვრების სიყვარული უზოგადეს ფორმაში გამოხატოს და ამავე დროს განზოგადებული ეროვნული ხასიათი შექმნას.

ავტორს ეხერხება ზოგჯერ არც მთლად ბუნებრივი და არც მთლად დასაჯერებელი ეპიზოდების ისე თხრობა, რომ მთავარი — გმირთა ურთიერთდამოკიდებულება, მათი უშრეტო ხალისი და შიდა გრძობა მაინც ხელშესახებად ჩანს და მკითხველს ექვი და უნდობლობა არ უჩნდება. (ასეთია ის ეპიზოდი, სადაც ბათა ქექია თვითმკვლელობის სცენას ვაითამაშებს, ბათასგან სალომეს მოტაცება და ზოგი სხვა). ამ გროტესკულ ეპიზოდებს სცელის ნამდვილი ლირიკული ეპიზოდები. ამითი ცოცხალი და უაღრესად გემოვნებიანი შეზავება ქმნის რომანში წინააღმდეგობებითა და ულოგიკოობით სავსე ცხოვრების იმ დამაჯერებელ სურათს, რომელმაც ძნელია მკითხველი გულგრილად დასტკოვოს.

რომანის ღერძი — ბათას მიჯნურობის ამბავი საოცრად მკაფიო, ცხოველ ფერებში დახატული და ლირიკულად შეფერილი ამბავია. ბათას მომჯადოებელი სატრფო — სიდუ ქალის მეტად კოლორიტული და ამაღლებელი სახეა ჩვენს

ლიტერატურაში, რომელსაც, მიუხედავად მისი ნატურალიზმისა და „საბუნებრივ“ თვისებებისა, ნამდვილი რომანტიკული შარავანი მოსავს. რომანის დასაწყისში ჩვენ ორი სოფლელი ბავშვის უშუალო და მიამიტ, მაგრამ თავისი სიღრმის წყალობით შთამბეჭდავტრფობას ვხედავთ. ქალაქში მიმავალი ბათასა და სიდუს განშორება, ბათასაგან პატარა ვოგოს წვივზე კონა და ბავშვური სიყვარულის პირობა ისეთი ნაღდი გრძობითა და ისეთი ფაქიზი შტრიხებითაა ნახატი, რომ მკითხველს, თითქმის უგამონაყლისოდ, აიყოლიებს. შემდეგ, როცა რვა წლის თავზე გაზრდილი ბათა და სიდუ ერთმანეთს ხვდებიან, ძველი რომანტიკა ისევ რჩება, მაგრამ მათ მიჯნურობაში ავტორი ძალიან ზომიერად რბილი იუმორის, სიმსუბუქის, ოდნავი ირონიული ცინიზმის პანგსაც ურევს. სიდუს ყაჩაღი და ცინიკოსი მამა, რომელიც თავისი შვილისა და მისი მიჯნურის იდუმალ ფანდებს ნათლად ხედავს, — ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა მთელ რომანში — ამ ტრფობის იშვიათად კარგად მიგნებულ კონტრასტს ქმნის, რომლის ფონზედაც ამ ეპიზოდის რომანტიკა კიდევ უფრო მკვეთრად და დამაჯერებლად მოჩანს. ეს ეპიზოდი მოულოდნელი, მაგრამ ძალიან შესაფერი ფინალით მთავრდება — ბათა სიდუს იტაცებს, მაგრამ ყაჩაღი მამა, რომელმაც ეს ამბავი წინასწარ განწვირტა, სიდუს მაგიერ ბათას თავის უფროს ქალიშვილს შემოატყუებს.

შეყვარებულთა შემდეგი შეხვედრა ამდენიმე წლის შემდეგ ხდება. ცოდვილი ბათა ქმარშვილიან სიდუს — ამჟამად თავისი ცოლისდის — სხვადასხვა ხრიკებით თავის გულის ნებაზე დაყოლიებას ცდილობს. იუმორისა და თითქმის უწმაწურობის საზღვრამდე მისული ნატურალიზმის ელემენტი აქ კიდევ უფრო ძლიერდება, ხოლო მის

ფონზე გაშლილი რომანტიკა უფრო ძლიერად მოჩანს. „დავხუჭავ თვალს და შენ მელანდები, ალბათ სულელი ვარ და იმიტომ. შენ სულელი ბზიკით თაფლში ისე ჩავარდი, რომ ვეღარ ამოხველ“.— ასე იშორებს სიღუთავის სათაყვანებელ მაკდლურს და მასთან ნატურალისტურად აღწერილ ბრძოლაში თვითონაც საეჭვო ხრიკებს ხმარობს, რომ თავისი ნამუსი დაიცვას. ეს ეპიზოდი თავდება სცენით, რომელიც ქაცვია მწყემსის ანალოგიურ სცენას არ ჩამოუვარდება არც თავისი სალიტერატურული ნატურალიზმით, არც იუმორითა და მასთან შეერთებული ღრმა მორალური გააზრებით. ყაჭის ჩელტებზე შებრძოლებულ შეყვარებულებს ჩელტი უტყდებათ და დაქვლეტილი ჭიით ამოთხვირილი ძირს ვარდებიან. „ყველაფერი ერთბაშად გაქრა. აღარც ის კაცის წამლევანი სიყვარული იყო და აღარც ის დაუოკებელი წყურვილი... ტანისამოსზე რომ დავიხედე, გულს შემომახდა. დასრეილ ყაჭისაგან ჩოხა ყვითელ-მწვანედ მქონდა დასერილი და ისე ვყარდი, რომ კაცი ახლოს ვერ გამეკარებოდა... სიღუთავში ხელეები ჩაველო და თავის ნაწვავ-ნადავს ზარდაცემული თვალეებით დასცქეროდა... — ჩემი სიკვდილი, ჩემი სიკვდილი და უცებ გამწარებით წამოიძახა: — შენი სიკვდილი ვნახე, ბასკან უჩარდია (სიღუს ქმარია) რატომ შენ ვადაბარსალებას არ მომასწრებს მამა ზეციერი ჩელტის ასე გამართვისათვის...“

— ვხედავ, სიღულია, — ვთქვი ნაღელიანად და თან მიწაზე დაყრილ ჩელტებს სინანულით დავცქეროდი. — ვხედავ, ჩემო სიღულია, რომ ჩვენი საშველი მართლაც არ ყოფილა.

მინდოდა კიდევ მეთქვა ისეთი რამ, ასეთ ღროს რომ შეეფერებოდა, მაგრამ ახელილი ბობოლის სიმყარაღმ სული შემტაცა. ერთხანს ჩუმად ვიყავ, სული ოდნავ რომ მოვიბრუნე, ისევ ნაღელიანად განვაგრძე.

— მშვიდობით, სიღუღულია, — უნდა წავიდე, ბედის ზანაჩენს უნდა დავყაბულდე. სხვანაირად არ შემეძლო, სიღულია, და მაპატიე, რომ ასე მიყვარდი... ხედავ, ახლა ისე წავწყმდი, რომ უნდა წავიდე და სად წავიდე, სად, მიტხარ, მასწავლე, სიღულია. სად წავიდე, როცა შენს იქით გზა აღარ მაქვს? ჩემმა სიტყვებმა სიღუს დღევანდელი ზარალი სულ დაავიწყეს. თვალი ცრემლით ავესო.

— წადი, ბათულია, წადი, შენ თავს მიხვდე. — ხმა აუკანკალდა. — წადი, შენ თავს მოუარე. იცოდე, შენ რომ რამე დაგემართოს, თავს მოვიკლავ. წყალში გადავვარდები. ხმა ჩაუწყდა.

მიველ. შუბლში მშვიდად ვაკოცე. სიღუ არ განძრეულა. ხმა არ ამოულია. თავი დაბლა დახარა. მეც გული მოულოდნელად ამომიჭდა. ცრემლებმა ყელი გადამიკეტეს. დაკეცილი ჩოხა ილიაში უბრად ამოვიჩარე და გარეთ გამოვედი“.

შემდეგი ეპიზოდი ამ რომანისა — ბათა ქექიასაგან სიღუს ვაჟისადმი გატაცებული მამაშვილური სიყვარული და მის ხელში ჯოჯოლიას სიკვდილი 1905 წლის რევოლუციის დღეებში — იშვიათი სიძლიერის ეპიზოდი, რომელიც ბათასა და სიღუს მსუბუქად ნახატ რომანს სიღრმესა და ტრავიზმს ანიჭებს. მკითხველი წიგნს მღელვარებითა და სინანულით ტოვებს. უბრალო აღამიანების ეს ჯერ უდარდილი, ხოლო შემდეგ ტრაგიკული სიყვარული მის ხსოვნაში წარუშლელ კვალს ტოვებს.

რომანის საუკეთესო ეპიზოდების რიგებს ეკოთენის გლეხთა მოძრაობის აღწერა 1905-7 წლების რევოლუციისაში. ეს დრამატული ხანა ჩვენი ისტორიისა ქართულ ლიტერატურაში ფართოდ არის აღწერილი როგორც რომანებსა და მოთხრობებში, ისე მემუარებში. მაგრამ „ბათა ქექიას“ ის ფურცლები, რომლებიც ამ ხანას ეკუ-



თენის, ერთ-ერთი საუკეთესოა, რაც ამ თემაზე ჩვენში დაწერილა. თხრობა ისეთი თვალსაჩინოა, კონკრეტული დეტალები იმდენად უხვია და დამაჯერებელი, მკითხველს ექმნება სრული შთაბეჭდილება, რომ მას ამ ამბების უშუალო მომსწრე და მხილველი ესაუბრება. რევოლუციური პათეტიკა, რომელიც ამ ეპიზოდებში ძლიერადაა გამოხატული, სრულებით არ ჩრდილავს მოვლენათა ყოველდღიურ მხარეს. ისტორიული ამბები აქ დაბატულია იდეალიზაციის გარეშე, მარტივად და ნამდვილად. გლეხობის ფართო მასის დარაზმვის სიძნელე, მოძრაობის სტიქიური ელემენტები, გლეხობის რევოლუციური გზება და მისი ყოველდღიური ინტერესები — ყველა ამ ფაქტორის რთული გადახლართვა რომანში რეალისტურადაა ნაჩვენები. არალეგალური სახალხო კრების მიმდინარეობა და მებატონეთა რბევა, რევოლუციური ხელმძღვანელობის როლი და სტიქიური ინსტიქტების თარეში — ყველაფერს თავისი კუთვნილი ადგილი აქვს მიჩენილი. თუმცა ეს თემა რომანში ძირითადი არ არის, (რევოლუციის ამბები აქ უფრო ფონია, ვიდრე თემა), მაგრამ ეს რამდენიმე სცენა მაინც კარგად აჩვენებს ხალხს დიდ ისტორიულ ამბავში, რაც ლიტერატურაში მნიშვნელოვანი და არც თუ ისე ხშირი მიღწევაა.

„ბათა ქექიას“ გარემო ჩვენთვის უშუალოდ ნაცნობი, ჩვენი თვალთ ნახული გარემოა. მისი პერსონაჟები ჩვენი თვალთ ნახული ტიპებია. ამიტომაც „ბათა ქექიას“ ავტორის დამოკიდებულება თავის გმირთა ცოდვებისა და სურვილ-ვნებებისადმი თავისუფალია ყოველგვარ აფექტაციისაგან. ავტორის მთელი ყურადღება მხოლოდ იქითკანაა მიმართული, რომ გმირის ამქვეყნიური ინტერესები, რაც შეიძლება, მიმზიდველად, რაც შეიძლება, საინტერესოდ და ფერთა ნაირობით დახატოს.

რა თქმა უნდა, ვერაფერ იტყვის, რომ

„ბათა ქექიას“ ფილოსოფიური იდეალიზაციის ფილოსოფიური ორიგინალური ფილოსოფიური ქით, არც ერთ მკითხველს, რა დონისაც უნდა იყოს იგი, შეუმჩნეველი არ ჩრება, რომ ეს მეტად მარტივი და ხანდაზმული, ამასთანავე ნაწარმოებში, ასე ვთქვათ, „თეთრი ძაფით შეკერილი“ ფილოსოფიაა. (ისეთი გამოხატვამები, როგორცაა „სიცოცხლის ძალა და სიყვარული არასოდეს დამიკარგავს“, „მე ვემზობი მიწაზე, ვეწაფები მის მსუქანსა და ნოყიერ ქუქუქს“, „წელში თავმოწონედ გავიმართე, ფეხი მიწას მაგრად დავადგი. მერე, რომ ამ მიწას ერთ ღროს ზედ მომაყრიან, — მაინც ტბილია ეს დალოცვილი, მსუყე და საიმედო“ და სხვ. ხომ ძველთაძველ სიბრძნეს გამოხატავენ და მეტად თვალსაჩინოა, რომ ნაწარმოების იდეა სწორედ ამ წიადსვლებშია გამოთქმული). მაგრამ ავტორი თითქოს ამ ფილოსოფიის ორიგინალობის პრეტენზიასაც არ აცხადებს. იგი მხოლოდ სრულებით დაუფარავად და შეუნიღბავად იყენებს მარად ძველ და მარად ახალ ფილოსოფიას და ხორცს ასხამს ამას უამრავი და მრავალფეროვანი ცხოველი ეპიზოდებით, ყოველგვარი „ობიექტივიზმის“ გარეშე და სიცოცხლის განდიდების უკდავ იდეას მკითხველისთვის მოუწყინარი ფერთა სიუხვით გადმოგვცემს.

სწორია თუ არა ავტორის ასეთი მიდგომა თემისადმი? ამ საკითხის დასმა მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართლებული, რომ ზოგად ფილოსოფიურ ტენდენციას რომანის ცოცხალი შინაარსი დაეჩრდილა ან მკითხველისათვის ძნელად ასათვისებელი, მოსაწყენი სიმშრალე შეექმნა. ამის მსგავსი რამ რომანში არ არის. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ამ „ფილოსოფიური“ პლანით რომანი ბევრს იგებს და არაფერს აგებს. „ბათა ქექიას“ შემდეგ ჩვენს ლიტერატურას შეემატა სხვა ნაწარმოებებიც, სადაც დასავლეთ საქართველოს სოფლის ცხოვრების არა ნაკლებად უხვი

და ბათა ქექიას თავგადასავალზე ბევრად უფრო კომიკური ეპიზოდებია მოთხრობილი. მაგრამ ის, რომ ბათა ქექიას ცოდვები და ტრაგიკომიკური თავგადასავალი უფრო მაღალი, ზოგადი კატეგორიების შექმნა დანახული, (სიცოცხლე, სიკვდილი, წარმავლობა, შთამომავლობის მარადიულობა და სხვა), მაინც ამ ნაწარმოებებთან შედარებით დღესაც ამ რომანის უპირატესობას შეადგენს. ეს ზოგადი ვააზრება ნაწარმოების ყველა დეტალს სწვდება და თავისებურ ელფერს აძლევს ყველა წვრილმანს, როგორც თოვლიანი ანარეკლი მის ქვევით გადაშლილ მწვანე პეიზაჟს.

„ბათა ქექიას“ მეორე ძირითადი ტენდენცია ეროვნული ტენდენციაა. ბათა ქექია ავტორს ჩაფიქრებული ჰყავს როგორც ეროვნული ხასიათი, ადამიანური სისუსტითა და ცოდვა-ვნებით დატვირთულ მის ბუნებაში ვლინდება მისი ძირითადი და ავტორის მიერ განსაკუთრებით ხაზგასმული შტრიხი — უშრეტო სიცოცხლისუნარიანობა და გარემოს ნებისმიერი ცვალებადობის პირობებში თავის შენახვის უნარი, რომელშიც სიმბოლურად ქართველი ხალხის სასიცოცხლო ძალაა გამოხატული. ეს იდეა რომანში ზოგჯერ ისე პირდაპირაა გამოხატული, რომ შეიძლება მკითხველში უხეში და არაბუნებრივი ალეგორიის უსიამოვნო შთაბეჭდილება შეექმნა, თვითონ ავტორს რომ ასეთი ადგილები პირობითად, ერთგვარ წილისვლად არ ჰქონდეს წარმოდგენილი. ბათა ხშირად მსჯელობს ჩვენი სამშობლოს ისტორიულ და მითოლოგიურ წარსულზე, ახსენებს არგონავტებს და სხვა. მაგრამ ეს აშკარა შეუსაბამობა (ბათა მაინც გაუნათლებელი გლეხია, თუმცა რამდენიმე წელი თბილისში გაუტარებია) მკითხველს ყურს არ ჰკრის, ისევე როგორც არ ეხამუშება საკმაოდ მწიგნობრული გამოთქმები, რომელსაც ბათა ამ შემთხვევებშიც, და ააფთოთდაც, პირველ პირში წარმარ-

თულ თხრობისას მიმართავს; ეს ადგილები რომანის ფილოსოფიური მნიშვნის ნაწილია და მკითხველის მიერ აღქმება როგორც ავტორისეული წილისვლები, რომლებიც თხზულების საერთო რეალისტურ ხასიათს არ არღვევენ.

ეს ეროვნული ტენდენცია რომ მხოლოდ შიშველი დოქტრინის სახით იყოს „ბათა ქექიაში“ გამოხატული, მაშინ აქაც დაისმებოდა საკითხი, რამდენად მისაღებია რომანში ასეთი შეუფერავი ალეგორია. მაგრამ ბათას ხასიათი ამავე დროს მეტად ფაქიზად ნახატი ეროვნული ხასიათია — შეუმჩნეველი შტრიხებით, რომელიც მხოლოდ დიდი მხატვრული ინტუიციის ნაკარნახევი შეიძლება იყოს. ჩვენ ვგარძნობთ, რომ ბათა ქართველი გლეხია თავის ბუნებით და არა სხვა ეროვნების გლეხი ან ზოგადად გლეხი. პატარა ალეგორია, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ან ფაქიზ შტრიხებს მხოლოდ ავსებს და ჩრდილს არ აყენებს.

„ბათა ქექია“ მკვეთრი, ფერმრავალი და სისხლჭარბი ნაწარმოებია და თუ მას ეს ფერები დღემდე არ გაუხუნდა, ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ ამ რომანს კიდევ ძალიან დიდხნის სიცოცხლე უწერია. ერთადერთი, რაც ამ ნაწარმოებში ახლა ნამდვილად მოძველდა და მკითხველზე ხშირად უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს, ისაა, რომ აქ ხშირად ზომამზე მეტადაა წამოწეული თავადაზნაურობის, მამასახლის-ჩაფრებებისა და სხვა სოციალური ფენების მხილების მომენტი, რომელსაც დღეს ყოველგვარი აქტუალობა და ყოველგვარი მნიშვნელობა დეკარგული აქვს. მაგრამ როცა ეს რომანი დაიწერა, ამ სოციალური ტიპების ხსოვნა ჯერ მეტად ცხოველი იყო. და ავტორს ამ თემის გაძლიერებაში სრულებით ვერ გვაგმტყუნებთ.

* * *

„სანავარდო“ ქართული ლიტერატურის იმ შედარებით მცირერიცხოვან



ნაწარმოებებს ეკუთვნის, რომელიც თავის დროზე მსოფლიოში მეტად გავრცელებული „დეკადანის“ სულისკვეთების მკვეთრ ნიშნებს ატარებენ, რომლებშიც საქართველოს გარეთ წარმოშობილი ან სულისკვეთების გავლენა თითქმის განმსაზღვრელ როლს თამაშობს. ამავ დროს ასეთ ნაწარმოებთა შორის „სანავარდო“ იმ მეტად მკერერიცხოვანთა ჯგუფში შედის, სადაც ქართველმა ავტორმა ამ ძლიერი უცხო გავლენის პირობებშიც შესძლო თავისი საკუთარი ეროვნული საზის შენარჩუნება, გარედან მოტანილ კონცეფციებსა და განწყობილებებს თავისი საკუთარი, ორგანული, დღის საჭიროებით ნაკარნახევი პრობლემატიკა არ დააჩრდილინა და ნამდვილი სულიერი ფასეულობის შექმნა შესძლო. „სანავარდომ“ თავის გამოსვლის პირველ ხანებში ფართო გამოხატულება გამოიწვია და ეს არც არის გასაკვირი. ქართველი საზოგადოებისათვის საესებით ორგანული თემა — თავად-აზნაურობის გადაგვარება-ამოწყვეტის თემა, რომელიც მანამდისაც ბევრჯერ იყო დამუშავებული ქართულ ლიტერატურაში, „სანავარდოს“ ავტორმა ახლებურად გადაწყვიტა, და დასავლეთის დეკადენტური ლიტერატურის გამომსახველ საშუალებათა არსენალი ორიგინალურად და დიდი ფანტაზიით გამოიყენა.

„სანავარდოს“ კონფლიქტი ფსიქოლოგიურად უკიდურესად მძაფრია, დაძაბული და დრამატული. რომანის ექსპოზიციის მიხედვით იკვრება მეტად ძლიერი შტრიხებით დახატული დრამატული კვანძი, რომელიც მკითხველს აღელვებს და რაღაც იდუმალის ხელშეხებას აგრძნობინებს. სადაც, მივირდნით სოფელში, რიონის პირას, ცხოვრობს ნაშიერი ძველი გვარისა, რომელიც „გრგვინავდა წარსულში“ და ჰყონდიდელთა კვერთხს ფლობდა. ამ გვარის უკანასკნელი ნაშიერი სიამაყით ფურცლავს ხოლმე საგვარეულო მატიახეს და თავისი ჩამომავლობით თავი მოაქვს.

მაგრამ აქვე, ჯერ კიდევ ოჯახის დაქვეითებისა და გარეგანი ეკუთვნის თხრობამდე, ჩვენ უკვე „სანავარდომ“ გადაშენების ჭიას ეს ოჯახი შეგინდან გამოუხრავს. თავადი ყარამანი „ამაყობდა გვარიშვილობით, მაგრამ, როცა მარტო დარჩებოდა და ფიქრებს კრილოსანზე ჩათვლიდა, მას იპყრობდა შიში იმ საგვარეულო სენისა, დიდბასთან ერთად რომ დაუტოვეს წინაპრებში და კვალდაკვალ რომ მოსდევდა მის მოდემას. ამ სენმა გაუთხარა მიწა მამამისს და მის ძმას კახაბერს. ეშინოდა თავისი თავის და უცქეროდა ნაღვლიანად თმის დეარცხნის დროს თუნუქის სარკეში ამღვრეულ თვალებს. თვალეში იყო რაღაც დამაფიქრებელი და ვერაგობა“.

ამ გვარის დაცემის პროცესის სოციალური შინაარსი ავტორს ზუსტად და მეტად ძლიერი საღებავებით აქვს ნახატი. ოჯახში იმართებოდა გაბმული ქეიფი და დროსტარება, „სმა-ჰამა და ნადირობა, ძაღლების ყეფა და რიონის ჭალებში ცხენების ხედნა და მარულა.“ ასეთ ქეიფის დროს გაუჩინა ცეცხლი თავად ყარამანის სიმინდით გაქმეილ ნაღვს ერთმა აზნაურმა სათვალსეიროდ და შუალამეში უზარმაზარ მშხალასავით ენთო იგი.

ტარობები ტაკუნობდნენ, ცეცხლი ლოკავდა მიწაზე დამხობილ მოღრუბულულ ცას და მთვრალი სტუმრები ხელში ყანწებით აღტაცებული თვალეზის ლიცილიცით შესცქეროდნენ, თუ რა წარმტაცად იწოდა სასიმინდე“.

ამ სურათის შემდეგ ერთი ფრაზა კმარა, რომ კონტრასტი ნათელი იყოს და გვარის დაცემის მიზეზს შემდგომი განმარტება აღარ სჭიროდეს: „გლეხები ყანაში მუშაობდნენ, აკვდებოდნენ დედამიწას“. ხოლო სრულებით აუხსნელი და უმოტივაციო ამბავი, რომელიც ამის შემდეგაა ნახსენები, მკითხველს აღარ უკვირს. პირიქით, იგი რაღაც საბედისწეროს და გარდუვალის შთაბეჭდილებას ახდენს: „გულუხვი სანავა-

რდო რამდენიმე წელიწადში დაბერ-
წდა... დედამიწას ძუძუ გაუშრა. სანა-
ვარდო ვახვეული იყო აორთქლილ ხა-
შში და გვალვაში“.

ამ საზარელი ტრაგედიის მსხვერ-
პლნი—ნადირობისა და კარგი ცხოვრე-
ბის მოტრფილ მამა, სათნო და ძველ
მწიგნობრობაზე აღზრდილი დედა და
უბედური, ფიზიკურად დაძაბუნებული
და ფსიქიკურად დაავადებული შვილი
ავტორს აღწერილი ჰყავს ისეთი სიფაქი-
ზით, როგორც ამ თემისადმი მი-
ძღვნილ ნაწარმოებში ძნელი დასაცა-
ვია და ამდენად ძალიან იშვიათია. ეს
ადამიანები, როგორც სოციალური ფე-
ნა, დასაღუბად არიან განწირულნი. —
ეს ჩვენ წინდაწინ ვიცით და ავტორამაც
ეს ცხადად გვამცნო ზევით მოყვანილი
მკაფიო სურათების საშუალებით. მა-
გრამ ეს ადამიანები ავტორს მაინც
ებრალება, ებრალება არა ცრემლნარე-
ვი ღიმილით, არა ნახევრად ლირიკულ
ტონებში, როგორც დავით კლდიაშვილს
ებრალება თავისი უკვდავი გმირები.
მისი სიბრალული არის ნამდვილი მძა-
ფრი და გულის დამწველი სიყვარული
ტრაგედიაში ჩავარდნილი და განწირუ-
ლი ადამიანისადმი, როგორც ადამიანი-
სადმი, ისეთი მძაფრი, რომ მის წინაშე
ხუნდება იმის შეგნება, თუ ვინ არიან
ეს განწირული ადამიანები, რატომ არის
მათი დაღუპვა ისტორიულად აუცილე-
ბელი ან საჭირო. ჩვენ ვხედავთ მამას,
რომელიც გულისფანქვალთ მოელის,
როგორ გამოაზრდება ერთადერთ ვაჟს
მის წინაპართა მომსპობი ავადმყოფობა,
და ბოლოს თანდათან ხედავს, რომ ეს
სენი მის შვილსაც არ ასცდა. ჭეშმა-
რიტი მხატვრული ძალით, ძუნწი და
მკვეთრი დეტალებით გვიჩვენებს ავტო-
რი, როგორ ებრძვის ეს ვარეგულად
თითქოს ძლიერი, მაგრამ შინაგანად
უკვე სუსტი და შიგანგამოხრული კაცი
თავისი განწირული ბედის შეგნებას,
ნადირობასა და სმასში თავდავიწყებას
ექებს და ამავე დროს განწირული ცოლ-
შვილის ხსნას თავის დაშრეტილ სა-

სიციცხლო ძალთა გმირული დაძაბუთ
ცილობს. რომანში ვხედავთ სათნოსა
და თბილი ფერების დაუშრეტილ და-
ხატულ დედას, დარდისაგან ფიზიკურად
განადგურებულს, რომელიც თვალნა-
თლივ ხედავს თავისი შვილის საზარელ.
მისთვის აუხსნელ დაღუპვას, თავზე წა-
მომდგარი სიკვდილის შიშს განწირუ-
ლად ებრძვის და მშობლის უმაგალითო
ტრაგედიას განიცდის. ვხედავთ სუსტს,
ხელმოცარულსა და თავისი განწირულე-
ბის შეგნებით დამძიმებულ ბონდოს, ან
ტრაგედიის მთავარ მსხვერპლს, რომ
ლის თავზედაც ეს საშინელი დრამა
ტრიალებდა. ვხედავთ მათ და უნებუ-
რად ისეთ სიბრალულს ვგრძნობთ ამ
უბედური ადამიანებისადმი, რომ მათი
სოციალური როლიც დროებით გვაი-
წყდება. ამ ტრაგიკულ განწყობილებას
განსაკუთრებით აძლიერებს რომანის
აქსესუარი: წვიმიანი შემოდგომის პე-
იზაჟი, გმირთა სიზმარ-პალუცინაციები
და ავსულ-ჭინკათა ხალხური რწმენები.
მწერალს ძალიან ფართოდ, მაგრამ ფსი-
ქოლოგიური სიმართლისა და ზომიერე-
ბის ზუსტი გრძნობით აქვს გამოყენე-
ბული. მისი სახეები თამამია, მაგრამ
ზუსტი და ძლიერი. ამ სახეების გამო-
ყენების მხრივ ავტორი საუკეთესო თა-
ნამედროვე ფსიქოლოგიური რომანის
დონეზე დგას.

შესაძლოა, ანალოგია მეტად შორე-
ული იყოს, მაგრამ გვინდა ერთი „სანა-
ვარდოსთვის“ მეტად შორეული და ამ
რომანზე უფრო გვიან დაწერილი თხზუ-
ლება გავისხენოთ. მკითხველი იც-
ნობს უთუოდ მორიაკის მოთხრობას
„მაიმონი“, რომელიც დაცემული და
ბიოლოგიურად გადაგვარებული არი-
სტოკრატული გვარის ორი უკანასკნე-
ლი წარმომადგენლის — მამისა და ფი-
ზიკურად არასრულფასოვანი ბიჭის
უჩინარ ტრაგედიასა და თვითმკვლე-
ლობას აგვიწერს. ეს მოთხრობა დიდი
ჰუმანიზმის მატარებელი ნაწარმოებია.
ამ ორი უდანაშაულო ადამიანის პირადი



ტრაგედია აქ ისე ძლიერად, მათი მღვენილი ბურჯუაზიული კლასის შვილების ისეთი შეუბრალებელი მხილებითაა აღწერილი, რომ მკითხველს ძალაუნებურად ექვს აღუძრავს: „რა ფასი აქვს ჰუმანიზმის თვალსაზრისით ისტორიის განაჩენს, რომელმაც ფეოდალურ კლასს ბურჯუაზიასთან ბრძოლაში დამარცხება მიუსაჯა?“ დემნა შენგელაის რომანი ასეთ ექვს არ აგვიძრავს იმიტომ, რომ იგი შეუღარებლად უფრო მკაფიო სოციალურ კონცეფციას აგებული და სულ სხვა რიგის სოციალურ ურთიერთობებს ეხება. მაგრამ მორიაკის მოთხრობის მსგავსად აქ ისტორიულად განწირულ ადამიანთა პირადი ტრაგედია მათი კლასის ისტორიულ ტრაგედიას და ისტორიულ დანაშაულს ჩრდილავს. ამიტომაც არის, რომ ეს რომანი თავის ამალელებლობას ინარჩუნებს იმ გუშინდელი სოციალური პრობლემის აქტუალობისაგან დამოუკიდებლადაც, რომელიც ამ რომანშია დასმული. რომანის საუკეთესო სცენები დღესაც ისეთივე მღელვარებით იკითხება, როგორც მისი დაწერის ხანაში. მისი თემა ჰუმანიტად ადამიანური, ანუ ეპოქიდან ეპოქაზე გამწვდომი თემაა.

სამწუხაროდ, ეს საუკეთესო სცენები მხოლოდ რომანის პირველ მესამედშია თავმოყრილი (რომანის ეს ნაწილი მთლიანად ასეთი მკვეთრი და ფსიქოლოგიურად დაძაბული სცენებისაგან შედგება). ეს საუკეთესო სცენები მხოლოდ რომანის ექსპოზიციას ქმნის, გვიჩვენებს ამ სამი ადამიანის გამოუვალ ტრაგედიას, მკითხველს მათი ბედით აინტერესებს და ასმევენებს კითხვას — „რა მოხდება და ეს საზარელი კვანძი როგორ გაიშლება?“. მაგრამ შემდეგ, როცა ავტორი ამ თემის განვითარებას იწყებს. მას ჰალატობს, არ ვიცით, რეალიზმის გრძნობა თუ მოვლენათა გააზრების სიზუსტე. მანამდე ზედმიწევნითი მკაფიობით გამოკვითილი ხასიათები სიმკვეთრეს კარგავენ, ურთიერ-

ობები ბუნდოვანდებიან, კონტრასტებს ზუსტი ფსიქოლოგიურ განმარტება რწყლდება. ბონდოს ტრაგედიის შინაარსიც, მისი სულიერი ცხოვრების შინაარსიც საერთოდ, თვით გვარის დაცემის შინაარსიც, რაც რომანის თემას შეადგენს—ყველაფერი ეს ვიწროვდება, და მხოლოდ ერთადერთი ვნებისა და ამ ვნებასთან დაკავშირებული განცდების გარშემო ლაგდება. ეს ერთადერთი ვნება და მისი ადგილი გვარის გადაჯიშების რთულ პროცესში რომანის დასაწყისში გაკვრით, მაგრამ ძალიან მკაფიოდ და დამაჯერებლადაა მოხაზული. ბონდოს პაპა ოტია, რომელთან შედარებითაც ყარამანი ჩრდილია, ხოლო ბონდო ჩრდილის ჩრდილი, თურმე ავბორცობით თავის საბატონო სოფელს იკლებდა. მკითხველი გულისხმობს, რომ ოტია, რომელიც დაახლოვებით გასული საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა, თავისი გვარის პირველი თაობა იყო, რომელსაც მხრებზე ჰევენის დაცვა-გამგებლობის ტვირთი აღარ აწვა და, უმისოდ ძლიერი პიროვნება (იგი ასეა რომანში დახატული), უსაქმობამ ავბორცობით უხამს გატაცებასთან მიიყვანა. (თუ ასე არ ვიგულისხმებთ, მაშინ ერთად ერთ ახსნად რჩება პათოლოგია, რომელიც დიდი ტილოს შესაქმნელად ვერაფერი თემაა). ოტიას ძეს ყარამანს ეს ზნე არ ახასიათებს, მაგრამ სამაგიეროდ მის შვილს ბონდოს ეს ვნება ცხოვრების წარმმართველად აქვს გამზდარი. ამ ტრაგიკული გმირის მთელი შინაგანი ცხოვრება ამ ერთ მოტივზეა დაყვანილი, მისი გვარის გამანადგურებელი ფსიქიკური ავადმყოფობა, რომელსაც ჩვენ რომანის დასაწყისში რალაც სიმბოლურად გამოხატულ განწირულების ბექდად აღიქვამდით, თურმე „უინისაგან ვაგიყება“ ყოფილა, ხოლო ბონდოს ტრაგედია არშიყობაში ხელმოკარული კაცის ტრაგედიაა. კვანძის ასეთი გამართრეებული და პირდაპირი გახსნა მკითხველისთვის ან არადამაჯერებელია, ან უინტერესო. თუ გადაშენების რთუ-

ლი სოციალური და ადამიანური დრამა ავტორს უნდა მხოლოდ ამ ვიწრო კრილით დაგვანახოს, მაშინ ეს დამაჯერებელი არაა. თუ მისი თემა მხოლოდ ფსიქიკური და ბიოლოგიური პათოლოგიაა, რომელიც ბონდოს ტანჯვის წყაროა, მაშინ ეს ტანჯვა არასაკმარისად საინტერესოა. რომანის ფართოდ ჩაფიქრებულ და დაწყებულ თემას ასეთი გადაწყვეტა ავიწროებს, აღარბეჭდს, იგი მცირე მასშტაბიანი ეტიუდის დონეზე ჩამოჰყავს.

ეფიქრობთ, ძნელია ავტორის ამ ტენდენციამ არ დავინახოთ რომანის დაწერის პერიოდისათვის მეტად გავრცელებული ფსიქოანალიტიკური იდეების გავლენა, რომელთაც ადამიანის ქვეცნობიერი ფსიქიკური ცხოვრება მთლიანად ან თითქმის მთლიანად ერთადერთ მოტივზე დაჰყავთ. ამჟამად ადამიანის სულიერი ცხოვრების ასეთი ახსნა ცალმხრივად, არასაკმარისად, ადამიანის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ძირითადი ფუნქციებისა და მოთხოვნილებების უმართებულო უგულებელყოფად არის აღიარებული. თავისი თემისათვის არაორგანულ, გარედან მოხვეულ იდეებს ავტორმა ნებამისცა თემის განვითარება წარემართათ, და ამან თავისი შედეგიც გამოიღო. „სანავარდოს“ ის ნაწილი, რომელიც ბონდოს ტრაგედიის გაშლას შეიცავს, ჩვენთვის დღეს უცხო რჩება. იგი არ გვაღელვებს და თუ ადგილადგილ მონათხრობი მაინც გვჭერა, ბონდოს ბედი მხოლოდ ზიზღნარევი სიბრაღის ღიმილს იწვევს. (როგორც ზემოთ ითქვა. ეს მსჯელობა მხოლოდ რომანის უკანასკნელ ორ მესამედს ეხება).

„სანავარდოს“ ამ უკანასკნელ გამოცემაში ავტორმა, ძველ გამოცემებთან შედარებით, შეკვეცა ბონდოს დრამა სწორედ ზემოხსენებული მოტივების ხარჯზე. ამით ამ დრამას კონკრეტული თვალსაზრისობა მოაკლდა, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებებისაგან რომანი არ გაათავისუფლა. ამ ამო-

ღებული მოტივების მაგიერ ავტორმა სხვა, ასევე მკვეთრად გამოხატული მოტივები ვერ შეიტანა. მან ბონდოს ფსიქიკური ცხოვრება ტრაგიკული, მაგრამ თანაგრძნობის გამომწვევი, არასრულფასოვანი, მაგრამ საინტერესო ადამიანის სრულ და ბუნებრივ ფსიქიკურ ცხოვრებამდე ვერ აამალა.

კრებულში კიდევ ორი რომანია შეტანილი: „წითელი ყაყაჩო“ და „ირმის ნახტომი“. პირველი საბჭოთა ხალხის სამამულო ომის მღელვარე დღეებს ეხება, იგი ფრონტზე წასული და მერე იქიდან მშობლიურ თბილისში მობრუნებული მეტრძოლის მონათხრობის ფორმას ატარებს. რომანი ინტერესით აკითხება და მკითხველს აღელვებს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ავტორმა ახალი რამ თქვა ომის შესახებ ან უკეთესად თქვა, ვიდრე ომის მონაწილეს და ომის შესახებ მრავალ სხვა ავტორს უთქვამს. ეს რომანი გვაღელვებს მხოლოდ თავისი თემის წყალობით, იგი ისეთ ამბებს მოგვითხრობს, რომელთა გულგრილად კითხვა საერთოდ ძნელია, რომანში რამდენიმე ხასიათია. არცერთი მათგანი არ არის განსაკუთრებით მკვეთრი, მაგრამ მაინც საკმაოდ ინდივიდუალური იერი აქვთ და მკითხველს მეტ-ნაკლები სიცხადით თვალწინ ეხატებიან. სამწუხაროდ, ომის სცენები რომანში არ ტოვებს უშუალოდ განცდილისა და ნახულის შთაბეჭდილებას, ამ სცენებს ლიტერატურული რემინისცენციების შორეული იერი დაჰკრავს. ვხვდებოდა მეტად ხელოვნური სიტუაციებიც: მეგობრების ერთად მოხვედრა ჰოსპიტალში, ერთი გმირის სიკვდილი სწორედ მეორის გადაარჩენის მომენტში და ზოგი სხვა უმჯობესი იყო, ვფიქრობთ, ავტორს ომის თემა მისთვის უფრო კარგად ნაცნობ სიტუაციებში გადაეწყვიტა.

„ირმის ნახტომი“ ისტორიულ-სოცი-



აღურ თემაზე დაწერილი რომანია. მისი თემა ხელოსნური წარმოების რღვევა ძველ თბილისში და მის ადგილას ახალი კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრება. ეს პროცესი ძალიან დამაჯერებლად არის ნაჩვენები. მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორს სათანადო მასალები დაწერილი, მოსმენილი და ნახულის სახით ღრმად შეუწავლია და შეუძლია ჩვენი წარსულის ამ საინტერესო პერიოდის სანდო და სრული სურათი წარმოგვიდგინოს. ამავე დროს ეს რომანი სპეციალურად ქალაქ თბილისის თემისადმი მიძღვნილი ნაწარმოებია და შემთხვევითი არ არის, რომ მას წამძღვარებული აქვს პატარა პროლოგი სადაც თბილისის დაარსება და მისი ისტორია მოკლედ და ხატოვნად მოთხრობილი. თბილისი ავტორს ხიბლავს და იტაცებს. ის დიდი სიყვარულით აგვიწერს ძველი თბილისის ყოფას, ზნე-ჩვეულებებს, მკვიდრთა საქმიანობას. ვართობას და ურთიერთობას. ეს მონათხრობი მკითხველისათვის უაღრესად საინტერესოა, როგორც ექსკურსი ჩვენი დღეა-ქალაქის ახლო წარსულში, რომელიც ახლა ჩვენთვის ეკზოტიკის შუქითაა მოცული, მაგრამ საკმაოდ ბუნდოვნად ვიცნობთ, რომანის ყველა ან თითქმის ყველა მოქმედი პირი კოლორიტული ფიგურაა, ძველი თბილისის განუყოფელი და ჩვენთვის საყვარელი იერის მკაფიოდ და საინტერესოდ გამოშსახველი.

მაინც რომანის ნაკლია, რომ მისი ორივე თემა — ძველი თბილისის თემა ზოგადად და ახალ ურთიერთობათა შექმნის თემა კერძოდ. აქ არაა ორგანულად ერთმანეთში გადახლართული. ისინი თითქოს ერთიმეორის გვერდზე თანაარსებობენ. იმ სცენებში, რომლებიც მოწოდებულია ახალი სოციალური ურთიერთობა (ფაბრიკა-ქარხნები, მუშათა ორგანიზებული რევოლუციური ბრძოლა) დაგვიხატონ, რომანის მთავარი

გმირები არ მონაწილეობენ. მონაწილეობენ თავიანთი ინტენციური თვისებებისა, რწმენებისა და ეთიკური წარმოდგენებისაგან სრული განყენებით. რომლებიც რომანში სხვაგან ასე კოლორიტულადაა დახატული.

რომანი აღვილად და საინტერესოდ იკითხება. ავტორის სტილი მსუბუქია და ხატოვანი, ძველი თბილისის თავისებური პეიზაჟი თვალსაჩინო და ემოციური. გამოცდილი რომანისტის ხელი ამ ნაწარმოებში აშკარად ჩანს.



დ. შენგელაიას რომანების ენა გამოირჩევა მოქნილობით და, განსაკუთრებით, სიმდიდრით. მწერალს აქვს სიტყვათა უმდიდრესი მარაგი აღამიანის სულის მოძრაობის სხვადასხვა ნიუანსთა აღსანიშნავად. (ეს სიტყვები, როგორც წესი, ლიტერატურულია, თუმცა შიგადაშიგ დიალექტებიდან შემოსული ლექსიკაა გამოყენებული, რომელსაც სალიტერატურო ქართული მანამდე არ იცნობდა). ამავე დროს ავტორი უხვად ხმარობს უფრო კონკრეტული საგნების აღმნიშვნელ კუთხურ სიტყვებს, რომლებიც მის თხზულებებში აღწერილი, გარემოს თავისებური კოლორიტის შექმნას დიდად უწყობენ ხელს. მეტად სასიხარულოა, რომ ავტორს არ ღალატობს ზომიერება ამ სიტყვების ხმარებაში. განსაკუთრებით მისასალმებელი და სასიამოვნო კი ის არის, რომ ავტორი, როგორც წესი, მკითხველისათვის უცნობ კუთხურ სიტყვებს ხმარობს ხოლმე ისეთ კონტექსტში, საიდანაც მათი მნიშვნელობა განმარტების გარეშეც სრულად ჩანს და სადაც სხვა ყოველი სიტყვა უადგილო იქნებოდა. ლიტერატურულ ენაში ახალი დიალექტური სიტყვის შემოტანის გზა სწორედ ესაა და ამით ავტორი ქართულ სალიტერატურო ენას სასარგებლო სამსახურს უწევს.

ნიკოლოზ ჯაფარიძე

თანამედროვე გურჯაანის რეაქციური პარტიის

საბჭოთა ხელოვნება — დიდი ისტორიული მნიშვნელობის ხელოვნებაა, რომელიც ჩვენი დროის მოწინავე იდეებს განასახიერებს. გამსჭვალულია რაკაცობრიობის ნათელი მომავლისადმი ოპტიმისტური რწმენით, წინააღმდეგ კაცთმოდულე იმპერიალისტური იდეოლოგიისა, იგი თანამედროვეობით იცავს ჰუმანიზმის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის მაღალ იდეებს. საბჭოთა ხელოვნებამ დიდ წარმატებებს მიაღწია იმის მეოხებით, რომ იგი სიმართლით ემსახურება ხალხს, მკიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, ყოველთვის განუხრელად ასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მითითებებს.

უკანასკნელ წლებში ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები არაერთხელ შეხვედრიან ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს. 1962 წლის დეკემბერში გაიმართა ორი ასეთი შეხვედრა, ხოლო 1963 წლის 7—8 მარტს დასკვნითი მესამე შეხვედრა, რომელზედაც ვრცელი და მკაფიო სიტყვით „მაღალი იდეურობა და მხატვრული ოსტატობა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი ძალაა“ გამოვიდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან 1963 წლის 8 მარტს თავის ღრმამინაარსიან სიტყვაში, რომელიც მნიშვნელოვანი შენაძენია მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკაში, ნიკიტა

ხრუშჩოვის ძე ხრუშჩოვმა თქვა: „კომუნისტურ-მისათვის ბრძოლაში, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანის აღზრდას კომუნისტური იდეალების სულსკვეთებით. და ეს შეადგენს ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მთავარ ამოცანას ამჟამად. ჩვენ საბრძოლო წესრიგში უნდა მოვიყვანოთ პარტიის იდეური იარაღის ყველა სახე, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება კომუნისტური აღზრდის ისეთი მძლავრი საშუალებაც, როგორც არის ლიტერატურა და ხელოვნება“.

თანამედროვე ეპოქაში ბრძოლამ ბურჟუაზიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას შორის უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო. იმპერიალიზმის იდეოლოგიები დარწმუნდნენ, რომ ახლა, როცა სოციალიზმი გასცდა ერთი ჰეგემონის ფარგლებს გარეთ და გადაიქცა მსოფლიო სისტემად, შეუძლებელია ლაპარაკი მის დათრგუნვაზე პირდაპირი შეიარაღებული ძალით. ამიტომ საესეებით ბუნებრივია, რომ ძველი სამყაროს აპოლიგეტები გადავიდნენ იდეოლოგიურ დივერსიაზე, მობილიზაციას უკეთებენ ფსიქოლოგიური ომის ყველა საშუალებას. ე. წ. „ფსიქოლოგიური ომი“ იმპერიალიზმმა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა. იდეოლოგიურ ბრძოლაში იმპერიალიზმი გამოდის ანტიკომუნისტური შავი დროშით, რომლის გარშემო გაერთიანდნენ პროგრესის ყველა მტრები. იმპერიალიზმის იდეოლოგიები იძულებულნი არიან შეურიგდნენ სხვადასხვა სოციალური წყობი-

ლების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს და ამასაც იყენებენ თავიანთი პოზიციების გასამაგრებლად. ეს პრინციპი ეკონომიური შეჯიბრების სფეროდან იდეოლოგიურ სფეროზეც გადააქვთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმის დოკუმენტებში მოცემულია თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური ბრძოლის თავისებურებათა მარქსისტული ანალიზი, იმპერიალიზმის იდეოლოგიური დივერსიის მეთოდებისა და ხერხების სრული დახასიათება, იმპერიალიზმისა, რომელიც ყველა არსებული საშუალებებით ცდილობს, „იდევების ომი“ ვადაიტანოს სოციალისტურ ქვეყნებში იდეოლოგიათა მშვიდობიანი თანაარსებობის ლოზუნგის საფარს ქვეშ. იდეოლოგიის მშვიდობიანი თანაარსებობის ქადაგება ნიშნავს მარქსიზმ-ლენინიზმის ღალატს, მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესების გამცემლობას. პარტია მოგვიწოდებს არამარტო შეურიგებელი ბრძოლა ვაწარმოთ ძირმოძვალად ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, არამედ საკადრისი პასუხი გავცეთ ყველა იმთ, ვინც სხვის პანგებზე მღერის, იდეოლოგიის დარგში მშვიდობიანი თანაარსებობის ქაობში ეფლობა.

იმპერიალიზმის უზარმაზარი იდეოლოგიური ზემოქმედების მანქანა—ბრესა, რადიო, ტელევიზია, ტურისტები, მისიონერები, კინოფილმები ე. წ. „კომიქსები“ და სხვ.—გვიანტური წნეხის მსგავსად დაწოლას ახდენს კაპიტალისტური ქვეყნების ადამიანების გონებაზე, ცდილობს თავისი მოწამლული მარწუხებით კაპიტალისტური ქვეყნების ფარგლებს გარეთაც შეაღწიოს, იდეოლოგიურ ტყვეობაში მოაქციოს მერყევი ელემენტები, რომლებიც სოციალისტურ ქვეყნებში აქა-იქ ბოგინობენ.

ანტიკომუნისმის ძალების სათავეში დგას ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური ბურჟუაზია. ამერიკული იმპერიალიზმი საერთაშორისო ეანდარმის როლს ასრულებს არამარტო პოლიტიკაში, არამედ იდეოლოგიაშიც.

ბურჟუაზია იდეოლოგიურ მშვიდობაში იყენებს ფილოსოფიას, მართალს, ხელოვნებას, ესთეტიკას და ა. შ. ხელოვნება და ესთეტიკა ჩათრეულია იდეური ბრძოლების ორბიტში, ისინი იმყოფებიან „გულეებისა და სულეების ბარიკადებზე“. ჩვენი იდეური მტრები იყენებენ ისეთ მიმდინარეობებს, როგორცაა ფორმალიზმი, მისი უკიდურესი გამოხატულება—აბსტრაქციონიზმი, დეკადენტობა, ლამობენ დაანაგვიანონ ჩვენი ყამირი იდეოლოგიური სარეველათი, რომელთა თესლი კარგა ხნის წინათ გამოყვანილია კაპიტალიზმის იდეური სელექციონერების მიერ.

იმპერიალიზმის იდეოლოგები საქვეყნოდ გაჰყვირიან, რომ საზოგადოებრივი განვითარების მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, რომელიც ჩამოყალიბებულია კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის მიერ, თითქოსდა აღარ უპასუხებს თანამედროვე ეპოქის სურათს; როგორც კლასიკური კაპიტალიზმი, ისევე კლასიკური სოციალიზმი XIX საუკუნის პროდუქტებია და მათმა უამმა განვლო; ხელოვნებისა და ესთეტიკის დარგში არ არსებობს თეორია, რომელიც მეცნიერულად ახსნიდა ხელოვნების დედაარსს (ი. თეოდორაკოპულოსი).

არაფერი არაა იმაზე უფრო ყალბი, ვიდრე ამგვარი განცხადებანი, კაცობრიობის განვითარების მთელი მსვლელობა მე-20 საუკუნეში მთლიანად აღასტურებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ საზოგადოებრივი განვითარების კანონების გენიალურ ანალიზს, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ცხოველყოფილობას, ასახვის მატერიალისტური თეორიის ქეშმარიტებას ხელოვნების გაგებისათვის.

ძველი სამყაროს იდეოლოგიის აპოლოგეტებმა შეთხზეს ლეგენდა, რომლის თანახმად თანამედროვე კაპიტალიზმი „გარდაიქმნა“, რომ ახლა მისთვის უცნობია სოციალური კონფლიქტები, „ძველი“ ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებანი, კლასებს შორის მოიშალა ზღვარი. ახალმა კაპიტალიზმმა ე. წ.

„სახალხო კაპიტალიზმში“, „ეკონომიურ-მა ჰუმანიზმში“ მოიპოვა „ახალი სუნთქვა და განახორციელა საყოველთაო კეთილდღეობის, პიროვნების თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლების იდეალები კერძო მეწარმეობის პირობებში“. აქედან გამომდინარე, ხელოვნებისა და ესთეტიკის დარგში თანამედროვე რეაქციული ესთეტიკის დამცველები ქადაგებენ რაღაც ყოვლისშომკველ, კოსმოპოლიტურ ხელოვნებას, „თანამედროვე სტილს“ ხელოვნებაში. მათი აზრით, ტექნიკა და გონება პროგრესს განიცდიან, ხოლო ადამიანთა გრძნობები და მორალური თვისებები უცვლელი რჩებიან (თომას მანრო).

ეს ფანდი იმპერიალიზმის იდეოლოგიებს სჭირდებათ იმიტომ, რომ მოატყუონ მასები. კაპიტალიზმი იყო, არის და იქნება მშრომელთა მტერი, სოციალიზმის მტერი. ხოლო ხელოვნება კლასობრივ საზოგადოებაში ყოველთვის იყო და არის კლასობრივი, პარტიული.

რამდენიმე ხნის წინათ იმპერიალიზმის აპოლოგეტთა „ტვინის ტრესტების“ წილში აღმოცენდა „თეორია“, რომლის თანახმად სოციალიზმში, რომელმაც მოსპო კერძო საკუთრება, კერძო მეწარმეობა და კაპიტალიზმის სხვა „სიკეთენი“, საზოგადოებას მოუსპო ცხოველყოფილობის სტიმული, წარმოშვა კონფლიქტი ადამიანსა და წარმოებას შორის, უგულვებელყო ადამიანთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები, დათრგუნა პიროვნება. აქედან გამომდინარე, ხელოვანი იძულებულია მოსწყდეს სინამდვილეს, შეიცნოს თავისი თავი „თავისუფალ პიროვნებად“ და საღდაც იმკვეყნიურში ეძებოს მშვენიერების იდეალი. იწყება ხელოვნების დეკუმანიზაციის ეპოქა (ხოსე ორტეგა-ი-გასკერი).

როგორც ჩანს ცუდად, ჰუმანიტად ცუდად აქვთ საქმე იმპერიალისტებს და მათ ლაქიებს, როდესაც ასეთ უტვინო ცილისწამებას მიმართავენ. სოციალიზმი თავისი უმავალით ეკონომიური, სოციალური და სულიერი პროგრესით,

კოსმოსის ერის აღმოჩენით, მილიონების დროშა ვახდა საუკეთესო მშენებლისთვის, მშვიდობისათვის გრძნობისათვის, საბჭოთა ხელოვნება თავისი იდეალებით ყოველი კეთილი ნების ადამიანის სულსა და გულს, გრძნობებს ხვდება და იპყრობს.

იმპერიალიზმის იდეოლოგიების აზრით, სოციალიზმი და კაპიტალიზმი, მიუხედავად მათი ძირეული განსხვავებისა, ვითარდებიან ერთსადაიმევე მიმართულებით, რომ „საყოველთაო ინდუსტრიული განვითარების ძალდატანებით ეკონომიური იმპერატივები“ თანდათანობით მიგვიყვანენ ორი სისტემის „პიბრაღიზაციამდე“, მათ „სინთეზამდე“, ერთიანი, „შერეული“ საზოგადოების წარმოქმნამდე „სოციალიზმის შინაგანი ცვლილებისა“ და კაპიტალიზმის ერთგვარი „მოდერნიზაციის“ შედეგად.

იმპერიალიზმის იდეოლოგიებს ნათლად ესმით, რომ კაპიტალიზმს აღარ შერჩა დადებითი იდეალები და ცდილობენ ფსევდო-სოციალისტური ლოზუნგებით დააბნიონ. მოატყუონ მშრომელები, შეუქმნან მათ რაღაც პერსპექტივები, მომავლის იმედები. ისინი ზიარად მიმართავენ ხელოვნების დარგებს, რადგან, იციან, რომ ხელოვნება, მისი სახეები ყველაზე ხელმისაწვდომია ხალხისათვის, რომ იდეოლოგიური შხამის გავრცელება იდეოლოგიური ზემოქმედება ძნელია, წარმოუდგენელია კაპიტალიზმის მარადიულობის ქადაგებით. ვანყენებული ფილოსოფიური მსჯელობით, ადვილია ხელოვნების საშუალებით, მის ემოციურ თავისებურებათა გამო. ხელოვნების დარგშიც თანამედროვე რეაქციული ესთეტიკა თავის უკიდურეს განსახიერებას ამერიკის შეერთებულ შტატებში პოულობს. ცნობილია, რომ აქ ყოველნაირად იცემა ახალ-ახალი ლიტერატურა ხელოვნებისა და ესთეტიკის დარგში. შემთხვევითი როდია, რომ ათიოდე წლის წინათ ამერიკელმა პროფესორმა მეღვინ რეიდერმა სპეციალური ნაშრომი გამოსცა მეტად დამახასიათებელი სათაურით: „თანამედრო-



ვე წიგნი ესთეტიკაში“. შემთხვევითი როდია ისიც, რომ ინგლისელმა ხელოვნებისმცოდნეებმა კატარინ გილბერტმა და ჰელმუტ კუნმა წიგნში „ესთეტიკის ისტორია“, რომლის მეორე გამოცემა 1956 წელს გამოვიდა, მ. რეიდერის ანთოლოგია თანამედროვე ესთეტიკაში ყველაზე ვრცელ ნაშრომთა რიცხვს მიაკუთვნეს. წიგნში მოცემულია ძირითადად მე-20 საუკუნის ხელოვნების ბურჟუაზიული თეორეტიკოსებისა და მათი სულიერი მამამთავრების—ანრი ბერგსონის, ზიგმუნდ ფროიდის, ბენედეტო კროჩეს, ჯონ დიუისი, ჯორჯ სანტაიანას და სხვათა ესთეტიკური შეხედულებანი, რომლებიც იმპერიალიზმის არსენალში მძლავრ იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენენ.

თანამედროვე ბურჟუაზიულ ხელოვნებათმცოდნეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობენ ე. წ. ნეოთომისტური ესთეტიკა, ინტუიტივიზმი, ფროიდისტული თეორია, პრაგმატიზმი, იზოლაციონიზმი და ა. შ. რომლებიც ასე თუ ისე განსხვავდებიან დეტალებში, მაგრამ იდეალიზმის მქადაგებელნი არიან. ნეოთომისტური ესთეტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელია ე ა კ მ ა რ ი ტ ე ნ ი. ნეოთომისტურმა ესთეტიკამ თავისებურად აითვისა და გადაამუშავა სინამდვილის ასახვის არისტოტელესული პრინციპი შუასაუკუნეების სქოლასტიკების, პირველ რიგში თომა აქვინელის დებულებათა სულისკვეთებით. ეს თეორია ნეოთომისტებმა „გადაამუშავეს“ დაცემულობის ხანის ბურჟუაზიული ხელოვნების თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით. ნეოთომისტების შეხედულებით, ხელოვნებაში ადამიანი — შემოქმედი აბსოლუტურად, საეგზიბით თავისუფალია ობიექტური კანონებისაგან, შინაგანი აუცილებლობისაგან და შეუძლია აკეთოს ყველაფერი, რაც მას მოეპარება. სრული თვითნებობა, სუბიექტივიზმი, მისტიციზმი მხატვრულ შემოქმედებაში — აი ნეოთომისტების ესთეტიკური კრედო.

ნეოთომიზმი — ობიექტური იდეალიზმის თეოლოგიური კონსერვატიული იდეალისტური სკოლებისგან განსხვავებით ასეთუ ისე აღიარებს გარე სამყაროს, ესთეტიკურ თვისებათა რეალურ ხასიათს და სინამდვილის შეცნობის შესაძლებლობას, გადაჭრით ილაშქრებს ინტუიტიური აგნოსტიციზმის წინააღმდეგ. სწორედ ამით იძენს იგი მომხრეებს ბურჟუაზიული ინტელიგენციის რიგებში.

ინგლისელი ხელოვნებათმცოდნე ჰერბერტი რიდი ნაშრომში „აღზრდა ხელოვნების მეშვეობით“ (1943) ამტკიცებს, რომ „მხატვარი უფრო ესწრაფვის გამობატოს თავისი გრძნობები, ვიდრე თავისი დაკვირვებები“. თავის ბოლო შრომებში „თანამედროვე ხელოვნების ფილოსოფია“ (1951) და განსაკუთრებით მოხსენებაში IV საერთაშორისო კონგრესზე ესთეტიკაში ქ. ათენში 1960 წელს „გაუფორმებელი სახეები თანამედროვე ხელოვნებაში“ ჰ. რიდი აღნიშნა, რომ მხატვრული სახეები გამოხატავენ არა რეალობას, არამედ მხატვრის განცდებს, რომ ხელოვნების ქეშმარიტი ნაწარმოებებია ისინი, რომლებშიც მხატვარი გამოსახავს თავის განცდებს აბსტრაქტული სიმბოლოების მეშვეობით, ეს სიმბოლოები კი მხატვრის ქვეცნობიერ მისწრაფებათა და მისტიკურ დეღვათა „გაუფორმებელ სახეებს“ წარმოადგენენ. ასეთია აბსტრაქციონიზმის ესთეტიკური მრწამსი და კრედო.

თანამედროვე ბურჟუაზიულ ხელოვნებათმცოდნეობაში დიდი ადგილი უკავია იტალიელი ფილოსოფოსის ბენედეტო კროჩეს ესთეტიკურ სისტემას. მისი ფუნდამენტალური ნაშრომი „ესთეტიკა“, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოვიდა, ბევრჯერ გამოცა და ითარგმნა თითქმის ყველა ევროპულ ენაზე. ფართოდაა ცნობილი კროჩეს ისეთი შრომები, როგორცაა „ესთეტიკის პრობლემები“, „სამაგიდო წიგნი ესთეტიკაში“, „პოეზია“ და სხვ. კროჩემ თეორიულად დაასაბუთა პოეზიის

მოწყვეტა ისტორიისაგან, ხელოვნების მუდმივი და ზეისტორიული ხასიათი და ამით საგრძნობი წვლილი შეიტანა იმპერიალიზმის ეპოქის შესატყვისი რეაქციული ესთეტიკის ჩამოყალიბებაში. თავის „ესთეტიკაში“ კროჩე უარყოფს ი. კანტსაც ადამიანისაგან დამოუკიდებელი „საგნის თავისთავად“ დაშვების გამო და ჰეგელსაც, რომელიც ბუნებას აღიარებდა აბსოლუტური სულის სახეცვლილებად. იგი კანტსაც და ჰეგელსაც აკრიტიკებს მარჯვნიდან. გულდასმით წმენდს „სულს მატერიის, მცირეოდენი შენარევისაგან“ და აცხადებს, რომ არავითარი სხვა რეალობა არ არსებობს, გარდა სულისა. მისი აზრით ტილოება, ქანდაკებები, შენობები და ა. შ. არ წარმოადგენენ მხატვრულ ნაწარმოებებს. ისინი მხატვრულ-სახეობრივი შემოქმედების სიმბოლოები, ნიშნებია და სხვა არაფერი. ხელოვნების ნაწარმოებები არსებობენ მხოლოდ გონებაში, რომელიც ჰქმნის ანდა წარმოქმნის მათ. კროჩე გაურბის ხელოვნებაში ობიექტური სამყაროს ასახვის საკითხს და ხელოვნება დაჰყავს „წმინდა ინტუიციამდე“. ხელოვნების შემეცნებითი მნიშვნელობა ნულს უდრის. მისი აზრით, ხელოვნება ცოცხლობს „წმინდა აზროვნებაში“. ხელოვნების ლიკვიდაცია — აი, კროჩეს ესთეტიკური იდეალიზმის საბოლოო შედეგი.

იმპერიალიზმის იდეოლოგიები ცდილობენ რა ხალხის ფართო მასებსა და მხატვრულ ინტელიგენციას ჩაუნერგონ ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის იდეები, თავგამოდებით ნერგავენ ხელოვნებაში სუბიექტივიზმსა და ვოლუნტარიზმს. ბევრი თანამედროვე რეაქციული ხელოვნებათმცოდნე აშკარად ქადაგებს იმას, რომ სულიერი კულტურის მატარებლები და შემქმნელები არიან ცალკეული რჩეული ადამიანები, რომ მხატვრის გენიალობა უნდა ვეძიოთ არა ქონმახებში, არამედ, სასახლეებში. მარქსიზმმა დიდი ხანია გააცამტვერა ეს იდეალისტური, რეაქციული თეორია, ხოლო დიდი ოქტომბრის სოციალის-

ტურმა რევოლუციამ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ცხარე მხარეებში ტიკულად დაამტკიცა მონაწილის სრული უსუსურობა. სწორედ ამ კონცეფციას იცავს თანამედროვე ესპანელი ფილოსოფოსი. ბნელეთის მოციქული ხოსე ორტეგა-ი-გასეტი თავის ნაშრომში „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“.

თანამედროვე რეაქციული ესთეტიკა უარყოფს მშვენიერების ობიექტურ არსებობას სინამდვილესა და ხელოვნებაში. იგი ცდილობს მოწყვიტოს ადამიანთა აზროვნება კაპიტალიზმის სინამდვილეში არსებულ კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებს, წარმართოს იგი „არამშვენიერ სილამაზისაკენ“ ანდა ქვეცნობიურ ვატაცებათა სამეფოში. მხატვრული შემოქმედება დამოუკიდებელია ცხოვრებისაგან და ხელოვნების ობიექტური კანონებისაგან. ამ შეხედულებათა თანახმად, მხატვარი ჰქმნის როგორც მას მოესურვება, მის ნაწარმოებებს გაიგებენ მხოლოდ შთამომავლები, თანამედროვე ადამიანი უძლურია ამაღლდეს „ნოვატორულ“ ნაწარმოებთა მშვენიერების გავებად. ეს არის თეორიის — ხელოვნება ხელოვნებისათვის“ სახეშეცვლილი იდეები, რომელთაც მოღერნისტები ქადაგებენ. ეს თეორიები უარყოფენ ხელოვნებაში ცხოვრებისეულ სიმართლეს, ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპს. ამ თეორიის ერთ-ერთი მქადაგებელია ნეოთომისტური რეაქციული ესთეტიკა, რომელიც მშვენიერების წყაროს იმქვენიურ სამყაროში ეძებს. ამასვე ერთგვარი სახეცვლილებით ქადაგებდა ჯორჯ სანტაიანა, რომელსაც ბურჟუაზიული ფილოსოფოსები უდიდეს ავტორიტეტად სთვლიან ესთეტიკაში. მისი აზრით: სილამაზე ტკბობაა, რომელიც უნდა განვიხილოთ როგორც საგნის თვისება. სილამაზე — ობიექტივიზირებული ტკბობაა. სანტაიანას აზრით: ყველაფერი დამოკიდებულია სუბიექტისაგან, ჩვენს სულიერ მდგომარეობას გადაეცემთ საგანს, აღვეჭურავთ მას ესთე-



ტიკური სახით (სიმბოლოთი) და ეს სახე შეადგენს სილაბაზეს, „ობიექტივიზირებულ ტკბობას“. სანტაიანას ესთეტიკურმა კონცეპციამ სწრაფი გამოხმაურება ჰპოვა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის თანამედროვე რეაქციულ ხელოვნებაში—სიურრეალიზმში. ეს მიმდინარეობა თანამედროვე ბურჟუაზიულ ხელოვნებაში ქადაგებს „ზერეალურის გრძობას“, უარყოფს სინამდვილის რაიმე შეცნობას.

თანამედროვე ამერიკელი ფილოსოფოსი უილიამ პეტერელ მონტეგიუ ფაქტობრივად სოლიდარობას უცხადებს სანტაიანას მშვენიერების კონცეფციას იმ განსხვავებით, რომ წინადადებას აყენებს მას დაემატოს ესთეტიკურის სფეროში „ობიექტივიზირებული ემოცია“. მონტეგიუ, რომელმაც თავის ფიქრის „ესთეტიკური პლიურალიზმი“ უწოდა, რჩევას აძლევს მხატვრებს გაბედულად შეიჭრნენ ცხოვრებაში, მაგრამ არ მივიდნენ რეალიზმამდე, რადგან ეს უკანასკნელი მეტისმეტად ეწინააღმდეგება იდეალიზმს.

თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის მქადაგებლებს „წმინდა ხელოვნება“ ყველაფერში უკვე აღარ აძლევთ ხელს, ხოლო რეალიზმი მათთვის საკმაოდ საშიშია. სწორედ ამიტომ ისინი აყენებენ საკითხს ახალი ხელოვნების — „ესთეტიკური პლიურალიზმის“ აუცილებლობის შესახებ, რომელიც მოწოდებულია პრაქტიკულად განახორციელოს სანტაიანას ანტირეალისტური ესთეტიკური სისტემა, ყოველგვარი „ობტემისტური სენტიმენტალიზმის“ გარეშე. მათი აზრით, ცხოვრებიდან ბოროტების აღმოფხვრა შეუძლებელია, იგი ყოველთვის იყო და იქნება.

მონტეგიუს ესთეტიკური კონცეპციის დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალიზმის მანკიერებანი დასახოს საზოგადოების ბუნებრივ და მუდმივ მდგომარეობად, ხელოვნების მთავარ პრინციპებად. აქედან გამომდინარეობს სანტაიანას ესთეტიკური

კონცეპციისა და მისი ერთგვარი სახესხვაობის—„ესთეტიკური პლიურალიზმის“ დასკვნა—სინამდვილეში, ობიექტურად, მშვენიერის, ლამაზის, ესთეტიკური იდეალის უარყოფის შესახებ.

ხელოვნების თეორეტიკოსმა როჯერ ფრაიმა თავის თანამოაზრეებზე უფრო ამკარად აღნიშნა, რომ ადამიანს გააჩნია ორნაირი ცხოვრების შესაძლებლობა—ნამდვილი და წარმოდგენითი—ამ უკანასკნელის ქვეშ იგი გულისხმობს „წარმოდგენათა სფეროს“, რომელიც გარე სამყაროსაგან დამოუკიდებლად არსებობს. ასე უარყოფენ თანამედროვე რეაქციული ესთეტიკის იდეოლოგები მშვენიერების ობიექტურ ხასიათს, წარმოსახავენ მას, როგორც ცხოვრებისაგან მოწყვეტილი წარმოდგენის პროდუქტს, როგორც შთაბეჭდილებათა და წარმოდგენათა ერთობლიობას, რომელთაც ადამიანი აყალიბებს თავის შეხედულებათა მიხედვით.

იმპერიალიზმის იდეოლოგები ესთეტიკაში დიდ იმედებს ამყარებენ ე. წ. ფროიდისტულ თეორიაზე ხელოვნებაში, რომლის ფუძემდებელია ზიგმუნდ ფროიდი. მისი აზრით, ადამიანის მოქმედებაზე მთავარ გავლენას ახდენს შეუგნებელი სწრაფვა, რომელსაც გონება არ აკონტროლებს. ფროიდოზში ყოველნაირად ამართლებს კაპიტალიზმის უკურნებელ მანკიერებებსა და წყლულებს, მათ არსებობაში ბრალსა სდებს ადამიანის „კულდად მოწყობილ“ ფსიქიკას. თავის ესთეტიკურ კონცეპციას ფროიდმა საფუძვლად დაუდო ე. წ. ინსტინქტების თეორია. ინსტინქტები განსაზღვრავენ ადამიანის ყველა მოქმედებას, მთელ სულიერ ცხოვრებას, მის ბუნებას. შემოქმედებითი პროცესი იწყება მაშინ, როდესაც შეგნება მიძინებას იწყებს, ამიტომ მხატვრული შემოქმედება არაფრით არ განსხვავდება ძილისაგან, ჰიპნოზისაგან. მხატვარი ფსიქიურად დაავადებული ადამიანია, „ფსიქოტეცია“ და ავადმყოფობა პირობაა იმისა, რომ მან თქვას სიმართლე.

მისტიციზმი, ავადმყოფური ზოოლო-

გიზში, ამორალიზმი—აი, ფროიდისტების ესთეტიკური მრწამსი—სწორედ იგი წარმოადგენდა ხელოვნებაში დეკადანსის ფილოსოფიურ საფუძველს, დეკადანსისა, რომელიც აღიღებდა არაჯანსაღ ეროტიკულ მგრძობელობას, ქადაგებდა სიძულვილს გონებრივი და მორალური პრინციპებისადმი, უარყოფდა რწმენას აღმშენებლისადმი, მისი მალალი სულიერი მისწრაფებისადმი.

ბურჟუაზიულ ესთეტიკაში საკმაოდ ფეხი აქვს მოკიდებული ე. წ. იზოლაციონიზმის თეორიას. მისი მომხრეები ხელოვნებას განიხილავენ როგორც ისეთ მოვლენას, რომელიც იმყოფება „ამქვეყნიურის“ გარეთ. ხელოვნება იწყება იქ, სადაც თავდება ცხოვრება. იზოლაციონისტების ესთეტიკური შეხედულებანი ერთგვარი ვადამღერებაა თეორიისა „ხელოვნება-ხელოვნებისათვის“. ისინი გუნდრუტს უკმევენ სიმბოლიზმის, სიურრეალიზმის, კუბიზმის და სხვა „იზმების“ ხელოვნებას. იზოლაციონისტების აპოლიგეტები თავისებურად იზოლაციას უკეთებენ ხელოვნებას ცხოვრებისაგან.

იზოლაციონიზმის ესთეტიკის მთავარი პრინციპია ის, რომ ყოველი სასარგებლო არაესთეტიკურია, ხოლო ყოველი ესთეტიკური—უსარგებლო, და, მაშასადამე, ხელოვნებას არავითარი პრაქტიკული ღირებულება არ გააჩნია. ასეთ შეხედულებებს ავითარებდნენ თავიანთ შრომებში ანრი ბერგსონი, კუგო მიუნსტერბერგი, კლაივი ბელი და სხვები.

ბერგსონის აზრით, მეცნიერება უძლურია, რადგან იგი აზროვნებს, ხელოვნება ყოველად ძლიერია, როცა იგი არ აზროვნებს. იგი ილაშქრებს ხელოვნებაში იდეურობის, ცხოვრებისეული სიმართლის ასახვის წინააღმდეგ. ბერგსონის ე. წ. ინტუიტივიზმის თეორია სიურრეალიზმის ფილოსოფიური საფუძველია.

ბურჟუაზიული ესთეტიკის ზოგიერთი წარმომადგენელი გრძნობს, რომ ამჟამად თეორიამ „ხელოვნება-ხელოვნებისათვის“ საკმაოდ გაიტეხა სახელი, ძნე-

ლია მისი აშკარა დაცვა და ამიტომ ცდილობს ახალი სახესხვაობის მოძიებას. ასე იქცევა ე. წ. „საქმის“ ლოუ, რომელიც იზოლაციონიზმის თეორიის ნაცვლად აყენებს ე. წ. „ფსიქიური (ესთეტიკური) დისტანციის“ კონცეფციას. ამ კონცეფციის თანახმად, ხელოვნება წარმოადგენს სინამდვილის არა მართალ ასახვას, არამედ, მის გარეშე მართებულ გამოხატვას. მის მომხრეებს ნათლად ესმით, რომ ხელოვნების ცხოვრებისაგან მთლიანი იზოლაცია შეუძლებელია, მაგრამ ცდილობენ „რეალიზმი“ სათანადო ჩარჩოებში მოაქციონ.

თანამედროვე რეაქციულ ესთეტიკაში დიდი გავლენა აქვს პრაგმატისტების თეორიას, რომლის მამამთავარია ამერიკელი ფილოსოფოსი ჯონ დიუი. იგი კატეგორიულად უარყოფდა თავის ესთეტიკაში ცხოვრებისა და ხელოვნების, საზოგადოებრივი პრაქტიკისა და მხატვრული შემოქმედების კანტიანურ დაპირისპირებას. თავიანთ ფილოსოფიას პრაგმატისტები უწოდებენ „მოქმედების ფილოსოფიას“.

პრაგმატისტების ძირითადი ესთეტიკური პრინციპია: ყოველივე ესთეტიკური სასარგებლოა, ხოლო ყოველი სასარგებლო ესთეტიკურია. სასარგებლოს ქვეშ პრაგმატისტები ვულისხმობენ სარფიანობას, რასაც აიგივებენ ქეშმარიტებასთან. პრაგმატისტები მხატვრულ გამოცდილებას აკუთვნებენ ყველაფერს, რასაც შეუძლია აღმშენებლის იყოს სასიამოვნო შთაბეჭდილებათა წყარო. მათი აზრით, კარგად შესრულებული, ღრმაშინაარსიანი ტილო და გულდასმით გაკეთებული მანქანა ტოლფასია ესთეტიკური თვალთახედვით ხელოვნება არის ცხოვრება (და არა ცხოვრების ასახვა), რითაც ისინი ხელოვნების სპეციფიკას უგულებელყოფენ.

იდეალისტური ესთეტიკისათვის საერთოდ დამახასიათებელია საზოგადოებრივი მოვლენებისადმი არა ისტორიული მიდგომა. მაგრამ განსაკუთრებული



• სიმამართ ილაშქრებენ ხელოვნებაში ისტორიზმის წინააღმდეგ ე. წ. „მგრძობელობის“ თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენლები ვიოლეტა პაჭეტი (ვერნონ ლი) და თეოდორ ლიპსი. მათი აზრით, ვარსამყარო ადამიანისათვის შეუცნობელია და ამდენად არ შეიძლება ხელოვნებაში აისახოს. ხელოვნებაში ადამიანი, გამოხატავს თავის თავს. იგი თავის გრძობებსა და იდეებს ათავსებს საგანში და გონებრივად აიგივებს თავის თავს საგანთან. მხატვრული შემოქმედების არსის ისინი ხედავენ „მგრძობელობაში“. „გასულდგმულებაში“, ეს კი თავის მხრივ ობიექტზე გადატანილი სუბიექტის შთაბეჭდილებები და გრძობებია, იდეები და ემოციებია, რომლებსაც ადამიანები საგნებს აკუთვნებენ. ობიექტურად მშვენიერი არ არსებობს. ადამიანის გრძობები, წარმოდგენანი ქმნის სილამაზეს ბუნებაში და არა პირიქით. ეს არსებითად ხელოვნების რელიგიური ახსნაა.

ლოგიკური აზროვნებისადმი შეურიგებლობა ე. წ. ირრაციონალიზმმა თანამედროვე ბურჟუაზიულ ესთეტიკაში ღრმა ფესვები გაიდგა. ასე იქცევიან უპირველეს ყოვლისა ეკზისტენციალისტები („ეკზისტენცია“ — „არსებობა“), რომლებმაც განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს ჩვენი საუკუნის ოციან წლებში. მათი აზრით, მთელი სამყარო წარმოადგენს საიდუმლოებით მოცულ შეუცნობელი ძალების გროვას, იგი ქაოსის, აბსტრდის სამეფოა. ამ თეორიას ქადაგებდა თავის დროზე თანამედროვე ეკზისტენციალიზმის სულიერი მამამთავარი დანიელი მისტიკოსი კიერკეგორი და ამჟამად დასავლეთგერმანელი ეკზისტენციალისტი ესთეტიკაში კარლი ა. სპერსი. ეკზისტენციალისტები სრულიად თიშავენ ხელოვნებას ცხოვრებისაგან და მხოლოდ ტუბობის, განცდების როლს აკუთვნებენ. ამ თეორიის თანახმად, ადამიანი იმყოფება რა შემოქმედებით „თრობაში“. მხატვრულ ექსტაზში, კარგავს ყოველგვარ კავშირს ამ ქვეყნიურთან და ამით პოულობს ქეშმარიტ თავისუფლებას. ამ ეკზისტენციალიზმში ენათესავება და უკიდურესი ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის აშკარა ქადაგებაა.

ხელოვნებაში ყოველთვის იზიდავდა არაერთი მეცნიერის ყურადღებას. ამ პრობლემას თავისებურად, ცხადია, იდეალისტურად უდგება თანამედროვე რეაქციული ესთეტიკა. მაგალითად, მხატვრული ფორმის იდეალისტური გაგების უკიდურეს გამოხატულებას წარმოადგენს კლაივ ბელის კონცეფცია ე. წ. „მნიშვნელოვანი ფორმის“ შესახებ. ამ „ფორმის“ ქვეშ იგი ვულისხმობს „ხაზებსა და ფერებს“, რომლებიც კომბინირებულნი არიან განსაკუთრებული სახით, გარკვეული ფორმებით და მათი შეფარდებებით, რომლებიც ჩვენში ესთეტიკურ ემოციებს იწვევენ. იგი უარყოფს ხელოვნებაში ცხოვრებისეულ სიმართლეს და იდეურობას.

მაგრამ თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის დამცველთა, ისევე როგორც იმპერიალიზმის სხვა აპოლოგეტთა, კრახი გარდაუვალია. მშვიდობის, დემოკრატიის, სოციალიზმის იდეები სულ ახალ-ახალი ადამიანების, მათ შორის მხატვრული ინტელიგენციის გონებას ეუფლებიან და იპყრობენ. სოციალისტური სისტემის განმტკიცება და განვითარება სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა ბრძოლაზე. თავისი მაგალითის ძალით სოციალიზმის მსოფლიო სისტემა არეოლუციურებს კაპიტალის სამყაროს მშრომელთა გონებას, აღაფრთოვანებს მათ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, აადვილებს ამ ბრძოლის პირობებს. თვით ცხოვრება ხალხის მასებს დღითიდღე სულ უფრო მეტი დამაჯერებლობით არწმუნებს იმაში, რომ ქეშმარიტი ხელოვნება, ქეშმარიტი მშვენიერება უშუალოდ დაკავშირებულია მშვიდობის, დემოკრატიის, სოციალიზმის ძლევაში იდეებთან, მსოფლიოში მათ ტრიუმფულ მსვლელობასთან.

სიონ ყაზახიძე

არეოპაგიტული წიგნების გარეგნობა

(პეტრე იბერიელი და დიონისე არეოპაგელი)

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ბევრი რამ დაიწერა არეოპაგიტული წიგნების ავტორის საკითხზე. სახელდობრ, როგორც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე უცხოურ პრესაში მკვეთრად დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ ფსევდო-დიონისეს სახელით ცნობილი წიგნების ავტორი არის ქართველი მოღვაწე, ბიზანტიაში სახელგანთქმული მონაზროვნე, ქართლის მეფის ვარაზ-ბაკურის ძე მურმანოზი, რომელსაც ბერად აღკვეცის შემდეგ პეტრე (იბერიელი) ეწოდა.

ეურნალ „მნათობის“ მკითხველი კარგად იცნობს ამ საკითხს, რადგან ამ ეურნალის ფურცლებზე საკმაოდ ბევრი წერილი დაიბეჭდა პეტრე იბერიელზე. ჩვენ თუ ეხლა მაინც კიდევ ვაწუხებთ მკითხველს ამ საკითხის განხილვით, მხოლოდ იმიტომ, რომ დამატებით კარგი მასალა იქნა გამოვლენილი ჩვენ მიერ ამ საკითხის გასაშუქებლად და გვინდა მკითხველს ამ მასალის შესახებ მოვესაუბროთ. მაგრამ ჩემს თავს ნებას მივცემ წინასწარ მოვავლონ მკითხველს, სრულიად მოკლედ, ამ საკითხის დღევანდელი მდგომარეობა.

1942 წელს აკადემიკოსმა შ. ნუცუბიძემ მნიშვნელოვანი გამოკვლევა გამოაქვეყნა და ამ გამოკვლევაში წარმოადგინა საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ საშუალო საუკუნეების ქრისტიანული ფილოსოფიის ფუძემდებელი შრომების, ეგრეთწოდებული არეოპაგიტული წიგნების ავტორი, (რომელსაც

15 საუკუნის განმავლობაში ეძებდა მსოფლიო მეცნიერება) არის პეტრე იბერიელი, ანუ პეტრე ქართველი. ეს, რასაკვირველია, უაღრესად დიდი მოვლენა იყო: ხუმრობა საქმე ზომ არ არის, რომ საშუალო საუკუნეების ფილოსოფიის ფუძემდებელი შრომები ცნობილი იყო, ზოლო მათ ავტორად ყალბად აცხადებდნენ პირველი საუკუნის მოღვაწეს დიონისე არეოპაგელს, იმ დროს, როდესაც მეცნიერებამ ნათლად დაამტკიცა, რომ მათ ავტორს გამოყენებული ჰქონდა მეხუთე საუკუნის წყარო და, მაშასადამე, მას შეიძლებოდა ეცხოვრა მხოლოდ მეხუთე საუკუნის შემდეგ და არა პირველ საუკუნეში, როდესაც დიონისე არეოპაგელი ცხოვრობდა. და აი, საბჭოთა მეცნიერმა დაამტკიცა, რომ ამ წიგნების ავტორი პეტრე იბერიელი უნდა ყოფილიყო.

1952 წელს, შალვა ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად, გერმანელი მეცნიერი ერნესტ ჰონიგმანი, რომელიც იმ დროს ბელგიაში მუშაობდა, როგორც ბელგიის აკადემიის წევრი, მივიდა იმავე დასკვნამდე, როგორც შ. ნუცუბიძე.

თუმცა შ. ნუცუბიძის გამოკვლევა 1942 წელს დაიბეჭდა რუსულ და ინგლისურ ენებზე, მაგრამ მსოფლიო ომი მიმდინარეობდა და იმიტომ შ. ნუცუბიძის წიგნი ევროპისათვის უცნობი დარჩა, ასე რომ, ჰონიგმანი შ. ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არეოპაგიტული წიგნების

ავტორი პეტრე იბერიელი უნდა იყოს. ე. პონიგმანისათვის მხოლოდ მის შემდეგ გახდა ცნობილი შ. ნუცუბიძის დებულება, როცა მას თავისი გამოკვლევა უკვე დაწერილი ჰქონდა.

ამგვარად, კიდევ უფრო მტკიცე გახდა დებულება, რომ არეოპაგიტული წიგნების ავტორი არის პეტრე იბერიელი.

ე. პონიგმანის გამოკვლევას (და, მაშასადამე, შ. ნუცუბიძის დებულებასაც) დიდი აღფრთოვანებით შეხვდა მსოფლიო მეცნიერება. სპეციალური პერიოდული ორგანოებიდან ცნობილია სამი საერთაშორისო ხასიათის ჟურნალი: რუსული „ვიზანტიისკი ვრემენიკი“ (გამოდის მოსკოვში), გერმანული „ბიციანტინიშე ცაიტშრიფტი“ (გამოდის მიუნხენში), ფრანგული „ბიზანსიონი“ ანუ „ბიზანტიონი“. (გამოდის ბრიუსელში). ეს სამივე ორგანო დიდს კმაყოფილებით შეხვდა ნუცუბიძე-პონიგმანის თეორიას. ასე, მაგალითად, „ბიციანტინიშე ცაიტშრიფტმა“ მაშინვე დასწერა: პონიგმანის გამოკვლევის შემდეგ საბოლოოდ გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს არეოპაგიტული წიგნების პრობლემა, რომელიც მეცნიერებას საუკუნეთა მანძილზე ეგზომ აწუხებდაო. ასევე წერდა ფრანგული „ბიზანსიონი“, ხოლო ერთმა ფრანგულმა ჟურნალმა ამ ამბავს „განსაკვიფრებელი აღმოჩენაც“¹ კი უწოდა.

ამგვარად, დადასტურდა, რომ ფსევდოდონისეს სახელით ცნობილი ფილოსოფიური შრომების ავტორი იყო პეტრე იბერიელი.

ასეთი იყო საქმის ვითარება 1955 წლამდე, რის შემდეგაც ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა. ევროპელმა მეცნიერებმა ერთგვარად უკან დახევა დაიწყეს. იმათ კი არ დაუხედათ უკან, ვინც თავის დროზე აღფრთოვანებით შეხვდა ამ დებულებას „ბიციანტინიშე ცაიტშრიფტში“ და „ბიზანსიონში“, არამედ სხვებმა. ამათ დაიწყეს კრიტიკული მიდგომა ნუცუბიძე-პონიგმანის დებულების სხვადასხვა დეტალებისადმი და

ცდილობდნენ შეენელებინათ პეტრე იბერიელის ავტორობის დებულებას. ამ საბუთებში, ამ საბუთებს მთლიანად კი ვერ უარყოფდნენ, არც არავის დაუწყია პეტრე იბერიელის ნაცვლად სხვა პიროვნების მოძებნა არეოპაგიტული წიგნების ავტორად. მაგრამ მაინც ეჭვის ტონით ათავსებდნენ გამოკვლევებს ასეთი სათაურითაც კი: „განა პეტრე იბერიელი შეიძლება იყოს არეოპაგიტული წიგნების ავტორი?“ ასეთი კრიტიკული განწყობით გამოსული მკვლევარები უმთავრესად თეოლოგები არიან და სხვადასხვა კათოლიკური ორდენების წევრები (იეზუიტები, ბენედიქტინელები და სხვ.). ჩვენ აღარ მოვაწყენთ მკითხველს ამ საკითხზე საუბრით, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ მეცნიერებაში დღევანდლამდე, ეს თავმოყრილია აქად. შ. ნუცუბიძის ახლახან გამოსულ 400-გვერდიან მონოგრაფიაში: *Петр Ивер и античное философское наследие*, თბ., 1963. და მკითხველს შეუძლია ვაიგოს ამ გამოკვლევებიდან, თუ რა გუნება-განწყობა არის ამჟამად ევროპელ მეცნიერთა ზოგიერთ წრეებში, სადაც ეჭვებს გამოთქვამენ პეტრე იბერიელის ავტორობის შესახებ. ჩვენ კი ახლა მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ზოგიერთ ახალ გარემოებაზე, რომლისთვისაც არც ერთ მკვლევარს ანგარიში არ გაუწევია.

პირველი საკითხი არის ასეთი: პეტრე იბერიელი იყო ცნობილი მოღვაწე პალესტინაში, ფრიად სახელგანთქმული როგორც მოაზროვნე და როგორც ორგანიზატორი. მას დარჩა რამდენიმე მოწაფე, რომლებიც შეიქმნენ სახელოვანი მოღვაწეები სირიისა და პალესტინაში. ზოგიერთმა მოწაფემ თავისი მასწავლებლის პეტრე იბერიელის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წიგნები დასწერეს. ზოგიერთი ამ წიგნთაგან ჩვენამდე მოღწეულია. დღესდღეობით გამოჩვენებულია, რომ ყველაზე დიდი მოღვაწე პეტრე იბერიელის მოწაფეთაგან იყო იოანე რუფუსი. ჩვენს

¹ La découverte surprenante.

ხელთ არის მისი ორი თხზულება მინც. რომელთაგან - ერთი, 150 დაბეჭდილი დღევანდელი სტამბური გვერდის შემცველია და ეწოდება „პეტრე იბერის ცხოვრება და მოღვაწეობა“. მეორე თხზულება ამავე ავტორისა არის „პლეროფორიები“ საკმაოდ სქელტანიანი წიგნი, რომლის ორი მესამედი მიძღვნილი აქვს პეტრე იბერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ამით გარდა, სხვა წიგნებიც არის, რომელთა შესახებ აქ აღარაფერს ვიტყვი. ეს შრომები პეტრე იბერიელზე დაწერილია მაშინვე, მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში, პეტრეს გარდაცვალების უმაღლეს. ახლა, ბუნებრივია, ჩვენ წამოვაყენოთ ასეთი დებულება: რომ პეტრე იბერიელი დიდი მასშტაბის მეცნიერი და მოაზროვნე არ ყოფილიყო, რომ ის მართლაც დიდად სახელგანთქმული მოღვაწე არ ყოფილიყო, შეიძლებოდა დაწერილიყო ამდენი, მონოგრაფია მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე? აშკარაა, ჩვენ საქმე გვაქვს უდიდესი, შეიძლება ითქვას, მსოფლიო მნიშვნელობის მოღვაწესთან, რომლის საქმიანობამ ეგზომ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მაშინდელ მსოფლიოში.

მეორე გარემოება, რომელსაც მინდა მივაქციო შეითხველის ყურადღება, არის შემდეგი:

იოანე რუფუსი თავის „პლეროფორიებში“ გადმოგვცემს: „ჩვენი მამა და ეპისკოპოსი, პატივცემული ამბა პეტრე იბერი გვითხრობდა, რომ როდესაც ის ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში იყო. სანამ ამ ქვეყანას ზურგს შეაქცევდა (ე. ი. ბერად აღკვეცამდე), როდესაც ნესტორიოსი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ეპისკოპოსად იჯდა... მარიამის სახელობის ეკლესიაში წირვის დროს წარსდგა ხალხის წინაშე ჩემი თანადასწრებით, რათა განემარტა საღმრთო წერილი...“ პლეროფორიების გამომცემელი ფრანგი მეცნიერი ფ. ნო (F. Nau) სიტყვას „გვითხრობდა“ ასეთ შენიშვნას ურთავს:

„D უმატებს ამ ამბავს სოკრატეს (ისტორიის) შესატყვისი თავის შემ-

დეგ. ის იწყებს ამით: „შენსტორიოსისა, რომელიც ნესტორიოსისა წაბმოთქვა კონსტანტინოპოლის ეკლესიაში, წმინდა პეტრე იბერი, რომელიც ამ საქმის მოწმე ყოფილა, როგორც მან ეს ჩვენს წინაშე განაცხადა, ამბობს: (— ეს პეტრე იბერი იყო იბერთა მეფის შვილი. თეოდოსიმ, რომელთა მეფემ იგი მძევლად მიიღო იმის უზრუნველსაყოფად, რომ მისი მამა (ე. ი. ვარაზ-ბაკური) მის წინააღმდეგ არაფერს განიზრახავდა. იმპერატორმა თეოდოსიმ შეიღვივით აღზარდა იგი, პულხერიამაც, იმპერატორის დამ. როდესაც ის დაეაყცადა, მონაზონის ცხოვრება შეეყვარა და დასწყევლა სამეფო კარი. ზოლოს, ის გახდა მაიუმის ეპისკოპოსი.) — და აი მან განაცხადა თუ თქვა...“

ასეთი შენიშვნა ჰქონია D-ს. რა არის ეს D? შემოკლებათა ნუსხაში გამომცემელს აღნიშნული აქვს: „D-ps. Denys. Ms. syriaque de Paris, n° 284“. მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი შენიშვნა, რომელიც გადმოგვცემს ცნობებს პეტრე იბერის შესახებ, მოთავსებული ყოფილა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებათა სირიულ ხელნაწერში (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი № 284).¹

ახლა ისმის საკითხი: რად დასჭირდა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებათა სირიული ხელნაწერის გადამწერს (თუ დამწერს) შენიშვნა დაერთო. ისიც ასეთი დაწვრილებითი ცნობების შემცველი, პეტრე იბერიელის შესახებ? ერთ-ერთი შესაძლებელი პასუხი ამ კითხვაზე ის იქნებოდა, რომ გვევარაუდა შემდეგი: არეოპაგიტული წიგნების სირიული ხელნაწერის გადამწერმა იცის, რომ ამ წიგნებთან კავშირი აქვს პეტრე იბერს.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შრომებში ხომ სრულიად არაფერია ნათქვამი ისეთი, რაც რამენაირად იყოს დაკავ-

¹ Jean Rufus (évêque de Maiouma), Plérophories. Éditées par F. Nau. Paris 1911 გვ. 10 და 11.

შორებული პეტრე იბერიელის სახელთან, და ამიტომ დასკირვებოდეს გადამწერს ეამბნა ასე დაწერილებით პეტრეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ფსევდო-დიონისეს შრომებში („საეკლესიო მღვდელთმთავრობისათვის“, „საიდუმლო ღმთისმეტყველებისათვის“, „სახელთათვის ღმრთისათა“, „ზეცათა მღვდელთმთავრობისათვის“ და „ეპისტოლენი ათნი“) საქრისტიანო დოგმატიკა, რომელიც შექმნა ბერძნულმა ეკლესიამ, განხილულია ნეოპლატონიკური მსოფლმხედველობის საფუძველზე და იქ არაფერია ისეთი, რაც პეტრე იბერიელის მოხსენებას მოითხოვდეს.

მაშ, რით ავხსნათ, რომ არეოპაგეტუ-

ლი წიგნების სირიულ ხელნაწერს გაჩნდა შენიშვნა საკმაოდ დიდი. პეტრე იბერიელის შესახებ ცნობების შემცველი? ერთ-ერთი შესაძლებელი პასუხი ამ კითხვაზე ის იქნებოდა, რომ გვევარაუდა შემდეგი: ფს.— დიონისე არეოპაგელის შრომების სირიული ხელნაწერის გადამწერმა იცის, რომ ამ შრომებთან კავშირი აქვს პეტრე იბერიელს.

ამით ჩვენ ვფიქრობთ, ახალი საყრდენი შეგვექმნა იმ დებულების გასამაგრებლად, რომ პეტრე იბერიელი არის არეოპაგეტული წიგნების ავტორი.

მედიკალიზაცია

ინგლის-ამერიკის პოლიტიკა ამიერკავკასიაში
1919 წელს*

უპირველეს ყოვლისა, უორდრობი ცდილობდა, ამერიკის მთავრობის წარმომადგენელთა საქმიანობის კერძოში ყოფილიყო, შეეტყო ყველაფერი, რაც ხდებოდა კულუარებში, საიდუმლო შეხვედრა-თათბირებზე. ინგლისის დაზვერვის წარმატებით მუშაობის დამადასტურებელია ის, რომ ინგლისის მთავრობას უკვე 14 ოქტომბერს ხელთ ჰქონდა ამონაწერები გენერალ ჰარბორდის მოხსენებიდან, მაშინ როცა თვით მოხსენების საბოლოო ვარიანტი მნიშვნელოვანწილად გემზე მომზადდა და ანგარიშს ხელი 16 ოქტომბერს მოაწერეს. უორდრობი გენერალ ჰარბორდსაც შეხვდა. გენერალს უთქვამს უორდრობისათვის, რომ, მისი აზრით, თურქეთსა და ამიერკავკასიაზე ერთიანი მანდატი უნდა დაწესებულიყო. ჰარბორდს, ბუნებრივია, არ შეეძლო ბოლომდე გულახდილობა და ამიტომ, იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ამ მანდატის მფლობელი, უორდრობისათვის უთქვამს, რომ ამერიკა მანდატს არ აიღებდა, რომ ხელმძღვანელი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ინგლისი. უორდრობმა იცოდა გენერლის ფარული მოსაზრება ამ საკითხზე.

უორდრობი მანდატის დაწესების საკითხების განსახილველად ხვდებოდა მენშევიკური, მუსავატური, დაშნაკური

პარტიების ბელადებს. მთავრობების წევრებს. ამ საუბრების ჩანაწერები, სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არ გვაქვს, მაგრამ აშკარაა, რომ უორდრობი არწმუნებდა. მაგალითად, გავლენიან მენშევიკ პოლიტიკოსებს საქართველოსათვის ინგლისთან დაახლოების სარგებლიანობაში. ამ შეხვედრებისას განიხილებოდა, აგრეთვე, ამერიკის მანდატის დაწესების არახელსაყრელობა. უორდრობს ამერიკელთა აქტივობის, მათი ათასგვარი შეპირებების გასაბათილებლად ყოველივე ამერიკელის ძაგება დასჭირდებოდა და უეჭველია იგი ამერიკის დახმარების საილუსტრაციოდ სომხეთისადმი მათი პოლიტიკის მაგალითს გამოიყენებდა. ასეთი წინასწარი დამუშავების შემდეგ საფიქრებელია, უორდრობის მოთხოვნით, მენშევიკურმა მთავრობამ 13 ოქტომბრის საღამოს მოიწვია სპეციალური სხდომა მანდატის საკითხის განსახილველად. სხდომას მთავრობის ყველაზე გავლენიანი 9 წევრი და უორდრობი ესწრებოდნენ. მწვავე დებატები მთელ დამეს გაგრძელდა. 14-ში დღით გადაწყდა საქართველოს მანდატის ინგლისისათვის გადაცემა. ამ რეზოლუციას ხმა მისცა რვა დამსწრემ, ხოლო წინააღმდეგ გაილაშქრა ერთმა. ამ უკანასკნელმა მოითხოვა მანდატის ამერიკისათვის გადაცემა. მიღებული გადაწყვეტილების თა-

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 9.

ობაზე უორდროპმა მაშინვე უდებემა კერზონს.

ამის შემდეგ უორდროპმა სომხეთი მოიარა¹. 15 ოქტომბერს იგი ერევანში ჩავიდა, სადაც შეხვედრები ჰქონდა მთავრობის წევრებთან, კათალიკოს გეორგ V-თან, დაესწრო სომხეთის პარლამენტის სხდომას. ხატისიანს უთქვამს უორდროპისათვის, რომ მისი ჩამოსვლა მეტად დროული იყო, რომ სომხეთში თანაგრძნობით განიხილავდნენ სომხეთზე ინგლისის, ხოლო თუ ინგლისს მართო არ სურდა, ინგლის-ამერიკის ერთად, ან მხოლოდ ამერიკის მანდატის დაწესების საკითხს. საქმე აზრთა გაცვლა-გამოცვლას არ გაცილებია. უორდროპმა, ეტყობა, ვერ შეძლო მიეღწია მანდატის საკითხის განხილვისათვის, მთავრობის სხდომაზე. მის სურვილს წინ გადაედგა ამერიკის ავტორიტეტი და ვაეღუნა. ამიტომაც კერზონისადმი ვაგზავნილ ანგარიშში უორდროპი მხოლოდ ხატისიანისა და კათალიკოს გეორგის მოსაზრებებს აცნობებდა ლონდონს, ხოლო საკუთარი წინადადებების თაობაზე დუმის არჩევდა.

ერევნიდან ჩამოსვლისთანავე, 20 ოქტომბერს, უორდროპი მოინახულა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა და დ. ლამბაშიძემ. უკანასკნელი ჰასკელ-უორდროპის ჩამოსვლის დროისათვის მენშევიკურმა მთავრობამ პარიზიდან დროებით გამოიწვია, როგორც ინგლის-ამერიკის პოლიტიკურ წრეებში საქმაოდ ცნობილი პი-

¹ უორდროპს თან ახლდა ვინმე ლუკი. იგი 10 ოქტომბრიდან თბილისში იმყოფებოდა და უორდროპის მოადგილედ ითვლებოდა. შეიძლება დაეუშუათ, და ამაში ქვემოთაც დაერწმუნდებით, რომ ინგლისის მთავრობა ზოგჯერ არ ენდობოდა უორდროპს, ვარაუდობდა, რომ უორდროპების ოქაბის ინტერესს საქართველოს წარსულისადმი, გატაცებას ქართველილოგიით შეიძლებოდა ზოგჯერ ხელი შეეშალა უორდროპისათვის ვულგარი ზინოვნიკის მოვალეობის აღსრულებისას, ამიტომ, ეტყობა, სამინისტრომ ვადაწვევით მისთვის საიმედო მეთვალყურის მოჩენა. ასეთი პიროვნება, ვფიქრობთ, უნდა იყოს ლუკი. მან, სხვათა შორის, საუფრადღებო მოგონება გამოაქვეყნა.

როვნება. მენშევიკური მთავრობის წინა-მომადგენლებს სიტყვა უდგენდათ უორდროპისათვის, რომ ამ დაძაბულ ვითარებაში კარგი იქნებოდა, თუ საზავო კონფერენცია ამიერიკაშხაპასიის მომავლის საკითხს საერთაშორისო პრობლემად აღიარებდა და სათანადო განცხადებით გამოვიდოდა. ასეთი წინადადების წამოყენებით ქართველი მენშევიკები ინგლისისაგან უკვე მოითხოვდნენ ხელმძღვანელის მოვალეობის შესრულებას, ერთად-ერთი იმედი უკვე თქვენ ხართო, უთქვამთ წარმომადგენლებს, თუმცა უორდროპთან საუბრისას გეგეჭკორს მანდატი საერთოდ არ უხსენებია. ამის თაობაზე უორდროპი აცნობებდა კერზონს, რომ საქართველოს მთავრობამ თავისი 13-14 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თითქმის მოიჭრა უკან დასახევი გზა. თუ ამერიკამ აიღო მანდატი, მაშინ იგი, ბუნებრივია, განაწყენებული იქნება მენშევიკური მთავრობის არჩევანით, როცა მან ამერიკას ინგლისი ამჯობინაო.

ვფიქრობთ, რომ ინგლისის მთავრობის წარმომადგენელს დაახლოებით ისეთივე საუბარი ექნებოდა აზერბაიჯანის მთავრობასთან, როგორც ჰქონდა მას საქართველოსა და სომხეთში.

ახალი ვითარების ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ უორდროპმა შეასრულა კერზონის 4 ოქტომბრის დავალება და 20 ოქტომბერს აცნობა ინგლისის მთავრობას თავისი მოსაზრებანი ამიერიკაშხაპასიის რესპუბლიკებისა და დაღესტანის ცნობის თაობაზე. უორდროპი წერდა, რომ, მართალია, საქართველოს დამოუკიდებლობის, რა თქმა უნდა, ნაგულისხმევია რ უ ს ე თ ი ს ა გ ა ნ დამოუკიდებლობა და არა დამოუკიდებლობა ს ა ე რ თ ო დ, შენარჩუნების უფრო მეტი შანსები აქვს, ვიდრე მის მეზობლებს მაგრამ ადრე თუ გვიან, ინგლისს სხვა აქაური რესპუბლიკების ცნობაც მოუხდება, რადგან ანტირუსული ჯებირი აბსოლუტურად აუცილებელია ინდოეთისა და სპარსეთის დასაცავად. ასეთი რისკის გაწევა, უორდროპის აზრით,

აუცილებელი იყო, რადგან სხვა შემთხვევაში ამიერკავკასია რომელიმე მტრული სახელმწიფოს გავლენაში მოექცეოდა. ყველაზე უკეთეს გამოსავლად უორდროპს მიაჩნდა ინგლისისა და ამერიკის ინტერესების როგორმე შეთავსება, თუნდაც ზოგიერთ საკითხში. კომისრის აზრით, ბათუმსა და სპარსეთში ინგლისის ჯარების დატოვების შემთხვევაში ამიერკავკასიის შიდა რაიონებში წესრიგის უზრუნველსაყოფად ეანდარშერიაც საკმარისი იქნებოდა. დეპეშაში სხვა საკითხებზეც არის მსჯელობა. მაგრამ მათ შესახებ საუბარი ქვემოთ გვექნება.

როგორც ვხედავთ, საუბარი ყოველმხრივი ყურადღების ღირსია, იგი ძალზე ფასეულ ცნობებს გვაწვდის, რადგან მასში ჩამოყალიბებულია ამიერკავკასიის მიმართ ინგლისის პოლიტიკის განმსაზღვრელი რამდენიმე მომენტი, დახასიათებულია ინგლის-ამერიკის ურთიერთობა და სხვ. ჯერ ერთი, ინგლისელი უმაღლესი კომისარი ამიერკავკასიას განიხილავს, როგორც ინგლისის უმდიდრესი და უმნიშვნელოვანესი კოლონიების რუსეთისაგან — როგორც არ უნდა ყოფილიყო ეს რუსეთი, მაგრამ უპირველესად ყოვლისა, მაინც რევოლუციური რუსეთისაგან დაცვის ჯებირს. უორდროპის ასეთ მოსაზრებებში კერზონისათვის ახალი არაფერი ყოფილა. კერზონი, ადრე ინდოეთში ინგლისის მეფისნაცვალი, თვლიდა, რომ ინდოეთის უშიშროების საზღვარს ტიგროსზე უნდა გაეგლო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ინგლისი ახლო აღმოსავლეთის ჰეგემონი გახდა, კერზონის თვალსაზრისი შეიცვალა, ახლა მან ახლო აღმოსავლეთში შექმნილი დოვლათის დაცვისათვის დაიწყო ზრუნვა და ამასთან დაკავშირებით გაიზარდა მისი „სიმბათიებიც კავკასიელი მთიელებისადმი“. როგორც უეიცი¹ ლოიდ ჯორჯი წერდა, ქართველებზე, აზერბაიჯანელებსა და

სომხებზე. ე. ი. უორდროპი მუსხრეზბანი ინგლისის იმპერატორის ინტერესების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დამცველის ლორდ კერზონის თვალსაზრისს შეესიტყვებოდა.

ცხადია ისიც, რომ ამიერკავკასიის ინგლისური ჯებირის დამოუკიდებლობა — მსჯელობა მის ცნობაზე და სხვა — პირობითი გამოთქმაა, პირდაპირ შინაარსს მოკლებული ცნებაა. განა შეიძლებოდა ინგლისის სამფლობელოების დასაცავად მოწოდებული ჯებირი ინგლისელთაგან დამოუკიდებელი ან ვინმე სხვაზე დამოკიდებული ყოფილიყო? რალა თქმა უნდა, არა. ამიერკავკასია დიდი ბრიტანეთის სამფლობელო უნდა ყოფილიყო, სამხრეთში მისი გავლენის სფეროების საიმედო საფარველი — ასე მიაჩნდა ინგლისის მთავრობის წარმომადგენელსა და თვით მთავრობას; ამიტომაც მოუწოდებდა უორდროპი ინგლისის მმართველ წრეებს რისკისაკენ, თორემ თუ ჩვენ არა, მხარეს მაშინ სხვა რომელიმე სახელმწიფო დაეპატრონებო.

მეტად საგულისხმოა ის, რომ უორდროპი პირდაპირ აღიარებს ამიერკავკასიის საქმეებზე ამერიკელთა მძლავრი გავლენის ფაქტს, ე. ი. აღნიშნავს იმ ცვლილებას, რაც 1919 წლის ნოემბრისათვის აქ გასაბატონებლად მებრძოლი სახელმწიფოების ძალთა თანაფარდობაში მომხდარა. უორდროპის ეს მოსაზრება ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლის შედეგს წარმოადგენს. ზემოთ განხილული საბუთებიდან ირკვევა, რომ უკვე საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის მთავრობების მეთაურებთან მოლაპარაკებისას უორდროპი დარწმუნებულა ამერიკელთა გავლენის ზრდაში, იმაში, რომ ამერიკელებს ინგლისელთა პოზიციებისათვის სერიოზული საფრთხე შეუქმნიათ. თანაც, ამერიკელთა ექსპანსიას აშკარად ანტიინგლისური ხასიათი მიუღია, პასკელს და სხვა ამერიკელებს უარი უთქვამთ თანამშრომლობის, ერთობლივი მოქმედების პოლიტიკაზე და

¹ ასე უწოდებს მას ჰ. ნიკოლსონი ინგლისელი მწერალი და დაბლობი, რომელიც პარიზში ინგლისის დელეგაციის შემადგენლობაში იყო 1919 წელს.

პირდაპირ შეტევაზე გადასულან ინგლისელთა წინააღმდეგ. ამერიკელებმა თავისი ექსპანსიის მკვეთრი გაძლიერება მოსკოვზე დენიკინელთა შეტევას დაუკავშირეს.

არც ის არის შემთხვევითი, რომ ინგლისისათვის მტრული სახელმწიფოს ხელში ამიერკავკასიის გადასვლის საშიშროებაზე მსჯელობის შემდეგ, უორდროში უშუალოდ ამერიკელთა პოლიტიკის დახასიათებაზე გადადის. მან იცის, რომ ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობანი ამიერკავკასიაში შეურიგებელია, იცის ისიც, რომ არც ერთი მხარე კომპრომისზე არ წავა და აქაურ პოზიციებს მოწინააღმდეგეს არ დაუთმობს, ამიტომ უორდროში სთხოვს ინგლისის მთავრობას მოელაპარაკოს ამერიკის წარმომადგენლებს და მოურიგდეს მათ ერთობლივ მოქმედებაზე თუნდაც იმ საკითხებში, რომლებშიაც კიდევ შეიძლებოდა შეთანხმება. უორდროს აშინებდა ინგლის-ამერიკის ბრძოლის შემდგომი გამწვავების შესაძლებლობა, მას კარგად ესმოდა, რომ თანამშრომლობა, თუნდაც დროებითი, ამიერკავკასიის შენარჩუნების ერთადერთი გამოსავალი იყო, რადგან სხვა შემთხვევაში რევოლუციური აღმავლობას (მაშინ ხომ საქართველოში გამწვავებული იყო პოლიტიკური სიტუაცია, რამდენიმე დღის შემდეგ უნდა დაწყებულიყო შეიარაღებული აჯანყება) — შეიძლებოდა წაეღვია ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობანი და მათი უცხოელი მფარველ-მოკავშირეები.

უორდროში ადასტურებს, აგრეთვე, ბათუმში მყოფი ინგლისის ჯარების საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდი გავლენის ფაქტსაც. ასეთი აღნიშვნა აუცილებელია, რადგან ერთი მხრივ, ინგლისის და, მეორე მხრივ, მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკების მთავრობებმა 1919 წლის ზაფხულში ამიერკავკასიაში და ევროპაში მძლავრი პროპაგანდა გააჩაღეს და შეეცადნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის შიდა რაიონებიდან ჯარების იძულებითი ევა-

კუაცია ამიერკავკასიიდან მტრულად მოქმედების გასაყვანად, რუსეთის შინაურ საქმეებში ინგლისის ჩაურევლობის პოლიტიკის დამადასტურებელ მოვლენად გამოეცხადებინათ. სინამდვილეში რევოლუციური ჯარების შიდა რაიონებიდან გაყვანას, როგორც უორდროსის დეპეშიდან ირკვევა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლი ძალების მდგომარეობა დიდად არ შეუძსუბუტქებია, რადგან ბათუმსა და ჩრდილოეთ სპარსეთში მოკალათებულ ინგლისის ჯარს ყოველთვის შეეძლო საქმეში ჩარეულიყო და, საჭირო შემთხვევაში, იმ ინგლისურ ეანდარმერიას დახმარებოდა, რომელიც „წესრიგის დასაცავად“, ე. ი. რევოლუციასთან საბრძოლველად, უნდა შექმნილიყო.

სხვათა შორის, ამერიკელ პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი იზიარებდა უორდროსის მოსაზრებებს ამიერკავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში ინგლის-ამერიკის თანამშრომლობის აუცილებლობის თაობაზე. ინგლისის ელჩი ამერიკაში აცნობებდა თავის მთავრობას იმ საუბრების შინაარსს, რომლებიც მას ჰქონია ცნობილ მორგენტაუსთან. ახლო აღმოსავლეთის საქმეებში ყოველმხრივ მცოდნედ აღიარებულ ამ დიპლომატს აქ ინგლის-ამერიკის თანამშრომლობის აუცილებლობაზე მიუთითებია და, კონსტანტინეპოლის ამერიკისათვის გადაცემის შესახებ მსჯელობისას, უთქვამს, რომ ამერიკის მთავრობა თანახმა იქნებოდა პანამის არხზე ინგლის-ამერიკის ერთობლივი კონტროლი დაწესებულიყო, ჩანს, შავი ზღვის სოუტეების საკითხში ინგლისის დათმობის საკომპენსაციოდ. ამ ცნობაში მეტად საყურადღებოა გავლენიან ამერიკელთაგან კონსტანტინეპოლის მნიშვნელობის შეფასებაც ამერიკის ექსპანსიისათვის. ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ ცალკეულ ამერიკელთა კეთილმოსურნეობას, ახლო აღმოსავლეთში ინგლისთან თანამშრომლობის აღიარებას უკვე აღარ შეეძლო ოდნავდაც კი შეენელებინა ამერიკელთა გაძლიერებული ექს-

ბანსია ამიერკავკასიაში, შეეცვალა ამ კუთხის პოლიტიკურ და ეკონომიურ მმართველად ამერიკელის დანიშვნის გეგმა-ვარაუდები.

ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობების გამწვავების ფაქტი დასტურდება სხვა საბუთებითაც. ამ საკითხზე მოლაპარაკებების მიზნით ნ. ჟორდანია 1 ნოემბერს შეხვდა უორდროპს. მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარეს უთქვამს მისთვის, რომ ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობებზე ამიერკავკასიაში უკვე ყველა აშკარად ლაპარაკობდა. ეს ხმები იმდენად გავრცელებულა, რომ ჟორდანია თხოვდა უორდროპს დაუყოვნებლივ რაიმე ელონა მათ აღსაკვეთად. მასვე უთქვამს ინგლისელი კომისრისათვის, რომ ასეთ მომენტში ძალზე სასურველი იქნებოდა სამი რესპუბლიკის პარლამენტების გაერთიანებული სხდომის მოწვევა ზანგეზურის საკითხის გადასაჭრელად. საქართველოში გართულებული საშინაო მდგომარეობიდან თავდასაღწევად და აჯანყების თავიდან ასაცილებლად, ჟორდიანის ინგლისის მთავრობისათვის სურსათით დახმარებაც უთხოვნიდა.

უორდროპის დებეშაში მოხსენებელი ზანგეზურის კონფლიქტი აზერბაიჯან-სომხეთის სასაზღვრო ინციდენტების მთელი სერიის ერთი ეპიზოდი იყო. ორ მეზობელ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის გამწვავების ავტორი, როგორც ზემოთ ითქვა და ამჯერად დასტურდება, ამერიკელი უმაღლესი კომისარი ჰასკელი იყო. ამის შესახებ კერზონი აცნობებდა ინგლისის წარმომადგენელს პარიზის კონფერენციაზე კროუსს. უკანასკნელს ადრე ინგლისის მთავრობისათვის შეუტყობინებია, რომ ჰასკელი უხეშად ერეოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საშინაო საქმეებში და მოკავშირეთა სახელით საზღვრების საკითხის „მოწესრიგება“ დაუწყია. ინგლისის მთავრობა შეუშფოთებია ჰასკელის თვითნებობას, კერზონი აცნობებს კროუსს, რომ კავკასიიდან დაბრუნებული ინგლისელები მის ცნობას ადასტურებდნენ. მას თურმე ბაქოსა და ერევან-

ში ერთმანეთის საწინააღმდეგე დებეშეები მიუტია. ზანგეზურის რესპუბლიკა მთლიანად მას მიაწერენო, — აღნიშნავდა კერზონი და განაგრძობდა, — ბაქოში ყოფნისას იგი მორიგებია აზერბაიჯანელებს, ხოლო როცა ერევანში ჩამოსულა, ვარიეტების პირობები შეუცვლია აზერბაიჯანელთა საზარალოდ. მინისტრის დებეშაში სხვა საყურადღებო ცნობებიც არის. იგი აცნობებს კროუსს: „...უორდროპს... რა ნაკლიც არ უნდა პჭონდეს მას, აქვს ამ ხალხის მართვის თითქმის ზეკაცური უნარი. და თუ, ერთი მხრივ, დენიკინი და, მეორე მხრივ, ამერიკელები საშუალებას მისცემენ. იგი ამ ქაოსში რაღაც წესრიგის დამყარებას შესძლებდა“. კერზონი ამჯერად მეტად სანდო მოწმეა. მისი დებეშა კარგად გადმოსცემს ამერიკელთა აგრესიული, შემტვევი მოქმედებით ინგლისის მთავრობის სერიოზულ უკმაყოფილებას, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ამერიკელები „მოსვენებას არ აძლევდნენ“ უორდროპს საქართველოსა და აზერბაიჯანში, რომ ისინი ხელოვნურად ამწვავებდნენ ურთიერთობას რესპუბლიკებს შორის, ხოლო შემდეგ, ინგლისელთაგან დამოუკიდებლად, მათ დაუკითხავად მომრიგებლობას ჩემულობდნენ.

4. ამერიკელთა დიპლომატიური დივერსიის ჩაშლა

ზემოთ ითქვა, რომ მენშევიკური მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს მანდატის მფლობელი ინგლისი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ასეთი ნაბიჯი გარკვეულ მოვალეობას აკისრებდა მენშევიკურ მთავრობას ინგლისის წინაშე. მაგრამ ირკვევა, რომ ინგლისის ზურგს უკან, მათგან ფარულად, მენშევიკთა წარმომადგენლები ინტენსიურ ურთიერთობას განაგრძობდნენ ამერიკელებთან, რომ 1919 წლის შემოდგომაზე მათ გააძლიერეს თავიანთი პრო-ამერიკული საქმიანობა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მენშევიკები თავიანთი აგენტების საქმიანობას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მათ თავიდანვე ვერ შეძლეს მიეღოთ დელეგაციის რომელიმე წევრის ვაშინგტონში დაშვების უფლება, მაგრამ ბევრი მცდელობის შემდეგ მანც გაიჩინეს იქ წარმომადგენელი.

ამერიკაში მენშევიტურ მთავრობას ყავდა ხელფასიანი აგენტი, ვ. ჩანდლერი, რომელიც ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი იყო ქალაქ ნიუ-იორკიდან. ჩანდლერს მიმოწერა ჰქონდა საქართველოს დელეგაციასთან პარიზში. ერთ-ერთ ბარათში ჩანდლერი იწერებოდა: „ან აზერბაიჯანსა და საქართველოს დელეგაციები ამერიკაში უნდა ჩამოვიდნენ იმ მიზნით, რომ დაგვემარონ პროპაგანდის გაწევაში, ან მე, ჩემს მეგობრებთან ერთად, მარტო უნდა ვაწარმოო იგი. რახან თქვენ მოგვიწვიეთ და ფულს გვიხდით, შევიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ გამოვიყენებთ ყველა საშუალებას, რომ დავიცვათ თქვენი ქვეყნის ინტერესები... მე გადავწყვიტე აზერბაიჯანისა და საქართველოს სასარგებლოდ ჩემი მუშაობა შემოვფარგლო პირადი საუბრებითა და დეპუტატებსა და სენატორებს შორის წიგნებისა და ბროშურების დარიცხვით, ვიდრე პრეზიდენტი გამოჩანართელდებოდეს. შემდეგ პარლამენტსა და სენატში მე შევიტან რეზოლუციას აზერბაიჯანისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით“. ჩანდლერი იწერებოდა, რომ რუსეთის დანაწევრების საკითხისადმი კონგრესში კეთილი განწყობილებაა, თუმცა ამერიკის მთავრობას ამჯამად არ შეუძლია რუსეთის განაპირა რაიონების ჩამოცილება ოფიციალურად აღიაროს, რადგან იგი კოლჩაკს უჭერს მხარს. ბარათის ბოლოს ჩანდლერი იტყობინებოდა, რომ მან ჯერ კიდევ პარიზში გადასცა ფ. პოლკს (ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილეს) თხოვნა ავალიშვილისათვის ვიზის მიცემის შესახებ, პასუხი თუმცა ჯერ არ არის, მაგრამ ამ საქმეს აქ მოვაწესრიგებო.

საყურადღებოა ჩანდლერის ცნობის ის ადგილი, სადაც გამოთქმულია მოსა-

ზრება ამერიკის მთავრობის მიერ რუსეთის შეხედულებებზე რუსეთის სოვეთური განაპირა ეროვნული რაიონის დამოკიდებულების საკითხისადმი. ქვემოთ დავინახავთ, რომ ამერიკის იმდროინდელი პოლიტიკის მესვეურნი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, თითქოს ამერიკა მხარს არ უჭერდა რუსეთის დაყოფას. ასეთ პოლიტიკას აღგნენ ისინი, კერძოდ, საქართველოს მიმართ. ოფიციალურად ისინი რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, საქმით კი, პირიქით, უნდოდათ მიეტაკებინათ მთელი ამიერკავკასია და სხვა ტერიტორიები. ჩანდლერის ბარათში ნაწილობრივ ფარდა აქვს ახალი ამერიკის პოლიტიკის ზოგ ფარულ მიზანს. ირკვევა, რომ ამერიკის მთავრობა თუმცა საქმით იბრძოდა რუსეთის დაყოფისათვის, მაგრამ „ერთიანი და ნუყოფელი რუსეთის“ აღდგენის მომხრე კონტრარევოლუციურ ძალებთან ურთიერთობისას იჩენდა სიფრთხილეს და საქმეს ისე სახავდა, თითქოს რუსეთის დანაწილების გეგმა განისაზღვრებოდა სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლითა და მისი დამარცხების აუცილებლობით.

ბარათში, რომელიც, ჩანს, ჩხეიძისა და თოფჩიბაშევის (აზერბაიჯანის დელეგაციის ხელმძღვანელი) წერილის საპასუხოდ დაიწერა, ჩანდლერი იტყობინებოდა, რომ ერთ ან ორ კვირაში იგი აპირებდა პროპაგანდის ძლიერი კომიტეტის შექმნას და აგრეთვე ამერიკის სახელმწიფო მდივნის ლანსინგის ნახვას ვიზების საკითხზე. მომდევნო ბარათში ჩანდლერი, ლანსინგთან შეხვედრისა და საუბრის შემდეგ, უფრო დაწვრილებით აცნობებდა პარიზში ამერიკის მთავრობის პოლიტიკას საბჭოთა რესპუბლიკისადმი. ამერიკის მთავრობა, — ნათქვამი იყო ბარათში, — ითმენდა კოლჩაკს იმ იმედით, რომ იგი მოსაზობდა ბოლშევიკებს. იგი თანახმაა ცნოს რუსეთის განაპირა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, მაგრამ ამჯობინებს დაელოდოს მოვლენათა განვითარებას, სურს მის-

ეს კოლჩაკს საშუალება დაამტკიცოს, თუ რა შეუძლია გააკეთოს მას ბოლშევიზმის ვასანადგურებლად. ლანსინგს უთქვამს ჩანდლერისათვის, აგრეთვე, რომ არ არსებობს მენშევიეებისა და მუსავატელებისათვის ვიზების მიცემის უარის თქმის საფუძველი.

მენშევიეკური დელეგაცია მაღალ შეფასებას აძლევდა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩანდლერის საქმიანობას. ერთ-ერთ ბარათში ჩხეიძე წერდა მას, რომ პროპაგანდის კომიტეტის შექმნა დროული და კარგი საქმეა, რადგან იგი ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის იდეის გავრცობას იმ წრეებში, რომელნიც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა — სენატორთა, კონგრესისა და მთავრობის წევართა შორის. შემდეგ ჩხეიძე ატყობინებდა ჩანდლერს იმ ამერიკელთა „კეთილ“ დამოკიდებულებებზე საქართველოსადმი, რომელთაც მოიარეს ამიერკავკასია, კერძოდ, გენერალ პარბორდისა და პოლკოვნიკ პასკელის მისიების თაობაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბარათის იმ ადგილს, სადაც მოთხრობილია ინგლისის პოლიტიკის კურსის ცვლილებებზე რუსეთის მიმართ. „თუ გავითვალისწინებთ გენერალ პარბორდის მისიის შედეგებს და ცვლილებებს ინგლისის პოლიტიკაში... რუსეთის საკითხისადმი, რომელთა შესახებაც თქვენ იცით, ნიადაგი თქვენი ამოცანისათვის ვაშინგტონში უფრო ხელსაყრელი გახდება“.

ჩხეიძის ბარათის ამ ადგილს რამდენიმე მომენტია ნაგულისხმევი, რომელთაც, მენშევიეკთა ვარაუდით, შეიძლება ხელი შეეწყოს ამერიკელთა მფარველობაში საქართველოს გადასვლისათვის. აქ გათვალისწინებულია ის, რომ გენერალ პარბორდის ხალხმრავალმა მისიამ, თურქეთისა და ამიერკავკასიის დაწვრილებითი მოკლევის შედეგად, სერიოზულად დასაბუთებული დასკვნა ვაკეთა — ამერიკისათვის საზიანო იქნება მანდატის მიღება მხოლოდ სომხეთზე, რომ სამანდატო ტერიტორია

შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მხრელი ამიერკავკასია. მენშევიეკთა მხარისა, პარბორდის მისიის ასეთ დასკვნას უნდა გამოეწვია ამერიკის იმპერიალიზმის დაინტერესება მთელი ამიერკავკასიით.

ჩხეიძის წერილის ის ადგილი, სადაც ნათქვამი იყო რუსეთის საკითხში ინგლისის პოლიტიკის ცვლილების შესახებ, გულისხმობდა, როგორც ჩანს, იმ გარემოებას, რომ ინგლისელებმა ჯერ კიდევ 1919 წლის მაისში გამოაცხადეს თავიანთი საოკუპაციო ჯარების გაყვანის თაობაზე. კერძოდ, ამიერკავკასიიდანაც. ინგლისის ჯარების გაყვანას თავისი მიზეზები ჰქონდა, მაგრამ იგი სრულიადაც არ ნიშნავდა ინგლისის პოლიტიკის რაიმე სერიოზულ შეცვლას საბჭოთა რუსეთისადმი.

მთავარი სხვა იყო. ინგლისის ჯარების ევაკუაცია მოასწავებდა ამიერკავკასიაში მისი პოზიციების შესუსტებას და ქმნიდა პირობებს ამერიკელთა პოზიციების შესაბამისად გაძლიერებისათვის. აი ამ მომენტს ითვალისწინებდა ჩხეიძის წერილის სათანადო ადგილი ჩანდლერისადმი, სადაც ეწერა, რომ თქვენი ამოცანის შესრულებისათვის ახლა ნიადაგი უფრო უკეთესიაო. მენშევიეკურ დელეგაციას ამ დროისათვის (1919 წლის ნოემბრისათვის) უკვე ხელთ ჰქონდა იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ ამერიკამ მისიიდან მოყოლებული გადადგა ბევრი მეტად სერიოზული ნაბიჯი ამიერკავკასიაში ინგლისის პოზიციების საფუძვლის გამოთხრისა და მისი ადგილის დაკავებისათვის.

მენშევიეკები ცდილობდნენ ამერიკაში თავისი ავენტურის ქსელის კიდევ უფრო გაფართოებას. კ. გვარჯალაძე პარიზიდან სწერდა ჟორდანისა: „ამერიკის შესახებ კარლოს უკვე მოუწერია თქვენთვის იმ საქონლის კრედიტის მოსაწესრიგებლად, რის შესახებ თქვენ მოხსენება გამოგზავნილი გაქვთ, და იმ ამერიკელის დასახმარებლად და მასთან კავშირის საქონლად საქირთა იქ კაცი. ამერიკა მთლიანად მიტოვებულია... მხოლოდ ლონდონის ბიულეტენებს უგზავ-

ნით ამერიკაში სენატის წევრებს და ჟურნალ-გაზეთებს. მარა ეს არ კმარა... თუ თქვენ არავის გამოგზავნით იქიდან, მაშინ გვგონია, რომ ის (ვინმე ჯაყელი, ყოფილი რუსეთის კონსული ლიევერპულში — გ. ლ.) უნდა გაიგზავნოს. ამერიკაში ვინმეს გაგზავნის შესახებ ჩვენს კელსაც მოუწერია თქვენთვის...“ ამ საკითხებთან დაკავშირებით მენშევიკურმა მთავრობამ დამფუძნებელ კრებაში სპეციალური დეკრეტიც კი გაატარა და ამერიკაში გასაგზავნი დელეგაციისათვის რამდენიმე მილიონი მანეთიც გამოჰყო.

ქართველი მენშევიკების პროამერიკული პოლიტიკის ასეთი გააქტიურება მხოლოდ ამერიკელთა წაქეზებისა და ხელშეწყობის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. ეს კარგად იგრძნობა ამერიკაში მათი წარმომადგენლების საქმიანობიდანაც. ბარათებიდან ირკვევა, რომ მათ მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული, ისინი საქორებისდა მიხედვით ხვდებოდნენ ამერიკის მთავრობის წევრებს და თვით სახელმწიფო მდივანს ლანსინგსაც. ამერიკელთა მხრივ ამიერკავკასიის მთავრობების წარმომადგენელთა ამ წაქეზებას ის მიზანი ჰქონდა, რომ ამერიკელები კონგრესის კომისიებში სწავლობდნენ პარბორდის მოხსენებას, მისიის წინადადებებს, ემზადებოდნენ, მისიის ანგარიშის შესაბამისად, საზავო კონფერენციაზე ამიერკავკასიის საკითხის წამოსაჭრელად. ამ საქმიანობაში მონაწილეობისათვის ამერიკის დელეგაციამ გადაწყვიტა პარიზში მოეწვია ჰასკელი. ოქტომბრის ბოლოს, მეუღლის ავადმყოფობის მომიზეზებით, პოლკოვნიკი უკვე საფრანგეთისაკენ მიემუშვებოდა.

ამერიკის დელეგაციაში გაცხოველებულ მუშაობასთან ერთად, ჰასკელი დროს პოულობდა და ხვდებოდა ამიერკავკასიის მთავრობათა დელეგაციების წარმომადგენლებს. ზ. ავლიშვილი იგონებს: „სადღეისო საქირბორტო კითხვებად იგი (ჰასკელი — გ. ლ.) თვლიდა ამიერკავკასიის ეკონომიურ

გაჭირვებას, დენიკინის სემიურებას, დაღესტანის აჯანყებას. „უპირველესეს ყოვლისა, საქირბო სავაჭრო კავშირის გაცხოველება“, ამისათვის უნდა მოეწყოს ნედლეულის მიზიდვა ნავსადგურებში და სხვ. პოლიტიკური პირობები საქართველოში კარგია. ბოლშევიზმი არ არის. წესრიგი დაცულია. საქართველოს მთავრობასთან საუკეთესო განწყობილება მაქვს. ამერიკის ზოგიერთ მისიონერს უყვარს მხოლოდ სიმშენებელ ლაპარაკი... ჩვენ, სამხედრო მისიის წევრები, თანაბარ სიმბათიას ვგრძნობთ ამიერკავკასიის ყველა ერებისადმი... მე დაფრწმუნდი, რომ საქართველოს მართლაც სურს დამოუკიდებელი იყოს. მაგრამ არ არის წინააღმდეგი, რომელიმე კარგი მთავრობის დახმარება იქონიოს, შავალითად, ინგლისის ან ამერიკის მთავრობის. 25-30 წლის შემდეგ საქართველოს, რა თქმა უნდა, შეეძლება რაიმე კავშირი დაიჭიროს რუსეთთან... აიღებს ამერიკა მანდატს თუ არა — ეს არ ვიცი; ეს დიპლომატების საქმეა. ჩვენ მოვალეობას შეადგენს — პრაქტიკული კითხვების გადაწყვეტა, კავკასიის ხალხების დახმარების გაწევა“.

პოლკოვნიკ ჰასკელის მოსაზრებანი აშკარად ტენდენციურია, ხოლო ზოგჯერ არასწორი. ტყუის ჰასკელი, როცა ამბობს, რომ საქართველოში ბოლშევიზმი არ არისო, მით უმეტეს, ასეთი თქმა არ იყო სწორი ოქტომბრის თვისათვის, როცა მთელ ამიერკავკასიაში მძლავრი ანტიდენიკინური მოძრაობა იყო გაშლილი. ამის გარდა, განა ჰასკელს შეიძლებოდა არ სცოდნოდა პარბორდის მისიის ანგარიშის სათანადო ადგილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მთავრობა საკუთარი ძალებით რევოლუციისაგან თავს ვერ დაიცავდა? საეჭვოა, რომ ასეთი მასალებით მისიის უზრუნველყოფაში ჰასკელის უწყებებს არ მიუღიათ მონაწილეობა. ჰასკელი ავრთვლებს ხალხთა შორის ურთიერთსიძულვილის გაღვივების პოლიტიკას, როცა მსჯელობს თავის სიმბათიებზე, კერძოდ, ქართველებისადმი.

სიმპათიები აქ არაფერ შუაშია, პასკელი ამიერკავკასიაში ამერიკის პოლიტიკის იარაღი იყო და ამიტომ არ შეიძლება მსჯელობა დამპყრობის სიმპათიებზე დასაპყრობისადმი. მისი აზრით, საქართველოს ექირვებოდა ძლიერი მფარველი — კარგი მთავრობა. ძნელი დასადგენია, თუ რას გულისხმობს პასკელი ამ ბუნდოვან გამოთქმაში, რას ნიშნავს, მისი გაგებით, კარგი მთავრობა, ცხადია, ყოველ შემთხვევაში, ის, რომ, პასკელის აზრით, საქართველო ასეთი კარგი მთავრობის კოლონია უნდა გამხდარიყო. პასკელი თავის თავს კავკასიელი ხალხების დამხმარედ თვლიდა. ვნახთ რა შინაარსს აქსოვდა იგი ამ სიტყვებში.

მოსამზადებელი საქმიანობის დამთავრებისთანავე ამერიკის დელეგაციაში გადაწყდა ამიერკავკასიის საკითხის საზავო კონფერენციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განსახილველად გატანა, ოღონდ ისე, რომ სხდომას პასკელიც დასწრებოდა, რაც ტექნიკურად არც თუ ადვილად მოსაგვარებელი საქმე იყო. კლემანსოს შეეძლო საერთოდ არ დაეშვა მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი სომხეთში ამიერკავკასიის პრობლემების განხილვისას. ამიტომ ამერიკელებმა გადაწყვიტეს სხდომაზე დამსწრე დელეგაციათა მეთაურების სიფხიზლის მოდუნება და საკითხის სხვა ასპექტში დაყენება. 14 ნოემბერს ამერიკის წარმომადგენელმა ფ. პოლკმა განუცხადა საბჭოს, რომ პარიზში იმყოფებოდა პოლკოვნიკი პასკელი, რომ იგი მეორე დღეს მიემგზავრებოდა და რომ საბჭოსათვის სასარგებლო იქნებოდა თუ იგი მოისმენდა მის ინფორმაციას სომხეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მას შემდეგ, რაც მონდა ამერიკის ასეთი რეგლამენტირება, თავმჯდომარე, საფრანგეთის პრემიერი, დათანხმდა და მოიწვია პასკელი სხდომაზე, მაგრამ პასკელმა ყველაზე ნაკლები სწორედ სომხეთზე ილაპარაკა.

თავისი სიტყვის დასაწყისში პოლკოვნიკმა აღწერა ამიერკავკასიის ეკონომიკის მძიმე მდგომარეობა, ილაპარაკა

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მწვევე ურთიერთობებზე, რომ ქვეყნები დაქუცმაცებულია. — იქ მხოლოდ რკინიგზაა ერთიანი და ისიც, პოლიტიკური ზღუდეების გამო, მუდამ პარალიზების საშიშროების წინაშეა, — განაცხადა მან, და განაგრძო ამიერკავკასიაში ბევრია სადავო რაიონები, არსებობენ ნეიტრალური ზონები. პასკელს არ უთქვამს, რომ სწორედ თვითონ უწყობდა ხელს ამიერკავკასიაში მწვევე სიტუაციის შექმნას, რომ მან შექმნა, ალბათ ერთადერთი მთელი რუსეთის ტერიტორიაზე, ამერიკელთა საგუბერნატორო სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე, რომ იგი ასეთი საგუბერნატორის შექმნას აპირებდა სომხეთ-საქართველოს რაიონებშიაც.

პასკელმა მეთოდურად მიიყვანა მსმენელი ერთადერთ შესაძლებელ დასკვნამდე, რომლის შესახებ იქვე განაცხადა. — საბჭომ მე დამავალა ვყოფილიყავი მის წარმომადგენლად სომხეთში, მაგრამ მე არ ძალმიძს ეფექტურად შევასრულო თქვენი დავალება, თუ სამივე რესპუბლიკა ერთი ადმინისტრაციის ხელქვეით არ იქნება, ე. ი. ვიდრე საქართველო და აზერბაიჯანი ჩემი უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ იმყოფებიან. როცა ეს გაერთიანება მოხდება, ბევრი სიმწელე თავისთავად მოისპობა, ხოლო სხვების თავიდან აცილება გაადვილდება.

ახლა უკვე აშკარაა, თუ რა ჰქონდა აზრად პასკელს, როცა მენშევიკთა დელეგაციას თავისი ჩამოსვლის მიზეზებს აცნობდა. „დახმარებაში“, როგორც ვხედავთ, იგი გულისხმობდა მთელ ამიერკავკასიაში ამერიკის დიქტატურის დამყარებას. კონფერენციის სხდომაზე საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საკითხის მრავალჯნის განხილვა ამერიკელთა ინიციატივით, გენერალ პარბორდის მისია, ამერიკელ კოლონიზატორთა საქმიანობა კავკასიაში სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურებოდა.

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ



თავის ინფორმაციაში პასკელმა ილაპარაკა მთელ ამიერკავკასიაზე, მაშინ როცა იგი სხდომაზე დაუშვეს იმ მოტრავით, რომ ანგარიში უნდა ჩაებარებინა თავის საქმიანობაზე სომხეთში. სხდომის მონაწილეთ ეს მომენტი, რა თქმა უნდა, არ გამოპარვიათ. რათა ასეთი შთაბეჭდილება ცოტათი მიიწე შეესუსტებინა, ამერიკის წარმომადგენელმა პოლკმა მოხსენების დამთავრებისთანავე განაცხადა, რომ, მართალია, პასკელი საბჭომ თავის წარმომადგენლად ვაგზავნა სომხეთში, მაგრამ იგი იძულებული შეიქმნა ზოგიერთი ფუნქცია ეკისრა საქართველოში და აზერბაიჯანში, სხვანაირად იგი თავის მისიას ეფექტურად ვერ შეასრულებდაო. დასასრულს პოლკმა გაიმეორა, რომ პასკელი მეორედღეს მიემგზავრებოდა. პოლკს, როგორც ჩანს, განზრახული ჰქონდა თავს მოეხვია საბჭოსათვის ამიერკავკასიის საკითხის დაუყოვნებლივ განხილვა. მაგრამ გამოცდილი კლემანსო არ მოტყუვდა. სხდომაზე პასკელის მოხსენების შემდეგ ამერიკელთათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, და რომ მათთვის ეს უპირატესობა წაერთმია, კლემანსომ მადლობა გადაუხადა პასკელს ინფორმაციისათვის და, ინგლისელთა უსიტყვო თანხმობით, შეწყვიტა სხდომა.

ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს ექვი არ ეპარებოდათ, რომ ამერიკის მთავრობა კვლავ აღძრავდა ამიერკავკასიის საკითხს. ამიტომ ისინი გულმოდგინედ მოემზადნენ საბჭოს შემდეგი სხდომისათვის. და, მართლაც, მეორედღეს, 1919 წლის 15 ნოემბერს, ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა, სახელმწიფო მდივნის მოადგილემ პოლკმა მოითხოვა... სომხეთის პრობლემის განხილვა იმ ასპექტში, როგორც იგი პასკელმა დასვა წინა დღეს.

თავისი სიტყვა პოლკმა შორიდან დაიწყო. ჯერ მან დამსწრეთ მოაგონა საბჭოს 5 ივლისის გადაწყვეტილება. პასკელის სომხეთის უმაღლეს კომისრად დანიშვნის თაობაზე და მოითხოვა მასში „მკირედი“ შესწორების შეტანა — სი-

ტყვას „სომხეთი“ მიეუმატოთ „სომხეთი“ საქართველო და აზერბაიჯანში. „უმნიშვნელო“ შესწორების შემდეგ 5 ივლისის დადგენილების პირველი ნაწილი ასეთ სახეს მიიღებდა: „ამერიკის შეერთებული შტატების პოლკოვნიკი ე. პასკელი შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობათა სახელით ამ საბჭომ დანიშნა სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის უმაღლეს კომისრად. ამასთან იგულისხმება, რომ პოლკოვნიკი პასკელი, იმავე დროს, პასუხისმგებელი იქნება სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანისადმი დახმარების იმ ღონისძიებისათვის, რომლებსაც აზორციელებენ ამ ქვეყნებში მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციები“.

როგორც ვხედავთ, ახალი რეზოლუცია უკვე მთლიანად ემთხვევა ამიერკავკასიის მიტაცების იმ ფარულ გეგმას, რომელიც აისახა ამერიკის დელეგაციის სადირექტივო დოკუმენტში. ამერიკელები თვეების განმავლობაში ამზადებდნენ პირობებს ამიერკავკასიაში ინგლისელთა პოზიციებზე ამ გადამწყვეტი შეტევისათვის, ყველა საშუალებით ცდილობდნენ უზრუნველყაით ინგლისის საწინააღმდეგო დივერსიის წარმატება. მართლაც, 1919 წლის ივლისისათვის ინგლისელთა პოზიციები ამიერკავკასიაში საფუძვლიანად შეირყა, მნიშვნელოვნად დაეცა მათი პოლიტიკური გავლენა. მაგრამ ინგლისელებს საბოლოოდ არ დაუყრიათ ფარხმალი. მათ ხელში ჯერ კიდევ რჩებოდა ფართო ჯამუშური ქსელი, ქალაქი ბათუმი, ბრიტანეთის ჯარების გარნიზონი. როგორც ჩანს, ამ მომენტს ითვალისწინებდა პოლკი, როცა თავისი გამოსვლის ბოლოს ამბობდა — მე მხოლოდ შემომაქვს წინადადება და დაეინებით სრულიადაც არ მოეითხოვ მის მიღებასო.

მაგრამ ინგლისელებმა მშვიდობიანად არ ისურვეს ამიერკავკასიის დათმობა. ინგლისის წარმომადგენელმა ე. კროუმ მოაგონა დამსწრეთ, რომ ამერიკის მთავრობის წინადადება მან ბრიტანეთის

კაბინეტს შეატყობინა. ამით კროუმ აგრძნობინა საბჭოს, რომ რასაც იგი ვანაცხადებდა, კერძო აზრი კი არ იყო, არამედ ისეთი იყო მისი მთავრობის ოფიციალური პოზიცია. ინგლისის მთავრობა ყოველთვის მიუთითებდა, რომ იგი არ არის ჰასკელის, როგორც დახმარების კომიტეტის ხელმძღვანელის, უფლებამოსილების საქართველოსა და აზერბაიჯანზე გავრცელების წინააღმდეგი, — თქვა კროუმ, — მაგრამ ის, რასაც გვთავაზობს ამერიკის წარმომადგენელი, საერთოდ შეუთავსებელია საბჭოს 5 ივლისის გადაწყვეტილებასთან. კროუმ გარკვევით ვანაცხადა, რომ ინგლისი თანახმა იყო მოეთმინა დახმარების კომიტეტის საქმიანობა საქართველოსა, აზერბაიჯანსა და სომხეთში, მაგრამ მთელი მხარის უმაღლეს კომისრად ამერიკელი პოლკოვნიკის აღიარებას ინგლისი არ აპირებდა.

კროუმს გამოსვლის ტონი იმდენად უკმეხი იყო, რომ საკითხის ირგვლივ დისკუსია აღარ გაშლილა. საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლებმა უსიტყვოდ დაუჭირეს მხარი ინგლისის პოზიციას, რის შედეგად ამერიკის წარმომადგენელი იზოლირებული აღმოჩნდა. პოლკ ისღა დარჩა, რომ ეფიქრა საპატიო უკანდახევაზე. მან წინადადება შეიტანა დაავადებოდა კროუმს, როგორც საქმის კურსში მყოფ პიროვნებას, შემდეგი სხდომისათვის რეზოლუციის პროექტის წარმოდგენა. საბჭომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება და დაავადა კროუმს ისეთი პროექტის შემუშავება, რომლითაც ჰასკელს მიეცემოდა დახმარების კომიტეტის საქმიანობის, სომხეთს გარდა, საქართველოსა და აზერბაიჯანზე გავრცელების უფლება. როგორც ვხედავთ, ამერიკელებმა შიალწივის თავისი კომიტეტის ფაქტობრივი საქმიანობის ლეგალიზებას, სამავიეროდ, მთელი მხარის მმართველად ჰასკელის დანიშვნის მათი გეგმა, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენელთა ერთობლივი მოქმედებით, ჩაიშალა.

ამერიკელთა დიპლომატიური სტრატეგიის ჩაშლის შემდეგ ინგლისელები შეუდგნენ ამერიკელებისათვის თავიანთი პოზიციების შემდგომ გაძლიერებას, უპირველესად ყოვლისა, აზერბაიჯანის ბედით მეტი დაინტერესების გამოჩენა იწყეს ნავთობის მოპოვებელმა კომპანიებმა, ხოლო ეს ინტერესი თანდათან დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლებსაც გადაეღო. ინგლისის კონსულბათუმში სტევენსი ლონდონს აცნობებდა ნავთობის მოპოვებელი ჩგუფების უდიდეს ინტერესზე ბაქოსადმი და მთავრობისაგან მოითხოვდა დიდი ბრიტანეთის კონტროლის გაძლიერებას მთელ ამერიკეკასიაზე. საქმე იმაშია, რომ ომის შემდგომ ინგლისის კომპანიები ნავთობის მოპოვებასა და გაყიდვაზე ამერიკის მონოპოლიის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ, მართალია, ახლო აღმოსავლეთის ნავთობით მეტად მდიდარი რაიონები მთლიანად ინგლის-საფრანგეთის ხელთ იყო, მაგრამ ამერიკელები დაყინებით ესწრაფვოდნენ, მათთან ერთად, ნავთობის სარეწაოების ექსპლოატაციაზე თანაბარი უფლებების მოპოვებას, ასეთი პრინციპის მიღება კი ამერიკელებს ატომატურად მიანიჭებდა მსოფლიო ნავთობის ბაზარზე უპირატესობას, მომავალში გაძლიერების უდავო პერსპექტივებით. ინგლისისა და საფრანგეთის ნავთმრეწველთა მძაფრი ურთიერთ კონკურენციის პირობებში ამერიკელებს თავიანთი გეგმის წარმატების იმედი ჰქონდათ და არც თუ უსაფუძვლოდ. აი, ამდროს თანდათანობით დავის ობიექტად ხდებოდა აზერბაიჯანის ნავთობიც. ინგლისის მთავრობა მყისვე გამოგზავნა ნავთომრეწველთა მოთხოვნებს და აზერბაიჯანში თავისი პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის დაიწყო ზრუნვა.

თავის მხრივ, მუსავატური მთავრობა ყოველი საშუალებით ცდილობდა ინგლისის მთავრობის დაინტერესებას



აზერბაიჯანით. მუსავატელთა აზრით, ნავთობის გარდა, ინგლისის მთავრობას უნდა გაეთვალისწინებინა აზერბაიჯანის ტერიტორიის სტრატეგიული მდებარეობა, მისი მეზობლობა სპარსეთთან, ინგლისსათვის მეტად მნიშვნელოვან — შუა აზიასთან. აზერბაიჯანის მთავრობა ინგლისელებს შუაზიის საქმეების მოწესრიგებაში ახლო თანამშრომლობასაც კი პირდებოდა. აზერბაიჯანელ ბელისუფალთა მცდელობამ ის შედეგი გამოიღო, რომ 1919 წლის 1 დეკემბერს ინგლისის მთავრობამ საიდუმლოდ აცნობა აზერბაიჯანის მთავრობას, რომ დიდი ბრიტანეთი მხარს დაუჭერდა აზერბაიჯანს, ე. ი. მისი მფარველი იქნებოდა. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ცოტა ხნით ადრე, ამერიკელთა დიპლომატიური დივერსიის ჩაშლიდან ორი დღის შემდეგ, ინგლისის წარმომადგენელმა პარიზის კონფერენციაზე კროუმ თავის მთავრობას მისწერა, რომ სომხეთისათვის იარაღის მიყიდვა შეცდომა იქნებოდა, რადგან ეს ქვეყანა მთლიანად ამერიკელთა ზღვითაა. კროუმ, როგორც ჩანს, ითვალისწინებდა, რომ ამერიკელები სწორედ სომხეთს იყენებდნენ ამიერკავკასიაში თავისი პოლიტიკის საყრდენ ბაზად და, ბუნებრივია, დაშნაკური მთავრობისათვის იარაღის მიყიდვა ინგლისელ დიპლომატს სრულიად არასასურველად მიაჩნდა. ეს უკვე მფარველობის გამოვლინება იყო, რადგან აზერბაიჯანის მთავრობა თვლიდა, რომ სომხეთის მხრივ მას მუდამ აგრესიის საფრთხე ემუქრებოდა.

ამიერკავკასიაში ინგლისის პოზიციების გაძლიერების მაჩვენებელია ჩვენი მხარის საკითხის ერთ-ერთი განხილვა, რომელიც 10 დეკემბერს მოეწყო ლონდონში. როცა სხდომამზე კერზონმა იკითხა, თუ რას ფიქრობდა კლემანსო კავკასიაში შექმნილ მდგომარეობაზე, საფრანგეთის პრემიერმა უპასუხა, რომ აქ თქვენი ჯარებია, მხარეს თქვენ მართავთ, ე. ი., თავიც თქვენ იმტვრით. ლიიდ ჯორჯმა სცადა საკითხის მოკავშირეთა საერთო პრობლემად წარმოადგენა იმით,

რომ ამიერკავკასიაში იტალიელთა... ინტერესებზე წამოიწყო საუბარი... ამ საქმიდან არა გამოვიდა რა — ინგლისის მთავრობასთან თანამშრომლობისაგან იმდროინდელ ამიერკავკასიაში საფრანგეთმა და იტალიამ თავი შეიკავა. ინგლისელები ასეთ „ღალატს“ არ შეუშინებია. ოთხი დღის შემდეგ, როცა ლორდთა პალატაში ახლო აღმოსავლეთში ინგლისის პოლიტიკას ახასიათებდა, კერზონმა ნავთობის განაწილების პერსპექტივებზე გაამახვილა ყურადღება და დიდი სომხეთის შექმნის ამერიკული ვარაუდების ჩაფუშვა იწინასწარმეტყველა. მან განაცხადა, რომ ბაღდადთან ლტოლვილთა ბანაკის შენახვა წლიურად ინგლისს 2,5 მილიონ გირვანქა სტერლინგად უღირდა, რომ ასეთხავე საქმიანობას ეწევიან ფრანგები კილიკიასა და სირიაში, ხოლო ჩრდილოეთში, საკუთრივ სომხეთში, „დახმარების საქმე უმთავრესად ამერიკელთა მისიამ განახორციელა. დიდად სასიამოვნო იყო დავრწმუნებულიყავით, რომ ჩვენმა პირობებმა მხარდაჭერა მოიპოვეს არა მარტო მათ (ამერიკელთა — გ. ლ.) კეთილ გულში, არამედ ღრმა ჯიბეებშიც“. ერთი სიტყვით, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი უკვე აბუჩად იგდებდა ახლო აღმოსავლეთის ყველარაიონში სომეხი ლტოლვილებისადმი „დახმარების“ ამერიკულ იდეას და პირწმინდად უგულვებელყოფდა ამერიკის მთავრობის პრეტენზიებს მესოპოტამიისა და სირიის ნავთობზე, კილიკიის სტრატეგიულ ზონაზე.

1919 წლის დეკემბერში ამიერკავკასიის საკითხი კვლავ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყურადღების ცენტრში იყო. დენიკინის დამარცხებამ და თეთრგვარდიელებს დადევნებული წითელი არმიის კავკასიის მისადგომებთან მოახლოებამ ახლებურად დააყენა ამიერკავკასიის საკითხი, ამიტომაც ლონდონს მისვლა იწყო დეპეშებმა, რომლებშიაც ინგლისელი დიპლომატები თურქეთში, სპარსეთში და ამიერკავკასიაში მოითხოვდნენ ამიერკავკასიისა-

დმი ინგლისის პოლიტიკის ყოველი დეტალის საფუძვლიან გარკვევას. ამასთან დაკავშირებით ფორინ-ოფისმა 24 დეკემბერს შეადგინა სათანადო მემორანდუმი და, როგორც ჩანს, იგი დაინტერესებულ პირებს დაუგზავნა.

მემორანდუმში განხილული იყო ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის ცნობა-არცობის პრობლემა, აღნიშნული იყო, რომ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკითხები დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. საქართველოს დამოუკიდებლად აღიარებინ სასარგებლო მთავარ არგუმენტად საბუთი თვლიდა ამ ქვეყნის დამოუკიდებლად არსებობის ხანგრძლივ ისტორიას. აზერბაიჯანი, როგორც დაღესტანი, საუკუნეების მანძილზე სპარსეთის სამფლობელო იყო, რაც ავტორების აზრით, აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის შანსებს აკეცებდა, თუმცა საბუთის შემდგენლები მაინც თვლიდნენ, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის დაცილება შეუძლებელი იყო. სომხეთის მომავალს მოკავშირეები თურმე მუდამ უკავშირებდნენ მასზე მანდატის დაწესებას. მემორანდუმში ნათქვამი იყო, რომ ამ რესპუბლიკების რუსეთისაგან ჩამოცილება რამდენიმე კითხვას წარმოშობდა. მათგან მთავარი ყოფილა რუსეთის (თეთრგვარდიული რუსეთია ნაგულისხმევი — გ. ლ.) მოსალოდნელი უკმაყოფილებისა და რუსეთსა და სპარსეთს შორის ბუფერული სახელმწიფოს შექმნის საკითხები. შემდეგ მემორანდუმში იძლეოდა სამ არჩევანს: პირველი — ამიერკავკასიის ფედერალური სახელმწიფოს მანდატი გადასცემოდა ინგლისს ან ამერიკას, ამას შეიძლებოდა გამოეწვია კონფლიქტი დენიკინთან; მეორე — არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და დენიკინის გაფრთხილება, რომ მას დროებით მაინც მოეთმინა ამიერკავკასიის არსებობა, ხოლო მესამე ყოფილა — საქართველოსა და აზერბაიჯანის ცნობა ხუთი წლის ვადით, რომ შემდეგ ისინი შეეყვანათ რუსეთის შემადგენლობაში. მემორანდუმის შემ-

დგენელთა აზრით, უკანასკნელი ვარიანტის განხორციელებისას მსაჯულთაგან იყო ამიერკავკასიაში გერმანიის გავლენის გაძლიერება.

მემორანდუმიდან, უპირველეს ყოვლისა, ირკვევა, რომ ინგლისი 1919 წლის განმავლობაში მუდამ ითვალისწინებდა ამიერკავკასიაში გერმანელთა ექსპანსიის განახლების შესაძლებლობას. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ საბუთი ამიერკავკასიის საკითხის გადაჭრის ყველა შესაძლებელ სახესხვაობას მჭიდროდ უკავშირებდა რუსეთის პრობლემას, თან იგი არც ერთ შემთხვევაში შესაძლებლად არ თვლიდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ქვეშაბრტულ დამოუკიდებლად არსებობას ცალ-ცალკე ან ერთად. მემორანდუმის დედაბერი იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისის მთავრობა არკვევდა, ღირდა თუ არა ამიერკავკასიისათვის თეთრგვარდიულ რუსეთთან წაჩხუბება, მაშინ, როცა საბჭოთა მთავრობის დამხობისათვის ჯერ კიდევ დიდი შრომების გადახდა იყო მოსალოდნელი. როგორც ქვემოთ დავარწმუნდებით, ინგლისელთა ეს გეგმა-გარაუდები მოვლენათა სწრაფად და ინტერვენტიათაგან არახელსაყრელად განვითარებამ არიგ-დარია და ამ საბუთის შედგენიდან ორიოდე კვირის შემდეგ აიძულა ინგლისის მთავრობა, თავის მოკავშირეებთან ერთად, გადამჭრელი ზომები მიეღო, როგორც დენიკინის, ისე ამიერკავკასიის ანტისაბჭოთა პლაცდარმის გადასაჩინად.

რაც უფრო ცხადი ხდებოდა დენიკინის თეთრგვარდიული არმიის სრული განადგურების შესაძლებლობა და სიტუაცია რთულდებოდა, ინგლისელები და მათი მოკავშირეები უფრო იცვლიდნენ ტონს და ყოველგვარი წინასწარი შეთანხმება-მოლაპარაკებების გარეშე აძლევდნენ ხოლმე კატეგორიულ ინსტრუქციებს დენიკინსა და მენშევიკურ მთავრობას. 1919 წლის დეკემბერში ჰასკელმა ენერგიული ზომები მიიღო დენიკინისა და ამიერკავკასიის კონტრევოლუციონერთა კავშირის შესაქმნე-

ლად. მან დენიკინთან მოსალაპარაკებლად სამი მთავრობის დელეგაციის გაგზავნა მოითხოვა და მათ გადასაყვანად ამერიკის სამხედრო გეგმის გამოყოფაც იყისრა. ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში ინგლისელებმა თავის მხრივ შესთავაზეს შენშევიკურ მთავრობას დენიკინთან მოლაპარაკების დაწყება სადაო საკითხების მოსაგვარებლად. შენშევიკები დათანხმდნენ, მაგრამ, როცა მოლაპარაკება გაქიანურდა, ლონდონიდან მოვიდა დენიკინისა და შენშევიკური მთავრობის შეთანხმების ჩამოყალიბებული პირობები, რომლის მიხედვითაც საქართველოს უნდა დაეცალა მთელი ვაგრის ზონა, დაებრუნებინა თეთრგვარდიელებისათვის გემი „ქოროხი“, ხოლო სამაგიეროდ დენიკინს გაეუქმებინა თავისი გადაწყვეტილება საქართველოს საზღვრების ბლოკადის თაობაზე. საკითხის ასეთი მოგვარება, სასარგებლო, უპირველეს ყოვლისა, ინგლისელთათვის, სპობდა დენიკინისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავრობების ურთიერთობაში დაძაბულობის წარმოშობის შესაძლებლობას. ინგლისელები ასეთივე გზით ცდილობდნენ სხვა საქმეების (რესპუბლიკათა შორის ურთიერთობის, ქვეყნებს შიგნით რევოლუციური მოძრაობის მოსპობის, თეთრგვარდიელთა ნაწილების გადარჩენის) მოგვარებასაც.

გართულებებმა თავი იჩინეს უშუალოდ მეტროპოლიაშიც. დემოკრატიული მოძრაობა, რომლის მიზანი საბჭოთა რუსეთის დაცვა იყო, ინგლისში კიდევ უფრო გაიშალა. მოსახლეობა თანდათან ერყვეოდა მთავრობის რთულ პოლიტიკურ მანევრებში, ხედებოდა, რომ ხალხი მოატყუეს, როცა ოფიციალურმა ორგანოებმა გამოაცხადეს ამიერკავკასიიდან ჯარების გამოყვანის თაობაზე. პარლამენტში შეკითხვები შეკითხვებზე შედიოდა, თუ რატომ დარჩა ჯარი ბათუმში, როდის გამოიყვანდნენ იქიდან საოკუპაციო ნაწილებს, რას აპირებდა მთავრობა საქართველოში და სხვ. დებუტატების დაყენებით კითხვებზე პასუხს აძ-

ლევენენ პრემიერი ლტარქი ვრტჰჰიუჩერჩილი და სხვები. ისინი უმჯობესად იმართლებდნენ თავს: რომ ბათუმში ინგლისის ჯარი ცოტა იყო, სულ 3000 კაცი, რომ ბათუმის საკითხი ამიერკავკასიის პრობლემასთან ერთად უნდა გადაჭრილიყო. ყველა ამ პასუხების მიზანი ინგლისის საზოგადოებრივი აზრის მოტყუება და ამ გზით მისი დამშვიდება იყო. ინგლისის მთავრობა საქართველოდან (ბათუმიდან) ჯარის გაყვანას არ აპირებდა.

ამერიკელები, თავის მხრივ, აქტიურად მონაწილეობდნენ თეთრგვარდიელთა გადარჩენაში, ზრუნავდნენ ამიერკავკასიის ანტისაბჭოთა პლაკდარმის შესანარჩუნებლად, მაგრამ 14-15 ნოემბრის მარცხის შემდეგ მათ ხელი არ აუღიათ თავიანთი აგრესიული ზრახვების განხორციელებისათვის ზრუნვაზე. ისინი თვით ამიერკავკასიაში წინანდებურად განავრძობდნენ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას და ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ პარიზის კონფერენციაზე საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საკითხის იმავე ასპექტში გასატანად, როგორც ადრე გაიტანეს. ასეთ ხელსაყრელ მომენტად ამერიკის წარმომადგენლებმა მიიჩნიეს დეკემბრის თვის შუა რიცხვები, როცა ინგლისელები ამიერკავკასიაში და თვით მეტროპოლიაში ახალ გართულებათა წინაშე აღმოჩნდნენ. ამერიკის დელეგაციას პარიზში მოუვიდა დეპეშა, რომელშიაც პასკელი იტყობინებოდა აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში თავის მონაწილეობაზე, მოჰყავდა შეთანხმება საომარი მოქმედების შეწყვეტის თაობაზე, რომლის ერთ-ერთი პუნქტით განპირობებული იყო პასკელის მონაწილეობა საარბიტრაჟო კომისიაში. პასკელი წინადადებას იძლეოდა დაეწესებინათ გამყოფი ხაზები კავკასიელ კონტრრევოლუციონერებსა და დენიკინს შორის. მიჯნა უნდა გავლებულიყო, დაახლოებით, კასპიის ზღვიდან მოყოლებული დადესტინის, თერგის ოლქის, ყუბანის

სასაზღვრო ზოლზე დამთხვევით შეზღამდე.

ჰასკელის დებეშა ამერიკის დელეგაციამ 1919 წლის 18 დეკემბერს დელეგაციის მეთაურთა საბჭოს წარუდგინა განსახილველად. სხდომის თავმჯდომარემ, საფრანგეთის წარმომადგენელმა ე. კამბონმა, იკითხა, იზიარებდა თუ არა ამერიკის დელეგაცია ჰასკელის მოსაზრებას.

საინტერესოა გამოვიკვლიოთ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლის შეკითხვის მიზანი. ჰასკელი, როგორც ვნახეთ, წინადადებას იძლეოდა დაეწესებინათ მიწა, რომლის სამხრეთითაც დენიკინის ჭარები ვერ გადავიდოდნენ. როგორც ჩანს, ამერიკელი პოლკოვნიკი ვარაუდობდა, რომ დენიკინის ურდოების უკანდახევის პირობებში ყველაზე უკეთესი გამოსავალი იქნებოდა სამხრეთელი კონტრრევოლუციონერების ტერიტორია მოკავშირეთა მფარველობის ზონად გამოცხადებინათ და ოფიციალურად სათანადო სასაზღვრო ხაზიც დაეწესებინათ. კამბონს სურდა შეეტყო ამერიკის მთავრობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

კამბონის შეკითხვას ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა გ. ვალესმა ორქოფულად უპასუხა: ამერიკის მთავრობა არ ეთანხმება ჰასკელის წინადადებებს, მაგრამ მის მოქმედებას იწონებს. როგორც ირკვევა, ამერიკელები ნაადრევად თვლიდნენ ამიერკავკასიის ხელისუფალთა ოფიციალურ მხარდაჭერას, ვერ კიდევ ჰქონდათ დენიკინის თეთრგვარდიული ნაწილების ანტისაბჭოთა ბრძოლაში გამოყენების იმედი. ამავე დროს, მიუხედავად საბჭოს ადრინდელი გადაწყვეტილებისა, რომელიც ფაქტიურად უკრძალავდა ჰასკელს, სომხეთის ვარდა, სხვა რომელიმე რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევას, ისინი იწონებდნენ ჰასკელის პროამერიკულ პოლიტიკურ საქმიანობას მთელ კავკასიაში და ცდილობდნენ კიდევ მოეხდინათ ამ საქმიანობის ლეგალიზება.

ამიტომაც ბუნებრივია, რომ ინგლი-

სელმა კროუმ ამერიკელთა წარმომადგენლის სიტყვა გაიგო, როგორც დაპყრობა. სულ რაღაც ერთი თვის წინ ინგლისელებმა უარყვეს ამერიკელის მამიებლობა მთელ კავკასიაზე, იგი კი, თურმე, არა მარტო მოქმედებდა, როგორც მთელი მხარის ერთპიროვნული გამგებელი, არამედ იმდენად გათავხედებულა, რომ თავისი ნამოქმედარის კონფერენციისაგან მოწონებასაც კი მოითხოვდა. კროუმ ყველაფრის გულახდილად თქმას ისურვა. მან განაცხადა, რომ ჰასკელის წინადადებათა მიღება სერიოზულ სიმწელებთან იყო დაკავშირებული. დენიკინის მოქმედების ზონა დიდხანია განსაზღვრულია და ახლა ძნელია მას აღიარებინო რაიმე ახალი მიწანა—თქვა მან. ბოლოს კროუმ დაუმატა, რომ იგი შეეკითხებოდა თავის მთავრობას და შეიტყობდა კაბინეტის მოსაზრებას წამოჭრილ საკითხებზე.

როგორც ვხედავთ, ამერიკელებმა ვერც ამჯერად მიაღწიეს სასურველ შედეგს, მათ ვერ შეძლეს ჰასკელის კოლონიზატორული საქმიანობის მოკავშირეთაგან აღიარება მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით.

კროუს შემთხვევით როდი უთქვამს დენიკინი ჩვენი განმგებლობიდან გამოდისო. მთავარი ის კი არ იყო, რომ ინგლისის მთავრობის წარმომადგენელი ტყუოდა. ამით იგი მოაგონებდა თავის კოლეგებს, რომ დენიკინის არმია იღუპება, რომ ანტისაბჭოთა ბრძოლის მონაწილე იმპერიალისტ მოკავშირეებს უნდა ეზრუნათ არა ერთმანეთისათვის სამხარის ვასაობრელად, არამედ იმისათვის, რომ გადაერჩინათ თეთრგვარდიული ჭარების ნარჩენები და სამხრეთის კონტრრევოლუცია.

არ უნდა გაგვაკვირვოს იმ გარემოებაში, რომ ამიერკავკასიის საკითხის განხილვისას 1919 წლის ნოემბერში და დეკემბერში ინგლისელებმა მოიპოვეს საფრანგეთისა და იტალიის მხარდაჭერა და, ამ გზით, ადვილად შეძლეს ამიერკავკასიის ხელში ჩაგდება ამერიკული გეგმების ჩაფლვება. ორივე შემთხვევაში

ამერიკის მთავრობის თანმიმდევრულ პოლიტიკას წინ აღუდგა ხალხთა მასების რევოლუციური მოძრაობა. 1919 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საქართველოში ყველა პირობა შემზადდა ძლევამოსილი ააჯანყებისათვის, ბოლო დეკემბერში კავკასიის მისადგომებისაკენ დაიძრა წითელი არმია, რომელიც მზად იყო დახმარებოდა გაქორწინებაში ჩავარდნილ აქაურ ხალხებს. პოლიტიკურმა სიტუაციამ მოითხოვა ინტერვენტთა და კონტრრევოლუციონერთა ძალების მრბილიზება და ამერიკის შეერთებული შტატებიც, როგორც ანტისაბჭოთა სამხედრო ინტერვენციის მთავარი ორგანიზატორი და მონაწილე, იძულებული იყო დროებით დაევიწყებინა ამიერკავკასიიდან ინგლისის გაძევების თავისი გეგმები და, სწორედ ინგლისთან, საფრანგეთთან და იტალიასთან ერთად, ეხრუნა იმისათვის რომ შეენარჩუნებინა ანტისაბჭოთა ბრძოლისათვის მეტად მნიშვნელოვანი ამიერკავკასიის პლაცდარმი.

წითელი არმიის გამოსვლა კავკასიის მისადგომებზე საფრთხეს უქმნიდა ინგლისის და საფრანგეთის პოზიციებს არა მარტო საქართველოსა და აზერბაიჯანში, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთში, რადგან ამიერკავკასიის ინგლისელები და ფრანგები განიხილავდნენ, აგრეთვე, როგორც ჭებირს, სანიტარულ კორდონს, რომელსაც რუსეთის რევოლუციისაგან უნდა დაეცვა სპარსეთი, თურქეთი, არაბეთის ქვეყნები, ინდოეთი. შიში, გამოწვეული დენიკინის დამარცხებით, ამიერკავკასიის ანტისაბჭოთა პლაცდარმის შესაძლებელი დაკარგვით და, ბოლოს, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში რევოლუციის მოსალოდნელი გავრცელებით, კარგად მოსჩანს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა საქმიანობიდან უშუალოდ ამიერკავკასიაში და იმ მიმოწერიდან, რომელიც ინგლისის მთავრობას მათთან ჰქონდა.

ჟუკე 27 დეკემბერს უორდრობი თბილისიდან და ელჩი ირანიდან აცნობებდა ინგლისის მთავრობას, რომ დენიკინის

დამარცხებამ ამიერკავკასიაში ინგლისის ზღვის მიღმა რაიონსა და სპარსეთში მეტად სერიოზული მდგომარეობა შექნათ. პირველ საგანგაშო ცნობებს უნდა მოჰყოლოდა უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია, რომ ინგლისის მთავრობა შექმნილი სიტუაციის კურსში ყოფილიყო. დეკემბრის ბოლოს ინგლისის უმაღლესი კომისარი ამიერკავკასიაში უორდრობი ნოვოროსიისკში ჩავიდა. რათა მოლაპარაკებები მოეწყო თეთრგვარდიული არმიის სარდლობასთან, საკუთარი თვალთ ეხილა და შეემოწმებინა მოხალისეთა სამხედრო ნაწილების მდგომარეობა, ახალი დირექტივები მიეღო გავლენიანი ინგლისელებისაგან. იქ უორდრობი შეხვდა ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს სამხრეთ რუსეთში მასკინდერს, რომელსაც მეტად დიდი რწმუნებები ჰქონია ინგლისის მთავრობისაგან. საუბრებისას განუხილავთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხები. მასკინდერი ძალზე დაუფიქრებია უორდრობის ცნობას საქართველოს მოსახლეობის გაზრდილ აქტივობაზე, ე. ი. რევოლუციის გაძლიერებაზე, რაც უორდრობს მისდამი 3 იანვრის გაგზავნილ დებეშაში კვლავ დაუდასტურებია.

ნოვოროსიისკიდან დაბრუნებულ უორდრობი ქართველმა მენშევიკებმა მიიწვიეს მენშევიკური და მუსავატური მთავრობების ერთობლივ თათბირებზე, რომელზედაც განიხილებოდა საბჭოთა მთავრობის 1920 წ. 2 იანვრის წინადადება დენიკინის საფრთხის წინააღმდეგ საერთო ძალით გამოსვლის შესახებ. საბჭოთა ნოტაში, კერძოდ, ნათქვამი იყო: „...რუსეთის მთავრობა წინადადებით მიმართავს საქართველოს დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ორი სარდლობის სამხედრო შეთანხმების დადების თაობაზე, იმ მიზნით, რომ ერთად სწრაფად გავანადგუროთ სამხრეთ რუსეთის თეთრგვარდიული არმიები... დენიკინი მხოლოდ რუსი მუშისა და გლეხის მტერი არ არის, იგი საქართველოსა და აზერბაიჯანის მუშებისა და გლეხების მტერი-

ცაა... ზევნ მოუწოდებთ, ვიდრე გვიან არ არის საქართველოსა და ქართველ ხალხს დენიკინთან ბრძოლის დაწყებისაკენ“. თავისთავად უორდროპის ასეთ თათბირზე მიწვევა იმის მანკენებელი იყო, რომ მენშევიკურ მთავრობას წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი საბჭოთა მხარის წინადადებების უარყოფა, ასეც მოხდა, მოსკოვს ეცნობა, რომ საქართველო არ ჩაეროდა რუსეთის სამოქალაქო ომში. მენშევიკური მთავრობის არგუმენტები დაუსაბუთებელია, რადგან ყველასათვის ცხადი იყო, რომ თავიანთი პოლიტიკით მენშევიკებმა საქართველო შეგნებულად ჩააბეს იმ ბრძოლაში, რომელსაც საერთაშორისო იმპერიალიზმში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ეწეოდა. ამასთან დაკავშირებით კავკასიის სამხარეო კომიტეტი თავის პროკლამაციაში მიუთითებდა: „ქორდანაიმ უარი თქვა საბჭოთა რუსეთთან კავშირზე, მან უარი თქვა დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაზე, იგი ამჟამად გადავიდა ანტანტის მხარეზე“.

საბჭოთა რუსეთთან კავშირის უარყოფა ქართველ მენშევიკთა პოლიტიკური არამორსმჭვრეტელობის დამადასტურებელია, იმის მანკენებელია, თუ პოლიტიკაში გრძნობების, ამ შემთხვევაში საბჭოთა მთავრობისადმი სიძულვილის, აყოლას როგორი ზიანის მოტანა შეუძლია ამა თუ იმ ქვეყნების საერთაშორისო მდგომარეობისათვის. კერძოდ, საბჭოთა რუსეთთან სამხედრო შეთანხმების დადება და დენიკინელთა წინააღმდეგ სამხედრო ლაშქრობის მოწყობა საქართველოს ინტერესებში შედიოდა. ინგლისს, მართალია, ჯარები ჰყავდა ბათუმში, მაგრამ საბჭოთა მთავრობის სამხედრო და დიპლომატიური მხარდაჭერის შემთხვევაში, იგი მოკლებული აღმოჩნდებოდა ჯარის ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას, რასაც ბოლოს და ბოლოს, ქალაქი-ნავსადგურის საქართველოს ხელთ გადმოსვლა უნდა მოჰყოლოდა. თუ მენშევიკური მთავრობა, სიტუაციის შესაბამისად, ორიენტაციას შეიცვლიდა, თეთრგვარ-

დიელებისა და ინგლისელუკრეტორებისა მოწინააღმდეგეობის გზას დააღვივებდა საბჭოთა რუსეთთან სამხედრო კავშირის შეკრავდა და მისი მხარდაჭერით ბათუმის დაბრუნებისათვის ზრუნვას შეუდგებოდა, მისი ეს პოლიტიკა ქართველი ხალხის მხარდაჭერით ისარგებლებდა. მაგრამ მენშევიკებმა არ ისურვეს საბჭოთა რუსეთთან ერთად დენიკინის წინააღმდეგ გამოსვლა, მათ ქართველი ხალხის სურვილის საწინააღმდეგოდ ქვეყნის ინტერესების საზიანოდ და ინგლისის ინტერესების შესაბამისად მტრებთან — თეთრგვარდიელებთან — მოკავშირეობა ამჟობინეს და ამით უკიდურესად დაასუსტეს ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა, ხოლო საკუთარი ხელისუფლება მთლიანად უცხოელთა სურვილებს დაუმორჩილეს.

წითელი არმიის გამარჯვებებმა დამსებების რევოლუციური განწყობილების ზრდამ ამიერკავკასიაში მყოფ ინგლისელებსა და სხვა უცხოელებში პანიკა გამოიწვია. ინგლისელი, ამერიკელი, ფრანგი და იტალიელი მრჩვეულების, კონსულტანტების, მზვერავების მთელი აპარატი ფეხზე დადგა, ბათუმსა და ჩრდილოეთ სპარსეთში დაბანაკებული სამხედრო შენაერთები, შვესა და კასპიის ზღვებში მყოფი ინტერვენტთა სამხედრო გემები ბრძოლისათვის გამზადდა, მაგრამ უცხოელებს თავის ხელქვეით მყოფი ძალები საკმარისად არ მიაჩნდათ. უორდროპი 3 იანვარს აცნობებდა კერზონს, რომ მოსალოდნელი იყო დენიკინის არმიის სრული განადგურება, რაც ბოლშევიკური რევოლუციის საფრთხის წინაშე დააყენებდა ამიერკავკასიის, სპარსეთს, შუა აზიას და სხვა ქვეყნებს. უორდროპს მიაჩნდა, რომ ინგლისს ამიერკავკასიაში მძლავრი ჯებირი უნდა შეექმნა, ბათუმში გამოეგზავნა ერთი დივიზია, უნდა მკვეთრად გაეძლიერებინა ჩრდილოეთ სპარსეთში განლაგებული ჯარები და მათთვის მიენდო ბაქოს დაცვა, ხელთ უნდა აეღო-

ამიერკავკასიის რკინიგზა, უზრუნველყო კასპიის ზღვაზე თავისი კონტროლის დაწესება. უორდრობი თავისი მთავრობისაგან მოითხოვდა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და დაღესტნის ბურჟუაზიული მთავრობებისადმი აქტიურ მხარდაჭერას, მათ დე-ფაქტოდ ცნობას. უმაღლესი კომისარი მთავრობას მოუწოდებდა სწრაფი და გაბედული მოქმედებისაკენ.

რევოლუციის საშიშროებამ ძალზე შეაშინა ქართველი მენშევიკებიც. მრავალგზისი თათბირების შემდეგ მთავრობამ 5 იანვარს სპეციალური ნოტიო მიმართა ინგლისს, რომელშიაც მიუთითებდა იმ საშიშროებაზე, რომელიც ინგლისის პოზიციებს ემუქრებოდა ახლო აღმოსავლეთში, თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა. ქართველი მენშევიკები საქართველოს ბუნებრივ ხიდად, ჯებირად თვლიდნენ, თავის თავზე იღებდნენ მის დაცვას და მოკავშირეებისაგან მოითხოვდნენ ფართო დახმარებას იარაღით, ტანსაცმელით სურსათ-სანოვაგით. უორდრობი იზიარებდა მენშევიკური მთავრობის მოსაზრებებს და მხარს უჭერდა მის მოთხოვნას დახმარების თაობაზე. კომისარი აცნობებდა ინგლისის მთავრობას, რომ მენშევიკები შეძლებდნენ დაეცვათ ინ-

გლისისა და საკუთარ მთავრობებზე რომლებიც ამ კრიტიკულ მომენტში აბსოლუტურად იდენტურიაო. იგი მთავრობისაგან კვლავ მოითხოვდა მეტ გამბედაობას და სწრაფ მოქმედებას. სხვათა შორის, უორდრობი თავის მთავრობას მოაგონებდა 1918 წლის გაზაფხულს, როცა ინგლისმა ამიერკავკასიის კომისარიატისათვის ფულის დაგვიანებით გადაცემის გამო თავის მიზანს ვერ მიაღწია.

ინგლისის მთავრობას უყურადღებოდ არ დაუტოვებია თავისი წარმომადგენლების საგანგაშო შეტყობინებები. 10—19 იანვარს, წინასწარი განხილვების შემდეგ, ამიერკავკასიის საკითხზე გვლავ გახდა მოკავშირეთა მსჯელობის საგანი. ამჯერად, ისევე როგორც ადრე, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მომავალი საზავო კონფერენციამ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს დაუკავშირა. ეს დებატები თავისი ყოვლისმომცველობით აღრინდელი განხილვებისაგან დიდად განსხვავდებოდა. ახალმა სიტუაციამ მოქმედების ახალი გეგმების შემუშავება მოითხოვა, მაგრამ უცვლელი დარჩა ინგლისის, ამერიკისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების მიმართ.

ჰახავაძე ჰანია

ერთი მკვიდრი ილია ჰავაძის მოღვაწეობიდან

ქართველი მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა ილია ჰავაძეაძეს სარედაქტორო მოღვაწეობა. გარდა მკაცრი საცენზურო შეზღუდვებისა, ილიას „ივერიის“ სისტემატურად განიცდიდა მთავრობისა და რეაქციული ძალების და მათი ზეგავლენის ქვეშ მყოფი ჟურნალკაზთების თავდასხმას, იტანდა მოწინააღმდეგეების მრავალ პროვოკაციულ და ცილისმწამებლურ გამოხდომას. ილია ყოველ თავდასხმას მედგრად იგერიებდა, ყველას საკადრისი პასუხით ისტუმრებდა და ანტიინაზოგადობრივი ძალების შემოტევებს დაუნდობლად ამხელდა. მისი ბიოგრაფების ვადმოცემით ცნობილია, რომ ილია, რედაქტორი არაერთხელ მჯდარა საბრალმდებლო სკამზე, იძულებული ყოფილა განმარტებები მიეცა საგამომძიებლო თუ სასამართლო ორგანოებისათვის და თავი დაეცვა კანონიერ თუ უკანონო ბრალდებებისაგან. ილიას ბიოგრაფიის ის ნაწილი, რომელიც მისი სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემის საკითხს ეხება, საფუძვლიანად გამოკვლეული არ არის და დღეისათვის, თუ რამდენჯერ ყოფილა იგი პასუხისგებაში მიცემული და კონკრეტულად რა ბრალდებით, ცნობილი არ არის. ილიას ბიოგრაფიის მიხედვით ცნობილია, რომ, მიუხედავად მისი ოფიციალური და ფარული დევნისა, იგი პატიმრობაში არასდროს არ ყოფილა. არის სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ ილია ჰავაძეაძე არც ერთ სასამართლოს, რომლის წინაშე იგი წარსდგა როგორც ბრალდებული, დამნაშავედ არ უცვნიდა. ილიას ჰქონდა უნარი თა-

ვი ღირსეულად დაეცვა და დაემტკიცებია მის მიმართ წაყენებული ბრალდებების უსაფუძვლობა. პრესაში მრავალჯერ გამოქვეყნებულა და ქართველ მკითხველისათვის ცნობილია ილიას პასუხისგებაში მიცემის ის ფაქტი, რომელსაც საფუძვლად დაედო „ივერიის“ 1886 წლის №79-ში. „აკაკის ნაკვესების“ გამოცემასთან დაკავშირებით დაბეჭდილი ფელეტონი.¹

სხვა კონკრეტული ფაქტი ილიას პასუხისგებაში მიცემისა დღემდე ცნობილი არ ყოფილა. საქ. სსრ ცენტრალური ისტორიული არქივის მეცნიერ მუშაკმა ე. თარხნიშვილმა ჩვენი ყურადღება მიამჩვია ვაზეთ „ივერიის“ 1895 წლის 20 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ სასამართლო მატეიანზე, რომლიდანაც ირკვევა ილიას პასუხისგებაში მიცემის კიდევ ერთი ფაქტი.

„გუშინ... ტფილისის სასამართლო პალატამ, — იუწყებოდა ვაზეთი, — განიხილა საქმე ჩვენი ვაზეთის რედაქტორის თავ. ი. გ. ჰავაძეაძისა და ვაზ. „ნოვოე ობოზრენის“ რედაქტორის თავ. ვ. მ. თუმანიშვილის, რომელთაც ის ბრალი ედებოდათ, რომ 1893 წელს თავიანთ ვაზეთებში გაეკიცხათ საჩხერის ფერშალი მაშკინი.² ორსავე ვაზეთში იყო დაბეჭდილი, რომ საჩხერის ერთმა ფერშალმა, რომელსაც სოფლის საავადმყოფოში მძიმე ავადმყოფი მიუყვანეს, ყური არ უგდო ავადმყოფს, თვით ბანქოს თამაშობაში ერთობოდა მაშინ, როდესაც

¹ ცენტრალური ისტორიული არქივი ფონდი № 116. არქივი № 1307.

² საკითხი ეხება საჩხერის საავადმყოფოს უფროს ფერშალს იონა ლუკას ძე მაშკინს.



საბრალო ავადმყოფი ხრიალებდა და სხვა. ამ შენიშვნების დაწერისა გამოფერშალს მაშეინს საჩივარი შეეტანა... გაზეთში უბრალოდ ჩირქსა ცხებენ ჩემს სახელს და გთხოვთ როგორც თავადი ი. გ. ჭავჭავაძე, ისე თავ. ვ. მ. თუმანიშვილი დასაჯოთ სასჯელთა დებულების მე-1139 და 1140 მუხლების ძალითაო". გაზეთში მოკლედ არის აღწერილი სასამართლო პროცესის მსვლელობა და რომ ი. ჭავჭავაძე და ვ. თუმანიშვილი უდანაშაულოდ იქნენ ცნობილი.

არქივში შემონახული საქმე,¹ იძლევა ამ პროცესის სრულ სურათს, ამავე დროს შეიცავს ბევრ ისეთ დეტალს, რომელთა გადმოცემა სასამართლო მატიაშვილი შეუძლებელი იყო. საქმეს, როგორც ნოემტკიცება, დათული აქვს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ 1894 წლის 10 ოქტომბრის № 3704 და გაზეთ „ივერის“ 1894 წლის 12 ნოემბრის № 241.

„ნოვოე ობოზრენიე“ იტყობინება, რომ 4 ოქტომბერს ადგილობრივ საავადმყოფოში ურმით ყოფილა მიყვანილი ავადმყოფი, რომლის პირთენება ცნობილი არ იყო და რომელიც ცოცხალ-მკვდარი ეპოვნათ სოფელ სარეკთან ვზის პირად, თხრილში. იგი საავადმყოფოში არ მიუღიათ და არაეითარი დახმარება არ აღმოუჩინათ. ფერშალმა, რომელიც იმ დღეს ექიმს სცვლიდა, სოფლის მამასახლისი აიძულა ავადმყოფი იქიდან მოეშორებინა. ავადმყოფი დააწვინეს სოფლის კანცელარიის იატაკზე, ნახევრადგამდილი და გონებადაკარგული, მთელი ღამე სიკვდილს ებრძოდა. თავის პიროვნების შესახებ ცნობის მიწოდების უნარი ავადმყოფს არ გააჩნდა, მხოლოდ მეორე დღეს რის ვაივაგლახით დაადგინეს მისი მშობლები, რომლებმაც იგი წაიყვანეს სიკვდილის წინა კრუნჩხვის მდგომარეობაში. გაზეთი შემდეგ აღნიშნავდა: „როდესაც ეს უბედური უმწეო ეგლო სოფლის კანცელარიის იატაკზე, საავად-

მყოფოს ერთი თანამშრომელი, თრთქმის კანცელარიის გვერდზე დარჩენილი ვიდებული კარტს თამაშობდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პირს მასთან მოთამაშეები ახსენებდნენ ავადმყოფის შესახებ, მასში ოდნავადაც არ ამობრავდა კაცთმოყვარეობის იოტისოდენა გრძობა“. იქვე აღნიშნულია, რომ საჩხერის საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი, გააჩნია მომსახურე პერსონალის საკმარე შტატი, მაგრამ ავადმყოფთა მომსახურება ცუდად არის დაყენებული და საწოლები, ალბათ, რევიზორების საჩვევებლად არის გაწყობილიო. გაზეთი აღშფოთებას გამოთქვამდა შექმნილი მდგომარეობით და აყენებდა საკითხს, თუ რამდენად საჭირო იყო მოსახლეობისათვის ასეთი დაწესებულება?!

გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი მოკლე ინფორმაცია ერთგვარად აესებდა „ნოვოე ობოზრენიეს“ მიერ გამოქვეყნებულ ცნობას, უთითებდა, რომ ამის შესახებ გაზეთებში უკვე დაიბეჭდა ცნობები და დამატებით აღნიშნავდა, რომ „შეიტყო თუ არა ეს გარემოება აქაურმა ექიმმა, (რომელიც იმ დღეს საჩხერეში არ დასწრებია), 6 ოქტომბერს წავიდა იმ ავადმყოფთან შემწეობის მისაცემად, მაგრამ გვიანდა იყო, ავადმყოფი უკვე... განიცვენებდა“. ინფორმაცია დაბეჭდილია „ზემოურის“ ხელისმწერით.²

„ნოვოე ობოზრენიეს“ აღნიშნული ნომრის გამოსვლის დღესვე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო ნაწილის უფროსი კავკასიაში გლავაცკი № 9151-ით ავალებს ქუთაისის გუბერნიის ექიმს, ჩაატაროს მკაცრი შემოწმება გაზეთში მოყვანილი გარემოებების და შედეგი მოახსენოს სამმართველოს. შემოწმების შედეგები მოხსენდა გლავაცკის 1895 წლის 31 იანვარს. ქუთაისის გუბერნიის ექიმის თანაშემწე ტრაპის №101 მოხსენებით ბარათში ნათქვამია, რომ

¹ გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“ № 3704, 1894 წ. 10 ოქტომბერს, გვ. 1.

² გაზ. „ივერია“ № 241, 1894 წ. 12 ნოემბერი, გვ. 3.

¹ ს. 1. სსრ ცენტრალური ისტორიული არქივი ფონდი № 113, არქივი 1559.

² 12. „მნათობი“ № 10.

„საქეიმო განყოფილება სრულიად არ ამართლებს ფერმალ მაშკინის მოქმედებას და თავის მხრით საჭიროდ სთოლის ჩამოქვეითებული იქნას მაშკინი თანამდებობაში, იმავე საავადმყოფოში დატოვებით“. ტრაპი თავის მოხსენებით ბარათში აღნიშნავს, რომ თანამდებობით ჩამოქვეითებულ მაშკინს შეუძლია დატოვების თვალსაზრისით (მითითებულია, რომ მას აქვს ასეთი შეადგომლობა მოსახლეობიდან ვ. ე.) სასჯელის ეს ღონისძიება ეფარდება მის მიერ ჩანადენსო. მაშკინი თხოვს სამედიცინო ნაწილის უფროსს აღნიშნული ღონისძიების დამტკიცებას. სამედიცინო ნაწილის უფროსმა გლავაცკიმ კიდევ უფრო შეამსუბუქა მაშკინის მდგომარეობა. თავის 1895 წლის 1 მარტის №417 პასუხში მიუთითა, რომ სამედიცინო ნაწილის სამმართველო ეთანხმება წამოყენებულ წინადადებას, ამტკიცებს მას, მხოლოდ 1894 წლის 12 ნოემბრის უმოწყალები მანიფესტის საფუძველზე სთვლის შესაძლებლად აღნიშნული სასჯელიდან მაშკინის განთავისუფლებას, გაფრთხილებით—თუ იგი შემდგომში დაუშვებს საქმისადმი რაიმე დაუდევარ დამოკიდებულებას (!) სამსახურიდან იქნება დათხოვნილი“.

მაშკინის მოქმედების „დაუდევარ დამოკიდებულებად“ ცნობა, ნათლად მეტყველებს თვითმპყრობელური რუსეთის ჩინოვნიკების „ინოროდცებთან“ დამოკიდებულების ხასიათზე, მაგრამ ამჯერად ჩვენ სულ სხვა საკითხის გარკვევა გვინტერესებს და ამ გარემოებაზე მსჯელობას საჭიროდ არ ვთვლით.

როგორც ეტყობა, მაშკინს ეს დიდი მოწყალება არ აკმაყოფილებდა და თავისი რეპუტაციის აღდგენის მიზნით 1895 წლის 1 ივლისს დაუწერია სახიფათო თბილისის ოლქის სასამართლოს პალატის პროკურორის სახელზე და დაუყენებია საკითხი, მისი ღირსების შეურაცხყოფისათვის, პასუხისგებაში მიეცათ გაზეთების „ნოვოე ობოზრენიეს“ და „ივერიის“ რედაქტორები და ის კორესპონდენტები, რომლებმაც ამ გაზე-

თებს ცნობები მიამოწეს. საქმეშია მაშკინის ორი განცხადება. მანუელ ბაგრატიანის განცხადებაში იგი მიუთითებს, რომ რესპონდენტები ეკუთვნის საჩხერის მცხოვრებს, სოფ. ჩიხის სკოლის მასწავლებელს, კოლეცკი რეგისტრატორს, ყარამან ტარიელის ძე ჩხეიძეს, რომელიც მასთან მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა და მიმართავს ყველა ღონეს მისი ღირსების შელახვისათვის. მაშკინის განცხადების საფუძველზე პროკურორმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე... თუმანიშვილის და ი. ქავჭავაძის წინააღმდეგ დიფამაციისათვის! და მისცა ისინი პასუხისგებაში სასჯელთა დებულების 1039 მუხლით. მაშკინი თავის განცხადებაში მიუთითებდა, რომ აღნიშნულმა გაზეთებმა და მათმა კორესპონდენტებმა ეს გააკეთეს, რათა შეებღალათ მისი კეთილი სახელი როგორც უფროსების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე“.

ი. ქავჭავაძის და ვ. თუმანიშვილის საქმე განიხილა თბილისის ოლქის სასამართლო პალატამ 1895 წლის 19 დეკემბერს ვ. ვ. კარნოვიჩის თამაშობარობით, წევრების ტ. ტ. გლუშანოვსკის და ლ. ს. სტალინსკის, მდივნის ტერ-მარტიროსიანცის და პროკურორის ამხანაგის ე. ნ. ხლადკოვსკის შემადგენლობით. სასამართლოში მიცემულებს იცავდა ნაფიცივექილის თანამეწმე პ. მ. დოლუხანოვი. სასამართლოში მიცემულებმა ვ. თუმანიშვილმა და ი. ქავჭავაძემ წაყენებულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნეს და მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. ამ მოთხოვნას საფუძველად დაედო, მათი დამცველის პ. მ. დოლუხანოვის შეადგომლობით საქმეზე დართული მაშკინის ირგვლივ სამედიცინო ნაწილის უფროსსა და ქუთაისის გუბერნიის ექიმს შორის არსებული მიმოწერა, რომელიც მეტყველებდა მაშკინის დანაშაულებრივ ქმედებაზე.

სასამართლო პროცესში მონაწილე სახელმწიფო ბრალმდებელმა, თბილი-

1 ბევრით ორგანოებში გამაწილებელი ცნობების გაერყელებისათვის.

სის ოლქის სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგმა ხლადკოვსკიმ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოითხოვა ვ. თუმანიშვილის და ი. ქავჭავაძის დამნაშავედ ცნობა, მაგრამ სამოსამართლო პალატამ მისი მოთხოვნა არ დაემაყოფილა, სამართალში მიცემულები გამართლებულად იცნო.

სამოსამართლო პალატის სამსჯავრო სსდომის ოქმში და განაჩენში დეტალური ჩანაწერები ვ. თუმანიშვილის და ი. ქავჭავაძის განმარტებებისა და მათი დამცველის პ. მ. დოლუხანოვის სიტყვისა არ მოიპოვება, მაგრამ ნათელია, რომ დაცვას საფუძვლად დაედო საქმეზე დართული სამედიცინო ნაწილის და ქუთაისის გუბერნიის ექიმს შორის არსებული მიმოწერა და სასამართლომ ბრალდების უსაფუძვლობის გასარკვევად, ეს შტკიცება საკმარისად მიიჩნია.

დაცვის პოზიცია უფრო სრულყოფილად აღწერილია გაზეთ „ივერიას“ უკვე ნახსენებ N-ს სასამართლო მარტინეში. გაზეთში მითითებული იყო: „ბრალდებულთა დამცველმა პ. მ. დოლუხანოვმა სთქვა, რომ რაც შეეხება კორესპონდენციების პირველ ნაწილს ქალაქის თამაშობის გამო, მუშკინის სახელი არც ერთს გაზეთის კორესპონდენციაში დასახელებული არ არის და არ გვესმის თავისი თავი ამაში დამნაშავედ რად უცენია. იმ ანდაზასავით ზომ არ მოუვიდა მაგასაც, რომ ქურდის თავზე ქუდი იწვისო. რაც შეეხება ავადმყოფის მიუღებლობას, ეგ რომ სწორად ეგრე ყოფილა, ამას შემდეგი ქალაქები ამტკიცებო. წარედგინა სასამართლოს მიწერილობა ქუთაისის საექიმო გამგეობის, რომელსაც კავკასიის სამკურნალოს ნაწილის მმართველობა გაზეთში დაბეჭდილ კორესპონდენციათა გამო შეჰკითხებოდა და რომელიც პასუხს იწერებოდა, რომ მაშკინს, როგორც დამნაშავეს მძიმე ავადმყოფის

მიუღებლობისათვის სრულყოფილად დაეუპირეთო. მაგრამ საქმეზე მისი ხანგრძლივი სამსახური, უფროსის ფერშლის თანამდებობიდან უმცროსად დაენიშნეთ და დაემუქრეთ, რომ თუ კიდევ ჩაიდენს ამგვარ საქციელს, დათხოვნილ იქნება სამსახურიდანო. ეს ქალაქები ამტკიცებს, სთქვა ბატონმა დოლუხანოვმა, რომ მართლა დამნაშავე ყოფილაო და სთხოვა ბრალდებულნი გაემართლებინათ“.

აღნიშნული საქმის სამსჯავრო სსდომის ოქმში საგულისხმოა ერთი გარემოება, რომელზეც ჩვენი აზრით აუცილებელია ყურადღების გამახვილება. სამართალში მიცემულთა დაკითხვის დროს წარსული ნასამართლობის შესახებ ი. ქავჭავაძე უპასუხებს, რომ მიცემული ვიყავი სამართალში დიდიმაციის ბრალდებითო, თუმანიშვილიც ამბობს ამავე ბრალდებით ნასამართლევი ვარ რამდენიმეჯერო. ილიას პასუხი გარკვეულად ლაპარაკობს, რომ იგი თუმცა იყო მიცემული სამართალში, მაგრამ ნასამართლევი არ ყოფილა, ე. ი. სასამართლოს გაუმართლებია. შესაძლებელია აქ ნაგულისხმევია ილიას პასუხისგებაში მიცემის ფაქტი 1886 წელს, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, მაგრამ ამავე პასუხში არ არის გამორიცხული, რომ იგი, გარდა ცნობილი ფაქტისა, კიდევ ყოფილა მიცემული პასუხისგებაში დიდიმაციისათვის და ყველა შემთხვევაში გამართლებული უნდა ყოფილიყო. თუ რამდენჯერ ყოფილა ილია პასუხისგებაში ამას შემდგომი კვლევა გვაჩვენებს, მაგრამ ერთი უდავოა, — ილია რამდენჯერაც არ წამდგარა სასამართლოს წინაშე, მის მიმართ წაყენებული ბრალდებები ყოველთვის საფუძველსმოკლებული აღმოჩნდნენ და სასამართლოს იგი ყოველთვის გამართლებულად უცენია.

შორეული ჩურჩულის ექო

1934 წელს ი. აბაშიძემ დაწერა „რუსთაველის სახე კავშირთა სახლის სვეტიცხიან დარბაზში“:

ეს იყო შოთა...

უცებ დედა და ტრინატილი,
უცებ თვალტუბი ბედნიერი აღმასის წვეთი:
კავშირთა სახლში შემოვიდა დიდი ქართული
და ტრინატილიან დაიკავა დარბაზის სვეტი.

ქერ კიდევ მაშინ ახალგაზრდა პოეტმა წარ-
მოიდგინა, შოთა რუსთაველი რვა საუკუნის
შემდეგ ხალხს ზღაპრად წარუდგაო:

სოქვა, მგოსანიო საოცრებს შოველ.
ქვეყნიდან,
მე გადავური განუწყვეტელ წვას და
უკუნეთს...
რომ სიკვდილამდე მიჯნურობის ცეცხლი
გაოდა,
სიკვდილის შემდეგ იწვებოდა რვა საუკუნე.

ეს შესანიშნავად გააზრებული ძველი ლექსი
ახალ კრებულში არ არის, მაგრამ მას დედა-ლექსის
სის მნიშვნელობა აქვს ამ წიგნისთვის. „პალესტი-
ტინა, პალესტინა!“ აგრძელებს და სრულყოფს
იმ ლექსის ჩანაფიქრს და რუსთაველის სახეს
ახალი თვალთახედვითა და ელვარებით წარმო-
გვიდგენს.

საქვეყნოდ ცნობილია, რომ რუსთაველის
ნაკვალევს ინდოეთის უსაზღვრო გზებზე ძიე-
ბამ, შემდგომ ი. აბაშიძე პალესტინაში-ჩაიყვანა
და იქ, ქართული ქვარის მონასტერში, რუსთა-
ველის სურათის წინაშე წააყენა. ასე ვთქვათ,
მეოცე საუკუნის ქართველი პოეტი თავის დიდ
წინამაზს, მეთორმეტე საუკუნის მგოსანს ეს-
ტუმრა. აღბათ, ეს შეხვედრა იყო საოცრად უტ-
ვევი, მაგრამ ღრმადიჭირიანი, შინაგანი მღვლეა-
რებით აღსავსე და ბევრის მოქმედი.

ი. აბაშიძე ემპირიულად როდი აღიკვეს მო-
ღუნეს, იგი ეძებს ზოგადს კონკრეტულში და
ცდილობს მრავალფერად გადმოგვეცნოს. მე-
ოცე საუკუნის პოეტი დგას იქ, სადაც მეთორ-
მეტე საუკუნის მგოსნის ღვთა ჩამოჩენი მი-
წვდა და „შორს, სულ შორს, მაგრამ ახლოს,
სულ ახლოს“ ესმის მასი ხმა დიდ ტაძარში წი-
ნანდებურად შენახული. ეს შინაგანი მოჩვე-
ნება კი არა, პოეტური ხილვაა—უღარგნად ცო-
ცხალი, ღიქრივით ჩემი და ღრმა, ლოკეასავით
მართალი და წმინდა, შოთას ხმა თითქოს დრო-
ვამის სივარამ შემოგვიანება, როგორც შორეუ-
ლი ზღვის შეუწყვეტელი ხმური.

შვიდი საუკუნეა ქართველი ხალხი რუსთა-
ველის ნაკვალევს და მის სურათს ეძებს, ეძებს
მის ძეგლებსა და ხატს და, აი, ი. აბაშიძე დგას
სულმანათი შოთას საგანგებთან:

სადაც არ შოველ,
სადაც არ წიველ,
მე ნატვრა ერთი
დამდევა მწვავე,
ერთ თოქმელ სიზმარს
ვეწერი და ეხვედი,
ერთ ფქმელ სურათს,
ექმნიდი და გშლიდი, —
მე შენს თეთრ აჩრდილს
კვალდაკვალ ვდევდი,
მესმოდა შენი
ღვჯის ხმა მშვიდი.
შენ აქ ხარ, აქ ხარ...
დსარულდა კვალი,
შვობელი მიწის
ეს შედო ვალი:
აქ შენი მშვიდი
ნაბიჯი შეწვდა,
აქ დაწვდა ცრემლი,
ხმელეთს რომ რეცხდა,
ვდგავარ შენს სახლთან,
შენს ჩამქრალ ცეცხლთან,
წუხილი მესხთა,
ძახილი მესხთა.

ირაკლი აბაშიძე. პალესტინა, პალესტინა...
„რუსთაველის ნაკვალევზე“. გამომცემლობა
„ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი, 1963.



წიგნის შეიღო ლექსი რუსთაველის აღსარება-მონოლოგია. ამ ლექსთა ინტონაცია ისე ღინჯია, როგორც გულითადი საუბარი ბრძენი მოხეტისა, ცხოვრების ვარდკელაში გზა რომ გუფელია და ბევრი რამ იცის. ამით ჩვენს თვალწინ შედით ცოცხლებმა უკანასკნელ ლოცვად მღვარი რუსთაველი.

ამ მონოლოგებში ამაოდ დაეწევათ ძებნას კაცთა ცხოვრების ყოფით დეტალებს, მკითხველის წინაშე დგას ფილოსოფიის თვალთ სამყაროს მჭერეტელი ადამიანი. ამ ადამიანს ახლა ბერის კაბა აცვია, მაგრამ იგი ღვთის მონა-მორჩილი ვანდევლია, რილია, ბედსმერტყეველი და დღვანაბეზელი, ეს არის კაცო-შემოქმედი, რომელიც სიკვდილს ედევნება, ედევნება და ამარცხებს კიდევ. მას სწამს და სჯერა სამშობლოს მარადიული სიცოცხლე და სამშობლოს სიკოცხლეში თავისი უცვლადება. შოთას არსებებაში ამირანის ბოშოქარი, პროტესტანტული სული დგას. ისიც ამირანით ებრძვის ღმერთს, მაგრამ ზეღთ მახვილი კი არ უპყრია, არამედ უფრო ძლიერი იარაღი — იგი შეუფეა გონიერებისა. შოთა აზრის ამირანია ქედუხრელი. მშვიდი გალობით ეკამათება ღმერთს, ბრძალ ვერ დაძიმონებო:

მე ჩემს გონებას,
ცნობას ვთვლიდი
ჩემ დიდ საუნჯედ,
რადგან არსთაგან
მე მებოძა
ეს საბოძველი, —
შენ მთხოვედი თაყვანს,
მხოლოდ თაყვანს,
თაყვანს ვანუსყელს,
მე მხოლოდ განსჯის,
მხოლოდ განსჯის
ვიყვებ მლოცველი.

მართლაც, შოთას შეიდივე აღსარება ეს არის ფიქრთა კიდილი, განსჯა ყოველივე ამისა, რაც ადამიანს ცხოვრების გზაზე უკან დარჩა და რაც წინ უდევს. ეს არის დაუცხრომელი კაცის სულიერი მრწამსის მომზადება ღაღადისი, შემოქმედის თავისუფლების პიზნი, სამშობლოს სიყვარულის გულწრფელი საგალობელი:

სხვა რამ არ მწამდა
სამშობლოზე წმიდათა წმიდა, —
შემინდე, ღმერთო,
მამულის წინ ყოველის დათმობა:
მნათობა შენი
საქართველოს მწამდა მნათობად,
თოვდა თუ წვიმდა,
მამულისთვის თოვდა და წვიმდა.
ო, პალესტინავ.

პალესტინავი
ყოველის მომცველის,
ყოველის მფლობელის
მწამდა შენის
სიტყვის, ცხოვლისა,
მაგრამ უარეს, უწინარეს,
უმაღ ყოველისა,
მე სამშობლოსთვის,
სამშობლოსთვის
ვიყვებ მლოცველი.

იქვე დასძენს იგი, რომ ადამიანი უცვლადებას მამულს გარეთ ვერ ჰკოვებს და მეც ჩემი ნიჭი, გული, სუნთქვა და კაცობა საქართველოს საკურობეველთან დავდო. პალესტინაშიც იმითმ მოვედი, რომ ჩემი მიწა შემოგავედროთ.

რუსთაველი გულმხურვალედ ეწრჩეულება თამარს, ჩამავალ მზეს: მე იქ ვავთავად, სადაც ჩაქრა შენი ნათელი, შენს გარდასახვას ნიჭიც გააყუა ჩემი ტრფილისო. და იქვე იგი სიყვარულის ყოველის შემძლეობას აღიდებს:

თუ ცოცხალ ვიყავ,
თუ რამ ძალი მწამდა მოწყალის,
თუ მწამდა ლხინი,
მწამდა ცრემლი
ნიაღვარული, —
მე სიყვარულით,
სიყვარულით
ვიყვებ ცოცხალი,
ჩემს სუნთქვას ერქვა სიყვარული,
გულს — სიყვარული.

შოთას სიყვარული ღმერთად უნანს, მაგრამ ამ სიყვარულს თავისი საზე აქვს, იგი არ არის განყენებული რამ. თუ მთელ წიგნს ერთ გულისთქმად მივიჩნევთ (და ეს ასეც არის), სტრიქონებს შუა დაიჭერთ იმ აზრს, რომ რუსთაველს სწამდა ყველა ღმერთზე უფრო დიდი ღმერთი. სამშობლო იყო მისი უზენაესი განცება, შთაგონება და სიყვარული. როცა თამარსაც ღმერთად რაცხდა; ამ ღმერთში საქართველოს ხატსა ხედავდა, სამშობლო იყო შოთას სათაყვანებელი თამარიცა და ღმერთიც. ეს არის საოცარი ხილვა პოეტის უსაზღვრო სულითა. ეს საზი რამ — ღმერთი, თამარი და სამშობლო, რუსთაველის სულში ერთ დიდ სინათლედ არის ქცეული.

ი. აბაშიძის ამ ახალი წიგნის ვიდეო სტრიქონი ისე მდიდარია აზრით და გრძნობით, ეს ლექსები შეიძლება მხოლოდ სვენება-სვენებით იკითხოთ, ჩაკვირებებით, რათა სტრიქონთა შუა დატოვებული ფხილავი ფიქრ-სათქმელიც შევიკრძნოთ და დავინახოთ. ამ ლექსთა ხმაშაღლი კობჯავი არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება ყვირილი მლოცველი ხალხით საყვ დიდ ტამარში, როცა შემოგარენს იღუმელი გალობის ხმა ეფინება. მთელი წიგნი ფიქრთა საგალობელია.



ბელა. ამ გალობაში კი შესმატებილებულია ახრი და გრძობა, წითლისფერის ფილოსოფიური და მხატვრული აქტმა. მართალია, ზოგჯერ გონება სჭარბობს გრძობას, მაგრამ აქ ეს არის შემთავებითი ამბავი: გრძობათა მდინარეს ბრძენი მოხუცი თოქის განცემბ უკეთესს. ჭებირებს, რომ არ მოჭარბდეს და კელაპოტიდან არ გაღმოიფდეს, სხვა უფრო მნიშვნელოვანი სათქმელი არ წაიღოს. ყოველი მონალოგი მშვიდია, მაგრამ ამ სიმშვიდეში სთელესი თავდაფრეებული შმაგი სიყვარული, ვნებათა დიდი ცეცხლი და გრძობათა ზღვა. ლექსთა შინაგანი ექსპრესია და სინათლე გვიჩვენებს გარდასული პოეტის სულის იღვშალ კენჭულებს, შიგ ღრმად გვახედებს და იმ სულის დიდი ცეცხლით ჩვენც გვითბობს სულს და დიქრს. რაც ვფარის შინასტერში პოეტს უგრძენია და განუცდია, ახლა ჩვენც განვიცდით და მისი გრძობების მოზიარენი ვხდებით. ეს იმიტომ, რომ პოეტის განწყობილება არ არის მოგონილი, იგი მისი ცხოვრების ბიოგრაფიული ნაწილია, უშუალო შთაბეჭდილების შედეგია, მხატვრულად მართალია და ჩვენს სულშიც ასევე უშუალოდ გაღმოდის. სიტყვათა თავისებური პარმონია, მომზადლეი მუსიკა, საიდუმლოთა ვანდობის ჩერჩულს რომ გვაგონებს, ჩვენს სულშიც იწვევს იღვშალ გალობას, ჩემ და ნახ გალობას და სწორედ ეს არის ასე რომ გვატკბობს და გვიხიდავს. დიდებულთა გალობით ჩერჩულს. თანამედროვე ადამიანის ტიპილივით განვიცდით შორათში მყოფი კაცის გულის ტიპილით და სულის უხშირ და ამავე დროს თავზარდამცემ კვილს... ლტილავს დიდი სიცოცხლისაყენ. ამ სულის კვილში არის სეედის გრიგალიც, მაგრამ ამ გრიგალში მარტო ცრემლი და ეავბა როდია, აქ უფრო მეტად სიკვილი-სიცოცხლის მარადიული ბრძოლის ყვიინა და გონების უკვდავების სიმღერა გვესმის, იმედის შუქი ანათებს სეედის ცრემლს. ეს რომ ასე არ იყოს, შოთას მიმტანარებულ ჩერჩულს განუწყვეტელი ჭეპაქუხილის სიბლიერე არ ექნებოდა. ეამთა სედა მალე ჩაახუმებდა, საუკუნეთა მთებში ექოდ ვერ გამრავლდებოდა, ხანგრძლივი დროის ბედუქელმართ, ოღრო-ზილორ გზებზე ვერ გაღმოივლიდა და ჩვენამდე პირველოქმულის კვილსმოვანებით ვერ მოადწევდა აქედ უადრესად ზუსტი და ჭეშმარიტია შემოქმედის სულის სურათი, რეალისტი მხატვრის თვლით დახატული.

ო. აბაშიძის ახალი წიგნი მდიდარი და უხვია პოეტური განცდით. აქ სწორად ვგვხვდებამ არტავლი სიტყვა, მაგრამ ის ყურს სულაც არ გვიქრის, რადგან ორგანულად ერწყმის ყოველ სტრიქონს და უფრო ზუსტად გაღმოგვიცემს ლექსის დედაბზრს, წიგნს აძლევს დროის კოლორიტს და ბუნებრივი ელფერით ამკობს.

კრებულის ყველა ლექსში ჩაღვრილია ქარ-

თელი სიტყვის ღონე, მიძიებული პოეტის სულის თრთოლვა და ჭაბუკური სიტყვის სიკვამლე. სხვა კატამონიან მანც გაღმორჩევა: იგი ყველაზე უფრო დიდი ექსპრესიით და მულეზარებით არის დაწერილი, აქ შემოქმედის ფერწერა უფრო ფერღალი, გარეგნულად უბრალო და შინაგანად დიდებულია. ეს არის ქებათა-ქება, მძლავრი სიმღერა, ხმატკბილი საგალობელი, დედაენისა. შოთა თავის უკვდავებს საქართველოს მარადიულ სიცოცხლეში ხედავს, ხოლო საქართველოს უკვდავების შთავარ ნიშანსეკვად დედაენა შინაინა. ის არის მისთვის მწარე ლხინი, ტკბილი სეედა, აყენის პიმნი და სამარის ცრემლი... სამარის პირთან მდგარი უკვდავების დარად ვერც დედაენის ელვია:

დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
 მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
 დადოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
 დააყდეს ახრი ნაპოვნის პოენას,
 ყოველ წერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
 ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას დეხი,
 მხოლოდ შენ, უკნობს,

შენ, ხატად ქვეულს,
 რა დრო, რა დასცემს
 შენს უკვდავ სხეულს?

ო. ენაე ჩემო,
 დედიო ვინც,
 შენ, ჩემო ნიჭო,
 სრბოლავ და ფრენავ,
 შენ, ჩვენი სუნთქვის დიდი აღამო,
 შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
 შენ, კირო ჩვენთა ქებათა და კირთა,
 შენ ვროს,
 შენ ვერ ვთმობ
 სამარის პირთან.

ამ წიგნზე მალაღმარდონად ღაბარაკი არ შეიბღება, მისი ყველა ლექსი მალაღმარდონენისგან დაზღვეულია და პატეთოტერი შეძახლი მათ ჩერჩულში დიბონანს შეიჭრანდა, ჭეშმარიტი შემოქმედის მშვიდ აღსარებას მყუდროებას დაურღვევდა, სამყაროს იღვშალეუბათა ჭეჭრებით გაბთულ ადამიანის ნეტარ ფაქრს გავწავდებდა.

მეშვიდე აღსარების ბოლოს შოთა კვლავ თავისი მატულისა და ენის სეებებზე ფიქრობს:

მხოლოდ მას მარაღს
 დმერთს ევეულებ
 სამარის კარად
 ჩვენს მართალ შაბულს,
 მის კვლფთა დგმას,
 მის წყალითა დენას;
 ეს ლოცვა ჩემი
 ათის წლებში

ფარეიდეს ფარად
მის უკვდავ მთაბარს,
უკვდავ მაგას,
მის უკვდავ ენას.

ეს ლოცვა სულხან-საბას სიტყვებს გვაგონებს: ჩვენს უკან, დემეტრიან ქნას, ქართველთა ქვეყანაში უცხოელებს შევიქნასთ. აქ ერის მოჭირნახელე ორი ადამიანის სახე ერწყმის ერთმანეთს. უფრო მეტიც, ყველა ქართველი შემოქმედის ზოგად სახედ წარმოგვიდგება, ასე გვევლინა, რომ შოთა შაჰამაშაღლთა მრავალ სახეში მეთოდება. ვინა ყველა დიდი ადამიანის უპირველესი საზრუნავი თავისი ერის სიცოცხლე არ იყო?

ი. აბაშიძის ახალი წიგნის უდას პალესტინიდან ჩამოტანილი შოთას სურათი ამწვევებს, თვითონ წიგნში კი პოეტმა რუსთაველის სულიერი ცხოვრების შარათი სურათი დაევიხატა, დეკლამაცია ცოდვამდლიან საწუთროზე ჩაფიქრებული ფილოსოფოსი, სამშობლოს თავგანწირულად მოყვარული მამულიშვილი და სიყვარულის მალმურთებული ადამიანი. წინ დაგვიდგა

ქვეშაბიტი შემოქმედის სული, მომთაყმენებელი ქანდაკება, ოსტატურად გამოყვანილი ქვეყანა წიგნით მეოცე საუკუნის პოეტმა სული ჩაუდგა შეიდი საუკუნის წინათ დახატულ სურათს. იგი ჩვენს თვალწინ გააცოცხლა თავისი კრიოთა და ლბინით, განცლითა და ფიქრით, აზროთა და გრძობით. ყველაფერ ამას ნამდვილი ხელოვნება ჰქვია, სულთაწმინდობის ხელოვნება.

წიგნის დასაწყისში ი. აბაშიძე მოკრძალებით მიმართავს შოთას:

„გულით მწყურთა შენს შორეულ შთამომავალს წარმოედგინა, რას განიცდიდი და ფიქრობდი შენ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში.“

მაშ, ეს „ხმები“ ისე ჩაუთვალე მას, თითქოს მართლაც გავგონოს იგი პალესტინის ქართულ ვეარის მონასტერში, შენს უკანასკნელ თავშესაფარში, შენი დაქარგვიდან შეიდასი წლის შემდეგ.“

ჩვენ მკაფიოდ ვავიგონებ რუსთაველის უკანასკნელი ჩუჩბული და მისი სულიანქმა გულში შევიჩახებთ. ეს ჩუჩბული მარად იცოცხლებს.

აბაშიძე ვეფხვე

„რუსული ლიტერატურის ისტორიის“. სამტომეული

„რუსული ლიტერატურის ისტორიის“ მესამე ტომის გამოსვლით („ცოდნა“, 1963) დამთავრდა რუსული ლიტერატურის ისტორიის სამტომეულის პირველი ვრცელი მიმოხილვითი, სისტემატიზებული კერძის გამოცემა ქართულ ენაზე.

ყველა ტომი ერთად აღებული გვაძლევს რუსული ლიტერატურის განვითარების ისტორიის ნათელ სურათს — უძველესი ბინიდან დღემდე. წიგნში თანმიმდევრულადაა დალაგებული რუსული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პერიოდები.

პირველი ტომი („ცოდნა“, 1960) შედგენილია პოეტ. ვ. შადურისა და დოქ. ვ. ტალიაშვილის მიერ. წიგნის ავტორები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ა. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსულა ლიტერატურის კათედრის წევრები: თ. ბუჩინძე, ვ. ნათაძე, ვ. ტალიაშვილი და პ. მარკოზიანი. პ. ლენდშეინერა, ვ. შადური, ე. ჩარკვიანი და ა. ხუციშვილი.

პირველი წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია რუსული ხალხური შემოქმედების მოკლე მიმოხილვა, მეორეში — ძველი რუსული ლიტერატურის ისტორია და ბოლოს, — მესამე ნაწილში XVII საუკუნე. ლიტერატურა. აღსანიშნავია ოს გაერმო-

ვბა, რომ ასეთივე ავბულებიასა რუსეთში გამოცემული ამ ტომის ზოგიერთი სახელმძღვანელო.

მეორე ტომიც („ცოდნა“, 1962) შედგენილია ვ. შადურისა და ვ. ტალიაშვილის მიერ. ავტორთა კოლექტივს მიემატა ოთ. ბუჩინძე და ლ. ხუციშვილი. შესავალ ნაწილთან ერთად, წიგნში მიმოხილულია XIX საუკუნის პირველი მეოთხედისა და 40-იანი წლების ლიტერატურული მოძრაობანი, „ნატურალური სკოლა“, 50-60-იანი, წლების ლიტერატურული მოძრაობა, 70-90-იანი წლების ლიტერატურული მოძრაობა და XIX საუკუნის ცალკეულ მწერლებზე მონოგრაფიული ნარკვევები. წიგნის მთელი ავბულები და კომპოზიცია უკანასკნელს ლიტერატურათმცოდნეობის მოთხოვნებზე, რამდენადაც მასში ქრონოლოგიური სიხუსტითაა გადმოცემული ვრცელი და საინტერესო ეტაპი რუსეთის ლიტერატურული ცხოვრებისა.

უკანასკნელი მესამე ტომიც („ცოდნა“, 1963) იმავე პირთა მიერაა შედგენილი. ზემოთ დასახელებულ ავტორებთან ერთად მესამე წიგნის შედგენაში მონაწილეობდნენ ვ. ვიკოლოვი, ვ. პარლაძე, ოთ. ლორთქიფანიძე და დ. თუხაჩევი.

მესამე ტომი ორი ნაწილისაგან შედგება. თვითველ ნაწილს წინ უძღვის შესავალი. პირველი ნაწილი — „XX საუკუნე“ — შედგება შემდეგი თავებისაგან: ლიტერატურა ბერძენულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადე-

ბის პერიოდში, XX საუკუნის კრიტიკული რეალობი, დეკადენტურ-სამბოლისტური მიმდინარეობანი, რეაქციის წლების ლიტერატურა, სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდის ლიტერატურა. მეორე ნაწილი — „რუსული საბჭოთა ლიტერატურა“ შეიცავს შემდეგ თავებს: დიდი ოტობრბის სოციალისტური რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პერიოდის ლიტერატურა, ოციანი და ოცდაათიანი წლების ლიტერატურა, დიდი სამამულო ომის და ომის შემდგომი პერიოდის ლიტერატურა. ამის გარდა, ორივე ნაწილში გვხვდება მონოგრაფიები ნარკვევები ცალკეული მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

საკითხთა მრავალფეროვნებით, სიღრმითა და სისათულოთ, როგორც ვხედავთ, შესაძებ ტომი ყველაზე უფრო საინტერესო წიგნი.

სამტოველში უპირველეს ყოვლისა, ვერაღლებას ანსახურებს ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს რუსული ლიტერატურის ისტორიის კერძის აგებას: ავტორებს მკაცრად შეუტყვევიათ ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები და მკაცრი ჭრანო-ოგოერი თანმიმდევრობით დაუღაგებიათ ისინი. სახელმძღვანელოში დიდი ყურადღება ეთმობა ძირითად ლიტერატურულ მიმდინარეობათა და მიმართულებათა დახასიათებას და, ბოლოს, მკაცრი და საინტერესოდა მოცემული მოწინავე მწერლების შემოქმედებასა და ცხოვრების ძირითადი მომენტების, სერათოდ, წიგნში მასალა განაწილებულია გვეგნად, დაყოფილია ნაწილებად და თავებად, სახელმძღვანელოს ავტორებს, მთელი რუსული ლიტერატურის განვითარების ისტორიასთან დაკავშირებით, დღიდან ჩასახვია ჩვენს დრომდე, მკაცრად დაუტყვევს ის გვეგა, რომელიც, მიღებულია საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში.

წიგნი განკუთვნილია ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ქართული განყოფილების სტუდენტებისათვის, ე. ა. უმთავრესად, ქართული ლიტერატურის მომავალი სპეციალისტებისათვის. ამიტომაც სხვა სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით ამ სამტოველში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას. ჩაც განსაკუთრებით გაეცხოველა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. უთოდ მოსაწონია, რომ ვრიხოვდოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, უსპენსკისა და სხვა რუს მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება განხილულია უშუალოდ საქართველოსთან კავშირში. ამ მონაკვეთში მოთხრობილია რუსი მწერლების საქართველოში ყოფნაზე. მათ ურთიერთობაზე ქართველ მოლაშქებთან, რა ადგილი უჭირავს ქართულ თემატიკას, მათ შემოქმედებაში, მათი ნაწარმოებების გავლენის საკითხებზე, მათი ნაწარმოებების ქართულად თარგმნაზე და სხვ. ეს ვარემოება კი განსაკუთ-

რებულ ორიგინალურ ხასიათს იქონიებს წიგნი და მეტად დამაინტერესებელია საქართველოს აღნიშნული თავისებურება სამტოველის მთავარი ღირსებაა. აღსანიშნავია ის ვარემოებაც, რომ სახელმძღვანელო დაწერილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის შესაბამისი პროგრამის მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს რუსული ლიტერატურის სწავლების მეთოდისა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში. მართალია, მასალა წიგნში საკმარისად შეყვეცილი საბოლოო მოცემული, მაგრამ ვაგეთვალისწინებთ რა ავტორთა კოლექტუს ამა თუ იმ საკითხში მკითხველთა დაინტერესება, ყოველი თავისათვის დაერთავს სპეციალური ლიტერატურის სია. ლიტერატურა მიითვებულა რუსულ და ქართულ ენებზე. ნაწარმოებთა სათაურებიც ორივე ენაზეა შეტანილი წიგნში და ვაგეთვალისწინებულა ქართულ ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებული და მიღებული ტერმინოლოგია.

ცალკე გამოყოფილი ნაწილში წარმოდგენილი მასალები, რომლებიც შეეხება რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას, რუსულ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან დღემდე დავროვლი მასალა ერთნაირი არაა, რადგან ორი მომე ხალხის ლიტერატურული ურთიერთობების ყველა მომენტი ერთნაირი სისრულით არაა შესწავლილი. წიგნში მოცემული საინტერესო მასალები ამ პრობლემის სხვადასხვა მხარეს ეხებოან: გადმოცემულია რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობის წყაროების მოკლე მიმოხილვა (I ტ.), წიგნში ლახარაკია ცალკეული რუსი მწერლების მნიშვნელობაზე საქართველოსთვის (ბრძოლა შ. კარაშხინის ირგვლივ და საქართველოში სენტიმენტალიზმის თაობაზე, რუსეთის სამოციანელებისა და ქართველი თერგდალეულების შემოქმედებაზე, ხალხისური მიმართულების რუს და ქართველ მწერლებზე და სხვ.) რუსი მწერლების პირადი და შემოქმედებითი ურთიერთობანი საქართველოსთან (ცხოვრება და შემოქმედება ა. გრიბოედოვის, დეკაბრისტული ლიტერატურა, მ. გორკის შემოქმედება, ვ. შაიკოვსკი და მრავალი სხვა). წიგნში მოტანილია რუსი მწერლების გამოთქვამები ჩვენს ქვეყანაზე — (ა. რაიონიევი, გ. უსპენსკი, ვ. შაიკოვსკი და სხვ.). ყურადღება ეთმობა იმ ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია ქართულ თემებზე („თქმულება ქართველი მეფის ასულ დინარაზე“; „ქართული ლამე“, — ა. გრიბოედოვის, შაიკოვსკის ლექსები საქართველოზე და ა. შ.).

სახელმძღვანელოში შეყამებულია რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ არსებული მასალა უძველესი პერიოდიდან ჩვენს დრომდე და ყველაფერი ეს მოცემულია რუსული ლიტერატურის ისტორიის ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში.



უნდა აღინიშნოს სარტყენიო ნაშრომის ერთი დიდი ღირსებაჲ, იგი დგამს დანამდროვე მეცნიერების მოთხოვნისა და ვანეთაბების დონეზე. მასში უხვდაა გამოყენებული რუსული და ქართული წყაროები და მთელი ნაშრომი დაწერილია მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით. მოწონებას იმსახურებს ისიც, რომ ავტორები ნაწარმოებთა მეცნიერულ ანალიზს იძლევიან პოპულარული ენით.

ნაწარმოებების შინაარსის მითხრობას შედარებით მეტი ადგილი ეთმობა პირველ ტომში. შემდეგ და შემდეგ, უფრო ნაკლები ადგილი აქვს მიკეთებული შინაარსის მოყოლას, განიხილვის შემთხვევა, ამ წიგნებისა და ნაწარმოებების მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ არაა თარგმნილი ქართულ ენაზე.

სავლელსშია ის გარემოება, რომ მიუხედავად ავტორთა კოლექტივის სიმრავლისა, რედაქტორებმა შესძლეს სახელმძღვანელო ერთიანი სტილისათვის დამორჩილებიან, მაგრამ ამივე დროს შეენარჩუნებიათ ავტორთა ინდივიდუალობა. წიგნის თავები დაწერილია სხვადასხვა სიძლიერით, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებულ კარგადაა დაწერილი წეროლები, რომლებიც შევსებიათ: თქმულებას ქართველი მეფის ასულ დინარაზე (I ტომი); დეკაბრისტული ლიტერატურა, ნარკვევი კრილოვზე, სალტაიო-შენდრინზე, ჭეხოვზე (II ტ) შაიკოვსკი და სხ. (III ტ).

შემიძლება ავტორებისათვის მივუყვას შენიშვნა, რომ წიგნში გაზრდილიყო და უფრო ფართოდ გაშუქებულიყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია, კერძოდ პირველ ტომში და განსაკუთრებით კი მ. შოლოხოვის დანამდროვეთ. აქ შეიძლება იმეორებოდეს, რადგან მ. შოლოხოვის ლოგანეთი ნაწარმოებები თარგმნილი და გამოცემულია ქართულ ენაზე. ამ მოსაყვეთების გაზრდა შეიძლება თუნდაც ზოგიერთი სხვა მასალის შემცირების ხარჯზე, რაკორიკაა მონაკვეთი სუმაოკოვზე, მეორე ტომში — XIX საუკუნის პირველი ნახევარი შედარებით ფართოდაა მიმოხილული.

ასევე სასურველია, ლიტერატურული ურთიერთობის ამბები, მაინცა და მაინც ბოლოში კი არ მოეკეტს, არამედ ჩვეულებრივ მწველობაში გაიშალოს.

„რუსული ლიტერატურის ისტორიის“ შემქმნელმა ავტორთა კოლექტივმა შეტოდ სახასტისმსგებლო და მნიშვნელოვან საქმეს გაართვა თავი და დაინტერესებულ მკითხველს მოაწოდა რუსული ლიტერატურის ისტორიის პირველი სისტემატიზებული კურსი. ის პრინციპირაზე იფიქრებოდა ქართულად გამოსული რუსული ლიტერატურის ისტორია, განიარაღებულია და მოწონებულია სხვა მოძვე რუსულბილებს მიერ.

„რუსული ლიტერატურის ისტორიის“ სამტომეულის გამოცემათ ფრად მნიშვნელოვანი საქმე გაეთდა, იგი დაეხმარება არა მარტო მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას, არამედ მკითხველთა ფართო წრეებს, რომლებიც დაინტერესებული არიან დიდი რუსი ხალხის შესანიშნავი მწერლობითა და ლიტერატურით.

ნოდარ გუბანიძე

„ცა ქუდად, მიწა ქალამნად“

„ცა ქუდად, მიწა ქალამნად“ შოთა ნიშნიანძის ლექსების მეხუთე წიგნია. ისე როგორც აღრე გამოსულ ლექსების კრებულებში: „მე და შენი“, „კადე-თესე“, „ახალგაზრდული“, „ზეთისხილის რტა“, ამ კრებულის მიხედვითაც შოთა ნიშნიანძე თავისებური ხილვის პოეტად წარმოვედგება და არც ამ შემთხვევაში ღლატობს თავის მთავარ მხატვრულ კონცეფციას: იგი პოეტური შემეცნების საგნად ხდის და წარმოსახავს საგნებრივ სინამდვილეს, მისი შინაგანი, სიღრმისეული მრავალმხრივობით. მისთვის უცხოა ე. წ. პოეტური ნატურალიზმი, ზედაპირული აღწერილობის მანერა; პოეტი ისწრაფვის უმნიშვნელო რამ აქციოს პოეზიად, კეშმირიტ მხატვრულ ფაქტად.

შოთა ნიშნიანძე თავისებურად აღიქვამს ფერებს, ფორმებსა და ცოცხალი განჭვრეტადან

შემქმნეველ მიდის განზოგადებამდე; არ მითმართავს თვითმიზნურ ძიებას სიახლისაკენ.

ამ თვალსაზრდით განვიხილოთ შ. ნიშნიანძის შესანიშნავი ლექსი „ქართული სიმფონია“. ლექსს წინ უძღვის ტ. ტაბიძისა და ი. აბაშიძის სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული პოეტური სტრიქონები. შოთა ნიშნიანძისთვის სიმეორე პირველ ყოვლისა, ყველზე მჭირფისისა და სასტუკარის სიმონიში. მცირეში დიადის, ვრანდიოზულის განჭვრეტა პოეტური პიპერბოლის საპირისპირო ზერხია და ამას იგი ოსტატურად იყენებს. მეორე თავისებურება კი ისაა, რომ ლექსში ხალხურ მოტივს კარგად ესადაფება სულიერი ენერგია, პატრიოტული გზნება ნიჭიერი შემოქმედისა.

— რომ აქცია ასე საბაყო და ზღაპრულ მხარედ ზენენ? ქვეყანა? — „ზეცის მადლმა, მიწის მადლმა, გლხიყაყის ბაჩაქამ“. და იქვე კვლავ ეთხება: საიდან გვაქვს ეს სიტურფე, გამძლეობა, ზეგ-ბარაქა?

შოთა ნიშნიანძე — „ცა ქუდად, მიწა ქალამნად“, „ნაკადული“, 1902.

„ღმართ, ქვეყნის განენის დღეს
ასე, ერთი-ორი გზობა.
ცაში ღმერთმა სავარდევლო
თავის მტკით მოგვიზობა.

მიტომ არი კერთხეული
ერთი მუჭა შიწა-წყალი
მიტომ არის უღღუერი
მტერი ჩვენი — ნარწყამხარი

ვეცვა ქაქვის პერანგებით,
ვენახებით უხეი სიტყვა,
შენ ჭუხდი და ნათელივით
ღაიზადე მუხილიდან.

ასე იყო დასაბამიდან... მაგრამ ახალ დროში
საქართველო „დახატა ხნულებში და ხარაჩომ,
ვარსკვლავმა და ალამმა, ნამგალმა და ჩაქნმა,
მზე, ყურბენი, თავთავი ერთად რომ მოაქუნა“
ამით იქცა საქართველო შეებისა და ლენის
მხარედ, მარადიული ვახუშტელის ქვეყნად, ხო-
ლო პოეტის სათქმელი უბრალო ლექსად კი არა,
მისი ღიღების სიმღერად და ლირიკულ სიმ-
ფონიად.

— მიმიღია საქართველო ანდერძად და ფი-
ციად — ეს შალაი იღვა მსჭვალავს პოეტის
ყველა ლექსს, სიმღერას და ზალადს, იგი იჭვე-
ნდებარებს ყოველგვარ ესთეტიკურ გრძნობას
და აზრს, რითაც ევზომ მდიდარი და მრავალ-
წახნავიანია ახალგაზრდა შემოქმედის სულიე-
რი ბიოგრაფია.

შოთა ნიშნინიძე რამდენიმე გულითად ლექსს
თუ ზალადს მიუძღვნის ახალ თაობას, რწმენით
ღაბარაობს მის ნათელ მერმისზე და ესმის,
რომ ახლა ქვეშაობილად „ღროა ახალგაზრდული
ყოფინისა და შერევის“.

ზალდური ტიპის ლექსი „ორი ბიჭის ზალა-
და“ ერთობ სიმბოლურია და გვიჩვენებს, რომ
აწმყო ისევე ვეყარება წარსულს, როგორც „ხეა-
ლინდო“ დღე დღეაინდელ დღეს ჰქილია“.

ახალგაზრდა, რომელიც ამ ლექსს წაუკობავს,
კარგად იგრძნობს მძიმე განსაღდელს, იმ საში-
ნელებას და სატყეარს, რაც უშუალოდ გარე-
ცლია ომისდრთაინდელ თაობას, მაგრამ დაუძღე-
დაც თამაზად, შემართებით და ურომლისო-
დაც არ იქნებოდა დღეაინდელი ბედნიერება და
თავისუფლება და ეს აწმყოც შოელის შიკან
კიდევ მერტ გასხივონებას და სავირო საქმეებს,
მშვიდობის დამკვიდრებას, ბატრვანად გამოთ-
ქვამს პოეტი ამ ლოგაგურ ქვეშაობიტებს:

როგორც რტობებს ნაყოფი,
როგორც ზავებს სიმღერა,
როგორც ვახანდულის ცას
ცისარტველა შვალდფერა,
როგორც ხეაღინდელი დღე
დღეაინდელ დღეს ჰქილია,
მატარებლის კიბეზე
დღეს სხვა ბიჭი ჰქილია“.

იმერული ცაელის ლექსებზე ზეკრფულად იქე-
რელი სიტყვა „ზონდო, თხებუ (წიგნები)“
გამოსტევიის მსუბუქი იუმორი, ბევრია მივსე-
ბული კოლორიტული დეტალი, ამასთან შეენი-
შნავთ იმასაც, რომ ზოგჯერ აზრი და ბეიზაქუ-
რი ფონი კარგად ესიტყვება ერთმანეთს, იშვია-
თად ვიპოვიო ხუმრობით ნაკარნახევ, ალოგაგურ
სალექსო სტრიქონებს.

რა თქმა უნდა, შოთა ნიშნინიძის ყველა ლე-
ქსი თანაბრად კარგი რაღია, მაგრამ უმეტესობა
მოგაწნი მივთხველს ხიბლავს პოეტურ სახეთა
სიღამაზე, აზროვნების მეტაფორული ხასიათი
და პლასტიკურობა, გამოთქმის სისადავე და
ფრთხიანობა. მაგალითები: „ჩანს ოხულისკი —
მარმარისოს მენჯი სიმღერა“, „შეხედე, შეხედე
დამსკდარ კვირტებიდან გამოწნდა აპრილის სა-
კაბე“, „და ფრთებმოტეხილ ფარშევანგვიით
ჩაკიდებელია ტბაში ზაფხული“, „ვადამზობილა
ზოგირი არხზე და ვერ გამძღარა ამდენი წყლის
მისით“ და სხვ. სიტყვაგირი სამკაულებებს ორიგინა-
ლიობა და ელერება მის ლექსებში ბოეხას
აერთიანებს არა მხოლოდ ფერწერასთან, არა-
მედ მუსიკასთანაც. ეს უპირატესად ითქმის იმ
ლირიკულ მინიატურებზე („ხილვა“, „შორიდან
ტბა და მდინარის ტობი“, „პიტოვებული ბე-
ღეები“, „საქართველოდან შემოდგომა შეწვია
სტუმრად“, „უმარგალტო ნივარა“, „ქვეს აე-
რავს ზავი, ვით დროთა სუნთქვა“), სადაც იდე-
ურობა და მოგლენის ფერწერული წარმოსახვა
ერთ მთლიანობას ჰქმნის. სანიმუშოდ მოვიყვა-
ნით მცირე ფორმის ლექსი „ტბა“.

ტბა

ყვარლების ქოთანით
ღვეს ფანჯარაზე,
გალმა ტყეა ქრიან...
ეცემიან კაცოვით ხენი...
ჩვენშიაც ასე ჩამოვიღის
დრო ტყისმჭერლივით,
წლები ხერხივით ჰქილია მხარზე...
ტბა

კარგილი ქოთანით ღვეს ფანჯარაზე. —

ან კიდევ:

გზა ბევრია სავალი, ყველას ვერ ვადასწრო,
გზა იწყება ყოველთვის, და მოაგრდება
არასდროს...
ქარშხალში, ყინვაში თითქოს განაჩენია —
ცვივა ვარდის ფურცლები და ეკლები
რჩებთან.
ემე, ქვეყნის შემოქმედს როგორ ვაუჩენია:
ეყარება აყენი, საფლავები რჩებიან... —

ორიგინალური ვახარებით, ჩანადიქრის სიღბა-
ლით გამოირჩევა ისეთი ლექსები, როგორიცაა



„ყაფარყენი“, „ხარი“, „შოსკოვერი ბაღადა“, „ცა ქუდაღ, მიწა ქალამნად“, და სხვ. ეს ლექსები გზიბლავთ თავისი კოლორით, იმ „რადიკალით“, რაც ძნელად მოიძებნება სხვისთან და და ამგვარად ვესმის ხმა, რომელიც არ ჰგავს სხვისას, უღერს სამოდ და გამოირჩევა თავის-თავადობით.

შოთა ნიშნინიძის ლექსებში, მკერძულად დასმით გაეცნობა და ანალონი შეიქცევა პოეტის, მისი თვალსაჩინო გამაჩრევების შესაძლებლობას.

სიმონ აკველაძე

სელინჯერის რომანი ქართულ ენაზე

ჯერომ სელინჯერის რომანის „თამაში ჭვავის ყანაში“ მოქმედება გეშინდელ და დღევანდელ ამერიკაში იშლება; მისი გმირები არიან 15-16 წლის ახალგაზრდები, თითქმის ბავშვები, რომელთა ცნობიერებაში ჩვენი დროის ყველაზე ტრაგიკული და არჩევულებრივ მოვლენას — მეორე მსოფლიო ომს, პრაქტიკულად არაერთი ყვლი არ დაუტოვებია. მეორეც, ეს რომანი ახალია იმით, რომ ცხოვრებაში ახლად შექმნილი თაობის სიანდულისადმი დამოკიდებულების პრობლემა აქ სრულებით ახლებურადაა დასმული; ზოგ ისეთ კუშირბრტებს, რომლის მიგნება მეოცე საუკუნის ლიტერატურისათვის აღმოჩენა იყო, რომანისტი მღვდარედ გულისხმობს ან გვერდს უვლის და მახვილი ახალ, დღევანდელ დღესთან მჭიდროდ დაკავშირებულ პრობლემებზე გადააქვს.

რომანის სიუჟეტი უკიდურესად მარტივია და ამ მარტივ ფონზე იშლება დრამა, ფაქიზი და მარტოხელა ადამიანის დრამა, რომელიც ხელის ფაქტორით ეძებს გზას შეძლებული ნიუ-იორკის კომფორტბელურ ცნგვლებში.

ეს დრამა არაა ზოგადად ადამიანური დრამა, ე. ი. პატოსანი, მგრნობიარე კაცის დრამა, რომელიც მარტო ამ კაცს კი არ გვიხატავს, არამედ იმ გარემოსა და საზოგადოების მხილებას ემსახურება, სადაც ეს კაცი ცხოვრობს. ასეთ-ნაირად ვაგებულები ინდივიდის დრამა ძალიან მწირია თანამედროვე დასავლეთის ლიტერატურაში, მაგრამ სელინჯერისათვის ეს არაა მთავარი. მისი დრამა, პირველ რიგში, ახალგაზრდების დრამაა. მაგრამ ახალგაზრდა ამ რომანში არაა ის, რაც ამ სიტყვაში ტრადიციულად იგულისხმება. ეს არაა ლოყუბადედეა ბიჭი, რომელიც ცხოვრებას შეტრფის. ესაა მაღალი და მშელი, ჭადარაბიანი ქაბუკი და ეს ქაბარა ზოლი, რომელიც პოლდენ კოლდილდს ბავშვობიდან თანდასკოვია, მსოლიოდ ინდივიდუალური შტრბილდ კი არაა ავტორის მიერ ნაგულისხმევი, არამედ უფრო სიმბოლური აზრის

შემცველია. პოლდენი არაა არც შიამიტი და გართულელი, პირიქით, ნამდვილად მომწიფებული გონების და ფხიზელი კრიტიკული ალიოს პატრონია, და სწორედ ეს უღმობელი სიფხიზლე, ცალკეულ მომენტებში თითქმის ბავშვურ უშუალობასთან შერწყმული, კმნის იმ შინაგან დაძაბულობასა და ტრაგიზმს, რომლითაც ნაწარმოებში აღბეჭდილია. რომანის სამყარო ნამდვილად ჩვენი თანამედროვეის თვალთ, მომწიფებულო და მრავლისმანხველი კაცის თვლით დაჩაბული დასავლეთის სამყაროა, „ყველაფერი სიყალბეზეა აგებული“. ამ 17 წლის ჰაბლეტის თვალში, რომელსაც არა მარტო იმდენი გამოცდილება აქვს, რომ თავისი გარემოს ყველა წჭიბმანი მისი ნამდვილი ყალბი ფერით დიზაბოს, არამედ იმდენიც, რომ აღარაფერი უკვირდეს. ნორნი გმირის უღმობელ მახვილ თვალს არაფერი გამოეპარება: არც უსინდისო სპეკულანტები და ფილისტერები, არც შეზღუდული მსწავლეზლები და ბორბტომქმედი ჭაბუკები, არც ასუღალი ქალები და „კრეტინი“ ბიჭები, არც რესპუბლიკანური მოქალაქეები და საბარალები — ყველა ესენი წყება-წყებოდ გავლიან ჩვეს თვალწინ, რომანის გმირის გარეგნულად ცინიკურ, მაგრამ სინამდვილეში ჰენანურ ქაბუკურ აღქმაში წარმოსახულნი. თითქმის ყველა ესენი, ე. ი. თითქმის ყველა ეს ადამიანი, რომელსაც პოლდენი თავის სიცოცხლეში ხედავს, ზიზღისა და დაცინვის გამომწვევია, და ეს ჭმნის რომანის დრამა ტრაგიზმსა და სკეპსისს.

მაგრამ ვინ არის თვით ეს ყმაწვილი, რომელიც ასეთი გულდაფერებით აკრიტიკებს გარესამყაროს? ეს არის არც გმირი, ესაა ზეფულებრივი რიგითი ახალგაზრდა, ვისაც ცხოვრების მოუწყობლობისაგან გამოწვეული ჰენანური სასოწარკვეთილება მფელი სიმბრმე თავზე ატყდება. სხვა ახალგაზრდებისაგან, თათბი ტოლებსაგან, ეს ბიჭი მხოლოდ გამახვილებული შირალურთი ალილით და გრძნობების სიფაქრბით გამოირჩევა. ავტორმა არც კი სცნო საჭიროდ, რომ მისთვის ცხოვრების გზაზე რაიმე გარეგნული, სოციალური დაბტკოლებები შეეკმნა. ეს ყმაწვილი შეძლებული ოქანის შვილია.

ჯერომ სელინჯერი, „თამაში ჭვავის ყანაში“, თარგმანი ინგლისურიდან ვახტანგ ჭელიძისა, „ნაკადული“, 1964.

მამამისი, მისივე ოქმით, «ფულებს ხვეტავს», მაგრამ ეს გარეგნული უბრაველყოფა მხოლოდ ამწეავენს ბიჭის წინაშე წამოჭრილ სოციალურ პრობლემატყას.

თავის სიღრმითა და მძაფრი სოციალური გღრრადობით, ნახევარტონების სიუბტივითა და სიფაქროსით «თამაში ჭეავის ყანაში» თანამედროვე პროზის ერთ-ერთი თვალნაზინი ნაწარმოებია.

შემთხვევითი არ არის, რომ სელინჯერის ამ რომანის თარგმანს ხელი მოჰკიდა ისეთმა გამოცდილმა ლიტერატორმა, როგორც არის ვ. ჭელიძე. ამ რომანის გადმოჭრითულმა მეტად რთული და შრავალმზრბი საინტერესო ამოცანაა. ყველა იმ სირთულესთან ერთად, რაც საერთოდ მხატვრულ თარგმანს ახლავს, ამ რომანის თარგმანს კიდევ თავისი საკუთარი სპეციფიკური სიძნელეები აქვს: «თამაში ჭეავის ყანაში» უფაქიზესი ფსიქოლოგიური პროზის ნიმუშია. იგი ავებულია განწყობილებითა და ემოციითა ცვალებადობის შეუშნველ ნიუანსებზე და ამ ნიუანსებიდან ოდნავი გადახვევათ კი აეტორის ნაწაფიჭრის გადმოცემას გამოუსწორებელ ზიანს მიყავებდა. ეს რომანი არ ვკეთონის ე. წ. «ცნობიერების ნაყადის» ტიპის უსიუვეტო პროზის. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო საღია, ემზირიული და «კლინიკურ» ფსიქოანალიტიკურ ელემენტს არ შეიცავს. მაგრამ «ცნობიერების ნაყადის» ტექნიკას აეტორა სრულყოფილად ფლობს და ეს მის პალიტრას უსასრულრდ ამღიდრებს. საქმარისი იყო მხატვრული აღლოს ოდნავი დაღატი, ოდნავი პროზოიზმი და «შეივთბრულობა» რომანის რომელიმე ლირიკულ მონაკვეთში ან, პირიქით, რომანის გმირის სიტყვებში რომ ვთქვათ «გატყლარაკული» მადლფარდოვნება სადა ობრობაში, რომ ნახევარტონების ეს ფაქიზი შენობა დარღვეულიყო და მისი მაგიერ შშრალი მიმხილებლობა, უცნაური ასოციაციების კრება, ზერეულ თავგადასავლების უსისტემო ვრბული დარჩენილიყო. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ მთარგმნელმა დასძლია ეს ყველაზე დიდი ხიფათი და ორიგინალის ფაქიზი ფსიქოლოგიური ნიუანსების ზუსტი და სრული გადმოცემა შესძლო. თუ რა მეთოდით მოახერხა ეს მთარგმნელმა, ამაზე აქ ლამაზიკი ზედმეტია: ეს არის პროზის მარად ძველი და მარად ახალი ხერხეობა, ლუწისკის სიმდიდრე, ობრობის გამართული რიტმი და ლაკონირობა. ამ შხრივ თარგმანი ორიგინალის მადლმხატვრულ რეპროდუქციას წარმოადგენს.

მაგრამ მოავარი სიძნელე მთარგმნელისათვის მაინც ეს არ იყო. საქმე ისაა, რომ «თამაში ჭეავის ყანაში» თავისი ენითა და სტილით ისეთი ხასიათის ნაწარმოებია, რომლის თარგმნის ტრადიცია ქართულ ენას არა აქვს. ჩვენ

გვაქვს მდიდარი ტრადიცია შექსპირის, ბალზაის, ტოლსტოის და მათი სიკოსების თარგმნისა. კიდევაც არ გვყავს ეს ტრადიცია, მთარგმნელის განჯარგულეზაში მაინც არის ჩვენი კლასიკური პოეზიისა და პროზის მდიდარი ენა, რომელიც თავისი ხასიათით სწორედ ამ აეტორთა ენას შეფუარდებდა. ჩვენ შედარებით ადვილად შევიძლიათ ვთარგმნოთ უფრო ახალი შწერლებიც — ყვებლონდონი, გოლსტოროთი, თუნდაც ო. ბენონი ჩვენსა და ამ შწერლებს შორის ისეთი დისტანცია არსებობს, რომ მათს ენას ჩვენ დღევანდელ ენად, ჩვენი უშუალო ვარტეხის ენად აღარ ვაგნფილით. ამ ენას ნიუანსების გადმოცემადღეს ამდენ სიზუსტეს აღარ მოითხოვს. მაგრამ სულ სხვაა ისეთი თანამედროვე შწერლების თარგმნა, რომლებიც მეტყველებენ მხოლოდ დღევანდელი ენით და არა ვეშინდელით, რომლებიც თავიანთ ობზულებებში გამომხატველსაშეალებად იყენებენ თვით სიტყვათა და გამოთქმათა დღევანდელობას და არა მხოლოდ მათს ლოგიკურ მნიშვნელობას, რომლებიც უხვად ხმარობენ თანამედროვე საზოგადოების სხედასხვა ფენის — ყველაზე მეტად კი მოსწეფლე ან ე. წ. «ოქროს» ახალგაზრდობის სპეციფიკურ ეარგონს. ამ შწერლების თარგმანის გამოცდილება ქართულ ლიტერატურას არა აქვს და არც ქართულ ენას გააჩნია ამ სახის ლიტერატურაში გამოყვეების ტრადიცია. ამიტომ მთარგმნელმა არა მარტო უნდა გამოიყენოს ყველაფერი ის, რაც ქართულ ენაში არსებობს ამ ყვეფის შწერალობა ახრების გადმოსაცემად — მან, შეიძლება ითქვას, უნდა შეტანოს მთელი ახალი სფერო ქართული ლიტერატურული ენისა, მან სასაუბრო ენაში უნდა მოხსნოს უამრავი ახლებური გღრრადობის სპეციფიკური გამოთქმა და ისინი სალიტერატურო ენის ფაქტებად აქციოს. ამ თვალსაზრისით, სელინჯერის მთარგმნელის ამოცანა ენის დარგში უფრო შემოჭმედებითია, ვიდრე, ვთქვათ მთარგმნის მთარგმნელობა.

ასეთ სამატიო და, პირდაპირ უნდა ითქვას, მეტად ძნელ ამოცანას ჩვენში პირველად ხელი მოჰკიდა ვ. ჭელიძემ, რომელმაც ამ ბოლო წლებში, როგორც მთარგმნელმა, კლასიკოსებიდან თანამედროვეობაზე გადმოინაცვლა და ვერ მემინვეტი, ბოლოს ახლა სელინჯერის რომანს თარგმნა. ეს მზარე, ენობრივ მზარე, ჩვენი აზრო, სელინჯერის რომანის თარგმანშიც ყველაზე სინტერესო მზარეა. მოვიყვანთ აქ გამოყენებული მთარგმნელობითი მეთოდის რამდენიმე ილუსტრაციას:

აეტორი მოხდენილად უქმნის შესატყვისებს თავისებური ახალგაზრდული «ეარგონის» იმ გამოთქმებს, რომლებიც უხეადაა გაფართული ორიგინალში — They're also touchy as hell

—სამწიფი ფრთხილები არიან“ (გვ. 1), I started horsing around—„ბოლოს ავიღო“ (გვ. 36) I; „don't know and I don't give a damn —„ფეხზე არ მყიდიათ“. They were mie guys—„ღნერთკით ბიჭები ყვენნი“ (გვ. 9), I knew old Jane like a book—„ჯენს მიახატულია ვიცნობ“ (გვ. 12.) და მრავალი სხვა... მაგრამ მთარგმნელს არ იტყუებს ასეთ შესატყვისთა თვითმხილვით ძიება. თქვენი მოსწავლე ახალგაზრდობის თავისებურია ენა მასთან გამოყენებულა უჭვად, მაგრამ ზომიერად. მთარგმნელი ხან არბილვებს ორიგინალის „ძლიერ“ („მაგარ“) გამოთქმებს, ხან კი, პირიქით, ამკვეთებს, იმისდა მიხედვით, თუ როგორია თხრობის ემოციური კონტექსტი. მას არ გაღმობაქვს ისეთი გამოთქმები როგორცაა my lousy childhood (ა ტყუა-სიტყუთა ჩენი ტილიანი ბავშვობა). თარგმანში „ჩემი სამაგელი ბავშვობა“ (გვ. 1), სამაგიეროდ კი სავაიო კონტექსტში ხმარობს „მომეწონა რომ ტეიშს არ გიხერებდა“ (გვ. 6) ან „ამეების გახსენება გულს ამირევს“ (გვ. 4); რომლებიც ამ ადგილას ორიგინალში არაა. ასეთ თავისუფალი შემოქმედებითი დამოკიდებულებით ორიგინალის ენისადმი მთარგმნელი „ზრისა და ემოციის მიმოხარის ფაქიზ ნიუანსებსაც ინარჩუნებს და ამავე დროს თხრობის „სასაუბრობის“, მისი ხაზგასმით „ბიჭური“, „მოწყაფური“ იერის დაეცასად ახერხებს.

ერთგვარი „პოეტიზმები“ და შწივანობრივი იერის მწიფე გამოთქმები, რომელთაც მთარგმნელი ორიგინალისგან განსხვავებულად ხმარობს, თხრობის ტონს არ არღვევს. „გულზე ნაღველი შემომაწევა“ (გვ. 179), ორიგინალშია ჭარბიწილი it made me so mad sad (სიტყვა-სიტყვათ: ასე ვიფურად დამალინა), „რა თვალთმაქცია“ (გვ. 165), ორიგინალშია აგრეთ-
30 ღარტონული a little phony და მრავ-

ვალ სხვა. ამ გამოთქმებში *make me mad* თარგმან ან ისევე ვარგონს *make me mad* ვადმოცემა დაარღვევა ლირიკულ კილოს, რომელითაც რომანის ეს ადგილებია აღბეჭდილი. უფროდ მთარგმნელის ერთგვარ შემოქმედებით მიგნებად უნდა მიათვალოს, რომ ასეთ შემთხვევებში იგი ზუსტი ენობრივი შესატყვისების ძიებას არ მიჰყვება.

თარგმანის ენაში დავის შეიძლება იწვევდეს მხოლოდ ზოგი ისეთი ქართული გამოთქმის ხმარება, რომელიც, ვარა და მათი პირდაპირი მნიშვნელობისა, სხვა ასოციაციითა ტერორით მოსდევს, რომლებიც სხვა გარემოს გვაგონებს. უიღურ რომანში ასახული ვარგევა: „ამას მოგახსენებდი“ (გვ. 207), „მეტი რა ჩარა იყო“ (გვ. 229), „ის ალთას იყო, მე ბალთას“, „რიგან-პირიანად ვერ იყო საქმე“, „შენც იმის ფეხის ხმას აწყობობარ“ (გვ. 41) და სხვა ამგვარი ბუნებრივი ქართული გამოთქმებია, მაგრამ მაინც მატერიალური გამოთქმები (მათ გველა და ყოველთვის არ ხმარობს). ჩვენს წარმოდგენაში ეს გამოთქმები უკავშირდება სოფლის დაბაზისურ მტყვევებას, რომელიც ქართულ სალიტერატურო ენაში XIX ს-ის პირბამ შე-
მოიტანა.

მთარგმნელის სინტაქსი უარდურესად ლაკონურია, ეკონომიური, ბუნებრივი. ეს ერთგვარი მნიშვნელოვანი პირობაა იმისა, რომ თარგმანში, ისევე, როგორც ორიგინალში, თხრობა გულდა და ძალდაუტანებელი საუბრის შთაბეჭდილებას სტოვებს.

სელიწვერის რომანის ქართული თარგმანის გამოსვლა სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმეა. იგი ეხმარება ახალგაზრდობას უფრო ახლო გაიცნოს დღევანდელი ამერიკის ლიტერატურა და ამავე დროს ამიღერებს ჩვენი ლიტერატურის მთარგმნელობითს ტრადიციებს.

8. ნატალი

ჩვენი სახელოვანი თანამედროვე

გამომცემლობა „ნაკადული“ ბოლო ხანებში რამდენიმე კარგი სერიის დაარსება ითავა, მათ შორის ერთ-ერთს „ჩვენი სახელოვანი თანამედროვენი“ ეწოდება. ამ სერიით გამოდის წიგნები გამოჩენილი თანამედროვე მწერლების, მეცნიერების, ხლოენების მუშაეებისა და სხვათა შესახებ. სწორედ ამ სერიით ახლახან გამოიცა შოთა ძიძიგერის მონოგრაფია „აკაკი შანიძე“.

მონოგრაფია არაა დიდი მოცულობისა, მაგრამ მასში საკმაოდ სრულად და, რაც მთავარია, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მისაწვდომად არის დახასიათებულ სახელოვანთქმული ენათმეცნიერის, ჩვენი დროის დიდი ქართველი ფილოლოგის — აკაკი შანიძის მოღვაწეობა.

ნაშრომის პირველ თავში ავტორი გაღმოგვცემს მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს და ბევრ საუბრადებთ დეტალს გვაცნობს აკაკი შანიძის ბავშვობისა თუ მოწაფეობა-სტუდენტობის დროიდან. ასე, მაგალითად, საინტერესოა ა. შა-



ნიძის მინიწილეობა დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოში, რისთვისაც იგი კინაღამ გამაზიადან გავრცობდა (ამის თაბანზე თვით ა. შანიძის მოგონება დანიშნულა „მნათობნი“ 1960 წელს, № 9). აკვე სისტერესთა ა. შანიძის პირადი ურთიერთობა მეორე გენიალურ პოეტთან — ეკვა ფშაველასთან.

1909 წელს, ქუთაისის კლასიკური გამაზიის დამთავრების შემდეგ, ა. შანიძე შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ გამაზიის მეცნიერები: ნ. შარი, ი. ჯავახიშვილი, ნ. ადონცი, ვ. ტუოვსკი, ა. შმიდტი, ი. კრასკოვსკი, ე. ბარტოლდი, ი. ბოლდუნდუკურტაევი, ლ. შჩერბა და სხვანი. სტუდენტობის ხანას ეკუთვნის ა. შანიძის პირველი მეცნიერული ნაშრომები. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი იქვე, ქართულ-სომხური ფოლოლოგიის კათედრაზე იქნა დატოვებული პროფესორობისათვის მოსამზადებლად. კათედრას აკად. ნ. შარი ხელმძღვანელობდა.

1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერი დაბრუნდა თბილისში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული უნივერსიტეტის დამარსებელთა საინიციატივო ქვეყნის მუშაობაში, რომლისაც ივანე ჯავახიშვილი მეთაურობდა. 1919 წლიდან ა. შანიძე განაგებს თბილისის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას (კათედრის ორად გაყოფის შემდეგ — ძველი ქართული ენის კათედრას).

პირველი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც თბილისის უნივერსიტეტში იქნა დაეული, იყო ა. შანიძის ვრცელი და საერთაშორისო მნიშვნელობის გამოკვლევა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (დაეა შედგა 1920 წლის 9 მაისს).

ნახევარ სულუნებზე მეტია აკაკი შანიძე დაუღალავ სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. იგი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია, არჩეულია აგრეთვე მრავალი საბჭოთა და უცხოური სამეცნიერო ორგანიზაციის წევრად.

მონოგრაფიის ავტორს მოჰყავს და ჩვენც აკინდა აქ დავიმოწმით ა. შანიძის დაბადების 75 წლისთავე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოგზავნილი აღტესი, სადაც ნათქვამია:

„მთელი თქვენი ხანგრძლივი ცხოვრების გზა, მრავალმხრივი და დაუღალავი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მეცნიერებისათვის უანგარო სამსახურის ნათელი მაგალითის წარმოადგენს. თქვენმა შეუწე-

ლებულმა კვლევითმა ინტერესმა კავკასიისა და მსალობელ აღმოსავლეთთან ენაწმენდაწმენა-ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობის ფართო კომპლექსისადმი დამსახურებულად მოგიპოვათ თქვენ ერთ-ერთი მსხვილი საბჭოთა ფოლოლოგ-ორიენტალისტის სახელი. თქვენმა მრავალრიცხოვანმა ლინგვისტურმა შრომებმა, მათი რიცხვში ისეთმა ბრწყინვალე მონოგრაფიამ, როგორცაა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, „ქართული გრამატიკის საფუძვლები. მორფოლოგია“, უხარამხარი წვლილი შეიტანა ქართულტრის ენების რევიორც აღწერილობის, ისე შედარებით — ისტორიულ გრამატიკაში და აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადი ენათმეცნიერების თეორიაში. ძალზე დიდია თქვენი დამსახურება ქართული ლიტერატურათმცოდნეობის, ქართული პალეოგრაფიის, სომხურ-ქართული ფოლოლოგიის, კავკასიის არქეოლოგიის სფეროში. თქვენმა სხვადასხვა, უპირველეს ყოვლისა დაკავშირებული კავკასიის აღმანათლებლო ძველი დამწერლობის შესწავლას პრობლემა. მშვეფარე ენერჯითა და არაჩვეულებრივი თავდადებათ მუშაობით თქვენ ძველი ქართული ლიტერატურის შესანიშნავ ძეგლებზე, რომელთა საუნჯესაც ვეცნობენ თქვენი საწიმიშუო ტექსტოლოგიური გამოკვლევები და გამოკვლევები...“

ამ მომართება, რომელშიცაა მოცემული ა. შანიძის დამსახურების მკაფიო და შეტად მაღალი შეფასება, ხელს აწერენ სახელგანთქმული რუსი საბჭოთა მეცნიერები აკად. ვ. ვინოგრადოვის მეთაურობით.

შ. ძიძიგური გამოჰყავს და ცალკე-ცალკე განიხილავს აკაკი შანიძის მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს, როგორცაა ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხების შესწავლა, ტექსტების გამოკვლა, ქართული დიალექტოლოგიის, ლექსიკისა და ეპიგრაფიკის კვლევა, ძივბანი კოლხურისა და სვანურის დარგში, სალიტერატურო ენის პრაქტიკული საკითხების და მუშაობა, მწერლის ენის შესწავლა, აღზანური ენისა და დამწერლობის კვლევა, ლიტერატურისა და ფოლოლოგიის საკითხების შესწავლა, სახელმძღვანელოების გამოკვლა და სხვ.

ყველა ეს საკითხი ნაშრომში არ არის თანაბარი სისრულით გაშუქებული (მაგალითად, შედარებით მოკლედაა დასაბამებული ა. შანიძის რუსთველოლოგიური ძივბანი, ფოლოლოგის, პოეტისა და მწერლის ენის საკითხების შესწავლა და სხვ.), თუმცა ამ მხრივ წიგნის მოცულობაც უფოოდ ზღვდავდა ავტორის სასურველი იყო წიგნს დართვოდა ფოტოსურათები, საერთოდ კი, ნაშრომში მოკლედი, მაგრამ დიდი სიყვარულითაა გაშუქებული ჩვენს სახე-



ლოვანი თანამემამულის აკაკი შანიძის შრავალ-მხრავი ლექსი და დამსახურება, რაც მისამაძ მკვლელთადა გამოადგება ყველა ახალგაზრდა

მეცნიერს, ყველა კვშიარით პატრიოტულად და მშობლიურად კლაქეს.

ნარკვევები ქართული საგავშვო ლიტერატურის ისტორიიდან

ქართული საგავშვო ლიტერატურის ისტორიის შექმნის პირველი სერიოზული ცდა ვეთინის საგავშვო ლიტერატურის მკოდნეს, შუქარასა და მკვლევარს ანა ლენინაშვილს, რომლის წიგნი „ნარკვევები ქართული საგავშვო ლიტერატურის ისტორიიდან“ გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნაში“.

თვლიდანვე შეიძლება ითქვას, რომ წიგნი საქმის ცოდნითა დაწერილი, სარეცენზიო წიგნის ავტორი ათეული წლებს მანძილზე დიდი სიყვარულითა და მონღოშვებით მუშაობდა ამ თემაზე.

ავტორი წიგნის შესავალში მოკლედ მიმოიხილავს საგავშვო ლიტერატურის ისტორიის გარშემო დღემდე დაწერილ ნაშრომებს, აქვე განხილულია საგავშვო ლიტერატურის ადგილი და დანიშნულება ერის ცხოვრებაში, მოცემულია საგავშვო წიგნის მკითხველთა შეცნოერული ასაკობრივი დაყოფა.

ავტორი განსაუთრებთ ჩერდება საგავშვო ლიტერატურაზე, რომელიც წარმოიქმნა წარმართობის პერიოდში და მიუხედავად სასტიკი უარყოფისა, მიინე შემოჩნა ისტორიას.

წიგნში მოთხრობილია ქართველი კაცის იმ უდიდეს სიყვარულზე, პატივისცემაა და ზრუნვაზე, რომელთაც გარემოსილი იყო ბავშვი ძველ საქართველოში. ასევე კარგადაა გადმოცემული საქართველოში გავრცელებულ სათამაშოებსა და თამაშობებზე, ასეთია ძველ საქართველოში დიდად გავრცელებული „ნიშნა-ნიშნა ბაღბაღუკა“, რომელსაც ახლაც სიამოვნებით ასრულებენ. განხილულია აგრეთვე „კუთაყოობა“ და სხვა მრავალი.

შემდგომ ავტორი უშუალოდ გადადის ლიტერატურული ძეგლების განხილვაზე. პირველი ძეგლი „წამებაი ყრმათა წმინდათა რიცხვით ცხრათა“, რომელსაც ან. ლენინაშვილი ნოველას უწოდებს. აქამდე მხოლოდ საეკილურ ლიტერატურაში იყო ცნობილი და მის გარშემო მეცნიერთა შორის დიდი აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა.

„წამებაი ყრმათა წმინდათა რიცხვით ცხრათა“ არის ვაგრძილება, შეეცება, ქართული სა-

ისტორიო მწერლობისა, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია და რომელიც წარმოიშვა „მარტვილობათა და წმინდათა ცხოვრებთათაგან“. აქედ იგ. ქავთიშვილს მიანიხა რომ არა მარტო ქართული საისტორიო მწერლობაა წარმოქმნილი ამ მარტვილობებიდან, არამედ ლაქონთა სპარსეთელის სამოქალაქო და სამხედრო ისტორიის სათავეებიც ამ ნიადაგზეა აღმოცენებული.

ჩვენს ავტორს მიანიხა, რომ „იმ უმათაე ჰაგიოგრაფიულ ძეგლთა შორის, რომელსაც კი ჩვენს მწერლობაში არსებობს. განსაკუთრებულ ყურადღებას ბეჭობს ლაქონური მოთხრობა „წამებაი ყრმათა წმინდათა რიცხვით ცხრათა“ (გვ. 64). ლაქონობის თვალსაზრისით, იგი მართლაც შესანიშნავია, მაგრამ თავის შინაარსით, სცილდება საგავშვო ლიტერატურის ფარგლებს.

როგორც ავტორი ამტკიცებს ძეგლის შთავარი მოქმედი ვაგრძები 7-8-9 წლის ბავშვები არიან, ძეგლის მიხედვით წარმართულ და ქრისტიანულ სარწმუნოებათა შორის გამაართულ სამკდრო-სასიკოცლო ბრძოლების შედეგად 9 ბავშვი ჩაქოლეს მშობლებმა იმისათვის, რომ მთ ქრისტიანული სარწმუნოება მიიღეს, ეს შეშხარავი და ერთი შეხედვით დაუყვარებელი რამ არის! შეუძლებელია 7-9 წლის ბავშვი დარწმუნდეს სარწმუნოებას შეცვლის აუცილებლობაში და ვერაუთარობა მუდარამ, დაშინებამ ვერ გადაამტკიცევისო გადამწვებილება. დაუყვარებელია ბავშვების მშობლებს მხეცური მოქმედება, როდესაც ისინი შეიღებს უსიბოვნ სიკოცლეს. შეიძლება ავტორს სურდა ამ დეტალთ გამოხატა გადფორმებული ბრძოლა სარწმუნოებებს შორის. იგ. ქავთიშვილი ამ ძეგლის თაობაზე შენიშნავდა: „არც შეთოდების მხრივ, არც თხრობის წესის თვალსაზრისით ეს ნაწარმოები საყურადღებოს არ შეიცავსო...“ ეს მიუთითებს იმაზედაც, რომ ძეგლი ევრაეთარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება „პირველ საგავშვო“ ნოველად. და ამიტომაც ვერ დავთმანხვებით ავტორს თითქოს „თანამედროვე ბავშვი — მკითხველი, არა მარტო ვერ წაუთხავს გულდინჯად მათი მოწამებრივი სიყვდილის ამბავს, არამედ ამ ამბავს შეუძლიან ერთგვარი ზნეობრივი გავლენა მოახდინოს იმ მამართლებით, თუ როგორ უნდა აიტანოს თუნდაც ბავშვმა:

*ანა ლენინაშვილი, ნარკვევები ქართული საგავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, „ცოდნა“, თბ., 1962.

ყოველგვარი წამება, იყოს გამძლე, და როგორც
უნდა იბრძოლოს იდეისათვის" (გვ. 80).

საენის ცოდნით ავიწყებს ავტორი სომღერ-
მას, ლექსებს, გალობებს, ჰიმნების გავლენას
ბავშვის გონებრივ ჩამოყალიბებაზე.

მაშვე მზრუნველი ქართველი კაცი ძეობას,
წითლას, სხვადასხვა საბავშვო დღესასწაულს
აწყობდა ლექსებით, სიმღერებით, გალობით.
სიმღერას მავიური ძალა მიაწვდა ქართველმა.

ასევე ამოწმურავედ და უოველმხრივად გან-
ხილული ქართული ხალხური საბავშვო სიტყვი-
ერება, ვერძოდ—ზღაპრები, რომლებიც სულსა
და გულს უსხეტავენ ყრუებს. ჰეშმარიტად,
ზღაპრება საბავშვო ლიტერატურის საწყისებია,
ანბანი, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, რის საფუძ-
ველზეც შეიქმნა კლასიკური საბავშვო წიგნები.
მოტომაცია საბავშვო ლიტერატურის საწყისებია,
ანბანი, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, რის საფუძ-
ველზეც შეიქმნა კლასიკური საბავშვო წიგნები.
მოტომაცია საბავშვო ლიტერატურის საწყისებია,
ანბანი, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, რის საფუძ-
ველზეც შეიქმნა კლასიკური საბავშვო წიგნები.

ბავშვთა ხომ ძლიერ ეწოდება: „ნაიარქეისი“,
„წიგნისა“ და სხვა ქართულ ზღაპრებს. ასეთ
წიგნისა მათი პირველი საყოთბავი ნაწარმოებები.

ავტორი მიმოიხილავს XVII-XVIII ს. ს. ლი-

ტერატურის შედეგებს, მათგან მათგან მათგან
ჩოლოყაშვილის ნაწარმოებებს, რომლებიც
ლრმად და საფუძელიანად განიხილავს არჩილ
მეფის „საქართველოს ზნეობანს“, რომლის
მზავსი რუსეთში გამოვიდა არჩილის ნაწარ-
მოების დაწერიდან 30 წლის შემდეგ (არჩილის
გარდაცვალებიდან 4 წლის შემდეგ). ამ ორი
ნაწარმოების ურთიერთობას, იმას, რომ არჩილის
„საქართველოს ზნეობანი“ პეტრე პირველის
კარის მწერლებისათვის ჩინებულად იყო ცნო-
ბილი და რომ „ენოსტი ჩესტნოე ზერცალი“
პირველად 1717 წელს გამოუციათ 100 ეგზემ-
პლარი პეტრე პირველის ბრძანებით, მიუთითებს
არჩილის ნაწარმოების სიდიდეზე.

ა. ლვინიაშვილის წიგნში ქართული საბავშვო
ლიტერატურის ისტორია მიმოიხილულია XVII
საუკუნის პირველ ნახევარამდე. იმედია, ავტორი
მიღწეულით არ დამავიწყდებდა და განავრ-
ძობს შემდგომი პერიოდის ქართული საბავ-
შვო ლიტერატურის ისტორიის კვლევას.

3. პოეზიკა

633/313

9560 80 333.



ИНДЕКС
76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“